



1924 წლის აჯანყების მონაწილეები, მარცხნიდან პირველი
ზის აჯანყების მეთაური - ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი
(www.ai-ia.info)

ჰაი გიდი, ჩოლოყაშვილო, გულად გდებია ტალია,
პატარა რაზმის უფროსო, ხარ მარდი კამანდარია,
მკვდარი შეჰყარე მკვდარზედა, რო თივის საბინდარია,
ფშაველებს გადაეცე ნადავლი იმათგან ანაყარია,
სიკვდილზე ნუ დაფიქრდები, ყველა იქ მიმავალია,
იქ დაგხვდებიან ქართველნი, ვინც სამშობლოსთვის მკვდარია

/მიხა ხელაშვილი/

100 წელი შესრულდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან, რომელიც საერთო სახალხო ხასიათის ატარებდა და საბჭოთა მმართველობისა და რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. აჯანყების მიზანი იყო საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისგან გათავისუფლება და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ყველაზე მასშტაბური შეიარაღებული გამოსვლა საქართველოში. აჯანყებულებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ქალაქი რუსი ოკუპანტებისგან გაათავისუფლეს და დროებით ხელისუფლება მოიპოვეს, თუმცა რუსეთის სამხედრო ძალებმა აჯანყება ჩაახშეს, რასაც აჯანყების მონაწილეთა მიმართ სასტიკი ანგარიშსწორება მოჰყვა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყება ქართველთა თავისუფლებისთვის ბრძოლისა და მტერთან შეურიგებლობის ნათელი გამოხატულებაა.



**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა**
KUTAISI ILIA CHAVCHAVADZE PUBLIC LIBRARY

წელიწადი

XVI

ე ძ ღ ვ ნ ე ბ ა
1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს

-

**Dedicated to
the 100th Anniversary of the 1924 uprising**

ქუთაისი
2024
Kutaisi

001(479.22)(058)

ქ. 84

„წელიწდეულში“ იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის XVI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ასევე, რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო საბჭო:

ნოზა დი ბართაია, ლევან ბაბურიშვილი, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ეკა დადიანი (მთავარი რედაქტორი), ლუკა დვალისხილი, როლანდ თოფჩიშვილი, ეთერ ინწაიშვილი, ჯამალ კარალიძე, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, იასუჰირო კოჟიმა, მაია მიქაშაძე (რედაქტორი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ოთარ ნიკოლეიშვილი, საად აბდ ალ-რაჰიმი, რუსუდან საღინაძე, ნათია სვინტრაძე, გიორგი სოსიაშვილი, ნინო უგულავა (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ლალი ურდულაშვილი, ნათია ფუტყარაძე, ლეილა ჟვალაძე, გრიგოლ ჟოგალიანი, დავით შავიანიძე, ფეხვი ჩელაბი, ჰარუნ ჩიმეძე, მალხაზ ჩოხარაძე, მერაბ ჩუხუა, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), მაგდა ჭიჭაბერიძე, ლუიზა ხაჭაპურიძე, სტივენ ჯონსი.

პროექტის დირექტორი
გრიგოლ ქობალიანი



ფინანსური მხარდაჭერი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო

ინტელექტუალური მხარდაჭერი: ა(ა)იპ „ტარიელ ფუტყარაძის ქართველოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება“

ISSN 1987-9288
E-ISSN 2720-8311

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ. ნუცუბიძის ქ. N1
ელფოსტა: k.library1873@gmail.com
ჟურნალის ელვერსია იხ.: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>

© საგამომცემლო ცენტრი „ქუთაისი“, 2024

Annual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library XIV International Scientific Conference and other reviewed research papers in Kartvelology (linguistics, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc.).

EDITORIAL BOARD:

Nomadi Bartaia, Levan Beburishvili, Merab Beridze, Fevzi Chelebi, Magda Chikaberidze, Harun Chimke, Malkhaz Chokharadze, Merab Chukhua, Eka Dadiani (Editor - in chief), **Luka Dvalishvili, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Eter Intskirveli, Stephen Jones, Jemal Karalidze, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Luiza Khachapuridze, Grigol Kobaliani, Yasuhiro Kojima, Leila Kvelidze, Maia Mikautadze** (editor), **Avtandil Nikoleishvili, Otar Nikoleishvili, Natia Putkaradze, Saad Abd Al-Rahim, Rusudan Saginadze, Davit Shavianidze, Giorgi Sosiashvili, Natia Svintradze, Roland Topchishvili, Rita Tsakadze** (Secretary responsible), **Nino Ugulava** (editor of the English texts), **Lali Urdulashvili.**

Project Director

GRIGOL KOBALIANI



Financial supporter: Kutaisi Municipality City Hall and City Council



Intellectual supporter: N(N)LE „Tariel Putkaradze International Society of Kartvelology“

Address of the Editorial Office: #1, L. Nutsubidze str., Kutaisi, 4600

Email: k.library1873@gmail.com

**E-version of the Journal: <https://yearbook.openjournals.ge/index.php/kly>
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/164105>**

© Publishing Centre „Kutaisi“, 2024

შინაარსი – Contents

ნანა აბულაძე – დანიელ ფიფია - ბოროტებასთან მებრძოლი მხედარი Nana Abuladze – Daniel Piphia – The Warrior Against Evil	7
მანანა ბანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – მოსე გოგიბერიძე – გზა გურიიდან დიდ ფილოსოფიამდე Manana Bandzeladze Darejan Chkhirodze – Mose Gogiberidze – From Guria to a Great Philosopher	13
დალი ბეთხოშვილი – ეგნატე ნინოშვილის „ავტობიოგრაფია“ (მოკლე დღიური) და პირადი წერილების პრობლემატიკა Dali Betkhoshvili – Egnate Ninoshvili’s „Autobiography“ (A Short Diary) and the Problematics of Personal Letters	19
ტიერი ბერიშვილი – გურიის როლი ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, 1924 წლის ეროვნულ აჯანყებასა და 1953 წლამდე ბრძოლებში Thierry Berishvili – The Role of Guria in the Struggle for the Freedom and Independence of the Georgian People: The 1924 National Uprising and Subsequent Struggles until 1953	31
თამაზ გვენეტაძე – კარლა სერენას მოგზაურობა გურიაში Tamaz Gvenetadze – Carla Serena’s Journey to Guria	45
ეკა დადიანი – გურული ლექსიკა მეგრულთან მიმართებით (გიგო შარაშიძის „გურული ლექსიკონის“ მიხედვით) Eka Dadiani – Gurian Lexicon in Relation to Mingrelian (Based on Gigo Sharashidze’s „Gurian Lexicon“)	57
ვაჟა დანელია – ლელობურთი გურიაში: ტრადიცია და კულტურული ცნობიერება Vaja Danelia – Leloburti in Guria: Tradition and Cultural Consciousness	67
ლევან დვალისხილი – გურიაში წარმოებული იარაღის (XIX ს. - XX ს.-ის 20-იანი წლები) ატრიბუციის ზოგიერთი საკითხი Levan Dvalishvili – Some Issues of Attribution of Weapons Produced in Guria (19th Century – 1920s)	76
იამზე ვაშაკიძე – ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა დაპირისპირება ქართველოლოგიაში 1924 წლის აჯანყების მზადების პერიოდში Iamze Vashakidze – The Confrontation Between National and Anti-National Forces in Georgian Studies during the Preparations for the 1924 Uprising	85
ნინო ვახანია – ბრძოლა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ (ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო...“ და ნოდარ მაჭარაშვილის „ქეიფი სოლოლაკში“)	

Nino Vakhania – The Struggle Against Soviet Occupation (Zaira Arsenishvili's „Va, Sofelo...” and Nodar Macharashvili's „Keipi Sololaki”) 94

მარიკა თედორაძე, სალომე გუმბერიძე – მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები
გიორგი კეკელიძის „გურული დღიურების“ მიხედვით
Marika Tedoradze, Salome Gumberidze - Metaphorical Phraseologisms
Based on Giorgi Kekelidze's „Gurian Diaries” 102

ეთერ ინსკირველი – „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული
ლაშქრობის“ გურული მასალა
Eter Intskirveli – The Gurian Material of the „Shota Rustaveli
Cultural Campaign” 111

სალომე კაპანაძე – ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართულ რომანსა და
პუბლიცისტიკაში (როსტომ ჩხეიძის რომანის „შავი ჩოხა“ და შალვა
ამირეჯიბის წერილების მიხედვით)
Salome Kapanadze – Kakutsa Cholokashvili in Georgian Novels and
Publicist Writings (Based on Rostom Chkheidze's novel „Black Chokha”
and Shalva Amirejibi's letters) 127

ჯემალ კარალიძე, მალხაზ ჩოხარაძე – გურიის (ოზურგეთის) რაზმი
რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომში
Jemal Karalidze, Malkhaz Chokharadze – The Guria (Ozurgeti)
Detachment in the Russo-Turkish War of 1877–1878 139

მარიამ კობერიძე – ბერ- ძირიანი გვარსახელები გურულში
Mariam Koberidze - Gurian Surnames with the Root „Ber” 148

ნესტან კუტივაძე – 1924 წლის აგვისტოს აჯანყების რეფლექსია
ემიგრანტულ გამოცემაში „მამული“ - „La Patria”
Nestan Kutivadze - Reflection on the August 1924 Uprising
in the Emigrant Publication „Mamuli” – „La Patria” 159

მარიამ მარჯანიშვილი – ნოე ხომერიკი - თავისუფლებისათვის
თავდადებული მამულიშვილი
Mariam Marjanishvili - Noe Khomeriki – A Patriot Devoted to Freedom ...170

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ქართული ემიგრანტული გაზეთი
„ახალი საქართველო“ და 1924 წლის აჯანყება
Avtandil Nikoleishvili – The Georgian Emigrant Newspaper
„Akhali Sakartvelo” and the 1924 Uprising179

ოთარ ნიკოლეიშვილი – იტალიელი ისტორიკოსი და დიპლომატი
ლუიჯი ვილარი გურიის შესახებ
Otar Nikoleishvili – The Italian Historian and Diplomat Luigi
Villari on Guria 189

რუსუდან საღინაძე – ზოგი სიტყვაფორმის სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტები გურულში Rusudan Saginadze — Structural-semantic variants of some word-forms in Gurian	199
მარინა სურმავა – ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახის ტრაგიკული ფურცლები Marine Surmava – Tragic Pages from the Family of Kakutsa Cholokashvili....	213
ნესტან ფიფია – ეპოქის მიკრომოდელი ოთარ ჩხეიძის „ბორიაში“ Nestan Pipia – A Micromodel of the Epoch in Otar Chkheidze’s „Boriaqi“.....	222
მანანა ქაჯაია – ერთი ასპექტი ნოე ჟორდანias პუბლიცისტიკიდან Manana Kajaia – One Aspect of Noe Jordania’s Publicistic Work	231
დავით შავიანიძე – გვარსახელით მოთხრობილი ეთნიკურ- კულტურული ისტორია (გურიიდან და გურიაში მიგრირებულ გვართა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) Davit Shavianidze – Ethnic-Cultural History Narrated Through Surnames (Based on Ethnographic Materials from Guria and Migrant Families from Guria)	237
მირანდა ჭანკვეთაძე – თურქული ფრაზეოლოგიზმები გურული მამლუქის წიგნში „ახალი დიალოგები“ Miranda Chankvetadze – Turkish Phraseologisms in the Gurian Mamluk’s Book „New Dialogues“.....	248
მაგდა ჭიჭაბერიძე – იაკობ გოგებაშვილი გურიის შესახებ (მისივე წიგნის, „ბუნების კარის“, მიხედვით) Magda Chikaberidze – Iakob Gogebashvili on Guria (Based on his book „The Door of Nature“)	254
ლუიზა ხაჩაპურიძე – გურული დიალექტური ლექსიკა ზურაბ გორგილაძის პოეზიაში Luiza Khachapuridze – Gurian Dialect Vocabulary in Zurab Gorgiladze’s Poetry	261
მზია ხოსიტაშვილი – 1924 წლის აჯანყების სტრატეგიული კომუნიკაციების თავისებურები Mzia Khositashvili – Peculiarities of strategic communications during the 1924 uprising	268
სტივენ ჯონსი, გრიგოლ ქობალიანი – დავით და კონსტანტინე მხეიძეები (ძიება ალაგისა მარტვილობისად) Stephen F. Jones, Grigol Kobaliani - David and Constantine Mkheidze (A Study of the Alagi Martvili Text)	279
ავტორთა მონაცემები	287
CONTRIBUTORS	293

**დანიელ ფიფია –
ბოროთიანსა და მებრძოლი მხედარი**

Daniel Piphia –The Warrior Against Evil

ნანა აბულაძე

დადიანების სასახლეთა
ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
საქართველო, ზუგდიდი

Nana Abuladze

Dadiani Palaces History and
Architectural Museum
Georgia, Zugdidi

აბსტრაქტი

დანიელ ფიფია XIX-XX საუკუნეების საზოგადო მოღვაწე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებაა. იგი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გულანთებული მებრძოლი იყო. ის გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. 28 წლის ჯაბუკი ბოლშევიკთა ხელისუფლების რეპრესიებმა შეიწირა გაუსამართლებლად, ცრუ ბრალდებით 1924 წლის სექტემბერში.

საყურადღებოა, რომ მისმა შემოქმედებამ გამოაღწია ბოლშევიკურ რეპრესიებს, იხილა დღის სინათლე და ჩვენ ნამდვილი პოეზიის ძალა გვაგრძნობინა. აღფრთოვანებაში მოგვყვართ მის ლექსებს, პოემებს, პროზას, თარგმანებს და სხვა. უდავოა, რომ დანიელ ფიფიამ უსამართლობასთან ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა თავისი მებრძოლი სული, რამაც მას ბოროტებასთან შეურიგებელი მხედრის უკვდავი სახელი დაუმკვიდრა. სტატიაში მთლიანობაში ვერ წარმოვაჩენთ დ. ფიფიას შემოქმედებას. ჩვენ შემოვიფარგლებით პოეტური ტექსტებით, რომლებშიც ანკარა წყაროს სისუფთავითა და სისპეტაკით მოედინება სამშობლოს სიყვარული და ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის.

დანიელ ფიფიას ცხოვრებამ მძიმე ტვირთის ტარება არგუნა. ობლობამ, მატერიალურმა სიდუხჭირემ, ჯანმრთელობის პრობლემამ ვერ ჩაახშო მასში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და ბრძოლის ჟინი უკეთესი მომავლისათვის, რომლის სამსხვერპლოზე მან საკუთარი სიცოცხლე მიიტანა.

საკვანძო სიტყვები: დანიელ ფიფია, 1924 წლის აჯანყება, ბოლშევიკური რეპრესიები.

ABSTRACT

Daniel Piphia was a public figure of the late nineteenth and early twentieth centuries, deeply devoted to his homeland. He was a fervent fighter for Georgia's independence and served as the responsible propagandist of the Zugdidi District Committee of the Democratic Republic of Georgia. At the age of twenty-eight, he fell victim to the repressions of the Bolshevik regime, unjustly accused and executed in September 1924.

Notably, his creative works survived Bolshevik censorship, saw the light of day, and allowed us to experience the true power of his poetry. We are captivated by his poems, epics, prose, translations, and other writings. It is undeniable that Daniel Piphia spent his combative spirit in the crucible of fighting injustice, earning him the enduring reputation of a warrior uncompromising against evil.

This article does not attempt to present the entirety of D. Piphia's oeuvre. Our focus is limited to his poetic texts, in which the clarity and purity of the source convey profound love for the homeland and the struggle for a better future.

Thus, Daniel Piphia is a figure burdened by a heavy life. Orphanhood, material hardship, and health problems did not diminish his boundless love for his country or his zeal for the fight toward a brighter future—a fight for which he ultimately sacrificed his life.

Keywords: Daniel Pipia, the 1924 uprising, Bolshevik repression.

შესავალი

საქართველოს ისტორია მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებითაა დატვირთული. საყურადღებოა, რომ დრომ უამრავი რამ გადააფასა და დავიწყების ბურუსში გახვეული პიროვნებების ცხოვრება გააზრებისთვის გამოიტანა სააშკარაოზე. სწორედ დანიელ ფიფია მრავალთაგან ერთ-ერთია, რომლის ნამოღვაწარს დრომ ახლებური სუნთქვა შესძინა.

დანიელ ფიფია XIX-XX საუკუნეების მოღვაწე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პიროვნებაა. იგი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის გულანთებული მებრძოლი იყო. ის გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი, ბოლშევიკთა ხელისუფლების რეპრესიებმა შეიწირა, ცრუ ბრალდებით 1924 წლის სექტემბერს 28 წლის ჯერ კიდევ დაიღუპა.

1924 წლის აჯანყება თავისი შინაარსით უდიდესი ტრაგედიის შემცველია. თავისუფლება დაკარგულმა ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ აღიმაღლა ხმა უსამართლობის წინააღმდეგ. შედეგად კი არნახული მასშტაბების დახვრეტა-დაპატიმრებები მიიღო (ჯიქია 2009: 4).

საყურადღებოა, რომ მისმა შემოქმედებამ გამოაღწია ბოლშევიკურ რეპრესიებს და იხილა დღის სინათლე და ჩვენ კი გვაგრძნობინა ნამდვილი

პოეზიის ძალა. აღფრთოვანებაში მოგყავართ მის ლექსებსა, პოემებს, პროზას, თარგმანებს და სხვ. ბუნებრივია, მთლიანობაში ვერ წარმოვაჩენთ დანიელ ფიფიას შემოქმედებას. ჩვენ შემოვიფარგლებით ლექსებით, რომლებშიც ანკარა წყაროს სისუფთავითა და სისპეტაკით მოედინება სამშობლოს სიყვარული და ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის.

უდავოა, რომ დანიელ ფიფიამ უსამართლობასთან ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა თავისი მეტრძოლი სული, რამაც მას დაუმკვიდრა ბოროტებასთან მეტრძოლი მხედრის უკვდავი სახელი.

დანიელ ფიფია სამეცნიერო წრეს გააცნო ფოლკლორისტმა, მკვლევარმა კალისტრატე სამუშიამ პოემით „ბულათია“, რომელიც „ორი მჭედელის“ სახელწოდებით დაიბეჭდა წიგნში „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“ შემდეგი მინაწერით: სამარგალოში ნანდული ამზე „ნამდვილი ამბავი სამეგრელოს ცხოვრებიდან“ (სამუშია 1971: 61). მკვლევარმა ავტორი სახალხო მთქმელად დაასახელა გასაგები მიზეზით, როგორც ხალხში იტყვიან: „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“. რეპრესირებული პიროვნების წინ წამოწევა იმ დროს ნამდვილად დასაფასებელი ნაბიჯი იყო. ხოლო 2014 წელს ჟურნალისტ თამაზ ფიფიას ავტორობით გამოიცა წიგნი „ბორჯი“ (მეგრ. დრო, ჟამი), სადაც თავი მოიყარა დანიელ ფიფიას ნამოღვაწარმა. წიგნი მეორედ გამოიცა 2023 წელს. ამ წიგნით რეპრესირებული პოეტი 100 წლის შემდეგ ქვეყნიერებას ხელმეორედ მოევლინა (ფიფია 2023: 3).

მსჯელობა

დანიელ ფიფიას ცხოვრება მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ამ მხრივ საყურადღებოდ გვეჩვენება მისი ჩანაწერები, სადაც ვკითხულობთ: „...მამაჩემმა შეირთო ცოლად რომანოზ კვირკველიას ქალიშვილი, ქეთევანი... პირველად ასული შეეძინა მამაჩემს - კატო. მერე - ორი ვაჟი: პანკრატი და რაჟდენი... მერე კიდევ - ორი ქალიშვილი, ნინუცა და ციცუ. ეს დრო უნდა მივიჩნიოთ ბედნიერ პერიოდად დედ-მამის ცხოვრებაში. მამაჩემი ობოლი იყო, მამა მას დაბადებამდე გარდაეცვალა, სახლი აიშენა, დაცემული ოჯახი წამოსწია და იყო ძალ-ღონით საგსე ვაჟკაცი... დიდხანს არ შერჩა მშობლებს ბედნიერი ცხოვრება. გახდა ავად ხუთი წლის პანკრატი დიფტერიით... ამ დროს რაჟდენიც ლოგინად ჩავარდა, იგი მეორე სახლში გადაიყვანეს და რადგან უფროსი ვაჟი კვდებოდა, მისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია... მაგრამ თურმე რაჟდენსაც იგივე ავადმყოფობა შეჰყროდა. გარდაიცვალა უფროსი ვაჟი და ამ დროს მეორე სახლში კვდებოდა მეორე ვაჟიც, უკანასკნელი იმედი დედ-მამისა. რაჟდენი მაშინ სამი წლის ყოფილა, თურმე მანაც იცოდა, რომ მკვდარი იყო უფროსი ძმა და თავისი ავადმყოფობით არ უნდოდა შეეწუხებინა მშობლები და არ ეძახდა დედას. როცა მიხვდნენ, რომ ისიც ვერ გადარჩებოდა, დედას ყოველივე უთხრეს. დედა მაშინვე გაექანა შვილისაკენ, მან მიატოვა ტირილი და დაუწყო შვილს ალერსი, მაგრამ ეს იყო რაჟდენის უკანასკნელი წამები. მშობლებმა ერთ დღეს დაასაფლავეს ორი ვაჟიშვილი. ამ ორ კუბოსთან ერთად იმარხებოდა დედ-მამის გულიც. ამის შემდეგ სიხარული და ბედნიერება მათთვის არ სუფევდა“ (ფიფია 2014: 276).

დანიელ ფიფია დაიბადა 1896 წელს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში. მისმა დაბადებამ ყველა გაახარა, ღვთის წყალობად მიიჩნიეს

მოკეთებმა გადატანილი ტრაგედიის შემდეგ. დანიელი მეექვსე, ყველაზე უმცროსი შვილი იყო. ცხოვრებამ ბედის ჩარხი სულ სხვანაირად დაატრიალა, რადგანაც სამი თვისას დანიელს აღმოაჩნდა ავადმყოფობა. მას ცალი ფეხი ეკეცებოდა და გასინჯვის შემდეგ შენიშნეს, რომ მარჯვენა ხელიც ჰქონდა წართმეული. მამას ექიმებმა უთხრეს, რომ ამ სენისგან ვეღარ განიკურნებოდა. ამ ამბავმა საბოლოოდ გატეხა მამა, ავად გახდა და უცებ გარდაიცვალა. დანიელს დედამ გარდაეცვალა ოჯახში საოცარი ტკივილი სუფევდა. კატო დედის მაგივრობას უწევდა დანიელს. კატო დაატარებდა ხელით 6 წლიდან 13 წლამდე (ფიფია 2014: 277).

დანიელი ფიზიკურად სუსტი, კოჭლი ყოფილა, მაგრამ სიმკვირცხლითა და მახვილგონიერებით გამორჩეული. მან წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და ობუჯში მასწავლებლად მუშაობდა. ბიოგრაფიული ცნობებიდან ნათელი ხდება ცხოვრების ის სირთულე, რომელთანაც შერკინება მოუხდა მას. მისი შემოქმედება კი დასტურია სულიერი გაუტეხლობისა და მეტრძოლი სულისა.

ჩვენი მიზანია საზოგადოებას დავანახოთ სამშობლოს ბედზე მოფიქრალი პროვინცია, მისი ნაღვაწის სააშკარაოზე გამოტანით შეძლებისამებრ ჩავწვდეთ პოეტის ბოლოქარ სულს და ხელი დავადოთ მაჯას, რომელიც გაგვაოცებს სამშობლოზე ფეთქვის სიძლიერით.

საყურადღებოა, ობუჯზე მიძღვნილ ლექსი:

„სადაც ჩხრიალით მირბის სქურდილა

და ჭანისწყალის ანკარა წყალი,

სად გაგატარე ჩემი ბავშვობა

და ავიხილე პირველად თვალი“ (ფიფია 2023: 6).

ლექსში საკმაოდ ოსტატურადაა აღწერილი პოეტის ოდაბადე, სადაც მას იცნობს დიდი თუ პატარა, დამარხულია მამა-პაპათა ძვლები. ესაა ადგილი, რომელიც მასში იწვევს შვებას და მოსვენებას. აქ ხომ მისთვის ყველაფერი სიყვარულის ფერებითაა გამთბარი:

„... აი, ადგილი, ტურფა ადგილი,

სადაც აქვს გემო ჩემს ცხოვრებასა.

სად უნდა ვიყო, ამის გარეშე,

ჩემი ცხოვრება მოწამლულია.

სიზმრად თუ ცხადად მაინც აქ არი -

ჩემი სული და ჩემი გულია“ (ფიფია 2023: 6).

უდავოა, რომ პოეტის შინაგან განწყობას საოცრად ეხმიანება ლექსი. მას სამშობლოს სიყვარული და დედის ტკბილი ალერსი უთბობს გულს. მოვიხმოთ პოეტური ტექსტი:

„სიყვარული ერთი ვიცი

უმწიკვლო და წმინდა რამე,

ის ანათებს ლამპარით

თბილია და მოკამკამე.

სიყვარული ამგვარი

იშვიათი როდი არის,

ყველა კაცში იპოვება,

ღარიბია თუ მდიდარი,

ამ დიდ გრძნობას ვერ დახატავს

უბადრუკი ეს ლექსია,

მაგრამ ყველას გეხსომებათ,

დედის ტკბილი ალერსია“

(ფიფია 2023: 7).

ნინუცასადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი წუთისოფლის ამოებზე გვესაუბრება:

„ვხედავ, ეს წუთისოფელი მე სიკეთეს არ მიქადის. ჩემი საქმე უკან იწევს, რაც წამი და წუთი გადის.	ვფიქრობ, თვითონ მზე ცხოვრების ადრე ქრება, ადრე ჩადის, თუმცა ჯერ თეთრი არ მინახავს, მალე ბნელი თვისად გამხდის“.
---	---

(ფიფია 2023: 7).

პოეტი ერთგან ამბობს, რომ ადამიანმა უბედობის მიზეზი სხვაგან კი არ უნდა ეძიოს, არამედ საკუთარ თავში:

„ქრისტე სიტყვით ვიწამეთ და საქმით კი სატანა, დღეს ჩვენში არც გრძნობაა, არც ნდობა და გატანა .	მაშ, ცხოვრებას რათა ვგმოთ, რათა ვამბობთ რომ ავია, ჩვენს ამ უბედობაში განა დამნაშავეა?!“
---	--

(იქვე: 14).

დანიელმა ლექსი მიუძღვნა ვასილ გეთიას, რომელიც მეფის თვითმყრობელობის წინააღმდეგ საქმიანობისთვის ციმბირში გადაუსახ-
ლებიათ და იქ გარდაცვლილა:

„... შენ ხარ ჩვენი სამშობლოს სასიქადულო მშვენება. ნეტავ იმ კაცს, ვის შენებრ გადუხდია თვისი ვალი, ჩაგრული ძმა ჰყვარებია, ჩვენსკენ ქონებია თვალი.	ნეტავ იმ კაცს, ვინც პირნათლად შენებრ სოფელს ეთხოვება, სიკვდილი მას ვერას აკლებს, თავის ხალხს ის არ შორდება. ნეტავ იმას, რადგან ქვეყნად დიდი ძეგლი აუგია...“
--	--

დანიელს გასიგრძეგანებული აქვს, რომ მართალი საქმისადმი თავგანწირვა უშედეგოდ არ ჩაივლის. ისტორიის ფურცლებზე აისახება ყოველივე, რადგანაც სიკვდილი ბრძოლის ველზე გამარჯვების ნიშანია. მას სჯერა რომ:

„გავლენ დრონი ესრედ შავნი - საზარელნი, საშიშარნი,	ის დროც მოვა წმინდა აზრი განმტკიცდება როცა არსი“.
--	--

(იქვე: 12).

მის შინაგან სამყაროს ასაზრდოვებდა მომავლისადმი იმედიანი დამოკიდებულება, რასაც ეხმიანება მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსი:

„... გვდევნონ, გვიწოდონ ჩვენ სულელები,
მაინც ჩვენ ვიყოთ მართლის მცველები
გვაწვალონ, გვაცვან ვით ქრისტეს ჯვარსა,
და შევხედოთ მხნედ მომავალსა “ (ფიფია 2014: 13).

სიმართლისა და სამშობლოსადმი ერთგულება დანიელის ცხოვრების მთავარი მიზანია. სწორედ ამის გამო დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. დასანანია, რომ ახლობლებმა ვერ მიაკვლიეს მის კვალს (მეუღლე არ ჰყოლია) და ერთადერთ დას - ნინუცას ცდა და მონდომება არ დაუკლია, მაგრამ ამაოდ. ქვეყანაზე სისხლიანი ბოლშევიკების თარეშმა შეიწირა ახალგაზრდა ჭაბუკი.

დასკვნა

დანიელ ფიფიას ცხოვრებამ მძიმე ტვირთის ტარება არგუნა. ობლობამ, მატერიალურმა სიდუხჭირემ, ჯანმრთელობის პრობლემამ ვერ ჩაახშო მასში სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და ბრძოლის ჟინი უკეთესი მომავლისათვის, რომლის სამსხვერპლოზე მან საკუთარი სიცოცხლე მიიტანა.

გამოყენებული ლიტერატურა

- სამუშია 1971 – კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები. თბილისი, 1971.
- ფიფია 2014 – დ. ფიფია, ბორჯი. თბილისი, 2014.
- ფიფია 2023 – დ. ფიფია, ბორჯი. თბილისი, 2023.
- ჯიქია 2009 – ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება. საქართველოს რეგიონი (სამეგრელო). თბილისი, 2009.

**მოსე გოგიბერიძე –
გზა გურიიდან დიდ ფილოსოფიაში**

**Mose Gogiberidze –
From Guria to a Great Philosopher**

მანანა ბანძელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი
დარეჯან ჩხიროძე
ქუთაისის უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Manana Bandzeladze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Darejan Chkhirodze

Kutaisi University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

მოსე გოგიბერიძე ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. იგი 1897 წელს დაიბადა გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენოზანში. დაწყებითი განათლება მან მიიღო ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში, ხოლო შემდეგ სწავლა გააგრძელა გერმანიაში, კერძოდ, ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში. აქვე ახერხებს სადოქტორო დისერტაციის დაცვას თემაზე: „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებით“. დისერტაცია საკმაოდ საინტერესო იყო და მიმართული იყო იდეალიზმის, კერძოდ, მარბურგის სკოლის ტრადიციული თეორიის – ლოგიკური იდეალიზმის წინააღმდეგ.

1922 წელს გერმანიაში განათლებამიღებული პროფესორი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს სულ რამდენიმე წლის შექმნილ უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ფილოსოფიის განვითარების, კერძოდ, ბუნების დიალექტიკის კვლევის საქმეში. გარდა ამისა, იგი ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ქუთაისში. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მოსე გოგიბერიძემ პირველმა შექმნა ფილოსოფიის ისტორია

ქართულ ენაზე. მას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ისეთი ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც უშუალო კავშირში იყო ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარებასთან. განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართული ფილოსოფიის კლასიკური ხანა, რომელიც უკავშირდება იოანე პეტრიწის მოღვაწეობას, რა თქმა უნდა, საუბარია რუსთაველის ეპოქის ფილოსოფიური პრობლემების შესახებ.

მოსე გოგიბერიძე უდიდესი ქართველი მოაზროვნეა. მისი შრომები ფილოსოფოსთა შემდგომ თაობებში მუდმივად განხილვის საგანია. 1997 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფართო მასშტაბით აღნიშნა მისი დაბადების 100 წლის იუბილე.

საკვანძო სიტყვები: მოსე გოგიბერიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, XIX-XX საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზროვნება.

ABSTRACT

Professor Mose Gogiberidze is one of the foremost representatives of the Georgian philosophical school. He was born in 1897 in the village of Kvenobani, in the Chokhatauri district of Guria. He received his initial education at the Ozurgeti City School and later continued his studies in Germany, at the universities of Berlin and Marburg. There, he successfully defended his doctoral dissertation on the topic: „The Theory of Solomon Maimon’s Thought in Relation to Kantian Philosophy and the Subsequent Development of Logical Idealism“. His dissertation was highly significant, critically addressing idealism, particularly opposing the traditional theories of the Marburg School and logical idealism.

In 1922, having completed his education in Germany, Professor Gogiberidze returned to Georgia and began teaching at the newly established university, where he continued his work until his death, leaving a lasting impact on the development of philosophy in Georgia, particularly in the area of dialectics of nature. In addition, he provided philosophical education at various higher institutions and also delivered lectures in Kutaisi.

One notable aspect of Mose Gogiberidze’s philosophical work is that he was the first to write the history of philosophy in the Georgian language, particularly the historical sections. He paid careful attention to philosophical issues directly connected to the development of Georgian philosophical thought and Georgian culture more broadly. Special emphasis is given to the classical period of Georgian philosophy, associated with the work of Ioane Petritsi, including the philosophical problems of the Rustaveli era.

Mose Gogiberidze is recognized as one of the greatest Georgian thinkers. His philosophical works continue to be a subject of study and discussion among subsequent generations of philosophers. In 1997, Tbilisi State University commemorated the centenary of his birth with extensive celebrations.

Keywords: Mose Gogiberidze, History of Georgian Philosophy, Georgian Philosophical Thought of the 19th-20th Centuries.

შესავალი

ქართული ფილოსოფიური სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია პროფესორი მოსე გოგიბერიძე. იგი დაიბადა 1897 წელს გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანში. თავდაპირველი განათლება მან ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ იგი განათლების მიღებას აგრძელებს გერმანიაში, კერძოდ, ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში, აქვე ახერხებს დაიცვას სადოქტორო დისერტაციის დაცვას თემაზე: „სალომონ მაიმონის აზროვნების თეორია კანტის ფილოსოფიასა და ლოგიკური იდეალიზმის შემდგომ განვითარებასთან მიმართებით“. დისერტაცია საკმაოდ საინტერესო იყო და მიმართული იყო იდეალიზმის, კერძოდ კი მარბურგის სკოლის ტრადიციული თეორიის ლოგიკური იდეალიზმის წინააღმდეგ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 1922 წელს გერმანიაში განათლებამიღებული პროფესორი ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს სულ რამდენიმე წლის შექმნილ უნივერსიტეტში, სადაც გარდაცვალებამდე მუშაობდა და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ფილოსოფიის განვითარების, კერძოდ, ბუნების დიალექტიკის განვითარების საქმეში. გარდა ამისა, იგი ლექციებს კითხულობდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის ქუთაისში. მას საკუთარი წვლილი შეჰქონდა ახალგაზრდობის აღზრდაში, ასწავლიდა მათ სხვადასხვა ფილოსოფიურ დისციპლინას.

მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მეთოდები, რომლებიც ფოკუსირდება სოციალური ურთიერთობების დინამიკის გაგებასა და ახსნაზე და ითვალისწინებს ურთიერთობების, პროცესებისა და ფენომენების ღრმა სივრცეს.

მსჯელობა

საკმაოდ დიდია მოსე გოგიბერიძის წვლილი ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მოღვაწეობა შემეცნების თეორიის, ანუ გნოსეოლოგიის, სრულყოფაში. აღნიშვნის ღირსია მისი შრომები: „ფილოსოფიის ისტორია“, „პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოსე გოგიბერიძემ პირველმა შექმნა ფილოსოფიის ისტორია ქართულ ენაზე. მას ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ისეთი ფილოსოფიური საკითხები, რომლებიც უშუალო კავშირში იყო ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და, საერთოდ, ქართული კულტურის განვითარებასთან. განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართული ფილოსოფიის კლასიკური ხანა, რომელიც უკავშირდება იოანე პეტრიწის მოღვაწეობას. აქვე, რა თქმა უნდა, საუბარია რუსთაველის ეპოქის ფილოსოფიური პრობლემატიკის შესახებ.

ეხებოდა რა საკუთარ ღვაწლს ფილოსოფიის განვითარების საქმეში, იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა იმასაც, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის პროცესში მას დახვდა ფილოსოფიური კვლევა-ძიებისთვის საკმაოდ მყარი ნიადაგი, რომლის გარეშეც ალბათ მისი შრომაც ვერ იქნებოდა ისეთი ნაყოფიერი. მან გარკვეულწილად გააგრძელა პროფესორ შალვა ნუცუბიძის ფილოსოფიური პრობლემატიკის

კვლევა–ძიება, თუმცა მრავალი საკითხი მან ახლებურად დააყენა. ეს ორი ბუმბერაზი ფილოსოფოსი სხვებთან ერთად ქმნიან იმას, რასაც დღეს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარება ჰქვია. ფილოსოფიის ისტორიაში უკვე მუშაობდნენ სერგი დანელია, სავლე წერეთელი, მაგრამ ამ კუთხით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოსე გოგიბერიძემ. იგი გვევლინება როგორც სისტემატიკური ფილოსოფოსი, რომელმაც ახლებურად წარმოადგინა ფილოსოფიის ისტორია. ის ხაზს უსვამდა ფილოსოფიისა და მათემატიკის ურთიერთკავშირს. ფილოსოფიის ისტორიის მათემატიკასთან კავშირის შესახებ მან ჯერ კიდევ მარბურგის სკოლაში გამოთქვა ფუნდამენტური შეხედულებები.

აღსანიშნავია მოსე გოგიბერიძის დამსახურება დიალექტიკის განვითარების საქმეში. იგი იძლევა ცდას, დიალექტიკის ისტორია გაიაზროს ერთი მთლიანი ხაზით – ანტიკური ფილოსოფიიდან გერმანული იდეალიზმის გათვალისწინებით. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა მან ნაშრომი „მატერიალიზმის და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე“. ნაშრომი დაიწერა 1928 წელს. ეს ის პერიოდია, როდესაც დიალექტიკის პრობლემებზე ზოგიერთ მოაზროვნესთან საუბარი იყო სქემატურად. ამ კუთხით მრავალი გამოკვლევა არსებობდა, მაგრამ მიჩნეულია, რომ მოსე გოგიბერიძის ნაშრომი დიალექტიკის ისტორიის კვლევის დასაწყისია. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნააზრევები ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის შესახებ. როგორც ცნობილია, ფილოსოფიაში ჰეგელის დიალექტიკა მიჩნეულია დიალექტიკის კლასიკურ ნიმუშად. მოსე გოგიბერიძისაზრით, ჰეგელისთვის მიუღებელია გერმანული ფილოსოფიის ისეთი წარმომადგენლების აზრი, როგორებიცაა ფიხტი და შელინგი, ამიტომ იგი ჰეგელის დიალექტიკის ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს კანტს. მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც ყურადღების მიღმა დარჩა შელინგისა და ფიხტესთვის, ესაა სინთეზის დიალექტიკური საზრისი. ჰეგელის მიხედვით, სინთეზის აღმოჩენა კანტის დამსახურებაა, თუმცა იმაზეც მიუთითებს, რომ, მართალია, კანტი საუბრობს სინთეზზე, მაგრამ ეს ცნება მასთან ბოლომდე არაა სრულყოფილად წარმოდგენილი. წინააღმდეგობის ცნება - სინთეზის მთავარი მომენტი ენერგია გამბდარიყო, ლოგიკური აზროვნების სფეროში ვერ ჩაატია და დიალექტიკის ადგილი წმინდა გონების სფეროში დაისახა და არა შემეცნებული აზროვნების სფეროში. მოსე გოგიბერიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ კანტთან დიალექტიკა ვერ იქცა ლოგიკურის უნივერსალურ მეთოდად, ჰეგელთან კი ასეთი მეთოდი სწორედ რომ დიალექტიკური მეთოდია. ამ დასკვნამდე ის მივიდა სწორედ კანტის სინთეზის სწორად გაგების შემდეგ. დიალექტიკის მთავარ კანონად ის მიიჩნევს მოხსნა-შენახვის მომენტს, რომელიც უნივერსალურია, საყოველთაოა. ასევე, წინაა წამოწეული დიალექტიკურ განვითარებაში უარყოფის უდიდესი როლი.

საკმაოდ მრავალფეროვანია მოსე გოგიბერიძის ფილოსოფიური მემკვიდრეობა, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული ფილოსოფიის განვითარებაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი

შეხედულების გარკვეული ნაწილი სადავოდ იქცა, საკითხის ახლებურად გააზრება მაინც დიდ დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს. დავის საკითხია მასთან ნეოპლატონიზმის უარყოფა „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა მოსე გოგიბერიძეს ჰყავს მიმდევრები, მაგალითად, პროფესორი აკაკი გაწერელია. ასეთი დამოკიდებულება ნეოპლატონიზმისადმი ალბათ იმით იყო განპირობებული, რომ იმ პერიოდში თვითონ ნეოპლატონიზმის იდეა იწვევდა ნეგატიურ დამოკიდებულებებს. განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა შალვა ნუცუბიძეს, რომელმაც ნეოპლატონიზმის მნიშვნელობის აღიარებას შეუწყო ხელი.

მოსე გოგიბერიძე არ უარყოფდა ქრისტიანული ნეოპლატონიზმის როლს. უფრო მეტიც: „ფილოსოფიის ისტორიაში“ ამ მიმართულებას ერთი თავიც კი მიუძღვნა. იგი ებრძვის ე.წ. გაქრისტიანებულ ნეოპლატონიკოსებს, რომელსაც ათენური სკოლაც მიეკუთვნებოდა. ამავე სკოლას მიაკუთვნებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელსაც. ეს ის პერიოდია, როცა მან ჯერ კიდევ არ იცოდა შალვა ნუცუბიძის შეხედულებები პეტრე იბერიისა და „არეოპაგეტიკის“ ავტორის იგივეობის შესახებ, შესაბამისად, არ ეცოდინებოდა ჰონიგმანის თეორიის შესახებ, რადგან ის რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა საკუთარი ვერსიით. ამ პერიოდისთვის მოსე გოგიბერიძე უკვე დაპატიმრებული იყო, ამიტომ ორი ქართველი ფილოსოფოსის შეხედულება განსხვავებული იყო არეოპაგეტიკულ პრობლემებთან დაკავშირებით.

XI-XII საუკუნეების ქართული ფილოსოფიის შესწავლის კუთხით დიდია მოსე გოგიბერიძის როლი. საინტერესოა მისი შრომები: „იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა“, „რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები“, „შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი“, „რუსთაველის ესთეტიკა“ და ა.შ. ის განსაკუთრებით ღრმად და საფუძვლიანად ახასიათებს იოანე პეტრიწის მოღვაწეობას. მისი აზრით, იოანე პეტრიწი მრავალმხრივი და განსხვავებული მოაზროვნეა. მისი სურვილი იყო შეექმნა ისეთი თეოლოგია, რომელიც ზეცაში ღმერთს აიძულებდა, დაყრდნობოდა გონების არგუმენტებს. ამას სარწმუნოება ვერ გააკეთებდა ფილოსოფიის დახმარების გარეშე. ჭეშმარიტება და ლოგიკა, რომელიც გამოცხადების სახითაა ქრისტიანობაში გამოვლენილი, თეორიული ცოდნის სახით ყველაზე ნათლად ბერძნულ კლასიკურ ფილოსოფიაშია მოცემული. ამ კუთხით საინტერესოა არისტოტელე, პლატონი, პროკლე, თუმცა იოანე პეტრიწი მათზე დაყრდნობით ცდილობს საკუთარი მსოფლმხედველობის დაფუძნებას. ფაქტიურად პეტრიწის აზრის განვითარება იქითკენ მიდის, რომ ყველაფერს საწყისად იგი ქრისტიანობას მიიჩნევს, ყველაფრის საფუძველი ერთია, ერთი დგას ყოველივე სიმრავლის მიღმა და საფუძვლად. ეს ის თემაა, რომელიც აღმოაჩინა სარწმუნოებამ. არისტოტელე, პლატონი და პროკლე ერთის ამგვარ გაგებას ცდილობენ, მაგრამ ვერ ჩასწვდნენ მის სიღრმეებს. მოსე გოგიბერიძის აზრით, იოანე პეტრიწის ნააზრევნი შესაბამისობაშია ქრისტიანობასთან.

აღნიშვნის ღირსია მოსე გოგიბერიძის კავშირი ქუთაისთან. იგი საჯარო ლექციებს კითხულობდა მშრომელებისთვის. არსებობს აფიშა,

რომელიც გვაუწყებს, რომ 1918 წლის 8 დეკემბერს ქუთაისში ქალაქის კლუბში ლექციას წაიკითხავს პროფესორი მოსე გოგიბერიძე თემაზე: „პროლეტარული ფილოსოფია“. მას შემდეგ, რაც ქალაქში დაარსდა პედაგოგიური ინსტიტუტი, იგი კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა ფილოსოფიურ დისციპლინებში. როგორც აღნიშნავენ, მისი ლექციები იყო შთამბეჭდავი, გურული იუმორითა და ცეცხლოვანი ორატორული ნიჭიერებით შეზავებული.

დასკვნა

მოსე გოგიბერიძე უდიდესი ქართველი მოაზროვნეა. მისი ფილოსოფიური შრომები ფილოსოფოსთა შემდგომ თაობებში მუდმივად განხილვის საგანია. 1997 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფართო მასშტაბით აღნიშნა მისი დაბადების 100 წლის იუბილე. მონაწილეობდა სოხუმის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი თ. კობუში, მეორე დღეს კი სამეცნიერო სესია მოსე გოგიბერიძის მშობლიურ სოფელ ქვენოზანში გაგრძელდა, გაიხსნა მისი სახელობის სახლ-მუზეუმი.

გამოყენებული ლიტერატურა

- გოგიბერიძე 1972 – მ. გოგიბერიძე, წერილები. ფილოსოფიის ისტორია. თბილისი, 1972.
- კუჭუხიძე 2002 – ი. კუჭუხიძე, წერილები ფილოსოფიაზე და ფილოსოფოსებზე. ქუთაისი, 2002.
- მახარაძე 1988 – მ. მახარაძე, წერილები ქართულ ფილოსოფიაზე. თბილისი, 1988.
- მახარაძე 2013 – მ. მახარაძე, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. IV. თბილისი, 2013.
- ურიდია 1986 – ბ. ურიდია, XX საუკუნის ქართული ფილოსოფიის ისტორიიდან. თბილისი. 1986.

**ეგნატე ნინოშვილის „ავტობიოგრაფია“
(მოკლე დღიური)
და პირადი წერილების პრობლემატიკა**

**Egnate Ninoshvili's Autobiography (A Short Diary)
and the Problematics of Personal Letters**

დალი ბეთხოშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ახალციხე

Dali Betkhoshvili

Samtskhe-Javakheti State University
Georgia, Akhaltsikhe

აბსტრაქტი

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში მთელი სიმკაცრითა და ტკივილითაა ასახული საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – გურიის უბრალო ადამიანთა დუხჭირი ყოფა, რაც მძიმედ აისახებოდა მათ ჯანმრთელობასა და გამომეტყველებაზე.

ნაშრომში გაანალიზებულია ეგნატე ნინოშვილის „ავტობიოგრაფია“ (მოკლე დღიური), რომლის სათაურშიც ჩანს ავტორის სათქმელი. კერძოდ, მოკლე დღიურში გადმოცემულია მწერლის ცხოვრების დასაწყისი საფეხურები, რომელზეც აღბეჭდილია გაჭირვება, ობლობისა და დუხჭირი ცხოვრების სირთულეები. ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში „ავტობიოგრაფიასთან“ ერთად, გარკვეული პრობლემების გამოკვეთის თვალსაზრისით, ძალიან ღირებულია მისი პირადი წერილები. მათგან ამჯერად ჩვენ გამოვყავით ორი პირადი წერილი, რომლებიც გამოირჩევა განსხვავებული პრობლემატიკით და ძალზედ ბევრის მთქმელია. ეს ორი წერილი მიწერილია იაკობ გოგებაშვილისა და გიორგი წერეთლისადმი. აღნიშნული წერილები ავსებს „ავტობიოგრაფიაში“ გადმოცემულ სათქმელს და დამატებით ინფორმაციას იძლევა ეგნატე ნინოშვილის პიროვნების, შეხედულებებისა და ცხოვრების წესის შესახებ.

თემა აქტუალურია, რადგან წარმოაჩენს ეგნატე ნინოშვილის შეხედულებებს განსხვავებული საკითხების გააზრების კრილში და კვლევის მიზანიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის მსოფლმხედველობა ნაჩვენები იყოს არა მარტო თავისი თანადროული, არამედ დღევანდელი ეროვნული და გლობალური ეპოქის გადასახედიდან და ამ კონტექსტით წარმოჩნდეს მის ნააზრევში ასახული პრობლემების ღირებულება და მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, ეგნატე ნინოშვილის „ავტობიოგრაფია“, ეგნატე ნინოშვილის პირადი წერილები.

ABSTRACT

Egnate Ninoshvili's works vividly reflect, with full rigor and intensity, the harsh conditions of ordinary people in one region of Georgia, Guria, which profoundly affected their health and appearance.

This study analyzes Ninoshvili's Autobiography (A Short Diary), the title of which already indicates the author's intent. Specifically, the short diary recounts the early stages of the writer's life, capturing difficult periods marked by poverty, orphanhood, and hardship. Alongside the Autobiography (A Short Diary), Ninoshvili's personal letters are particularly valuable for highlighting certain issues. In this study, we focus on two personal letters, each addressing distinct problems and offering rich insight. These letters were addressed to Iakob Gogebashvili and Giorgi Tsereteli. They complement the material presented in the Autobiography and provide additional information about Ninoshvili's personality, views, and way of life.

The topic is significant because it presents Ninoshvili's perspectives across different areas of reflection. The aim of this research is to reveal the writer's worldview not only from the standpoint of his contemporaries but also from the perspective of today's national and global context, thereby emphasizing the value and significance of the issues reflected in his work.

Keywords: 20th century Georgian literature, Egnate Ninoshvili's „Autobiography“, Egnate Ninoshvili's personal letters.

შესავალი

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ეგნატე ნინოშვილის პუბლიცისტური ნააზრევი ავტობიოგრაფიული დღიურისა და პირადი წერილების მიხედვით ნაკლებადაა შესწავლილი და კვლევის დონეზე გაანალიზებული, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ აღნიშნულის სიღრმისეულად გამოკვლევა, ახლებური ხედვით წაკითხვა იმ პრობლემებისა, რაც მთელი სიმწვავით არის წარმოჩენილი მათში. მწერლის ცხოვრების ირგვლივ არსებული მძიმე რეალობა ისეთ დაფარულ შრეებს მოიცავს, რომელთა გამომზეურების გარეშე ვერ შეიცნობა ის მთავარი არსი, რომელიც კვებას მათში განხორციელებულ მთავარ სათქმელს. ამდენად, ნაშრომის მიზანია ნათლად გამოიკვეთოს პრობლემის არსი და მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც ერთიანი ეროვნული და გლობალური კონტექსტის გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

ნაშრომი აქტუალურია, რადგან მასში გაანალიზებული საკითხები ყველა ეპოქის კუთვნილებას წარმოადგენს.

გურიის საკითხის გააზრება მწერლის შემოქმედების განხილვის საფუძველზე ნათლად ჩანს მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებში, კერძოდ, აღნიშნულს გარკვეული ადგილი ეთმობა ი. სიხარულიძის, გ. გვერდწითელის, ს. ჭილაიას, გ. ქიქოძის, ვ. კოტეტიშვილის, მიხ. ზანდუკელისა და სხვათა შრომებში. აგრეთვე, ახლებური ხედვით

აღსანიშნავია შემდეგი ნაშრომები: ი. ევგენიძე, ლ. მინაშვილი, ქართული ლიტერატურა, II (XIX საუკუნე), 2013; ნ. სეფიაშვილი, ეგნატე ნინოშვილის მსოფლმხედველობა თანადროული ეპოქის კონტექსტში, წიგნში: ქართული ლიტერატურული პროცესის ძირითადი ტენდენციები, 1890-იან -1900-იან წლებში, 2015; რ.მიშველაძე, რჩეული თხზულებანი ოცდაათ ტომად, სახელმძღვანელო წერილები, ტ. XXV, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, 2013;

მეთოდები

კვლევის განხორციელებისთვის ნაშრომში გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა, ისტორიულ-ლიტერატურული, ჰერმენევტიკული და ანალიტიკური კვლევის და შედარებითი ანალიზის მეთოდები, რომელთა მეშვეობით დამუშავდა ეგნატე ნინოშვილის შეხედულებანი გარკვეულ პრობლემებზე დასახელებული დღიურისა და პირადი წერილების მიხედვით, რათა გამოიკვეთოს ნააზრევნი და დასკვნები კვლევის შესახებ. საკითხი გააზრებულ უნდა იქნას ერთიან ეროვნულ ჭრილში თანამედროვე პრობლემების კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ხელს შეუწყობს საკითხის უკეთ წარმოჩენას და შედეგების ჩამოყალიბებას.

მსჯელობა

ქართული მწერლობის მხატვრულ აზროვნებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამორჩეულ შემოქმედს ეგნატე ნინოშვილს (ინგოროყვას), რომელმაც პირუთვნელად, შეუფარავად აუბა ფეხი ეპოქის სულისკვეთებას და საკუთარი, ინდივიდუალურად გამორჩეული, მხატვრული სიტყვით წარმოაჩინა ბევრი საკითხი, რომელიც შეეხება არა მარტო თავის კუთხეს - გურიას, არამედ ზოგადქართულ ეროვნული პრობლემების ჭრილშია გააზრებული. „ეგნატე ნინოშვილმა თვალნათლივ დაანახა ყველას, რომ გურია ერთიანი საქართველოს ორგანული ნაწილი იყო და ამ კუთხეშიც იმ საზოგადოებრივ-სოციალურ ძვრებს ჰქონდა ადგილი, რაც, საზოგადოდ, მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მიმდინარეობდა მთელს ჩვენს ქვეყანაში“ (ნინოშვილი 1988: 5).

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში უმწვავესად არის წარმოჩენილი მძიმე სოციალური ფონი. თავად მწერალიც ამ კუთხის ღვიძლი შვილი იყო. მან საკუთარ სუსტ მხრებზე გადაიტანა საშინელი სიდუხჭირე, სიღატაკე, როგორც თვითონ წერს, „ლუკმა პურისათვის აქეთ-იქით წანწალი“ (იქვე).

რეალისტ მწერალთა მსოფლმხედველობაში აისახა მთავარი მისია - მხატვრული სიტყვით ისე უნდა გამოთქმულიყო სათქმელი, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნისა და ერის გამოფხიზლებას და, წინსვლის თვალსაზრისით, განვითარების სწორ გზაზე დაყენებას. ეს ასეც მოხდა, რასაც ცხადყოფს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის მწერალთა შემოქმედება, სადაც არეკლილია სხვადასხვა მიმართულებით შრეობრივად დალექილი უამრავი საკითხი, რომელსაც სჭირდება განსხვავებული კუთხით დანახვა და გააზრება - განახლებული და ფერცვლილი ცხოვრება ყოველთვის განსხვავებულად და ახლებურად მიდგომას ითხოვს. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავს: „ცხოვრება, რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, იგი

იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა“ (ჭავჭავაძე 1953: 62).

ვ. კოტეტიშვილის შენიშვნით, „...იგი ამ ცხოვრებას ისე კი არ სწერდა, როგორც „ობიექტური“ მხატვარი, არც ისე, რომ ესთეტიკური გართობა ეძებნა, არამედ ამ მკაცრ და უსამართლო ცხოვრების მსხვერპლი, როგორც თვით ზოგანო და მიუსაფარი. ღარიბი გლეხის ოჯახიდან გამოსული, ადრე დაობლებული და სამადლოდ დარჩენილი, სიღარიბის, შრომისა და შიმშილის საზარელ ტევრში გამოვლილი, იგი წერდა საკუთარი ტკივილის ისტორიას. თვით განიცდიდა იმ სისამაგლეს, რომელიც არსებულ წყობილებას „ქვედა“ ფენებისათვის ატმოსფეროდ შეექმნა, და შიმშილის ჩონჩხიც მის ზურგს უკან იყო მუდამ ატუზული, როგორც „მფარველი ანგელოზი“, ამიტომ იყო, რომ კერძო წერილებსაც ასე აწერდა: „საწყალი და უსამართლო დროით დაჩაგრული ეგნატე ინგოროყვა“ (კოტეტიშვილი 1959: 623-624).

ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება-შემოქმედებაში ერთი თვალის გადავლევითაც კარგად იკითხება პიროვნების ტრაგიკული ცხოვრება, კვნესა სინამდვილით გამოწვეული, დიდი სულიერი ტანჯვა, ცხოვრების მუდმივი ბორკილებით გამოწვეული სისხლიანი ნაპრალები სულსა და სხეულზე გაჩენილი... მის მხატვრულ ნააზრევში შეიცნობა მძიმე ისტორია. როგორც ვ. კოტეტიშვილი წერს: „ნათლად ჩანს ის მძიმე გზა, რომელიც ეგნატე ნინოშვილმა გაიარა და ის დიდი ტემპერამენტი, რომელიც მასში ღელავდა. მუდამ მოუსვენარი, იგი ეძიებდა მუდამ ახალს, ამ მიებაში არც იღლებოდა, ანთებული თვალებით უცქეროდა მომავალს და მის მოსაახლოვებლად სწავდა თავის სულს, შემოქმედებას“ (კოტეტიშვილი 1959: 625).

„ეგნატე ნინოშვილის პირად ბიოგრაფიაში აისახა 80-90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობა. შიმშილის შემზარავი აჩრდილი თან სდევდა მას, მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის (35 წლის) მანძილზე, სულ ერთია, სოფლის მასწავლებლად მუშაობდა, თუ ტელეგრაფისტად - რკინიგზაზე, ასოთამწყობად - სტამბაში თუ მუშად ქარხნებსა და ნავსადგურში, კანტორის გამგედ - ზესტაფონსა და გომში, თუ ფილოქსერის საწინააღმდეგო ექსპედიციაში. მან მთელი სიმწვავეთ იგრძნო გარდამავალი ეპოქის წინააღმდეგობანი, „ოქროს კერპის“ გაბატონების შედეგად ძველი პატრიარქალური ტრადიციების უღმობელი რღვევა...“ (ნინოშვილი 1988: 7).

აღსანიშნავია, რომ ეგნატე ნინოშვილის ცხოვრების მთავარი მიზანსწრაფვა სწავლის მიღება, დაუფლება იყო. ეს ჩანს მისი შემოქმედების ყველა ჟანრში. სწავლა, მწერლის შეხედულებით, ქვეყნის წინსვლის საწინდარია, მის (ქვეყნის) სამსახურში ყოფნის გარანტია. „ეგნატეს იზიდავს „ნამდვილი ივერიელის ტიპები“ (მისივე სიტყვებია), რომელთაც, მწერლის რწმენით, ოდესმე თავი უნდა შესწირონ თავისი ქვეყნის სამსახურს. საფრანგეთში, მონპელიეში იმდროინდელი მისწრაფვის, რომ ქვეყანას ემსახუროს. თავის ერთ-ერთ მეგობარს, შეძლებული ოჯახის შვილს, საფრანგეთიდან ბათუმში სწერს, ჩამოვიდეს სასწავლებლად და იმდენი თანხა წამოიღოს,

რამდენიმე ქართველ სტუდენტს რომ ეყოს სწავლის გასაგრძელებლად. თან ასეთ რჩევას აძლევს: ამით ორ კეთილ საქმეს იზამთ: ერთი, თქვენ თავს გაანათლებთ სწავლით და მეორე, საქართველოს სამ ნასწავლ კაცს შესძენთო“ (ნინოშვილი 1988: 8).

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება შერეული ჟანრით არის წარმოდგენილი. მისი მხატვრული ძალა მარტო პროზით კი არ არის ნაჩვენები (ერთი რომანი, 20-მდე მოთხრობა), არამედ პუბლიცისტიკით და პირადი წერილებით, სადაც მკაფიოდ არის გამოკვეთილი მწერლის ნაფიქრ-ნააზრების მთავარი მიზანდასახულობა - თანადროული ეპოქის ტკივილის გამოხატვა. როგორც კვლევებშიც ვეცნობით, „ეგნატე ნინოშვილმა თავისი მწერლური პოზიცია გარკვევით გამოკვეთა წერილებში. მისი აზრით, მწერალი უნდა ცდილობდეს, თავისი ხალხის ჭირისა და ტკივილის, მისი ყოფის ბნელი მხარეებისა და წყლულების განკურნებას: „მოთხრობებში მე ვცდილობ, შეძლებისდაგვარად დავხატო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წყლულები, ხოლო სტატიებით ვებრძვი იმას, რომლებიც ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წყლულის განკურნაზე“ (ნინოშვილი 1988: 9).

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება გამოირჩევა ზედმიწევნითი რეალისტურობით და ობიექტურობით; ჩანს, მას არც აინტერესებს შეალამაზოს ის პრობლემები, რაზეც იგი საუბრობს თავისი შემოქმედების ყოველ ჟანრში, ოღონდ, სულ სხვა სულით, ახლებური ხედვით და განსხვავებული ჭრილით ხედავს ეპოქისეულ საკითხებს, რომლებიც კრიტიკულადაა გადააზრებული და ახალი შეხედულებებით მოწოდებული ყოველი მომდევნო ეპოქის ადამიანისათვის. როგორც სამეცნიერო კვლევებშიც არის აღნიშნული, „ეგნატე ნინოშვილის შემოქმედება თემატურად მრავალფეროვანია. იგი შეეხო საუკუნის დასასრულის ყველა საჭირობო და მტკივნეულ საკითხებს“ (ნინოშვილი 1988: 10).

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში მთელი სიმკაცრით და გულმტკივნეულობით ასახულია საქართველოს ერთ-ერთი კუთხის - გურიის უბრალო ადამიანთა შიმშილით, უკიდურესი სიღარიბით გამოწვეული ტკივილი, უპოვარებით, უსამართლობით აღბეჭდილ ადამიანთა ცხოვრება, რასაც კიდევ უფრო ართულებს მკაცრი გარემო პირობები, ჭუჭყით, ნესტით, უსიცოცხლოდ აღბეჭდილი, რაც მეტად ართულებს მათ ცხოვრებას და აუარესებს ისედაც მძიმე დალდასმულ ჯანმრთელობას, ცხოვრების უნარშეზღუდულად რომ ქცეულან და მათ სახეებზე მხოლოდ ტანჯვას თუ ამოიკითხავს მკითხველი ადამიანი.

ეგნატე ნინოშვილი, როგორც რეალისტი მწერალი, ხვალინდელ დღეს იმედიანად უყურებს, სჯერა, რომ ასეთი დაჩაგრული ადამიანების შვილების, მომავალი თაობის, ცხოვრება უკეთესი იქნება. მოთხრობაში „გოგია უიშვილი“ მეტად შთამბეჭდავია მწერლის შემდეგი სიტყვები, რომლებიც ახმოვანებენ არა მარტო უკეთესი მომავალი ცხოვრების რწმენას, ამავე დროს, ლოცვაა სავედრებელი ღმერთისადმი აღვლენილი, სათხოვარი ბედკრულ ადამიანთა შესაწევარი: „ვუნატროთ, რომ მამის ბედი ამოვრბდეს და უკეთესად წასულიყოს მისი ცხოვრება“ (ნინოშვილი 1988: 12).

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში ფართო სპექტრით არის წარმოდგენილი პერსონაჟთა ფსიქოლოგიური შრეები, სადაც კარგად ჩანს მათი ხასიათები, სურვილები, მისწრაფებები, ბრძოლის პათოსი, რომელიც ხშირად ითრგუნება გარეშე მოწინააღმდეგე ძალების წინაშე, მაგრამ ამ დაპირისპირებაში უკეთ იკვეთება ხალხის, უმრავლესი მასის, სულისკვეთება, რომ, მიუხედავად დაჩაგრისა, ბედს მაინც, ხშირ შემთხვევაში, არ შეეგუება, სიცოცხლის გაწირვის ფასადაც კი, უკეთესი მომავლის დამკვიდრებისათვის. ამავე დროს, „ეგნატე ნინოშვილი საოცარი სარკაზმით გვიხატავს სოფლის მოხელეთა ავკაცობას..., სადაც გურიის ყოფა, ხალხის ცხოვრების უმძიმესი სურათები მასშტაბური, გროტესკული სახეებით უფრო გამძაფრებულად წარმოგვიდგინა, რათა მათ ფონზე კიდევ უფრო მტკივნეულად გამოეკვეთა საერთოდ ორი საპირისპირო ძალის ზნეობრივ-ეთიკური პრინციპების სხვადასხვაობაც... ნასისხლარ ტუჩებს რომ უხედავდე, ისე ხეირიანად იწმენდს სისხლს მექრთამე, რომ მერე, რა გინდა ეცადო, ვერას უზამ და პასუხს ვერ აგებინებ... ამ უჭკუობის დროს ერთი ფასი დაედო გაიძვერობას, მატყუარობასა და ღალატს და კეთილ კაცობას, პატიოსნებას და ქველობას: ერთს მეორისაგან გამრჩევი არავინა ჰყავს“ (ნინოშვილი 1988: 13).

ეგნატე ნინოშვილის ამ საუბარში მთელი მისი დროის ეპოქის სურათი იხატება, კერძოდ, იმ ღირებულებების დეგრადაცია, რომელიც აფუჭებს ქვეყანას და არაფერს ფასი რომ არ გააჩნია... მათ შორის სასულიერო პირთა (მაგალითად, მღვდლის სახე „მოსე მწერალში“), რომელნიც, უბრალო ადამიანთა მომსახურების ნაცვლად, მათ გაწირვასაც არ ერიდებიან.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში მტკივნეულ ადგილს იჭერს აღნიშნული ეპოქის მნიშვნელოვანი პრობლემა - განათლების საკითხი, ქალის, ოჯახის პრობლემა... მწერალმა „შესანიშნავად იცის, რომ გლეხკაცის ბედს განსაზღვრავს არა მხოლოდ სოციალური მოვლენები, არამედ მისი შინაგანი ფიზიკური სამყაროც. გლეხი ტრადიციებისა და ცრურწმენების ტყვეობაშია. გაუნათლებელმა, კულტურის დაბალ დონეზე მდგომმა, შეიძლება, თავისდაუნებურადაც, ჩაიდინოს დანაშაული“ (ნინოშვილი 1988: 15).

ეგნატე ნინოშვილის „ავტობიოგრაფია“ (მოკლე დღიური)¹ - სათაურიდანვე ჩანს სათქმელი, მასში გადმოცემულია მწერლის დასაწყისი ცხოვრების საფეხურები, რომელზეც აღბეჭდილია მძიმე ეტაპები: გაჭირვების, ობლობისა და დუხჭირი ცხოვრებისა; ნაჩვენებია, როგორ დაიწყო სწავლა, ვისი დახმარებით და როგორი ეკალ-ვარდით იყო მოფენილი მისი არსებობა. მას სწავლა დაუწყია შვიდი-რვა წლის ასაკში მამიდის ხელმძღვანელობით, „ან“ „ბან“-ის კითხვა დაუწყია „კარანდაშით

¹ აღნიშნული თხზულების განმარტებანში ვკითხულობთ: „ავტობიოგრაფია“, მოკლე დღიური - მისი ავტობიოგრაფია არ არის ცნობილი. 1895 წელს „კვალის“ რედაქციამ გამოსცა „ორი მოთხრობა ეგნატე ნინოშვილისა, რომელსაც დართული ჰქონდა გიორგი წერეთლის მიერ შედგენილი ეგნატე ნინოშვილის ბიოგრაფია. - ამ ბიოგრაფიაში ჩართული იყო „მოკლე დღიური“. შემდეგ 1901 წელს „კვალში“ დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი, რომელშიც ვრცლად არის მოტანილი ადგილები ეგნატე ნინოშვილის მოკლე დღიურიდან, ჩვენს გამოცემაში გამოყენებულია „კვალში“ დაბეჭდილი ტექსტი“ (ნინოშვილი 1988: 227).

დაწერილ ნაგლეჯ ქაღალდზე“ (ნინოშვილი 1988: 23). მწერლის თქმით, ეს ანბანი, მამის თხოვნით, ვინმე აზნაურიშვილს დაუწერია. ეს შენიშვნა მწერლისა იმაზეც მეტყველებს, რომ ღარიბი, უქონელი ადამიანებისათვის თავისუფლად ქართული ანბანიც კი ხელმიუწვდომელია, სწავლის დიდი სურვილისა და ნიჭის მიუხედავად... ეს ტრაგიკული ფონი ამ ეპოქის საქართველოს მტკივნეულ აღქმას იწვევს და თანამონაწილე ხდები მათი მძიმე ცხოვრებისა, რომელიც უთუოდ თანადგომასა და შემწეობას ითხოვს.

სწავლის საკითხთან დაკავშირებით მწერალი იმასაც აღნიშნავს, თუ როგორი იყო სწავლის პროცესი: „ამ კარანდაშით დაწერილ 34 ასოს გარდა, სხვა დაწერილზე დახედვა, აგრეთვე წერის დაწყება აკრძალული მეონდა, რადგან, მამიდას ფიქრით, სწავლაზე ხელს შემიშლიდა“ (ნინოშვილი 1988: 23). სწავლის პროცესში, ანბანის შესწავლისას, მამიდა ეგნატეს წყალში ჩააყოფინებდა ფეხს და ისე ასწავლიდა. აღნიშნული საინტერესო შტრიხია - წყალი, ერთი მხრივ, სიწმინდის, მეორე მხრივ, განწმენდის, სიცოცხლის ძალის მიმნიჭებელი სიმბოლოა.

ანბანის შესწავლის შემდეგ, როგორც მწერალი აღნიშნავს, წაიყვანეს ერთი აზნაურის ოჯახში, მღვდელთან, რომელმაც თურმე თვითონ არ იცოდა მხედრული წერა-კითხვა და ვითომ პატარა ეგნატეს ასწავლიდა... ეს მხატვრული სახეა მაშინდელი ეპოქის ვაი-ცოდნისა და ვაი-განათლებისა... სწავლის სანაცვლოდ კი ეგნატეს მრავალრიცხოვან ოჯახში ბევრს ამუშავებდნენ და ოჯახის მთელ საქმეს მას აკეთებინებდნენ... შემდეგ წაიყვანეს ფოთში მღვდლის ძმისწულთან, რომელსაც ხის ვაჭრობა ჰქონდა. ამ პერიოდში კი ეგნატე სრულად დაშორდა სწავლას და ცოდნის დაუფლებას. ამ მძიმე პირობებს ბიძამ მოაშორა, წამოიყვანა სახლში და, მწერლის თქმით, „მიმცა სოფლის სასწავლებელში“ (ნინოშვილი 1988: 23).

მწერალი სწავლის პრობლემასთან განუშორებელ მძიმე სოციალურ ფონსაც ასახავს. სწავლასთან ერთად იგი პირუტყვის მწყემსის ფუნქციასაც ასრულებს. სწავლა ხან ერთ სოფელში იყო, ხან - მეორეში, თუმცა, მისივე თქმით, „მასწავლებლები ამ სკოლებისა არცერთი არ იყო სახიერო...“ სოფლის სკოლის შემდეგ ეგნატე შედის ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში... მწერალი აღწერს სწავლის ეტაპებს, როგორი გზა უნდა გაეგლო იმისათვის, კლასიდან კლასში რომ გადასულიყო... „მაგრამ, მწერლის აღნიშვნით, მე-4 კლასში იძულებული გახდა გამოსულიყო სასწავლებლიდან...“ (ნინოშვილი 1988: 24), ამას აიძულებდა ყოველდღიური ლუკმა პურის საძიებელ გზაზე გასვლა, რაც ურთულესი სოციალური პრობლემის ამსახველია...

მიუხედავად სწავლის შეწყვეტისა, ეგნატე ნინოშვილი დამოუკიდებლად სწავლობს გაკვეთილებს, მასწავლებლის გარეშე, შემდეგ მიდის ქუთაისში, „დაიჭირა ეგზამენი „სახალხო სკოლის მასწავლებლობის“ მისაღებად და შემდეგ ისევ ბრუნდება სოფლის „ჩოჩხათის საზოგადოებრიობაში“ მასწავლებლად; სახსარი რომ ვერ მოუპოვა მასწავლებლობამ მწერალს, სამუშაოდ მიდის ბათუმის რკინიგზაზე, მიზანი იყო შემდეგი: „მინდოდა ფული შემეგროვებინა და ხელახლა სწავლას შევდგომოდი“, - წერს მწერალი (ნინოშვილი 1988: 24). ბათუმში ასევე მუშაობდა ტელეგრაფისტად, მაგრამ ვალი ასწრებდა და ფული აღარ რჩებოდა; ამის შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისში „არსენ

კალანდაძის ტიპოგრაფიაში „ნაბორშიკად“, მაგრამ კალანდაძის მცირე შემოსავლის გამო, მხოლოდ 7 კაპიკს უხდიდნენ, - იქვე აღნიშნავს მწერალი. ამ სამუშაოებს შედეგი რომ არ ჰქონდა, ერთხანს იმყოფება სახლში, მაგრამ სწავლას მოწყურებული ეგნატე ნინოშვილი განიცდის ჟურნალ-გაზეთების უქონლობას, იწყებს სოფლის მწერლად მოღვაწეობას;

სწავლის გასაგრძელებლად მიდის საფრანგეთში, მაგრამ უსახსრობის გამო რამდენიმე თვის შემდეგ ისევ სამშობლოში ბრუნდება; ჩადის ისევ ბათუმში სამუშაოდ, მუშაობს სხვადასხვა შავ, ფიზიკურად მძიმე სამუშაოზე, რაც ეგნატეს ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა: „1889 წელს ბათუმში ზამთარი მეტათ ცუდი, ქარიან-წვიმიანი იყო; მე დაცვეთილი საზაფხულო ტანსაცმელი მქონდა. უნდა ავმდგარიყავი დღის 4 საათზე, ამ საშინელ დარში უნდა გამეცლო კარგა დიდი მანძილი და მივსულიყავი ზავოდში. ხან ზავოდის კარი დაკეტილი დამხვდებოდა და უნდა მეცადნა გარეთ... მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე დავლუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით. ამ დროიდან მოწყებული შემეჩვია ავადმყოფობა და მას შემდეგ იშვიათათ ვყოფილვარ კარგათ, თუმცა წინეთ იშვიათათ ვიცოდი ავადმყოფობა“ (ნინოშვილი 1988: 25).

ამჯერად ჩვენ კვლევაში არ შემოდის, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ ეგნატე ნინოშვილმა სწავლის საკითხზე თავისი მკაფიო შეხედულებანი გამოამჟღავნა წერილში „ძველი დავა ახალ ქერქში“, სადაც ყურადღებას ამახვილებს ძველი და ახალი თაობის მოსაზრებებს სწავლა-მეცნიერების პრობლემებზე და გამოკვეთს ორივე თაობის კარგ და ნაკლოვან მხარეებს, მსჯელობს იმ ზნეობრივ და ჰუმანურ პრინციპებზე, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ორივე თაობის წარმომადგენელი ერის განსწავლის საქმეში სამომავლოდ. მწერლის ნააზრევია ამ თვალსაზრისით დღესაც აქტუალური და გასათვალისწინებელია.

მძიმე მატერიალური, დუხჭირი ცხოვრების გამო ეგნატე ნინოშვილი იძულებულია ბევრი იაროს საქართველოს სხვადასხვა მხარეში, ეძებოს სამუშაო და თავი გაიტანოს, იგი ხან ბათუმშია, ხან - ზესტაფონში... მაგრამ, საბოლოოდ, მამიდის გარდაცვალების გამო 1892 წლიდან თბილისშია...

აღნიშნული ზემოხსენებული ბოლო ამბების თხრობით, რომელიც 1892 წლით თარიღდება, ამთავრებს საკუთარი დუხჭირი ცხოვრების, ლუკმა-პურის მაძიებელი მწერალი თავის ავტობიოგრაფიას, სადაც აღბეჭდილია ნათელი სურათი მისი მძიმე მოუსვენარი ცხოვრების შესახებ, რომელიც მშვიერ მწერალს მუდამ ფხიზელ მდგომარეობაში ამყოფებდა და ეკლით მოფენილ გზაზე ამოგზავრებდა.

ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში „ავტობიოგრაფიასთან“ (მოკლე დღიური) ერთად, გარკვეული პრობლემების გამოკვეთის თვალსაზრისით, ძალიან ღირებულია მისი პირადი წერილები (დასახელებული გამოცემის მიხედვით, 1988: 205-219, ათი პირადი წერილი). მათგან ამჯერად ჩვენ გამოვყავით ორი პირადი წერილი, რომლებიც გამოირჩევა განსხვავებული პრობლემეტიკით და ძალზედ მრავლისმთქმელია. ეს ორი წერილი მიწერილია იაკობ გოგებაშვილისა და გიორგი წერეთლისადმი, რომელთა სათქმელ ავსებს „ავტობიოგრაფიაში“ გადმოცემულ ეგნატე ნინოშვილის ცხოვრების მძიმე გზას და დამატებით ინფორმაციას იძლევა მისი

პიროვნების, მძიმე აუტანელი არსებობის, მაგრამ გაუტეხელი ნების, გარშემომყოფი ადამიანების ღირსებისა და საკუთარი სურვილებისა თუ მიზნების აღსრულებისათვის მოუდრეკელი ადამიანის თვისებებს.

პირად წერილში „იაკობ გოგებაშვილს“ (დაწერილია 1894 წელს) ეგნატე ნინოშვილი იმ ფულადი დახმარების შესახებ იწყებს საუბარს, რომელიც დიდმა პედაგოგმა გაუწია - 5 თუმანი ფულით დახმარებაზე. წერილში სახსარს მოკლებული მწერალი მადლობას უძღვნის მეგობრული, თანაგრძნობით სავსე წერილისათვის, რომელიც ფულად დახმარებასთან ერთად გაუგზავნა იაკობ გოგებაშვილმა. ეგნატე ნინოშვილი წუხს და ბოდიშს უხდის იმისათვის, რომ ვერ ინახულა და გაიცნო პირადად დიდი პედაგოგი... მწერლის აზრით, ეს უდიდესი ვალი მისი პირადი გაცნობისა ვერ აღასრულა და თავს დამნაშავედ მიიჩნევს: „...ოღონდ პირადად გაცნობაზე ვჩივი, თორემ ისე კი, ვინ იქნება დღეს წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ კი ვერ გიცნობდეს! განა ყველანი თქვენგან შედგენილ ქართულ სახელმძღვანელოებზე არ აღვიზარდეთ? თქვენგან შედგენილ სახელმძღვანელოებში ვისწავლეთ ქართული წერა-კითხვა, თქვენ შეგვაყვარეთ სამშობლო და მისი ენა...“ (ნინოშვილი 1988: 216).

ეგნატე ნინოშვილი მადლობას უძღვნის იაკობ გოგებაშვილს ფულადი შემწეობისათვის და თხოვს შემდეგში უკან დაუბრუნოს, გადაუხადოს აღნიშნული ვალი... დასახელებულ წერილში შიშით და სინანულით გამოხატავს საფიქრალს, ვაითუ ვერ შეძლოს სამაგიერო სამადლობელის გადახდა ფულადი საშუალებით, ანდა ფიქრობს, იქნებ ნაწერებით შეძლოს გაწეული დანახარჯის ანაზღაურება, მაგრამ ამასაც ეჭვის თვალით უყურებს და საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებს აუბრალოებს და თავს იმდაბლებს ეკონომიკურად გატანჯული მწერალი, რომელსაც ედარდება სხვის მიერ გაწეული შემწეობის თაობაზე რეაგირების უქონლობა... „ახლა რომ მოგვკდე, რა დარჩება საზოგადოებას ჩემგან? რამდენიმე პატარ-პატარა მოთხრობები! ეს არ არის საკმარისი. მე ისიც მეყოფა ჯილდოთ, თუკი ჩემი ნაწერების კითხვამ ქართველ საზოგადოებას მოუტანა ცოტაოდენი მაინც ჭეშმარიტი სიამოვნება. მე დაჯილდოებულად ვსთვლი თავისთავს, როცა თქვენისთანა ღირსეული პირი მეუბნება: შენი ნაწერების წაკითხვით ვისიამოვნეო. როგორ ღმერთი გამიწყრება, რომ თითოეული პირისაგან კიდე ამისთვის ფული ავიღო! განა არ კმარა ისიც, რომ საზოგადოებას ჩამოვეკიდე სარჩენად! ჩემი მოთხრობების გამოცემისათვის თქვენისთანა მზრუნველს მე ვიღას ვიპოვნი. მე ამაზე ფიქრსაც ვერ გავხედავდი, რომ თქვენ არ გებრძანებიათ [...]“ (ნინოშვილი 1988: 217).

აღნიშნულ წერილში ეგნატე ნინოშვილი თავისი ავადმყოფობის თაობაზეც საუბრობს, თან უფროთხილდება იაკობ გოგებაშვილის პიროვნებას, ზედმეტად არ შეაწუხოს, ბევრს არაფერს ამბობს თავისი ავადმყოფობის შესახებ, მხოლოდ მოკრძალებულად მცირედ აღნიშნავს: „...ჩემი ავადმყოფობა დაიწყო ორი მიზეზის გამო: ერთი - ხშირად ცუდ გარემოებაში ვცხოვრობდი, მეორე - გაუფრთხილებლად და დაუზოგავად ვეპყრობოდი თავისთავს. მტერსაც კი არ მოეპყრობა კაცი ისე უდიერად, როგორც მეჩემს ჯანს ვეპყრობოდი. ამასთან კიდე დაბადებიდანვე ჯანსუსტი ვიყავი. დედის კი არა მახსოვს რა... ახლა ჩემი საქმე ასე არის: მახველებს

ძლიერ ბევრს, ხანდახან სისხლიანსაც [...]... მწერალი უიმედოდ არის განწყობილი თავის მომავალზე, მიაჩნია, რომ დიდხანს ვეღარ იცოცხლებს: „... ჩემი ფიქრით, ბევრი-ბევრი აწი ვიცოცხლო ორი-სამი წელიწადი, მაგრამ იქნება სიცოცხლეში ტანჯვა ცოტათი მაინც შემიმსუბუქდეს და ეს არის მიზეზი, რომ ხან სოფელს ვირჩევ საცხოვრებლად, ხან აბასტუმანს და ხან სხვას“ (ნინოშვილი 1988: 217).

ეგნატე ნინოშვილი წერილის დასასრულს იმასაც აღნიშნავს, რომ: „მე არ შემიძლია ვუთხრა საზოგადოებას - შენს სამსახურში დაავადმყოფდი-მეთქინ. არა, წერის დაწყებამდე ჩემი ჯანი სრულიად გატეხილი იყო, არც ბევრი მიწერია: ოთხი წელიწადია აგერ, რაც ვწერ და ერთ მოზრდილ წიგნს კიდევ ვერ შეადგენს ჩემი ნაწერები“ (ნინოშვილი 1988: 218).

მეორე პირადი წერილი „გიორგი წერეთელს“ (დაწერილია 1894 წელს) - სიცოცხლით გატანჯული ეგნატე ნინოშვილი სხვისი საქმიანობისათვის ფიქრსა და ზრუნვასაც გამოხატავს, უხარია, რომ რადგან აკაკი წერეთელი თანამშრომლობს ჟურნალ „კვალში“, ჟურნალის საზოგადოებას ბევრი ხალხი მიემატება. „ჩემი სტატია, იქვე არ არის, აღარ დაიბეჭდება. თუ არ შეგაწუხებთ ამით, კარგი იქნება, რომ იმ სტატიას მიმიბრუნებდეთ“. წერილში გიორგი წერეთელს თხოვს სათხოვარის აღსრულებას - აცნობოს, რა მდგომარეობაშია ანგარიში „კვალის“ რედაქციასა და მას შორის: „მინდა გავიგო, რას შეადგენს ერთი მხრივ ჩემ მიერ ვალად წამოღებული ფული და მეორე მხრივ ამ ვალის ანგარიშში დაბეჭდილი მოთხრობები... მართალია, წამოღებული ფულის ანგარიში მეც მიწერია, მაგრამ მოთხრობების ანგარიში რამდენს შეადგენს, ეს კი აღარ ვიცი, რაც ვალად ფულის წამოღება დავიწყე. მას შემდეგ დაბეჭდილია ორი მოთხრობა: ერთი გასულ წელში, „განკარგულება“ (№№ 43, 44) და მეორე, ის იყო, წრეულს დაიბეჭდა, - „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. მწერალი იქვე შენიშნავს, რომ, „როგორც ეტყობა, „კვალის“ მეათე ნომერს, ამ ჟამად მასალა ძლიერ ბევრი გაქვთ და ამიტომ აღარ ავჩქარდები ჩემ მხრივაც გამოვგზავნო რამე. როცა საჭირო გახდება, დიდი სიამოვნებით მოვაწვდენ მოთხრობებს და სტატიებს“ (ნინოშვილი 1988: 218).

ზემოთ განხილულ პირად წერილებში ნათლად იკვეთება ცხოვრებით გატანჯული მწერლის შეუდრეკელი, თავდადებული, მოუღლეელი ადამიანის სული, რომელიც სავსეა მიზანდასახულობით, მოყვასის სიყვარულით და სხვისადმი პატივისცემით არის გაჟღენთილი, უსახსრობით ჯანგატეხილი შემოქმედი მუდამ ზრუნავს ერსა და ქვეყანას თავისი ნააზრევით შესძინოს, იქნებ რაიმე შემატოს და საკუთარი წვლილი შეიტანოს მოყვასის არსებობაში. მან იცის, რომ დიდხანს სიცოცხლე არ უწერია, მაგრამ სიცოცხლეს უხანგრძლივებს საკუთარი ნააზრევი, სადაც აღბეჭდილია ერისა და ქვეყნის სატკივარი, რომელიც უკეთესი მომავალი ცხოვრების დასახვისკენაა მიმართული. ეს საზრდო მისთვის უპირველესია და სიცოცხლის ბოლო წუთამდე სწორედ ამ რწმენით არსებობდა.

ალ. მიქაბერიძის მოგონებაში „პატარა ეპიზოდი ეგნატე ნინოშვილის ცხოვრებიდან“ კიდევ სხვა კუთხით ცხადდება ეგნატე ნინოშვილის, როგორც პიროვნების და როგორც შემოქმედი მწერლის, ხასიათი, მიზანსწრაფვები და შეხედულებები... ეგნატე ნინოშვილის საუბრიდან ქართული მწერლობის შესახებ აგრეთვე თვალსაჩინოდება მწერლის

დამოკიდებულება ობიექტური სინამდვილისადმი. იგი ხშირად საუბრობდა თავისი დროის ქართველი მწერლების, მათი ავ-კარგიანობის შესახებ. აღნიშნულ მოგონებაში ვკითხულობთ: „ნინოშვილი მკვეთრად და სრულიად გულახდილად ამხელდა თითოეული მწერლის ნაკლს და სრულიად მოურიდებლად აკრიტიკებდა ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს და საერთო მიმართულებას“ (ნინოშვილი 1988: 222).

დასახელებულ მოგონებაში აგრეთვე ვეცნობით ეგნატე ნინოშვილის შეხედულებას ქართული მწერლობის, მისი როლის, მისიისა და დანიშნულების თაობაზე: „ქართული მწერლობა ვერ ასრულებს ამჟამად თავის მაღალ დანიშნულებას. მწერლობა უნდა ასახავდეს ცხოვრების სინამდვილეს. მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელი მასის დაბეჩავებულ მდგომარეობის სინამდვილით აღწერას და გაშუქებას. თუ თქვენ ირგვლივ მიიხედ-მოიხედავთ, ნათლად დარწმუნდებით, თუ როგორ სულიერ ტანჯვას, როგორ სასოწარკვეთილებას განიცდის ეს ჩვენი მშრომელი მასა უსირცხვილო და აღვირაზსნილი უწინდელი ხელისუფლების წყალობით! ვინ გინდა, რომ გადატაკების გზაზე დამდგარ ამ მასას არ სჩაგრავდეს, აბუჩად არ იგდებდეს... დღევანდელი მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი სრული გადატაკების, გადაშენების გზას დაადგება... ამ დუხჭირი ცხოვრების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ჩვენი მშრომელი მასები ავამოძრაოთ და მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დავრახმოთ. შემდეგ კი ეს მჭიდროდ დარაზმული ხალხი თვითონვე გაიკვლევს სწორსა და სამართლიან გზას და თავის მომავალ ბედს თვითონვე გამოსჭედს...“ (ნინოშვილი 1988: 222).

ესმა თოთიბაძის მოგონებაში (ოზურგეთში ეგნატე ნინოშვილი სიმონ თოთიბაძის ოჯახში ცხოვრობს, მაგრამ უსახსრობის გამო ოჯახი გასამრჯელოს არ ახდევინებდა) ვეცნობით ეგნატე ნინოშვილის უკიდურეს სიღარიბეს და გაჭირვებით მეტად დაღდასმული მწერლის პორტრეტს, რომლის მდიდარი სული მატერიალურ სიმწირეს არეკლავს: „ეგნატე იქნებოდა ჩვიდმეტ წლამდე. სუსტი, მომალლო ტანის, ძაან ხმელი, ბეჭები მოხრილი და ვიწრო და გრძელ პირისა... ქონდა ერთი პალტო ვინცხვის ნაქონი, ძაან გახუნებული და იმით იყო სულ ტანისამოსს შინაურები ვეფერს უკერვიდა. ბევლებს აძლევდნენ ხან ჩვენები და ხან მანასესანი. არც ფეხსაცმელი ქონდა. ერთი წვევიდა შინ და შინაურებს ქალამანი შიუკერენ მისდა. ზამთარში ფეხშიშველი ჩამევიდა და იგი ხელით ჩამეიტანა“ (ნინოშვილი 1988: 225).

ესმა თოთიბაძე თავის მოგონებაში გვაწვდის ეგნატე ნინოშვილის დამოკიდებულებას წიგნის მიმართ, იგი თურმე ყოველ მომენტში - ჰამდა თუ იბანდა, რეცხავდა თუ ა. შ. წიგნს კითხულობდა... თუ რამეს შეჭამდა, თუ არა და იყო სულ მშვიერი. მიუხედავად ამისა, სულ კითხულობდა და კითხულობდა. არ იქნებოდა მისი ტყვილი გაჩერება. სულ წიგნზე იყო მიციცქინებული“. იქვე ამავე მოგონებაში ვეცნობით: „სამკითხველო არ იყო მაშვინ, მარა სულ სხვა და სხვაი წიგნები მოქონდა და კითხულობდა. საცხებიდან ყოველთვის შეიტანდა წიგნს. წიგნსავით ეგნატეს არაფერი არ უყვარდა, იშვიათად დეინახავდი გაცილებულს და ან გათამაშებულს... დროს არ დაკარგავდა, მგონი წიგნზე ქონდა ჭიპი მოჭრილი. ჩვენსას

მევიდოდა და სიმინდის ფშვნაზე რომ მოგვეხმარებოდა, წიგნს ჯორჯოზე მიაყუდებდა გადაშლილს, და თვალთ იმას უყურებდა. ღამე შუალამედე კითხულობდა, დღეი შეამზადებდა ფიჩხებს და იმით ინათებდა სინათლეს... ყველას ეძინა და იგი კითხულობდა, რა ქონდა საწყალს! იყო მშვიერი, მწყურვალე, ჩაუცმელ-დოუხურავი, გაყინული სიცივით, უსინათლოთ და მარტუე მიგდებული, მარა მაინც კითხულობდა და კითხულობდა... ყანაში კი იშონიდა საჭმელს თუ მოეხმარებოდა ვინმეს, მარა მაინც სიმშვილი ერჩია - ოღონდ წიგნი ეკითხა... რომ ჩამევიდოდა ოზურგეთს, ყოველთვის მევიდოდა ჩვენთან. დასაქცევი დრო იყო და ქვე დეიქცა, თვარა რას უჩიოდნენ საწყალ ეგნატეს, სიმწრით სული მიქონდა, სტავლობდა და იგიც არ დაანებეს“ (ნინოშვილი 1988: 225-226).

როგორც ვ. კოტეტიშვილი გვამცნობს, „ეგნატე ნინოშვილის ერთ-ერთი გამოცემის ყდაზე დახატულია ეკლის გვირგვინ შემოვლებული გული, რომელსაც სისხლის ცრემლები ჩამოსდის. მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება ეს სიმბოლო შაბლონური იყოს, მაგრამ საგნობრივად, საუკეთესოდ ახასიათებს ჩვენი ბელეტრისტის შემოქმედების ბუნებას... მისივე აღნიშვნით, ალ. ყაზბეგის შემდეგ, ასეთი ავადმყოფური ტკივილებით, ასეთი კვნესით, ჩვენში არავის უწერია. პირდაპირ მნელდება მისი მოხსენების კითხვა, ისეთი მძიმე და საზარელია ის სინამდვილე, რომელიც ეგნატე ნინოშვილმა გადაგვიშალა...“ (კოტეტიშვილი 1959: 623).

დასკვნა

ეგნატე ნინოშვილის მხატვრულ-პუბლიცისტური ნააზრევი მთელი სიღრმისეულობით არეკლავს თანადროული ეპოქის იმ სულისკვეთებას, რომელიც ყოველ ეპოქაში მეტ-ნაკლები სიღრმით აქტუალურია და იძლევა იმის იმედიან შესაძლებლობას, რომ მოწესრიგდეს ცხოვრება და ადამიანის უკეთესი მომავალი იქნეს დასახული. მის ნააზრევში ასახული ტრაგიკული ფონი ამ ეპოქის საქართველოს მტკივნეულ აღქმას იწვევს და თანამონაწილე ხდები იმ მძიმე ცხოვრებისა, რომელიც უთუოდ თანადგომასა და შემწეობას ითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

კოტეტიშვილი 1959 – ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია (XIX ს.). თბილისი, 1959.

ნინოშვილი 1988 – ე. ნინოშვილი, თხზულებანი. თბილისი, 1988.

ჭავჭავაძე 1953 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. თბილისი, 1953.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9378>

**გურიის როლი
ქართველი ხალხის თავისუფლებისა
და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში,
1924 წლის ქრონოზულ აჯანყებასა და
1953 წლამდე ბრძოლებში**

**The role of Guria
in the struggle for freedom and i
ndependence of the Georgian people,
the national uprising of 1924 and
subsequent struggles until 1953**

ტიერი ბერიშვილი

ქართველ ხალხთან მეგობრობის ფრანგული კულტურული
ასოციაცია „გაუმარჯოს საქართველოს“,
ლევინის ისტორიული და კულტურული
ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრი
საფრანგეთი, პარიზი

Thierry Berichvili

Président de l'association française culturelle & d'amitié
avec le peuple géorgien „Gaoumardjos Sakartvelos“
Directeur-adjoint du Centre Historique et
Culturel Franco-Géorgien de la Première République de Leuville
France, Paris

აბსტრაქტი

საქართველოში, ისევე როგორც მთელ რიგ ქვეყნებში და მსოფლიოს მრავალი ისტორიკოსისთვის, ერის ისტორიის ძირითადი ეტაპების აღწერა „დიდი მოღვაწეების“ წარმოჩენით ხასიათდება, რაც ძალიან ხშირად გამოიხატება „დიდი მოღვაწეების“, „ქვეყნის მხსნელებად“ ჩვენებით; ხოლო ისტორია მხოლოდ ბიოგრაფიების პრეზენტაციად იქცევა, კონკრეტული სიტუაციების ისტორიული, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. ანალიზის გარეშე. საქართველოში კონკრეტულ საკითხებზე საუბრისას ყველაზე ხშირად ახსენებენ ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, თამარ მეფეს, ერეკლე II-ს, ილია ჭავჭავაძეს, ზოგჯერ - აკაკი წერეთელს, ექვთიმე თაყაიშვილს. მათი ნაწილი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად აქცია.

ისტორიული კონცეფციის ამგვარი ხედვა, ჩემი აზრით, მოძველებული და საშიშია, რადგან ის ამახინჯებს რთულ და მუდმივად ცვალებად ისტორიულ ფენომენს.

წარმოდგენილი საკითხი საშუალებას მომცემს აგისხნათ, რატომ შეძლო გურიის რეგიონმა თავისი მაცხოვრებლებით კონკრეტული და მნიშვნელოვანი როლის შესრულება ჩვენი ერის, საქართველოს ისტორიაში. ვეცდები, გამოვიყენო მატერიალისტური მეთოდი, რომელიც ეფუძნება ფაქტებს, ფაქტების შესწავლას სხვადასხვა ჭრილში და არა იდეოლოგიურ ცრურწმენებს.

გურულები უფრო ჭკვიანები არიან? საქართველოს საუკეთესო მოქალაქეები არიან? არა! მათ აქვთ „ქართული ინტელექტი“, ქართული მგრძნობელობა, სიყვარული სამშობლოსა და რეგიონის მიმართ, როგორც ყველა ქართველს, მაგრამ ობიექტურმა, მატერიალურმა, გეოგრაფიულმა, ტრადიციულმა და ისტორიულმა გარემოებებმა აიძულეს ისინი შეესრულებინათ თავიანთი როლი ჩვენი ერისა და საქართველოს დიდ ისტორიაში.

საკვანძო სიტყვები: გურიის როლი XX საუკუნის ისტორიულ მოვლენებში, 1924 წლის აჯანყება, კოლექტივიზაცია.

ABSTRACT

In Georgia, as in many countries and for numerous historians worldwide, the description of a nation's key historical stages is often dominated by the presentation of „great figures“, who are frequently portrayed as the „saviors“ of the country. Consequently, history is reduced to biographical accounts without analysis of the historical, economic, social, or other specific contexts. In Georgia, discussions of particular issues most often mention Vakhtang Gorgasali, David the Builder, Queen Tamar, Erekle II, Ilia Chavchavadze, and sometimes Akaki Tsereteli or Ekvtime Takaishvili. Some of these figures have even been canonized by the Georgian Church.

In my view, such a historical perspective is outdated and potentially dangerous, as it distorts a complex and constantly evolving historical phenomenon.

The present study allows me to explain why the Guria region, through its inhabitants, played a concrete and significant role in the history of the Georgian nation. I aim to employ a materialist methodology, based on facts and their study from multiple perspectives, rather than on ideological misconceptions.

Are the people of Guria inherently more intelligent? Are they Georgia's best citizens? No. They possess the „Georgian intellect“, a Georgian sensibility, and love for their homeland and region, as all Georgians do. However, objective, material, geographical, traditional, and historical circumstances compelled them to perform their role in the history of the Georgian nation and the broader history of Georgia.

Keywords: The role of Guria in the historical events of the 20th century, the 1924 uprising; collectivization

Le contexte historique

La Gourie est entre 2 régions historiquement berceau de la civilisation géorgienne, le Tao-Klardjeti et l'Imérétie (l'ancienne Colchide)

Lors des invasions turques, même si la Gourie perd ses territoires du Sud (l'Adjarie), les milices paysannes se défendent les armes à la main. La géographie se prête très bien aux combats des partisans.



Milices paysannes de Gourie – Collection Thierry Berichvili

Les paysans Gouriens, ayant peu de terre à cultiver, sont obligés, pour vivre, de travailler dans les centres industriels comme Batoum, Poti, Koutaïssi et Tchiatoura.

Les paysans Gouriens sont très éduqués, par rapport aux autres régions paysannes de l'Empire. Il y a, en Gourie, un degré élevé d'alphabétisation et un grand nombre d'écoles.

Au début du XXe siècle, on dénombre soixante-trois écoles de tous types avec 2 833 élèves.

La ville Ozurgeti a quatre écoles, dont une pour les filles, avec 681 élèves pour l'ensemble.

Comparée à d'autres régions, la Goubernia de Koutaïssi, et la région d'Ozurgeti, a un élève pour 19,6 habitants, c'est la moyenne la plus élevée, celle de Zougdid, 1 élève pour 39.6 habitants et dans la région de Batoumi, la pire des situations, 1 élève pour 153 habitants¹.

Il y a un grand nombre de bibliothèques en Gourie et les autorités tsaristes les ferment, pour punir la population lorsqu'elle se révolte.

Les paysans Gouriens pendant cette fin du XIXe et début du XXe sont confrontés à 2 phénomènes:

- Les opposants Russes au tsar, sont exilés dans le Caucase, principalement à Tiflis, développent des idées et une littérature progressiste et démocratique,
- Les paysans de la Géorgie occidentale, dont ceux de Gourie, rencontrent les premiers Marxismes qui développent des idées progressistes et démocratiques².

¹ Voir l'étude de Stephen Jones sur la République de Gourie.

² Voir le précis historique sur la Social-démocratie géorgienne, écrit par Noé Jordania, en France en 1947.

La politique chauvine des Russes pousse les populations paysannes et petites bourgeoises, dans les différentes luttes contre les occupants.

Lors des années 1819 et 1820, une révolte générale secoue toute la Gourie contre l'administration russe, imposée par l'occupant,

Une caractéristique particulière, liée au développement de l'éducation, les familles de Gourie, envoient, quand elles le peuvent, au moins un de leurs enfants poursuivre leurs études dans des Universités de l'Empire ou en Europe. La rencontre de ces étudiants avec la pensée marxiste qui se développe en Europe et les ouvriers organisés qui est à la base des premières organisations marxistes en Géorgie.

Cette situation contribue au fait que les paysans Gouriens acceptent les discours radicaux des „étudiants“, souvent propagandistes sociaux-démocrates.

D'autant que la situation foncière des paysans en Géorgie de l'ouest dont la Gourie est désastreuse.

Lors de l'abrogation du servage en Géorgie, les paysans géorgiens ont peu de terre. En Géorgie, la moyenne des terres travaillées par famille paysanne a diminué de 5,2 ha avant la réforme à 3,4 ha après la réforme (Fin du servage)

Une famille paysanne moyenne travaille sur une surface ne dépassant pas 1,5 ha, dont la moitié était louée, ce qui est insuffisant pour nourrir une famille³.

La République de Gourie

Dans l'empire lors des années 1901-1902, la situation des paysans est désastreuse. Un peu partout des mouvements paysans secouent toutes les régions de la Russie. En 1905, plus de 1 200 révoltes se déclarent, d'autant plus que la défaite de l'armée russe contre le Japon, dégrade encore plus la situation.

La première révolution de 1905 débute. Elle touche dans les villes, les ouvriers, les petits commerçants et même l'armée. Elle est très vite réprimée dans le sang. Dans les campagnes elle se développe, avec une très grande intensité en Géorgie.

Lors de cette première révolution, les cadres du parti social-démocrate, qui sont en très grande partie Gouriens, participent activement à l'organisation de ces mouvements et aux actions des Comités paysans.

Il y aura „une République de Gourie“ qui sera la dernière à tomber en fin 1906, suivie d'une terrible répression.



Carte des différents mouvements paysans en Géorgie de 1902 à 1906, dont la République de Gourie

3. Voir l'étude de Stephen Jones sur la République de Gourie

C'est un moment très important pour la Social-démocratie, le mouvement paysan et la Nation Géorgienne.

Le Marxisme Géorgien devient national, lié au peuple (La très grande majorité, des paysans) et la paysannerie comprend qu'elle peut compter sur la social-démocratie géorgienne.

Il faut remarquer le rôle de Bénia Tchikhvichvili, enfant de Gourie.

La République démocratique de Géorgie


Après le 26 mai et la proclamation de l'Indépendance de la Géorgie, la Gourie de par ses leaders et son vote lors des élections législatives de février 1919 et locales, de 1918 à 1921, prit sa place dans l'édification de la République de Géorgie.

Les 2 premiers Présidents du gouvernement de cette République sont 2 fils de Gourie ; Noé Ramichvili et Noé Jordania.


Le travail du parti social-démocrate vers les paysans fut profitable. C'est grâce à ce travail avec les paysans de 1902 à 1906, que le parti proposa la Réforme agraire distribuant la terre aux paysans, sans terre ou pauvres.

Cette réforme, la première de la République démocratique fut présentée par un des leaders sociaux-démocrates de Gourie, Noé Khomeriki, ministre de l'Agriculture.

Cette réforme appliquée dans le pays se concrétisa par un vote ultra majoritaire chez les paysans vers le parti social-démocrate (Près de 80 %), lors des élections Législatives de février 1919.



Carte des résultats des élections législatives de février 1919



Fac-similé des résultats de cette élection

Les leaders Gouriens de la social-démocratie

Silvestre Djibladze, l'un des fondateurs du parti social-démocrate, Député,

Isidore Ramichvili, Instituteur et cadre du parti social-démocrate,

Noé Jordania, Second Président de Géorgien, théoricien du parti social-démocrate,

Noé Ramichvili, Premier Président de Géorgie et Ministre, organisateur du parti social-démocrate,

Benia Tchikhvichvili, Président de la République de Gourie, cadre du parti social-démocrate, élu député

Valodia Gogouadze, Dirigeant de la Garde Nationale,

Noé Khomeriki, Cadre du Parti social-démocrate et Ministre de l'Agriculture,

Grigol Ouratadze, Cadre du parti social-démocrate, Elu Député, signataire du Traité de 1920 avec la Russie,

Vano Chavichvily, Cadre du parti social-démocrate

Khariton Chavichvily, Cadre du parti social-démocrate, représentant à la IIe Internationale,

Tchola Lomtadze, Député,

Guerassime Makharadze, Député à la Seconde Douma

David Charachidze, Journaliste, député du Parlement sur la liste du parti social-démocrate,

Victor Tsenteradze, cadre du parti social-démocrate,

Grigol Tsintsabadze, Cadre du parti social-démocrate,

Vlassa Mgeladze, ouvrier typographe, cadre du parti social-démocrate, élu au Parlement,

Elisabeth Nakachidze-Bolkvadze, l'une des 5 députées femmes, élue sur la liste du parti social-démocrate,

Zakaria Gourouli, Leader des mineurs de Tchiatura, cadre du parti social-démocrate,

Ekvtimé Takaïchvili, savant, cadre du parti national-démocrate.

Sans oublier les milliers de militants socialistes

Les luttes pour l'indépendance et l'Insurrection Nationale de 1924

Lors des combats pour la défense de la Nation contre les envahisseurs russes, puis turcs (Du 11 février au 20 mars 1921) la Gourie entra dans les plans stratégiques de la défense nationale. Voici ce qu'écrivit Noé Jordania dans ses mémoires:

„Il fallait absolument créer une base militaire quelque part en Géorgie et là se fortifier.

J'ai pensé à l'Adjarie et à la Svanétie, mais nous apprîmes que des bandes bolchevistes avaient pénétré par ce côté dans le Caucase du Nord et qu'ils se dirigeaient vers Koutaïssi.

Au même moment, l'armée de Moscou attaquait en direction de Soukhoumi et le chef d'escadre français l'amiral Dumesnil tira quelques obus sur eux. Finalement, nous décidâmes de prendre position sur la rive gauche du fleuve Rioni – à la jonction de l'Imérétie et de la Gourie et d'y livrer bataille. Là, la population était sûre ; on pouvait trouver des vivres et c'était aussi stratégiquement acceptable.

Nous nous installâmes à Batoum. Mais notre plan capota à cause de la Turquie qui attaqua par surprise Batoum, où nous étions installés, pour s'en emparer. Nous étions pris entre deux feux et n'avions pas d'issue“.

Le 10 avril 1922 à la Conférence de Gènes, tenue par les alliés, qui a pour but de normaliser les relations entre les états européens, Vlassa Mguéladzé apporte de Géorgie occupée, une pétition signée par les ouvriers géorgiens:

Les 24-25 et 26 mai 1922, le parti Social-démocrate organise dans les villes et les villages des manifestations pour commémorer l'anniversaire de l'indépendance.

Des dizaines de milliers de manifestants y participent. A Kvirila, Samtredia, Tchokhataouri et d'autres localités, les troupes russes tirent sur la foule. Il y a de nombreuses victimes.

De janvier à juin 1923, la Tcheka lance une grande opération pour tenter d'arrêter les militants illégaux du parti Social-démocrate de Géorgie.

En février 1923, le tchékiste Oboladzé est envoyé en Gourie, pour réprimer les révoltes, massacrant, emprisonnant des paysans, pillant et brûlant des villages. Près d'Ozurgeti, alors qu'il est entouré de 15 de ses gardes, il est abattu.




Carte postale postée d'Athènes, le 19 février 1924, lors de leur voyage pour entrer clandestinement en Géorgie pour épauler l'insurrection nationale : Victor Tsenteradze, Valiko Djougheli, Grégoire Tsintsabadzé, Bénia Tchikhvichvili et Vasso Nodia – Collection Thierry Berichvili.

Le 28 août 1924, l'Insurrection National débute à Tchiatoura. Simon Tsereteli descend des montagnes et renforce l'insurrection qui s'étend immédiatement en Géorgie de l'ouest, Gourie, Mingrélie, Imérétie et Svanétie.

Sous la direction du Parti Social-démocrate, pratiquement toute la Géorgie de l'ouest est en insurrection. Philippe Makharadzé est même arrêté par les troupes insurrectionnelles.

Les villes de Douchétie, Manglissi, Sénaki, Tchokhataouri, Ozurgeti sont délivrées.



Carte établie par les forces de répression sur les lieux des combats qui se déroulent lors de l'insurrection de 1924 – Archives Nationales de Géorgie

Les luttes contre la collectivisation forcée des terres

De 1928 à 1934, la politique d'industrialisation à outrance sur l'ensemble de l'Urss, appliqué par le premier plan quinquennal, relance la volonté de collectivisation des terres pour « nourrir les villes et les travailleurs des industries ».

Les mouvements d'opposition à la collectivisation forcée des terres se transforment très souvent en luttes armées, en Ukraine, dans le Caucase et en Géorgie.

Cette collectivisation forcée amène des famines dans certaines régions du pays ainsi que des déportations massives en Sibérie, de ceux qui résistent. En Géorgie le pouvoir soviétique applique une collectivisation forcée des terres, à l'inverse de la Réforme Agraire appliquée par le gouvernement social-démocrate.

Les campagnes deviennent de vrais terrains de batailles où s'affrontent les soldats de l'armée rouge accompagnés des forces de répression de la Tcheka et les paysans soutenus et très souvent dirigés par les cadres du parti social-démocrate, qui sont des paysans ou qui viennent de la paysannerie.



Déportés géorgiens 1934 – Collection Thierry Berichvili

Les paysans géorgiens préfèrent abandonner la terre et s'enfuir dans les bois et les montagnes. Les autorités occupantes lancent une campagne de répression avec emprisonnements et déportations. Les militants clandestins du parti social-démocrate organisent la lutte. Les autorités sont obligées de faire un compromis et laissent 20% des terres en propriété privée aux paysans de Géorgie, fait unique en URSS

La lutte continue jusqu'en 1953

De 1930 à 1953 la lutte continue en Géorgie en relation avec le gouvernement en exil, qui continue à faire connaître la situation de la Géorgie aux organismes internationaux et aux gouvernements occidentaux.

De nombreux militants, dont la vie est menacée par les services de répression soviétiques rejoignent le gouvernement en exil. Certains deviendront des passeurs qui traversent clandestinement la frontière géorgienne. Cette organisation est confiée à Noé Ramichvili, en contact directe avec Noé Jordania.

Le parti social-démocrate organisera ses réseaux de Paris, avec une plaque tournante en Turquie. Les passeurs géorgiens seront souvent des habitants de Gourie, guidés par des Lazes musulmans.

On peut caractériser 3 périodes.

La première période de 1930 à 1941 est caractérisée par le rapprochement du gouvernement de l'Allemagne nazie (1933) avec le gouvernement soviétique, avec son apogée en 1939 par l'accord entre l'Allemagne d'Hitler et la Russie de Staline, qui se concrétise rapidement par l'occupation immédiate de la Pologne.

Cette période couvre les événements de la préparation de la seconde guerre mondiale, des alliances qui se nouent et se défont en fonction du bloc des Alliés, celui des puissances fascistes et l'URSS.

Là, les messagers clandestins géorgiens, s'ils continuent leur rôle de liaison entre les organisations clandestines en Géorgie et le gouvernement en exil, ils servent aussi aux différents services secrets étrangers, français, anglais, polonais, et même turcs.

Pour cette période, je prendrais l'exemple de Chalva Berichvili, enfant de Gourie, mon oncle, neveu de Noé Ramichvili, son témoignage a été recueilli de son vivant lors de 3 entretiens en 1984, 1986 et 1988 et par les nombreux rapports qu'il rédigea, consignés dans les Archives du gouvernement en exil, déposées aux Archives Nationales de Géorgie.



Chalva Berichvili (1899-1989) – Collection Thierry Berichvili

Il est désigné par Noé Jordania et responsable des groupes de passeurs géorgiens qui traversent clandestinement la frontière géorgienne et prennent contact avec les maquis et mouvements d'opposition à l'occupation russe.



Chalva Berichvili (au centre) parmi les équipes de passeurs clandestins géorgiens. Collection Thierry Berichvili

Il sera mis à la disposition des Services militaires de l'Ambassade de France à Istanbul. Ses rapports sont étudiés avec attention par les services secrets français, polonais et turcs. Il fait 6 voyages clandestins en Géorgie en 1930, 1934, 1936, 1939, 1940, et 1942.

Lors de son dernier voyage, en 1942, apportant un message du Président Jordania aux maquis pour leur demander, dans la période de la seconde guerre mondiale, „de combattre les troupes nazies et d'arrêter les sabotages et mouvements contre les Russes, tant que la Démocratie n'aura pas vaincu la dictature nazie“. Il est arrêté, condamné à mort, peine qui est commuée en 25 ans de prison.

La seconde période, de 1942 à la fin de la seconde guerre mondiale, les contacts entre la Géorgie et le Gouvernement en exil est pratiquement coupé, puisque la population géorgienne est complètement mobilisée dans cette seconde guerre mondiale et que l'Urss collabore avec les Alliés.

La Géorgie n'a jamais été occupée par les troupes allemandes.

Mais la Géorgie paye un lourd tribut dans cette guerre, sur 750 000 soldats Géorgiens mobilisés, les pertes se montent à plus de 350 000 tués (Plus de 10% de la population)

On peut remarquer qu'aucun sabotage n'est réalisé pendant cette période, il faut briser et abattre le nazisme.

La troisième période, de 1946 (début de la guerre froide) à la mort de Noé Jordania, en 1953.

La période de la „guerre froide“ commence et les Alliés désirent arrêter les troupes soviétiques. L'Urss étant de nouveau „l'ennemi“, les réseaux clandestins se reconstruisent en Géorgie et il y a besoin de nouveaux passeurs.

Je prendrai comme exemple Mamia Berichvili, mon père, qui sur la demande de Noé Jordania, fit 3 voyages clandestins en Géorgie, en 1949, 1951 et 1953.



Gricha Keressilidzé, un guide Laze et Mamia Berichvili, en Turquie, avant de franchir clandestinement la frontière géorgienne – Collection Thierry Berichvili

Les messagers géorgiens ont pour rôle de renouer entre les clandestins géorgiens et le gouvernement en exil, après une coupure de près de 4 années.

Leurs formations militaires et leurs voyages sont financés par les services français, anglais et turcs.

Les 3 derniers messagers clandestins, Alexandre Tatichvili, Gricha Keressilidzé, et Mamia Berichvili, mon père, après une formation par les services secrets anglais, en Ecosse font 3 voyages clandestins en Géorgie en 1949, 1951 et 1953.

Les 2 derniers messagers, Gricha Keressilidzé et Mamia Berichvili reviennent pour apporter les derniers rapports. Noé Jordania meurt le 11 janvier 1953.

Le Président Noé Jordania étant mort, la légitimité du gouvernement en exil tombe de fait, car la plupart des ministres sont soit très âgés soit décédés, le réseau des passeurs clandestins s'arrête. La lutte continuera sous d'autres formes.

Conclusion

Essayons de cerner les faits concrets de la mentalité et des caractéristiques géographiques, culturels politiques des habitants de Gourie.

Khariton Chavichvily expliquait la différence entre la mentalité géorgienne et la mentalité russe dans son livre „Patrie, Prison, exil“ :

„Et cette opposition de mentalités a été formée aussi par la géographie : on oublie facilement la différence qui existe entre un petit peuple à pensée concrète et un grand peuple à pensée abstraite ; l'un, géorgien, fort de la vie montagnarde inspiratrice d'action, d'initiative individuelle, de liberté ; l'autre russe, imprégné de la vie de la steppe infinie, inspiratrice du rêve, de la non-résistance, de la résignation“.

Cette définition correspond parfaitement bien à la mentalité des habitants de Gourie.

Stephen Jones, dans son excellente analyse de la République de Gourie, cerne plusieurs aspects objectifs des caractéristiques de la population de Gourie.

„Les paysans Gouriens, ne pouvant vivre de leur terre, sont obligés d'avoir un travail saisonnier, soit à l'usine de manganèse de Tchiatura, soit aux mines de charbon de Tkhibuli soit sur les ports de Batoumi et de Poti.

De plus, de nouvelles lignes ferroviaires sont construites entre 1872 et 1883 qui relient la Gourie à Tiflis et à Batoumi. Ils fournissent la majorité de la main-d'œuvre nécessaire à ces chantiers. Il y a six gares en Gourie le long de la ligne de Tiflis - Batoumi et Batoumi est seulement à quarante minutes de la ville Ozurgeti.

En 1900, Batoumi est le troisième plus grand centre industriel de Transcaucasie, employant 12 000 travailleurs, environ la moitié d'entre eux, sont Gouriens“.

„Il y a, en Gourie, un degré élevé d'alphabétisation et un grand nombre d'écoles“.

„Il y a un grand nombre de bibliothèques en Gourie et les autorités tsaristes, les ferment pour punir la population lorsqu'elle se révolte“

„La Gourie a une tradition revendicative et de résistance. Elle est bordée par la Turquie ottomane jusqu'au rattachement de Batoumi en 1878. La Gourie est une région frontalière où l'autorité centrale a toujours été faible. Le port d'armes est une habitude“,

„La Gourie est une région ethniquement homogène, contrairement à la Gubernia de Tiflis, plus multi-ethniques.

Il y a des divisions sociales et des groupes de familles différentes entre les villages voisins, mais l'homogénéité économique, sociale, ethnique et religieuse sont des éléments importants pour une identité Gourienne partagée“.

Ensuite, les 3 faits importants, vus précédemment, vont marquer la Gourie.

Le premier c'est le fait que les paysans de Gourie, obligés d'aller travailler dans les centres industriels de Batoumi, de Poti, de Koutaïssi et de Tchiatura, vont rencontrer les ouvriers politisés, gagnés aux idées nouvelles du Marxisme,

Le second, c'est que les cadres du parti social-démocrate de Géorgie sont

pour la plupart des fils de la Gourie s'ils ont fait leurs études dans les Universités de l'Empire ou en Europe, rencontrant les idéologies progressistes européennes, connaissent parfaitement leur région,

Le troisième, c'est que ces fils de paysans Gouriens, ont compris l'importance de la classe paysanne en Géorgie (Entre 70 et 80% de la population) et qu'ils sont sortis des schémas déterminés, jusqu'alors par les organisations marxistes, que „la paysannerie était réactionnaire“.

La Révolution de 1905 a été la clé de la fusion des organisations social-démocrates avec la paysannerie. Cette expérience, ce „bond en avant“ s'est réalisé en Gourie !

Alors les habitants de Gourie, sont-ils plus intelligents ? Sont-ils les meilleurs représentants de la Géorgie ?

Non ! Ils ont „l'intelligence géorgienne“, la sensibilité géorgienne“, l'amour de leur Patrie et de leur région, comme tous les Géorgiens, mais, des circonstances objectives, matérielles, géographiques, traditionnelles et historiques les ont transformés et ils surent prendre leurs rôles dans la grande histoire de notre Nation, la Géorgie!

References

Accord Russo-Géorgien du 7 mai 1920 – Archives Nationales.

Au Congrès des Internationales – Compte-rendu du parti social-démocrate de Géorgie – Janvier 1923.

L'Arménie 1981 – L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du pouvoir soviétique Paris 1981.

Berichvili 2018 – M. Berichvili, [Voile de fer]. Tbilissi, TSU, 2018.

Charachidzé 1930 – D. Charachidzé, H. Barbusse et la Géorgie. Paris 1930.

Chavichvily 1946 – Ch. Chavichvily, Patrie, Prisons, Exil. Paris, 1946.

Chavichvily 1974 – Ch. Chavichvily, Révolutionnaires russes à Genève. Genève 1974.

Le Courrier géorgien Organe du Conseil National 1940, Paris avril 1940.

Documents et Archives du Bureau à l'étranger du parti social-démocrate

Djougheli 1924 – V. Djougheli, Carnet personnel. Document manuscrit février 1924.

Duguet 1927 – R Duguet, Moscou et la Géorgie martyre. Paris 1927.

La Géorgie sous la domination des armées bolchévistes 1921: La Géorgie sous la domination des armées bolchévistes – Paris, Présidence, 1921.

Gentizon 1921 – P. Gentizon,, La Résurrection Géorgienne. Paris 1921.

Gvazava 1934 – G. Gvazava, La phase actuelle du problème géorgien. Paris 1934.

L'Internationale Socialiste et la Géorgie 1921 – Edition du Parti social-démocrate de Géorgie – Paris 1921.

Jones 1921 – S. Jones, Sur la République de Gourie. Le Prolétariat géorgien contre l'impérialisme bolcheviste – Bureau de Presse – Novembre 1921.

Jordania 1933 – N. Jordania, Difficultés socialistes. Paris 1933.

Jordania 1947 – N. Jordania, Précis de l'histoire du parti social-démocrate de Géorgie. 1947.

Jordania 2008 – N. Jordania, Mon Passé. Version française Christine Pagava-Boulez - 2008.

Ramichvili – N. Ramichvili, La Géorgie et la Russie. Paris 1924.

Ramichvili 1931 – N. Ramichvili, Le social-démocratisme. Paris 1931.

La République Géorgienne – revue mensuelle – Rédactrice en Chef, Elisabeth Orbéliani.

Résolutions adoptées à la Conférence Nationale secrète du parti social-démocrate de Géorgie – 1925.

Les travailleurs géorgiens et les élections soviétistes de Géorgie 1922 – Les travailleurs géorgiens et les élections soviétistes de Géorgie - Paris 1922.

Urjewicz 1989 – Ch. Urjewicz, La Géorgie, à la croisée des chemins : Archaïsme et Modernité. Paris 1989.

Woytinsky 1921 – V. Woytinsky. La Démocratie Géorgienne. Paris 1921.

კარლა სერენას მოგზაურობა გურიაში

Carla Serena's Journey to Guria

თამაზ გვენეტაძე

დახელოვნების ინსტიტუტი „APMA“
გერმანია, მაინცი, ზაარბრიუკენი

Tamaz Gvenetadze

Professional Institute „APMA“
Germany, Mainz, Saarbrücken

აბსტრაქტი

XIX საუკუნეში კავკასია შედარებით უსაფრთხო გახდა სამოგზაუროდ, ამიტომ უამრავმა უცხოელმა მეცნიერმა მოინახულა საქართველო. მათ მიზანს ჩვენი ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, ასევე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ქვეყნის სამრეწველო პოტენციალისა და კულტურული ყოფის შესწავლა წარმოადგენდა. ისინი მოდიოდნენ არა მარტო პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, არამედ ასრულებდნენ საკუთარი სახელმწიფოების დავალებებს. ამ დროისათვის ევროპისათვის საქართველო ფაქტობრივად უცნობი იყო და ბევრი მათგანის ვიზიტს მეტწილად გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

ევროპელი მოგზაურები მეტ-ნაკლები სიზუსტით გადმოგვცემენ იმდროინდელ ვითარებას. ისინი მოგვითხრობენ არა მარტო იმას, რაც თავად ნახეს, არამედ ხშირად იმწმენ სხვის მონათხრობს, ან კიდევ ეყრდნობიან სხვა, უფრო ადრინდელ წყაროებს, უმეტესად იოჰან გიულდენშტედტისა და ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს ჩანაწერებს, რომლებიც ხშირად შეიცავენ უზუსტობებს.

სწორედ ამიტომ წყაროების განხილვისას დიდი სიფრთხილეა საჭირო! უცხოელი ხშირად მიკერძოებულია. ის რეალობას ყოველთვის უყურებს იმ საზოგადოების თვალთ, რომელსაც იგი ეკუთვნის, ხშირად იმ ქვეყნის პოლიტიკის გამტარებელია, რომელმაც იგი სამოგზაუროდ, ადგილობრივ სიტუაციაში გასარკვევად გამოგზავნა.

ამრიგად, უცხო მოგზაურთა ცნობები წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს, მაგრამ მხოლოდ მისდამი მკაცრი კრიტიკული მიდგომის შემდეგ!

2024 წელს გამოქვეყნდა ჩემი წიგნი „ქუთაისი და იმერეთი მე-19 საუკუნის ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში“. ამ წიგნში 22 ევროპელ მოგზაურს შორის არის უცნობი, იდუმალი მოგზაური კარლა სერენა,

რომელმაც ცნობილ ფრანგულ ჟურნალში „Le Tour du Monde“ 1880-1884 წლებში გამოაქვეყნა 11 ვრცელი სტატია საქართველოს შესახებ: 1880 წლის ნომერში დაიბეჭდა სტატია იმერეთში მოგზაურობის შესახებ, 1881 წელს – სამეგრელოს შთაბეჭდილებები, 1882 წელს - მოგზაურობა სამურზაყანოსა და აფხაზეთში, შემდეგ კი – კახეთში. 1884 წლის სტატიაში (მოგზაურობა გურიაში, გორში, ბორჯომსა და ახალციხეში) ვხვდებით უაღრესად საინტერესო მონაცემებს გურიის შესახებ, რომლებსაც წინამდებარე ნაშრომით პირველად გაეცნობა ქართველი მკითხველი.

საკვანძო სიტყვები: ევროპელი მოგზაურები საქართველოში, კარლა სერენა გურიის შესახებ.

ABSTRACT

In the nineteenth century, the Caucasus became comparatively safer for travel, which prompted numerous foreign scholars to undertake journeys to Georgia. Their objective was to investigate the country's natural and geographical conditions, the socio-economic circumstances of its population, its industrial potential, as well as its cultural milieu. These visits were undertaken not merely for the fulfillment of personal interests, but also in the execution of assignments commissioned by their respective states. At that time, Georgia remained virtually unknown to Europe, and consequently many of these journeys were of a predominantly introductory and exploratory character.

European travelers convey the circumstances of the time with varying degrees of accuracy. They recount not only what they themselves observed, but also frequently cite the accounts of others, or rely on earlier sources - most often the notes of Guldenstädt and Montpéreux-which themselves often contain inaccuracies. For this reason, great caution is required when examining such sources. Foreign travelers frequently exhibit a pan-European bias: they view reality through the lens of the society to which they belong and often act as agents of the political agendas of the states that dispatched them to travel and to investigate local conditions. Thus, the testimonies of foreign travelers constitute an important primary source, but only when approached with rigorous critical scrutiny.

In 2024, my book *Kutaisi and Imereti in the Accounts of Nineteenth-Century European Travelers* was published. Among the twenty-two European travelers discussed in this work is the little-known and enigmatic figure Carlo Serena, who published eleven extensive articles on Georgia in the renowned French journal *Le Tour du Monde* between 1880 and 1884. In the 1880 issue appeared his account of travels in Imereti; in 1881, his impressions of Samegrelo; in 1882, his journeys through Samurzaqano and Abkhazia, followed by Kakheti; and finally, in 1884, his article describing travels in Guria, Gori, Borjomi, and Akhaltsikhe. The latter contains highly valuable information on Guria, which, through the present study, is introduced here for the first time to the Georgian readership.

Keywords: European travelers in Georgia, Carla Serena about Guria.

შესავალი

წინამდებარე სტატიით ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა კარლა სერენას ჩანაწერებს გურიაში მოგზაურობის შესახებ, რომელიც 1884 წელს გამოქვეყნდა ცნობილ ფრანგულ ჟურნალში „Le Tour du Monde“ და 1885 წელს ითარგმნა გერმანულ კრებულში „Globus“. აღსანიშნავია, რომ 1880-1885 წლებში ამ ჟურნალებში ასევე გამოქვეყნდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების 11 ვრცელი სერენასეული აღწერილობა.

კარლა სერენას მოგზაურობის მიზანი იყო საქართველოში არსებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების, ასევე, აქ მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, სამრეწველო პოტენციალისა და კულტურული ყოფის შესწავლა. მის ვიზიტს მეტწილად გაცნობითი ხასიათი ჰქონდა.

სტატიებში ავტორი აღწერს ჩვენთვის დავიწყებულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებსა და ცხოვრების წესს, და რაც ყველაზე მეტად საინტერესოა, მან თან დაურთო იმდროინდელი ყოფის ამსახველი გრაფიკური. ამისათვის მან საგანგებოდ შეისწავლა ფოტოგრაფია.

კარლა სერენა (კაროლინა ჰარტოგ მორგენშტაინი) 1820 წელს ბელგიაში, ქალაქ ანტვერპენში დაიბადა; იზრდებოდა ძირითადად საფრანგეთში, ცხოვრობდა ვენეციაში, შემდეგ შვეიცარიაში, ანტვერპენსა და პარიზში, 1850-იანი წლებიდან კი ლონდონში დასახლდა. მისი მოგზაურობა 1874 წლის აგვისტოდან იწყება და დარჩენილ ცხოვრებას (გარდაიცვალა 1884 წელს საბერძნეთში) მოგზაურობას უთმობს. ის არჩეული იყო საფრანგეთის, გერმანიისა და ესპანეთის გეოგრაფიული საზოგადოებების წევრად, 1882 წელს კი იტალიის მეფისგან მიიღო ოქროს მედალი.

კარლასერენაპირველად 1876წლისიანვარშიჩამოვიდასაქართველოში და თითქმის 2 წელი გაატარა აქ, კავკასიაში მოგზაურობის ჩათვლით. მან ჯერ იმერეთი მოინახულა, შემდეგ – სამეგრელო, სამურზაყანო, აფხაზეთი, ახალციხე, ბორჯომი და გურია. 1881 წელს კარლა სერენა მეორედ ეწვია საქართველოს და მოამზადა ფოტოები, რომლებიც „Le Tour du Monde“-ში გამოქვეყნებულ ნაშრომებს დაერთო თან. მისი ფოტოები, შეიძლება ითქვას, არანაკლებ მნიშვნელოვან ამბებს გვიამბობს, ვიდრე თავად სტატიები.

მიუხედავად იმისა, რომ კარლა სერენას მოგზაურობის ჩანაწერები 1870-1881-იანი წლების საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა, ისინი სრული სახით ქართულ ენაზე ჯერ არ თარგმნილა. გთავაზობთ კარლა სერენას პუბლიკაციის „მოგზაურობა გურიაში და ზედა მტკვარის რეგიონში“ მოკლე მიმოხილვას და თარგმანს.

გზად გურიისკენ

1877 წლის მაისში თბილისში დაბრუნებულმა კარლა სერენამ მიიღო ოზურგეთის გამგებლის მოწვევა, რომელიც ეროვნებით სომეხი ყოფილა. სერენა მატარებლით ჩადის სამტრედიის სადგურამდე და მისთვის გამოყოფილი ეტლის დაზიანების გამო ოზურგეთში მიემგზავრება საზოგადოებრივი ტრანსპორტით, რომელსაც მაშინ ეწოდებოდა სამცხენიანი „პერეკლადნაია“: „ეს ტრანსპორტი სხვა არაფერია, თუ არა ოთხ ბორბალზე დადებული ხის ყუთი, რომელსაც წინ ფიცარი

აქვს მიჭედებული მეეტლის დასაჯდომად. თუ მოგზაური დაჯდომას მოისურვებს, შეუძლია საკუთარ ბარგზე მოიკალათოს. ამ ტრანსპორტში წონასწორობის შენარჩუნება მხოლოდ დიდი ოსტატობითაა შესაძლებელი“ (სერენა 1884: 386). მგზავრობის ღირებულება ვერსტზე 3 კაპიკი ყოფილა, პრივილეგირებული პირები ერთ რუბლად იმენდნენ ოფიციალურ საშვს („პოდოროჟნა“), რომლითაც მგზავრობა უფრო იაფი უჯდებათ.

გზაში ცხენები რამდენიმეჯერ იცვლება ე.წ. ფოსტის სახლებში (სერენა 1885:2-3). კარლა სერენას სამტრედიის ფოსტაში მოუწია „სპარტანულად“ ღამის გათევა, „რომელიც არც სხვაზე უკეთესი და არც უარესი იყო“ და გამთენიისას ორპირისკენ გაეშურა, სადაც შეხვედრია სკოპცების ანუ დუხოზორების სექტის წარმომადგენლებს, რომლებიც რუსეთის მთავრობას გადაუსახლებია იქ. „ისინი ძალზედ ნაღვლიანები არიან, დაბინდულია მათი თვალები, სუსტი ხმით საუბრობენ, მათი ნელი, გაჭიანურებული სიარული უცნაური კონტრასტია ძლიერი, ლამაზი მეგრელების გარეგნობისგან, რომელთა შორისაც ისინი ცხოვრობენ და რომელთა შორისაც ვერასოდეს შეძლებდნენ ინტეგრაციას. ეს სკოპცები, ძირითადად მოხუცები, ხორცს არ ჭამენ, მხოლოდ თევზით იკვებებიან. რკინიგზის მშენებლობამდე, როცა საჭირო იყო რიონზე მოცურავე გემების გამოყენება სამეგრელოში ჩასასვლელად, მათ ჰქონდათ მონოპოლია ამ ტრანსპორტზე; მაგრამ მას შემდეგ, რაც რკინიგზამ გაანადგურა ნავიგაცია მდინარეზე, გემების მფლობელებმა დატოვეს ორპირი, სხვაგან გადასასახლდნენ“ (სერენა 1885: 3).

„სოფელი, სადაც ადგილობრივ სკოპცებთან ვივახშმეთ თევზით, აყვავებული და მომხიზვლელია. რიონი წარმოადგენს საზღვარს სამეგრელოსა და გურიას შორის; მდინარე შეიძლება გადალახოთ ერთგვარი ბორნით, რომელსაც გადაჰყავს როგორც მგზავრები, ასევე ეტლები და ცხენები. ეს ძალიან პრიმიტიულად აშენებული ბორანი შედგება ხის ტოტებისაგან, რომლებზეც კვადრატული იატაკია დაგებული. ოთხი ადამიანი ემსახურება მის გადაადგილებას: ერთი ატრიალებს ერთგვარ ხრახნს, ორი სხვა გრძელი ნიჩბებით არის შეიარაღებული, ხოლო მეოთხე ნაპირზე დგას და ბორანზე მიმაგრებულ თოკს ექაჩება (სერენა 1885:3).

გურიის ისტორიის სერენასეული ინტერპრეტაცია:

„გურიის ისტორია ძირითადად იმერეთისა და სამეგრელოს ისტორიის მსგავსია. ამ პროვინციების მსგავსად, გურიის სამთავროს, საქართველოს სამეფოს დაყოფის შემდეგ მთავარი მართავდა. გურიის მთავრებმა სუვერენული უფლებები რუსეთთან მიერთების შემდეგ დაკარგეს (1810,1829). გურიის პირველი მთავარი იყო კახაბერ მეორე (1462-1483), მისი გარდაცვალების შემდეგ გურიას მართავდა მისი ვაჟი გიორგი გურიელი (1483-1512). ამის შემდგომ დაიწყო შიდა განხეთქილებისა და დაბნეულობის ხანგრძლივი ეპოქა, რომლის დროსაც სხვადასხვა მთავრები ან განდევნეს, ან მოკლეს პრეტენდენტებმა – უმეტეს წილად საკუთარმა ვაჟებმა. გიორგის მემკვიდრე საკუთარმა ვაჟმა 1652 წელს გამოასალმა სიცოცხლეს. ცოტა ხნის შემდეგ, 1668 წელს, გურიის მთავარს დემეტრეს თვალები დათხარეს (1660-1664).

ასევე რთული იყო მუსულმანების წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქა. 1689 წელს ქაიხოსრო გურიელი თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა და მალე ურწმუნოების ხელში ჩაგარდნილი გურია თურქეთის პროვინციად იქცა. გურია საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში დარჩა დამპყრობლების ხელში და იძულებული გახდა გარკვეული წლიური ხარკი მიეცა თურქებისათვის ახალგაზრდა გოგო-ბიჭების სახით. ამ საუკუნის დასაწყისში სულგრძელი გურულები საბოლოოდ აღდგნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. 1810 წელს გურია რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა, მაგრამ ფორმალურად დამოუკიდებლობა შეინარჩუნა“ (სერენა 1885:4).

„როდესაც 1829 წელს უკანასკნელი გურიელი, მამია გარდაიცვალა და მემკვიდრედ არასრულწლოვანი ვაჟი დატოვა, ამ ბავშვის დედა, პრინცესა სოფია, რეგენტად დაინიშნა. მან შეიმუშავა რუსეთის უზენაესობიდან გასვლის გეგმა: შვილთან ერთად დატოვა ოზურგეთი და ანატოლიაში გაემურა, სადაც თურქებს დახმარება სთხოვა. რუსეთის მთავრობამ ეს შეიტყო, მაშინვე ჯარები შეიყვანა გურიაში და 1829 წელს გურია რუსეთის იმპერიაში შევიდა.

ბოლო საუკუნეებში გურია თითქმის განადგურებული იყო, ან შინაომით, ან უცხო მტრების თავდასხმებით. ქვეყანას ასევე მოუწია თავის დაცვა რუსეთ-თურქეთის ბოლო ომში (1877-78) თურქებისგან. გურულები იბრძოდნენ ციხისძირის, ქობულეთის, ჩაქვის, არდაგანისა და ყარსის მიდამოებში“ (სერენა 1885:5).

ოზურგეთში

„ოზურგეთი სამტრედიიდან ორმოცდასამი ვერსტითაა დაშორებული. აქაა გურიის მთავრების უძველესი რეზიდენცია. რეგიონი საოცრად სუფთაა. რიონი მიედინება თვალწარმტაც ნაპირებს შორის და დღემდე ამართლებს ძველ სახელს – ფაზისს (ბერძ. ჩქეფები). ოზურგეთამდე საოცრად ლამაზი პეიზაჟებისა და პანორამების თანმიმდევრობაა: მწვანე მთებს შორის თავშეფარებულია სოფლები, ტყიანი და აყვავებული ბორცვები, ყველაფერი ეს თვალს ახარებს და ხიბლავს (მაისი იყო). კეთილმოწყობილი გზა რკინის ხიდიტ კვეთს მდინარე სუფსას. სოფლები და ქალაქები ძალიან აყვავებულად გამოიყურება და მაცხოვრებლები, ხალხის ეს მშვენიერი რასა, ყველაფერს აკეთებენ საკუთარი უპირატესობის წარმოსაჩენად.

გურიას თურქები ვარდების ქვეყანას (Gül Başı) უწოდებენ. სახელი სწორია: სამთავროს შესასვლელთან მდებარე ოზურგეთი, ფაქტობრივად, შორიდან ვარდებით სავსე ყვავილების კალათას ჰგავს. ერთდღიანი მოგზაურობის შემდეგ ჩავედით დანიშნულების ადგილზე. გამგებლის ბინა ყაზარმის მოპირდაპირედ მდებარეობდა.

გურიის მთავრების ყოფილი რეზიდენცია ბჟუჟის მარჯვენა სანაპიროზე, ვაკეზე მდებარეობს და მას მეორე მდინარე, ნატანები ამარაგებს წყლით. წყლის ამ სიუხვის გამო არემარეს აყვავებული მცენარეულობა მწვანე მოსასხამივით აკრავს. ირგვლივ მთების გვირგვინია – უპირველის ყოვლისა, აჭარის მთიანეთი, რომელიც გურიას ჰყოფს თურქეთის პროვინციებისგან...

დღევანდელი ოზურეთი სრულიად შეესაბამება ევროპულ გემოვნებას ზაფხულის გასატარებლად. აქაც სახლებს გარს აკრავს ბაღები, მაგრამ არა ევროპული დასასვენებელი ბაღები, არამედ სიმინდის, ქერის, ბამბისა თუ თამბაქოსნათესები. თურქების მიერ ბოლოდროს შემოღებული ეს კულტურა განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა აბრეშუმის ჭირის გაჩენის შემდეგ, რომელმაც გაანადგურა აბრეშუმის ქსოვის ტრადიცია – ამით ძირითადად ქალები იყვნენ დაკავებული. ისინი ულამაზეს აბრეშუმის პერანგებს ამზადებდნენ როგორც თავისთვის, ასევე, მამაკაცებისთვის, რომლებსაც ძველი წეს-ჩვეულების მიხედვით მხოლოდ აღდგომაზე იცვამდნენ.

ოზურგეთში სახლები ხისაა, ძირითადად ერთსართულიანი, ვერანდით. მართალია, გურული ოდა ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ ჯადოსნობა მთლიანად ქრება, როცა სახლში შედიხარ. ავეჯი მხოლოდ რამდენიმე ხის სკამს მოიცავს, რომლებიც დაფარულია ძვირადღირებული ხალიჩებითა და ბალიშებით, საწოლად ტახტს იყენებენ.

აღმოსავლური სტილის ამ სახლების გვერდით, მკვეთრ კონტრასტს ქმნის ორი ევროპული სტილის შენობა: ერთი არის თანამედროვე სახლი, სადაც ყოფილი მმართველი ოჯახის წევრი ცხოვრობს, მეორე – გურიის უკანასკნელი მმართველის მიერ დანგრეული სასახლე, რომელიც აგების შემდეგ, ამ საუკუნის დასაწყისში, სასწაულად ითვლებოდა. და უნდა ვაღიარო, რომ ეს შენობა ევროპაშიც კი მიიპყრობს ხალხის ყურადღებას. ეს ოთხსართულიანი სასახლე ახლა ძალიან დანგრეულია... და სამხედრო ჰოსპიტალის ფუნქციას ასრულებს. მის ირგვლივ მდებარე სამეურნეო შენობებს ახლა სრულიად განსხვავებული დანიშნულება აქვთ, ვიდრე მშენებელი თავდაპირველად გეგმავდა. ახანო ახლა საღორის ფუნქციას ასრულებს, და ყოფილი ბაღი, სადაც ხარობდა სხვადასხვა იშვიათი და უცნაური მცენარეები, თითქმის გაჩანაგებულია, მაგრამ მის აღდგენას აპირებენ.

სასახლის მოპირდაპირე მოედანზე ორი ეკლესია დგას: ერთი ქალაქის მცხოვრებთათვის ქართულ ყაიდაზე, მეორე – გარნიზონის რუსებისათვის. კვირაობით მოედანზე სამხედრო მუსიკა უკრავს, მაგრამ მაცხოვრებლები, რომლებიც თავს ისედაც ძალიან კომფორტულად გრძნობენ, ამის მოსასმენად არ მოდიან. მათ ურჩევნიათ სახლების ვერანდაზე სიარული. შორიდანაც კი ძალიან თვალწარმტაცად გამოიყურება გემოვნებიან ჩოხა-ყაბალახში შემოსილი ხალხი, განსაკუთრებით კი ქართულ თავსაბურში გამოწყობილი ქალბატონები. კარგ ამინდში ვერანდა არის ოჯახის თავშეყრის მთავარი ადგილი, აქ სადილობენ და ხშირად აქვე იძინებენ.

ოზურგეთი მშვიდი და წყნარია, საკმაოდ მჭიდროდა დასახლებული. ბაზარი ვერსტზე მეტ ფართობზეა გაშლილი – აქ არის ცხოვრებისა და მოქმედების ეპიცენტრი. ორივე მხრიდან ხის სადგომებით გაფორმებული ეს ბაზარი ფაქტობრივად არის გზა, რომლის ორივე მხარეს გაკეთებულია თხრილები. მაღაზიებში შესავლელად კი მორებია გადებული. მათ ქვეშ წყალია და იხეები დაცურავდნენ – ეს სრულიადაც არაა უჩვეულო, ვინაიდან სხვა ქუჩებიც სავსეა ყოველგვარი შინაური ცხოველით.

ბაზრის ერთი ქუჩა განკუთვნილია გობელენით და ნაქსოვი ქსოვილებით მოვაჭრეებისათვის. ეს ვაჭრები უმეტესწილად სომხები ან თურქები, იშვიათად რუსები არიან. მკერავებს, მეწაღეებს, იარაღის მჭედლებსა და სანტექნიკოსებს ყველას საკუთარი ადგილი აქვთ მიჩენილი. ხელოსნები ისეთ მარტივ ხელსაწყოებსა და აღჭურვილობას იყენებენ, რომ მნელი გასაგებია, თუ როგორ შეუძლიათ მათ შექმნან ისეთი ლამაზი და მხატვრული ნამუშევრები“ (სერენა 1885: 5).

ფირალობა და მილიცია

„არაერთი ფირალი და ბანდიტი სარგებლობს თურქეთის საზღვრების სიახლოვით, რათა თავი აარიდოს რუსეთის პოლიციას. ისინი ხშირად აწიოვებენ მოსახლეობას, ხანდახან ქალებსა და ბავშვებსაც მარცვავენ. ჩემს მოსვლამდე რამდენიმე კვირით ადრე გურიის გამგებელს, რამდენიმე მილიციის ოფიცრის თანხლებით, მოუწია საზღვრის გამაგრება, რათა ბოლო მოეღო ქუჩაში მარცვისთვის. ეს მილიცია ქმნის ე.წ. ქუთაისის პოლკს, რომელიც შედგება ცხენოსანთა ოთხი ესკადრილიისა და ქვეითი ჯარის ორი ასეულისაგან. ოფიცრები და ჯარისკაცები ძველი კოლხეთიდან არიან, რომელიც მოიცავდა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ამჟამინდელ პროვინციებს. მხოლოდ პოლკოვნიკია რუსი. მხედრების ორი მესამედი ქართველი თავადაზნაურები არიან. ქვეითი ჯარისკაცები, როგორც ჩანს, კარგად არიან გაწვრთნილი და შეუძლიათ დღეში ასი ვერსტის გავლა. კავალერიას აცვია ჩერქეზული ჩოხა, შავი ქსოვილისგან შეკერილი გრძელი მოსასხამი, მკერდზე დაბლა ამოჭრილია ორივე მხარეს ექვსი ან რვა ვიწრო და ღრმა სავაზნე. ჩოხის ქვეშ აცვიათ ახალუხი წითელი საყელოთი, ესაა სახელოებიანი ჟილეტის სახეობა, რომელიც მუხლებამდე წვდებათ, ახურავთ თავსაბურის მაგვარი, წითელი ქსოვილისგან შეკერილი ქუდი. ისინი ატარებენ იარაღის მთელს არსენალს, რომელიც შედგება ქამარზე დამაგრებული პისტოლეტისაგან და თეჭაში გახვეული საბრძოლო ნივთებისაგან – ზეთის მარაგი, ჩაქუჩი, სახრახნისი და სხვა. ქამარი, იარაღისა და ვაზნების მსგავსად, დამზადებულია დამასკოს ვერცხლისგან და ძალიან ოსტატურად და გემოვნებით არის დამუშავებული. დენთი ინახება იმავე ლითონისგან დამზადებულ ყუთში, რომელიც ვერცხლის ლენტზეა მიმაგრებული. შაშკა, ანუ ვერცხლით მოპირკეთებული გრძელი ხმალი ასევე შედის მილიციელის აღჭურვილობაში. შარვალი მუხლს ქვემოთ მაღალ საცხენოსნო ჩექმებშია ჩატანებული. სიცივისა და წვიმისგან თავის დასაცავად ეს მხედრები ატარებენ ეროვნულ ყაბალახს, ბურკას ან თეჭის თავსაბურს. ამ დიდებულ ჯარისკაცებს, რომლებიც შესანიშნავ ცხენებზე არიან ამხედრებულნი, ვერც ერთი ქვეყნის მხედარი ვერ შეედრება სისწრაფესა და ცხენოსნობაში.

ქვეითების აღჭურვილობა სრულიად განსხვავებულია. შავი ტანსაცმელი მორთულია ოქროს ლენტებით, ღია ქურთუკის ქვემოდან მოჩანს თეთრი ჟილეტი და ფერადი აბრეშუმის სარტყელი, რომელზეც უკეთიათ ოქროთი ნაქარგი შავი ტყავის მეორე ქამარი, საიდანაც დამაგრებულია გრძელი ხანჯალი, პისტოლეტი, ვაზნები, დენთისა და ტყვიის ქისა და სხვა მოწყობილობები, მაგ., ტყვეების შესაკრავად წინასწარ მომზადებული კვანძები. არ უნდა დავივიწყოთ ტყავის ჭიქა

სასმელისათვის, თამბაქოს ქისა და ჯიბე სიგარეტისა და ასანთისთვის. შაშხანა ზურგზე მოუგდიათ დიაგონალურად. ქუთაისის პოლკის ქვეითი ჯარი შეიარაღებულია ინგლისური კარბეის თოფებით. ამის დანახვაზე ვოდევნილში მეგონა თავი!

ადგილობრივების ანაზღაურება გაცილებით მაღალია, ვიდრე რუსეთის ჯარში. ჯარისკაცი იღებს სამოც მანეთს წელიწადში, საკვებს თავისთვისა და ცხენისთვის, ხოლო რიგითი რუსი ჯარისკაცი იღებს მხოლოდ ოთხ მანეთს. აქ დგას ქუთაისისა და დაღესტნის პოლკები, ასევე, მუდმივი რუსული გარნიზონი“ (სერენა 1885: 6).

საზოგადოებრივი წყობა

„გურიამში, ისევე როგორც ძველი საქართველოს სხვა რაიონებში, რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა ფეოდალური სისტემა, თუმცა, მონებით ვაჭრობა, რომელიც ოდესღაც ქვეყნის სიმდიდრის მნიშვნელოვანი წყარო იყო, კვლავ გრძელდება, მიუხედავად მეფის განკარგულებებისა და მკაცრი აკრძალვებისა. თურქეთის საზღვართან სიახლოვე, ბუნებრივია, ხელს უწყობს ამ ბიზნესის შენარჩუნებას. უცხო ადამიანების მოახლოებისას ბავშვები, როგორც წესი, ინსტინქტურად გარბიან. მაგრამ გამტაცებლები ხანდახან საჩუქრებით იტყუებენ მათ, იტაცებენ, უცხო ქვეყანაში მიჰყავთ და ისინი ვეღარასოდეს ნახულობენ თავიანთ სამშობლოს. გატაცებულ ბავშვებს გარკვეული პერიოდის შემდეგ ავიწყდებათ რელიგია და მშობლიური ენაც კი. მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად უცხო ქვეყანაში წარმატებას აღწევდნენ. მაგ.: მეჰმედ-ფაშა, ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ვეზირი 1651–1652 წლებში (აბდულ-აზიზის, ოსმალეთის იმპერიის 32-ე სულთანის მმართველობის დროს) ოზურგეთში დაბადებულა. ბავშვობაში ის მშობლებს, რომლებიც ფერმერები ყოფილან, გვარად ანთელაძე, თურქეთში გაუყდიათ...“

„რუსეთის სასამართლოში ყველაზე ხშირად განიხილება ცხენების ქურდობის შემთხვევები – ეს ერთ-ერთი ყველაზე გაგრძელებული დანაშაულია გურიამში. ცხენებს იპარავენ მოურიდებლად, დღისით, მზისით. საზოგადოებრივი აზრი მსგავს მარცვაში ვერაფერს ხედავს სამარცხვინოს. მეორეს მხრივ, ბინის ქურდობა უსინდისო ქმედებად ითვლება“ (სერენა 1885: 4).

ეკლესიები

„მიუხედავად იმისა, რომ გურულებს დიდი ხანია მოუწიათ ისლამის უღლის ტარება, ისინი ყოველთვის ქრისტიანობის ერთგულები რჩებოდნენ. ისინი არასოდეს იღლებოდნენ დანგრეული ეკლესიების შეკეთებითა და აღდგენით. ეს განსაკუთრებით ეხება ექადიის სამლოცველოს სწორედ იმ მთაზე, რომელიც გურიას თურქეთიდან გამოყოფს... სხვაგან ვერსად იხილავთ უფრო თვალწარმტაც სამლოცველოს, ჩაფლულს აყვავებულ კორომებში. იქ მისასვლელად კარგი სპორტული მონაცემებია საჭირო – ჯერ მდინარე ბჟუჟა უნდა გადაკვეთოთ უმარტივესი კონსტრუქციის დამრეცი, ვიწრო ხიდი. ვინაიდან ერთი ნაპირი მეორეზე უფრო მაღალია, ხიდი განუწყვეტლივ ირხევა და უფრო სახიფათოს ხდის მას... აქაურ ხალხს უბრალო ცხოვრების წესი აქვთ – არ უყვართ საფლავების მორთვა: ხის ჯვარი და საფლავის ქვა... ექადიის ეკლესიას სამრეკლოს ნაცვლად მხოლოდ ხის კოშკი აქვს.“

ოზურგეთიდან თხუთმეტ ვერსტში მდებარეობს ჯამათის მონასტერი, სადაც არის გურიის უძველესი მთავრების სამარხი. საინტერესოა, ასევე, ჯიხეთის მონასტერი, ყოფილი რეზიდენციიდან სულ რაღაც შვიდი ვერსტის დაშორებით. ორივე მონასტერი მდიდარია უძველესი ხატებით, ილუსტრირებული პერგამენტებით, ძვირფასი ქვებით, მიტრებით, ბიზანტიური ჯვრებით და სხვადასხვა ორნამენტებით.

ჯამათში არის დიდი ლალი, რომელთანაც დაკავშირებულია შემდეგი ლეგენდა: გურიის უფლისწული, სახელად გიორგი, რომელიც სახელგანთქმული მონადირე იყო, ღამით ტყეში დაიკარგა და გზა აეზნა. უეცრად შორს სინათლე აენთო და ცხენი დააფრთხო. გიორგი სინათლის კვალს მიჰყვა და მივიდა ერთ ადგილას, სადაც კაცები, ქალები, ბავშვები მხიარულობდნენ. ერთ-ერთი მამაკაცი მივიდა მასთან და მიიწვია მეზობელ სახლში, ასევე, აჩუქა ბრილიანტებითა და ძვირფასი თვლებით სავსე ოქროს თასი. უფლისწულმა თასიდან ლალი ამოიღო, მაგრამ მოწამვლის შიშით უარი თქვა სადილზე. პრინცს კვლავ მიაწოდეს ბრილიანტის თასი. ამ დროს ლალის თვალმა გამოასხივა ის ნათება, რომელიც გიორგიმ ტყეში დაინახა. გიორგიმ ეს გაფრთხილებად მიიჩნია, ის დარწმუნდა, რომ ზებუნებრივ ძალებთან და ეშმაკის ცდუნებასთან ჰქონდა საქმე. ის ცხენზე შეხტა და ელვის სისწრაფით გაქუსლა, მიაღწია ჯამათის მონასტერს, სადაც აკურთხა ლალის ქვა, როგორც მოსალოდნელი საფრთხისგან ხსნის იმედი.

ამ მხარის კიდევ ერთ საოცრებას ასკანას უძველესი ციხე-სიმაგრე წარმოადგენს – უხვი მდინარეებით, აყვავებული ვაკეებით და ხეობებით, მაღალი მთებით! აქ ყოფილა ადგილობრივი მონარქების საზაფხულო რეზიდენცია... რომლის ძირში მიედინება ბახვისწყალი...

კიდევ უფრო საყურადღებოა ოზურგეთიდან რვა ვერსტში მდებარე უძველესი ქალაქის ნაშთები, რომლებიც აღმოაჩინა მიწის ამჟამინდელმა მფლობელმა ახალი საცხოვრებლის საძირკვლის გათხრებისას. მან იპოვა ერთმანეთზე დაშენებული ორი ქალაქი: უძველესი ხანის ფენაში ქვის სახლები ყოფილა, ახალში – ხისა. ცოტა ხნის წინ აქ აღმოაჩინეს ამფითეატრის კვალი. ადგილობრივების გადმოცემით, ეს ქალაქი ათას წელზე მეტი ხნისაა და დაარსებულია ებრაელების მიერ. ამ მხარეს ებრაელებმა, რომლებსაც ქართველები ურიას უწოდებდნენ, თავად გ-ურია უწოდეს. ამბობენ, რომ ამ ქალაქს ჯერ ური-ქალაქი ერქვა, რომელიც მონაცვლეობით დაიპყრეს სპარსელებმა და რომაელებმა, შემდეგ ქალაქმა მიიღო სახელი უჩენარი, შემდეგ პეტრა – იმპერატორ იუსტინიანეს ერთ-ერთი გენერლის სახელი, რომელმაც 532 წელს განდევნა სპარსელები ლაზისტანიდან და გურია ბიზანტიას დაუქვემდებარა. გადამწვარი ძველი ქალაქის ნანგრევებზე შემდეგ ციტადელი აიგო, რომლის ნაშთები დღესაც ჩანს ნატანებთან“ (სერენა 1884:390).

გურულები

მე მქონდა საკმარისი დრო, დავეკვირვებოდი გურული ქალების სილამაზეს, რომელთა სახეები უფრო ცოცხალი და გამომხატველია, ვიდრე სხვა ქალებისა საქართველოს სხვა მხარეებში... მათი საყვარელი საქმიანობაა ბანქოს თამაში. მე შევესწარი თამაშს, რომელიც გაგრძელდა მთელი ორ კვირა: დაიწყეს დილის შვიდზე, შუადღისას ისადილეს და ორ საათზე განაახლეს თამაში, ექვს საათზე კიდევ რამდენიმე წუთით შეჩერდა

ჩაიზე, რის შემდეგ განაგრძეს თამაში ისეთი მხურვალეობით, რომ ვახშამი, რომელიც მზადდებოდა ათ საათზე, ხანდახან ღამის სამ საათამდე სახლში ხელუხლებლად იდგა.

გურიაში მამაკაცის სამოსს გარკვეული მსგავსება აქვს თურქულთან. გრძელი ქურთუკის ნაცვლად, რომელიც მოდაშია იმერეთსა და სამეგრელოში, ისინი ატარებენ მოკლე ჟაკეტს, ჟილეტს, აბრეშუმის ფერად ატლასს და მასზე გაკეთებულ ოქროთი და ვერცხლით მოქარგულ ტყავის ქამარს, რომელზეც იარაღებია აცმული. კოსტიუმს ავსებს მჭიდრო შარვალი და ყაბალახი. ქალები კი ევროპული მოდის მიხედვით იცვამენ, მაგრამ ყოველგვარი გემოვნების გარეშე. თავსაფარი, რომლითაც ისინი თავსა და მხრებს იფარებენ, მათი ტანსაცმლის ერთადერთი ნამდვილად მოხდენილი ნივთია (სერენა 1884: 387, 389, 291).

შიდა შუღლი

„ოდითგანვე არსებობდა შუღლი და მტრობა ფიცხ, მეომარ გურულებსა და უკიდურესად მშვიდობიან, რომ არ ვთქვა, ფრთხილ მეგრელებს შორის. მომიყვას ერთი ისტორია: ერთხელ მეთექვსმეტე საუკუნეში, იმერეთის მეფემ დღესასწაულზე მიიწვია თავისი ორი მეზობელი, მეგრელი დადიანი და გურიის უფლისწული, რომელიც მივიდა წვეულებაზე თავისი ამალით და მთელი აღჭურვილობით. ის ისე საუცხოო, მდიდრული და დიდებული იყო, რომ დადიანმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ბოროტება ჩაიდო გულში...“ (სერენა 1884: 388).

რა გააკეთა მან შურისძიების მიზნით? აქ შეგნებულად არ გადმოვცემ იმ სამარცხვინო ისტორიას, რომელსაც დეტალურად აღწერს სერენა... ვის არგებს ისეთი თარგმანი, რომელიც ძველ ჭრილობას გახსნის... ამ ისტორიის კითხვისას შეუძლებელია დავით გურამიშვილი არ გაიხსენო: მე კი ვჭფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს, მეტად მწარედ გული მტკივა, მაჟრჟოლებს და ტანში მზარავს! (გურამიშვილი 2017: 117). ასეთი ისტორიები კი მრავლად გვხვდება ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებში (გვენეტაძე 2024: 7-55).

საბოლოოდ „დადიანმა ახალი შურისძიება გადაწყვიტა. ამ მიზნით მან ჩუმად შეკრიბა მეგრელ დიდებულთა ლაშქარი და იმერთა, აფხაზთა და ჩერქეზთა მხარდაჭერით მოულოდნელად შეიჭრა გურიაში, გამარცხა და გადაწვა ყველაფერი, რაც გზად შეხვდა და აიღო ოზურგეთი. გურიის მთავარი ახლობლებთან ერთად ციცაბო ბორცვზე მდებარე მონასტერში გაიხიზნა, ჯარი შეაგროვა, შეუტია მტერს და სრულ გამარჯვებას მიაღწია“... (სერენა 1885:5).

დასკვნა

კარლა სერენა, ისევე როგორც სხვა მოგზაურები, უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. ის მოგვითხრობს მარტო იმას, რაც საკუთარი თვალით ნახა, არამედ ხშირად მოჰყავს სხვისი მონათხრობი, ან კიდევ ეყრდნობა სხვა, უფრო ადრინდელ წყაროებს, რომლებიც, თავის მხრივ, ზოგჯერ გარკვეულ უზუსტობებს შეიცავს. სწორედ ამიტომ, ევროპელი მოგზაურების ჩანაწერების განხილვისას სიფრთხილეა საჭირო! უცხოელი ხშირად იჩენს პანევროპულ მიკერძოებულობას, ის ყოველთვის უყურებს ქართულ რეალობას იმ

საზოგადოების თვალთ, რომელსაც იგი ეკუთვნის; ხშირად ის იმ ქვეყნის პოლიტიკის გამტარებელია, რომელმაც იგი სამოგზაუროდ, ადგილობრივ სიტუაციაში გასარკვევად გამოგზავნა.

მიუხედავად ამისა, უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ წარმოადგენს მნიშვნელოვან პირველწყაროს და ინახავს ინფორმაციებს ბევრი აქამდე უცნობი მოვლენის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

გვენეტაძე 2024: გვენეტაძე თ., იმერეთი და საქართველო მე-19 საუკუნის ევროპელი მოგზაურების ჩანაწერებში. თბილისი 2024.

Serena 1885: Serena C., Reisen in Gurien und am oberen Kur. In: „Globus. Illustrierte Zeitschrift für Länder und Völkerkunde, Band 47, Seiten 1-7, Braunschweig 1885.

Serena 1884: Serena C., La Gourie et les Regions de Gori, Borjom et Achalzick, Le Tour du Monde, Paris 1884, Premier Semester, S. 385-400.



გურული მილიცია



გურული მამაკაცი



გურული ქალები

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9380>

**გურული ლექსიკა მეგრულთან მიმართებით
(გიგო შარაშიძის
„გურული ლექსიკონის“ მიხედვით)**

**Gurian Lexicon in Relation to Mingrelian
(Based on Gigo Sharashidze's „Gurian Lexicon“)**

ეკა დადიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Eka Dadiani

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

გურული მეტყველება მრავალფეროვანია. აჭარულთან, სამცხურთან, იმერულსა და მეგრულთან უშუალო მეზობლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გურული დიალექტის მრავალფეროვნებას, ამასთან, მსგავსი ენობრივი ფაქტების, მოვლენების არსებობას.

ნაშრომში განხილულია გურული ლექსიკა მეგრულთან მიმართებით და წარმოჩენილია მათ შორის არსებული საერთო დიალექტური მასალა. საანალიზოდ აღებულია გიგო შარაშიძის „გურული ლექსიკონი“, რომელიც წარმოდგენილია წიგნში: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები (თბილისი, 1938).

გიგო შარაშიძე (1848-1932) წლების განმავლობაში გურიის სხვადასხვა სოფელში აგროვებდა სალექსიკონო მასალას, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა. ლექსიკონში „მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც დროთა ვითარებაში, ძველი ყოფის შეცვლასთან დაკავშირებით, დავიწყებულია, უკვე აღარ იხმარება, მაგრამ ენის ისტორიისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობისა“ (გვ. VII). ლექსიკონში ისეთი სიტყვებიც მოიპოვება, „რომელთაც სამწერლო ენაში თავისი ლიტერატურული პარალელი, თავისი შესატყვისი არ გააჩნიათ...“ გვხვდება უცხო ენებიდან (თურქული, ბერძნული, სპარსული) ნასესხები ლექსიკა.

კვლევამ საინტერესო შედეგები გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, გურულ დიალექტში საკმაო რაოდენობით დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მეგრული-

სათვის. ხშირ შემთხვევაში სიტყვები მსგავსია როგორც ფორმოზრივ, ისე სემანტიკურ დონეზე. გარკვეულ შემთხვევებში ვლინდება განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები.

ნაშრომში გაანალიზებულია სიტყვაფორმები: ბურდლაში, გაჩიჩინება, დაფრანგული, დუდგა, კომჭი, კოდონა, მოსარგალეზა, პარტყალი, ფიჭვი, ქერეთო, ცახოცი, ჭიჭო, ხვანცალი...

გურულში მეგრულთან საერთო ლექსიკის არსებობა შეიძლება აიხსნას როგორც მათი საერთო წარმომავლობით, ასევე, ტერიტორიული სიახლოვით, ურთიერთობით. განხილული სიტყვაფორმები, გარდა მეგრულისა, ქართული ენის სხვა კილოებშიც (იმერული, გურული, აჭარული, კახური, თუშური...) გვხვდება, რაც, ასევე, ბუნებრივია. ისინი საერთოქართული წარმომავლობის სიტყვებია, რომლებმაც ფორმოზრივ-სემანტიკური მსგავსება, ერთიანობა შეინარჩუნეს რიგ კილოებში. გურულსა და მეგრულში (აგრეთვე სხვა კილოებში) გამოყენებული საერთო დიალექტური ლექსიკა უდავოდ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული მეტყველებები ერთი, საერთო ქართული/ქართველური ენობრივი სისტემის ნაწილებია. ცალკეული კუთხური მეტყველებები მეტ თავისებურებებს გვიჩვენებს, რაც ზოგადად ენაში მიმდინარე დივერგენციული თუ კონვერგენციული პროცესების ამსახველია.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენის დიალექტები, გურული ლექსიკა, მეგრული ლექსიკა, გიგო შარაშიძე.

ABSTRACT

Gurian speech is highly diverse. Its immediate proximity to Adjara, Imereti, and Mingrelia has significantly shaped the richness of the Gurian dialect and explains the presence of similar linguistic phenomena.

This study examines Gurian lexicon in relation to Mingrelian and highlights the shared dialectal material between the two. The analysis draws upon Gigo Sharashidze's Gurian Lexicon, presented in the volume *Lexicons of Georgian Languages, I: Gurian, Upper Imeretian, and Lechkhumi Lexicons* (Tbilisi, 1938).

Gigo Sharashidze (1848–1932) spent many years collecting lexical material in various villages of Guria, producing a corpus of considerable linguistic interest. As noted in the lexicon, “many words that have been forgotten over time due to changes in everyday life are no longer in use, yet they remain of great importance for the history of the language” (p. VII). The lexicon also contains words “that have no literary parallels or equivalents in the standard language” and includes loanwords from foreign languages such as Turkish, Greek, and Persian.

The study revealed several interesting results. As expected, the Gurian dialect contains a significant number of lexical units that are also characteristic of Mingrelian. In many cases, these words are similar both formally and semantically, though in

some instances they exhibit distinct semantic nuances.

The paper analyzes forms such as *burdgashi*, *gachichineba*, *dafranguli*, *dudga*, *komchi*, *koghona*, *mosargaleba*, *partqali*, *pichvi*, *kereto*, *tsakhtsi*, *chicho*, *khvantsali*, among others. The shared lexicon between Gurian and Mingrelian can be explained both by common origins and by geographic proximity and interaction. Many of the words analyzed, besides occurring in Mingrelian, are also found in other Georgian dialects (Imeretian, Gurian, Adjara, Kakheti, Tushetian), which is natural. These are generally of common Georgian origin and have maintained formal-semantic similarity across several dialects.

The common dialectal lexicon between Gurian and Mingrelian (and other dialects) demonstrates that these speech varieties are part of a single, unified Georgian linguistic system. Individual regional dialects, however, display unique characteristics, reflecting broader processes of divergence and convergence within the language.

Keywords: Georgian language dialects, Gurian lexicon, Mingrelian lexicon, Gigo Sharashidze.

შესავალი

გურული მეტყველება მრავალფეროვანია. აჭარულთან, სამცხურთან, იმერულსა და მეგრულთან უშუალო მეზობლობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს გურული დიალექტის მრავალ-ფეროვნებას, ამასთან, მსგავსი ენობრივი ფაქტების, მოვლენების არსებობას.

სტატიაში განვიხილავთ გურულ დიალექტურ ლექსიკას მეგრულთან მიმართებით და წარმოვაჩენთ მათ შორის არსებულ საერთო მასალას. საანალიზოდ ავიღეთ გიგო შარაშიძის „გურული ლექსიკონი“.

კვლევამ საინტერესო შედეგები გამოავლინა. როგორც მოსალოდნელი იყო, გურულ დიალექტში საკმაო რაოდენობით დასტურდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მეგრულისათვის. აქვე აღვნიშნავთ: გურულში დაფიქსირებული დიალექტური სიტყვების ნაწილი, გარდა მეგრულისა, სხვა (მეზობელ თუ არამეზობელ) კილოებშიც გამოიყენება.

მოკლედ გურული ლექსიკონისა და მის ავტორის შესახებ.

გიგო შარაშიძის „გურული ლექსიკონი“ წარმოდგენილია წიგნში: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. გამოიცა 1938 წელს აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სალექსიკოლოგიო განყოფილების მიერ.

გიგო შარაშიძე (1848-1932) თითქმის სამოცი წელი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა გურიაში. იყო დამსახურებული მასწავლებელი. ის წლების განმავლობაში გურიის სოფლებში აგროვებდა სალექსიკონო მასალას, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა. ლექსიკონში „მოიპოვება ბევრი ისეთი სიტყვა, რომელიც დროთა ვითარებაში, ძველი ყოფის

შეცვლასთან დაკავშირებით, დავიწყებულა, უკვე არ იხმარება, მაგრამ ენის ისტორიისათვის მაინც უდიდესი მნიშვნელობისაა“ (გვ. VII). წიგნში ისეთი სიტყვებიც არის აღნუსხული, „რომელთაც სამწერლო ენაში თავისი ლიტერატურული პარალელი, თავისი შესატყვისი არ გააჩნიათ... მრავალი მათგანი უთუოდ იპოვის ადგილს როგორც მხატვრულ, ისე სამეცნიერო ლიტერატურაში“ (იქვე, VIII). საკმაო რაოდენობით გვხვდება უცხო ენებიდან (თურქული, სპარსული, ბერძნული...) ნასესხები სიტყვები. ლექსიკონში სიტყვაფორმებს არ აქვს მითითებული მათი წარმომავლობა, ეტიმოლოგია იშვიათადაა წარმოდგენილი; ასევე, არ არის ნაჩვენები, დიალექტური სიტყვის მიმართება ლიტერატურულ შესატყვისთან (ფონეტიკური ან სხვა ხასიათის ცვლილებები, დიალექტური ვარიაციები). სიტყვები ლექსიკონში მოცემულია საწყისი ფორმით, იშვიათად – ფრაზაში (როცა საწყისი სახე არ დასტურდება).

მეთოდები

საანალიზო საკითხის დამუშავებისას გამოყენებულია აღწერითი, შედარებითი და ანალიზის მეთოდები. გიგო შარაშიძის გურულ ლექსიკონში აღნუსხული გურული დიალექტური სიტყვაფორმები შედარებულია მეგრულ მასალასთან, გაანალიზებულია გურულისა და მეგრულისათვის საერთო ლექიკა.

მსჯელობა

გიგო შარაშიძის გურულ ლექსიკონში შეტანილი ლექსიკური ერთეულები მეგრულთან მსგავსებას გვიჩვენებს როგორც ფორმოზრევი (ფუძის სტრუქტურა), ისე სემანტიკური თვალსაზრისით. ზოგ შემთხვევაში განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები ვლინდება.

ლექსიკური ერთეულები პირობითად რამდენიმე ჯგუფად დავყავით:

ა) სიტყვის ფუძე და მნიშვნელობა გურულსა და მეგრულში იდენტურია:

ბარბალი – ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაურობა, ბრიალი, პრიალი. აქედან **აბარბალეზა** – აბრიალება (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ბარბალი** – 3. ცეცხლის ალის მოძრაობა და ხმაური, – ბრიალი, გიზგიზი (ქაჯაია 2001).

თვალის **ფიჭვები** – წამწები (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ფიჭვი** 2 – წამწამი, ბეწვი. თოლიში **ფიჭვი** – თვალის წამწამი (ქაჯაია 2002).

კოლონა – კოლო (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **კოლო, კოლონა, კვადანა** – კოლო (ქაჯაია 2002).

პაიჯი – პატიჟი, პატიჟება, მიწვევა (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **პაიჯი, პატიჯი** – პატიჟი, დაპატიჟება (ქაჯაია 2002). იხმარება იმერულშიც: **დაპაიჯება** – პატიჟი, სტუმრად მოწვევა (მოწენიძე 1974). **პატიჟი** გურულსა და იმერულში, მეგრულის მსგავსად, ფონეტიკურად არის სახეცვლილი: დაკარგულია **ტ** თანხმოვანი, ხოლო **ჟ** შეცვლილია **ჯ**-თი.

პარტყალი – უთავბოლოდ ლაპარაკი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **პარტყალი** – 2. ტიკტიკი (ბავშვისა); პურტყუნი; უთავბოლო ლაპარაკი (ქაჯაია 2002). ქეგლ-ის მიხედვით, **პარტყალ-ი** – კუთხ. (გურ.) უთავბოლოდ ლაპარაკი. **პარტყალობ-ს** – კუთხ. (გურ.) უთავბოლოდ ლაპარაკობს (ქეგლ).

როჩო – დიდი, უშნო კბილები; **როჩოიანი** – დიდკბილა (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **როჩო** – დიდი და უშნო. **როჩორია, როჩორო** – დიდი

და უშნო კბილებიანი; კბილებგადმოყრილი (ქაჯაია 2002). რაჭ. **როჭო** – წამოზრდილი წიწილა (კობახიძე 1987).

ქურქული – ნაძალადევი კვნესა ავადმყოფისებურად (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ქურქული** – ვიშვიში, ნაძალადევი კვნესა, წუხილი (ქაჯაია 2002). ქეგლ-ში შეტანილია გიგო შარაშიძისეული განმარტებით: **ქურქულ-ი** – კუთხ. (გურ.) „ნაძალადევი კვნესა ავადმყოფისებურად“ – კრუსუნი (ქეგლ).

ხვანცალი – თევზისა და ქვეწარმავალის სწრაფი მოძრაობა (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ხვანცალი** – ნძრევა, რხევა; სწრაფი კლაკნა, სხმარტალი (თევზის, ქვეწარმავლისა...) // მოუსვენრად ყოფნა, ცქმუტვა, – ხვანცალი (ქაჯაია 2002). ქეგლ-ში შეტანილია გ. შარაშიძისეული განმარტებით: **ხვანცალ-ი** კუთხ. (გურ., იმერ.) – სწრაფი კლაკნა, სხმარტალი (თევზისა, ქვეწარმავლისა...). || მოუსვენრად ყოფნა, ცქმუტვა; **ხვანცალობ-ს** – კუთხ. (გურ. იმერ.) ხვანცალით მოძრაობს (ქეგლ).

ბ) სიტყვის ფუძე ფონეტიკურად სახეცვლილია, სემანტიკა კი იდენტურია:

ბურდლაში – დაუნდობლად ხევა-გლეჯა (მაგ., ჩხუბის ან ჭიდაობის დროს). აქედან: **გაბურდლაშება**, **გაბურდლაშა** – ბურდლაშად აქცია, დაფხრიწა, დაგლიჯა (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ბურდლა**, **ბუნდლა** – ბალანი, ბურტყლი, ბუმბული; **ბურდლონი**, **ბურდლონუა** – ბდღვნა, ბრდღვნა, პტკვნა; ფრინველის ბუმბულის გაცლა; უშნოდ კრეფა, გლეჯა (ქაჯაია 2001). **ბუნდლა** (იმერ.) – ბურტყლი (ბერიძე 1918 (1986). ქეგლ-ის რვატომეულის ძველ რედაქციაში **ბურდლა / ბუნდლა** შეტანილი არ არის. ახალი რედაქციის მიხედვით: **ბურდლა** – კუთხ. ბურდლი, ბუმბული; **ბუნდლა** (კუთხ.) იმერ. – პატარა ზომის ბუმბული; **ბუნდლი** კუთხ. იგივეა, რაც **ბუნდლა** (ქეგლ 2008).

ბურჯგვნა – ხელით ძებნის დროს ნივთების არეგ-დარევა სკივრში, განჯინაში და სხვ. (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ბურჯგონი** – ზელა, სრესა, ჟღვლემა, ხელის გასმა მაგრად; **ბურჯგონუა** – ბურჯგნა, სრესა, ჟღვლემა (ქაჯაია 2001). იმერ. **ბურჯგნის** – ხელის წავლებით ეარშიყება, – ჟღვლემს, სრესს, ებლაძუნება (გაჩეჩილაძე 1976). **ბურჯგნის** – 1. ბუზნის, ჯმუჯნის, 2. კუთხ. (გურ.) – ხელით ძებნის დროს ნივთებს არეგ-დარევეს სკივრში, განჯინაში და სხვ. (ქეგლ 2008).

გარგალი – ცეცხლის გუზგუზი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **გარგაზი** – ტრიალი (კვამლის, ნისლის...), გიზგიზი (ცეცხლის), უშნოდ ხმაური (ქაჯაია 2001). **გარგალი** ქეგლ-ში შეტანილია გ. შარაშიძის განმარტებით (ქეგლ 2010).

გაჩიჩინება – გაშტერება, გაოცება (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **გოჩიჩინაფა** – გახევება, გაშეშება; სახტად დარჩენა უეცარი, მოულოდნელი ამბის გაგებით ან მოქმედებით (ქაჯაია 2001). შდრ. იმერ. **გაჩიჩინდება** – მაკე ცხოველს მუცელი უკიდურესობამდე გაეზრდება (გაჩეჩილაძე, 1976). **ჩიჩინ-ი** – ერთისა და იმავეს დაჟინებით ლაპარაკი (რისამე ჩაგონების მიზნით) (ქეგლ).

გუშუნდლო – ფრინველის ზურგი ფრთებისა და კურტუმოს შუა; ხერხემლის ეს ნაწილი ნეკნებიანია (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **გოდლოდლო** იგივეა რაც **გოდლოკო** – ფრინველის, მაგ., ქათმის, ზურგის (ხერხემლის)

ძვალი მკერდის მომყოლი წვრილი ნეკნებით, – საწინწკარა, ფერდი (ქათმისა) (ქაჯაია 2001).

დაფრანგული – აგერ-ეგერ გაღუნული (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ფრანგუა** – გაღუნა (ფიცხრის, ხმლის...), მიხრა-მოხრა (ქაჯაია 2009). ლექს. **დაფრანგული** – დაფლეთილი, დაფატრული (ალავიძე 1938); **დაფრანგულ-ი** – გამრუდებული, გაღუნული (ფიცარი, კედელი...) (ქეგლ).

დობარაჲ – ნ. ნიადაგის სახელები გურიაში (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **დობერა** – დობირა, პატარა ეული გორაკი; დობილო; ვაკე ადგილი სახნავ-სათესად გამოსაყენებელი (ქაჯაია 2001). იმერ. **დობილო** – დაბალი, ჩავარდნილი ადგილი, უპირატესად მდინარის პირას (გაჩეჩილაძე 1976). ქეგლ-ის განმარტებით, **დობირა** (გურ.) – საუკეთესო ნიადაგი (ვაზის გასაშენებლად). **დობირო** – იგივეა, რაც **დობილო** (მნიშვ. 3) კუთხ. (იმერ.) – ჩავარდნილი ვაკე ადგილი, ჩვეულებრივ მდინარის პირას (დასტურდება საყანე ან სავენახე ადგილის სახელწოდებად) (ქეგლ 2015).

დუდგა – ერთად, უწესრიგოდ თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ხალხი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **დუდგა** – ბევრი ერთად თავმოყრილი. გვხვდება ასევე: **ტკუტკარი** – ხმაბაძვ, ხშირი, სქელი, ურიცხვი, ბევრი ერთად ამოსული; **ტკუტკარია** – ბევრის ერთად რევა (ქაჯაია 2002). შდრ. **დუდგა**, **დუდგო** (კუთხ.) – იგივეა, რაც **დუნდგო** – მოძვ. ადამიანთა უწესრიგო გროვა, უწესრიგოდ თავმოყრილი ხალხი, – ბრბო, ურდო (ქეგლ 2015).

ენატრაკალა – უაზრო, ჩქარი და ბევრის მოლაპარაკე (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ტარკალი** – 1. ურცხვად ლაყბობა, ტლიკინი, ლაქლაქი, ტარტარი. **ტარკალი ნინაში** – ლაყბობა, ტლიკინი ენისა; ზედმეტი ლაპარაკი (ქაჯაია 2002). პარალელურად გამოიყენება: **ნინადარგალა**. იხ. **ნინაგოდარგალერი** – ენაგატლევკილი, ყბედი; **დარგალი** – ლაქლაქი, ტლიკინი, ყბედობა; **დარგალა** – ვინც ტლიკინებს, ყბედობს (იქვე).

კარიე, საკარიე – საქათმე (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ოკარიე, ოკარია** – ოთხბოძზე შედგმული ოთხკუთხა მოწნული საქათმე, – ზევიდან ისლით (ყავრით) იყო გადახურული, მიდგმული ჰქონდა ჩართი (ქაჯაია 2002).

მატაური, მატაურის ქარი (ა.მ.) – სენი ძვლისგამტეხი (წყევლაა) (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **მატავარი, მატავერი** – ბავშვის ყელის ავადმყოფობაა. არის მისი შელოცვა (ქაჯაია 2002). ზ. აჭარ. **მატავრი** – 2. ბავშვის ყელის ავადმყოფობაა; ყელჭირვება (ღლონტი 1974).

მოსარგალება – მოსრესა და გაფუჭება (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **სარგალი, სერგელი** – თრევა; **სარგალუა, სერგელუა, სარგალაფა, სერგელაფა** – თრევა (ქაჯაია 2002). გვხვდება იმერულში, ქართლურში: **მოსარგალება** (იმერ.) – ფეხით უწყალოდ გათელვა, მოოხრება (ღლონტი 1974); **მოსასარგალებს** (ქართლ.) – მოსპობს, გაანადგურებს (ღორმა, გინდა საქონელმა, სიმინდი რო შეგიჭამოს, მოსპო და მოასარგალაო) (ბეროზაშვილი... 1981).

ოლამფარო – ლაფარო, ფეფენიკო (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ოლაფარე** – ლაფარო (ქაჯაია 2002). შდრ. იმერ. **ლაფარე**, გურ., ლექს. **ლაფარო** (ღლონტი 1974). ქეგლ-ის მიხედვით, **ლაფარე, ლაფარო, ლაფარა** (იმერ. გურ.) – შენობის ირგვლივ ადგილი, რომელსაც სახურავის გამოშვერილი ნაწილი ფარავს (ქეგლ).

სოხვი – ჭლაკვი, უთავო ხახვი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **სორხი, სოხი** – ჭლაკვი (ქაჯაია 2002).

უფინდიკო – უხვავო, უფონდიკო. შდრ. **ფინდიკი, ფონდიკი** – ხვავი, წარმატება (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ფონდიკი** – ფონდიკი, ბარაქა, ხვავი, სარგებლობა; **უფონდიკე** – 1. უსუსური, უღონო, უხეირო, 2. უხვადური, უბარაქო (ქაჯაია 2002). შდრ. **ფონდიკ-ი, ფონდიკა** კუთხ. (გურ.) – ბარაქა, ხვავი. ◊ ფონდიკა არ ეკიდება „იტყვიან ისეთ კაცზე, რომელიც ბევრს შრომობს და ხეირს ვერ ეწევა“ (ი. ჭყ.) (ქეგლ).

ქერეთო – ზაფხულის დიდი სიცხე (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ქერეთი** – ძლიერი სიცხე, – პაპანაქება; ქერთა – იგივეა, რაც **ქერეთი**, – ძლიერი, სულის შემხუთავი სიცხე, პაპანაქება. შდრ. ლეჩხ. **ქელთა** – ძლიერი სიცხე; **ქერქეთი, ქერქეთია, ქერქეთია** – ძლიერი, თავარა სიცხე, პაპანაქება (ქაჯაია 2002). ამავე მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება აგრეთვე **ქოროთი** ფორმა. იმერ. **ქერქეთი** იგივეა, რაც **ქარქატი. ქარქატი** – მსუბუქი, მჩატე (გაჩეჩილაძე 1976).

ყაძახი, კაძახი – 1. გლეხი, 2. მამაკაცი, 3. უხეში, 4. უჯიშო (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ყაზახი, ყაზაყი** – ყაზაყი, გლეხი, ვაჟკაცი, კეთილშობილი (ქაჯაია 2002). იმერ. **ყაზახი** – სოფლის მკვიდრი, გლეხი (უფრო შეძლებული) (გაჩეჩილაძე 1976). ქეგლ-ის მიხედვით: **ყაძახ-ი** – კუთხ. (გურ.) იხ. **ყაზახი¹. ყაზახ-ი¹** (ყაზახისა) [თურქ. კაზაკ „უსახლკარო“] ძვ. და კუთხ. (გურ. იმერ.) გლეხი. **ყაზახ-ი²** (ყაზახისა) 1. იხ. ყაზახები. 2. იგივეა, რაც **კაზაკი** (ქეგლ).

უსკუდარის **ცახოცი** – თალხი ფერის მსუბუქი თავსაფარი; სტამბოლიდან შემოჰქონდათ გურიაში (უსკუდარი სტამბოლის აზიური ნაწილის ერთი უბანია) (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ცახორცი** – თავსაფარი, ხილაბანდი. **ცახორცი < სახოცი** (ასიმილაციითა და რ-ს განვითარებით – ა.შანიძე (ქაჯაია 2002). **ცახოც-ი** კუთხ. (გურ.) – ხილაბანდი, თავსაფარი (ქეგლ).

ციმცამი, გაციმცამება – გაჩუმება, სულის გატრუნვა (შიშის გამო). აქედან: გაციმცამებული (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ციმ-ცამი** – ჩამი-ჩუმი, ჩქამი, რაბი-რაბო, გარინდება გამთენიისას; **სიმ-სამი** – ბაიბური, ჩქამი, ჩამი-ჩუმი (ქობალია 2010); **სიმუა, სინუა** – იგივეა რაც **სიმა** – მოსმენა (ქაჯაია 2002). შდრ. **ციმცამ-ი** – კუთხ. (გურ.) გატრუნვა (შიშით) (ქეგლ).

ჭიჭო – დაზოგვით, ცოტ-ცოტათი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ჭიჭე** – პატარა, მცირე, ცოტა (ქაჯაია 2002); **ჭიჭარება** – დაპატარავება; თვალში სიპატარავე (ქობალია 2010). შდრ. **ჭიჭავენა, მოჭიჭავენა** (იმერ.) – ფულის ზომიერად ხარჯვა, თავშენახულობა; **მოჭიჭავე** – მომჭირნე (დლონტი 1974); **ჭიჭდება** (ქართლ.) – ზრდას ასრულებს, ხევდება, ბერდება (ბალახი) (ბეროზაშვილი... 1981); **ჭიჭა** (ფერ.) – მოკლევარიანი ცხვარი (ქდვ). შდრ. **ჭიჭლა** – მცირე საღვინე (ორბელიანი 1993). ქეგლ-ში შეტანილია: **ჭიჭდება** – პატარავდება; ილევა; **ჭიჭავენა** (იმერ., რაჭ.) – ფულის ზომიერად ხარჯვა, თავშენახულობა (ქეგლ).

ხანმოთეული (ხანმოთავებული) – დამველებული (სანოვაგე) (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ხანმოთეული** – ხანმოთავებული. შდრ. **ხანმოთეულ-ი** – ვინც სადმე ხანი მოათია || ხანში შესული, მოხუცებული (ქეგლ).

ხვანჭალი, გახვანჭალეული – კარგად დაბანილი, გასუფთავებული (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ხვარჭალი, ხვარჭალუა** იგივეა, რაც **ხვარჩალუა**

– კარგად დაბანა, გასუფთავება, გაწვრიალება (ქაჯაია 2002). შეტანილია ქეგლ-ში: **ხვანჭალ-ი** – კუთხ. (გურ.) იგივეა, რაც გაღვრეჭა (ქეგლ).

ჯგუტვა – ჩხვლეტა (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ძგვიტუა, ძგვატუა, ძგვიტა, ძგვიტაფი** – ჩხვლეტა (ქაჯაია 2002). **ჯგვიშაფი, ჯგვიშუა** – ძლიერი ჩხვლეტა, ძგერება, კერვა მსხვილთავა ნემსით (ქობალია 2010). **ჯგუშვა** (იმერ., რაჭ.) – უხეიროდ რისამე შერჭობა, შესობა; ცუდად კერვა (ბერიძე 1912 (1986); იმერ. **ჯგუტური** – მსხვილწვერიატით ჩხვლეტა ხშირ-ხშირად; **ჯგვლელმა** – გამეტებული ჩქმეტა, ჟღვლელმა (გაჩეჩილაძე 1976).

გ) სიტყვის ფუძე იდენტურია, მნიშვნელობა კი სახეცვლილია:

ბორო – ერთგვარი ზნე; ნ. **ბოროიანი** – კაცი, რომელიც ერთ აზრს, ერთ საქმეს ვერ შერჩება და ხშირად მოულოდნელად და უმიზეზოდ იცვლის ხოლმე გუნებას (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ბორო** – სულელი, შტერი, ბრიყვი; ჭკუათხელი; **ბოროია** – მოსულელი, მობრიყვი; ბორობუა – სისულელე, ბრიყვობა (ქაჯაია 2001). შდრ. **მოროს** ბერძულ(ად) სულელს უწოდენ (ორბელიანი 1991).

ბუჟუჟი – უხვად გაშლილი ყვავილი; **გაბუჟუჟებული** ვარდი – უხვად გაშლილი ვარდი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ბუჟუჟი** – ბოჭკო, ხაო (ქაჯაია 2001). იმერ. **ბუჟუჟი** – ქაფი (ბერიძე 1912 (1986). **ბუჟუჟი-ი** – 1. დახუჭუჭებული ცხვრის ტყავი. 2. კუთხ. (იმერ.) „ქაფი“; **ბუჟუჟებ'იან-ი** – ხაოიანი ქსოვილი (პირსახოცი და მისთ.) (ქეგლ 2008). შდრ. **ბუჟუჟი** – ცხოვარის ტყავი დაგრუზვილი (ორბელიანი 1991).

თიკი – ხის ტოტი, წატეხილი, მოკლე და გაშვერილი, ან მის მსგავსად გაშვერილი ნაწილი საგნისა (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **თიკი** – ბიბილო (ქაჯაია 2002). შდრ. იმერ. **თიკი** – თვერი, ფრინველის ბიბილო (ბერიძე 1912 (1986)).

ღარღილი – 1. ხმამაღლა ძახილი, ყიჟინა, საქონელთან ნადირის მიხდომის გამო; 2. ლაპარაკის მანერა. **კაი ღარღილი** – სასიამოვნო ხმა, საუბარი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ღარღალი** – 1. მომაბეზრებელი, უაზრო ლაპარაკი, – ყბედობა; **ღარღალუა** – 1. უაზრო ლაპარაკი, ყბედობა, 2. ძლივძლივობით სიარული, ხანხალი, ლასლასი, 3. პოტინი, ფათური (ქაჯაია 2002). იმერ. **ღარღალი, ღარღილი** – ლაპარაკი, თქმა, ძახილი (ბერიძე 1912 (1986); რაჭ. **ღარღალი** – გატეხილი ან გახეული (გახვრეტილი) ჭურჭლიდან სითხის განუწყვეტელ ნაკადად დინება (კობახიძე 1987). ქეგლ-ის განმარტებით: **ღარღალ-ი** – 1. კუთხ. (იმერ.) ხმამაღლა ლაპარაკი (შდრ. ღარღილი²). 2. კუთხ. (ზ.-რაჭ.) ჭურჭლიდან სითხის ბლომად და შეუჩერებლივ დინება. ტიკს ღვინო ღარღალით გასდის («დიალ.»). || ღაპა-ღუპით ცრემლის დენა (შდრ. ღვარღვალი); **ღარღილ-ი** – 1. „მცირე რამ ჰაზრი“ (საბა). 2. კუთხ. (ხევს.) დარდი; ჯავრი (შდრ. ღარღლი); ღარღილ-ი² (ღარღილისა) კუთხ. (გურ.) ლაპარაკის ხმა. უჰ, თქვენი ღარღილი არ გაიგონა კაცმა! (ნ. ნაკაშ.). || ხმამაღალი ლაპარაკი; ძახილი, გადამახება, შემახება (ქეგლ). შდრ. **ღარღილი** – მცირე რამ ჰაზრი ZAB. ჰაზრი რამე მცირე Cb, ჩამი-ჩუმი გინა (ჰ)აზრიCaq. ჩამი-ჩუმიDE (ორბელიანი 1993).

დ) სიტყვის ფუძეც და სემანტიკაც მეტ-ნაკლებ განსხვავებას გვიჩვენებს:

კომჭი – ფოლაქი, ღილი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **კონჭი** – კოტა; იატაკის, კედლის (ზოგჯერ ჭერის) ფიცრებში ჩაყენებული რიკები (მრგვალი

ან ოთკუთხა) სიმაგრისათვის (ქაჯაია 2002). შდრ. ბერ. **კომიჭი** - დოგმა; ჭან. **კოპჭა** (Mapp 1910: 157).

ოფირო - ხვიმირა, წისქვილის ნაწილი, მარცვლეულის ჩასაყარი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ოფიჭო** - ზღის გამხმარი ქერქი (ქაჯაია 2002). ქეგლ-ის მიხედვით, **ოფირო** (ოფიროსი) კუთხ. (გურ.) - 1. „კოვზის მაგვარად გათლილი ხე ნავიდან წყლის ამოსასხმელად“ (ს. ჟღ.). 2. იხ. ხვიმირი. 3. იხ. **ოფიჭო** (ქეგლ).

რატუნი - უსაქმოდ ღოღიალი (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **რანტალი**, **რანთალი** - 1. უმიზნო სიარული, ბოღიალი, 2. წინდაუხედავი ლაპარაკი, ლაყბობა, როტვა, რომვა (ქაჯაია 2002).

ჯარჯათ - მჭიდროდ, სკლად; **ჯარჯი** - მოსახარშ ღომს რომ ჭურჭელი ვერ დაიტევს გართვის გამო, ჯარჯიაო, იტყვიან (შარაშიძე 1938). შდრ. მეგრ. **ჯარჯაფი**, **ჯარჯუა** - გულის ზიდვა, რევა; ენერგიული სიარული (ქაჯაია 2002). შდრ. ლეჩხ. **ჯარჯი** - 1. ხეების შეკვრა - მთის ფერდობის ღარზე ჩამოსაშვები, 2. ვაზის ნასხლავის კონა (ალავიძე 1938); იმერ. **ჯარჯი** - ვაზის ნასხლავი ლერწი (კონებად ან შეუკონავად ჩამოცმული ღობის სარეზზე ისე, რომ დაფაროს რაგვი (ნაქსოვი); იცავს ღობეს წვიმის წყლისაგან და ამწელებს ღობეზე გადასვლას (გაჩეჩილაძე, 1976); რაჭ. **ჯარჯი** - 1. თხილის, ძეძვის, კვინცხის... ფიჩხები, ორ მეტრამდე სიგრძის კონად შეკრული, აგრეთვე წილმის (იხ. წილამი) კონა, რომელსაც ღობის სარეზზე ჩამოაცვამენ ღობის მთელ სიგრძეზე; 2. ნაოჭებიან არშიად მოვლებული ქსოვილის გრძელი ნაჭერი (იხ. ქეგლ) (კობახიძე 1987). ქეგლ-ის მიხედვით, **ჯარჯი** - 1. ეკლიანი ბუჩქი (ნ. კეცხ.). || ძეძვის, ფიჩხის და მისთ. კონა. 2. კუთხ. (თუმ. ხევს.) - დაგრეხილი წნელი, მრგვალად შეკრული, რამეზე ჩამოსაცმელად, - გვერგვი. 3. კუთხ. (რაჭ.) - ნაოჭად ასხმული და არშიად მოვლებული ვიწრო და გრძელი ნაჭერი ქსოვილისა, - ფურჩალა (ქეგლ).

დასკვნა

როგორც ვნახეთ, გურულში საკმაო რაოდენობით გამოიყენება მეგრულთან საერთო ლექსიკა, რაც შეიძლება აიხსნას როგორც მათი საერთო წარმომავლობით, ასევე, ტერიტორიული სიახლოვით. განხილული სიტყვაფორმები, გარდა მეგრულისა, სხვა კილოებშიც (იმერული, გურული, აჭარული, კახური, თუშური...) გვხვდება. ამ ტიპის სიტყვები საერთოქართული წარმომავლობისაა, რომლებმაც ფორმოზრივ-სემანტიკური მსგავსება, ერთიანობა შეინარჩუნეს რიგ კილოებში. საერთო დიალექტური ლექსიკის არსებობა გურულსა და მეგრულში (აგრეთვე სხვა კილოებში) სრულიად ბუნებრივია და უდავოდ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ აღნიშნული მეტყველებები ერთი საერთო ენის, ქართული/ქართველური ენობრივი სისტემის ნაწილებია, ქვესისტემებია. ცალკეული კუთხური მეტყველებები მეტ თავისებურებებს გვიჩვენებს, რაც ზოგადად ენაში მიმდინარე დივერგენციული თუ კონვერგენციული პროცესების შედეგია.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე 1973** – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- ალავიძე 1938** – მ. ალავიძე, ლექსუმური ლექსიკონი. წიგნში: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თბილისი, 1938 (გვ. 139-164).
- ბერიძე 1912 (1986)** – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. სანკტ-პეტერბურგი. მე-2 გამოცემა, თბილისი, 1986.
- ბეროზაშვილი... 1981** – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.
- გაჩეჩილაძე 1976** – პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. თბილისი, 1976.
- იმნაიშვილი 1974** – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, I. თბილისი, 1974.
- კობახიძე 1987** – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი. თბილისი, 1987.
- ორბელიანი 1991-1993** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, ტ. I – 1991, ტ. II – 1993.
- სარჯველაძე 1995** – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995.
- ფენრიხი... 1990** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 1990.
- ქაჯაია 2001-2009** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი. თბილისი, ტ. I – 2001, ტ. II – 2002, ტ. III – 2002, ტ. IV – 2009.
- ქდვ** – ქართული დიალექტების კორპუსი: მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ფერეიდნული სალექსიკონო მასალა <http://corpora.co/#/dictionaries>). (დამოწმება: 12.03.2024).
- ქეგლ** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.
- ქეგლ, ახალი რედაქცია** – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია. მთავარი რედაქტორი ავტ. არაბული. თბილისი, ტ. I (ა) – 2008, II (ბ-გ) – 2010, III (დ) – 2015. <https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> (დამოწმება: 10.03.2024).
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი. თბილისი, 2010.
- ღლონტი 1974** – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი, 1974.
- შარაშენიძე 2017** – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული. თბილისი, 2017.
- შარაშიძე 1938** – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი, წიგნში: ქართველურ ენათა ლექსიკა, I, გურული, ზემოიმერული და ლეჩხუმური ლექსიკონები. თბილისი, 1938 (გვ. 1-96).
- ძოწენიძე 1974** – ძოწენიძე ქ., ზემოიმერული ლექსიკონი. თბილისი, 1974.
- Март 1910** – Н. Март, Грамматика чанского (лазского) языка, С. - Пб., 1910.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9381>

ლელობურთი გურიაში:
ტრადიცია და კულტურული ცნობიერება

Leloburti in Guria: Tradition and
Cultural Consciousness

ვაჟა დანელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Vaja Danelia

Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

გურია საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული კუთხეა, სადაც ხალხური კულტურა, ტრადიციული ყოფა და სოციალური ურთიერთობები განსაკუთრებულ თავისებურებებს ინარჩუნებს. საუკუნეების განმავლობაში აქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტრადიციულ დღესასწაულებსა და ხალხურ თამაშებს, რომლებიც არა მხოლოდ გასართობი ელემენტის მატარებელი იყო, არამედ სოციალური კავშირების განმტკიცებასა და საზოგადოებრივი თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც ემსახურებოდა.

მრავალფეროვან ტრადიციებს შორის ლელობურთი გამორჩეულ ადგილს იკავებს. ეს უძველესი ქართული თამაში, ფიზიკური და სულიერი ერთობის ნათელი მაგალითი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადაეცემა თაობიდან თაობას, არა მხოლოდ სასპორტო შეჯიბრებად, არამედ კულტურულ ფენომენადც გვევლინება. იგი ასახავს ხალხის ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ ცნობიერებას; გურული საზოგადოების ღირებულებებს – სიმამაცეს, ერთიანობასა და ძალისხმევას საერთო მიზნის მისაღწევად.

ნაშრომში, მეტაფორიზაციის გზით, გაანალიზებულია ტერმინ ლელობურთის წარმოშობისა და სპორტის ამ სახეობის გურიაში დამკვიდრება-განვითარების მოკლე ისტორია, როლი და მნიშვნელობა; როგორ ქმნის და ინახავს იგი ადგილობრივ კულტურულ იდენტობას და რა გრძნობაა დაცული მისი სიმბოლიკით. ამ რიტუალის კვლევა საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავიაზროთ თანამედროვე სოციალურ და კულტურულ სივრცეში მისი ინტერგაციის მნიშვნელობა.

სტატიაში, ასევე, წარმოჩენილია მეტაფორის როლი, როგორც მეორეული სახელების ფორმირების ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალება. განხილულია, სიტყვის სემანტიკური მოცულობის გაფართოებისას სამყაროს აღქმის მოდელი თუ როგორ იქცევა დიდ

მეტაფორად, შემდეგ - ტერმინად, რომელსაც ისტორიული ამბავი უდევს საფუძვლად. ლელობურთის ანალიზით ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება სასპორტო ტრადიცია გახდეს ხალხის კულტურული ერთიანობისა და თანმიმდევრულობის გამომხატველი. ასევე, ნაჩვენებია ლელობურთის ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში დამისი მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ კულტურაში. ის შედარებულია ინგლისელთა ეროვნულ თამაშ რაგბისთან, რომელმაც საყოველთაო პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოში. კვლევისას გამოყენებულია ეთნოგრაფიული, ისტორიული და კულტურული ანალიზის მეთოდები, რამაც ხელი შეუწყო ლელობურთის რიტუალის ფართო კონტექსტში გაანალიზებას.

საკვანძო სიტყვები: ლელობურთი გურიაში, ქართული ხალხური თამაშები, ქართული სასპორტო ტრადიცია.

ABSTRACT

Guria is one of Georgia's most distinctive regions, where folk culture, traditional lifestyles, and social relations retain unique characteristics. For centuries, traditional holidays and folk games have held great importance here, serving not only as entertainment but also as a means of strengthening social bonds and preserving communal identity.

Among the diverse traditions, Leloburti occupies a prominent place. This ancient Georgian game, as a vivid example of both physical and spiritual unity passed down through generations, functions not only as a sporting competition but also as a cultural phenomenon. It reflects the historical, social, and cultural consciousness of the people and embodies the values of Gurian society—courage, solidarity, and collective effort toward a common goal.

In this study, through metaphorical analysis, the origin of the term Leloburti and the brief history of the establishment and development of this sport in Guria are examined, along with its role and significance. The study explores how it creates and maintains local cultural identity and the sense preserved in its symbolism. Analyzing this ritual allows for a deeper understanding of its integration and significance within contemporary social and cultural contexts.

The article also highlights the role of metaphor as one of the productive means for forming secondary names. It examines how, when the semantic scope of a word expands, the perception model of the world transforms it first into a grand metaphor and then into a term grounded in a historical event (Danelia 2023: 19–23). Through the analysis of Leloburti, the study demonstrates how a sporting tradition can become a symbol of cultural unity and social continuity. Additionally, it explores the transformation of Leloburti over time and its significance in contemporary Georgian culture. The game is compared to the English national sport of rugby, which has achieved global popularity.

The study employs ethnographic, historical, and cultural analysis methods, enabling a comprehensive examination of the Leloburti ritual within a broader context.

Keywords: Leloburti in Guria, Georgian folk games, Georgian sports tradition.

შესავალი

ლელობურთი უძველესი ქართული სასპორტო თამაშია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო არამხოლოდ გასართობი, არამედ ქართული კულტურისა და იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი ფესვები ღრმად არის გადგმული ხალხურ ტრადიციებსა და რიტუალებში, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავდა ძალას, ერთიანობასა და საზოგადოების ერთგულებას. თამაშის მიზანია მძიმე ტყავის ბურთის შეტანა მოწინააღმდეგე გუნდის საზღვარზე, რაც დიდ ძალას, მოხერხებულობასა და გუნდურობას მოითხოვს. ამ შეჯიბრებისას არ არსებობს ცალკეული გმირი – გამარჯვებას მხოლოდ ერთიანობითა და საერთო ძალისხმევით აღწევენ.

ისტორიულად, ქართველი ვაჟები ამ თამაშით წვრთნიდნენ საკუთარ სულსა და სხეულს, რაც შემდგომ ბრძოლებში გამოადგებოდათ. იგი იყო ერთგვარი სამხედრო მოსამზადებელი რიტუალი, რომელიც მომავალ თაობებს გამბედაობას, გამარჯვებისკენ სწრაფვასა და თავგანწირვის უნარს უვითარებდა.

მკვლევართა ვარაუდით, ლელოს ძირძველი თამაში ბურთობიდან მოდის, რომელიც ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება. რაც შეეხება ლელოს გატანას, ის უხსოვარი დროიდან ვაჟკაცობის სინონიმად მიიჩნეოდა და ასეა დღესაც. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ლელოს უმთავრესად სახალხო (რელიგიურ) დღესასწაულებზე გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში თამაშობდნენ. მასში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი მონაწილეობდა. თანამედროვე საქართველოში ლელობურთი კვლავ ინარჩუნებს თავის კულტურულ და სიმბოლურ მნიშვნელობას, თუმცა მისი აქტუალობა უფრო ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ. კერძოდ:

კულტურული თვითმყოფადობა - გლობალიზაციის ეპოქაში, როდესაც ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება სულ უფრო რთული ხდება, ლელობურთი გვახსენებს ჩვენს ფესვებს, იმ ღირებულებებს, რომლებზეც ქართველი საზოგადოება საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა. მისი პოპულარიზაცია და აღორძინება ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის განმტკიცებასა და ქართული კულტურის ცნობადობის ამაღლებას მსოფლიოს მასშტაბით.

გუნდური პრინციპები და ერთიანობა - ლელობურთი არის ერთიანობის, გუნდური ძალისხმევისა და სოლიდარობის სიმბოლო. დღევანდელობაში, როდესაც საზოგადოება ხშირად დაყოფილია სხვადასხვა პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ჯგუფებად, ეს თამაში შეგვახსენებს, რომ ნებისმიერი გამოწვევის გადალახვა მხოლოდ ერთიანობითაა შესაძლებელი. ახალი თაობის დაინტერესება და სასპორტო კულტურა - თანამედროვე სასპორტო ინდუსტრიის პირობებში, როდესაც კომერციალიზაცია ხშირად ჩრდილავს ტრადიციულ ღირებულებებს, ლელობურთი უნიკალური მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სპორტი იყოს არა მხოლოდ ფიზიკური აქტივობა, არამედ კულტურული თვითგამოხატვის ფორმა. მისი პოპულარიზაცია ახალგაზრდებში ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ქართული ტრადიციების ცოდნასა და პატივისცემას.

ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალი – ლელობურთის თამაში, განსაკუთრებით შუხუთის ლელო, დიდ ინტერესს იწვევს უცხოელ ტურისტებში. ამიტომ მისი განვითარება შეიძლება გახდეს საქართველოს ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ხელი შეუწყოს ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებას.

ლელობურთი მხოლოდ წარსულის სახე არ არის – ის ცოცხალი ტრადიციაა, რომელიც დღევანდელობაშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. მისი სათანადო განვითარება და პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს თაობებს შორის კავშირის შენარჩუნებას და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გაუმჯობესებას.

კაცობრიობის მეხსიერებას მრავლად შემორჩა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებმაც სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრებასა და მატიაწეში წარუშლელი კვალი დატოვა. გავიხსენოთ თუნდაც ათენელი ჯარისკაცის - ფიდიპიდეს და ჩვენს წელთაღრიცხვამდე 490 წელს ელადელთა სპარსებზე გამარჯვების ამბავი, მასთან დაკავშირებული ბერძნთა გმირული სულის აღმნიშვნელი კონკრეტული საკუთარი სახელი მარათონი - მეტაფორა. ფრანგი პროფესორ ბრეალის წყალობით, ამბავმა გარკვეული ტერმინოლოგიური შინაარსი შეიძინა - სპორტის სახეობად იქცა, ანუ ახალი სახელისთვის მეტაფორა გახდა საწყისი (დანელია 2023: 19-23).

ცნობილია, რომ მეტაფორა უწინ მეტყველების დამამშვენებელ ენაში ხატოვნების შესაქმნელ საშუალებად, სტილისტურ ხერხად განიხილებოდა. ახლა ის, როგორც სამყაროს აღქმის მოდელი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენაში - სიტყვების ნაკლებობას ავსებს ახლად წარმოქმნილი ცნებების აღსანიშნავად და ტერმინოლოგიის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროდ იქცა (Ивин... 1997). ამ თვალსაზრისით ჩვენთვის ძალიან ნიშანდობლივია ტერმინი ლელობურთი. საქართველოში ლელო სიმბოლურად გამარჯვებას, საბრძოლო ადგილს აღნიშნავდა, ანუ, იმ სივრცეს, სადაც ადამიანები არა მხოლოდ ფიზიკურ ძალასა და სიმტკიცეს ამოწმებდნენ, არამედ სიამაყისა და თავდადების მაგალითებს აჩვენებდნენ, რამაც ხელი შეუწყო ქართული თამაშის - ლელობურთის წარმოშობას.

ლელო საზღვრამდე მისვლას, მიზნის მიღწევას, გამარჯვებას ან ადგილის მოპოვებას ნიშნავს, რაც ლელობურთის თამაშის მიზანს ასახავს: შეჯიბრების მონაწილეები ცდილობენ გადალახონ სხვადასხვა წინააღმდეგობა და „ლელო“ გაიტანონ მოწინააღმდეგე გუნდის მხარეს. ლელობურთი ქართველი საზოგადოების ერთიანობისა და კოლექტიური ძალის სიმბოლოდ იქცა, ხოლო სიტყვა „ლელო“ ქართულ კონტექსტში მხოლოდ სასპორტო თამაშის სახელი არ არის; იგი დიდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებს - ძალისხმევით მოპოვებულ შედეგს გულისხმობს, ამიტომ ლელობურთი არა მხოლოდ სპორტის სახეობაა, არამედ ის ქართული, კერძოდ, გურიის იდენტობის, ტრადიციისა და ენერგიის მაჩვენებელია, გურული ცხოვრების ნაწილია. ლელო მიზნის მიღწევის სიმბოლო გახდა.

ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი ლელოს ბასკების ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევს - ბასკები საბრძოლველად რომ მიდიოდნენ, სწორედ ლელოს ამბობდნენ: „მოსაპარებენი ცდილობენ ბურთის ზღვრამდე

მიტანას. მიღწევას ასრულებენ გამარჯვების ყიჟინით - Lelo (ლელო), ფაქტობრივად, ღვთაების სახელის შეძახილით, ვბედავ ვიფიქრო, ბასკური ღვთაებისა, რომელმაც თავისი სახელი „ლელო“ დატოვა ბასკური ეპოსის უკვე ერთადერთ შემორჩენილ ფრაგმენტში: რომის იმპერატორ ოქტავიანესთან ბრძოლის ფრაგმენტი ასეთი ოთხტაეპიანი ლექსით იწყება: Lelo il Lelo და სხვ“. (მარი 1927: 19).

5. მარის აზრით, ეს სიტყვა თავდაპირველად საბრძოლო შეძახილს წარმოადგენდა, რომელსაც ბასკები ბრძოლაში წასვლისას ამბობდნენ. მკვლევრის ვარაუდით, ქართულ და ბასკურ ტრადიციებს შორის საერთო ფესვები და ისტორიები არსებობდა, ამიტომაც მსგავსი შეძახილები ორივე ხალხის ლექსიკურ ერთეულში დამკვიდრდა.

ცნობილი მკვლევრის შენიშვნა საინტერესო თვალსაზრისია. ლელო, როგორც სიტყვა, უკავშირდება კულტურულ და მითოლოგიურ ასპექტებს, რაც აჩენს კითხვებს მის მნიშვნელობასა და წარმომავლობაზე. ლელო, როგორც ცნება, არა მხოლოდ სპორტულ-სამშობლოებრივ დატვირთვას ატარებს, არამედ ბრძოლის ჟინსა და მხნეობას გამოხატავს. ამის გამო ლელო - როგორც სიტყვა, ისე თამაში - ქართველების მენტალობის განუყოფელი ნაწილია.

დროთა განმავლობაში, ლელოს, როგორც საბრძოლო ადგილის, ფუნქცია შეიცვალა. ეს მეტაფორიზაციის პროცესის შედეგია, რომლის მეშვეობითაც ომი და შეჯახება უფრო მშვიდობიანი, მაგრამ მაინც ენერგიული და პატივისცემით აღსავსე ფორმით განვითარდა: ბრძოლა თამაშად იქცა, ხოლო ველი - სასპორტო არენად. ეს გარდაქმნა არა მხოლოდ ხალხის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას ემსახურებოდა, არამედ - ახალი, საერთო, სასიამოვნო აქტივობის შემოქმედებასაც.

ლელოს სათამაშო სახეობად გადაქცევა სიმბოლოა იმისა, თუ როგორ შეუძლია კულტურას ტრადიციების რეფორმირება ისე, რომ მთავარი იდეა - გამბედაობა და ერთიანობა უცვლელი დარჩეს. ბრძოლის ველი, რომელიც სისხლისღვრის ადგილი იყო, დღეს გაერთიანებისა და ფიზიკური აქტივობის სივრცეა, სადაც ადამიანები არა მარტო ენერგიას ხარჯავენ, არამედ საკუთარ ისტორიას პატივს მიაგებენ.

ეს ისტორიული ტრანსფორმაცია კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია ხალხის მეხსიერებას, გადააქციოს მტკივნეული გამოცდილებები საერთო ეროვნული სიამაყის წყაროდ. ფიზიკური დაპირისპირების, სისხლისღვრისა და ომის სიმბოლო დროთა განმავლობაში მშვიდობიანი, თუმცა მაინც ენერგიული და სიმბოლურად ბრძოლაზე ორიენტირებული თამაშის ფორმად გადაიქცა, თუმცა არ კარგავს თავის ისტორიულ ფესვებს - ძველი კონტექსტი სრულად არ ქრება, არამედ გარდაიქმნება და ახალ ფუნქციას იძენს.

ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.) აღნიშნავდა, რომ მეტაფორიზაცია ქმნის გაგების ახალ გზებს და ადამიანს საშუალებას აძლევს, უცნობი ნაცნობთან გააიგივოს. მეტაფორები გავლენას ახდენს არა მხოლოდ ენაზე, არამედ აზროვნებასა და ქცევაზეც. მაგალითად, ლელოს ბრძოლიდან თამაშად გადაქმნა არის სოციალური მეტაფორიზაციის შედეგი, სადაც ომის სიმბოლო სპორტის საშუალებით მშვიდობიანი

კონკურენციის სიმბოლოდ იქცა, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ მეტაფორა არ არის მხოლოდ ლინგვისტური საშუალება; ის კულტურული პროცესია, რომელიც სამყაროს გაგების ახალ ფორმებს აყალიბებს; ხელს უწყობს კოლექტიური იდენტობის შენარჩუნებას, რადგან ახალი სიმბოლოები კვლავაც ატარებენ იმ ფასეულობებს, რაც წინაპრებმა დააფუძნეს. ლელოს შემთხვევაშიც ძალა, გამბედაობა და ერთიანობა დღემდე ასოცირდება ამ თამაშთან, იმის მიუხედავად, რომ მისი ფუნქცია ძირეულად შეიცვალა; ლელო გადაიქცა ეროვნული სპორტის ელემენტად, მაგრამ ძველი საბრძოლო სულისკვეთება არ დაუკარგავს.

მართალია, ჩამოყალიბების ზუსტი თარიღის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ საუკუნეებგამოვლილ ლელობურთს საქართველოში დღემდე თამაშობენ. მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში ის ყოველი წლის აღდგომის დღესასწაულზე იმართება. ამ თამაშს გურულები 1854 წლის თურქეთთან ომში „შუხუთფერდის“ ბრძოლას უკავშირებენ, რომელიც ნიგოთის ბრძოლის სახელითაა ცნობილი (<https://ka.wikipedia.org/wiki/შუხუთი>). ამ მოვლენის 100 წლის თავზე შუხუთში გაიმართა ლელობურთი. როგორც სოფლის სიძლიერის, სოლიდარობისა და ეროვნული ცნობიერების გამოხატულება, ის უფრო მეტია, ვიდრე სპორტი და ყოველთვის გვახსენებს, რომ ეს არის ეროვნული სიამაყის, მეხსიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დღემდე აერთიანებს საქართველოს.

ტრადიცია ორჯერ დაირღვა: პირველად 1989 წელს გასცდა შუხუთის ლელობურთი გურიის საზღვრებს, როდესაც, 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, ბურთი შუხუთის ცენტრში ააგდეს სიმბოლურად და თბილისში 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან დადეს. გურულმა ლელობურთმა მისამართი მეორედ 2021 წელს შეიცვალა - კოვიდპანდემიისას იგი ბელარუსის ქალაქ ბრესტში ითამაშეს ადგილობრივმა მორაგბეებმა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე სპორტმა და გლობალიზაციამ ტრადიციული ხალხური თამაშები ჩრდილში მოაქცია, ლელობურთი გურიაში კვლავაც ცოცხლობს. იგი განსაკუთრებული კულტურული მოვლენა და ეროვნული იდენტობის გამოხატულებაა. თურქეთთან ომში გამარჯვების აღსანიშნავად ჩატარებული ლელობურთი ამ ტრადიციის განსაკუთრებულ მაგალითს წარმოადგენს, რადგან ის ერთდროულად პატივს მიაგებს ისტორიულ მოვლენას და განაგრძობს თაობათა მეხსიერების დაცვას.

ლელობურთის თამაში გურიაში მჭიდროდ არის დაკავშირებული სოფლის ცხოვრების რიტმსა და ქართულ დღესასწაულებთან. ხშირად ის აღდგომის დღეებში იმართებოდა, რაც ხაზს უსვამს ამ თამაშის რელიგიურ და საკრალურ განზომილებას, სიმბოლურად - ცხოვრების გაცოცხლებასა და სულიერ აღორძინებას. სოფლის მოსახლეობა ერთიანდებოდა, რათა ბუნების ბუნიობა და ახალი ცხოვრების დასაწყისი ეზეიმათ.

საერთოდ, „ზნენი სამამაცონი“ მეტწილად კვირა დღეს იმართებოდა და ეს არ ყოფილა შემთხვევითი. სულხან-საბა ორბელიანი კვირას ასე განმარტავს: „კვირა ეწოდების ერთსა შვიდეულსა, ხოლო პირველსა

დღესა, რომელ არს ერთშაბათი, ბერძნულად ეწოდების კვირიაკე, ხოლო ქართულად საუფლო და მზისა“ (ორბელიანი 1991: 401). შდრ. მეგრული ჟამზა, ანუ **ხეშ დღა** - მზის დღე (ხაზგასმა ჩვენია - ვ.დ.). როგორც ვხედავთ, კვირა ყოფილა საუფლო, საკვირ(ვ)ელი (გასაკვირი) დღე, ანუ, როგორც ამბობენ, უფლის აღდგომის (რუს. воскресение), სიცოცხლის სიკვდილზე, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების დღე, რაც იმის დასტურიცაა, რომ რელიგია საერთო ზნე-ჩვეულებებითაც აერთიანებს ხალხს (დანელია 2021: 122). როგორც ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი ზრძანებს, ხალხის ცხოვრების წესი, ზნეობა უწინ „სულ სიმართლესა და სახარების რიგზე იყო შედგენილი“ (კსხი ფ. 1650).

ლელთბურთის მნიშვნელობა ქართული იდენტობისთვის ყოველთვის გამოიხატებოდა მეზრძოლების სიმტკიცესა და ძალის დემონსტრირებაში. მოთამაშეებს არ ჰქონდათ სპეციალური ეკიპირება, რაც თამაშს კიდევ უფრო მძაფრსა და ფიზიკურად სარისკოს ხდიდა. ეს ასახავდა არა მარტო ფიზიკური სიძლიერის გამოვლენას, არამედ სიმბოლურად ქვეყნისთვის ზრძოლაში მოტივაციისა და საერთო ძალისხმევის ერთიანობას.

ლელთბურთი გურიაში მხოლოდ ფიზიკური ძალის დემონსტრირება არ არის; ეს არის ცხოვრების ფილოსოფიური განწყობის ნაწილი, რომელიც ერთდროულად გამოხატავს ფიზიკურ ძალასა და სულიერ სიმტკიცეს, სათამაშო სულისკვეთებას, რომელიც მოიცავს გუნდურობას, სოლიდარობას და ერთობას. ლელთბურთელები არა მხოლოდ საკუთარ გუნდს ეხმარებიან, არამედ პატივისცემით ეკიდებიან მეტოქეებსაც, რაც გვიჩვენებს გურიის კულტურაში არსებული ურთიერთპატივისცემისა და ჰუმანიზმის ღრმა ფესვებს.

ლელთს თამაშს ერთი განსაკუთრებული წესი ჰქონდა: თუ რომელიმე მოთამაშე წაიქცეოდა, თამაში ჩერდებოდა. წაქცეულს არასდროს ეზრძოდნენ. ასევე, პაექრობისას იკრძალებოდა მოწინააღმდეგის შეურაცხყოფა, გინება. საინტერესო ცნობებს გვაწვდის აპოლონ წულაძე. მისი მოკვლევით, გურიაში ლელთბურთის თამაშის დროს, რომელსაც „გატანიე ბურთსაც“ უწოდებდნენ, გუნდის წევრები როლებს ინაწილებდნენ. „ყველას მიჩენილი ჰქონდა შესაფერისი საქმე: მღლეტელი, გამქცევი, გზის ამრევი, გამქცევის დამცველი, გზა-გზა დამალული შემცვლელი, მარქაფა შემონახული მოთამაშეები და სხვ.“ (წულაძე 1971: 93).

XX საუკუნიდან ლელთს თამაშის წესები შეიცვალა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაგბის წესების ჩარჩოებში მოექცა. სათამაშო მოედანი დაპატარავდა. გუნდში 13-13 მოთამაშეა, აცვიათ ფორმები, ორთაზრძოლას მღვდლის ნაცვლად მსაჯი იწყებს ბურთის ჰაერში აგდებით. შეჯიბრება 60 წუთს გრძელდება, 30-30 წუთიანი ტაიმებით, 15-წუთიანი შესვენებით. ნებადართულია ბურთის გაგორება, გადაცემა ხელით და ფეხით. აკრძალულია ისეთი ილეთების გამოყენება, რომელიც ადამიანს ძლიერ ტრავმას მიაყენებს.

საგულისხმოა, რომ რაგბიც მეტაფორიზაციით მიღებული სასპორტო ტერმინია - XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქის სახელწოდება სპორტის სახეობად იქცა. მისი სახელი წარმოსდგა ინგლისის ქალაქ რაგბის სკოლიდან, სადაც, ლეგენდის თანახმად, 1823 წელს ერთ-ერთმა

მოსწავლემ, უილიამ ვებმა, ფეხით თამაშის დროს ხელში აიღო ბურთი და გარბენით შეაგდო მეტოქის კარში. ამ ერთი შემთხვევით დაიბადა „რაგბი“ - ბურთის ხელით ტარება და გუნდური თამაში. თავდაპირველად მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობით ცნობილი ქალაქის სახელი სპორტის სახეობის სახელად იქცა.

დღემდე დამკვიდრებული მოსაზრებით, საქართველოში რაგბის თამაში 1959 წელს დაუწყიათ. ჩვენი ვარაუდით კი, ქართველებმა სპორტის ამ სახეობას მთელი მეოთხედი საუკუნით ადრე გაუგეს გემო: გაზეთ „ლელო“ წინამორბედ გაზეთ „საქართველოს ფიზკულტურელის“ 1935 წლის 1 ივლისის მე-19 ნომრის მე-2 გვერდზე მივაკვლიეთ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ თბილისის ფიზკულტურის ტექნიკუმში 1935 წელს რეგბის (ამერიკული ფეხბურთის) ორი გუნდი ჩამოუყალიბებიათ (საქართველოს ფიზკულტურელი 1935: №19). თბილისში გამომავალ ჟურნალ „Физкультурник Закавказья“-ს 1935 წლის №4-5-ში კი ფიზკულტურის ტექნიკუმის ეზოში ქართველ მორაგბეთა თამაშის ფოტოა დაბეჭდილი (Физкультурник Закавказья 1935: №4-5).

საგულისხმოა, რომ ამავე გაზეთის 1935 წლის 7 ნოემბრის (ხუთშაბათი) 31-ე ნომრის მესამე გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია სათაურით: „ლელო“, რომელიც გვაუწყებს, რომ „გაიმართა შეჯიბრი - ნაციონალური თამაში „კულაჯური“, ანუ ლელო“... ერთმანეთს შეხვედრიან მახარაძის (ამჟამად, ოზურგეთის) რაიონის სოფლების - ლიხაურისა და გურიანთის კოლმეურნე ლელობურთელები (100-100 მოთამაშე, 3.000 მაყურებელი). ავტორის (კ. სიხარულიძე) ინფორმაციით, „კულაჯური - ეს ახალი შინაარსით გამართული თამაში სპორტისადმი ინტერესის გამაცხოველებელი მოვლენა გახდა“ (საქართველოს ფიზკულტურელი 1935: №31).

ტექსტში გამოყენებულ ტერმინ „კულაჯურს“ ავტორი ლელოსთან აიგივებს, თუმცა ამ სიტყვის მნიშვნელობას ვერსად მივაკვლიეთ. ჩვენი ვარაუდით, ეს სიტყვა შეიძლება აღიქმებოდეს როგორც განსაკუთრებული ტერმინი ან აღნიშნავდეს „ლელოს“ კონკრეტულ სტილს, მეთოდს ან ტრადიციას, რომლებიც ამ თამაშს ახლავს. აქედან გამომდინარე, ხომ არ უნდა იგულისხმებოდეს „კულაშური“, როგორც თამაშის სტილი. თუმცა ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს.

დასტურად სხვა ფაქტსაც დავასახელებთ: ლელობურთს გურულად „გატანიე ბურთიც“ ჰქვია. აპოლონ წულაძის მიხედვით, გატანიე ბურთი ხალხური თამაშობაა, იგივეა, რაც ლელო. „გატანიე ბურთი ნამდვილი მასობრივი სპორტია. ერთი სოფელი მეორეს ეჯიბრება, სოფლის ზემოური მხარე - ქვემოურს, ცოლიანი - უცოლოს, ერთი კუთხის მოსახლეობა - მეორისას, მაგალითად, გურულები და მეგრელები, ხონელები და სამტრედიელები“ (წულაძე 1971: 91)...

დასკვნა

ასე რომ, ამ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის საკვლევი და გასარკვევი, მით უმეტეს, რომ ლელობურთი ცოცხლობს ქართველთა ყოფაში. ამ თამაშმა, როგორც ფიზიკური ძალისა და საზოგადოების ერთიანობის სიმბოლომ, შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა არა მხოლოდ როგორც სპორტმა, არამედ როგორც კულტურულმა მემკვიდრეობამ.

ლელობურთი გვასწავლის, როგორ შეიძლება ხალხის ერთობა, ძალისხმევა და სიყვარული გადაეცეს თაობიდან თაობას და როგორ შეიძლება ტრადიციული თამაში თანამედროვე ცხოვრების მძლავრ კულტურულ ღირებულებით ელემენტად გადაიზარდოს.

დღეს, როდესაც ბევრი ტრადიცია დავიწყებას მიეცა, გურული ლელობურთი აგრძელებს ქართულ იდენტობაზე გავლენას, ნათლად აჩვენებს ჩვენს ღირებულებებს, ძალისხმევასა და შეუდრეკელ სულისკვეთებას.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბარჯაძე 1991 – გ. ბარჯაძე, ლელობურთის ქრონიკები. გამომცემლობა „კიდევაც დაიზრდებიან“. თბილისი, 1991.

დანელია 2021 – ვ. დანელია, სპორტის ჟურნალისტიკის საკითხები. გამომცემლობა შპს „საჩინო“. თბილისი, 2021, გვ. 122.

დანელია 2023 – ვ. დანელია, დიდგორი - ქართული მარათონი?! საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“, ISSN 2346-8300, DOI:<https://doi.org/10.36073/2346-8300>, თბილისი, 2023, №1 (40), გვ. 19-23.

კსხი, ფ. 1650 – ა. ჯამბაკურ-ორბელიანი, ჩოგნაობა ანუ ბურთაობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი 1650.

მერკვილაძე 1921 – გ. მერკვილაძე, ქართული მოძრავი თამაშობანი (N4 საქართველოს შვეარდენთა კავშირი). სახელმწიფო სტამბა, თბილისი, 1921. ორბელიანი 1991 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. თბილისი, „მერანი“, 1991.

საქართველოს ფიზკულტურელი 1935 – გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელი“, თბილისი, 1935, №19, 1 ივლისი; №31, 7 ნოემბერი.

წულაძე 1971 – აპ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია. თბილისი, 1971.

Ивин... 1997 – А.А. Ивин, Никифоров А.Л. Словарь по логике. Москва, Гуманитарный издательский центр ВЛАДОС, 1997. ISBN 5-691-00099-3;

Март 1927 – Н. Март, Из пиренейской Гурии (к вопросу о методе). Тифлис, 1927.

Физкультурник Закавказья 1935 – Газета „Физкультурник Закавказья“, Тбилиси, №4-5, 1935.

<https://ka.wikipedia.org/wiki/შუხუთი>. დამოწმება: 20.05.2024.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9382>

**გურიაში წარმოებული იარაღის
(XIX ს. – XX ს.-ის 20-იანი წლები)
აბრეშუნიის ზოგიერთი საკითხი**

**Some Issues of Attribution
of Weapons Produced in Guria
(19th Century – 1920s)**

ლევან დვალისხილი

ტრადიციული იარაღის
კვლევისა და შენარჩუნების ცენტრი
საქართველო, თბილისი

Levan Dvalishvili

Traditional Arms for Study and Preservation
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

სხვადასხვა წყაროები გურიას (მეზობელ აჭარასთან ერთად) ახასიათებენ როგორც ხარისხიანი იარაღის წარმოების მძლავრ კერას. დასავლეთ საქართველოს შავი ზღვისპირეთის რეგიონში არსებული აჭარა-გურიის იარაღის წარმოების ცენტრი, კავკასიაში თავისი მასშტაბურობით, ასევე, დამზადებული პროდუქციის მაღალი ხარისხით, მხოლოდ თბილისსა და დაღესტანს შეიძლება შევადაროთ.

მიუხედავად ზემოთქმულისა, გურიაში იარაღის წარმოების ისტორია და უშუალოდ აქ დამზადებული იარაღი თითქმის შეუსწავლელია; ნაკლებად არის ცნობილი აქაური იარაღის ინდივიდუალური ნიშნები, მათი ლოკალური სახესხვაობანი, რის გამოც ფერხდება მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცული გურიაში დამზადებული იარაღის გამოვლენა და ზუსტი ატრიბუცია. ამის შედეგია ის, რომ ხშირად გურიაში დამზადებულ იარაღს შეცდომით სხვა რეგიონებს აკუთვნებენ. ფაქტობრივად ჩრდილში დგას ქართული ეთნოგრაფიული ყოფისთვის დამახასიათებელი მატერიალური კულტურული ძეგლების დიდი რაოდენობა, რისი შესწავლაც აუცილებელია და სასწრაფოც.

საბჭოთა კავშირის პერიოდში ისტორიული იარაღის კვლევას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, ან ძლიერ მიკერძოებულ ხასიათს ატარებდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი, კონტროლის არარსებობის პირობებში, საზღვარგარეთ გაიტანეს მოსახლეობაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ხარისხიანი ისტორიული იარაღის (მათ შორის გურიაში დამზადებული) ეგზემპლარები, რამაც მათი

კვლევა ჯერჯერობით შეუძლებელი გახადა, ხოლო მუზეუმების ფონდებში დაცული, არაიდენტიფიცირებული თუ ნაწილობრივ იდენტიფიცირებული იარაღის ნიმუშების კვლევა ბიუროკრატიული მექანიზმებისა თუ სხვა მიზეზების გამო გართულებულია.

გურიაში დამზადებული იარაღის იდენტიფიკაციისა და შემდგომი ატრიბუციისათვის საჭიროა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სადაც ასახული იქნება იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ყველა ნიშანი: კონკრეტული იარაღის დამზადების ისტორიული კონტექსტი, ორნამენტიკა, მოყვანილობა (გეომეტრია), დამღები, წარწერები, დამზადების ტექნიკა, ცალკეული დეტალების განლაგება და ფორმები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს კვლევების წარმართვას, რათა ნათელი მოეფინოს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ საინტერესო მიმართულებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული იარაღი, იარაღის წარმოება გურიაში.

ABSTRACT

Various sources describe Guria, together with neighboring Adjara, as a major center for the production of high-quality weapons. The Adjara-Guria weapons production hub, located in the Black Sea region of western Georgia, rivals only Tbilisi and Dagestan in terms of both scale and the high quality of its manufactured products.

Despite this, the history of weapons production in Guria and the weapons made there remain almost unexplored. The individual characteristics of locally produced weapons and their regional variations are poorly documented, making it difficult to identify and accurately attribute weapons in museum and private collections. As a result, weapons made in Guria are often mistakenly attributed to other regions. This situation leaves largely unexamined a significant portion of material cultural heritage characteristic of Georgian ethnography, the study of which is both necessary and urgent.

During the Soviet period, the study of historical weapons received little to no attention or was conducted with strong bias. After Georgia regained independence, in the absence of proper control, many high-quality historical weapons—some produced in Guria—were exported abroad by private individuals, making their study nearly impossible. Research on unidentified or partially identified weapons preserved in museum collections has also been complicated by bureaucratic mechanisms and other factors.

For the identification and subsequent attribution of weapons produced in Guria, it is necessary to establish a unified information database that includes all indicators essential for identification: the historical context of the weapon's production, ornamentation, proportions (geometry), markings, inscriptions, manufacturing techniques, and the arrangement and shapes of individual components. Such a database would facilitate future research and help shed light on this fascinating aspect of Georgia's material cultural heritage.

Keywords: Georgian cultural heritage, Georgian weapons, weapons production in Guria.

შესავალი

ქართული იარაღის წარმოების ერთ-ერთი მსხვილი ცენტრი მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „აჭარა-გურიის იარაღის წარმოების ზონა“ (რეგიონი) და მოიცავს არა მხოლოდ ისტორიულ გურიას, არამედ - აღმოსავლეთ ჭანეთს, შავშეთის ნაწილს და აჭარას. ამ მხარეში იარაღის წარმოება ცალკეული ლოკაციების სახით არსებობდა, ანუ მეიარაღეთა დასახლებები და სახელოსნოები კომპაქტურად იყვნენ განლაგებული სხვადასხვა ლოკაციებზე, თუმცა ქმნიდნენ იარაღის წარმოების ერთიან რეგიონს.

წარმოდგენილი სტატიის მიზანი არ არის აჭარა-გურიის იარაღის წარმოების ზონის ერთ-ერთ ლოკალურ ცენტრში - გურიაში იარაღის წარმოების ისტორიის მიმოხილვა, რაც განხილული გვაქვს სხვა ნაშრომში (Двалишвили... 2021). აქ შევჩერდებით გურიაში დამზადებული იარაღის იდენტიფიკაციისა და ატრიბუციის ზოგიერთ პრობლემატურ საკითხზე. მოკლედ ვიტყვით იმას, რომ რეგიონი, რომლის უმეტესი ნაწილი 300 წლის განმავლობაში თურქეთის მიერ იყო მიტაცებული, XIX საუკუნეში რუსეთ-თურქეთის ომების ფრონტის ხაზად იქცა, რამაც იარაღზე მოთხოვნა კიდევ უფრო გაზარდა. გურიის ტერიტორია რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის იყო განაწილებული - მისი ქვემო ნაწილი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში იმყოფებოდა, ხოლო ზემო გურია (მდინარე ჩოლოქის ჩრდილოეთით) - რუსეთის იმპერიის.

კვლევის მეთოდები

საკითხზე მუშაობის დროს, პირველ რიგში, გამოყენებულია კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რაც საშუალებას იძლევა გაცილებით ზუსტად იქნეს შესწავლილი რეგიონის ცალკეული ლოკალური ცენტრების თავისებურებები. ამავე დროს, გამოყენებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ლინგვისტური და ხელოვნებათმცოდნეობითი მეთოდები. ასევე, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკურ მეთოდს, რომელიც შესაბამისი ინფორმაციის შეგროვებასა და მისი სამეცნიერო ანალიზის გზით რეგიონში არსებული იარაღის შესახებ თავისებურებების დადგენას ითვალისწინებს. ამ მიზნით შესწავლილ იქნა მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცული ასეულობით იარაღის ეგზემპლარი, გაანალიზდა არაერთი ისტორიული დოკუმენტი და ვიზუალური ანთროპოლოგიის ნიმუში (ფოტო- და ვიდეომასალა, ჩანახატი). ვინაიდან გურია სხვადასხვა კულტურისა თუ სუბკულტურის გადაკვეთის არეალში მდებარეობს, შედარებით-ისტორიული მეთოდის გამოყენებით შესაძლებლობა გვქმნება გურიაში დამზადებული იარაღი განვიხილოთ კულტურათა ურთიერთგავლენის კონტექსტში.

მსჯელობა

გურიაში მოღვაწე მჭედლების შესახებ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ მოგვეპოვება, თუმცა ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად მაინც დავასახელებთ მაგალითებს: 1835 წლის ოსმალური მოსახლეობის აღწერის დავთრის მიხედვით, ქობულეთის ბაზარში ადგილობრივი ხელოსნებიდან მეიარაღე მჭედლები და ოქრომჭედლებიც იმყოფებოდნენ. იმავე დავთრის მიხედვით, სოფლებშიც იყვნენ მჭედლები (İpek 2018: 104). თავის მხრივ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ გურიის

ნაწილშიც ბევრი იარაღის ხელოსანი იყო. 1845 წლისთვის გურიის მაზრაში, ოფიციალურად, 499 ხელოსანი იყო აღრიცხული, მათ შორის იყვნენ მჭედლებიც, ოქრომჭედლებიც. 1859 წლისთვის მხოლოდ ოზურგეთში მუდმივად მყოფი 49 მჭედელი ცხოვრობდა. დაახლოებით იმავე პერიოდის მონაცემებით, ქალაქ ოზურგეთში მყოფი 200 ხელოსნიდან ყველაზე მეტი მჭედელი და დურგალი იყო, ხოლო ქალაქში დამზადებული პროდუქციის დიდ ნაწილს იარაღი და ლითონის ნაწარმი შეადგენდა (იოზაშვილი 1983: 44-50). აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ იმ პერიოდის ოფიციალური სტატისტიკა უმეტეს შემთხვევაში აღრიცხვის გარეშე ტოვებდა სავაჭრო-სამრეწველო დაზებისა და სოფლების მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, რის გამოც მეიარაღეთა მიახლოებითი რიცხვის განსაზღვრაც კი შეუძლებელია, რადგან, რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე, მათი უმეტესი ნაწილი სწორედ ასეთი ტიპის დასახლებებში ცხოვრობდა.

თუ რა სიმაღლეს მიაღწია გურიაში იარაღის წარმოების ხელოვნებამ, იქიდანაც ჩანს, რომ მაგალითად ოზურგეთში, გარდა ადგილობრივი ცეცხლსასროლი იარაღის სახეობებისა, ადგილზე დამზადებულ პიზოდი-მარტინისა და ბერდანის შაშხანის ეგზემპლარებსაც კი შეხვდებოდით (Пиралов 1900: 56, 57; Хатисов 1894: 326).

აჭარა-გურიის რეგიონში მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფისა თუ მენტალობის დიდი მსგავსება დამზადებული იარაღის სტილისტიკაშიც არის ასახული, რა თქმა უნდა, გარკვეული თავისებურებებით. თუმცა იმის გამო, რომ ხსენებულ მხარეში დამზადებული იარაღი დღეის მდგომარეობით ნაკლებად არის შესწავლილი, შესაბამისად, არც ის თავისებურებებია გამოვლენილი, რაც მოცემული რეგიონის სხვადასხვა ლოკაციებზე (მაგალითად, ზემო ან ქვემო გურიაში, მაჭახელას ხეობაში, აჭარის ცალკეულ ხეობებში და ა.შ.) დამზადებულ იარაღს ახასიათებდა. იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს არავითარი დაინტერესება არ გააჩნდა, ხალხში ჯერ კიდევ უხვად არსებული ხარისხიანი იარაღის ნიმუშები მუზეუმების ფონდებში შეეკრიბა და დაეცვა, იარაღის გარკვეული ნაწილი უდიერი მოპყრობის მსხვერპლი გახდა და განადგურდა (ხმლებსა და ხანჯლებს ჭრიდნენ საყოფაცხოვრებო დანებად, ფეხსაცმლის საფხეკებად, ყრიდნენ ნაგავში და ა.შ.). მოგვიანებით, უცხოეთში ანტიკვარებისადმი გაზრდილი ინტერესების გამო, ქვეყნის ფარგლები დატოვა შემორჩენილი ეგზემპლარების დიდმა ნაწილმა. ამას ემატება ისიც, რომ ამ საკითხებით დაინტერესებულ სპეციალისტთა წრეც არ არის ფართო, რის გამოც გურიაში დამზადებული იარაღი არ არის სწორად იდენტიფიცირებული და მიწერილია სხვადასხვა ხალხების (მაგ., ჩერქეზების, თურქების, კაზაკების და ა.შ.) კულტურულ მემკვიდრეობას ან არეულია მათი ატრიბუცია (მაგ., Аствацатурян 2004, 66; Фролов 2009: 212). აღნიშნულის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 2018 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ეგიდით გამოცემული, სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის კოლექციების კატალოგში შეტანილი ხანჯლის ფოტო, სადაც ჩანს, რომ XIX ს.-ის II ნახევრის გურულ-აჭარული ხანჯლის ქარქაშში ჩაგებულია ტიპური დაღესტნური ხანჯალი, როგორც მასიურად იწარმოებოდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, ხოლო ატრიბუტირებულია როგორც „გურულ-აჭარული ხანჯალი, XVIII ს.“ (ანთიძე 2018: 170).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ მუზეუმებში არსებული იარაღის დიდი ნაწილი ან მემორიალურია, ან რაიმე კოლექციის ნაწილია და მუზეუმებში შემთხვევით არის მოხვედრილი. ასეთი ტიპის სამუზეუმო ექსპონატების თავისებურებაა ის, რომ ისინი უფრო მხატვრულად არიან გაფორმებული, მდიდრულად მორთული (სააღლუმე), ან საგანგებოდ კოლექციისთვის დამზადებული, რაც ვერ წარმოაჩენს იმ ეპოქისთვის დამახასიათებელ რეალურ სურათს და ძირითად ისტორიულ კონტექსტს. მდიდრულ იარაღს არც თავის დროზე ფლობდა ბევრი და ისინი ისედაც იშვიათი გამოჩენილები იყო, ხოლო იარაღს, რომელიც უბრალო შემკულობით გამოირჩეოდა, სუფთა პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა და მასიურად იწარმოებოდა, იშვიათად თუ შეხვდებით კოლექციებსა თუ მუზეუმის ფონდებში, რაც კვლევის დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

გურიაში დამზადებული იარაღის გამოსავლენად და ზუსტი იდენტიფიკაციისათვის საჭიროა შევისწავლოთ ის უმთავრესი ელემენტები, რაც ასევე საერთოა სხვა იარაღების იდენტიფიკაციის დროსაც, ესენია: კონკრეტული იარაღის დამზადების ისტორიული კონტექსტი, ორნამენტთა, მოყვანილობა (გეომეტრია), დამღები, წარწერები, დამზადების ტექნიკა, ცალკეული დეტალების განლაგება და მათი ფორმები.

პირველ რიგში, ვსაუბრობთ რა ისტორიულ კონტექსტზე, აქ გასათვალისწინებელია აჭარა-გურიის რეგიონის მდებარეობა და მისი ურთიერთობა როგორც საქართველოს სხვა კუთხეებთან, ასევე, ოსმალეთის იმპერიასთან, რელიგიური, კულტურული თუ ეკონომიკური ექსპანსია, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიის განმავლობაში და გავლენას ახდენდა იარაღის წარმოებაზე, ასევე მის სტილისტიკაზე.

იარაღის იდენტიფიკაციისათვის ხშირად მნიშვნელობა ენიჭება დამზადებისას გამოყენებულ მასალებსაც, მაგალითად ფოლადსა და რკინას, რომლითაც მჭრელი იარაღის პირები, ლულები და სხვა დეტალები მზადდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გურია მდიდარია რკინის საბადოებით, ჯერჯერობით არ არის გარკვეული საკითხი, XVIII-XIX საუკუნეებში მადანს ადგილზე მოიპოვებდნენ თუ არა. გვიან შუასაუკუნეებში ოსმალეთის იმპერიაში რკინა ძირითადად რუმინეთიდან დაბულგარეთიდან შემოდიოდა და იქიდან ნაწილდებოდა მთელს იმპერიაში, მათ შორის „თურქეთის საქართველოშიც“, რომელიც, შარლ დე პეისონელის თქმით, „ძალიან დიდი რაოდენობის“ რკინას მოიხმარდა (Бейденбаум 1875-1877: 279, 280). მოგვიანებით რეგიონში რკინა და ფოლადი შეედითიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან და ბელგიიდან შემოდიოდა (Батум...1906: 381). მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თანდათან იზრდებოდა დასავლეთ საქართველოში რკინის რუსეთიდან შემოტანაც (Бейденбаум 1875-1877: 283). ამდენად, შემორჩენილი იარაღის რკინის ნაწილების ქიმიური ანალიზი ნაკლები ინფორმაციის შემცველი იქნება, რადგან XIX საუკუნეში (და გაცილებით ადრეც) გურია ძირითადად იმპორტირებულ რკინის მასალას მოიხმარდა, მიღებული ლაბორატორიული შედეგები კი არაფრით განსხვავებული არ იქნება სხვა რეგიონების ნიმუშებისაგან, სადაც იმავე წყაროებიდან იღებდნენ ნედლეულს.

აჭარა-გურიის იარაღის წარმოების ზონაში და უშუალოდ გურიაში დამზადებული იარაღის ერთ-ერთი თავისებურებაა დამასკური ფოლადის¹ გამოყენება არა მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის ლულებზე, არამედ მჭრელ იარაღის პირებზეც. ჩვენს ხელთ არსებული პირველადი მონაცემებით, რაც ემყარება მრავალ ოსმალურ იარაღის ნიმუშზე დაკვირვებას, შეიძლება ითქვას, რომ დამასკური ფოლადის გამოყენების ძირითადი ცენტრი, მომიჯნავე ტრაპიზონთან ერთად, სწორედ აჭარა-გურიის იარაღის წარმოების ზონა იყო. ამავე დროს, ტრაპიზონში მეთარაღეთა საგრძნობი ნაწილი ასევე ქართული (ქართველური) წარმოშობის იყო და დიდი ალბათობით იქვე მდებარე აჭარა-გურიის რეგიონიდან იყვნენ გადასული (გოგოლიშვილი 2009: 16-17). რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ცალკეულ შემთხვევებში ოსმალეთის სხვა რეგიონებიდან იყვნენ დამასკური ფოლადის იმ სახეობას (Акташтыр 2002: 111-170), რაც აჭარულ-გურულ იარაღზე გვხვდება (ე.წ. „თურქული გრეხილი“ ინგ. Turkish Twist), თუმცა ამ ტექნოლოგიის ძირითადი ბირთვი მაინც აჭარა-გურიის რეგიონია, სადაც დამასკური ფოლადის გრეხილი სახეობების ძალზედ ხარისხიანი ვარიანტები არსებობდა. აქვე აუცილებლად ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ სტამბულში, გალათის რაიონში, ქართველი მეთარაღე ხელოსნების კომპაქტური დასახლება არსებობდა (Dallegio 2003: 18). შესაბამისად, სამომავლოდ აუცილებლად გამოსავლენია არა მხოლოდ მათი რეგიონალური წარმოშობა (დიდი ალბათობით აჭარა-გურიიდან გადასული ოსტატები იყვნენ), არამედ მათ მიერ დამზადებული პროდუქციის გავლენა საერთოდ ოსმალურ იარაღზე.

აჭარა-გურიის რეგიონის იარაღის იდენტიფიკაციის ერთ-ერთი ელემენტი ოსტატის დამლენია. სპეციფიკად შეიძლება მივიჩნიოთ დამლის მომრგვალო (ხშირად ცალ გვერდზე წაგრძელებული ან წანაზარდით) ფორმა, ჩამოჰგავს ქვევრს (ან ჭარხალს) ჭრილში. ასეთ დამლებს უსვამდნენ ერთს ან ორს და მათ დიდ ნაწილს არაბული ასოებით ოსტატის მუსლიმური სახელიც აწერია, რაც ბუნებრივია, თუკი რეგიონში გავრცელებული ისლამის გავლენას გავიხსენებთ. აჭარა-გურიაში 1820-იანი წლებიდან ისლამიზაციისა და თურქული ენის გავრცელების პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც ოსმალების მიერ ახალ სოციალურ, საგადასახადო სისტემების შემოღებას და რეფორმებს („თანზიმატი“) უკავშირდება (ზარამიძე 2010: 8-26). შემორჩენილი აქაური იარაღის უმეტესი ნაწილი სწორედ XIX საუკუნისაა.

გურიაში დამზადებული საჭურველის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, იარაღის მოყვანილობას, განსაკუთრებით მჭრელი იარაღის პირისა და ცეცხლსასროლი იარაღის ზოგად ფორმებს. შესაბამისი მასალების არარსებობის გამო ჯერჯერობით რთულია მსჯელობა გრძელპირიანი ცივი იარაღის (ხმლის) ადგილობრივ დამზადების ტრადიციებზე. რეგიონის მუსლიმურ ნაწილში ხმლები

¹ დამასკური ფოლადი – ფოლადის მასალა, რომელიც მიიღება სხვადასხვა შემცველობის ფოლადისა თუ რკინის ფირფიტების, მავთულების, ხვიების ერთმანეთთან შეგრეხვისა და სამჭედლო შედუღების, ჭედვის გზით. ასეთი ფოლადისგან დამზადებულ ნივთებს ზედაპირზე გააჩნიათ ტალღისებური, სიმეტრიული ან ასიმეტრიული ზოლოვანი ნახატი, თავისებური ნაყმი.

ნაკლებად იყო გავრცელებული, მათ მაგივრობას სწევდა იატაგანები და გრძელი ხანჯლები.

მჭრელი იარაღის ის ტიპი, რომელიც თანამედროვე კოლექციონერთა შორის „ლაზური იატაგანის“ (ან „ლაზურიდანის“ – „ლაზბიჩაღი“-ს) სახელით არის ცნობილი, ძირითადად გავრცელებული იყო ოსმალეთის ზღვისპირა ქართულ პროვინციებში, რაც თანხვედბა აჭარა-გურიის იარაღის წარმოების ზონას და მისი წარმოშობაც ხსენებულ რეგიონს უნდა დავუკავშიროთ. ეს იარაღი წარმოადგენს გარდამავალ ტიპს იატაგანებსა და დანებს შორის. გააჩნიათ უმეტესად შავი ფერის, ორკაპა ტარი, ვიწრო, მოხრილი პირი (ყოველთვის ალესილია მოხრილი პირის გარეთ მიმართული, გაზნექილი მხარე), ტარზე ხშირად დახვეულია ტყავის თასმა ხელის მოსაკიდებელ ადგილზე. პირების ძალზედ მრავალფეროვანი ფორმები არსებობს – თითქმის სწორიდან მკვეთრად მოხრილამდე, ღარების სხვადასხვა ვარიაციით. სიგრძითაც სხვადასხვანაირია, უმცირესი ეგზემპლარები დაახლოებით 30 სმ. ქარქაში წარმოადგენს ხის, ტყავადაკრულ ოვალური ფორმის კაბურას, რომელიც სხვადასხვა ფერისაა (მოყვითალო, მოწითალო, ღია ყავისფერი, მუქი შავი და ა.შ.). ქარქაშს გააჩნია მეტალის ანდა ტყავის თასმებისაგან დაწნული დეტალები. თვითონ ტერმინი „ლაზური იატაგანი“ ძალზე პირობითია, თანამედროვეთაგან მოფიქრებულია და არ ასახავს რეალობას, რადგან მისი მიკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ლაზებზე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს², არც წყაროებით დასტურდება. იმის გათვალისწინებითაც, რომ ტრაპიზონისკენ მასიურად იატაგანების სულ სხვა ტიპი გვხვდებოდა, უმეტესად მარჯნის თვლებით მორთული ტარითა და ქარქაშით, პირისა და ტარის გეომეტრიაც სხვანაირია. დასასრულ, უნდა ითქვას, რომ საკითხი დამატებით კვლევას მოითხოვს, თუმცა, პირველადი მონაცემებით, განხილული მჭრელი იარაღის ტიპი აჭარა-გურიის რეგიონში წარმოიშვა (რომელიც ასევე მოიცავდა აღმოსავლეთი ლაზეთის ნაწილს), აქ იწარმოებოდა და მთელს რეგიონში იყო გავრცელებული. ამდენად, სასურველია დამკვიდრდეს ტერმინი, რომელიც სრულად (და ზუსტად) ასახავს მისი წარმოშობის და გავრცელების მთლიან რეგიონალურ არეალს და არა მხოლოდ მის მცირე ნაწილს. დანებთან დაკავშირებით, უნდა ითქვას ისიც, რომ გურიაშივე გვხვდებოდა ცალპირ ლესული დანის ის სახეობა, რომელსაც თანამედროვე კოლექციონერები შეცდომით „ბაბას ყამას“ ემახიან³ და ასევე მთელს რეგიონში იყო პოპულარული (Дვალიშვილი...2021: 42-50). გურიაშივე ბოლო დრომდე შემორჩა საერთო დასავლურ ქართული ტიპის წელსაკიდი დანა, რომლის გავრცელების არეალი მთელს დასავლეთ საქართველოს მოიცავდა და XIX საუკუნის რუსულ წყაროებში ხშირად

² კოლექციონერებს შორის გავრცელებული ლეგენდით, თითქოსდა ამ ტიპის იარაღს ატარებდნენ ლაზი მეზღვაური მეკობრეები. ამავე დროს, თურქულ სივრცეში შეინიშნება ტენდენცია მას „შავი ზღვის იატაგანი“ („ქარადენიზ იატაღანი“) უწოდონ.

³ ტერმინი „ბაბას ყამა“ ეთნოგრაფიულად საერთოდ არ არის დადასტურებული და, სავარაუდოდ, აღებულია აჭარაში გავრცელებული განდაგანას სიმღერის ტექსტიდან: „დემესიენ ჯიბგირები, გამახსენდა ბაბას ყამა, გავკარი და გამოვკარი, დოუარე განდაგანა“, თუმცა რეგიონში „ყამა“ ეწოდებოდა ხანჯალს და არა დანას (ბაბას ყამა ანუ მამისეული ხანჯალი აჭარულ დიალექტზე). ტექსტის ზოგ ვარიანტში „ყამას“ ნაცვლად „დანა“ იხსენიება, თუმცა ვერც ამ შემთხვევაში გამოდგება ეს ლექსი წყაროდ, რადგან არაფრით დგინდება, ლექსის თავდაპირველი ვარიანტის ავტორს მამისეული რომელი ტიპის დანა ჰქონდა მხედველობაში.

„იმერულ დანასაც“ უწოდებდნენ. ამ ტიპის დანებს გურიაშიც დიდი რაოდენობით ამზადებდნენ და აქ მისი დამზადების ცოცხალი ტრადიცია XX საუკუნის ბოლო წლებამდე იყო შემორჩენილი.

გურიას უნდა დავუკავშიროთ ორიგინალური ფორმის დიდი სატევარი, რომელიც ჩაქურას სარტყელში მაგრდებოდა და გამოირჩევა ოთხკუთხა მოყვანილობის მსხვილი ტარით, პირის ზღაგვი კუთხით დაბოლოებით და ქარქაშზე რკინის ბუნიკით (Двалишвили...2021: 52-54). ამ სატევრებს აქვთ სხვადასხვა რაოდენობისა და სირთულის ღარები. ხშირად ღარებში ემჩნევათ დამასკური ფოლადისთვის დამახასიათებელი ნაყმი. მსგავსი ტიპის სატევრები გააჩნიათ ძველ ფოტოებზე აღბეჭდილ გურულ ტიპაჟებს. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, პირველადი მონაცემების მიხედვით, ოთხკუთხა დაბოლოების ტარები დასავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული ადრევე. სწორედ დასავლურქართული ხანჯლის ეს ტიპი უნდა გამხდარიყო პროტოტიპი იმ ხანჯლებისათვის, რომლებიც 1840-იან წლებში მეფის რუსეთის მიერ იქნა შავიზღვისპირეთის (მოგვიანებით ყუბანის) კაზაკებისთვის დამტკიცებული (Фролов 2009: 205-215).

გარდა ზემოხსენებული სატევრის პირებისა, რომელთა თავისებურება სიფართო და ზღაგვი წვერია, გურიას შეიძლება დავუკავშიროთ ხანჯლის პირების მეორე ტიპიც, რომლებსაც შეცდომით ჩერქეზულად მიიჩნევენ. ისინი უღაროა, ანუ ქედიანი (ზურგიანი), თავისებურად ჩამოჰგავს იმერულ-მეგრულ ხანჯალს, თუმცა ამ უკანასკნელს გაცილებით ვიწრო პირი აქვს და უფრო სოლისებური მოყვანილობა, ხოლო ჩვენ მიერ განსახილველ ხანჯლის ტიპს შედარებით ფართო პირი აქვს და ის არ არის მკვეთრად სოლისებური, ამავე დროს, უმეტესად მოკლე ან საშუალო სიგრძისაა. ტარის სიახლოვეს პირზე არსებული ქედი წყდება და იქ მოედანია (კარტუში) ან მცირე ღარი იწყება (სხვადასხვა ვარიანტებით). ხშირად ამ ადგილზე, სადაც ქედი მთავრდება და კარტუში ან მცირე ღარი იწყება, აქვს დამლა, უმეტესად მრგვალი ან ხუთკუთხა წაგრძელებული ფორმის, რომელიც ჩამოჰგავს თოფის ლულაზე არსებულ დამლეს. ერთი მსგავსი ტიპის ხანჯალი, წარწერით: „აზნაური ანთიმოზ ბერიძე“ დაცულია რუსეთში, კერძო კოლექციაში⁴.

კიდევ ერთი ელემენტი, რომლითაც შესაძლებელია გურიაში დამზადებული იარაღის ზუსტი იდენტიფიცირება, არის წარწერები. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქვემო გურიაში, მსგავსად ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონებისა არაბული ანბანით შესრულებული წარწერები უფრო იყო გავრცელებული. რაც შეეხება ზემო გურიას (გურიის ქრისტიანულ ნაწილს), აქ ქართული წარწერებიც გვხვდება, თუმცა არ გამოირჩევა არაბულ ანბანზე წარწერების შესრულება იარაღის საექსპორტო ვარიანტების შემთხვევაში და დამკვეთის სურვილისამებრ. წარწერით იარაღის იდენტიფიცირების მაგალითად შეიძლება დასახელდეს ლანჩხუთელი მიხეილ კვაჭაძისა და ოზურგეთელი ამბაკო კვაჭაძის მიერ დამზადებული დამბაჩები, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში. მათ გააჩნიათ წარწერა ქართულ ან რუსულ ენაზე (ოსტატის მოხსენებით) და კონკრეტული თარიღი (Двалишвили...2021: 62-61). ამ დამბაჩების სტილისტიკისა და

⁴ <https://www.caucasianarms.com/collection/exhibit/kinzhal-tipa-kama-1>

ცალკეული დეტალების შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს, იმ პერიოდის გურიაში გავრცელებული დამბაჩების შესახებ შევავსოთ მონაცემები და მათი მიხედვით მოვახდინოთ ისეთი დამბაჩების იდენტიფიცირება, რომლებსაც კონკრეტული წარწერები არ გააჩნიათ, თუმცა ნიშან-თვისებებით ემსგავსებიან ზემოხსენებულ დამბაჩებს.

დასკვნა

რა თქმა უნდა, რთულია, სრულად ამოვწუროთ გურიაში დამბა-
დებული იარაღის იდენტიფიცირებასა და სწორ ატრიბუციასთან დაკავში-
რებული ყველა საკითხი, რადგან განხილული რეგიონი იარაღის პროდუქციის
მრავალფეროვნებითა და თვითმყოფადობით გამოირჩევა. პირველ ეტაპზე
აუცილებელია მოხდეს ძირითადი კრიტერიუმების შემუშავება, რომელიც
სამომავლოდ საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ გურიაში წარმოებული
იარაღის ტიპები, რასაც პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც
სამუზეუმო საქმისათვის (ექსპონატების ზუსტი ატრიბუციისათვის), ასევე,
ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

- ანთიძე 2018 – სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი: ალექსანდრე
ყაზბეგი, მთავარი რედაქტორი ნ. ანთიძე. თბილისი, 2018.
- ბარამიძე 2010 – რ. ბარამიძე, ისლამის გავრცელების ისტორიიდან აჭარაში.
ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში. ბათუმი, 2010.
- გოგოლიშვილი 2009 – ო. გოგოლიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო
უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებში. თბილისი, 2009.
- იოზაშვილი 1983 – გ. იოზაშვილი. დასავლეთ საქართველოს ქალაქები XIX
საუკუნის რეფორმამდე პერიოდში. თბილისი, 1983.
- Аствацатурян 2002: – Э. Г. Аствацатурян, Турецкое оружие, СПб., 2002.
- Аствацатурян 2004 – Э. Г. Аствацатурян., Оружие народов Кавказа. СПб., 2004.
- Батум ...1906 – Батум и его окрестности: К 25-летию присоединения гор. Батума
к Российской империи; Батумское городское общественное управление, Батум,
1906.
- Вейденбаум 1875-1877 – Е. Г. Вейденбаум, Заметки об употреблении камня и
металла у кавказских народов // ИКОРГО. Т. 4. № 5. Тифлис, 1875-1877.
- Двалишвили 2021: – Л. Б. Двалишвили, Талантов С. В., О производстве оружия
в Аджарии и Гурии в XVIII-XIX веках, Историческое оружиеведение. № 11,
2021.
- Пиралов 1900 – А.С. Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа,
Тифлис, 1900.
- Фролов 2009: – Б.Е. Фролов, Холодное оружие кубанских казаков, Краснодар,
2009.
- Хатисов 1894: – К. Хатисов, Кустарные промыслы Закавказского края. Отчеты
и исследования по кустарной промышленности в России. Т. II. СПб., 1894.
- Dallegio 2003: – Dallegio d'Alessio E., İstanbul Gürcüleri. İstanbul, 2003.
- İpek 2018: – N. İpek Türk - Rus Sınır Düzenlemesi ile ilgili Bir Layiha. Uluslararası
TürkGürcü İlişkileri Sempozyumu, Türk-Gürcü ilişkilerinin kaynakları. Trabzon, 2018.
<https://www.caucasianarms.com/collection/exhibit/kinzhal-tipa-kama-1> (დამოწმება:
25.01.2025).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9383>

**ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა
დაპირისპირება ქართველთა შორის
1924 წლის აჯანყების მზადების პერიოდში**

**The Confrontation Between National and
Anti-National Forces in Georgian Studies
during the Preparations for the 1924 Uprising**

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Iamze Vashakidze
University of Caucasus
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია რუსული პოლიტიკის მსახურთა თავდასხმები ქართული მეცნიერების წარმომადგენლებზე 1924 წლის ცნობილი აგვისტოს აჯანყების მზადების პერიოდში. დაპირისპირებამ ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა შორის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ინტელექტუალურ ველში, კერძოდ:

1. ხელისუფლების პოზიციის საპირისპიროდ, ვლინდება მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთსულოვნება დამოუკიდებელი, პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი ქართველოლოგიური კვლევის განვითარებაში – ორიენტირება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა:

- ქართულ სიძველეთა შესწავლის ფართო საერთაშორისო სამეცნიერო ველში გატანა;

- უცხოელ / ამერიკელ / მეცნიერთა დაინტერესება-მოზიდვა არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილებში (მცხეთასა და ნაქალაქევში);

- ზრუნვა ქართული უნივერსიტეტის გაძლიერებისათვის – ეროვნულად განწყობილ პროფესორთა შემოკრებისათვის ქართულ უნივერსიტეტში.

2. ქართული მეცნიერების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენია მეცნიერებათა აკადემია, კერძოდ, მისი ავტორიტეტული წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველი მეცნიერი ნიკო მარი, რომლის საპროტესტო გამოსვლის შედეგად ჩაიშალა ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია მცხეთასა და ნაქალაქევში.

3. მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა ხელისუფლების ინტერესთა სრულ თანხვედრას მოწმობს 1924 წლის პრესაში „ჩვენის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც აისახა საბჭოთა ხელისუფლების პოზიციის რამდენიმე ასპექტი:

- აშკარაომისგამოცხადებაეროვნულიმეცნიერებისწარმომადგენელთა წინააღმდეგ;

- მხარდაჭერა ბოლშევიკური იდეოლოგიის სამსახურში მყოფი მეცნიერისა;

- საბჭოთა იდეოლოგია არჩევანს არ უტოვებს განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებიც, ნებით თუ უნებურად, სახელისუფლებო მანქანის ნაწილად არიან ქცეული.

4. უნივერსიტეტის პროფესორები იღებენ გამოწვევას ქართული მეცნიერებისათვის ბრძოლაში; ივანე ჯავახიშვილმა ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის სახელით მომზადებულ საპასუხო წერილში ამხილა როგორც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერი – ნიკო მარი, ისე მისი პოლიტიკური მხარდამჭერი ხელისუფლება, რომელმაც მომდევნო წლებში უფრო გაამძაფრა ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისა და ეროვნულად განწყობილი პროფესურის წინააღმდეგ.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, ვფიქრობთ, გარკვეულ დახმარებას გაუწევს საბჭოთა ქართველოლოგიაში მომუშავე დარგის სპეციალისტებსა და დაინტერესებულ პირებს.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიზებული ქართველოლოგია, საბჭოთა იდეოლოგია, ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის ურთიერთობა.

ABSTRACT

This article examines the attacks by agents of Russian policy against representatives of Georgian scholarship during the preparations for the well-known August 1924 uprising. The confrontation between national and anti-national forces was particularly acute within the intellectual sphere, specifically:

1. In opposition to the official authorities, members of the leading Georgian intelligentsia demonstrated unity in advancing independent Georgian studies free from political influence, focusing on key issues such as:

- Promoting research on Georgian antiquities within a broad international scientific framework;

- Attracting foreign, especially American, scholars to conduct archaeological excavations at historically significant sites, such as Mtskheta and Nakalakhevi; Strengthening Georgian universities by recruiting nationally minded professors.

2. The Soviet authorities relied on the Academy of Sciences to counter Georgian scholarship, notably through the influential Georgian scientist N. Mari, whose protest

led to the cancellation of the American archaeological expedition at Mtskheta and Nakalakhevi.

3. The complete alignment of the Academy of Sciences with Soviet authorities is evidenced by a 1924 article published under the pseudonym “Chvenis” (“Ours”) in the press, which reflected several aspects of the Soviet position:

- Open hostility toward representatives of national scholarship;
- Support for scholars serving Bolshevik ideological interests.
- Soviet ideology left no choice for individuals of exceptional talent, who, willingly or unwillingly, became part of the state apparatus.

4. University professors accepted the challenge of defending Georgian scholarship. In a response prepared on behalf of the Tbilisi University administration, Ivane Javakhishvili exposed both the scholar Niko Mari, hostile to Georgian cultural and educational initiatives, and his political supporters in the authorities, who in subsequent years intensified the struggle against Tbilisi University and the nationally minded faculty.

The conclusions drawn from this research, we believe, will provide valuable insight for specialists and interested parties working in the field of Soviet Georgian studies.

Keywords: Politicized Kartvelianology, Soviet ideology, the relationship between Niko Mari and Ivane Javakhishvili.

შესავალი

ცნობილია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები გარკვეულ გავლენას ახდენს მეცნიერებისა და კულტურის მდგომარეობაზე; ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ქართველოლოგიაში შექმნილი ვითარება XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს უაღრესად დაძაბულ პერიოდში, როდესაც, რუსული მპერიული წნეხის საპირისპიროდ, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი ეროვნული ძალები ემზადებოდნენ 1924 წლის აჯანყებისათვის.

ჩვენი მიზანია იმ დაპირისპირების წარმოჩენა, რომელმაც, აღნიშნული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად, თავი იჩინა ინტელექტუალურ ველში; როგორც ირკვევა, ხელისუფლების მხრიდან 1924 წლის აჯანყების მონაწილეთა პოლიტიკური ანგარიშსწორების ადეკვატური იყო ამავე პერიოდის სამეცნიერო სფეროში არსებული ვითარებაც – ხელისუფლების აგრესიული დამოკიდებულება ქართველ მეცნიერებთან, რის საფუძველზეც პირობები მომზადდა სამომავლოდ მათი დევნა-შევიწროებისათვის.

კვლევის პროცესში ჩვენი მთავარი დასაყრდენი იყო ჩემი და პროფ. ტ. ფუტყარაძის თანაავტორობით მომზადებული წიგნი „ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმა 1917-1935 წლებში“ (2011), რომელშიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლის – ნიკო მარისა და ქართული

უნივერსიტეტის დამაარსებლის – ივანე ჯავახიშვილის დაპირისპირების ფონზე ასახულია იმპერიული ძალებისა და ეროვნული ტენდენციების მატარებელი ქართული მეცნიერების ურთიერთშეუთავსებლობა. უშუალოდ 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე და მათ წინააღმდეგ მიმართული სახელისუფლებო ძალების დამოკიდებულების წარმოსაჩენად შევარჩიეთ პროფესორების: ვ. გურულის, მ. ვაჩნაძის და ლ. ჯიქიას ნაშრომები.

მეთოდები

კვლევის პროცესში ძირითადად გამოვიყენეთ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში (სუიკა) დაცული დოკუმენტები, ასევე – საგაზეთო პუბლიკაციები; გავეცანით შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას. საარქივო კვლევისა და სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ პოზიციათა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე შევიმუშავეთ ნაშრომის დასკვნითი დებულებები.

მსჯელობა

ქართველ მეცნიერთა მიმართ საბჭოთა ხელისუფალთა დამოკიდებულებაზე ზოგადად წარმოდგენას გვიქმნის სშსსა-ში დაცული ცნობა: ს. ორჯონიკიძის შეფასებით, „ქართველი ინტელიგენტი ჯერჯერობით მათი [საბჭოთა ხელისუფლების] ინტერესების გამტარებელი არ იყო (სშსსა (III), ფონდი №14, აღწერა 2, საქმე 41, ფურცელი 59; დამოწმ. ჯიქია 2012: 40); რუსეთ-საქართველოს ომის დროს უნივერსიტეტის პროფესორისა და სტუდენტების პოზიციის გამო დაისვა კიდეც უნივერსიტეტის დახურვისა თუ „ძირფესვიანი“ „წმენდის“ საკითხი (იქვე).

1924 წელს მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა აღნიშნული პერიოდის ქართველოლოგიური მუშაობისთვის დამახასიათებელი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორი: ერთი მხრივ – საბჭოთა რეჟიმის ბრძოლა დამოუკიდებელი, პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი ქართველოლოგიური კვლევების წინააღმდეგ, ხოლო მეორე მხრივ – ქართული მეცნიერების განვითარებაზე ორიენტირებულ ეროვნულ ძალთა ერთსულოვნება და საპასუხო რეაქცია.

როგორც ცნობილია, ზაჰესის მშენებლობის გამო (1923 წლიდან) გაჩნდა ისტორიული ტერიტორიის წყლით დაფარვის საშიშროება; მკვლევრისა და პოლიტიკოსის – ზ. ავალიშვილის იგ. ჯავახიშვილისადმი 1924 წლის 16 თებერვალს პარიზიდან მოწერილი წერილი ცხადყოფს ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ ძალთა აქტიურ დაინტერესებას მშობლიური ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების თანამედროვე სტანდარტებით განვითარების საქმეში; ზ. ავალიშვილის მიზანი იყო „საქართველოს სიძველეთა გამოკვლევის“ საერთაშორისო სამეცნიერო ველში გატანა, კერძოდ, ამერიკელ არქეოლოგთა ჩამოყვანა საქართველოში, რისთვისაც დაკავშირებოდა ნაქალაქევში საარქეოლოგიო მუშაობის მოსურნე პირს, დაახლოებულს პენსილვანიის (ამერიკა) უნივერსიტეტთან, ცნობილს

„თავისი საარქეოლოგიო მუშაობით მესოპოტამიაში, ეგვიპტეში და პალესტინაში“ (ჯავახიშვილის ფონდი №1588)¹.

ივ. ჯავახიშვილისა და ზ. ავალიშვილის მიმოწერა აშკარად მოწმობს მოწინავე ინტელიგენციის ზრუნვას ემიგრაციაში მყოფ მკვლევართა შემოკლებისათვის ქართულ უნივერსიტეტში: ივ. ჯავახიშვილის 1924 წლის 30 აპრილის წერილის პასუხად გამოგზავნილ 20 მაისის წერილში ზ. ავალიშვილი მადლობას სწირავს ივ. ჯავახიშვილსა და შ. ნუცუბიძეს, რომ ზრუნავენ მისი საქართველოში დაბრუნებისა და უნივერსიტეტში დასაქმებისათვის, თუმცა ამას შეუძლებლად მიიჩნევს ამერიკელთა ექსპედიციის საკითხის გარკვევამდე (ჯავახიშვილის ფონდი №1589).

ზ. ავალიშვილისათვის აშკარაა საბჭოთა იმპერიის შინაური ატმოსფერო, რომ ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიციის ნებართვისათვის „მოსკოვის მთავრობის თანხმობაზე“, შესაძლოა, უარყოფითად ემოქმედა რუსეთის აკადემიის დასკვნას. მართლაც, პრესაში ინფორმაციის გახმაურებისთანავე, დაიბეჭდა მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის – აკად. ნ. მარის საპროტესტო განცხადება (ჯავახიშვილის ფონდი №2988), რომლის საფუძველზეც აღნიშნული ექსპედიცია ჩაიშალა. წარმოვადგენთ საპროტესტო განცხადების ტექსტს ჩვენი თარგმანით²:

РСФСР

Нар.Ком.Просв.

К главнауку Наркомпроса

Росс. Акад.

Инст. Мат. Культуры

Ленинград

9/IV-24; N 1241

Совет Российской Академии Истории Материальной Культуры, осведомившись из хроники Тифлисской газеты “Заря Востока” /25 марта 1924г. N 534/ о том, что в Грузии, Союзной Республике, СНК по докладу НКпроса удовлетворил ходатайство “Пенсильванского /Америка/ университета о разрешении на производство научной исследовании в Накалакеве и Мцхете”, не может не выразить своего глубокого сожаления, что из-за неурегулированности взаимоотношений научных учреждений и организаций союзных республик передать исследованием таких ответственных в археологическом отношении пунктов, как Мцхета и Накалакеви /Археополис/ американцам, 167

абсолютно неизвестном по знаниям кавказоведных и яфетодологическим, представляется более целесообразным, чем доступ соответственных тем же заданиям научных сил из Союзной России.

¹ აღნიშნულ წერილს დართული შენიშვნიდან (P.S.) ირკვევა, ზ. ავალიშვილს, ასევე გარკვეული პირები დაეინტერესებია ახლად აღმოჩენილი პალიმფსესტებით და უნივერსიტეტს სთავაზობდა ფინანსური დახმარების შესაძლებლობას ტექსტების აღსადგენად (წაკითხვა, დამუშავება) და Fac-Simile-ებით დასაბეჭდად, ივ. ჯავახიშვილის „ქართული პალეოგრაფია“ გამოიცა 1926 წელს, მეორე შევსებული რედაქცია - 1949 წელს - ი.ვ.).

² ხაზგასმა ჩვენია - ი. ვ.

Мне лично хотелось бы верить, что это не вполне точное
сообщение, насколько это невероятно варварское предприятие.

Председатель Академии /

Управляющий делами /

რსფსრ³

რუსეთის აკადემიის განათლების სახკომის თავ-რეს

მატერ. კულტ. ინსტიტუტი

ლენინგრადი

9/IV-24; N 1241

რუსეთის აკადემიის მატერიალური კულტურის ისტორიის საბჭომ თბილისურ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ /25 მარტი, 1924 წ. N 534/ ქრონიკიდან შეიტყო, რომ საქართველოში, საკავშირო რესპუბლიკაში, საბჭოთა სახალხო კომისარიატმა, განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენების საფუძველზე, დააკმაყოფილა პენსილვანიის /ამერიკა/ უნივერსიტეტის შუამდგომლობა ნაქალაქევსა და მცხეთაში სამეცნიერო გამოკვლევების ჩატარების ნებართვაზე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საბჭოს არ შეუძლია არ გამოხატოს თავისი ღრმა სინანული, რომ საბჭოთა რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ურთიერთობის მოუწესრიგებლობის გამო, არქეოლოგიური თვალსაზრისით საპასუხისმგებლო პუნქტების – მცხეთისა და ნაქალაქევის /არქეოპოლისი/ – კვლევა კავკასიათმცოდნეთა და იაფეტიდოლოგთათვის სრულიად უცნობი ამერიკელებისათვის უფრო მიზანშეწონილად ითვლება, ვიდრე საბჭოთა რუსეთის ამავე ამოცანების მქონე სამეცნიერო ძალათვის.

მე პირადად მინდა მჯეროდეს, რომ ეს მთლად ზუსტი ცნობა არ არის, რამდენადაც დაუჯერებლად ბარბაროსული ღონისძიებაა.

აკადემიის თავმჯდომარე /

საქმეთა მმართველი /

განცხადებიდან ჩანს, რომ ნ. მარმა „თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა და პოლიტიკური გავლენა... გამოიყენა და მცხეთისა და ნაქალაქევის არქეოლოგიური გათხრების საკითხი თბილისის უნივერსიტეტის მიმართ პოლიტიკური დაპირისპირების თემად აქცია“ (ფუტკარაძე... 2011: 156).

სამეცნიერო ძალთა ერთგვარ გადანაწილებას მოწმობს ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის პირადი მიმოწერა: ნ. მარის 1901 წლის 25 ნოემბრისა და 1902 წლის 4 იანვრის წერილებში იგრძნობამისი აღშფოთება ივ. ჯავახიშვილის პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობისას შექმნილი ისტორიულ-სამართლებრივი ნაშრომით – „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ (1901) – ავტორის „შეუწოდებელი სტრიქონების“ გამო, რომლებსაც ივ. ჯავახიშვილის მოწონება დაემსახურებინა (მარი... 1996: 20-21, 14). შესაძლოა, ამ ფაქტმა გარკვეულწილად იმოქმედა კიდევ მოგვიანებით მცხეთის არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

³ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა.

უდავოდ გასათვალისწინებელია, რომ 1924 წლის საპროტესტო განცხადება იყო მეცნიერებათა აკადემიის სახელით ნ. მარის მორიგი ამხედრება ქართველ მეცნიერთა წინააღმდეგ; ამას წინ უძღოდა არანაკლებ მძაფრი 1917 და 1923 წლების მოვლენები, კერძოდ: ნ. მარის მოხსენება ქართული უნივერსიტეტის დაარსების წინააღმდეგ 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში პეტროგრადში გამართულ უმაღლეს სასწავლებელთა რეფორმების კომისიის სხდომაზე, ასევე – საპროტესტო განცხადება 1923 წელს რუსეთის საცავებში არსებული ქართული ხელნაწერებისა და სიმღველების საქართველოსთვის გადმოცემასთან დაკავშირებით (ფუტკარაძე... 2011: 17-21, 145).

ბუნებრივია, ნიკო მარის ქმედება უპასუხოდ არ დარჩენილა: მისი ანტისაუნივერსიტეტო მოხენება ივანე ჯავახიშვილმა გააკრიტიკა უნივერსიტეტის დაარსების 4 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომში 1922 წელს; ასევე, ქართული ხელნაწერების სამშობლოში დაბრუნების პროცესის დაბრკოლების გამო, უნივერსიტეტმა ნ. მართან შეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა; ანალოგიურად, ამერიკელთა ექსპედიციის ჩაშლის შემდეგ ნ. მარს უარი ეთქვა უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვაზე (ფუტკარაძე... 2011: 24-30; 142-142; 172-177).

მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა ხელისუფლების ინტერესთა სრულ თანხვედრაზე მეტყველებს 1924 წლის 2 ივლისის „ზარია ვოსტოკას“ და „კომუნისტი“ ჩვენის ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილი სათაურით – „პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე“. წერილში გამოხატულია საბჭოთა ხელისუფლების მხარდაჭერა ბოლშევიკური იდეოლოგიის სამსახურში მყოფი მეცნიერისა და აშკარა ომის გამოცხადება ეროვნული მეცნიერების წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ასევე ცხადია, რომ საბჭოთა იდეოლოგია არჩევანს არ უტოვებს განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებიც, ნებით თუ უნებურად, სახელისუფლებო მანქანის ნაწილად არიან ქცეული: ნ. მარის – „საბჭოთა მეცნიერის“ – ქებით, რომ „სამოქალაქო ომის მძიმე წლებში... არ გაქცეულა საზღვარ-გარეთ“, ირიბად გალანძღული არიან ემიგრაციაში მოღვაწე ეროვნული ძალები. წერილი სრულდება მუქარით: ავტორი მიმართავს საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატს, „დაენახვებინა პროფესორებისათვის“, რომ საქართველოში არა – მათი, არამედ „რევოლიუციონურ მუშათა“ დიქტატურაა (ჩვენი 1924).

გამოწვევა ქართული მეცნიერების ინტერესების დაცვისათვის მიიღო ივ. ჯავახიშვილმა; მან ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის სახელით საპასუხო წერილი მოამზადა (სუიცა, ფონდი №471) და ბოლშევიკური სისხლიანი აგრესიის პერიოდში ამხილა როგორც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისადმი მტრულად განწყობილი მეცნიერი – ნ. მარი, ისე მისი პოლიტიკური მხარდამჭერი ხელისუფლება, რომელმაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაამძაფრა ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისა და, ზოგადად, ეროვნულად განწყობილი პროფესურის წინააღმდეგ (ფუტკარაძე... 2011: 160-161): აღნიშნული პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკული შედეგი იყო ივ. ჯავახიშვილის რექტორობიდან

გადაყენება (1926 წ.), მოგვიანებით (1930 წ.) თბილისის უნივერსიტეტის დაშლა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით (ვაჩნაძე... 2004: 7) და სხვ.

დასკვნა: 1924 წლის აჯანყების მზადების პერიოდში ქართველოლოგიური კვლევების განვითარებაზე უარყოფითი გავლენა იქონია საბჭოთა ხელისუფლების ძალადობრივმა რეჟიმმა; დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ქვეყნის შიგნით თუ ემიგრაციაში მყოფ ეროვნულ ძალთა გაერთიანება-გააქტიურების საპირისპიროდ, გაძლიერდა რუსული პოლიტიკის მსახურთა თავდასხმები მოწინავე ქართველ ინტელიგენციაზე. ეროვნულ და ანტიეროვნულ ძალთა დაპირისპირება მწვავე ხასიათს იღებს ინტელექტუალურ ველში:

1. ხელისუფლების პოზიციის საპირისპიროდ, ვლინდება მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ერთსულოვნება დამოუკიდებელი, პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი ქართველოლოგიური კვლევის განვითარებაში – ორიენტირება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა:

- ქართულ სიძველეთა შესწავლის ფართო საერთაშორისო სამეცნიერო ველში გატანა;

- უცხოელ / ამერიკელ / მეცნიერთა დაინტერესება-მოზიდვა არქეოლოგიური გათხრების ჩასატარებლად ისტორიული მნიშვნელობის მქონე ადგილებში (მცხეთასა და ნაქალაქევში);

- ზრუნვა ქართული უნივერსიტეტის გაძლიერებისათვის – ეროვნულად განწყობილ პროფესორთა შემოკრებისათვის ქართულ უნივერსიტეტში.

2. ქართული მეცნიერების წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენია მეცნიერებათა აკადემია, კერძოდ, მისი ავტორიტეტული წარმომადგენელი, წარმოშობით ქართველი მეცნიერი ნ. მარი, რომლის საპროტესტო გამოსვლის შედეგად ჩაიშალა ამერიკელ არქეოლოგთა ექსპედიცია მცხეთასა და ნაქალაქევში.

3. მეცნიერებათა აკადემიისა და საბჭოთა ხელისუფლების ინტერესთა სრულ თანხვედრას მოწმობს 1924 წლის პრესაში „ჩვენის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც აისახა საბჭოთა ხელისუფლების პოზიციის რამდენიმე ასპექტი, კერძოდ:

- აშკარა ომის გამოცხადება ეროვნული მეცნიერების წარმომადგენელთა წინააღმდეგ;

- მხარდაჭერა ბოლშევიკური იდეოლოგიის სამსახურში მყოფი მეცნიერისა;

- საბჭოთა იდეოლოგია არჩევანს არ უტოვებს განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ პიროვნებებს, რომლებიც, ნებით თუ უნებურად, სახელისუფლებო მანქანის ნაწილად არიან ქცეული.

4. უნივერსიტეტის პროფესორები იღებენ გამოწვევას ქართული მეცნიერებისათვის ბრძოლაში; ივ. ჯავახიშვილმა ტფილისის უნივერსიტეტის გამგეობის სახელით მომზადებულ საპასუხო წერილში ამხილა როგორც ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებისადმი

მტრულად განწყობილი მეცნიერი – ნ. მარი, ისე მისი პოლიტიკური მხარდამჭერი ხელისუფლება, რომელმაც მომდევნო წლებში უფრო გაამძაფრა ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისა და ეროვნულად განწყობილი პროფესურის წინააღმდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ვაჩნაძე... 2004: ვაჩნაძე მ., გურული ვ., ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004.

ფუტკარაძე... 2011: ფუტკარაძე ტ., ვაშაკიძე ი.. ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმვა 1917-1935 წლებში. თბილისი, 2011.

ჩვენნი 1924: პროფესორი, რომელმაც სთქვა სიმართლე შოვინისტ პროფესორებზე. გაზეთი „კომუნისტი“, თბილისი, 1924, 2 ივლისი.

ჯიქია 2012: ჯიქია ლ., 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში. სადოქტორო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2012.

ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მიმოწერა. თბილისი, 1996.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ივ. ჯავახიშვილის ფონდი: №588, №1589, №2988.

სუიგა: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №471, აღ. 1, საქმე 136, ფურც. 13-27.

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სოციალური ქსელის წერილები და ჩანაწერები (2013-2020 წწ.).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9384>

**ბრძოლა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ
(ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო...“ და
ნოდარ მაჭარაშვილის „ქეიპი სოლოლაკი“)**

**The Struggle Against Soviet Occupation
(Zaira Arsenishvili's „Va, Sofelo...“ and
Nodar Macharashvili's „Keipi Sololaki“)**

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Nino Vakhania

Sokhumi State University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

1921 წელს, სამწლიანი დამოუკიდებლობის შემდეგ, საქართველო საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. ქართველი ხალხი ადვილად ვერ შეეგუა ვერაგულ ოკუპაციას. შეიქმნა ცალკეული რაზმები, რომლებმაც დაიწყეს შეირადებული ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ.

1924 წლის აგვისტოს აჯანყება ტრაგიკულად დამთავრდა, თუმცა ეს ფაქტი დარჩა გმირობის, შეუგუებლობის, უკომპრომისობის მაგალითად. აჯანყების მეთაური ქაქუცა ჩოლოყაშვილი საბჭოთა ხელისუფლებამ ყაჩაღად გამოაცხადა და აკრძალა მისი სახელის ხსენებაც კი.

მხოლოდ XX საუკუნის 80-90-იან წლებში გახდა შესაძლებელი ამ აჯანყებასა და მის სხვადასხვა წახნაგზე უშიშრად და ხმამაღლა საუბარი და, როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ჰპოვა თავისი გამოძახილი მხატვრულ ლიტერატურაში. ერთ-ერთი საყურადღებო რომანი, რომლის ვრცელ პასაჟებშიც აისახა ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი რაზმის ბრძოლა აგრესორთა წინააღმდეგ, ის სისასტიკე, რომლითაც მმართველი ძალა უსწორდებოდა ეროვნულ მოღვაწეებს, გახლავთ ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო...“

ამ აჯანყებას წინ უსწრებდა პატარ-პატარა ბრძოლები, რომელთა მონაწილეებმაც მოამზადეს 1924 წლის აგვისტო. 1923 წლის რეპრესიებს შეეწირა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი მეთაური, გენერალი კოტე აფხაზი. ეს რეალური ისტორიული პირი მთავარი პერსონაჟია ნოდარ

მაჭარაშვილის ვრცელი მოთხრობისა „ქეიფი სოლოლაკში“, რომელშიც ოსტატურადაა ერთმანეთთან შერწყმული ისტორიული ფაქტები და მწერლის გამონათქვამი. რაც მთავარია, მკაფიოდაა გადმოცემული და მხატვრული დამაჯერებლობითაა ხორცშესხმული ორი, ურთიერთსაპირისპირო მსოფლმხედველობა; ორი, ურთიერთდაპირისპირებული იდეა – სამშობლოს ერთგულება და მტრის მონება.

ეს თხზულებები უხილავი ძაფებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ქართველი მწერლების ცხოველი ინტერესი საუკუნის წინანდელი მოვლენებისადმი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა მარადიულია და მას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

საკვანძო სიტყვები: ანტისაბჭოთა განწყობა ქართულ ლიტერატურაში, ზაირა არსენიშვილის მოთხრობა „ვა, სოფელო“, ნოდარ მაჭარაშვილის მოთხრობა „ქეიფი სოლოლაკში“.

ABSTRACT

In 1921, following three years of independence, Georgia was occupied by Soviet Russia. The Georgian people did not easily accept this treacherous occupation. Small armed units were formed, initiating a resistance against the occupiers.

The August 1924 uprising ended tragically, yet it remains a symbol of heroism, defiance, and uncompromising resistance. The uprising's leader, Kakutsa Cholokashvili, was branded a bandit by the Soviet authorities, and even the mention of his name was prohibited. Only in the 1980s and 1990s did it become possible to speak openly and fearlessly about this uprising and its various aspects, which naturally found reflection in Georgian literature.

One notable novel portraying Kakutsa Cholokashvili and his unit's fight against the occupiers, as well as the cruelty inflicted on national figures by the ruling power, is Zaira Arsenishvili's „Va, Sofelo...“. The uprising was preceded by smaller skirmishes, whose participants helped lay the groundwork for the August 1924 events. Among those affected by the 1923 repressions was General Kote Abkhazi, a key historical figure and the protagonist of Nodar Macharashvili's long narrative „Keipi Sololaki“, which skillfully intertwines historical facts with the author's creative imagination.

Crucially, both works vividly present, with artistic credibility, two opposing worldviews and conflicting ideas: loyalty to the homeland versus servitude to the enemy. These texts are interconnected by invisible threads, reflecting Georgian writers' enduring interest in events of a century ago. They remind us that the idea of the struggle for freedom is timeless and continues to hold relevance today.

Keywords: Anti-Soviet sentiment in Georgian literature, Zaira Arsenishvili's story „O, Mortal World“, Nodar Macharashvili's story „Feast in Sololaki“.

შესავალი

1924 წლის აგვისტოს აჯანყება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენს ისტორიაში. თავისუფლების მოსაპოვებლად ეს განწირული ბრძოლა თავისებურად აირეკლა მხატვრულ, დოკუმენტურსა და მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში. კვლევის მიზანია, თვალი გავადევნოთ, როგორ აისახა ეს ეპიზოდი ორ თხზულებაში - გამოცდილი და აღიარებული ოსტატის, ზაირა არსენიშვილის რომანში „ვა, სოფელო...“ და ახალგაზრდა მწერლის, ნოდარ მაჭარაშვილის ვრცელ მოთხრობაში „ქეიფი სოლოლაკში“. ორივე ნაწარმოების შესახებ გამოითქვა ლიტერატურისმცოდნეთა საყურადღებო მოსაზრებები.

მეთოდები

კვლევისას ისტორიულ-შედარებითი, ანალიზისა და სხვა მეთოდების გამოყენებამ საშუალება მომცა, სტატიაში ჩემი დაკვირვებები წარმოემჩინა.

მსჯელობა

ზაირა არსენიშვილმა, როგორც მწერალმა, მართალია, ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ მაინც კარგა ხანია, მიიპყრო ქართული კრიტიკისა და ქართველი მკითხველის ყურადღება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მწერალი ქალის შემოქმედება პოპულარული და საყურადღებოა ყველა თაობისთვის. უკვე მოჰყვა საგულისხმო გამოხმაურებები ბევრი რამით გამორჩეულ რომანს - „ვა, სოფელო... (კახური ქრონიკები)“, კიდევ ბევრჯერ რომ უნდა გახდეს ლიტერატურათმცოდნეთა (და არა მარტო მათი) მსჯელობის საგანი.

რომანი მრავალშრიანია. იგი არაერთი ამბით, არაერთი სიუჟეტური ხაზით არის აგებული. ოღონდ რთული კომპოზიცია ოდნავადაც არ აძნელებს თხრობის ერთიანობაში აღქმას. ყველა ეპიზოდი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთმანეთს ავსებს და თავის ორიგინალურ სათქმელს გამოხატავს.

ამ, მოცულობითაც დიდი წიგნის მთავარი ამბავი 1937 წლის რეპრესიებია. ერთი, საკმაოდ მოზრდილი ნაწილი კი მთლიანად 1924 წლის აგვისტოს აჯანყებასა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის წარმოჩენას ეძღვნება და ემსახურება.

სიცრუის, სიბილწის, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის მოტივს ორგანულად და წარმტაცად უკავშირებს მწერალი შექსპირის სიბრძნეს. ბავშვებისთვის (და მკითხველისთვის) გასაგებად, უბრალოდ და ნათლად საუბრობს პერსონაჟი (მოთხრობელის ბეზია) ჰამლეტის ტრაგედიაზე. მინიშნებებით, მაგალითებითაა გამოაშკარავებული ბოროტების გამანადგურებელი ბუნება და პირდაპირ, როგორც შიშველი პროპაგანდა, გაისმის სიმართლის სიყვარულისა და მისი დაცვისკენ მოწოდება.

თავები ერთმანეთისგან პირობითადაა გამოყოფილი - მონაკვეთები არც დანომრილია და არც დასათაურებული, მხოლოდ ეპიგრაფებითაა თხრობა დანაწევრებული. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია ზაირა არსენიშვილის სტილის ერთი მახასიათებელი - მწერალი ისე ოსტატურად გადადის აწმყო დროიდან წარსულში, ისე ორგანულად და ბუნებრივად ახალი და ძველი შერწყმული ერთმანეთთან, რომ მკითხველი ხშირად ვერც

გრძნობს ამ გადასვლას. ეპიზოდში, რომელიც გაერთიანებულია ეპიგრაფით - „ვა, საწუთროო, სიცრუვით თავი სატანას ადარე,“ ავტორი თავისი ძლიერი კალმით დასამახსოვრებლად ხატავს საბჭოთა „სისხლიანი კალოს“ ერთ რგოლს - 1924 წლის აგვისტოში თელავში გამართული არისტოკრატიული ქორწილის ტრაგიკულ დასასრულს. ხალხის მეხსიერებამ ეს რეალური ამბავი „სისხლიანი ქორწილის“ სახელით შემოინახა. მწერალი ოსტატურად აღადგენს ავადსახსენებელი დროის ცოცხალ სურათებს. აქ ძნელია დოკუმენტალიზმისა და მხატვრული გამონაგონის ერთმანეთისგან გამოიჯვნა და, ალბათ, არცაა საჭირო. იმიტომ, რომ ეს ტრაგიკული სცენა არა მარტო ცხოვრებისეული, არამედ მხატვრული სიმართლის განსახოვნებაა. სხვათა შორის, მურად მთვარელიძეს დოკუმენტური სიზუსტითაა აქვს აღდგენილი, გადმოცემული და ნაკვლევი ანალოგიური ეპიზოდები იმავე პერიოდში ხაშურის მუნიციპალიტეტში (მთვარელიძე 2024).

ზაირა არსენიშვილის რომანში დიდი შთამბეჭდაობითაა ერთმანეთთან დაპირისპირებული მენახირეთა შაირობა, ფანდურის ფხაკუნი, რძის ჩხრიალი, სადღვებლის ხმა და, მეორე მხრივ, ტყვიების ზალპი და დახვრეტილთა უკანასკნელი გმინვა... იდილიურ სურათს ტრაგიკული ენაცვლება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიული გარემოს - თელავის, მისი უბნების, ქუჩების, გორაკების, სახლების ზუსტად მითითებასა და აღწერას. მკითხველს არ ტოვებს განცდა, თითქოს მწერალი მომსწრე და თვითმხილველი ყოფილიყოს იმ მწარე დღეებისა. რცხილაძიანთ ნინასა და ოფიცერ საშა გამყრელიძის ქორწილი სილამაზის, მახვილგონიერების, სიუხვის, ნიჭისა და სხვა ადამიანურ ღირსებათა და სათნოებათა გამოვლინების ერთი განუწყვეტელი ფოიერვერკია. თხრობაში ბუნებრივად შემოდის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელი. „ქაქუცას დეიდაშვილ-მამიდაშვილ-ბიძაშვილია ჩვენებური თავადაზნაურობა. ერთიანად არიან გადაბმული ან ნათესაობით, ან მეზობლობით, ან ნათელ-მირონით, ქაქუცას კიდევ აგერ ბოლშევიკები დასდევენ...“ (არსენიშვილი 2019:508)- აფრთხილებენ მექორწილეებს.

მაგრამ კეთილშობილი ადამიანის გულუბრყვილობითა და გამოუცდელობით უმრავლესობამ ვერ დაუკავშირა ერთმანეთს ქორწილში თავშეყრა და ავი ჟამი.

მწერალი ისე ხატოვნად აღწერს, იმდენ დროს, ადგილსა და ძალისხმევას უთმობს ქართულ სიმღერაზე საუბარს, ისეთი ცოდნით, სიყვარულითა და სიამოვნებით გადმოგვცემს ქართული ლხინის, ქართული სუფრის ნიუანსებს, მოხდენილ, დარბაისლურ, ლაზათიან სიტყვა-პასუხსა და სხვა დეტალებს, რომ თამამად შეიძლება ითქვას, ადამიანებთან ერთად, თხზულების მოქმედი პირები არიან ქართული სიმღერა და ქართული სიტყვა.

მეტყველების კულტურა, ხმა, მანერა, ტონი, განწყობა და თვითნათქვამის შინაარსი ყველაზე უკეთ ახასიათებს პიროვნებას. ტკბილსიტყვაობა ჩვენი ეროვნული ტრადიციაა და, საერთოდ, ზოგადქრისტიანულიც. კარგად იცოდნენ ჩვენმა წინაპრებმა სიტყვის ფასი, მნიშვნელობა და დანიშნულება ამქვეყნად. სიტყვით შექმნილ სამყაროში ადამიანის მიერ

ნათქვამი არ იკარგება, ზეცაში ადის. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ მწერლები ისეთ ვითარებაში აქცევენ ყურადღებას პერსონაჟის მჭევრმეტყველების უნარს, როცა თითქოს ამის საჭიროება არც არის. ვთქვათ, არაფერი დააკლდება გრიგოლ ხანძთელის ამალღებულ პორტრეტს ამ თვისების გარეშეც, აკაკი წერეთლის პოემაში არც თორნიკე ერისთავისა და არც მეფე დავით კურაპალატის დასახასიათებლად, ერთი შეხედვით, უპირველესი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მათი საუბრის მომხიბლაობას... თუმცა ავტორები საგანგებოდ გამოყოფენ გმირთა მოზომილ, ბრძნულსა და ტკბილ ლაპარაკს მათივე სულიერების წარმოსაჩენად. არ იქნება ზედმეტი, თუ აქვე გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ პერსონაჟის, დეიდა მაიკოს დაშაქრულ მიმართვებსაც გავისხენებთ. ბილწსიტყვაობა, უშვერი გინება საქართველოში დამპყრობლებს გაუვრცელებიათ და დაუმკვიდრებიათ - ჯერ არაბებს, ბოლოს - რუსებს. ალექსანდრე ორბელიანის გადმოცემით, ქართულად ყველაზე შეურაცხყოფელი მიმართვა ყოფილა: „შე ასეთო და ისეთო...“ რუსმა ჯარისკაცებმა, დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელმა, გაუნათლებელმა ბოგანოებმა მოიყოლეს ჩვენში დედის გინება და სხვა უხამსი გამონათქვამები. მართალია, თხზულებაში მცირე ადგილი უჭირავს, მაგრამ მეტად საგულისხმოდაა წარმოჩენილი ქართული ენის დაცვის, ოჯახში მაინც ქართულად ლაპარაკის მნიშვნელობა...

ზაირა არსენიშვილის რომანში ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული ის გარემოება, რომ თელავიცა და ახლომახლო სოფლებიც სავეს იყო ლამაზმანებითა და კარგი მომღერლებით. საუბრისას ყველას ბადაგი ამოსდიოდა პირიდან. ქორწილში შეკრებილთა დანახვასა და მოსმენას არაფერი სჯობდა. ყველას უხაროდა ერთმანეთის ნახვა... ქორწილი მიკრომოდელია მთელი ქართული არისტოკრატიის ცხოვრებისა, ყოფისა. მკითხველის თვალწინ იხატებიან მაყაშვილები, ყარალაშვილები, ჯორჯაძეები, სულხანიშვილები, წინამძღვრიშვილები, ავალიშვილები, ანდრონიკაშვილები, სარაჯიშვილები, ციცქიშვილები... კიდევ მრავალნი - ყოველმხრივ მისაბამნი, დახვეწილნი, საუკუნეობით ჩამოყალიბებული რასის წარმომადგენელნი. და ქართველი თავადაზნაურობის ამ უნატიფეს თავშეყრას დაუპირისპირდა უტიფართა, უზრდელთა, მოძალადეთა, მონათა მთელი ბრბო. შეგნეულად თუ შეუგნებლად, გამიზნულად თუ გულუბრყვილოდ მტრის სამსახურში ჩამდგარი, დამპყრობლის ერთგული, პარტიის მიზნებისა და სურვილების უსიტყვოდ აღმსრულებელი და ამის გამო ყველაფრის მკადრებელი ადამიანები, ცხადია, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის მოღალატეები გახლდნენ. რომანში თვალნათლივ, ხელშესახებადაა ნაჩვენები, როგორ ებრძვის ერთმანეთს ერთგულება და ღალატი, სიყვარული და სიძულვილი, სიკეთე და ბოროტება.

ზაირა არსენიშვილი პერსონაჟთა სახელებით ზუსტ ემოციურ ველს ქმნის. შეკითხვაც არ უნდა, ვის ერქმევა გარეგინა - ცხადია, მკვლელს, მხვრეტელს, დიდი ძალის მქონე პატარა კაცუნას. ჩონი, რომელიც არ გახლავთ მწერლის ფანტაზიით შექმნილი, აბრევიატურაა და აღნიშნავს საგანგებო დანიშნულების ნაწილებს (ჩასტი ოსობოგო ნაზნაჩენია), ისე ჟღერს და ისეთ კონტექსტში, რომ მკითხველს ზარავს თვით სახელწოდებაც

კი. ასეთი, სათქმელის შესაბამისი ემოციების გამოწვევა, რა თქმა უნდა, მწერლის მაღალი ოსტატობის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქორწილში არაა, მაგრამ მისი სახელი ყველგან გაისმის. როგორც არაიშვიათად ხდება, აღრეულია ცნებები და ღირებულებები. გმირს ყაჩაღი ჰქვია და მკვლელს - გმირი. ამ უკუღმართობის დამკვიდრებას ხელს უწყობს და უმართავს უკუღმართი სისტემა. აკაკი ბაქრაძემ XX საუკუნის მწერლობას უწოდა მორგებული, შესაფერისი სახელი - მოთვინიერებული. საბჭოთა ხელისუფლება ათვინიერებდა და საკუთარი უკეთური მიზნებისთვის იმსახურებდა ცხოვრების ყველა სფეროს. ვისთვის მნელი იყო მტყუან-მართლის გარჩევა, ვინ შეგნებულად, ანგარებით დგებოდა ბოროტების სამსახურში. რომანში საბჭოთა პროპაგანდით გაბრუებული და შეცდენილი კომუნისტია განათლებული, წესიერი, ღირსეულ ოჯახში აღზრდილი არჩილი. სიმართლის გზიდან გადაცდენილი კომუნისტი თვითონ გვევლინება პროპაგანდისტად. მწერალი არჩილის პირით ახმოვანებს საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელ, დღეს იმ ეპოქის სულის შესაცნობად ნიშანდობლივ ფრაზას: „თავადაზნაურობას ზურგზე ბოლი უნდა ვადინოთ!“ ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობში“ აღბეჭდილია რევოლუციონერთა ერთ-ერთი ლოზუნგი: „თავადიშვილი კარგი რა არის, ცუდი რა იყოს?!“ ასე, ვულგარულად, სოციალური წარმომავლობით განისაზღვრებოდა ადამიანის ავ-კარგი. პარტიის დავალება გახლდათ, რომ გაენადგურებინათ თავადაზნაურობა - ერის პოლიტიკური, ფიზიკური, სულიერი, კულტურული ცხოვრების წინამძღოლი და წარმმართველი. ავტორის მიერ აქვე გამჟღავნებულია ამ სისასტიკის ნამდვილი საფუძველი. ერთი პერსონაჟი ამბობს, ოღონდ კი როგორმე შეინარჩუნონ ძალაუფლება, თავადაზნაურობას კი არა, საკუთარ დედასაც გამოსჭრიან ყელსო (არსენიშვილი 2019: 528). უნებლიეთ გვახსენდება კალე ფეოდოსიშვილის ის ავადსახსენებელი ლექსი, რევოლუციონერთა მანიფესტად რომ ჟღერდა.

როგორც აღვნიშნეთ, რომანში მხატვრული სიტყვით გაცოცხლებულია გეოგრაფიული გარემო, უპირველესად, ნადკვრის უბანი, გიგოსგორა - სისხლით გაჟღენთილი, უამრავი ცოდვის მომსწრე ადგილი. ქორწილში შეკრებილთ ქართველური (რუსთველური) სილამე, სილაღე, გულუბრყვილობა, მიმნდობლობა, სიკეთისა და კეთილშობილების რწმენა სძლეოვთ. ვერ წარმოუდგენიათ, რომ ვინმეს ყველაფრის კადრება შეუძლია, რევოლუციის დაყენება შეუძლია ადამიანზე მაღლა. მთელი ჩვენი ისტორია არა მარტო ფიზიკური, ზნეობრივი გმირობის მაგალითებითაა სავსე. ამ მსოფლმხედველობით გაზრდილთათვის მიუღებელი, უცხო, წარმოუდგენელია ბრძოლა და დაპირისპირება კი ზნეობის სულ მცირე ნორმების გათვალისწინების გარეშე.

ჩვენს დროშიც საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ გულწრფელი პიროვნებებიც უნებურად მტრის წისქვილზე ასხამენ წყალს. ჩანს, ძალიან მნელია საკუთარ დროსა და გარემოში გმირის შემჩნევა და აღიარება. თხზულების ერთ ეპიზოდში ქართული სულის მქონე, ქეშმარიტი პატრიოტი - მირიანი - ქაქუცას კიცხავს. ქაქუცას სახელით ამ „სამეულმა“ უკვე რამდენი დახვრიტა! რა გახდა ეს ქაქუცა, სანამ ყველას არ

შემოინარცხებს, არ დადგება?! არც მოძალადეებს და არც მათ წინააღმდეგ მებრძოლებს ხალხი არ ადარდებს, ჩვენზე არავინ ფიქრობსო. ქაქუცაც ჩვენი, ხალხის მტერია, ცოლ-შვილზეც კი არ დარდობს - ეს ფორმულა უკვე ნიშნავს წინააღმდეგობის სულის ჩაკვლას, მეთაურის გაწირვას, რეალობასთან შეგუებას, კონფორმიზმს. უფრო შორს მიდის ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის განსჯაში ერთ-ერთი მექორწილე - რაზმადე. ქაქუცამ უნდა ჩააგოს ხმალი ქარქაშში, უნდა მოეშვას წანწალს, არ მისცეს მიზეზი და საბაზი ბოლშევიკებს, სისხლი ადინონ მოსახლეობასო (შდრ. აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ ის ეპიზოდი, რომელშიც ბაში-აჩუკის დასაჭერად მწყაშვილი სოფლებს აწიოკებს, რათა თვითონ მოსახლეობამ შეიპყროს ან არ შეიფაროს „ყაჩაღი“. დამპყრობლის ხერხები და მეთოდები, როგორც ჩანს, ყველა დროში ერთნაირია). რაზმადის შეხედულება, ცხადია, მარტო ინდივიდუალური კი არა, ერთი, მცირე ჯგუფის აზრია, თუმცა ქართველებში ჯერ კიდევ საღ აზრს მეტი იზიარებს. ამის გამომხატველია მელოს მიერ გულისხმიერი ხმით ნამღერი, თავისი შეთხზული „ქაქუცას სიმღერა“, რომელსაც ყველა აჰყვამ, წუთიერად თითქოს მთელი დარბაზი გაერთიანდა. როსტომ ჩხეიძის რომანში ქაქუცა ჩოლოყაშვილის განცხადება ასეთია: „ჩვენი ბრძოლა ისახავს მიზნად არა მიწების დაბრუნებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობასა და ეს ბრძოლა გაგრძელდება მანამ, სანამ ეს მიზანი არ აღსრულდება“ (ჩხეიძე 2009:135).

დიდი შთამბეჭდაობით, სიმართლითა და კაზმულსიტყვაობითაა დახატული ზ. არსენიშვილის თხზულებაში ქართველი არისტოკრატია. არაერთხელაა ჩამოთვლილი გვარები, რომელთა გახმოვანება ცალკე მელოდიაა, სულის მასალბუნებელი მუსიკაა. ამავე დროს ზუსტი სიტყვიერი ქსოვილითაა აღწერილი „ემშაკის შექმნილი“ სამეული, ბოროტების მანქანა, რომლისთვისაც არც კანონი არსებობს, არც სამართალი, ზნეობასა და სულიერებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

შემთხვევითი არ არის ერთ-ერთი პერსონაჟის, სერჟის, უნდობლობა ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელთა მიმართ. შიში, მეტიც - ძრწოლა მათ წინაშე გამოწვეულია იმით, რომ უკვე უნახავს და გამოუცდია ახალმოწესეთა „კანონები“. ახლა თუ გადავრჩით, მერე მაინც ვერ გადავრჩებითო, უმტკიცებს ცოლს (შდრ.: ლეო ქიაჩელის „ჰაკი ამბადან“ - უჯუშ ემხას ძრწოლა რევოლუციური გემის გამოჩენის გამო).

ქაქუცას თანამგრძნობია არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ - მთელი მოსახლეობა. სამშობლოს სიყვარული, თავისუფლებისთვის ბრძოლა დანაშაულად მიიჩნევა „ჟამიან“ დროს. „წმინდათაწმინდას“ (რევოლუციური იდეების) სახელით იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, „წმინდათაწმინდას“ სახელით ადენენ ხალხს ზურგზე ბოლს, „წმინდათაწმინდა“ ითხოვს „ახალი ქვეყნის შენებისთვის“ უზარმაზარ მსხვერპლს... დასახვრეტად გაყვანილები კი მღერაინ - სულის სიმაღლის დასტურად, დასტურად იმისა, რომ არსებობს ქვეყნად სიცოცხლეზე მაღალი ღირებულებები, რომ სამშობლო, მოყვასი, თავდადება არაა ფუჭი, ლიტონი სიტყვები. ავტორის გულისთქმას: „ღმერთო... ნუ გამოლევ მათ სიმღერას ამ არემარეზე, ნუ... ნუ...“ მკითხველიც აჰყვება. მწერალი განაგრძობს

მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურულ ტრადიციას და ამკვიდრებს აზრს, რომ „ნამდვილად სჭირდება ადამიანს მოყვასისთვის გვემა...“

ადამიანურ ტრაგედიად მიაჩნია 1924 წელს ბოლშევიკთა სასტიკი პასუხი აჯანყებულთა მიმართ ამერიკელ მწერალს ერიკ ლის, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში სწავლობდა XX საუკუნის საქართველოს ისტორიას (ლი 2024: 205).

ნოდარ მაჭარაშვილის მოთხრობა („ქეიფი სოლოლაკში“) ერთობ დინამიკური და ექსპრესიულია. მოვლენები სწრაფად ენაცვლება ერთმანეთს. ჩვენი ეროვნული გმირის, კოტე აფხაზის სახება შარავანდედით იმოსება არა მარტო როგორც ფიზიკურად მეზრდოლი, არამედ როგორც სულიერად ამაღლებული, ზნეობრივი პიროვნებისა. უზარმაზარი სახელმწიფო მანქანა ქვეშ მოიყოლებს და ჰყლეთ დამოუკიდებლობისათვის, მომავლისათვის მეზრდოლთ, მაგრამ საშვილიშვილო, თაობებისთვის გადაცემული მიზანი და თავგანწირვის მაგალითი სადავოს არ ხდის, რომ ნამდვილი გამარჯვება სწორედ რეჟიმის მიერ დახვრეტილებს ეკუთვნით.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ ორივე თხზულებაში სიმართლითა და მხატვრული დამაჯერებლობითაა ასახული ჩვენი ისტორიის ერთი ტრაგიკული ფურცელი. თუ ზაირა არსენიშვილის ერთ, მოზრდილ ეპიზოდში უშუალოდ 1924 წლის სისხლიანი დღეებია აღბეჭდილი, ახალგაზრდა მწერლის, ნოდარ მაჭარაშვილის მოთხრობაში ასევე ტრაგიკული 1923 წელია უკუფენილი. ორივე ნაწარმოები გაფრთხილებაა. ერთში დოკუმენტებზე დაყრდნობით, მეორეში უფრო ფართო წარმოსახვით მოწოდებულია თავისუფლების იდეა. ნაჩვენებია, რომ ძალადობა მხოლოდ დროებით თუ გაიმარჯვებს რეალობაში, მარადიული და უკვდავი კი მაღალი სულიერებაა, რომლისთვისაც სიცოცხლეც ღირს და სიკვდილიც.

გამოყენებული ლიტერატურა

არსენიშვილი 2019 – ზ. არსენიშვილი, ვა, სოფელო. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019.

ლი 2024: – ე. ლი, 1924 წლის აჯანყება: საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება (თარგმანი ნინო ბარძიმიშვილისა). თბილისი, 2024.

მაჭარაშვილი 2022 – ნ. მაჭარაშვილი, ქეიფი სოლოლაკში. თბილისი, ნოდარ დუმბაძის გამომც., 2022.

მთვარელიძე 2024 – მ. მთვარელიძე, 1924 წლის აგვისტოს სისხლიანი დღეები ხაშურის მუნიციპალიტეტში. თბილისი, გამომც. „უნივერსალი“, 2024.

ჩხეიძე 2009 – რ. ჩხეიძე, შავი ჩოხა (ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების ქრონიკა), თბილისი, 2009.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9385>

**მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები
გიორგი კეკელიძის
„გურული დღიურების“ მიხედვით**

**Metaphorical Phraseologisms
Based on Giorgi Kekelidze's „Gurian Diaries“**

მარიკა თედორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი
სალომე გუმბარიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Marika Tedoradze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

Salome Gumberidze

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

ფრაზეოლოგიზმები ენის კვლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ისინი დიდ როლს ასრულებენ ენის თავისებურებათა გამოვლენაში, რომლებიც საზოგადოებრივ-ისტორიულ პროცესებსა თუ ინდივიდუალურ-კოლექტიურ მესხიერებას უკავშირდება. ფრაზეოლოგიზმები, გარდა იმისა, რომ ასახავენ ერის კულტურულ და ისტორიულ გამოცდილებას, წარმოაჩენენ ენის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინებასა და განვითარების დინამიკას.

სტატიაში ნაჩვენებია გიორგი კეკელიძის „გურული დღიურების“ მიხედვით მწერლის ენისათვის დამახასიათებელი ის თავისებურებები, რომლებიც მეტაფორულ (ახალდაბადებულ) ფრაზეოლოგიზმებად გვესახება. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პროზაში შეინიშნება ტენდენცია ინოვაციური, განსხვავებული ფრაზეოლოგიზმების, ხატოვანი სიტყვა-თქმების შექმნისა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანი სეგმენტია ენის ევოლუციური პროცესების მხატვრულად გარდაქმნისა

და გამოხატვისათვის. როგორც ედვარდ საპირი აღნიშნავდა: „ენა არის კულტურის გზამკვლევი სოციალურ რეალობაში“. ამ კონტექსტში ახალი ფრაზეოლოგიზმების შექმნა და გამოყენება შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული ინოვაციის პროცესი, რომელიც ასახავს საზოგადოების ცვალებად ღირებულებებს და მსოფლმხედველობას.

თანამედროვე ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – გიორგი კეკელიძის მიერ შექმნილი მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს ენის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს. ისინი არა მხოლოდ ამდიდრებენ ენას ახალი გამომსახველობითი საშუალებებით, არამედ ასახავენ თანამედროვე საზოგადოების მსოფლადქმასა და კულტურულ ღირებულებებს; გვიჩვენებენ ქართული კულტურის მჭიდრო კავშირს ბუნებასთან და მის უნარს, დაინახოს სამყაროს პოეტური ასპექტები ყოველდღიურ მოვლენებში. „ახლად დაბადებული“ ფრაზეოლოგიზმები ნამდვილად ქმნიან მწერლისეულ ორიგინალურ სტილს. საყურადღებოა, რომ ისინი არ გვხვდება დღემდე გამოქვეყნებულ ლექსიკონებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წარმოადგენს უკვე არსებული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ ვარიანტებს, რაც ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მწერლისეულ სიახლედ. მაგ.: კანმა ოფლი მოისხა – შეეშინდა. შდრ.: ცივმა ოფლმა დაასხა – ძალზე შეეშინდა, გამწარდა, ათრთოლდა (თ. სახოკია); ენა მიღებს პირს? – სიტყვის უთქმელობა. შდრ.: დანა პირს ვერ უხსნის – უსიცოცხლოა, მეტისმეტი დარდისა ან ბრაზისაგან მკვდარს დამსგავსებულია, მწუხარებისგან სიტყვა ვერ უთქვამს (თ. სახოკია).

წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი. საანალიზო მასალა კვლევის ამ ეტაპისთვის გაანალიზებულია და დიფერენცირებულია სემანტიკური ნიშნით, პირობითად დაყოფილია ბუნების მოვლენებისა და ადამიანის შინაგან განცდათა ამსახველ მწერლისეულ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად.

კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო ერთი კონკრეტული მწერლის – გიორგი კეკელიძის შემოქმედების ლინგვისტური მოზაიკის თავისებურებების გამოვლინებისთვის, არამედ საკუთრივ ქართული სალიტერატურო ახალი ენობრივი ტენდენციების კვლევისთვისაც.

საკვანძო სიტყვები: მწერლის ენა, გიორგი კეკელიძე, გურული დიალექტი, მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები.

ABSTRACT

Phraseologisms are an important source for linguistic research. They play a significant role in revealing the distinctive features of a language, which are connected to both socio-historical processes and individual or collective experience. In addition to reflecting a nation's cultural and historical experience, phraseologisms demonstrate the creative potential of a language and the dynamics of its development.

The aim of this study is to examine the distinctive features of the language of the writer Giorgi Kekelidze, as reflected in his Gurian Diaries, with a focus on metaphorical (neologistic) phraseologisms. It is noteworthy that contemporary prose exhibits a tendency toward the creation of innovative and unique phraseologisms and figurative expressions, which constitute a significant segment in the artistic transformation and expression of language's evolutionary processes. As the American linguist Edward Sapir observed, „Language is the guide to culture in social reality“ (Sapir, 1929). In this context, the creation and use of new phraseologisms can be seen as a process of cultural innovation that reflects changing social values and worldviews.

The metaphorical phraseologisms created by the contemporary Georgian writer and public figure Giorgi Kekelidze represent a significant aspect of language development. They not only enrich the language with new expressive means but also reflect contemporary society's worldview and cultural values. They demonstrate the close connection between Georgian culture and nature and the capacity to perceive the poetic dimensions of everyday phenomena. These „newly born“ phraseologisms establish an original stylistic voice for the author. It is noteworthy that many of these expressions are not yet included in existing lexicons. Particularly significant are metaphorical phraseologisms that represent semantically parallel variants of existing phraseologisms, which can indeed be considered novel contributions of the author. For example: *kanma ofli moisxa* – literally „sweat poured on the skin“, meaning „he/she became frightened“; cf. *tsivma oflma daasxa* – „he/she became extremely frightened, agitated, trembled“ (Shavokhia, 1955: 114). *ena migebt pirs?* – „the inability to speak“, cf. *dana pirs ver uxdes* – „lifeless, overwhelmed by grief or anger, unable to speak due to sorrow“ (Shavokhia, 1950: 89).

The present study employs a contextual analysis method, drawing on semantic, lexicological, and stylistic perspectives. The material under analysis has been examined and differentiated according to semantic criteria, and conditionally divided into authorial phraseological units reflecting either natural phenomena or human inner experiences.

This research is significant not only for revealing the linguistic mosaic of the specific writer Giorgi Kekelidze but also for studying new linguistic trends in Georgian literature more broadly. Kekelidze's language remains largely unexplored, and the study of his metaphorical, authorial phraseologisms represents a preliminary attempt in this area.

Keywords: Writer's language, Giorgi Kekelidze, Gurian dialect, metaphorical phraseologisms.

შესავალი

ლიტერატურული ემოციების მკითხველისათვის გაზიარება დამოკიდებულია შემოქმედის მწერლურ ოსტატობაზე, რომლის მხატვრულ ღირებულებას განაპირობებს არა მარტო მწერლის ინტელექტუალური შრეები და ლიტერატურული გემოვნება, არამედ მისი ენობრივი მოზაიკაც. ენა მწერლის იარაღია, მისეული სამყაროს მკითხველისათვის თანაგანცდის შესაძლებლობა მწერლის ენობრივი პოზიციის, მისი ენობრივი პლასტის კვლევა, ენობრივი მხარის შეფასება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია სალიტერატურო ენის განვითარების პროცესზე დასაკვირვებლად; გააზრება იმისა, თუ როგორ ურთიერთქმედებს მწერალი ენაზე და ენა მწერალზე. მწერლის ენის კვლევის ძირითადი მეთოდები ჩამოაყალიბა ბესარიონ ჯორბენაძემ მონოგრაფიაში „ბალავარი მწერლობისა“. როგორც მეცნიერი მიუთითებს, მწერლის ენის კვლევა ითვალსიწინებს ორი მომენტის გარკვევას: რას აძლევს მწერალი ენას და რას აძლევს ენა მწერალს (ჯორბენაძე 1987: 25).

სტატიაში განხილულია მწერლისეული „ახალშობილი“ ფრაზეოლოგიზმები თანამედროვე მწერლის გიორგი კეკელიძის „გურული დღიურების“ მიხედვით. ნაშრომი ენობრივი თვალსაზრისით მრავალმხრივ საყურადღებოა, დახვეწილი, სადა სალიტერატურო ქართულის გვერდით ვხვდებით დილექტურ, კერძოდ, გურული კილოსთვის დამახასიათებელ სიტყვა-ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ტროპული ხატოვანი მეტყველებით გაცხადებული სათქმელი ემოციურსა და ექსპრესიულს ხდის ტექსტს. ავტორი ოსტატურად იყენებს ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობას, მიმართავს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია იდეის ხორცშესხმისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საყურადღებოა „ახლად დაბადებული“ ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ქმნიან მწერლისეულ ორიგინალურ სტილს. ისინი არ გვხვდება გამოქვეყნებულ ლექსიკონებში. მწერალი ქმნის ისეთ მეტაფორულ ფრაზებს, რომლებიც ჩვენს თვალწინ ფრაზეოლოგიზმად იბადებიან. ვფიქრობთ, ამგვარი ფორმები წარმოადგენს ავტორისეულ ნოვაციას. მათი საშუალებით ტექსტი იძენს დამატებით ნიუანსებს - ენიჭება სემანტიკური თუ სტილისტური იერი, ძლიერდება ექსპრესია, ემოციურობა. მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები, შეიძლება ითქვას, წარმოადგენს საანალიზო ნაწარმოების ენობრივ თავისებურებას, მწერლის სპეციფიკურ ენობრივ-მხატვრულ გამომსახველობას, ფორმისა და შინაარსის თავისებურ შერწყმას.

მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებულია კონტექსტუალური ანალიზის მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ამ ინოვაციური, მწერლისეული გამოთქმების სემანტიკური და სტილისტური ფუნქციები.

მსჯელობა

როგორც ცნობილია, ენის განვითარების პროცესში ფრაზეოლოგიზმები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. ისინი არა მხოლოდ ასახავენ ერის კულტურულ და ისტორიულ გამოცდილებას, არამედ

წარმოადგენენ ენის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინებას. თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში შეინიშნება ტენდენცია, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდა მწერლების მიერ ინოვაციური, მეტაფორული ფრაზეოლოგიზმების შექმნას. ეს მოვლენა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ის წარმოაჩენს ენის ევოლუციის პროცესს და მის უნარს, ასახოს თანამედროვე რეალობა ახლებური, მხატვრული ფორმით.

ენათმეცნიერებაში არსებობს ფრაზეოლოგიის ცნების რამდენიმე განსხვავებული განმარტება (მ. მიხელსონი, მ. ხმელინინი, ა. ნაზარიანი, ლ. კვაჭაძე...). ამ სხვადასხვაობას განაპირობებს ის, რომ თავად ფრაზეოლოგიური მასალის აღსანიშნავად ენათმეცნიერებაში რამდენიმე ტერმინი გამოიყენება: ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური გამოთქმა, საქცევი, კლიშე, შესიტყვება, მყარი გამოთქმა, იდიომი - მეტაფორული, სახოვანი, გაქვავებული. შ. ბალი, ვ. ვინოგრადოვი, ალ. ლლონტი, ლ. კვაჭაძე ფრაზეოლოგიურ ერთეულებად განიხილავენ: იდიომებს, ანდაზებს, ლიტერატურულ ციტატებს, ფრთიან გამონათქვამებს, აგრეთვე მწერლის ენაში არსებულ ნიშანდობლივ გამოთქმებს (ხაჭაპურიძე 2017: 13-17).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, საანალიზო მასალაში ძირითადად გვხვდება წინადადების ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები - ექსპრესიულ-ემოციური, ხატოვანი პერიფრაზები, რომლებიც მიისწრაფვიან ერთგვარობისაკენ და შინაარსით იდიომს უახლოვდებიან (იდიომები წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია - თაყაიშვილი 1961: 350).

მწერლისეულ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებს ვაანალიზებთ სემანტიკური ნიშნით, პირობითად ვაერთიანებთ ორ ჯგუფად:

ა) ბუნების მოვლენების ამსახველი ფრაზეოლოგიზმები:

ყურადღებას იპყრობს სახელური შესიტყვება მღვრიე მზეების დრო, რომელიც მწერალმა ზამთრის სეზონის მეტაფორად გამოიყენა: „ახლა გვიანი ზამთარია, ოდნავ მღვრიე მზეების დრო“. ლექსიკური ერთეული „მღვრიე“ დაუწმენდავს, უსუფთაოს ნიშნავს (ნეიმანი, 1978: 559).

გათენების აღსაწერად გამოყენებულია ფრაზეოლოგიზმი ცის ბოლო ნამტირალევ ქუთუთოსავით შეწითლდა. ადამიანის სახეზე აღბეჭდილი შინაგანი ემოცია გადატანილია ბუნების მოვლენასთან: „ჩასაფრებული უყურებ ფანჯრის დაზეპირებულ კუთხეს, საიდანაც მზე ამოდის და სულ წარმოიდგენ რომ აი, ცის ბოლო ნამტირალევ ქუთუთოსავით შეწითლდა და გათენდება“.

მსგავსი სემანტიკის გამომხატველია შემდეგი ფრაზა: კედლის მიერ ღამის ჩრდილების მოშორება, რომლის მიხედვითაც მწერალს უსიცოცხლო, მოსაზღვრული გარემოდან გადაყვავართ გაცოცხლებულ სივრცულ განზომილებაში და ეს არის აისი, რომელიც, თავის მხრივ, შობს „დაზეპირებულ“ ახალ ოთახს - ახალ სივრცეს. ეს პროცესი ასახავს გარდამავალ მომენტს ღამიდან დღისკენ პოეტური გზით: „შესაზამისად, დილის შობას აკვირდები - როგორ იშორებს კედელი ნელ-ნელა ღამის ჩრდილებს და დაზეპირებული ოთახი იზადება“. ლიტერატურის თეორეტიკოსი ირმა რატიანი თავის წიგნში „ტექსტი და ქრონოტოპი“

აღნიშნავს: „დროის გასაგნება და სივრცის გაცოცხლება წარმოადგენს მოდერნისტული პოეტიკის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს“ (რატინი 2010).

საინტერესოა ფრაზეოლოგიზმი გულარეული ამინდი, რომელიც ისევ ბუნების მოვლენას, ცუდ ამინდს უკავშირდება, მაგრამ შეძენილი აქვს ადამიანური მდგომარეობა: „ეს ნიშნავს გურიის შუა შემოდგომის დილას, გულარეულ ამინდს და კედელზე მიკიდულ მოსახურ კურტკებს...“. ეს ტენდენცია ეხმიანება რუსი ლინგვისტის, ვიქტორ ვინოგრადოვის მოსაზრებას, რომ „ფრაზეოლოგიზმები არის ენის ნაციონალურ-სპეციფიკური ერთეულები, რომლებშიც ასახება ერის მსოფლმხედველობა და კულტურა“ (Виноградов 1977).

შემოდგომის მეტაფორული გააზრებაა ფრაზაში: „მიწა ნელ-ნელა იცვამს მეორად ტანსაცმელს. ფოთლებს, ადრე სხვებს რომ მოსავდნენ“. შესიტყვება „მეორადი ტანსაცმელი“ მიუთითებს, რომ ეს ფოთლები უკვე გამოყენებულია და აღარ არის ცოცხალი. ეთნოგრაფი ვერა ბარდაველიძე თავის ნაშრომში „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“ აღნიშნავს: „ბუნების ციკლების პერსონიფიკაცია ასახავს ქართული კულტურის ღრმა კავშირს ბუნებასთან“ (ბარდაველიძე 1941: 78).

ზამთრის დასაწყისს მხატვრულად აღწერს მწერალი: „ზამთრის პროლოგი ასეთია - ხის სახლის კედლები დაზეპირებულ მზის სუნს ისე იმეორებენ, როგორც მომაკვდავი ნაკარნახევ ლოცვას, ჩურჩული სუსტდება და ბოლოს ქრება...“

ეს რთული შედარება, ერთი მხრივ, ასახავს ბუნების მოვლენას (ზამთრის დასაწყისს), მეორე მხრივ, მეტაფორულად მოიაზრებს წუთისოფლის წარმავლობას (სიკვდილის წინ ლოცვა). ის ხატავს ზამთრის დასრულების მომენტს, როდესაც მზის სითბო ჯერ კიდევ სუსტია.

წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმები მხატვრული ექსპრესიის შესანიშნავი ნიმუშებია. ისინი ასახავენ ენის უნარს, შექმნას კომპლექსური და ემოციურად დატვირთული სახეები მარტივი სიტყვების კომბინაციით. ეს ლინგვისტური ფენომენი არა მხოლოდ ამდიდრებს ლიტერატურულ გამოხატვას, არამედ ასახავს ქართული კულტურის მჭიდრო კავშირს ბუნებასთან და მის უნარს, დაინახოს სამყაროს პოეტური ასპექტები ყოველდღიურ მოვლენებში.

ყურადღებას იპყრობს ფრაზეოლოგიზმი ნაბორბალში ჩამდგარი გუბის მიერ არეკლილი ცა - სოფელი: „ნაბორბალში ჩამდგარი გუბე რომ ცას ირეკლავს - ეს არის სოფელი“. მოცემული ხატოვანი ფრაზით მწერალი წარმოგვიდგენს სოფლის სურათს, თითქოსდა მინიატურულ დეტალში - ბორბლის კვალი - ჩატეულ სოფლის სევდიან სიმშვიდეს და მის კავშირს ბუნებასთან. ფრაზაში წინა ვითარების აღმნიშვნელი სახელი - „ნაბორბალი“ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

ბ) ადამიანის შინაგანი მდგომარეობისა და ყოფიერების გამომხატველი მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები:

გიორგი კეკელიძის შემოქმედებაში შეინიშნება ისეთი ტიპის ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც მეტაფორულად მოიაზრებენ ცხოვრ-

ბისეულ სირთულეებს, ყოფიერებით გამოწვეულ პრობლემებს: მაგალითად, ასეთია სახელური შესიტყვება ხატის ხარი: „მამაჩემი რომ გარდაიცვალა, იმანაც აზრი დაკარგა და ასე ხატის ხარად, გაჭირვებით მოვედით აქამდე“. მწერალი აღწერს განწირული, უიმედო, ცხოვრებისაგან გაწამებული ადამიანის ყოფას. ეს გამოთქმა არა მხოლოდ მხატვრულად მდიდარია, არამედ ასახავს ქართული კულტურის რელიგიურ და ისტორიულ კონტექსტს, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფრაზეოლოგიზმების მნიშვნელობას კულტურული იდენტობის შენარჩუნებაში. შდრ.: შესიტყვება „წმინდა გიორგის სახელზე შეწირული ხარი“, „კოპალაის ხარი“ (ხაჭაპურიძე 2017: 68).

ასევე, უკიდურესი გაჭირვებისა და მძიმე სოციალური ყოფის ამსახველია შემდეგი ფრაზა - იმსიმძიმე ფული: „ფიქრს გავურბივარ, როგორ შეძელი, ასე ავადყოფმა ამდენი თხილის მარტომ მოგროვება, ჩამოტანა და ის თხილი ისევ არ გაყიდულა, რომც გავყიდო, არ ვიცი რა ვუყო იმსიმძიმე ფულს, ყველაზე დიდ და მძიმე ფულს მსოფლიოში“.

უსიცოცხლობისა და უმოქმედობის გამომხატველია მეტაფორული ფრაზეოლოგიზმი - მწიფე ზაფხულის ჩამავალ მზესავით მობერებული სხეული: „ადამიანებს გვეშინია ფერისცვალების - მწიფე ზაფხულის ჩამავალ მზესავით მობერებულ, უფორმო სხეულიდან გამოსვლა და სხვაგან გადაბარგება გვიჭირს“.

ამ ფრაზით მწერალი გადმოგვცემს ადამიანის სიცოცხლის დაღმავლობით გამოწვეულ სევდას. ზაფხულის დასასრული მეტაფორაა სიცოცხლის მიწურულისა. ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე თავის ნაშრომში „ზოგადი ფსიქოლოგია“ წერს: „მეტაფორული აზროვნება საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ აბსტრაქტული კონცეფციები კონკრეტული გამოცდილების ტერმინებში“ (უზნაძე 1940: 301).

მსგავსი სემანტიკა მოიაზრება შესიტყვებაში ნაცარდამცხრალი ბუხარი - მიტოვებული სახლის მეტაფორული გააზრება; „...და ახლა იმის მეშინია, ვაი თუ აწი სულ დავემალე ამ სუნს, მზეცაქცეული ხის სუნს, როგორც სადღაც ჩაკეტილ მოლოდინს, ლოგინებს, კარადას გაბზარული სარკით, სკამებს, შუშაგალანცულ ლამპას, ნაცარდამცხრალ ბუხარს - მამაჩემის აპრილისას დაბრუნებას რომ უცდიან“.

ამ შემთხვევაში მწერალი ბუხრის მეშვეობით აღწერს მთელი სახლის მდგომარეობას, ყოფითობის სევდას. „ნაცარდამცხრალი“ მიუთითებს, რომ ცეცხლი დიდი ხნის ჩამქრალია, რაც სიცარიელისა და მიტოვებულობის შეგრძნებას იწვევს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც წარმოადგენს უკვე არსებული ფრაზეოლოგიზმების სემანტიკურ ვარიანტებს, რაც ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს მწერლისეულ სიახლედ.

კანმა ოფლი მოისხა - შეეშინდა: „ნაბიჯების ხმა მკვეთრია, კედელი მოუხელთებელი. კანმა ოფლი მოისხა. ამაზე დიდი კოშმარი არ გენახოთ.. შდრ.: ციფმა ოფლმა დაასხა - ძალზე შეეშინდა, გამწარდა, ათრთოლდა (სახოკია 1955: 114).

ენა მიღებს პირს? – სიტყვის უთქმელობა: მეთქი რაცხა იქნება, იი იქნება მარა, სა ცხოვრობს ვიცი? არ ვიცი აფერი. მოვალ გზაი მარა, ენა მიღებს პირს? არა. მეთქი სა მივალ-მეთქი ამ ტყეში. სა მივალ. ქე მაინც ვაკეში ვიყავი და აქანე რა მინდა. შდრ.: დანა პირს ვერ უხსნის – უსიცოცხლოა, მეტისმეტი დარდისა ან ბრაზისაგან მკვდარს დამსგავსებულია, მწუხარებისგან სიტყვა ვერ უთქვამს (სახოკია 1950: 89).

ამდენად, თანამედროვე ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი კეკელიძის მიერ შექმნილი მეტაფორული ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენს ენის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს. ისინი არა მხოლოდ ამდიდრებენ ენას ახალი გამომსახველობითი საშუალებებით, არამედ ასახავენ თანამედროვე საზოგადოების მსოფლალქმას და კულტურულ ღირებულებებს; გვიჩვენებენ ქართული კულტურის მჭიდრო კავშირს ბუნებასთან და მის უნარს, დაინახოს სამყაროს პოეტური ასპექტები ყოველდღიურ მოვლენებში. „ენა არის კულტურის გზამკვლევი სოციალურ რეალობაში“ (Sapir, 1929). ამ კონტექსტში, ახალი ფრაზეოლოგიზმების შექმნა და გამოყენება შეიძლება განვიხილოთ როგორც კულტურული ინოვაციის პროცესი, რომელიც საზოგადოების ცვალებადი ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის ამსახველია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- თაყაიშვილი 1961 – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება, თბილისი, 1961.
- კეკელიძე 2023 – გ. კეკელიძე, გურული დღიურები. თბილისი, 2023.
- ნეიმანი 1978 – ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოცემა, თბილისი, 1978.
- ორბელიანი 1991 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. I, თბილისი, 1991.
- ორბელიანი 1993 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული. ტ. II, თბილისი, 1993.
- ჟღენტი 1936 – ს. ჟღენტი, გურული კილო. თბილისი, 1936.
- სახოკია 1950 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. I, 1950.
- სახოკია 1954 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. II, 1954.
- სახოკია 1955 – თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტ. III, 1955.
- რატინი 2010 – ი. რატინი, ტექსტი და ქრონოტოპი. თბილისი, 2010.
- ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 8 ტომად. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი, 1950-1964.
- ღლონტი 1974 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. I, თბილისი 1974.
- ღლონტი 1975 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. II, თბილისი 1975.

დლონტი 1984 – ალ. დლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. მეორე გამოცემა. თბილისი 1984.

შარაშიძე 1938 – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: ქართველურ ენათა ლექსიკა, I. თბილისი, 1938.

ხაჭაპურიძე 2017 – ლ. ხაჭაპურიძე, ქართველი მართმადიდებელი მრევლის მეტყველება (ფრაზეოლოგიური და ლექსიკური ერთეულები). ქუთაისი, 2017.

ჯაჯანიძე 1977 – პ. ჯაჯანიძე, გურული დიალექტური ტექსტები და ლექსიკონის მასალები, I. თბილისი, 1977.

ჯორბენაძე 1987 – ბ. ჯორბენაძე, ბალავარი მწერლობისა. თბილისი, 1987.
Виноградов 1977: Виноградов, В. В., Об основных типах фразеологических единиц в русском языке. Наука. 1977.

Lakoff...1980 – G. Lakoff, M. Johnson, Metaphors We Live By. University of Chicago Press. 1980.

Sapir 1929 – E. Sapir, The Status of Linguistics as a Science. Language, 5(4), 1929.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9386>

**„შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული
ლაშქრობის“ გურული მასალა**

**The Gurian Material of the „Shota Rustaveli
Cultural Campaign“**

ეთერ ინტსკირელი

კავკასიის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Eter Intskirveli

University of Caucasus
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

სტატიაში შესწავლილია 1934-35 წლებში გაზეთ „კოლექტივიზაციის“ მიერ განხორციელებული ფოლკლორული პროექტი – „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა“, რომელიც 1937 წელს ჩატარებული შოთა რუსთაველის იუბილეს ფოლკლორულ ნაწილად მოიაზრებოდა ქართულ სინამდვილეში. შოთას კულტურული ლაშქრობა პირველად ხდება სამეცნიერო შესწავლის საგანი ქართულ ფოლკლორისტიკაში.

ლაშქრობის მიზანს წარმოადგენდა ახალი, სოციალისტური შინაარსის ლექსების შეკრება გლეხი-პოეტებისგან და მათი გამოქვეყნება საგლეხო გაზეთში. ლაშქრობის შედეგად შეკრებილი ლექსები კრებულად გამოქვეყნდა და XX საუკუნის 80-იან წლებშიც კი იბეჭდებოდა, როგორც ხალხის სულის გამოხატულება.

სტატიაში შესწავლილია გურიაში შეკრებილი ლექსები. კვლევამ აჩვენა, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით გურია ყველაზე ნაკლები ენთუზიაზმით შეხვედრია გაზეთის ინიციატივას, რადგან გურული ლექსების სიმცირე თვალშისაცემია როგორც საგაზეთო, ისე მოგვიანებით გამოქვეყნებულ კრებულებში. ასევე, იშვიათობაა გურული ლექსები ლიტერატურის მუზეუმის გაზეთ „კოლექტივიზაციის“ არქივში, რომლებიც არასდროს გამოქვეყნებულა, რადგან დაიბლოკა რედაქციის მიერ მათი ორაზროვანი მნიშვნელობის გამო.

გაზეთში გამოსაქვეყნებელ მასალას ჟურნალისტი აკაკი ჭყონია არჩევდა, რომელიც საკუთარი შეხედულებისამებრ ასწორებდა ლექსებს

და, როგორც კომუნისტი, უპირატესობას სოციალისტურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს ანიჭებდა. ლაშქრობამ გამოავლინა მრავალი გლეხი-პოეტის ვინაობა, რომლებიც საბჭოთა თემატიკაზე თხზავდნენ ლექსებს. ინდივიდუალური პოეტების შემოქმედების ხალხური სიტყვიერების გვერდით დაბეჭდვამ კი ის გამოიწვია, რომ ფოლკლორისტმა მიხეილ ჩიქოვანმა ექსკლუზიურად, ქართულ ფოლკლორისტიკაში შეცდომით შემოიტანა და მთქმელის ცნების პარალელურად დაამკვიდრა ფოლკლორთან შეუსაბამო – ავტორ-მთქმელის ცნება.

მიუხედავად იმისა, რომ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურულ ლაშქრობას სამართლიანად აკრიტიკებდნენ განხორციელების პროცესშივე, მან მნიშვნელოვანი გარდატეხა შეასრულა ქართულ ფოლკლორისტიკაში. ფაქტობრივად, მისი საშუალებით შეიქმნა ქართული საბჭოთა ფოლკლორის ვრცელი და მასშტაბური ბაზა, ხოლო მისი როგორც გამოცხადებისა და განხორციელების გზები, ისე შედეგები ნათლად აჩვენებს საქართველოში საბჭოთა ფოლკლორის ინსტიტუციურ და არა ხალხურ წარმოშობას.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა ფოლკლორი, გურული ფოლკლორი, ფოლკლორული პროექტი – „შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა“.

ABSTRACT

This article examines the folklore project „Shota Rustaveli Cultural Campaign“, implemented in 1934–1935 by the newspaper Kolkheti (Collectivization), which was part of the broader folkloric celebrations for Shota Rustaveli’s jubilee in 1937 within the Georgian context. The Rustaveli Cultural Campaign represents the first instance in which such an initiative became a subject of scholarly inquiry within Georgian folklore studies.

The campaign aimed to collect new poetry with socialist content from peasant poets and publish these works in a peasant-oriented newspaper. The poems gathered during the campaign were subsequently compiled into collections, which continued to be published into the 1980s as expressions of the popular spirit.

The study focuses specifically on poems collected from the Guria region. The research shows that, compared to other regions, Guria displayed the least enthusiasm for the newspaper’s initiative, as evidenced by the relative scarcity of Gurian poems both in the newspaper and in later published collections. Moreover, a small number of Gurian poems survived in the archives of the newspaper Kolkheti held at the Literature Museum; these were never published, as their ambiguous meanings were blocked by editorial decisions.

The material selected for publication was curated by the journalist Akaki Chkhonia, who edited the poems according to his own criteria and, as a committed communist, prioritized works with socialist themes. The campaign revealed the

identities of numerous peasant poets who wrote on Soviet topics. However, the publication of these poems alongside their folk oral traditions led to a methodological error in Georgian folklore studies: the folklorist Mikheil Chikovani erroneously introduced the term „author-narrator“, which is incongruous with folklore, alongside the traditional concept of the narrator.

Despite justified criticism of the Rustaveli Cultural Campaign during its implementation, it had a significant impact on Georgian folklore studies. In practice, it established a comprehensive and extensive database of Soviet-era Georgian folklore. Both the organization of the campaign and its outcomes clearly demonstrate that Soviet folklore in Georgia emerged primarily through institutional mechanisms rather than organically from popular traditions.

Keywords: Soviet folklore, Gurian folklore, folklore project – „Shota Rustaveli Cultural Expedition“.

კვლევის მეთოდი

სტატიაში შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობის მაგალითზე ინდუქციური მეთოდით არის ახსნილი საბჭოთა ეპოქის დამოკიდებულება ფოლკლორისა და ფოლკლორისტიკისადმი; კულტურულ-შედარებითი მეთოდის საშუალებით შესწავლილია ლაშქრობის მთავარი მიმართულება - საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი ხალხური ლექსები გურიის რეგიონიდან, ხოლო ისტორიულ-შედარებითი მეთოდით - საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ხალხურ კულტურასთან მიმართებით.

მსჯელობა

1934 წლის 20 აგვისტოს საქართველოს კომპარტიის (ზ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, 1937 წლის ოქტომბერში მთელ საქართველოში უნდა მოწყობილიყო „საყოველთაო სახალხო ზეიმი შოთა რუსთაველის 750 წლისთავის აღსანიშნავად“. ამავე დადგენილებაში გამოცხადებულია სხვადასხვა სახელოვნებო კონკურსის შესახებ - შოთა რუსთაველის ძეგლის საუკეთესო პროექტის, პოემის მხატვრობის, მუსიკალური კომპოზიციების და კინოსცენარის გამოსავლენად. მთავრობა აგრეთვე აყენებდა პოემის აკადემიური გამოცემისა და უცხო ენებზე თარგმნა-გამოცემის საკითხს. განათლების სახალხო კომისარიატმა დააწესა რუსთაველის პრემია საუკეთესო მაღალმხატვრული პოეტური ნაწარმოებისთვის. ერთი სიტყვით, ქვეყნის სახელოვნებო და სამეცნიერო წრეები სრულად უნდა ჩაბმულიყო შოთა რუსთაველისა და მისი პოემის პოპულარიზაციის საქმეში.

მეორე დღესვე, 21 აგვისტოს, გაზ. „კოლექტივიზაციის“ რედაქტორმა მეთაურ სტატიად აცნობა ეს ამბავი თავის მკითხველ გლეხობას. 22 აგვისტოს კი ასევე მეთაური სტატიით მიმართა მკითხველებს: „ვაცხადებთ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურულ ლაშქრობას.

ამხანაგო მასწავლებლებო, აგრონომებო, ექიმებო, გაზეთის მუშაკნო, კოლმეურნეობათა მოანგარიშეებო, სამკითხველოების გამგენო, თქვენ მოგმართავს გაზეთი „კოლექტივიზაცია“. გაზეთის რედაქცია შეახსენებდა მკითხველებს, რომ თითქმის ყველა სოფელში მოიძიებოდა გლეხი, რომელიც „მხატვრული სიტყვის იშვიათნიმუშებს იძლევა, თხზავს ლექსებს ახალ, საჭირბოროტო საკითხებზე, ავრცელებს ხალხში ძველ, უსახელო პოეტების ნათქვამს, ნაკვესებს, მოხდენილ იგავ-არაკებს...“ და მოუწოდებდა ყველა წერა-კითხვის მცოდნეს, რომ ჩაეწერათ „ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული უსახელო გლეხი-პოეტების ლექსები“, აგრეთვე, ხალხში შემორჩენილი შოთა რუსთაველის პოემის სტროფები და გამოეგზავნათ რედაქციაში, რომელთაგან საუკეთესოები დაიბეჭდებოდა გაზეთში და ბოლოს წიგნადც გამოიცემოდა. გაზეთის რედაქცია სთხოვდა ხალხური ლექსების ჩამწერებს, შეძლებისდაგვარად მეტი სიზუსტით ჩაეწერათ ასეთი ლექსები, აღენიშნათ მთქმელი, ადგილი, სოციალური მდგომარეობა და ა.შ. მზურვალე მონაწილეებს გაზეთის რედაქცია ჯილდოსაც ჰპირდებოდა (კოლექტივიზაცია 1934: №193/22.08). რედაქციის განცხადებით, შოთა რუსთაველის იუბილესთვის საქვეყნო მზადებას სოფელი ამ ღაშთობით უერთდებოდა.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყოველდღიური საგლეხო გაზეთ „კოლექტივიზაციის“ პროფილი უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო სიახლეებით შემოიფარგლებოდა; კორესპონდენტები ოპერატიულად აწვდიდნენ რედაქციას შესაფერის მასალას საქართველოს ყველა კუთხიდან. შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ღაშთობის გამოცხადებიდან დაახლოებით ერთ კვირაში კი გაზ. „კოლექტივიზაციის“ რედაქციაში ხალხური ლექსების კორიანტელი დატრიალდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გზავნიდნენ გლეხებისგან ჩაწერილ ლექსებს, ხშირად კი თვითონ წერა-კითხვის მცოდნე გლეხი-პოეტები გზავნიდნენ საკუთარ შემოქმედებას. პირველი ლექსი ხუთ დღეში, 26 აგვისტოს გამოქვეყნდა. ეს ლექსი ჩონგურზე დაუმღერებია ახალციხის რაიონის სოფ. კოთელიას მცხოვრებს, კოლმეურნე ვლადიმერ ბერუაშვილს, რედაქციას კი მასწავლებელმა ილია მაისურაძემ მიაწოდა. ლექსი „ჯავახეთს მოდით სოფლადა“ მოგვითხრობს, თუ რაგვარი სინათლის სხივი მოჰფინა მუქთახორებისგან დაჩაგრულ ხალხს გმირობის გამომგონმა ბელადმა - ლენინმა (კოლექტივიზაცია 1934: №196/26.08).

სულ მალე რედაქტორ აკაკი ჭყონიას პროექტი საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს იყო ხალხური ლექსების შეკრების უპრეცედენტო შემთხვევა საბჭოთა კავშირში; მსგავსი რამ არც ერთ საკოლმეურნეო და პარტიულ გაზეთს აღარ გაუმეორებია.

შოთას კულტურულ ღაშთობას ეხმიანებოდა არა მხოლოდ ცალკეული გლეხი-პოეტები ან ლექსების ჩამწერ-შემკრებნი, არამედ რაიონული და საქალაქო კომიტეტები, სკოლები და ა.შ. ასე მაგალითად,

თელავის რაიონულმა კომიტეტმა შოთას იუბილეს წინასწარი სამზადისი დაიწყო იმით, რომ კულტურული ლაშქრობის გამოცხადებიდან ორ კვირაში, რაიკომის ბიუროს 9 სექტემბრის სხდომაზე მიღებულ იქნა დადგენილება შესაბამისი ღონისძიების ჩატარების შესახებ. ამისთვის შეიქმნა რაიონული შტაბი, რომლის განკარგულებაში ორი ათასი მანეთი გამოიყო (კოლექტივიზაცია 1934: №212/16.09). თელავს მხარი აუბა საქართველოს კპ(ზ) ფოთის ქალაქკომმაც, რომელმაც სალიტერატურო კაბინეტს დაავალა მუშაობის გაშლა მოსახლეობაში გაფანტული ხალხური შემოქმედების შესაგროვებლად, ასევე, სკოლის მოწაფეების ჩაბმა ლაშქრობაში. ფოთის განათლების განყოფილებამ ათასი მანეთი გამოყო სახელდახელოდ შექმნილი შტაბისთვის. ფოთმა შოთას სახელობის კულტლაშქრობის საუკეთესო ჩატარებისთვის სოცშეჯიბრში გამოიწვია ზუგდიდისა და სენაკის რაიკომებიც (კოლექტივიზაცია 1934: №233).

მიუხედავად ლექსების სიმრავლისა, აკაკი ჭყონია პერიოდულად ითხოვდა მკითხველებისგან, გაეძლიერებინათ მონაწილეობა „შოთას სახელობის კულტურულ ლაშქრობაში“, რომელსაც, როგორც ჩანს, თავიდან აღმოსავლეთ საქართველო მეტი ენთუზიაზმით შეხვდა, ვიდრე დასავლეთი. ამას საგაზეთო მიმართვაც ადასტურებს:

„[...] განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას დასავლეთ საქართველოზე, კერძოდ გურია, იმერეთზე, რაჭა-ლეჩხუმსა და სამეგრელოზე. ამ ადგილებიდან შედარებით ცოტა მასალა მოდის, მაშინ როდესაც აქაც მრავალია ხალხური შემოქმედების მაღალხარისხოვანი ნიმუშები, რომლებიც ჯერ გამოქვეყნებული არაა და შეიძლება დაიკარგოს კიდეც. [...] საჭიროა ამ ლექსების შეგროვება. დასავლეთ საქართველო ისევე უნდა გამოეხმაუროს ლაშქრობას, როგორც აღმოსავლეთ საქართველო“ (კოლექტივიზაცია 1934: №210/11.09).

როგორც საგაზეთო, ასევე საარქივო მასალების გაცნობამ აჩვენა, რომ, მიუხედავად მოწოდებებისა, გურულები ნაკლებად აჰყოლიან აკ. ჭყონიას ინიციატივას, რადგან, სხვასთან შედარებით, გურიის რეგიონი ყველაზე მწირად არის წარმოდგენილი; გურული ლექსები მინიმალური რაოდენობით შევიდა, ასევე, აკ. ჭყონიას მიერ გამოცემულ სამტომეულში „საუნჯე ხალხური სიტყვიერებისა“ (საუნჯე 1935, 1936). არქივში ვერ მივაგენით, ასევე, ლანჩხუთის რაიონის სოფ. მამათში მცხოვრები გლეხი პოეტის, უშანგი ხელაძის, ლექსებს, რომელსაც ლაშქრობის დასაწყისში გაზეთი პერსონალურად მოუწოდებდა აქტიურობისკენ და ლექსების გაგზავნას სთხოვდა (კოლექტივიზაცია 1934: №194/23.08). გაზეთთან არ თანამშრომლობდნენ მაშინდელი ქართველი ფოლკლორისტები თედო ბეგიაშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი, ასევე, კოტეტიშვილის ორი გურული სტუდენტი - ქსენია სიხარულიძე და იოსებ მეგრელიძე. ამ უკანასკნელის 1934 წლის სამეცნიერო ანგარიშიდან ცნობილია, რომ ის 1929 წლიდან აგროვებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს მშობლიურ სოფელ ხიდისთავში, ხოლო 1930, 1931, 1932 და 1934 წლებში - მთელი გურიის ტერიტორიაზე; 1934 წლისთვის 1000 ხელნაწერი გვერდი ჰქონდა

უკვე ჩაწერილი ი. მეგრელიძეს (მეგრელიძე 1934: 184). მიუხედავად ამისა, მას თავისი მოპოვებული არც ერთი (მათ შორის რევოლუციის თემებზე შექმნილი) ლექსი „შოთას კულტურული ლაშქრობისთვის“ არ გაუგზავნია.

გურიის რეგიონის ნაკლოვანების შესავსებად აკაკი ჭყონიამ თავისი ახალგაზრდა კოლეგების, სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომკავშირელი სტუდენტების - ალექსანდრე ღლონტისა და მიხეილ ჩიქოვანის რესურსი გამოიყენა. მეგობრები და მომავალი ფოლკლორისტიები ხშირად იყვნენ გურიაში, ღლონტი - მშობლიურ სოფელ დვაბზუში, ჩიქოვანი - პარტიული და „ჟურნალისტური“ დავალებებით. მისი დღიურებიდან ვიგებთ, 1934 წლის 2 იანვარს გურიაში, კერძოდ, ლანჩხუთში, ყოფილა მივლინებული: „ჩემი აქ მოსვლას სამი მიზანი აქვს: 1. „კომუნისტმა“ მთხოვა ნარკვევი „საუკეთესო კოლმეურნეობა და მისი უჯრედის მდივანი“; 2. ფირალის ეპოსი გურიაში და 3. საიდუმლო მეტყველების შესწავლა-დადასტურება. გამოდის, რომ ჩემს მგზავრობას და მივლინებას მართო ლიტერატურული, პოლიტიკური ხასიათი არ აქვს, და მას თან ახლავს მეცნიერული მუშაობის ენტუზიაზმი და პირველი სამეცნიერო მივლინება სახუნტის“ (ლმა, ხ-29185, რვეული 3, გვ. 21). ეს ის დროა, როცა ჭყონია „ელხი“¹ დირექტორია, ჩიქოვანი კი სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომკავშირელობასთან ერთად გაზ. „კომუნისტის“ კორესპონდენტიც. თავისი არქივიდან ის სათანადო მასალას აწვდის კოლმეურნეთა გაზეთს:

არალაღი თარალაღი, ბატონ-ყმობა აღარ არი,

სამოვარი რომ დავადგი, ჩამბერავი აღარ არი.

გოგოები შინ წასულან, ჭადს აცხობს ქალბატონები;

გამოცხობას ვერ მიხვდება, ცომ ჭადს ჭამს ვაჟბატონები.

გაწყდება ვაჟბატონები, დაგვრჩება ქალბატონები.

ლექსს თან ახლავს თავისი საპასპორტო მონაცემები: „ჩაწერილია ს. ლიხაურში (გურია). მთქმელი ს. თოიძე, მოგვაწოდა ამხ. მ. ჩიქოვანმა“² (კოლექტივიზაცია 1934: №225/29.09).

ლექსის გამოქვეყნებიდან მალე მიხ. ჩიქოვანი ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტი ხდება და შემოდგომიდან ზაფხულამდე რუსეთში ცხოვრობს. ამ პერიოდში ის „ფირალთა ეპოსზე“ მუშაობს, ჭყონია კი მას გაზეთის ეგზემპლარებით ამარაგებს. 1935 წლის 9 იანვრის პირად ჩანაწერში ვკითხულობთ: „დღეს მივიღე აკაკი ჭყონიასაგან გამოგზავნილი გაზეთი „კოლექტივიზაცია“. ამ გაზეთის წინაშე ბევრი თავისებური ამოცანები დგას. დაკვირვება ამბობს, რომ მისი რედაქტორი კარგი სპეციალისტია, მშვენიერ გაზეთს სცემს. აკაკი „კომუნისტში“ არ სჩანდა, საკუთარ გაზეთში კი თავისებურ კვალს ამჩნევს. სასოფლო გაზეთებში „კ-ზაციას“ მე ვფიქრობ, რომ ბევრი ვერ აჯობებს ჩვენს კავშირში“ (ლმა, ხ-29185, რვეული 3, გვ. 73).

¹ ელხი - ენის, ლიტერატურის, ისტორიის და ხელოვნების ინსტიტუტი, დაარსებული 1933 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტში.

² ხაზგასმა ყველგან ჩვენია - ე.ი.

გურული მასალის ნაკლებობა გაზეთის ფურცლებზე თვალშისაცემი რომ არ ყოფილიყო, რედაქციას თავისი სოფლის ზეპირსიტყვიერი ნიმუშებით ამარაგებდა ალექსანდრე ღლონტიც. არსენას გურულ ვარიანტთან და ცნობილ გურულ სახუმარო ლექსთან „ოინი მიქნა ბახმარომ“ ერთად „ამხ. ალ. ღლონტს“ დვაბზუში ჩაუწერია ლექსი „ტრიფონ ბერი“. იუმორით ნათქვამი ლექსი მღვდლის უმადურობისა და მექალთანეობის შესახებ მოგვითხრობს, როცა სტუმრად პატივით მიღებული სასულიერო პირი მასპინძლის ოჯახის პატარძლის შეცდენას დააპირებს:

ზევიდან წამოვედით მე და ჩვენი ტრიფონ ბერი,
მთლათ სოფელი მოვიარეთ, ბამბაც ვკრიფეთ გზაზე ბევრი,
ერთი სახლი დავინახეთ, მას მიადგა ტრიფონ ბერი,
იმ კაცმა კარგა მიგვიღო, ნაცნობობა გვიქნა ძველი.
სტოლზე ძმაო რა არ იყო, რა საჭმელი, რა სასმელი,
იმ კაცმა ჩვენ, გენაცვალე, ქე მოგვიწყო კარგად ხელი.
კაი ხანი ვიქეიფეთ, სიმღერა ვთქვით ჭრელზე-ჭრელი;
ღვინოც საკმაოდ დავლიეთ, სანამ კოკა გვქონდა სველი.
საბოლოოთ, გენაცვალე, დამინებას მივყეთ ხელი;
ტრიფონ ბერი არ იძინებს, განზრახვა აქვს ხელდახელი.
შუა ღამე გადიწურა, პატარძალს გადუყო ხელი,
პატარძალმა დეიყვირა, ვაიმე დედავ, მომწყდა წელი.
წამოვარდა დედამთილი, ჯორკოს წამოავლო ხელი,
ტრიფონ ბერი პიჯვარს იწერს - მე არა ვარ ავის მქნელი.
საცეცხური დამეკარგა, სიბნელეში დევიბენი,
ამ ძეგნაში უცაბედად ქე გადუყვე იმას ხელი!..
ჩაწერილია ს. დვაბზუში (გურია) მოგვაწოდა ამხ. ალ. ღლონტმა

(კოლექტივიზაცია 1934: №225/29.09)

მღვდლების მექალთანეობა საბჭოთა ანტირელიგიური პროპაგანდის ერთ-ერთი წარმართველი თემაა და, ბუნებრივია, გურულ შაირებშიც ხშირადაა ეს თემა გახუმრებული. რაც მთავარია, გაზეთის რედაქცია ანტისამღვდელო ლექსების გამოქვეყნების შანსს ხელიდან არ უშვებდა:

აქეთ წუში, იქით წუში,
შუაზე ფარდა ჩამოუშვი;
რაც რომ კარგი ქალებია,

მღვდელ არტემთან გამოუშვი (კოლექტივიზაცია 1934: №276).

ლიტერატურის მუზეუმში გვხვდება რამდენიმე გურული ლექსი, რომლებიც ვერც გაზეთის ფურცლებზე მოხვდა და ვერც „საუნჯის“. ასეთია, მაგალითად, გურიის სოფ. ჩოჩხათში ჩაწერილი „გლეხის ჩივილი“. საბჭოთა ფოლკლორში ხშირად გვხვდება ჩივილის გამომხატველი ლექსები, მაგრამ კანონი დასაშვებად მიიჩნევს, რომ თავის უბედურებაზე მხოლოდ მღვდელი, თავადი, კულაკი და ვაჭარი შეიძლება ჩიოდეს. გლეხი და მუშა საბჭოთა ფოლკლორში ყველაზე ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობენ და, შესაბამისად, ეს ტექსტი მაშინვე დაიბლოკა რედაქციის მიერ:

დღე და ღამე ოფლში ვცურავ, არაფერი მაზადია,
ჩემი საგებ-სახურავი დაგლეჯილი ნაზადია.
სამკაულად შემრჩენია: წალდი, ცული, ბარი, თოხი
და თავისა შესაფარად ერთი გაჭვარტლული ქოხი.
რაც რომ კარგი საჭმელია, ჩემი მკლავის ნაყოფია,
მე კი ვზოგნი მარილს და მჭადს, ისიც არ მაქვს საყოფია.
როცა ვჭირივარ, მაქებენ, ისე მაგდებენ ჩირადა,
სიმართლის თქმაზე მკიცხავენ, მათრახსაც მცემენ ხშირად.
ხუცები დამჩიჩხინებენ, შენ რათ გინდა ქონებაო,
რაც იშოვო, ჩვენ მოგვეცი, შენ მიიღე ცხონებაო

(ლმა, 20013-ხ, გვ. 108).

ლექსში ასახული გაჭირვება არქივში დაკონსერვდა, რადგან მასში ასახული „კულტურული ყოფის“ გაზეთის ფურცლებზე აფიშირება სრულად ეწინააღმდეგებოდა სამთავრობო დისკურსს მუშა-გლეხების ბედნიერი ცხოვრების შესახებ. თუმცა საეჭვოა თვითონ არქივის ავთენტურობის საკითხიც: მასში არ გვხვდება არც ერთი ღიად ანტისაბჭოთა ან კონტრრევოლუციური ტექსტი, რომელთაც, სავარაუდოდ, მყისვე ანადგურებდა აშხ. ჭყონია, თუკი უკვე 1934-35 წლებში ვინმე გარისკავდა ასეთი ტექსტის კომპარტიის ორგანოსთვის გაგზავნას. არათუ გამოქვეყნება, მათი არქივში შენახვაც კი შესაძლოა კარიერად და სიცოცხლედაც დასჯდომოდა რედაქტორს, რომელიც შოთას ლაშქრობას დიდი მნიშვნელობის კულტურულ საქმეს უწოდებდა და პერიოდულად ახსენებდა მკითხველებს, რომ მისი მთავარი ღირებულება სწორედ ხალხურ პოეზიაში ასახული ყოფა-ცხოვრებაა: „შოთას სახელობის ლაშქრობამ დაგვანახა, რით ცხოვრობს შეძლების გზაზე დამდგარი საკოლმეურნეო სოფელი, როგორია მისი ახლანდელი კულტურული ყოფა. შეუძლებელი იყო ხალხურ შემოქმედებაზე გავლენა არ მოეხდინა უკანასკნელ 13 წელიწადს. გამწვავებულმა კლასობრივმა ბრძოლამ, სოციალისტური მშენებლობით გატაცებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ხალხურ ზეპირსიტყვაობაშია. ამის ნიმუშები ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ და მომავალშიაც გამოვაქვეყნებთ“ (კოლექტივიზაცია №210/11.09.1934).

მაგრამ არქივში გამოიკეტა არა მხოლოდ ის ლექსები, რომლებიც თანამედროვე ყოფას პროპაგანდისგან განსხვავებულად წარმოაჩენდა, არამედ ისეთი ტექსტებიც, რომლებიც ყოფასთან ერთად წარმოაჩენდა თვით ადამიანს, მის სურვილებს, მისწრაფებებსა და ოცნებებს. ამის დასტურია კიდევ ერთი, გურიის სოფ. დვაბზუში გულოვან ჩხაიძისგან ჩაწერილი, მაგრამ გამოუქვეყნებელი ლექსი „ნატვრა ამსრულებოდესო!“ ლიტერატურის მუზეუმის არქივიდან:

ღმერთს იმას ვთხოვ, ქვეყანაზე ნატვრა ამსრულებოდესო!
გუბერნატორი ჩემ სახლში პოლის მწმენდლად მყოლოდეს,
გალიცინი ფაიტონში, „იზოზიკატ“³ მყოლოდესო
ახლანდელი „კნეინები“ მე „გორნიჩნათ“⁴ მყოლოდესო.

³ Извозчик - რუს. მეფაიტონე.

⁴ Горничная - რუს. მოახლე.

ღმერთს იმას ვთხოვ, ქვეყანაზე, ნატვრა ამსრულებოდესო,
 რაც დიდარი ვაჭრებია, მეჯინიბეთ მყოლოდესო,
 რაც ლამაზი სტუდენტია, პირის ბანლათ მყოლოდესო,
 შვენიერი ექიმები მე თავზე მევლებოდესო.
 ღმერთს იმას ვთხოვ, ქვეყანაზე ნატვრა ამსრულებოდესო,
 ახლანდელი აფიცრები სულ ლაქიათ მყოლოდესო,
 ზოგიერთი ყმაწვილები ფეხის ბანლად მყოლოდესო,
 იგი წუწკი პოლიცია მე „პოვრადაც“ მყოლოდესო

(ლმა, 20012-ხ, გვ. 181-182).

შინაარსობრივად და ლექსიკურად („გუბერნატორი“, გალიცინი [იგივე გრიგოლ გოლიცინი], „კნეინები“, „პოლიცია“, „აფიცრები“) ლექსი რევოლუციამდელი ადამიანის ნატვრას გამოხატავს. როცა ის წარმოითქვა და დაფიქსირდა, არც გუბერნატორი იყო და აღარც კნეინები, მაგრამ მეხსიერებიდან ვერ წაიშალა შურისძიებისა და სხვისი დაჩაგვრის სურვილი, ვინაიდან ნამდვილი თავისუფლება არავისთვის მოუტანია რევოლუციას. მოცემულ ლექსში საბჭოთა გლეხი, როგორც ნებისმიერი მონა, ნატვრას არა თავისუფლებას და თანასწორობას, არამედ კვლავ შურისძიებაზე, მჩაგვრელის დაჩაგვრასა და ექსპლოატაციაზე ოცნებობს. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსიზმებით გადატვირთული ტექსტი იშვიათია იმპერიისდროინდელ ფოლკლორულ ჩანაწერებში და საეჭვოა, 1921 წლამდე იმ დოზით ყოფილიყო რუსული ენა შემოსული ხალხურ ყოფაში, ისე გაეთავისებინათ ის გლეხებს, რომ პოეზიაში გამოეყენებინათ. ამიტომ ჩნდება ვარაუდი, რომ ეს ლექსი - ძველ დროებაზე - ძველი კი არა, ტიპური საბჭოთა დროის ადამიანის ნატვრაა, ხოლო იმპერიისდროინდელი ლექსიკა შესაძლოა საბჭოთა სინამდვილის გადასაფარად და კომუნისტებისთვის გზა-კვალის ასარევად ჰქონოდათ გურულებს, რაზეც ალბათ ერთმანეთში იცინოდნენ კიდევ. მით უმეტეს, რომ ლიტერატურის მუზეუმის არქივში მახარაძის რაიონის სოფ. ნიაზაურის მცხოვრების, 72 წლის იოსებ ცეცხლაძისგან ჩაწერილ ლექსზე ჩამწერი ამბ. ტ. აცანელი ამგვარ განმარტებას ურთავს: „თვითმპყრობელობის დროს გურიაში ძალიან გავრცელებული იყო მთავრობის საწინააღმდეგო ლექსები. პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა ასეთი ლექსების ავტორებს და სჯიდნენ მათ. ამის გამო ხალხური მეღელესეები ალეგორიას მიმართავდნენ და პოლიციას კვალს უბნევდნენ. ქვემოთ მოყვანილი ლექსი დაწერილია 1913 წელს და იგი ლექსების ამ კატეგორიას ეკუთვნის. ავტორს მგლებათ ნაგულისხმები ყავს თავადაზნაურობა, ტურებათ კი მამასახლისები და პოლიციის მოხელეები“. საუბარია იოსებ ცეცხლაძის საავტორო ლექსზე „მგლის დასჯა სამართალში არ სწერია“. ლექსის მთქმელი ჰყვება ამბავს, როგორ დაეწვა სიზმარში სახლი, ეს კარგ ნიშნად მიიღო, მაგრამ სიზმარი ავად აუხდა და რამდენიმე დღეში ჯორი დაკარგა. სამართლის სამეზნელად პოლიციასაც მიმართა და სასამართლოსაც, ითხოვდა „მგლის“ (ანუ თავადის) დაჭერას, მაგრამ სამართალს ვერა და ვერ მიაღწია:

... თურმე მგელს და ძალღონიერს ვერკაცი ვერ მიერია,
 და ამიზა კანონებში მგელის დასჯა არ სწერია.

ეფეიჯა⁵ მოინდომეს, ვერ წამადგენ ვეფერია,
დარდი, ძიავ, ისევ სახლში წამევილე ამდენია.
გული მთლათ ჯავრით ამივსო იგინის გრეხვა-მანჭვამა.
მგლებს⁶ მარტო მე არ ვემდური, ცოტა ტურებიც დაჭამა

(ლმა, 20012-ხ, გვ. 45-46).

ცხადია, რომ მგლის ალეგორიული სახე „ძლიერთა ამა ქვეყნისა“ ისეთივე წარმატებით შეიძლება გავრცელდეს კომუნისტების მიმართ, როგორც რუსეთის იმპერიაში - თავადაზნაურობის. ლექსის მთავარი სათქმელი საკმაოდ პირდაპირაა ლექსის ბოლო სტრიქონში გაჟღერებული, რომ სამართალდამცავი და ადმინისტრაციული სტრუქტურაც კი (რის ალეგორიასაც ტექსტში „ტურები“ წარმოადგენს) უძლურია მოძალადის მიმართ. სამართლის პოვნა კი საბჭოეთშიც შეუძლებელი იყო, თუკი, მაგალითად, ქვეყნის მასობრივი კოლექტივიზაციის დროს კოლმეურნეობა გადაწყვეტდა და მიწებთან ერთად შინაურ ცხოველებსაც ჩამოგართმევდა. მართალია, ეს ლექსი არასდროს გამოქვეყნებულა, რადგან მთავლიტის კანონები ზედმიწევნით იცოდა აკაკი ჭყონიამ, მაგრამ მსგავსი შინაარსის ერთი გურული ლექსი მაინც გაეპარა გაზეთის ფურცლებზე, ალბათ მისი სახუმარო ფორმის გამო. ლექსის არც მთქმელი ვიცით და არც ჩამწერი, მხოლოდ ის ვიცით, რომ გურიაშია ჩაწერილი და ჰქვია „თხა“. პატრონი უკვალოდ დაკარგულ თხას დაეძებს:

ჩემო პაწა თიკანაო, რამ იყო რომ შეგჭამაო,
ტუჩი ლამაზი, თვალები, თავის ზედ მიაჭამაო,
ისე რაფერ გაგაქროლა, შენი აფერი ჩანაო,
არც თავი, არცა ფეხები, არც კისერში ბაწარაო

(კოლექტივიზაცია 1934: №229).

ა. ჭყონია, რომელიც შოთას კულტურულ ლაშქრობას დიდ საქვეყნო საქმეს უწოდებდა, არავის ანდობდა გაზეთისთვის ლექსების შერჩევას, სათითაოდ კითხულობდა ყოველ შემოსულ ლექსს და თვითონ იღებდა გადაწყვეტილებას, რომელი მათგანი უნდა დაბეჭდილიყო გაზეთის ფურცლებზე და რომელი - არა, რასაც ლიტერატურის მუზეუმისთვის მის მიერ გადაცემული გაზეთ „კოლექტივიზაციის“ არქივი მოწმობს (ლმა, ხ-20005-20020). არქივის საქმეები თვეების მიხედვითაა დალაგებული. ეს არის დაახლოებით 10 000-მდე ხელნაწერი გვერდი, ზოგიერთი მათგანი თავისი ბეჭდური ვერსიითურთ. ზოგჯერ ნაბეჭდი გვერდი ზუსტად არ იმეორებს ხელნაწერ ტექსტს. ხშირად ლექსები თვითონ გლეხების ან მუშების მიერაა ჩაწერილი და ელემენტარული წესებიც არ არის დაცული, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ გაბმულად, პროზის ფორმით გვხვდება. ამას გარდა, ზოგიერთი ხელნაწერი ჩასწორებულია წითელი კალმით, საუბარია არა პუნქტუაციის რედაქტირებაზე, არამედ სტილისტურ და ხშირად აზრობრივადაც კი გასწორებულ ტექსტზე. ხალხური ტექსტი ზუსტად ისე

⁵ ძალიანი.

⁶ ავტორს მგლებათ ნაგულისხმები ყავს თავადაზნაურობა, ტურებათ კი მამასახლისები და პოლიციის მოხელეები.

უნდა ჩაიწეროს, როგორც წარმოითქვა ის დროსა და სივრცეში. ჩამწერს და/ან გამომცემელს კი არ აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს ტექსტი - ჩაასწოროს სიტყვა, რითმი, ამოიღოს სტროფი და ა.შ.

ლაშქრობის დაწყებიდან დაახლოებით ორ თვეში გაზეთ „კოლექტივიზაციის“ ინიციატივას ძალზე დელიკატურად გამოეხმაურა იმ დროს უკვე ცნობილი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე სტატიით „ხალხური შემოქმედების შეკრების გამო“, რომელშიც მკვლევარი გაზეთის მკითხველებს უხსნის ფოლკლორის თავისებურებებს და სპეციფიკას, რომ ერთი კუთხის ლექსი ხშირად შორს მიდის - მთიდან ბარში ჩადის და პირიქით, რომ ზეპირი გამეორებისას ლექსი ათასგვარად სხვაფერდება და ზოგჯერ „მახინჯდება“ კიდევ: „ერთი სიტყვით, უცხო კუთხეში გავრცელებისას ლექსს ბევრი გაუგებრობა ახლავს. ამიტომ სასურველია, შერჩეულ იქნეს ლექსები, რომლებიც ადგილობრივი წარმოშობისაა და შედარებით კარგად იციან, მაგალითად, ფშავში ფშავური ლექსები, გურიაში - გურული წარმოშობისა და სხვა“. მკვლევარი მოუწოდებს ლექსების ჩამწერს, არ შეუღონ ერთმანეთში ერთი ლექსის რამდენიმე ვარიანტი და ყველა ვარიანტს თავისი მთქმელის სახელი მიეწეროს; რომ ჩაწერის დროს კუთხური დიალექტიზმები არ უნდა დაირღვეს, რადგან რედაქციაში შემოსულ ლექსს თავისთავად უნდა ეტყობოდეს სადაურობა (შანიძე 1934: 3).

ჩამოთვლილი პრობლემების გარდა, სავარაუდოდ, აკაკი შანიძე იმაზეც აღშფოთდა, რომ ლაშქრობის დასაწყისში გაზეთი უფრო მეტად საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური მშენებლობისა და ლენინ-სტალინ-ბერიას საქებარ პოეზიის ნიმუშებს ბეჭდავდა, შიგადაშიგ თუ გამოურევდა ტრადიციულ ხალხურ ლექსებს, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის მუზეუმის არქივში მათი ხვედრითი წილი შეუდარებლად მეტია, ვიდრე საბჭოთა თემატიკაზე შეთხზული ლექსებისა. ამიტომ, რა გასაკვირია, რომ სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი ლექსები არა მხოლოდ შინაარსით ჰგავდა ერთმანეთს, არამედ ფორმითაც და ამ მასობრივ ეგალიტარიზმში კუთხური ელფერი იკარგებოდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროპაგანდისტების მიერ შეთავაზებულმა საბჭოთა თემებმა ხალხური შემოქმედება ერთგვარად დაჩრდილა და მისი პოლიტიკური ბუნება განსაზღვრა. თითქოს ადამიანები მოსწყდნენ თავიანთ ტრადიციას და კოლექტივისა და კლასობრივი მტრების გარდა არაფერი ამღერებდათ.

აკაკი ჭყონიამ პასუხი აკაკი შანიძეს მოგვიანებით გასცა, როცა გაზეთში დაბეჭდილი ლექსებიდან „საუკეთესონი“ ამოარჩია და სამ ტომად გამოსცა სათაურით - „საუნჯე ხალხური შემოქმედებისა“. ჩანს, პირველი ტომის გამოსვლიდან (1935) მესამე ტომის გამოსვლამდე კრებულს არაერთი კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა. ამიტომ კრებულის ბოლო ტომის წინასიტყვაობაში რედაქტორი ერთგვარად თავს გაიმართლებს:

„როგორც მოსალოდნელი იყო, კრიტიკამ საერთო დადებით მხარეებთან ერთად ზოგი ნაკლიც აღნიშნა. [...] მთავარი,

რაც ზოგიერთ მკითხველს „საუნჯეს“ დეფექტად მიაჩნია, ეს არის წმინდა ფოლკლორული, უავტორო ლექსების გვერდით თანამედროვე ხალხური პოეტების ლექსების მოთავსება. [...] რედაქციამ შეგნებულად მოათავსა ერთმანეთის მეზობლად ძველი ზეპირსიტყვაობის ნიმუშები და თანამედროვე ხალხური პოეტების ლექსები. მიზანიც თავიდანვე ასეთი იყო. როდესაც გაზეთ „კოლექტივიზაციამ“ გამოაცხადა შოთა რუსთაველის სახელობის კულტურული ლაშქრობა, რედაქცია გულისხმობდა სოციალისტური საქართველოს სინამდვილეში წარმოშობილ და დღემდე ხალხში შენარჩუნებულ ზეპირსიტყვაობის შეგროვებას. ახალი ფოლკლორი კი ჯერჯერობით მხოლოდ ჩანასახშია. თხუთმეტი წელიწადია, რაც ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურაა. ეს დრო თითქოს ანგარიშში მისაღებიც არ არის ზეპირსიტყვაობის განვითარებისათვის. ფოლკლორის ისტორია ხომ ათეული საუკუნეებით განიზომება, მაგრამ საბჭოთა დროის სრულიად ნორჩი ზეპირსიტყვაობა უკვე იმდენად შესამჩნევი გახდა, რომ მისი შეგროვება და შესწავლა უთუოდ დიად საგულისხმო მასალას იძლევა ენის, ყოფა-ცხოვრების და ისტორიის თვალსაზრისით. ეს ზეპირსიტყვაობა ჩვენ თვალწინ ისახება, ჩვენ თვალწინ ისხამს ხორცსა და სისხლს. მისი სწრაფი ზრდა უთუოდ იმ დიდი სოციალური ძვრების ანარეკლია, რომელიც თან მოიტანა პროლეტარულმა რევოლუციამ. ლენინისა და სტალინის ეპოქამ გასტეხა ყამირი, მან გამოიყვანა შემოქმედების ყველა დარგში ფართო სარბიელზე საუკუნეებით ხელოვნურად გზადახშული მშრომელთა მასები (საუნჯე 1936: VII-VIII).

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, აკაკი შანიძისა და ვახტანგ კოტეტიშვილისგან იქნებოდა (თედო ზეგიაშვილი სხვადასხვა მიზეზით ჩამოცილებული იყო აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას), როგორც 1930-იანი წლების პირველ ნახევარში ორი ყველაზე კომპეტენტური მკვლევრისგან, რომელთაც ზუსტად ესმოდათ ფოლკლორისტიკის საგნის არსი და იქნებ სწორედ ამიტომ ვერ ვხედავთ ვერც ერთ რევოლუციის თემაზე შექმნილ ტექსტს მათ მიერ გამოცემულ კრებულებში (შანიძე 1931; კოტეტიშვილი 1934), მიუხედავად იმისა, რომ საბჭოური თემატიკის დამუშავება საბჭოების ქვეყანაში ლენინის გარდაცვალების შემდეგ, 1924 წელს დაიწყო, როცა ზოგიერთმა ხალხურმა მთქმელმა მართლაც გულწრფელად დაიტირა ოქტომბრის რევოლუციის ბელადი. ა. შანიძე და ვ. კოტეტიშვილი თავს არიდებენ მსგავსი ტექსტების გამოცემას ხალხური პოეზიის კრებულებში. როგორც ჩანს, ამ ლექსებს ტრადიციის ნაწილად არ მიიჩნევენ კოლექტიურობის, ვარიანტულობის, ანონიმურობისა და ფოლკლორის სხვა სპეციფიკური ნიშნების არარსებობის გამო. 1924-1933 წლების საარქივო მასალები ისედაც მწირია, თუმცა იოსებ მეგრელიძე ასახელებს რევოლუციის თემაზე შექმნილ რამდენიმე ლექსს, რომლებიც უმთავრესად გლეხი პოეტების შეთხზულია და მხოლოდ

ორიოდე ტექსტზე მიუთითებს, რომ მათ ახალგაზრდები ჩონგურზე ამღერებდნენ სუფრასთან ან ყანაში მუშაობისას (მეგრელიძე 1934: 159-188).

აკაკი ჭყონია სრულიად გულწრფელად აღიარებს, რომ შოთას ლაშქრობის მთავარი მიზანი თანამედროვე, სოციალისტური ყოფის ამსახველი ლექსების შეგროვება იყო; ის სავსებით მართალია, რომ ეს ლექსები „საგულისხმო მასალას იძლევა ენის, ყოფა-ცხოვრების და ისტორიის თვალსაზრისით“; მაგრამ ნამდვილად შეცდომას უშვებს, როცა, რუსი საბჭოთა ფოლკლორისტიკების მსგავსად, კონკრეტული გლეხი პოეტების ლექსებს ხალხურ შემოქმედებას უწოდებს და ფოლკლორად ასაღებს. ნებისმიერს შეიძლება ჰქონდეს შემოქმედებითი უნარი ან სტრიქონთა გარიტმის ბუნებრივი ნიჭი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი ნაწარმოები გახალხურდება, ხალხური გახდება, ანუ გაივლის მთავარს - ხალხის ცენზურას, შეიძენს ვარიანტებს და ტრადიციის ნაწილი გახდება. ამას შრომაა ტრადიციის ხელოვნურად დამკვიდრება, შეუძლებელია ტრადიციის დაწყება, თუ ის ბუნებრივად არ წარმოიშობა და თავისით არ ვითარდება. ნებისმიერი ხელოვნური ინტერვენცია იმთავითვე განწირულია ხალხურ ტრადიციაში, რადგან მაშინვე დაეღწევა დღე, როგორც კი მისი კვების წყარო, მამოძრავებელი ძალა შეწყვეტს ინიციატივას და სასიცოცხლო იმპულსის მიწოდებას. ტრადიციული ხალხური ლექსების გვერდით გაზეთისთვის სახელდახელოდ დაწერილი ლექსების (რომელთა უმრავლესობის ავტორის ვინაობაც ვიცით) მოთავსება ხალხური კულტურის კანონის უგულვებელყოფას და საბჭოთა ლექსებისთვის იმ სტატუსის მინიჭებას ნიშნავს, რომელიც მათ არ მოუპოვებიათ.

ინდივიდუალური გლეხი პოეტების გამომწვეურებას უკვალოდ არ ჩაუვლია და თავისებური გაგრძელება ჰპოვა ქართულ ფოლკლორისტიკაში. ჩვენი აზრით, სწორედ ამ მასობრივმა ლაშქრობამ შოთა აგონა მიხეილ ჩიქოვანი, 1938 წელს „ქართული ფოლკლორის“ სახელმძღვანელოში განსაკუთრებით გამოეყო მთქმელთა ინდივიდუალური შემოქმედების და „ფოლკლორის განვითარებაში მათი როლის შესწავლის მნიშვნელოვნება“ (ჩიქოვანი 1938: 4), რომ ქართულ ფოლკლორისტიკაში შემოეტანა ტერმინი, რომელიც არ არსებობს არათუ დასავლურ, თვით რუსულ საბჭოთა ფოლკლორისტიკაშიც კი: „ჩვენ ორი კატეგორიის მთქმელებს ვარჩევთ: პირველი - მთქმელი, საერთოდ გავრცელებული ფოლკლორულ ნაწარმოებთა შემსრულებელი; მეორე, ავტორ-მთქმელი, რომელიც საერთოდ გავრცელებულ ნაწარმოებთა გარდა საკუთარ ლექსებსა და სიმღერებსაც გადმოგვცემს“ (იქვე). მაგრამ მ. ჩიქოვანს მხედველობიდან რჩება, რომ ერთია მთქმელის როლი ხალხურ ყოფაში და მეორე - მისი საკუთარი შემოქმედება, რაც შეიძლება არასდროს არ გასცდეს ავტორს და არ გახდეს ანონიმური, არ შეიძინოს ვარიანტები და არ გახალხურდეს, ანუ, არასდროს არ გახდეს ფოლკლორის ნაწილი. მას შემდეგ რამდენჯერმე გამოსცა ფოლკლორის სახელმძღვანელო მიხეილ ჩიქოვანმა, მაგრამ „ავტორ-მთქმელის“ ცნება არსად შეუცვლია და, შესაბამისად, ტერმინი დამკვიდრდა, თუმცა მხოლოდ საქართველოში. ვინ გაზედავდა, წინააღმდეგობა გაეწია ამხ. ჩიქოვანისთვის 1938 წელს, ან თუნდაც შემდეგ?

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ თვით ვახტანგ კოტეტიშვილიც კი ვეღარ ეწინააღმდეგებოდა ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტ მიხეილ ჩიქოვანს 1936 წელს, როცა ეს უკანასკნელი რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში ახალგაზსნილი ფოლკლორის სექციის ხელმძღვანლად დანიშნეს. ლიტერატურის მუზეუმის არქივში შემორჩენილია ვახტანგ კოტეტიშვილის განცხადება ინსტიტუტის დირექციისადმი, რომელსაც ის სამსახურიდან გათავისუფლებას სთხოვს 1936 წლის 19 სექტემბერს:

„გთხოვთ გამანთავისუფლოთ ინსტიტუტში მუშაობისაგან. მიზეზი ის გახლავთ, რომ მე უფრო მეტის გაკეთება მინდა, გაცილებით მეტისა, ვიდრე ეს კეთდება ინსტიტუტის ფოლკლორის სექციაში. მეტის და უკეთესის გაკეთება კი აღარ შემიძლია, რადგან მორიგი თანამშრომელი გახლავართ და ჩემ ხმას აღარა აქვს არც წონა და არც ფასი. იქნებ უჩემოდ სექციამ მეტიც გააკეთოს, არ ვიცი, ის კი კარგად ვიცი, რომ უსეულოდ მე უკეთესად ვიმუშავებ, რადგან მეცოდინება რას ვაკეთებ და რისთვის ვაკეთებ“ (კოტეტიშვილი 2016: 550).

მეტიც, კოტეტიშვილის დაპატიმრების ოქმში სხვა ბრალდებებთან ერთად აღნიშნულია ისიც, რომ ის „უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ შოთა რუსთაველის სახ. ინსტიტუტის ფოლკლორის ხელმძღვანელად 1936 წ. ახალგაზრდა სპეციალისტი ჩიქოვანი დანიშნეს, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობა კოტეტიშვილის არ სურდა“ (იქვე: 551).

სამაგიეროდ, ახალგაზრდა ჩიქოვანი მიესალმება აკაკი ჭყონიას წამოწყებულ საქმეს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფოლკლორისტიკის თავიანთი „თანამედროვე“ ხედვით ერთგვარ ტანდემს ქმნიან და მხარში უდგანან ერთიმეორეს. თავის დღიურშიც კი თბილად მოიხსენიებს: „განსაკუთრებული მადლობა რედაქტორს უნდა ვუთხრათ „შოთას კულტ. ლაშქრობის“ კუთხის შემოღებისათვის. ქართული ხალხური პოეზია უაღრესად მდიდარია, ამოუღვეელი კოდია - აკაკიმ მისი შეკრება გამოცემა იკისრა - ეს მართო მისასალმებელი კი არა, როგორც ჩვენში იციან, არამედ დასახმარებელი საქმეა“ (ლმა, ხ-29185, რვეული 3, გვ. 73). და ეს მაშინ, როცა მ. ჩიქოვანის დღიურებში (1926-1935 წლები) ვერსად ვხვდებით ვახტანგ კოტეტიშვილის სახელის ხსენებასაც კი, რომელიც, თემურ ჯაგოდნიშვილის თანახმად, 1927 წელს გაუცნია ლეჩხუმში, სოფ. მექვენაში, როცა ვ.კოტეტიშვილი ლექციების ჩასატარებლად ჩასულა იქ. მოგვიანებით კი, 1929 წელს, მ. ჩიქოვანს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას უნდა მოესმინა მისი ლექციები ფოლკლორის დისციპლინაში, რომელსაც 1926 წლიდან ასწავლიდა ქართველ სტუდენტებს ვ. კოტეტიშვილი (ჯაგოდნიშვილი 2019: 269).

მაგრამ სად უნდა ესწავლა ფოლკლორისტიკა ჟურნალისტ აკაკი ჭყონიას? სახელმწიფო უნივერსიტეტში მას არ უსწავლია, ხოლო ჟურნალისტიკის კომუნისტური ინსტიტუტის (КИЖ), სადაც ის სწავლობდა, სასწავლო პროგრამაში ნამდვილად შედიოდა ლიტერატურათმცოდნეობითი საგნები, რათა მომავალი „გაზეთიკებისთვის“ გარკვეული ინტელექტუალური ბაზა შეექმნათ, მაგრამ 1923-1925 წლებში სახელმწიფოს ფოლკლორისთვის არ ეცალა. პირიქით, „უწიგნურობის ლიკვიდაციის“

პროგრამის ამოქმედებამ (1920) კარგა ხანს, 30-იან წლებამდე, დაჩრდილა ხალხური სიტყვიერება, რომელიც არა მხოლოდ თავისი წარმოშობით არის ზეპირი, არამედ არსებობის, გავრცელებისა და შენახვის ფორმითაც. და რაკი კრემლში აცხადებდნენ, რომ საბჭოთა კავშირში აღარავინ უნდა ყოფილიყო წერა-კითხვის არმცოდნე, ამიტომ ზეპირსიტყვიერება, როგორც „უწიგნურთა შემოქმედება“, პროგრესული და „განათლებული“ საბჭოთა ხალხის საქმედ არ მიიჩნეოდა. ფოლკლორსა და ფოლკლორისტიკაზე ზრუნვა ხელისუფლებამ მას შემდეგ დაიწყო, რაც მიხვდა, რომ სჭირდებოდა ლეგიტიმაცია ხალხისგან, ფოლკლორში კი საკუთარი პროპაგანდის გავრცელების პოტენციალი დაინახა. ბელადითა და სოციალური აღმშენებლობით აღფრთოვანება, ასევე, კლასობრივი მტრების მიმართ ზიზღი ყველა უჯრედით უნდა ეგრძნო პროლეტარიატს და ეს უნდა ყოფილიყო სწორედ ლექსის და არა მოთხრობის ფორმით, რათა ყოველგვარი ინტერპრეტაცია გამორიცხულიყო განმეორებითი თხრობისას, არამედ ფორმულასავით ჩაბეჭდოდა ხალხს თავში. ხელისუფლება არ იშურებდა დაფინანსებას არც ერთი ფოლკლორული პროექტისთვის და შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ - შეკვეთილი, ფსევდოხალხური სიტყვიერება.

დასკვნა

ამგვარად, 1934-1935 წლებში ამხ. ჭყონიას ინიციატივით განხორციელებული შოთა რუსთაველის კულტურული ლაშქრობის შედეგად შეიქმნა ე.წ. ქართული საბჭოთა ფოლკლორის მასტაბური ბაზა, წახალისებულ იქნა გლეხი-პოეტების შემოქმედება, ფოლკლორისტიკაში გაჩნდა ავტორ-მთქმელის ცნება, ხოლო ინდივიდუალურ ავტორთა ლექსები ხალხურ პოეზიად, ე.ი. ხალხური სულის გამოვლინებად გამოცხადდა. მოგვიანებით ამ ლექსების ერთი ნაწილი დაიბეჭდა 1937 წელს ალ. ლლონტის რედაქტორობით გამოცემულ პოპულარულ კრებულში „ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში“, სადაც მთქმელებთან ერთად შენარჩუნებულია გლეხი-პოეტების სახელები (ლლონტი 1937) და რასაც უკვე ვერ ვხვდებით 1939 წელს დიმიტრი ბენაშვილის რედაქტორობით გამოცემულ იდენტურ კრებულში (ბენაშვილი 1939). დ. ბენაშვილის შედგენილ კრებულში უავტოროდ დაბეჭდილი ლექსები მართლაც ქმნის ხალხური პოეზიის ილუზიას, მაგრამ ის პოპულარული გამოცემა, ფართო მასეზზე გათვლილი და არა სამეცნიერო, რომ სავალდებულო ყოფილიყო ტექსტის პასპორტული მონაცემები; სამაგიეროდ, კრებულმა კარგად შეასრულა თავისი ფუნქცია: გლეხი-პოეტების შემოქმედება ხალხურ შემოქმედებად გაასაღა და 1949 წელს ფოლკლორისტი მიხ. ჩიქოვანის გამოცემული კრებულიც გაათავისუფლა არასასურველი ფორმალობებისგან (ჩიქოვანი 1949).

არაფერი ისე ნათლად არ აჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას ხალხისადმი, როგორც მისი მიმართება ფოლკლორთან, ხალხურ სიბრძნესთან, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებთან; ასე როგორ არ უნდა გიყვარდეს ხალხი და არაფრად აგდებდე მის ისტორიას და ემპირიულად მიღებულ გამოცდილებას, რომ ჩამორჩენილობად აცხადებდე მამა-პაპათა სიბრძნეს, რათა ადამიანს გაუცხოების გრძნობა გაუჩნდეს წარსულთან და კონფლიქტი დაიწყოს საკუთარ იდენტობასთან;

უარყოფილი ტრადიციის სანაცვლოდ კი შენი გამზადებული ფორმულები შეაჩერო და თან დაარწმუნო, რომ ეს ზემოდან წამოსული მანიპულაცია კი არა, პროლეტარის, ახალი ადამიანის, ნამდვილი იდენტობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბენაშვილი 1939 – ლენინი და სტალინი ქართულ პოეტურ ფოლკლორში. რედაქცია და წინასიტყვაობა დიმ. ბენაშვილისა. ფედერაცია, თბილისი 1939.

კოლექტივიზაცია 1934 – გაზეთი „კოლექტივიზაცია“, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყოველდღიური საგლეხო გაზეთი.

კოტეტიშვილი 1934 – ხალხური პოეზია. შემდგ. ვ. კოტეტიშვილი. სახელგამი, ქუთაისი, 1934.

კოტეტიშვილი 2016 – ვ. კოტეტიშვილი, წერილები. „არტანუჯი“. თბილისი, 2016.

საუნჯე 1935 – საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, ტ. I. გაზეთ „კოლექტივიზაციის“ გამოცემა. თბილისი, 1935.

საუნჯე 1936 – საუნჯე ხალხური შემოქმედებისა, ტ. III. „ტექნიკა და შრომა“, ტფილისი, 1936.

დლონტი 1937 – ლენინი და სტალინი ქართულ ფოლკლორში. პასუხისმგებელი რედაქტორი ალ. დლონტი. სახელგამი, ტფილისი, 1937.

შანიძე 1931 – ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია I, ხეცსურული. სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1931.

შანიძე 1934 – ა. შანიძე, ხალხური შემოქმედების შეკრების გამო. გაზეთი „კოლექტივიზაცია“, 243/1934.

ჩიქოვანი 1938 – მიხ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, წიგნი პირველი. პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 1938.

ჩიქოვანი 1949 – სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში. შემდგენელი მ. ჩიქოვანი. საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1949.

ჯაგოდნიშვილი 2019 – თ. ჯაგოდნიშვილი, ნარკვევები XX საუკუნის ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიიდან. თბილისი. „საარი“, 2019.

თცა – თბილისის ცენტრალური არქივი.

ლმა – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის არქივი.

მეგრელიძე 1934 – И. Мегралидзе, Революция в грузинском фольклоре (Материалы). В: Советский фольклор, 1, 1934. стр. 156-190.

DOI:<https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9387>

**ქაკუტა ჩოლოყაშვილი ქართულ რომანსა
და პუბლიცისტულ
(როსტომ ჩხეიძის რომანის „შავი ჩოხა“ და
შალვა ამირეჯიბის წერილების მიხედვით)**

**Kakutsa Cholokashvili in Georgian Novels
and Publicist Writings
(Based on Rostom Chkheidze's novel „Black Chokha“
and Shalva Amirejibi's letters)**

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Salome Kapanadze
Grigol Robakidze University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

საქართველოს ეროვნული გმირი ქაკუტა ჩოლოყაშვილი აღიარებულია მეოცე საუკუნის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ. საბჭოთა რეჟიმის პირობებში მისი სახე, ბუნებრივია, ვერ შემორჩებოდა მხატვრულ ტექსტებს, თუ არ ვიგულისხმებთ ემიგრანტულ მწერლობასა და მისი თანამედროვე პოეტის - მიხა ხელაშვილის ლექსებს. როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ქაკუტა ჩოლოყაშვილი იქცა შთაგონების ერთ-ერთ სიმბოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ხოლო მოგვიანებით მისი სახე შემოვიდა ქართულ მწერლობაშიც. ამის საუკეთესო ნიმუშია როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“, რომლის ისტორიული კონტექსტი სრულ თანხვედრაშია მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრთან - წარმოადგინოს ისტორიული პერსონაჟები ეროვნული სინდისის მარეგულირებელ ფენომენად; აჩვენოს ბიოგრაფიული რომანი, როგორც პერსონაჟის აზრობრივ სივრცეში შეღწევისა და მორღვეული ნაციონალური სამანების აღდგენის საუკეთესო საშუალება. ვინაიდან მწერალი ეყრდნობა ისტორიულ ფაქტებს და კარგად აქვს შესწავლილი ქაკუტა ჩოლოყაშვილის თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, ნაშრომში საჭიროდ მივიჩნიეთ შალვა ამირეჯიბის იმ პუბლიცისტური წერილების განხილვაც, რომლებშიც მოთხრობილია ქაკუტა ჩოლოყაშვილთან დაკავშირებული საინტერესო

ფაქტები და ჩანს მისი პერსონის მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში. აღნიშნულმა საშუალება მოგვცა, რომანის ფსიქოემოციური ზეგავლენის პარალელურად, წარმოგვედგინა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პერსონის მნიშვნელობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: 1924 წლის აჯანყება, როსტომ ჩხეიძის რომანი „შავი ჩოხა“, შალვა ამირეჯიბის წერილები, წერილები ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

ABSTRACT

Kakutsa Cholokashvili, a national hero of Georgia, is recognized as a symbol of twentieth-century Georgian independence and the struggle for freedom. Under the Soviet regime, his figure could scarcely appear in literary texts, with the exception of émigré literature and the poetry of his contemporary, Mikha Khelashvili. As is well known, during the 1990s, Cholokashvili became an emblematic source of inspiration for the national liberation movement, and subsequently his figure was incorporated into mainstream Georgian literature.

A prime example is Rostom Chkheidze's biographical novel „Black Chokha“, in which the historical context aligns fully with the author's literary intent: to present historical figures as phenomena regulating the national conscience. The novel demonstrates the biographical form as an effective medium for exploring a character's intellectual world and restoring disrupted national memory.

Because the author relies on historical facts and demonstrates a thorough understanding of Georgia's socio-political context during Cholokashvili's life, this study also examines Shalva Amirejibi's publicist letters, which recount notable facts about Cholokashvili and highlight his significance in the struggle for state independence. This dual approach allows us to appreciate not only the psycho-emotional impact of the novel but also the broader importance of Cholokashvili's persona in shaping national and state-oriented thought.

Keywords: The 1924 uprising, Rostom Chkheidze's novel „Black Chokha“, Shalva Amirejibi's letters, letters about Kakutsa Cholokashvili.

შესავალი

საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი აღიარებულია მეოცე საუკუნის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ. საბჭოთა რეჟიმის პირობებში მისი სახე, ბუნებრივია, ვერ შემორჩებოდა არათუ მხატვრულ ტექსტებს, არამედ დოკუმენტურ პროზასაც, თუ არ ვიგულისხმებთ მისი თანამედროვე პოეტის - მიხა

ხელაშვილის ლექსებს და ემიგრანტთა მოგონებებს, კერძოდ, შალვა ამირეჯიბის, ალექსანდრე სულხანიშვილის, ალექსანდრე კარგარეთელის მონათხრობს. ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ასევე, გახლდათ სიმონიკა ბერეჟიანის პოეტური მუზაც. ეს უკანასკნელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის წევრი იყო. აღსანიშნავია, ასევე, ივანე ლიქოკელის ისტორიული ნარკვევი „ხევსურები და ქაქუცა“, რომელიც მოგვითხრობს 1922 წელს ხევსურთა ბრძოლაზე ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ბოლშევიკებმა ამ ბრძოლაში ათასობით ჯარისკაცი დაკარგეს. ხევსურთა ოპოზიციური განწყობილება გრძელდებოდა 30-იან წლებშიც. აქედან გამომდინარე, 1936-1937 წლებში საერთო კომუნისტური რეპრესიები შეეხო ხევსურეთს - ბოლშევიკებმა არნახული სისასტიკე გამოიჩინეს ლიქოკელთა თემის მიმართ. ამ და სხვა მოგონებათა დაყრდნობით, სავსებით ბუნებრივია, რომ მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ქაქუცა ჩოლოყაშვილი ეროვნული მოძრაობისათვის იქცა შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ, ერთგვარ სიმბოლოდ. როგორც გურამ შარაძემ აღნიშნა, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი იმითაგანია, ვისი სახელიც ლეგენდასავით გავიდა ხალხში, ამ ლეგენდებს კვლავ ახალი ემატება“ (შარაძე 1991: 152). რა თქმა უნდა, მოსალოდნელი იყო, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახე შემოვიდოდა ქართულმწერლობაშიც. ეს მნიშვნელოვანი მისია შეასრულა როსტომ ჩხეიძემ და თავისი ბიოგრაფიული რომანების ციკლი შეავსო რომანით ქაქუცა ჩოლოყაშვილზე. როგორც ცნობილია, ბიოგრაფიული რომანის ჟანრი არა მარტო პერსონაჟის აზრობრივ სივრცეში შეღწევის საუკეთესო საშუალებაა, არამედ - მორღვეული ნაციონალური სამანების აღდგენის შესაძლებლობაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა მთავარი პერსონაჟი ეროვნულ გმირადაა აღიარებული. ნაშრომის მიზანია, როსტომ ჩხეიძისა და შალვა ამირეჯიბის ლიტერატურული ტექსტების მაგალითზე გამოიკვლიოს როგორ იყენებს მწერალი ისტორიულ ფაქტებსა და პერსონაჟებს ნაციონალური კონცეპტის შესაქმნელად.

კვლევის მეთოდები

კვლევისთვის გამოყენებულია თვისებრივი მეთოდი, რომელიც დაგვეხმარა მთავარი იდეის გაგებასა და ილუსტრირებაში. ნაშრომში ძირითადად დამუშავებულია პირველადი და მეორეული ტექსტები.

მსჯელობა

როსტომ ჩხეიძის „შავი ჩოხა“ პირველად 2009 წელს, მეორედ კი 2024 წელს გამოიცა და მიეძღვნა 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავს. რ. ჩხეიძის ცნობით, რომანის სათაური - „შავი ჩოხა“ შთაგონებულია მიხეილ ჯავახიშვილის მიერ 1926 წელს უბის წიგნაკში გაკეთებული ჩანაწერით - „თემა და სათაური“ - „შავი ჩოხა“. აღნიშნულ ჩანაწერში, რომელშიც რ. ჩხეიძე ამოიკითხავს მწერლის სურვილს, შეექმნა მოთხრობა ან რომანი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე. ვინაიდან მიხეილ ჯავახიშვილის ეს ჩანაწერი საბჭოთა ცენზურის პირობებში ვერ აღსრულდებოდა, როსტომ ჩხეიძის აზრით, მწერალმა იგი რომანში „არსენა მარაბდელი“ გაასიმბოლურა. რ. ჩხეიძე

ნიშანდობლივად მიიჩნევა ჩანაწერის გაკეთების თარიღსაც, რომელიც მას მხოლოდ ორიოდ წლით აშორებს საქართველოს ისტორიის საბედისწერო თარიღს - 1924 წლის აჯანყებას: „ჯერაც ისევ გუგუნებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ექო, თითქოს წლების წინათ კი არ ჩაუვლია. სულაც მის წრეში ბრუნავდეს კიდევ ერთხელ დამხობილი საქართველოს მღელვარე ცხოვრება“ (ჩხეიძე 2009: 4). სიმბოლურია ისიც, რომ მიხეილ ჯავახიშვილის მწერლური ქარაგმის ამოხსნა სწორედ როსტომ ჩხეიძემ შეძლო - 50 ბიოგრაფიული რომანის ავტორმა მწერალმა. მისი ინტუიციის შედეგია ბოლშევიკური კონიუნქტურის შრეებში ჩაკარგული მიხეილ ჯავახიშვილის ქვე-ტექსტობრივი საიდუმლოს აღმოჩენა რომანებში „არსენა მარაბდელი“ და „თეთრი საყელო“. ასეთი კავშირი მწერალთა სხვადასხვა თაობათა შორის ჰიეროფანიას - „სიწმინდეთა ჩენას“ მოგვაგონებს და ქართული მწერლობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რ. ჩხეიძის აზრით: „არსენა მარაბდელის სახეში განდევნილ ქაქუცას გულისხმობდა მიხეილ ჯავახიშვილი, „თეთრ საყელოში“ კი ხევსურეთის ბრძოლების ეპოპეა ხმianობს. ქაქუცას მოლანდებაა, არსენა ოძელაშვილი სამჯერ რომ შემოუვლის წრეს, შედგება, დოინჯს შემოიყრის და მაძღარ ორბის თვალებს სამი ათას კაცს შემოავლებს. ქაქუცას მოლანდებაა, არსენა გრიგალივით რომ დაქრის. ქაქუცას მოლანდებაა, არსენა ყველაფერს რომ ათამაშებს-ფეხებს, თეძოებს. მხრებსაც, თავსაც, თვალსაც და ულვაშებსაც“ (ჩხეიძე 2009: 44). თავის რომანში როსტომ ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაფიქრს კვალში უდგება, სინამდვილედ აქცევს დიდი მწერლის ჩანაფიქრს. ისევე, როგორც სხვა ბიოგრაფიულ რომანებში, იგი ზუსტად მონიშნავს თავის მთავარ, ტრადიციულ სათქმელს - ეროვნული პერსონების მნიშვნელობის გათავისება ერისთვის სასიცოცხლო იმპერატივია.

როსტომ ჩხეიძეს კარგად აქვს შესწავლილი ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება. ცნობილია, რომ იგი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება დოკუმენტურ მასალას, რაც განსაკუთრებულ სანდოობას სძენს მის ბიოგრაფიულ რომანებს. დოკუმენტურობის ფაქტორი მხატვრული ტექსტის ფსიქოემოციურ ზეგავლენასთან ერთად უაღრესად ეფექტურია, მხატვრულ ტექსტთან ასეთი მიდგომა თვალნათლივ წარმოგვიდგენს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მნიშვნელობას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების პროცესში. რ. ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანებისთვის დამახასიათებელი მხატვრული და რეალური დროის ტექსტში განფენის მასტერკლასი ყოველთვის აღძრავს ინტერესს. ეროვნული ცნობიერების კრიზისის დროს ასეთი ტექსტები თავის თავზე იღებენ ნაციონალური ორიენტირების მონიშვნის მისიას. მწერლობის დანიშნულებაში ეს ფუნქცია თავისთავად მოიაზრება. ქართული მწერლობა ამ თვალსაზრისით ტრადიციულია, რადგან მისი სახელმწიფოებრივი ყოფა და ბრძოლა გადარჩენისთვის ყოველთვის ითხოვდა მყარ სულიერ დასაყრდენებს. კორნელი კეკელიძე ბიოგრაფიული რომანისტული ტექსტების სათავედ

უძველეს პროზას, კერძოდ, ჰაგიოგრაფიას მიიჩნევდა. ეს კიდეც ერთხელ გაამყარებს ჩვენს მოსაზრებას, რომ ქართულ მწერლობას ყოველთვის კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი განსაკუთრებული მისია.

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანები ამ ტრადიციული პასუხისმგებლობით იწერება. ეს ფაქტორი მის მხატვრულ ტექსტებს მატთანესთან ერთად იმ მნიშვნელობას ანიჭებს, რომლის გარეშე ერის არსებობა წარმოდგენილია. რომანის წინასიტყვაობაში ნანა კუცია აღნიშნავს: „შავ ჩოხაში“ ეპოქის უმძიმესი სურათი ქაქუცა ჩოლოყაშვილის „პეროიკული სახელის“ გარშემო შემოიქსოვება და მკითხველი კიდეც ერთხელ აცნობიერებს, რომ სწორედ დიადი, ზნეობრივი პიროვნებები აქცევენ ბრბოს ხალხად, ხალხს - ერად, ერადყოფნის მისტიერიის (ერთი მხრივ, როგორც საიდუმლოს, მეორე მხრივ კი - ჟანრის) მთავარი მოქმედი პირები სწორედ რჩეულნი არიან, გავიმეორებთ - ერის თანამდევნი უკვდავი სულის კონკრეტული განმასახიერებელნი კონკრეტულ ეპოქაში, რათა ლოკალური თუ გლობალური კატაკლიზმების დუნდგოში ერი ხალხად, ხალხი კი ბრბოდ არ იქცეს. ბოლშევიზმ-მენშევიზმის (გავიმეორებთ გამსახურდიასეულს - „სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირის“) ეროვნულთან დაპირისპირების ბედისწერული ტრაგიზმი იმთავითვე განაპირობებდა ქაქუცას, როგორც მამულიშვილის ბედის ტრაგიზმსაც“ (ჩხეიძე 2024: 6).

აღნიშნულ მოსაზრებას ჩვენც ვუერთდებით და დავძენთ: „ქართული რომანის სასიცოცხლო არტერია წილობრივად სწორედ ბიოგრაფიული რომანის წყალობით იძენს შეუცვლელ ფუნქციას. ჩვენი ეროვნულ-ფსიქოლოგიური ყოფისათვის ისტორიული პიროვნებების ცხოვრების განმხატვრულებას ნორმატიული მისია ენიჭება, ვინაიდან ბიოგრაფიულ რომანში ყოველთვის თანაარსებობს განცდათა ერთობლიობა, რომელიც ერს მსოფლმხედველობრივი კრიზისის საფრთხისაგან გამოიხსნის. ისტორიულ პირთა ფენომენი თავისი დროისმიერი სულიერი განწყობილებებით, თავგანწირვით, ტრაგიზმით ერის შესაძლებლობების თვითგახსნისა და შინაგანი რწმენის შენარჩუნების პროცესში შეუცვლელ როლს ასრულებს. ამდენად, ბიოგრაფიული რომანის, როგორც ჟანრის აქტუალურობა დროის მიღმა დგას და იგი მუდამ განსაზღვრავს ჩვენს ნაციონალურ ყოფიერებას“ (კაპანაძე 2019: 151).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როსტომ ჩხეიძე შესავალშივე განმარტავს, რომ რომანის სახელწოდება „ჩვენამდე ზღაპრად მოსული ქაქუცა ჩოლოყაშვილის ლეგენდარული სახელისათვის მიუძღვნია“ და იგი მიხეილ ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. ავტორის მიგნება უაღრესად საინტერესოა. რ. ჩხეიძე მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერებს დოკუმენტურ მასალად მიიჩნევს, რომელიც არსებითად ცვლის მწერლის ისტორიული რომანის - „არსენა მარაბდელის“ საზრისს და დღის წესრიგში აყენებს მისი ხელახლა გადაკითხვის საჭიროებას. მწერლის ჩანაფიქრი გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იდეოლოგიური ოკუპაციის პირობებში მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობას სათქმელის

კოდირებას არსებული რეალობა აიძულებდა და როსტომ ჩხეიძის მიგნება აბსოლუტურად რელევანტურად უნდა ჩაითვალოს. მიუხედავად მისი სიფრთხილისა, აღნიშნული მოსაზრება სამეცნიერო კვლევის გავლენისგან გაათავისუფლოს და მხატვრული ღირსება შეუნარჩუნოს, ვფიქრობთ, მიგნება ორგანულად ერწყმის რომანის არა მარტო მხატვრულ, არამედ ისტორიულ მნიშვნელობას. ქაქუცა ჩოლოყაშვილის პირველ პროტოტიპს ქართულ რომანში რ. ჩხეიძე არსენა მარაბდელში მოიაზრებს. საბჭოთა კონიუნქტურის პირობებში ჩაკარგული ამ სიმართლის გაცხადება მისთვის ისეთივე საპასუხისმგებლო საქმედ იქცევა, როგორც ამ რომანზე მუშაობა. შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ ჯავახიშვილთან მისი სულიერი და მსოფლმხედველობრივი თანამოაზრეობა, სიმბოლოთა და კონტექსტის აღქმის თანხვედრა საფუძველია, რამაც მწერალს საშუალება მისცა, ბიოგრაფიულ რომანში „შავი ჩოხა“ სრულფასოვნად აღედგინა ქვეყნის ზნეობრივი ისტორიის ეპოქალური სურათი. რომანის სტრუქტურა, მისი ოცდაოთხივე თავი კომპოზიციურად მყარად არის შეკრული და ქმნის იმის შესაძლებლობას, საფუძვლიანად აღიქვა რომანის მთავარი იდეა. ყველა სათაური სიუჟეტის აზრობრივი მაუწყებელია, ისევე როგორც თავების რაოდენობა - 24, რომელიც 1924 წლის აჯანყების სიმბოლური გამოხმაურებაა. მწერლის მიერ შესწავლილი დოკუმენტური მასალა, ეპოქის გადასახედიდან, დროით შემოწმებული რეალური ფაქტები იდეალური შესაძლებლობაა, რომ, დრო-სივრცული ბარიერის მიუხედავად, სრულად აღადგინოს ეპოქა, როდესაც საქართველომ კიდევ ერთხელ დაკარგა დამოუკიდებლობა და საბჭოთა დამოკიდებულების ხანაში აღმოჩნდა. რ. ჩხეიძე აღნიშნავს, რომ ასეთ დროს, ემიგრაციაში „დარბეული, სისხლდაწრეტილი, სახელმწიფოებრიობადაკარგული, უფლებამართებული საქართველო იმედისა და მხნეობის წყაროს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახეზე ჰპოვებდა“ (ჩხეიძე 2009: 28). საგულისხმოა, რომ როსტომ ჩხეიძე ერთგვარად სცდება ბიოგრაფიული რომანის დაკანონებულ ჩარჩოებს. მისი თხრობა არ იწყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადებისა და ყრმობის დეტალებით, მისთვის საინტერესოა, როდის იზადება ქაქუცა ჩოლოყაშვილი - როგორც გმირი. ათვლის წერტილი მწერლისთვის 1921 წელია. როგორც ცნობილია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ გაჰყვა მთავრობას ემიგრაციაში. მართალია, მან თავისი ბარგი წასასვლელად გამზადებულ შალიკაშვილს მიაბარა, მაგრამ საბოლოოდ გემს ახლოს არ გაეკარა. როსტომ ჩხეიძისთვის მისი რომანის გმირის დაბადება სწორედ აქედან იწყება. „საბედისწეროდ რატომ უნდა გადაქცეოდა მის გულს მშობლიური მიწა-წყლის დატოვება“ - შენიშნავს რომანის ავტორი და დასძენს: „ეს განცდა - მძაფრი და სუნთქვის შემკვრელი-გასამგზავრებლად მზადების რომელიღაც წამში გაუჩნდა და ეს წამი გამოდგა გადამწყვეტი მის ბიოგრაფიაში. ეს ის წამია, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი უნდა დაიბადოს“ (ჩხეიძე 2009: 55).

რომანში თვალში საცემია ისტორიული პარალელები, არქეტიპთა ასოციაციური შეგრძნებები. ასე იქმნება რომანის გენეტიკური სტრუქტურა. ტექსტში ფაქტების მხატვრული ინტერპრეტაციის კვალდაკვალ ისტორი-

ული პარალელების მოძიება, მოვლენათა მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი როსტომ ჩხეიძის, როგორც მწერლის, უაღრესად ეფექტური ინსტრუმენტია. ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ალექსანდრე ბატონიშვილის გზების საბედისწერო თანხვედრით ავტორს რომანის გმირი თავისუფლებისთვის ბრძოლის მარადიულ სიმბოლოთა კვარცხლბეკზე აჰყავს: „ვინც ქედუხრელობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის სიმბოლოდ შემორჩებოდა საქართველოს ისტორიას, ალექსანდრე ბატონიშვილის ბადალ მოვლენად, ვისი სახელის ხსენებასაც უნდა აეთრთოლებინა სახელმწიფოებრიობის ამოგების წყურვილი და ამ გზის გაგრძელებისათვის შეემართა“ (ჩხეიძე 2009: 43).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანში განმხატვრულებული დოკუმენტური მასალა აცოცხლებს და წარმოდგენას გვიქმნის ემიგრანტთა ცხოვრებაზე, მათ ურთიერთობებსა და განწყობებზე, იმედებსა და ბრძოლის დინამიკაზე. რომანი სავსეა მნიშვნელოვანი დეტალებით, რაც მკითხველს წარმოსახვის საუკეთესო შესაძლებლობას აძლევს ემიგრაციაში მყოფ ისტორიულ პერსონათა შინაგან ბრძოლაზე, ამხელს 1924 წლის აჯანყების მომზადების, დამარცხებისა და ემიგრაციაში მყოფთა შემდგომი პოზიციის დეტალებს. მაგალითისთვის რომანის ერთი პასაჟი იკმარებდა - ეპიზოდი, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის დასაფლავების ამბავია მოთხრობილი. გრიგოლ ცხაკაია ნოე ჟორდანიას მიმართავს, მხარი შეუდგას ქაქუცას კუბოს. რ. ჩხეიძე მთავრობის ხელმძღვანელის გულში გაჩენილ სიამის გრძნობას გადმოგვცემს და ამით გვაგრძნობინებს, რომ ქვეყნის გამოხსნის საკითხი ქართულ ემიგრაციაში და თანამედროვე საქართველოშიც ყოველთვის დაუკავშირდებოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს, როგორც სამშობლოსათვის თავგანწირვის მარადიული იდეას. რომანში არაერთხელ შევხვდებით ვრცელ ეპიზოდებს, რომელიც ეროვნული გმირის პიროვნულ თვისებებზეა აგებული. რა თქმა უნდა, ეს კარგად გააზრებული მხატვრული რეცეფციაა - ეროვნული ლიდერი, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი ლიდერია. ამგვარად, როსტომ ჩხეიძის პეროიკული საგა რომანი „შავი ჩოხა“ სახელმწიფოებრივი მითოსის მნიშვნელობასაც შეიძენს, რადგან, ჩვენი გეოპოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამბავი მარად განმეორებადი სუბსტანცია და სიმბოლოა.

რომანში ჰეროიზმისა და გმირობის კვალდაკვალ ღალატის, უპატიებელი ორჭოფობისა და პარტიული შუღლის ფაქტებიც იკვეთება. როსტომ ჩხეიძის რომანების ნაცნობი სტრატეგია - ეპოქის რეალური პორტრეტი შეღავათების გარეშე წარუდგინოს მკითხველს, აქაც კონსტიტუციურია. მწერალი საფუძვლიანად იცნობს ამ ეპოქის ღალატის, შიდა განხეთქილების ანატომიას და უნდა აღინიშნოს, რომ არც ბოლშევიკ-მენშევიკთა გაიგივებას არ ერიდება. „იქნებ პარაგვაიში გადაესროლათ რაზმელები... იქნებ პარიზში მაინც არ შეეშვათ... და მარტოდმარტო დაეტოვებინათ ქაქუცა თავისი დიდი სახელის ამარა. ეს ცოტას არ ნიშნავდა, ცხადია; ამ შარავანდს აშკარად გადაეჭარბებინა ყოფილი მთავრობის

გავლენისათვის, რაც მკრთალადღა ბჟუტავდა ქაქუცას ჰეროიკული სახელის ფონზე“. მართლაც, უცნაური იქნებოდა, მწერალს თავი აერიდებინა 1924 წლის აჯანყების დამარცხების მიზეზებისთვის. მისივე თქმით, „სახიფათო თვალთმაქცების გარემოში“ უხდებოდა მიმდობ ქაქუცას ბრძოლა და თავგანწირვა. „ამჯერადაც რაოდენ ერთნაირად მოქმედებდნენ იდეური და განაყარი ძმები, ხელისუფლების სათავეში იქნებოდნენ მოქცეულნი თუ დამხოვილი მთავრობა დაერქმეოდათ“ (ჩხეიძე 2009: 287).

რომანის ერთ-ერთი თავისთვის მწერალმა სათაურად ჯვარზე გაკრული მაცხოვრის სიტყვები შეარჩია: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევე მე!“ ამ თავში მხატვრული დისკურსი ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ერთგვარად შეჯამებულია, საბოლოოდ გამოკვეთილია ეროვნული გმირის მონუმენტური სახე. ტკივილისა და აღტაცების ეფექტს აძლიერებს ქრისტეს ჯვარცმის მისტიკის განცდა, რომელიც, მართალია, ადამიანებისთვის მაინც ბოლომდე შეუცნობლად რჩება, მაგრამ მხატვრული ტექსტი გვაძლევს შესაძლებლობას, ამ ტკივილის სიმძაფრე ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხოვრების მაგალითზე შევიგრძნოთ. რომანში „შავი ჩოხა“ კანონზომიერია მითოლოგიურთან ერთად რელიგიური მოტივების ორგანული თანაარსებობა, რადგან ამის გარეშე ქართული სააზროვნო სივრცის გაჯერება რაინდული ეპოქის შემქმნელი ადამიანების მნიშვნელობის გააზრებით შეუძლებელია. როსტომ ჩხეიძე ასეთ სინკრეტიზმს ხშირად მიმართავს თავის ბიოგრაფიულ რომანებში, რითაც მწერალი აძლიერებს მხატვრული ტექსტის ზეგავლენას მკითხველის ეროვნულ სინდისზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როსტომ ჩხეიძის რომანი „შავი ჩოხა“ დოკუმენტურ მასალას ეყრდნობა. მწერალი რეალურ ფაქტებსა და პერსონაჟებს ამხატვრულებს. ამდენად, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად, ყველა პერსონაჟი ისტორიულ სივრცეში თანაარსებობს და მხატვრულ ტექსტში ეროვნული გმირის მანიფესტაციას ეხმარება. რომანში კარგად მოჩანს, თუ როგორი გადამდებია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჰეროიზმი. ემიგრანტები შეკრული არიან ერთი იდეით: „გრძნობა სჭარბობს გონებას და ძალიანაც სჭარბობს, რათა არ მოიშალოს ეროვნულობის ნიშატი, ადათ-წესები და თავისუფლების წყურვილი, რომელთა უწყვეტობაც აუცილებელი პირობაა ერისა და სახელმწიფოს გადასარჩენად, თორემ აქ წყვეტილების გაჩენა ის საბედისწერო ნაპრალებია, ამოუვსები რომ რჩება, რჩება და... ამდენი ხალხი და სახელმწიფო გაუქრია მიწისაგან პირისა საკმაოდ დაწინაურებული ერები თუ მძლავრი სახელმწიფოები, აინუნშიც რომ არ ჩაუგდიათ არავითარი საფრთხე, ჩვენ ვინ რა უნდა დაგვაკლოს, დაე, იქით ეშინოდეთ, თავზარს როდის დაგვემოთ. ეს უწყვეტობა უნდა შეენარჩუნებინა 1924 წლის აგვისტოს აჯანყებას“ (ჩხეიძე 2009: 216). როსტომ ჩხეიძის რომანში ეს ერის განვითარების უცვლელი დიალექტიკაა. დავით ვაჩნაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, შალვა ფავლენიშვილი, გაგა გოგოჭური, მედუქნე პეტო და სხვები ქაქუცასთან ერთად ავსებენ „ქართველი პატრიოტების სილუეტებს“. მათ შორის არის შალვა ამირეჯიბიც, რომელიც

„თავისი პიროვნული თვისებებით და მსოფლადქმით შეუძლებელია, ყოფილიყო ბრმადმორწმუნე პარტიული მოღვაწე, თუნდ ამ პარტიას ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულება ჰქონოდა“ (ჩხეიძე 2009: 296).

მწერლის სიმპათია შალვა ამირეჯიბის მიმართ განსაკუთრებულია, რომანის ერთი თავი სწორედ მის მოგონებებს ეყრდნობა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი მმართველი კომიტეტის დამფუძნებელმა, დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) ეროვნული საბჭოსა და დამოუკიდებელი საბჭოს წევრმა, არისტოკრატმა, დახვეწილმა ინტელიგენტმა, პოეტმა და პუბლიცისტმა შალვა ამირეჯიბმა ქაქუცა ჩოლოყაშვილზე საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა. ლიტერატურის მუზეუმის მიერ 1998 წელს გამოცემულ ორტომეულის მეორე ტომში თავმოყრილია შალვა ამირეჯიბის ემიგრაციაში დაწერილი პუბლიცისტური წერილები და მოხსენებები, რომელიც 1924 წლის აჯანყებას ეძღვნება. ეს მასალა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ათვალსაჩინოებს 1924 წლის აჯანყების მომზადებისა და მისი დამარცხების უამრავ საინტერესო ეპიზოდს. მიუხედავად იმისა, რომ შალვა ამირეჯიბი ამ წერილებსა და მოხსენებებში არასოდეს საუბრობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის გარეშე, მან ორი დამოუკიდებელი ტექსტი მიუძღვნა მის ხსოვნას, რომელშიც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ეროვნული გმირის ავტორიტეტი, მისი ზნეობრივი პროფილი. 1930 წელს შალვა ამირეჯიბმა დაწერა მოკლე ბიოგრაფია „ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი 1888-1930 წ.წ.“ შალვა ამირეჯიბმა კარგად იცოდა, რომ ეს შრომა ვერ იქნებოდა საკმარისი ეროვნული გმირის ბიოგრაფიისთვის, რასაც ცხადყოფს მისი მინაწერი: „ეს მოკლე ბიოგრაფია დაწერილია ჩემ მიერ 2 ივლისს, 1930 წელს“ (ამირეჯიბი 1997: 130). ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბიოგრაფიის დასასრულს შალვა ამირეჯიბი, რომელიც 1924 წლის აჯანყებას, მიუხედავად დამარცხებისა, ყოველთვის მიიჩნევდა ქართველთა ეროვნული მუხტის შეუცვლელ სიმბოლოდ, აღნიშნავს: „ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დატოვეს. აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც მას უჭირავს, ისევ ფრიალებს; ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს. მისი სახელი სამუდამოდ გადაბმულია ქართველი ერის ბრძოლის ისტორიასთან დამოუკიდებლობისათვის და ამ ისტორიაში ის შევა როგორც ბრწყინვალე ეროვნული გმირი“ (ამირეჯიბი 1997: 130).

აღნიშნულ გამოცემაში შესულია შალვა ამირეჯიბის „მზე-ქალა“, რომელიც მხატვრულ-დოკუმენტურ ჟანრს განეკუთვნება. ავტორის თქმით, ამბავი თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილის მონათხრობია. ხევსურ ახალგაზრდა, ლამაზ ქალს - მზექალა არაბულს ქაქუცა ჩოლოყაშვილი მაშინ შეხვედრია, როცა თავის შეფიცულებთან ერთად ხევსურეთში იმალებოდა და ბოლშევიკებზე მორიგი თავდასხმისთვის ემზადებოდა. თვრამეტი წლის მზექალა აბჯარასხმული, უბელო ცხენზე ამხედრებული ტყეში თავს დაადგა ციებისგან დასუსტებულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს. „სიცხისაგან გარინდული თავი ავსწიე და თითონაც წამოვიწიე. დიახ! ჩემს წინაშე,

ამ კაცურ გარაჯაში და უბელო ცხენზედ ხევსურის ახალგაზრდა ქალი იდგა. როგორც ავადმყოფს, მე შემედლო ყველა მათი დეკანოზი და გვარის უფროსები მწოლარეს მიმედო, მაგრამ ჩემ წინაშე ქალი იყო და წამოვდექი“ (ამირეჯიბი 1997: 132) - ასე მოუთხრობს მზექალასთან შეხვედრის ამბავს ქაქუცა ჩოლოყაშვილი. ქალი იმიტომ ეახლა მეთაურს, რათა ორწყალოზე გაეცილებინა ხევის დასაცავად, რათა „ცოცხალი თავით არ შემოეშვათ რუსები“. მზექალას გვარი ერეკლე მეფის მონათლული ყოფილა და ეს ქალისთვის დამატებითი მოტივაცია ყოფილა ქვეყნისთვის თავგანწირვისა. ამბავი მართლაც ნამდვილი გახლდათ. ხევსურეთში ამოსულ მეფე ერეკლეს სამოცი ბავშვი მოუნათლავს, მათ შორის - არაბულები, რის შემდგომ ხევსურები მათ შთამომავლობას თურმე „ირაკლის ნათლულებს“ ეძახდნენ. მზექალა ამით ამაყოფდა, ფიცი არ გაუტეხავს და საქმიანად დაუმტკიცებია თავისი ერთგულება - „ცოცხალი თავით არ შემოეშვა“ რუსები სახლში და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. როცა მზექალას სახლში შევიდნენ, ნახეს, რომ „ქალი მხოლოდ ერთი ტყვიით იყო მკვდარი, ტყვია სწორედ იმ ადგილას მოხვედროდა, რომელიც მას ისეთის უმანკო მოურიდელობით დაჰქონდა ღია მკერდში... თავზედ თავისი უბელო ცხენი ადგა“ (ამირეჯიბი 1997: 134). როსტომ ჩხეიძე თავის ავტობიოგრაფიულ რომანში „შავი ჩოხა“ შალვა ამირეჯიბის „მზექალას“ დოკუმენტურ ნოველას უწოდებს და აღნიშნავს: „ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაამბობს ეყრდნობა „მზე-ქალა“, და ეს წინასწარი უწყება მხატვრული მისტიფიკაცია კი არ არის, არამედ ბელადის მონაყოლის თითქმის სტენოგრაფიული ჩანაწერია, ბელეტრისტული კალმის ჩარევით მომხიბლავ სიუჟეტურ ქარგად შემონახული“ (ჩხეიძე 2009: 217). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როსტომ ჩხეიძისთვის მზექალას სახე სიმბოლური ხატებაა, იგი ქალს რელიგიურ ხილვად, სიზმრისეულ ჩვენებადაც მოიხსენიებს და მის მისტიფიკაციას ახდენს. ცხადია, რომანის ჟანრობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე. ეს ნებადართულია და ემოციურად შთამბეჭდავი. ამას თან ერთვის ალექსანდრე სულხანიშვილის მონათხრობიც, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილს არაერთგზის ჰქონია ხილვები. ცივკომბორის მთაზე დაბანაკებულ ბელადს სიზმრად ქალი სწევია და იქაურობის დატოვება ურჩევია. რომ არა ეს ხილვა, რაზმი თურმე საშინელ ხიფათს ვერ ასცდებოდა. თავისუფლებისთვის მეზრძოლ ქართველთათვის ღვთისმშობლის წყალობისა და მფარველობის რწმენა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მზექალას სახელი ალექსანდრე სულხანიშვილის მოგონებებშიც გაიელვებს.

მოგონებები ქაქუცა ჩოლოყაშვილზე გვხვდება შალვა ამირეჯიბის სხვა წერილებშიც. როგორც ცნობილია, ქართული ემიგრაცია სერიოზულად ფიქრობდა მონარქიის აღდგენაზე. შალვა ამირეჯიბის ფონდში დაცული ხელნაწერი ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო მასალას წარმოადგენს. იგი დათარიღებულია 1942 წლის 25 მაისით, ზედ აწერია: „პოლიტიკური გამჭრიახობისა და თადარიგისათვის“. ეს საკითხი გააქტიურებული ყოფილა აჯანყების მომზადების პერიოდშიც. ამიტომაც გაუჩნდათ სოციალ-დემოკრატებს კონკურენციის შიში და

გარკვეული უნდობლობა იმ სამხედრო ცენტრის მიმართ, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელთან ასოცირდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შალვა ამირეჯიბი დამოუკიდებლობის კომიტეტის აქტიური წევრი იყო, მან ამხილა სოციალ-დემოკრატები იმ მავნებლურ განზრახვაშიც, რომელიც, სამწუხაროდ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დისკრედიტაციას ითვალისწინებდა. როდესაც სოციალ-დემოკრატები მიხვდნენ, რომ ქაქუცას ხალხი ენდობოდა, ტაქტიკა შეცვალეს.

ჩვენთვის საინტერესოა ერთი ფაქტიც, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს უკავშირდება. როგორც ირკვევა, შალვა ამირეჯიბი 1924 წლის აჯანყების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას ყოველთვის უკომპრომისო იყო მათ მიმართ, ვინც ემიგრაციაში აჯანყების კრიტიკით იყო დაკავებული. თავის წერილში „სისხლისათვის ქართლისა“ შალვა ამირეჯიბის სამიზნეა დავით მხეიძე, რომელიც გრიგოლ ვეშაპელის გუნდის წევრად მოიაზრებოდა და, სხვათა შორის, 1924 წელს ანტიბოლშევიკურ ოპერაციებსაც ხელმძღვანელობდა სამეგრელო-ზემო სვანეთში. დავით მხეიძემ აჯანყებას თავიდან ბოლომდე ავანტიურა უწოდა. იმავე აზრის გახლდათ ტარიელ მარგველაშვილიც, რომელმაც აგვისტოს აჯანყების აღსანიშნავ ტრადიციულ კრებაზე აღნიშნა, რომ აჯანყება სრულიად მოუშადებელი იყო და მარცხი - სავსებით ლოგიკური. შალვა ამირეჯიბის განრისხება გამოუწვევია ქაქუცა ჩოლოყაშვილის მოხსენიებას იმ ე. წ. „ბანდიტთა სიაში“, რომლებმაც „ქართველი ხალხი ამ აჯანყებაში ჩაითრია“. მისი წერილებიდან ირკვევა, რომ მენშევიკებს ძალზე აშინებდა ჩოლოყაშვილის პოპულარობა ხალხში. ირკვევა ისიც, რომ მენშევიკურმა პარტიამ დაშალა ხალხი, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილის დასახმარებლად ყოფილა გამზადებული. აქვეა მოთხრობილი ქაქუცა ჩოლოყაშვილთან მისი შეხვედრის ამბავიც. შალვა ამირეჯიბი ქაქუცასთან მოსალაპარაკებლად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით გაუგზავნიათ. მან შეხვედრაზე ქაქუცა ჩოლოყაშვილს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ 1924 წლის აჯანყების მოთავენი მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ადვილი საფიქრებელია, შეფიცულების გარემოცვაში მყოფი, მოუდრეკელი, ბრძოლის ჟინით ანთებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი მასზე რა შთაბეჭდილებას მოახდენდა. მიუხედავად აჯანყების დამარცხებისა, შალვა ამირეჯიბი მას ყოველთვის დადებითად აფასებდა და წერდა: „აჯანყებამ მართლა ქართველი ერის გული შეძრა, თუ აჯანყება ვერ გამოდგა როგორც ტაქტიკა, ის გამოდგა როგორც ეროვნული იდეა, მან ქართველი ერი გააერთიანა და ბრძოლის ველზე გამოიყვანა“ (ამირეჯიბი 1997: 143). შალვა ამირეჯიბის წერილებიდან ვიგებთ იმასაც, თუ როგორ გამოეხმაურა გაზეთი „ტაიმსი“ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიკვდილს: „შამილის შემდეგ კავკასიაში არ ყოფილა კაცი უფრო პოპულარული, ვიდრე - ჩოლოყაშვილი“ (იქვე: 150). ქართველი მწერლების პროფეტულობა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლო, საქართველოს ისტორიაში შევიდოდა „როგორც მისი ბრწყინვალე ეროვნული გმირი“,

ყველა იმ კანონზომიერებით აღსრულდა, რომელსაც ყოველთვის ემყარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ეროვნული იდეა. ბოლშევიკების მცდელობა, თანასწორობის ლოზუნგებით გადაეფარათ ერების ინდივიდუალიზმი, თვითმყოფადობა, მათი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, მარცხით დამთავრდა.

დასკვნა

როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანის „შავი ჩოხას“ და შალვა ამირეჯიბის პუბლიცისტური წერილების ანალიზმა ცხადყო, რომ უახლესმა ქართულმა მწერლობამ ტრადიციულად იტვირთა ეროვნული საზრისის შენარჩუნების მისია და პასუხისმგებლობა აიღო ერის სასიცოცხლო მეხსიერებაზე. როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანი „შავი ჩოხა“ და შალვა ამირეჯიბის წერილები, ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი, ფუნდამენტური შრომაა ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის გასააზრებლად. ამ პროცესში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ისტორიული პერსონაჟები, როგორც ამ იდეალების მარადიული საყრდენები და მაგალითები.

გამოყენებული ლიტერატურა

- ამირეჯიბი 1997 – შ. ამირეჯიბი, წიგნი პირველი და მეორე. ლიტერატურის მუზეუმი, თბილისი, 1997.
- ზვიადაძე 2017 – თ. ზვიადაძე, ენობრივი რესურსის სტილისტიკური ფუნქცია დოკუმენტურ პროზაში, სჯანი. თბილისი, 2017.
- თავბერიძე 2017 – ე. თავბერიძე, ქარის ფრთები – ძველი ამბების ქრონიკა. ქუთაისი, 2017.
- კაპანაძე 2019 – ს. კაპანაძე, კონტექსტი, წერილები ქართულ მწერლობასა და კულტურაზე. გამომცემლობა „სვეტი“, თბილისი, 2019.
- სადღობელაშვილი 2023 – ნ. სადღობელაშვილი, ელგუჯა თავბერიძის დოკუმენტური რომანის „ცამეტი წელი“ შესახებ <https://mastsavlebeli.ge/?p=37549> (02.10.2023).
- ტურავა 2014 – მ. ტურავა, გარღვეული ლაბირინთი. თბილისი, 2014.
- შარაძე 1991 – გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბილისი, 1991.
- ჩხეიძე 2009 – რ. ჩხეიძე, შავი ჩოხა, ქართული მწერლობა, თბილისი, 2009.
- ჩხეიძე 2024 – რ. ჩხეიძე, შავი ჩოხა. გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2024.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9388>

**გურიის (ოზურგეთის) რაზმი
რუსეთ-ოსმალეთის
1877-1878 წლების ომში**

**The Guria (Ozurgeti) Detachment
in the Russo-Turkish War of 1877–1878**

ჟემალ კარალიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი
მალხაზ ჩოხარაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ბათუმი

Jemal Karalidze

Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

Malkhaz Chokharadze

Shota Rustaveli State University
Georgia, Batumi

აბსტრაქტი

ქართველ ხალხს არასოდეს შეუწყვეტია ბრძოლა ოსმალთა მიერ მიტაცებული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის დასაბრუნებლად, თუმცა პოლიტიკურად დანაწევრებულ და დასუსტებულ ქვეყანას ამის ძალა არ შესწევდა. ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა კავკასიაში გაბატონებისათვის აქტიური მოქმედებები დაიწყო რუსეთმა. მისი სწრაფვა, გაეფართოებინა გავლენა კავკასიასა და შავიზღვისპირეთში ოსმალეთის სამფლობელოების ხარჯზე, იმჟამად ობიექტურად ემთხვეოდა კავკასიელთა (ქართველთა და სომეხთა) ინტერესებს, ვინაიდან საქმე ეხებოდა მათ ისტორიულ ტერიტორიებს.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალკანეთის კრიზისმა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი გამოიწვია. საქართველოს ყველა მხარის მოსახლეობა ერთუზიანებით მიდიოდა ომში, რადგან სწამდა, რომ გამოჩნდა შესაძლებლობა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის ოსმალთაგან განთავისუფლებისა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურიის

წარმომადგენლები, რომელნიც თავადაც კარგად იცნობდნენ „ოსმალეთის“ სუსტს.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში კავკასიის ფრონტზე შეტევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო ბათუმი. სწორედ ამ მიმართულებით იბმოდა სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც გურიის (ოზურგეთის) რაზმი ეწოდა.

წარმოდგენილ ნაშრომში საარქივო მასალებისა და პრესის ცნობების საფუძველზე განხილულია გურიის (ოზურგეთის) რაზმის მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში.

საკვანძო სიტყვები: საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა, რუსეთ-ოსმალეთის ომი (1877-1878), გურიის რაზმის ბრძოლა.

ABSTRACT

The Georgian people never ceased their struggle to reclaim the southwestern territories of Georgia seized by the Ottoman Empire; however, a politically fragmented and weakened country lacked the strength to do so. The situation began to change in the early nineteenth century, when Russia undertook active measures to dominate the Caucasus. Its expansionist ambitions, seeking influence in the Caucasus and along the Black Sea at the expense of Ottoman territories, coincided with the objective interests of the local populations, including Georgians and Armenians, as these areas were historically theirs.

In the 1870s, the Balkan crisis triggered another war between Russia and the Ottoman Empire. People from all regions of Georgia enthusiastically joined the conflict, seeing it as an opportunity to liberate historical southern Georgian lands from Ottoman control. The inhabitants of Guria were particularly active, having first-hand knowledge of the hardships under Ottoman rule.

During the Russo-Turkish War of 1877–1878, one of the key directions on the Caucasian front was the offensive toward Batumi. It was along this front that the military unit known as the Guria (Ozurgeti) detachment operated.

Based on archival materials and press reports, this study examines the participation of the Guria (Ozurgeti) detachment in the military operations of the war.

Keywords: Georgian-Ottoman relations, Russo-Ottoman War (1877-1878), Battle of the Guria Detachment.

შესავალი

საქართველოს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობა უხსოვარი დროიდან უზიშვებდა მსოფლიოში ჰეგემონობისათვის მეომარ ქვეყნებს ებრძოლათ მისი სრული დაუფლებისათვის. ჩვენი ისტორია გაჯერებულია უცხოელ დამპყრობლებთან ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, წარმეული თუ შეზღუდული სუვერენიტეტის აღდგენისათვის, მიტაცებული ისტორიული ტერიტორიების რეინტეგრაციისათვის თავგანწირული ბრძოლის მოვლენებით. ძლიერი და მრავალრიცხოვანი მეტოქეებით გარემოცული საქართველო ყოველთვის როდი ახერხებდა საკუთარი დამოუკიდებლობისა თუ ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. ასე მოხდა XVI-XVII საუკუნეებშიც, როცა პოლიტიკურად დაშლილმა და დასუსტებულმა საქართველომ ვეღარ შეძლო შეეჩერებინა გამეზობლებული აგრესიული ოსმალეთის შემოსევები და დაკარგა თავისი სამხრეთი ტერიტორიების დიდი ნაწილი. ქართველობა არასოდეს შეგუებია ძირძველი ტერიტორიების მიტაცების ფაქტს და ყველა შესაძლებლობით ცდილობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დაბრუნებას. სამწუხაროდ, პოლიტიკურად დანაწევრებულ და დასუსტებულ ქვეყანას ამ მიზნის მისაღწევად ძალა არ შესწევდა.

ვითარება შეიცვალა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა კავკასიაში გაბატონებისათვის აქტიური მოქმედებები დაიწყო რუსეთის სახელმწიფომ. მისი მისწრაფება - გაეფართოვებინა გავლენა კავკასიასა და შავი ზღვისპირეთში ოსმალეთის სამფლობელოების ხარჯზე - იმჟამად ობიექტურად ემთხვეოდა კავკასიელთა (განსაკუთრებით ქართველთა) ინტერესებს. XIX საუკუნის 70-იან წლებში ბალკანეთის კრიზისმა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მორიგი ომი გამოიწვია. მაშინდელი საქართველოს მოსახლეობა მიესალმა ომის დაწყებას და ენთუზიაზმით, მასიურად მიდიოდა ომში, რადგან სწამდა, რომ გამოჩნდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მიწა-წყლის ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობა. საქართველოს ყველა მხარის მკვიდრნი ასაკის მიუხედავად მასიურად მიდიოდნენ ომში, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურობდნენ მეზობელი გურიის რეგიონის წარმომადგენლები, რომელთაც თავადაც კარგად იცოდნენ „ოსმალთა“ სუსხი. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის პერიოდში კავკასიის ფრონტზე შეტევის ერთ-ერთ ძირითადი მიმართულება ბათუმი იყო. სწორედ ამ მიზნით იბრძოდა სამხედრო დაჯგუფება, რომელსაც გურიის (ოზურგეთის) რაზმი ეწოდა. ვფიქრობთ, ამ ისტორიული მოვლენის შესწავლა-წარმოჩენა აქტუალურია დღესაც. ვინაიდან საქართველო XXI საუკუნის დასაწყისშიც რთულ გეოპოლიტიკურ გარემოცვაშია და არც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა გვაქვს გადაწყვეტილი. XIX საუკუნის ამ შთამბეჭდავი ფაქტით კი ცხადი ხდება, თუ დიპლომატიასა და საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებასთან ერთად, რამდენად მნიშვნელოვანია ეროვნული კონსოლიდაცია.

ნაშრომში საარქივო მასალებისა და პრესის ცნობების საფუძველზე, ისტორიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით განხილულია გურიის (ოზურგეთის) რაზმის მონაწილეობა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: წყაროს ანალიზი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შედარებით-ისტორიული მეთოდები, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

მსჯელობა

1877 წლის 12 (24) აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე 11-მ კიშინიოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. რუსეთი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის შედეგად დაკარგული სამხრეთ ბესარაბიის დაბრუნებას და ბათუმის შეერთებას.

ქართველი საზოგადოებრიობასიხარულით შეხვდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ „მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება“ (სიჭინავა 1958: 40).

საომარი მოქმედებები ერთდროულად ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში გაჩაღდა. ორივე ფრონტს მეფის ძმები ხელმძღვანელობდნენ – დუნაის არმიას სარდლობდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ხოლო კავკასიის არმიას – მეფისნაცვალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. რუსეთის მთავარსარდლობის გეგმებით, კავკასიის ფრონტს უნდა მიეზიდა ოსმალთა ძირითადი ძალები მცირე აზიაში და აემულეზინა სულთნის ხელისუფლება გადმოესროლა რეზერვები ამ მიმართულებით. რუსეთის ხელისუფლება კარგად ხვდებოდა, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ომის მსვლელობაზე ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას – როგორც ცარიზმის ქვეშევრდომი ქართველების, ისე ჯერ კიდევ ოსმალეთის საზღვრებში მყოფი მაჰმადიანი ქართველებისას. ცარიზმი დიდ იმედს ამყარებდა ქართველ მოლაშქრეებზე (მილიციაზე), რომელთაც რეგულარული არმიის გვერდით უნდა ებრძოლათ.

იმდროინდელი ქართული პრესა – „ივერია“, „დროება“ აქვეყნებდა ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა: ი. ჭავჭავაძის, ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის, პ. უმიკაშვილის, ი. კერესელიძის და სხვათა წერილებს, რომლებშიც გატარებული იყო აზრი, რომ ამ ომში ქართველთა აქტიური მონაწილეობა და რუსეთის გამარჯვება ქართველი ერის ინტერესებში შედიოდა, რომ მას შედეგად უნდა მოჰყოლოდა საუკუნეების წინ მოწყვეტილი მხარეების დაბრუნება (კარალიძე 2009: 32-33).

1876 წლის ბოლოს ბალკანეთის საკითხისადმი მიძღვნილი სტამბოლის საერთაშორისო კონფერენციის ჩაშლის შემდეგ რუსეთ-ოსმალეთს შორის ომი გარდაუვალი გახდა. რუსეთის მთავრობამ დასავლეთ საქართველოში (რიონის მხარეში) თავი მოუყარა მნიშვნელოვან სამხედრო დაჯგუფებას გურიის რაზმის სახით, რომელსაც სათავეში გენერალი ი. ოკლობჟიო ჩაუყენეს. „ამ ჯარებს უნდა დაეცვათ გურია, სამეგრელო და იმერეთი, თუ ოსმალები შავი ზღვის სანაპიროზე დესანტს გადმოსხამდნენ...“

პერსპექტივაში დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარები გამიზნული იყო ბათუმის დაკავების შემდეგ ზღვის სანაპიროს გავლით სტამბოლზე შეტევისათვის“ (გურული 2018: 371).

რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის წინ და ომის მსვლელო-ბაში ქართველი ხალხი ხალისით ქმნიდა სახალხო რაზმებს. 1887 წლამდე ქართველები რუსეთის რეგულარულ არმიაში არ გაჰყავდათ. მათგან მხოლოდ სახალხო ლაშქარს, ე.წ. „მილიციელთა რაზმებს“ აყალიბებდნენ. ომის დასაწყისში ასეთი ლაშქარი შეიქმნა ქართლში, კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში და სხვ. (ნარკვევები 2008: 45).

გურიაში სახალხო რაზმების ფორმირება დაევალა ქობულეთის რაზმის შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ გ. ყაზბეგს. მოსახლეობამ უყოყმანოდ განაცხადა: „ჩვენ მზად ვართ ყოვლის მიზეზის უთქმელად“ (დროება 1877, 17 მარტი). გათვალისწინებული ათასი კაცის ნაცვლად, აქ ოთხი ათასი მოლაშქრე გამოვიდა. ეს მაშინ, როდესაც გურიის მთელი მოსახლეობა 25 ათას კაცს შეადგენდა. გურულების ასეთ ერთსულოვნებას აღტაცებაში მოჰყავდა რუსი სამხედროებიც. ქობულეთის რაზმის ოფიცერი ბ. კოლუბიაკინი აღნიშნავდა: გურიის მოსახლეობამ საყოველთაო სურვილი გამოთქვა ომში წასვლაზე და ხალისით ჩამოაყალიბეს რაზმები. ასეულის მეთაური ი. მაკაევი (მაყაშვილი) მოგვიანებით აღნიშნავდა: ომის დაწყებისთანავე მთელი გურია აღსდგა, ახალგაზრდებიდან დაწყებული მოხუცების ჩათვლით, ომში წასვლას ითხოვდა. თურმე 13-14 წლის ყმაწვილები ტირილით ევედრებოდნენ, რათა ჯარში გაეწვიათ (მაკაევი 1913: 150). ანალოგიური განწყობა იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში.

თავდაპირველად ოზურგეთში 1000-კაციანი დრუჟინა შეადგინეს. დანარჩენ მოხალისეებს კი უარი უთხრეს, თუმცა ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ გაწვევას. გ. ყაზბეგმა მათ აღუთქვა, რომ ერთი წლის შემდეგ ჩარიცხავდნენ სახალხო ლაშქარში. „რად გვინდა ერთი წლის შემდეგ მიღება, როცა ომი უკვე დამთავრებული იქნება; ჩვენ ახლა გვინდა დავდოთ თავი სამშობლოსათვისო“ - აცხადებდნენ ისინი (მეგრელიძე 1956: 51). მოხალისეების დაჟინებითი მოთხოვნით, ომი დაწყების შემდეგ, მოკლე დროში, გურიაში დამატებით შეიქმნა სამი დრუჟინა (3 000 კაცი), რომელთა რიგებში მრავლად იყვნენ 13-14 წლის ახალგაზრდები (ნარკვევები 2008: 46).

სოფ. ხიდისთავის მცხოვრები სოფრომ თავართქილაძე იგონებდა: „ჩვენი საზოგადოების ხალხი ომის გამოცხადების დღეს სკოლასთან შეიკრიბა. აქ მრავალი სიტყვა იქნა წარმოთქმული, შემდეგ მღვდელმა გვაკურთხა და ოზურგეთში წავედით ლაშქარში ჩასაწერად“ (მეგრელიძე 1956: 52).

კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა, რომელმაც 1877 წლის აპრილში ოზურგეთის სამხედრო შენაერთები დაათვალიერა, გურიის რაზმელების საბრძოლო მომზადებას მაღალი შეფასება მისცა და კმაყოფილებით განაცხადა: „ასეთი მამაცი ახალგაზრდებით შეიძლება ომში წასვლა“.

ომის დაწყების წინ, 1877 წლის მარტში, რიონისპირა ჯარების შტაბი ქუთაისიდან ოზურგეთში გადმოიტანეს. რუსთა და ქართველთა

გაერთიანებული ლაშქარი ოზურგეთში განლაგებული იყო წმინდა ნიკოლოზის საგუმბაგოზე (შეკვეთილში), ნაგომარსა და ორპირში. არაერთი ღონისძიება გატარდა ოსმალთა შესაძლო კონტრშეტევის მოსაგერიებლად.

1877 წლის 12 (24) აპრილს, განთიადისას, ომის გამოცხადებისთანავე, რუს-ქართველთა ჯარმა გაარღვია ოსმალეთის დაცვა. შეტევაზე გადავიდა ოზურგეთის რაზმის სამი კოლონა: წმინდა ნიკოლოზის საგუმბაგოდან (შეკვეთილ-ნატანებიდან) - მარჯვენა კოლონა, რომელსაც პოლკოვნიკი ი. აბაშიძე მეთაურობდა. შუათანა - გენერალ-მაიორ შერემეტიევის წინამძღოლობით ოჩხამურისაკენ დაიძრა, ხოლო მარცხენა კოლონამ გენერალ-მაიორ დანიბეგოვის მეთაურობით კურსი აიღო მდინარე ჩო-ლოქის საგუმბაგოსაკენ (ნარკვევები 2008: 50). მდინარე ჩოლოქის ნაპირებიდან ქობულეთ-ციხისძირი-ბათუმის მიმართულებით შეტევაზე გადასულ გურიის რაზმს შავი ზღვის სანაპიროზე უნდა ემოძრავა. სამხედრო ფლოტიც ხმელეთიდან შეძლებისგვარად მცირე მანძილის მოშორებით იმოძრაებდა, რათა საჭიროების დროს დესანტი გადმოესხა (გურული 2018: 371). თუმცა ყველაფერი დასახული გეგმის მიხედვით ვერ წარიმართა.

კავკასიის ფრონტზე ყველაზე რთული ვითარება შეიქმნა ბათუმის მიმართულებით. ფრონტის ამ უბანზე ოსმალთა არმია 40 ათას კაცს ითვლიდა. მას უპირისპირდებოდა რუსთა და ქართველთა 25 ათასიანი ჯარი (Русско-турецкая война 1977: 119). მასში შედიოდნენ როგორც რეგულარული სამხედრო შენაერთები, ისე სახალხო მოლაშქრეები.

ომის წინ რუსთა და ქართველთა ჯარი განლაგებული იყო ოზურგეთში, წმინდა ნიკოლოზის საგუმბაგოზე (შეკვეთილში, ნატანებთან ახლოს), ნაგომარსა და ორპირში. ჯარებისა და საბრძოლო მასალების კონცენტრაციის მთავარ ცენტრად იქცა ოზურგეთი. რიონისპირა მხარის ჯარების შტაბი მარტის ბოლოს ქუთაისიდან ოზურგეთში გადმოიტანეს.

რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა სწრაფი დარტყმით დაიკავა ქობულეთი და ოჩხამური, 13 (25) აპრილს - ლედვა, ხოლო 14(26) აპრილს მუხანესტატეც გაათავისუფლა. მსხვერპლი ორივე მხარეს დიდი იყო. რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა, რათა განემტკიცებინა პოზიციები დაკავებულ ტერიტორიებზე. სათანადო მომზადების შემდეგ ჯარი მორიგ შეტევაზე გადავიდა. გენერალ დანიბეგაშვილის შენაერთმა გენერალ შერემეტიევის რაზმთან ერთად 29 აპრილს (11 მაისს) სოფელი ხუცუბანი აიღო. გურული დრუჟინის მეოთხე ასეულმა პორუჩიკ ივანე მაყაშვილის მეთაურობით, გ.ყაზბეგის რაზმთან ერთად, დაიკავა მდ. აჭყვასა და მდ. კინტრიშს შორის ტერიტორია.

1877 წლის მაისში გურიის (ოზურგეთის) რაზმს შეეცვალა სახელი და ქობულეთის რაზმი ეწოდა, ხოლო მის მეთაურად გენერალი დანიბეგაშვილი, შტაბის უფროსად კი პოლკოვნიკი ყაზბეგი დაინიშნა. შეტევაზე მიმავალ ჯარს ციხისძირთან ოსმალთა მძაფრი წინააღმდეგობა შეხვდათ. 1877 წლის ივნისის შეტევა ციხისძირთან რუსებისათვის უშედეგოდ და დიდ იმსხვერპლით დასრულდა (ბათუმი... 1906: 91). ვერც 1878 წლის იანვარში განხორციელებული შეტევა აღმოჩნდა შედეგიანი. სამხედრო მოქმედებები

ისე დასრულდა, რომ ციხისძირის სიმაღლის დაძლევა და ბათუმისკენ წინსვლა რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა მხედრობამ ვერ შეძლო.

საბრძოლო მოქმედებებში რუსეთის დროშის ქვეშ მებრძოლი გურიის რაზმის წევრები განსაკუთრებულ სიმამაცესა და ბრძოლისუნარიანობას ავლენდნენ. ასეთი ფაქტი მომხდარა სოფ. ლელვასთან ბრძოლებისას: მაღლობზე გამაგრებულმა ოსმალებმა ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოაქციეს შეტევაზე გადასულნი. გენერალმა ოკლობაჟიომ გურიის ლაშქრის მეოთხე ასეულის უფროსს კაპიტან მაყაშილს უბრძანა აეღოთ სიმაღლე. ქართველებმა თავგანწირული შეტევა მიიტანეს მაღლობზე, მათი შეჩერება მტერმა ვეღარ შეძლო. ცალ ხელში დაჭრილი ურადნიკი შარაშენიძე თოფით მაინც მუსრავდა მტერს. სიმაღლის აღებისას მამაცურად დაღუპულა 16 ლიხაურელი მოხალისე (მეგრელიძე 1974: 72-73). ასეთი გმირობის მაგალითი სხვაც ბევრი ყოფილა.

ბ.კოლუბიაკინის ცნობით, ქართველები ფრონტის წინა ხაზზე იყვნენ და ბრძოლის სიმძიმე თავიანთ მხრებზე გადაჰქონდათ. გაბედულებითა და თავგანწირული ბრძოლით მათ რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები განცვიფრებაში მოჰყავდათ. მეომრები აღტაცებული დარჩნენ, როდესაც გურიის დრუჟინის მეოთხე ასეულის წევრმა, ყირიმის ომის სამი ორდენის კავალერმა, გოგუაძემ ბრძოლის ველზე 14 წლის ვაჟიშვილი გამოიყვანა (Макаев 1913: 67).

სამწუხაროდ, ომის მსვლელობაში ქართველთა მასობრივი გმირობის ფაქტები ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გამო ვერ შემოინახა. კავკასიის სარდლობა, მართალია, დიდ ყურადღებას აქცევდა ომში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვას, მაგრამ მილიციის რაზმები იმდენად გათქვეფილი იყვნენ ჯარების საერთო კონტინგენტში, რომ უშუალოდ ომში მათმა მოქმედებამ ვერ ჰპოვა სათანადო აღრიცხვა სამხედრო ანგარიშებსა და შტაბთა მიმოწერებში. არ არის გამორიცხული ის გარემოებაც, რომ მხედარმთავართა ნაწილი შეგნებულად გვერდს უვლიდა და სდუმდა ადგილობრივ ჯარისკაცთა და მილიციელთა გმირობაზე (მეგრელიძე 1956: 58).

გურიის რაზმმა, მართალია, ბრძოლით ვერ შეძლო ბათუმის განთავისუფლება, მაგრამ მისი გადმოცემის პროცესში მაინც მონაწილეობდა.

ომის დასრულების შემდეგ სან-სტეფანოსა და ბერლინის ხელშეკრულებათა ძალით აჭარა სხვა ქართულ ისტორიულ ტერიტორიებთან ერთად რუსეთს გადაეცა. ქუთაისში შედგა რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენელთა შერეული კომისიის სხდომა ბათუმის გადაცემის საკითხთან დაკავშირებით. გურიის რაზმისგან გამოიყო ქობულეთის კოლონა ბათუმის ჩასაბარებლად, რომელსაც მეთაურად ფეხოსანთა 41-ე დივიზიის სარდალი გენერალი ნურიდი დაუნიშნეს (ბათუმი... 1906: 95). აღნიშნული შენაერთი შევიდა 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში. თუმცა მისი მონაწილეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის განთავისუფლების საქმეში ამით არ დასრულებულა.

გურიის რაზმის საომარ მოქმედებებში მონაწილეობის ერთგვარი გამოძახილია უფრო გვიანდელი, კერძოდ, 1895 წლის 17 თებერვლის

კორესპონდენცია გაზეთ „ივერიისა“. ივანე ჯაიანის პუბლიკაცია ეხება ბორჩხას და, რამდენადმე, ჭოროხის ხეობასაც საზოგადოდ. ავტორი ეხება რეგიონის ყოფის საინტერესო დეტალებს და, ამასთან, მკითხველს ამცნობს განთქმული ბორჩხელი მენავის, იბრაიმ კერაშიძის გარდაცვალების შესახებ. ივ. ჯაიანი აღნიშნავს, რომ კერაშიძე ჯერ კიდევ რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ეხმარებოდა გურიის „დრუჟინას“ (რაზმს).

ერთხელაც გავიხსენოთ, რომ ბერლინის ტრაქტატის ძალით რუსეთის მფლობელობაში გადასული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი რუსეთმა დაიკავა ომის დასრულების შემდეგ - ზემოხსენებული ტრაქტატის გაფორმების შემდეგ. სახალხო რაზმელებს შორის ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებიც იყვნენ. მიუხედავად ამისა, ოსმალეთი ომისშემდგომ პერიოდშიც ცდილობდა პროოსმალური ძალების გააქტიურებას და მათ ჩართვას პროვოკაციულ ქმედებებში.

ბერლინის ტრაქტატის შემდეგ სწორედ გურიის რაზმი იყო ერთ-ერთი სამხედრო ძალა, რომელიც ჭოროხის აუზის სიღრმისკენ დაიძრა ისტორიული კლარჯეთის, შავშეთის, ტაოსს და სხვა ტერიტორიების დასაკავებლად. სავარაუდოდ, ოსმალეთმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართულად გაავრცელა ხმა, რომ რუსეთ-ოსმალეთს შორის საზღვარს უნდა გაეგლო ჭოროხზე. შედეგად, ბორჩხის ახლო-მახლო სივრცეში პროოსმალური ძალები ჭოროხის მარცხენა ნაპირზე გამაგრდნენ და იმუქრებოდნენ, რომ მოწინააღმდეგის ჯარს ჭოროხის გადალახვის შესაძლებლობას არ მისცემდნენ. ცხადია, ამ ხალხს, რომელიც ეთნიკურადაც საკმაოდ ჭრელი იყო და არც მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისგან შედგებოდა, ამის ძალა არ შესწევდა, მაგრამ არც პროვოკაციათა მოსალოდნელი შედეგების გათვლა იყო იოლი.

ჭოროხზე გადასვლას ართულებდა ისიც, რომ, როგორც ივანე ჯაიანი იუწყება, ზემოხსენებულ პროვოკატორებს „ჰქონდათ განდობილი ბორჩხელ მენავეებისთვის, რომ ვინც რუსის ჯარს ჭოროხის გაღმა გაიყვანდა, იმას მოკვლას ჰპირდებოდნენ და სახლის დაწვასაც“...

სწორედ იბრაიმ კერაშიძე ყოფილა ის კაცი, რომელიც არ შეეპუა მუქარას და გურიის რაზმი თავისი ნავით ჭოროხის გაღმა ნაპირზე გადაიყვანა: „იბრაიმ კერაშიძემ, მიუხედავად ამ მუქარისა, ერთ ღამეს მთელი გურიის დრუჟინა თავისის ნავით გაიყვანა და ამითი რამდენიმე ასი კაცი დაიხსნა ჭოროხისა და თოფის პირისგან“ (ჯაიანი 1895: 2).

ცხადია, ამის გამო კერაშიძეს საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ გურიის რაზმმა მოახერხა ვითარების სტაბილიზება. წინააღმდეგობაც მალევე შეწყდა...

სურათის სისრულისთვის ივ. ჯაიანი ომისშემდგომ ვითარებაზეც მიუთითებს და კერაშიძის დახასიათებით ადგილობრივი მოსახლეობის, ქართველი მუსლიმების, დამოკიდებულებასაც გამოხატავს: აღნიშნავს, რომ იგი იყო „დიდი მოყვარული ქართველებისა; აქ რომ დაენახა ქართველი კაცი, დიდი იყო თუ პატარა, ათი თუ ოცი, ყველას მასთან უნდა გაეთია ღამე და დიდად ნასიამოვნებს ისტუმრებდა თავისს საყვარელ სტუმრებს (ჯაიანი 1895: 2).

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

ბათუმი... 1906 – ბათუმი და მისი მიდამოები. ბათუმი, 1906 (რუსულ ენაზე).
გურული 2018 – ვ. გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918),
წიგნი II, თბილისი, 2018.

დროება 1877 – გაზეთი „დროება“, 1877, 17 მარტი.

კარალიძე ჯ. 2009 – ჯ., კარალიძე, აჭარა 1878-1903 წლებში. ბათუმი, 2009.

მეგრელიძე 1956 – შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა
ბატონობისაგან. ბათუმი 1956.

მეგრელიძე 1974 – შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში.
თბილისი, 1974.

ნარკვევები 2008 – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები,
აჭარა III, ბათუმი, 2008.

სიჭინავა 1958 – ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი, 1958.

Макаев 1913 – Макаев И. Р., Историческая записка 1-й Пешей Гурийской
дружины в войну 1877-1878 гг. (Воспоминания офицера участника). Тифлис,
1913.

Русско-турецкая война – Русско-турецкая война 1877-1878. Москва, 1977.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9390>

ბერ-ძირიანი გვარსახელები ბურულში

Gurian Surnames with the Root „Ber“

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, გორი

Mariam Koberidze

Cori State University
Georgia, Cori

აბსტრაქტი

გვარსახელების საქართველოს კუთხეების მიხედვით შესწავლას განსაკუთრებული საქართველოს კუთხეების მიხედვით შესწავლას განსაკუთრებული სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სიტყვა-გამოთქმები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიისათვის. გვარების წარმოშობის კონკრეტული პერიოდის, მიგრაციისა და ლოკალიზაციის გარკვევა პრობლემურია და დიდი სიფრთხილით შესწავლას გულისხმობს.

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს გურიაში გავრცელებული ბერ-ძირიანი გვარსახელების გამოვლენა, მათი სტრუქტურის, სემანტიკისა და ეტიმოლოგიის შესწავლა. ბერ-ძირიანი გვარების შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება გურიის წარსულსა და თანამედროვეობას. ნაშრომში ქრონოლოგიურად, დღევანდელობასთან მიმართებით გაანალიზებულია ბერი სიტყვის მნიშვნელობა ქართული ენის ლექსიკონებში, დიალექტურ და ეთნოგრაფიულ მასალებსა და ისტორიულ დოკუმენტებში. ბერი პოლისემანტიკური სიტყვაა და აღნიშნავს: 1. ხანდაზმულ ადამიანს; 2. მონაზონს; 3. ვაჟიშვილს; 4. ჩვილს; 5. ხატისათვის შეთქმულ ზავშეს.

გურულში ბერ- კომპონენტიანი გვარების რამდენიმე მოდელი გამოვლინდა:

1. მარტივფუძიანი (ბერ+ძე) გვარები: ბერიძე, ბერიშვილი. გვარები გვავარაუდებინებს პირსახელს ბერი.

2. მარტივფუძიანი, -ელ კნინობითის მაწარმოებელი აფიქსით სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები: ბერსელაძე, ბერსენაძე. გვარები გვავარაუდებინებს პირსახელს - ბერ-ს-ელ-ა > ბერ-ს-ენ-ა. ელ > ენ მონაცვლეობა. ს- მიცემითი ბრუნვის ნიშანი.

3. რთულფუძიანი გვარები. ბერ - კომპონენტი მეორე ადგილზეა: გიგიბერიძე (< გოგი+ბერი+ძე), გოგაბერაშვილი (< გოგა+ბერა+შვილი), თავბერიძე (< თავ+ბერი+ძე), სულაბერიძე (სულა+ბერი+ძე), ჯამბერიძე (<ჯან+ბერი+ძე), მაჩაბერიძე (მაჩა+ბერი+ძე)... გვარები გვავარაუდებინებს პირსახელებს: გიგი (გაგიშვილი, გიგაშვილი), გოგა (გოგაშვილი, გოგიაშვილი), სულა (სულაშვილი), თავი (თავაძე), ჯანო (ჯანიაშვილი), მაჩა (მაჩაძე) ან მაცა (მაცაბერიძე)...

4. კომპოზიტურ გვარსახელში ბერ-ი წარმოდგენილია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით:

ა) ი/ე მონაცვლეობა: გვიბირიძე (<გვიბერიძე)... ი/ე მონაცვლეობა შეიძლება გვექონდეს გვარებში: კობირიძე (<კო+ბერიძე). მსგავსი წარმოების გვარია კობერიძე. შესაძლებელია, ანალოგიური წარმოშობის გვარია კოიძე.

ბ) ა/ე მონაცვლეობით: გუმბარიძე (<გუმბერიძე)...

გურიაში მოსახლე გვარსახელებს გვავარაუდებინებენ ადგილის სახელწოდებები: საბერძო (<სა-ბერიძე-ო. სათესი); ბერიძისოული (<ბერიძის-ეულ-ი. ნამოსახლარი) საბერიძო (<სა-ბერიძე-ო. სათესი ადგილი); ბერულავა (ღელე); გოგიბერისკარი (გორა); საკობერიძეო (ტყე).

საკუთარი სახელის მამრობითი სქესის, ძის, შვილის ჩვენება გამოხატავს ზემოთ აღნიშნულ გვარსახელებში დადასტურებული ბერ-ძირის სემანტიკას. ამგვარი ტენდენცია საერთო ქართველური ენობრივი მოვლენაა და დღესაც შეინიშნება დიალექტებში.

საკითხის კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საინტერესოა ქართველური ლექსიკოლოგიის, ონომასტიკისა და, საერთოდ, გვარსახელებთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების დიაქრონიული ანალიზისათვის.

საკვანძო სიტყვები: გურული დიალექტი, საკუთარი სახელები, ქართული გვარსახელების წარმოება.

ABSTRACT

The study of surnames by region of Georgia has a special scientific and practical importance. The words and expressions woven into it. It contains important information for linguistics, as well as for the history, ethnography and archeology of Georgia. Clarifying the specific period of origin, migration and localization of surnames is problematic and requires careful study.

The purpose of the research of the presented scientific article is to identify the surnames with the root „ber“ common in Guria, to study their structural composition, semantics and etymology. The study of surnames with the root „ber“ is closely related to the past and present of Guria. Therefore, the work analyzes the meaning of the word „ber“ in Georgian dictionaries, dialectal and ethnographic materials and historical documents chronologically in relation to the present.

„Beri“ is a polysemantic word and denotes: 1. an elderly person; 2. a nun; 3. a son; 4. an infant; 5. a child consecrated to an icon.

Several models of surnames with a ber-component have been identified in Guruli: 1. Simple-rooted (ber + dze) surnames: Beridze, Berishvili. The surnames suggest a personal name: beri

2. Surnames formed from names with a simple stem -el declension-producing affix: Berseladze, Bersenadze. Surnames suggest human names: Ber-s-el-a → Ber-s-en-a. El → en alternation. S- is a sign of dative inflection.

3. Compound-stemmed surnames. The Ber - component is in second place: Gigiberidze (← Gogi + Beri + Dze), Gogaberashvili (← Goga + Bera + Chhilbi), Tavberidze (← Tav + Beri + Dze), Sulaberidze (Sula + Beri + Dze), Jamberidze (← Jan + Beri + Dze), Machaberidze (Macha + Beri + Dze)...

Surnames are related to human names: Gigi (Gagishvili, Gigashvili), Goga (Gogashvili, Gogiashvili), Tavi (Tavadze), Sula (Sulashvili), Jano (Janiashvili), Macha (Machaidze) or Matsa (Matsaberidze)....

4. In the composite surname, the letter „ber“ is represented by certain phonetic changes:

a) with the alternation „i←e“: Gvibiridze (←Gviberidze)... We can have the alternation „i ←e“ in the surnames: Kobiridze (←Ko+ Beridze). The surname of similar origin is Koberidze. It is possible that the surname of analogous origin is Koidze.

b) with the alternation „a←e“: Gumbaridze (←Gumbaridze)...

The surnames of the inhabitants of Guria are suggested by place names: Saberdzao (←sa-beridze-o. sowing); Beridzeouli (←beridze-eul-i. settlement); Saberdzao (←sa-beridze-o. sowing place); Berulava (hill); Gogiberiskari (hill); Sakoberidzeo (forest).

The masculine gender of one's own name, son, or child, expresses the semantics of the root ber attested in surnames. Such a tendency is a common Georgian linguistic phenomenon and is still observed in Georgian dialects today. The conclusions obtained as a result of the study of the issue are important for the diachronic analysis of Georgian lexicology, onomastics, and, in general, key issues related to surnames.

Keywords: Gurian dialect, proper names, formation of Georgian surnames.

შესავალი

გვარების წარმოშობის კონკრეტული პერიოდისა და ლოკალიზაციის გარკვევა პრობლემურია და დიდი სიფთხილით შესწავლას გულისხმობს. ბერ- ძირიანი გვარსახელების წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია ქართველი ერის ისტორიასთან და ქართველი ხალხის ეთნოგრაფიულ ყოფა-ცხოვრებასთან. ამ ტიპის გვარების ცალკეული კუთხეების მიხედვით აღწერა, თითოეული მათგანის ისტორიისა და მიგრაციის დასადგენად საჭირო მასალების მოძიება აუცილებელია (კობერიძე 2024ა: 463).

გვარსახელების საქართველოს კუთხეების მიხედვით შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მასში ჩაქსოვილი სიტყვა-გამოთქმები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა როგორც ენათმეცნიერებისათვის, ისე საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიისათვის.

ბერ- ძირიანი გვარების კვლევა მჭიდროდ უკავშირდება გურიის წარსულსა და თანამედროვეობას, ამიტომ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ქრონოლოგიურად გავანალიზოთ ქართული ენის ლექსიკონებში, დიალექტურ-ეთნოგრაფიული მონაცემებში, ისტორიულ დოკუმენტებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული მასალები (აბულაძე 1973; ერიაშვილი 1987; ორბელიანი 1991; მაისურაძე 1965; სიხარულაძე 1971; ცხადაია 2000; ძნელაძე 2005; კობერიძე 2024ა; კობერიძე 2024ბ...).

მეთოდები

საკითხის კვლევისას გამოყენებულია დაკვირვების, აღწერითი, ისტორიულ-შედარებითი, რაოდენობითი და კრიტიკული ანალიზის მეთოდები. გურულში დადასტურებული მასალები ჯერ დავყავით ცალკეულ ნაწილებად, აღვწერეთ, შემდეგ ერთმანეთს შევუდარეთ ქართული ენის ლექსიკონებში, დიალექტურ და ეთნოგრაფიულ მასალებში დადასტურებული ბერი ლექსიკური ერთეულის სემანტიკა. ქრონოლოგიურად შევისწავლეთ ისტორიულ დოკუმენტებში გურიაში დადასტურებული ბერ- კომპონენტის გვარები, თანამედროვეობასთან კავშირში გავანალიზეთ მათი გავრცელების არეალი და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე გამოვიტანეთ შესაბამისი დასკვნები.

მსჯელობა

ქართული ენის ლექსიკონებში ბერი რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება:

ბერი - მოხუცებული, მონაზონი: ბერობა, დაბერება, დედაბერი, დედაბერებრი, სიბერე, უბერესი. ბერვა „შებერვა“, ჩაბერვა: დაბერვა, მიბერვა, შებერვა, ბერვა... (აბულაძე, 1973: 131, 139). ბერი - ხანში შესული - ხანმრავალი კაცი. ბებერი, ბერობა, დაბერა, დედაბერი, კაცი, ჭევის-ბერი (ორბელიანი 1991: 102).

ბერ-ი (ბერისა): 1. ბებერი, მოხუცებული, დიდი ხნის (ადამიანი)// საერთოდ, დიდი ხნისა, ბებერი (რამ); 2. საეკლესიო მშობის წევრი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღქმა აქვს დადებული// ბერად აღიკვეცება, ბერად აღკვეცილი (ქეგელ 2008: 996).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ბერის თავდაპირველი მნიშვნელობა - „ჩვილი“ (Mapp 1935: 351-355; სურგულაძე 1989: 40, 41).

ივანე ჯავახიშვილის ბერს „გაჟიშვილის“ აღმნიშვნელ საერთო ქართველურ სიტყვად მიიჩნევს (ჯავახიშვილი 1937: 186).

ტერმინი ბერი ხატისათვის შეთქმული ბავშვის¹ აღმნიშვნელად დასტურდება ქართლური დიალექტის სალექსიკონო მასალებში. აქვე დასტურდება ლექსიკური ერთეული - ბერზვარა (ხატისათვის შეთქმულ საკლავი) (მესხიშვილი 2006: 75, 76).

¹ ხატისათვის შეთქმული იყო მხოლოდ ვაჟი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ მასალებში დასტურდება ტერმინები: დარბაზი ანუ საბერო (ხევისბერთა სამყოფელი) (ერიაშვილი 1987: 124); ბერად დაყენება // ბერად შედგომა (უფროსი ვაჟის) (ღუდუშაური 2011: 5); წლის ბერები (მიცვალებულის ნათესავების წვერისა და თმის დაყენება წლამდე) (ხახანაშვილი 1888: 2-3; კობერიძე 2023 : 257).

ბერე ჭანურში იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, რაც ქართულში ძე, შვილი და მეგრულში სქირი, სქუა (ყიფშიძე 1994: 645). ბერი დაერთოდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას. იგი მეორადი სუფიქსაციის გარეშე შემონახულია გვარში „კაკუბერე“ (კაკუს ძე) (ცხადაია 2000 : 29).

ბერ- კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია: დედაბერი (←დედა+ბერ-ი) - ხანშიშესული ქალი; დედაბერებრი (←დედა+ბერ+ებრი) - დედაბერის მსგავსი; ბებერი (←ბერ-ბერი. კომპოზიტი მიღებულია ძირის გაორკეცებით, რ- ბგერის ჩაგდებით) - ხანშიშესული, ასაკოვანი ადამიანი; შინაბერა (შინა+ბერ+ა) - გაუთხოვარი ქალი; ბერბიჭა (ბერ+ბიჭ+ა. -ა კნინობითობის მაწარმოებელი) - დაუქორწილებელი მამაკაცი; ბერიკაცი (←ბერი+კაცი) - მოხუცებული მამაკაცი. ბერიქალი (←ბერი+ქალი) - მოხუცებული ქალი; ხევისბერი (←ხევის+ბერი) - უფროსი მამაკაცი...

ბერ- ძირი დასტურდება გურიის ონომასტიკურ მასალებში: დედაბერაი - საძოვარი სოფელ ხიდმაღალაში; დედაბერა - მდინარე სოფელ მელექედურში. დედაბერას უწოდებენ გურიის ტყეებში გავრცელებულ სოკოს ერთ-ერთ სახეობას. ბერსლიანი - ფერდობი სოფელ ჯუნეწერში, ჩაის პლანტაცია სოფ. გულიანში; ბერსნალი (ბერსელნარი) - ჩაის პლანტაცია სოფელ ჯიხანჯირში; ბერსელა - ისლის მსგავსი ზალახია (ძნელაძე 2005: 19, 25).

ბერ- ძირი გამოვლინდა ი. სიხარულიძის მიერ გურიაში ჩაწერილ მასალებში (სიხარულიძე 1971: 74-153).

ბერსნალი (←ბერ-ს-ნარი. დისიმილაციით) (გორა)-ნატანები; ბერის სენაკი (გამოქცაბული) - შემოქმედში; ბერის კონახი (ვაკე)- ქეციმერა; ბერისწყალი (წყარო), ბერლელე-კოხნარში; ბერისწყალი (წყარო)-კვირიკეში.

გურიაში მოსახლე გვარსახელებს გვავარაუდებინებს ადგილის სახელწოდებები: საბერძაო (←სა-ბერიძე-ო. სათესი); ბერიძისოული (←ბერიძის-ეულ-ი. ნამოსახლარი) - ხიდისთავში; საბერიძაო (←სა-ბერიძე-ო. სათესი ადგილი) - ქვემო ერკეთში; ბერულავა (ღელე) - ზოტში; გოგბერისკარი (გორა) - კვირიკეში. შდრ. საბერძაო - უბანი სამეგრელოში, კორცხელში. ბერანძე ბერაძის ვარიანტად არის მიჩნეული (ცხადაია 2000: 59).

გურიაში ფიქსირებულ სა- პრეფიქსიან ტოპონიმთა შორის გვაქვს რამდენიმე ანთროპონიმფუძიანი ტოპონიმები, რომლებიც აღნიშნავენ არა დასახლებულ პუნქტს, არამედ მიწის მფლობელს. მაგ.: სოფელ ქვემო ერკეთში ბერიძის კუთვნილ ტყეს ეწოდება საბერიძეო, კობერიძის კუთვნილ ტყეს საკობერიძეო... (ძნელაძე 2005: 131). აღნიშნულ ტოპონიმებში მოკვეცილი ჩანს საზღვრული (ბერიძის ტყე, კობერიძის ტყე...).

ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელთაგან წარმოქმნილა გვარი (ჭუმბურიძე 1987: 319).

ვახუშტი ბატონიშვილი გურიის თავადებთა შორის ასახელებს ბერიძეს. „ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თვით ჰფლობს და იტყვის ვარდანის ძეობასა, და სხუანი მის ქუეშენი არიან: თავდგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდან, შარვაშისძე მოვიდა აფხაზეთიდან, ბერიძე, კვერდელიძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხუანი, ეგრეთვე აზნაურნიცა“. ვახუშტი ამავე დროს იხსენებს ბერიძის ციხესაც: „ბახვის წყლის შესართავს ზევით არს ციხე ბერიძისა, სამხრითკენ მას ზევით ხეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი“ (ბაგრატიონი 1973: 790, 838).

დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, გურიის ერისთავ-შარვაშიძეთა აზნაურებს - ბერიძეებს გააჩნდათ ერკეთის მოურავების სახელო. აცანის მონასტრის ტაძრის წარწერებში დასტურდება გურიის სამთავროს მესტუმრეთ-უზუცესი გიორგი ბერიძე (ბაქრაძე 1987: 99).

დიმიტრი ბაქრაძე, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებზე დაყრდნობით, ახსენებს კახაბერ გურიელს, რომელიც 1483 წელს გარდაცვლილა. მის მიერ აღმოჩენილ ლიხაურის ღვთისმშობლის ხატის ზურგზე არსებულ წარწერაზე სხვა გვარებთან ერთად ფიქსირდება ქაქუთსა და გურიანთაში მცხოვრები ბერიძეები (ბაქრაძე 1987: 101).

XVII საუკუნის ცნობილ იტალიელ მისიონერს დონ კრისტოფორო დე კასტელს, რომელიც საქართველოში მოღვაწეობდა, მოხსენიებული ჰყავს გურიაში მცხოვრები ქალები - ელუკა ბერია და ვომინისა / ვომინიჯა² ბერიძე (კასტელი 1976: 23, 116, 117).

პირთა ანოტირებულ ლექსიკონში დასტურდება 26 ბერიძე და 2 ბერისძე. ბერიძეების ნაწილი ყმებად არიან დასახლებული (კლდიაშვილი... 1991: 524, 525).

ქართლში მცხოვრები ბერიძეები ირიცხებოდნენ ციციშვილებისა და საამილახვროს აზნაურებში (ახუაშვილი 1997: 48).

ბერიძეთა გვარი იხსენიება 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“ (თაყაიშვილი 1907: 127-207).

ბერიძეები ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარია საქართველოში. აჭარაში ბერიძეები ცხოვრობენ ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში.

ა. სილაგაძისა და ა. თოთაძის მონოგრაფიაში „ქართული გვარსახელები“ რეგიონების მიხედვით ყველაზე მრავალრიცხოვან გვართა შორის დასახლებულია გვარსახელი ბერიძე: ბერიძე - 14192; გურია - 1682; თბილისი - 2593; სამცხე-ჯავახეთი - 2838 (სილაგაძე... 1996: 251, 268). ბერიძეები ამჟამად ცხოვრობენ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში.

² ვომინიჯა დე კასტელის განმარტებით ნიშნავს „სადამოს დაბადებულს“.

გურიაში მოსახლე ბერ- ძირიანი გვარებია:

ბერიშვილი - აკეთი, ბაღდათი, ბოხვაური, ბუკისციხე, დაბალციხე, ერკეთი, მელექედური, ოზურგეთი, საჭამიასერი, სურები, ფარცხმა, შუასერები, შუა ფარცხმა, ჩაისუბანი, ჩოხატაური, ჭანიეთი, ჯურუყვეთი.

ბერსელაძე – ბასილეთი, ზოტი, ქვენობანი, ჩოხატაური.

ბერსენაძე – ვაკიჯვარი, ზოტი, ლიხაური, მაკვანეთი, ოზურგეთი, საჭამიასერი, ფარცხმა, ჭანიეთი, ხიდისთავი.

გვიბირაძე – აცანა, ლანჩხუთი, ოზურგეთი.

გიგბერიძე – ოზურგეთი, შემოქმედი. 1616-1621 წლებში შედგენილ „საცაიშლოგამოსავლისდავთარში“ დასახელებულია ოცზე მეტი საეკლესიო გლეხი, გვარად გეგბერია, ისინი მოსახლეობენ ცაიშსა და მის ახლომახლო სოფლებში (ძეგლები 1994: 439-440). ამავე საბუთში დამოწმებული გვარი ქუდუბერია (იქვე: 448).

გოგაბერაშვილი – ცხემლისხიდი.

გუბელიძე – ბახვი, გუთური, ოზურგეთი, სუფსა, საჭამიასერი, ჩოხატაური.

გუმბარიძე – ბაღდათი, გურიანთა, ნატანები, სუფსა, შრომა, ჩოჩხათი, ჯუმათი.

თავბერიძე – თავბერიძე, გორაბერეჟო, გუთური, გურიანთა, დვაბზუ, ერკეთი, ვაკიჯვარი, ლაითური, ლანჩხუთი, მაკვანეთი, მელექედური, მერია, მთისპირი, ნაბედლაღი, ნარუჯა, ნატანები, ოზურგეთი, სუფსა, ურეკი, ფარცხმა, ქვენობანი, ღრმაღელე, ჩაისუბანი, ჩოხატაური, ძიმითი, ხვარბეთი, ხიდისთავი, ჯურუყვეთი.

კობიძე – ბოხვაური, განახლება, გოგოლესუბანი, გორაბერეჟო, გუთური, დაბლაღიხე, ერკეთი, ზომღეთი, ოზურგეთი, ქვენობანი.

კობიძე – კონჭკათი, ლიხაური, ოზურგეთი, სუფსა, ჭანიეთი, ჭყონაგორი.

მაჩაბერიძე – ოზურგეთი.

სულაბერიძე – ლანჩხუთი, ლესა, ნატანები, ოზურგეთი, სუფსა, ჩიბათი, ჩოჩხათი, ძიმითი.

ჯამბერიძე – გორაბერეჟო, დაბლაღიხე, დვაბზუ, ლიხაური, ღრმაღელე, ჩაისუბანი, ხიდისთავი.

გურულში ბერ- კომპონენტიანი გვარების რამდენიმე მოდელი გამოვლინდა:

1. მარტივფუძიანი (ბერ+ძე) გვარები: ბერიძე, ბერიშვილი. გვარები გვავარაუდებინებს პირსახელს: ბერი.

2. მარტივფუძიანი, -ელ კნინობითის მაწარმოებელი აფიქსით სახელებისაგან წარმოქმნილი გვარები: ბერსელაძე, ბერსენაძე. გვარები გვავარაუდებინებს პირსახელს ბერ-ს-ელ-ა → ბერ-ს-ენ-ა. ელ → ენ მონაცვლეობა. -ს მიცემითი ბრუნვის ნიშანი.

3. რთულფუძიან გვარები. ბერ- კომპონენტი მეორე ადგილზეა: გიგბერიძე (← გოგი+ბერი+ ძე), გოგაბერაშვილი (← გოგა+ბერა+შვილი),

თავბერიძე (← თავ+ბერი+ძე), სულაბერიძე (სულა+ბერი+ძე), ჯამბერიძე (← ჯან+ბერი+ძე), მაჩაბერიძე (მაჩა+ბერი+ძე)...

გვარები გვავარაუდებინებს პირსახელებს: გიგი (გაგიშვილი, გიგაშვილი), გოგა (გოგაშვილი, გოგიაშვილი), სულა (სულაშვილი), თავი (თავაძე), ჯანო (ჯანიაშვილი), მაჩა (მაჩაძე) ან მაგა (მაცაბერიძე)....

ი. მაისურაძის მოსაზრებით, რთულფუძიან გვარებში ბერ- ძირის გამოყენება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ის საკუთარ სახელად გადაიქცეოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ გოგიბერი, კახაბერი და მისთ. საკუთარ სახელთა წყვილულებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ (გოგი და ბერი, მიქა და ბერი), არამედ აქ მხოლოდ პირველი ნაწილი უნდა ყოფილიყო მამაკაცის სახელი (მიქა, გოგი), ხოლო ბერ-ი ზოგადი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა (ვაჟი, ბიჭი, ყრმა) (მაისურაძე 1965: 237, 241)

4. კომპოზიტურ გვარსახელში ბერ-ი წარმოდგენილია გარკვეული ფონეტიკური ცვლილებით:

ა) ი←ე მონაცვლეობა: გვიბირიძე (←გვიბერიძე)... ი←ე მონაცვლეობა შეიძლება გვექნოდეს გვარებში: კობირიძე (←კო+ბერიძე). მსგავსი წარმოების გვარია კობერიძე. შესაძლებელია, ანალოგიური წარმოშობის გვარია კოიძე.

კობერიძე გვარის მაწარმოებლად ზ. ჭუმბურიძეს სიტყვა ბერი მიაჩნია, ისევე როგორც ძე და შვილი (ბერე ჭანურად „შვილს“, „ვაჟს“ ნიშნავს) (ჭუმბურიძე 1987: 345). კობერი როგორც ტაძარი, მოიხსენიება 1292 წელს, რომელიც შეუკეთებია გიორგი ბერს. „კობერი და ამაჟჭი მაშინ ქართველთ სოფელი იყო, აწ გასომხებულნი“ (ჟორდანიას 1897: 168). „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ სოფელ ზემო მარელის (უდე) გადასახადის გადამხდელ კომლთა ჩამონათვალში დასტურდება კომლები: აბრამ კობერისძე, როსტევან კობერისძე (ჯიქია 1941: 62). გვარსახელი გამოვლენილია 1715 წლის „რუისის სამწყსოს დავთარში“ (ფრონის ხეობა): კობერიძე მამუკა (წორბისი), კობერიძე პაატა (ხრტანა) (თაყაიშვილი 1907, 146). ი. ახუაშვილის მოსაზრებით, გვარი იქნებოდა კობირეკოიძე, ისევე როგორც გიორგბერე (გიორგიშვილი ბერე - „გიორგის ძე“, შდრ. გიორგაძე, გიორგისძე); ასევე გოგიბერე (გოგიძე, გოგიშვილი)... (ახუაშვილი 2005: 466).

გასათვალისწინებელია მეცნიერთა მოსაზრებები კობერიძე გვარის მაწარმოებლად ბერი კომპონენტის გამოყოფის შესახებ. ვფიქრობთ, კო პირსახელზე უნდა მიგვანიშნებდეს (შესაძლებელია ჩაგდებული იყოს ფონეტიკური პროცესის შედეგად რომელიმე ბგერა), ხოლო ბერი ძეს, გვარიშვილობას აღნიშნავდეს (კობერიძე 2024ბ: 70). საგულისმოა მოსაზრებაც, კობერიძეების სოფელ კობერადან (სამხრეთ საქართველო) წარმოშობის შესახებ. თუმცა საინტერესოა ზემო აჭარაში დადასტურებული ლექსიკური ერთეულიც კობერა (ნაქუჩი). აქაც ბერა სიმინდის ტაროს ნაწილს გამოხატავს (კობერიძე 2011: 85).

ბ) ა←ე მონაცვლეობით: გუმზარიძე (←გუმბერიძე)...

გურიაში მოსახლე გვარსახელებს გვავარაუდებინებს ზემოთ განხილული ადგილის სახელწოდებები: საბერძნო (←სა-ბერიძე-ო. სათესი); ბერიძისოული (←ბერიძის-ეულ-ი. ნამოსახლარი) საბერიძნო (←სა-ბერიძე-ო. სათესი ადგილი); ბერულავა (ღელე); გოგიბერისკარი (გორა); საკობერიძეო (ტყე)....

დასკვნა

საანალიზო მასალებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გურულში დადასტურებული ბერ- ძირიანი გვარსახელები ფუნქციური და სტრუქტურული თვალსაზრისით საერთო ქართველური მოვლენაა. საყურადღებოა გვარსახელთა საერთო ანთროპონიმურ ფუძეებზე დაყრდნობილი გვარების ვარიანტები: გიგიბერიძე – გიგაშვილი, გაგაშვილი; გოგაბერაშვილი – გოგაშვილი, გოგიაშვილი; სულაბერიძე – სულაშვილი, ჯამბერიძე – ჯანიაშვილი; თავბერიძე – თავაძე, მაჩაბერიძე – მაჩაძე, კობიძე – კოიძე..

გურულში გვარებს გარკვეული ფონეტიკური ცვლილება განუცდიათ: ბერსელაძე – ბერსენაძე, გვიბერიძე – გვიბირიძე, კობერიძე – კობირიძე, გუმბერიძე – გუმბერიძე....

გურიაში ფიქსირებულია რამდენიმე ანთროპონიმული სა-პრეფიქსიანი ტოპონიმი, რომელიც აღნიშნავს არა დასახლებულ პუნქტს, არამედ მიწის მფლობელს: საბერიძეო (ტყე), საკობერიძეო (ტყე)... აღნიშნულ ადგილის სახელწოდებებში მოკვეცილი ჩანს საზღვრული (ბერიძის ტყე, კობერიძის ტყე...). ამგვარი ტენდენცია ქართული ენის დიალექტებისათვის დამახასიათებელი საერთო მოვლენაა.

დასახლებულ გვარსახელებში ბერ- ძირის სემანტიკა საკუთარი სახელის მამრობით სქესს, ძეს, შვილს გვიჩვენებს.

საქართველოს კუთხეების მიხედვით ბერ- ძირიანი გვარსახელების ლოკალიზაციის დაზუსტება ურთულესი პროცესია და ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ენათმეცნიერული მონაცემების ღრმად შესწავლასა და თანამედროვეობასთან მიმართებით ახლებურად გააზრებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1973.

ახუაშვილი 2005 – ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის. II, თბილისი, 2005.

ბაგრატიონი 1973 – ვ.ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ. IV. თბილისი, 1973.

ბაქრაძე 1987 – დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.

- ერიაშვილი 1987 – ჯ. ერიაშვილი, ბერის ინსტიტუტის საკითხისათვის საქართველოში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. თბილისი, 1987.
- თაყაიშვილი 1907 – ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. წიგნი პირველი, ტფილისი, 1907.
- კასტელი 1976 – კ. კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. თბილისი, 1976.
- კლდიაშვილი... 1991 – პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბილისი, 1991.
- კობერიძე 2011 – მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა. თბილისი, 2011.
- კობერიძე 2023 – მ. კობერიძე, „ბერად დაყენების“ რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოში: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია, X. გორი, 2023.
- კობერიძე 2024 ა – მ. კობერიძე, ბერ- ძირიანი გვარები აჭარაში: აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე, ტ. 7, №II. ბათუმი, 2024.
- კობერიძე 2024ბ – მ. კობერიძე, ბერ- ძირიანი ლექსიკის მოდელი ქართულში: Scientia, №5. თბილისი, 2024.
- მაისურაძე 1965 – ი. მაისურაძე, ბერ- ძირი ქართულ სახელ-გვარებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. 1.22.1965.
- მესხიშვილი 2006 – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 2006.
- ორბელიანი 1991 – ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I. თბილისი, 1991.
- ჟორდანია 1897 – თ. ჟორდანია, ქრონიკები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. II. ტფილისი, 1897.
- სილაგაძე... 1996 – ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები. თბილისი, 1996.
- სიხარულიძე 1971 – ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის: გეოგრაფიული კრებული, VI. თბილისი, 1971.
- სურგულაძე 1989 – ი. სურგულაძე, ერთი საქორწილო წესისის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. თბილისი, 1989.
- ძეგლები 1994 – ქართული სამართლის ძეგლები. საეკლესიო საკანონ-მდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო პროფ. ი. დონდუამ. თბილისი, 1994.
- ქეგლ 2008 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I. რედაქტორი პროფ. ა. არაბული. თბილისი, 2008.
- ღუდუშაური 2011 – ი. ღუდუშაური, მოხეურ სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი, 2011.

ყიფშიძე 1994 – ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი. თბილისი 1994.

ცხადაია 2000 – პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.

ძნელაძე 2005 – რ. ძნელაძე, გურული დიალექტის ტოპონიმიკური ლექსიკა. თბილისი, 2005.

ჭუმბურიძე 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული. თბილისი, 1987.

ხახანაშვილი 1888 – ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიურიდან: გაზეთი „ივერია“, №181, 18 აგვისტო, ტფილისი, 1888.

ჯავახიშვილი 1937 – ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა: ქართველი ერის ისტორია. თბილისი, 1937.

ჯიქია 1941 – გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო სერგი ჯიქიამ. თბილისი, 1941.

Март 1935 – Н. Март, Избранные работы, I. Ленинград, 1935.

ელექტრონული რესურსები:

გვარები გურიაში: http://www.geogen.ge/ge/surnames_families/surnames_guria/ (დამოწმება: 06.02.2025).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9391>

**1924 წლის აგვისტოს აჯანყების რეფლექსია
ემიგრანტულ გამოცემაში
„მამული“ – „La Patria“**

**Reflection on the August 1924 Uprising
in the Emigrant Publication „Mamuli“ – „La Patria“**

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Nestan Kutivadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

XX საუკუნის ქართული ემიგრაციის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია პერიოდიკა, რომელიც საქართველოდან შორს გამოიცემოდა სხვადასხვა წლებში განსხვავებული ინტენსივობით, მაგრამ ყოველთვის აირეკლავდა საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ვითარებას, შორეული თუ უახლესი ისტორიის ასპექტებს. უცხოეთში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები ინახავს ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ემიგრანტ ავტორთა რეფლექსიას სამშობლოს ისტორიის, მათი დროის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული წარსულის კვლევის თვალსაზრისით, უცხოეთში მცხოვრებ და მოღვაწე თანამემამულეთა ღვაწლის გასაცნობად და წარმოსაჩენად, ისე თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარი უმწვავესი ამოცანების მიმართ უტყუარი საპუბლების საპოვნელად.

ქართველ ემიგრანტთა არქივების შესწავლა XX საუკუნის დასასრულიდან განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს. ამ მიმართულებით საკმაოდ მოცულობითი კვლევა ჩატარებული და მრავალი საყურადღებო მონოგრაფიაა დასტამბული. ამის მიუხედავად, საგანგებო შესწავლას საჭიროებს არაერთი გამოცემა, კონკრეტული ნაშრომი თუ ავტორი. მათ შორისაა „მამული“ / „La Patria“, რომელიც ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით იბეჭდებოდა არგენტინაში, ბუენოს-აირესში, 1951-1953

წლებში. „მამული“, მისი გამომცემლებისვე განმარტებით, არის „კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა“.

საქართველოს დაუსრულებელ ბრძოლას რუსეთის როგორც ძველი, ისე მოდერნიზებული იმპერიის წინააღმდეგ ეხება კრებულში დაბეჭდილი თითქმის ყველა სტატია. რამდენიმე ოპუსში რეფლექსირებულია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლიანი პერიპეტიები. საგანგებოდ ამ აჯანყებას ეძღვნება აკაკი პაპავას წერილი „ფიქრები აგვისტოს დღეებზე“ (მამული, №3, 1952).

ზოგადად, ამ ჟურნალისათვის მნიშვნელოვანია აჩვენოს, რომ ქართველმა ერმა თავისი ნაციონალური, პოლიტიკური ცხოვრება დაიწყო 2000 წელზე მეტი ხნის წინ და ის შეწყდა მე-19 საუკუნის დასაწყისში, რომ სწორედ ეს დაკარგული დამოუკიდებლობა დაიბრუნა 1918 წელს, რომელიც 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმაც აღიარა პოლონეთის, ფინეთისა და ბალტიის რესპუბლიკების მსგავსად. ასევე, მუდმივად ესმება ხაზი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო ინგლისმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, არგენტინამ და სხვა სახელმწიფოებმა; რომ საქართველოს ჰქონდა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული კონსტიტუცია, ამ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სრული პოლიტიკური თავისუფლება, ადამიანის უფლებები და, რომ სწორედ ასეთი სუვერენული ქვეყანა 1921 წელს დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ამ ჭრილში რეფლექსირდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც და ფასდება, როგორც აჯანყებათა ეტაპის დასასრული, შემდგომი ბრძოლისთვის კი წინააღმდეგობის თვისებრივად ახალი მოდელი უნდა შეიქმნას, რომ ერი ხელსაყრელი მომენტის დადგომისას თავისუფლების მოპოვებისთვის იყოს მზად.

საკვანძო სიტყვები: ქართული ემიგრანტული პერიოდიკა, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, თავისუფლებისათვის ბრძოლა, საბჭოთა რეპრესიები.

ABSTRACT

Periodicals published by the Georgian diaspora in the 20th century constitute an integral part of the cultural heritage of émigré communities. These publications, issued abroad over different years and with varying frequency, consistently reflected the cultural and social conditions of Georgia, as well as aspects of both its distant and recent history. Georgian-language journals and newspapers produced outside the country preserve the reflections of both prominent and lesser-known émigré authors on the history of their homeland and on the tragic events of their time. Studying this heritage is significant not only for investigating the national past and recognizing the contributions of compatriots living and working abroad but also for drawing insights relevant to contemporary challenges facing Georgia.

Research on the archives of Georgian émigrés has intensified since the late 20th century. Considerable studies and numerous noteworthy monographs have been published; however, many individual publications and authors still require detailed examination. Among these is Mamuli / La Patria, published under the editorship of Viktor Nozadze in Buenos Aires, Argentina, between 1951 and 1953. According to its publishers, Mamuli is „a collection of native history, literature, and culture“.

Almost all articles in the collection address Georgia's ongoing struggle against both the old and modernized Russian Empire. Several works reflect on the bloody events of the August 1924 Uprising. In particular, Akaki Papava's article Thoughts on the Days of August (Mamuli, No. 3, 1952) is dedicated to this uprising.

The publication broadly emphasizes the continuity of the Georgian nation's national and political life, tracing its origins over 2,000 years and noting its disruption in the early 19th century. It highlights the restoration of Georgian independence in 1918, which was recognized by Soviet Russia on May 7, 1920, along with Poland, Finland, and the Baltic republics. It also underscores international recognition of Georgian sovereignty by countries including the United Kingdom, Belgium, France, Italy, Germany, Argentina, and others. Mamuli stresses that Georgia had a constitution adopted by its Constituent Assembly, guaranteeing full political freedom and human rights—a sovereign state that was subsequently invaded by Soviet Russia in 1921. In this context, reflections on the August 1924 Uprising interpret it as the final stage of these earlier rebellions while suggesting that future resistance would require a qualitatively new model of struggle, preparing the nation to reclaim freedom when favorable circumstances arise.

Keywords: Georgian émigré periodicals, the August Uprising of 1924, the struggle for freedom, Soviet repressions.

შესავალი

XX საუკუნის ქართული ემიგრაციის კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია პერიოდიკა, რომელიც საქართველოდან შორს გამოიცემოდა სხვადასხვა წლებში განსხვავებული ინტენსივობით, მაგრამ ყოველთვის აირეკლავდა საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივ ვითარებას, შორეული თუ უახლესი ისტორიის ასპექტებს. უცხოეთში გამომავალი ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები ინახავს ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ემიგრანტ ავტორთა რეფლექსიას სამშობლოს ისტორიის, მათი დროის ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ მემკვიდრეობის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ეროვნული წარსულის კვლევის თვალსაზრისით, უცხოეთში მცხოვრებ და მოღვაწე თანამემამულეთა ღვაწლის გასაცნობად და წარმოსაჩენად, ისე თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარი უმწვავესი ამოცანების მიმართ უტყუარი პასუხების საპოვნელად.

ქართველ ემიგრანტთა არქივების შესწავლა XX საუკუნის დასასრულიდან განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს. ამ მიმართულებით საკმაოდ მოცულობითი კვლევაა ჩატარებული და მრავალი საყურადღებო მონოგრაფიაა დასტამბული (გ. შარაძე, ა. ნიკოლეიშვილი, რ. დაუშვილი, პ. ნაცვლიშვილი, რ. ნიშნიანიძე და სხვ.). ამის მიუხედავად, საგანგებო შესწავლას საჭიროებს არაერთი გამოცემა, კონკრეტული ნაშრომი თუ ავტორი. მათ შორისაა „მამული“ („La Patria“), რომელიც ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით იბეჭდებოდა არგენტინაში, ბუენოს-აირესში, 1951-1953 წლებში (უფრო ვრცლად იხ. მარჯანიშვილი 2014: 26–56). „მამული“, მისი გამომცემლებისვე განმარტებით, არის „კრებული მშობლიური ისტორიისა, მწერლობისა და კულტურისა“. ეს ჩანაწერი მკაფიოდ აჩვენებს აღნიშნული პერიოდიკის ხასიათს, რომელსაც ხაზს უსვამს ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია თუ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებული საინფორმაციო ხასიათის წერილი.

ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე რუსეთ–საქართველოს დაუსრულებელ ომს ეხება კრებულში დაბეჭდილი თითქმის ყველა სტატია. რამდენიმე ოპუსში რეფლექსირებულია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლიანი პერიპეტეიები. საგანგებოდ ამ აჯანყებას ეძღვნება აკაკი პაპავას წერილი „ფიქრები აგვისტოს დღეებზე“ (მამული 1952, №3).

მეთოდები. ნაშრომში ქართველ ემიგრანტ ავტორთა მიერ გამოქვეყნებული წერილებში გამოთქმული მოსაზრებები გაანალიზებულია დიაქრონიულ ჭრილში, გამოყენებულია აღწერითი და ანალიტიკური მეთოდები.

მსჯელობა. 1951 წლის მარტში გამოსულ მამულის პირველივე „რვეულში“ ნათელი იყო გამოცემის საერთო სულისკვეთება, რომელიც მკაფიოდ ვლინდებოდა მასში დასტამბული წერილებით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია რედაქტორის, ვიქტორ ნოზაძის, წერილი „საქართველო და რუსეთი. 1801-1951“. ეს ისტორიული მიმოხილვა რამდენიმე ნომერში ქვეყნდებოდა. პუბლიკაციაში რუსეთის მიერ საქართველოს შეერთება შეფასებულია როგორც ძალადობა. ამავე ნომერში გამოქვეყნდა აკაკი პაპავას ისტორიული ნარკვევიც „საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება 1783წ“. ა. პაპავას თქმით, საქართველოს დიპლომატიური გამარჯვებაა ის ფაქტი, რომ, 1783 წელს დადებული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მეფე მიჩნეულ იქნა რუსეთის მოკავშირედ და არა ქვეშევრდომად, ხოლო „საქართველო აღიარებულ იქმნა სრულ–უფლებიან სუვერენულ მოპირდაპირედ და ამ საფუძველზე დაიდო 1783 წ. ხელშეკრულება ქალაქ გორგიევსკში“ (პაპავა 1951: 13). წერილის უმთავრესი სათქმელი სწორედ ისაა, რომ რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო ყველა ნორმა და ძალის გამოყენებით დაიპყრო დამოუკიდებელი სამეფო. ამავე ნომერში, ასევე, დასტამბულია აკაკი პაპავას მეორე წერილი „საქართველო–რუსეთის იურიდიული ურთიერთობა“. ამ უკანასკნელში ა. პაპავა საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ძალის მქონე ორ ხელშეკრულებას გამოყოფს. პირველი ესაა 1873 წელს „ძველი რუსეთის“, ხოლო მეორე – 1920 წლის 7

მაისს „სოვეტების რუსეთის“ მიერ დადებული და ხაზს უსვამს, რომ ორივე ხელშეკრულება მრავალჯერ და განუწყვეტლივაა დარღვეული. ავტორი დოკუმენტებით ასაბუთებს, რომ საქართველო იყო არა რუსეთის დაშლის შემდეგ აღმოცენებული, არამედ საუკუნეების განმავლობაში „თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო“ (პაპავა 1951ა: 20), რომ 1918 წლის 26 მაისს დაბრუნებული სახელმწიფოებრივი უფლებები 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით რუსეთსაც ჰქონდა აღიარებული (პაპავა 1951ა: 20). წერილებში გამოკვეთილი ამ აქცენტებით, ფაქტობრივად, ნათელია გამომცემელთა მიზანი და ინტერესი: არ მიიჩქმალოს ისტორიული სიმართლე, ცხადი იყოს სუვერენული ქვეყნის – საქართველოს უწყვეტი და დაუსრულებელი ბრძოლა რუსეთის როგორც ძველი, ისე მოდერნიზებული იმპერიის წინააღმდეგ, ამასთან, შეინახოს დამოუკიდებელი საქართველოს იდეა იმ ხელსაყრელ მომენტამდე, როდესაც კვლავ შესაძლებელი იქნებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

1951 წლის აგვისტოში გამოიცა „მამულის“ მესამე ნომერი, რომელშიც დასრულდა ვიქტორ ნოზაძის ვრცელი ისტორიული ნარკვევი „საქართველო და რუსეთი“. ნარკვევში გაანალიზებულია რუსეთთან საქართველოს ურთიერთობისა და ბრძოლის ბოლო ასწლეული. ამ ნაწილში, რა თქმა უნდა, უკვე დეტალურადაა გაანალიზებული ბოლშევიკური რუსეთის მიერ განხორციელებული ანექსიის ეტაპები 1920–1921 წლებში. ვ. ნოზაძე ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ სიცრუე იყო საბჭოთა რუსეთის ოფიციალური განცხადება საქართველოს გლეხებისა და მუშების ბურჟუაზიული მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ. „არც ქართველი მუშები და არც ქართველი გლეხები საქართველოს წინააღმდეგ არ აჯანყებულან; საქართველოს ოკუპაცია მოუხდინა რუსულმა წითელმა ჯარმა. მაგრამ ამ სიცრუვით მოსკოვს სურდა ეეროპა შეცდომაში შეეყვანა და თავისი იმპერიალისტური ძალადობა დაემალა“ (ნოზაძე 1951: 68), – წერს ვ. ნოზაძე, რომელიც ქართველ ხალხზე რუსეთის ძალადობის წარმოსაჩენად წერილის ბოლო ნაწილს საგანგებოდ უძღვნის საქართველოში მომხდარ აჯანყებებს.

ვიქტორ ნოზაძე, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს აჯანყების, როგორც მოვლენის, ფენომენზე. ეს „მახვილი და სახიფათო იარაღი“, მეცნიერის აზრით, აჯანყებულთა თავგანწირულ, სამკვდრო-სასიცოცხლო თავდადებას, გმირულ პათოსსა და ქმედებას მოითხოვს და გულისხმობს, რომ ადამიანები შინაგანად, მარცხის შემთხვევაში, გარდაუვალი სიკვდილისთვის არიან მზად იმდენად მიუღებელია მათთვის აწმყო (ნოზაძე 1951: 69).

ვიქტორ ნოზაძე თვლის, რომ საქართველოს ისტორიაში მომხდარი ყველა აჯანყება დამპყრობელთა წინააღმდეგ მიმართული ეროვნული შინაარსის მქონე ბრძოლა იყო მაშინაც კი, როდესაც მას სოციალური უკმაყოფილება ედო სარჩულად. ამ მოსაზრებით, ვ. ნოზაძე უცხოს მიერ დამყარებული წესრიგის წინააღმდეგ გალაშქრებას ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლასთან აკავშირებს უპირობოდ. 1801 წლიდან 1905 წლამდე მომხდარ ყველა ამბოხს, იქნება ეს თბილისში გადასახადების მომატებით (1865), აფხაზეთში ავტონომიის მოსპობით (1866) თუ გურიასა

და აჭარაში მაჰმადიანობის დევნის (1882) გამო გამოწვეული გამოსვლები, ვიქტორ ნოზაძე სავსებით სამართლიანად „არსებითად მაინც რუსული წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებად“ მიიჩნევს, რომლებშიც „ქართველი ხალხი თავის უკმაყოფილებას ხმამაღლა და თოფის სროლით გამოხატავდა“ (ნოზაძე 1951: 69–70).

პუბლიკაციაში ავტორი საგანგებოდ გამოყოფს ყველა წინააღმდეგობას, რომელსაც ადგილი ჰქონია 1921 წლის შემდეგ. ამ მიზნით ვ. ნოზაძე მოკლედ ახასიათებს 1921 წლის სვანეთში მომხდარ აჯანყებას, 1922 წლის ხევსურეთის აჯანყებას, „დამოუკიდებლობის სამხედრო ცენტრის“ მიერ 1923 წლის შეთქმულების მზადებას. მეცნიერი უსასტიკესი ფორმით აღკვეთილ ამ წინააღმდეგობას თავგანწირული ბრძოლის სამაგალითო გამოხატულებად მიიჩნევს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა პარტიზანული ბრძოლებისათვის საქართველოს ხელსაყრელი ლანდშაფტის გამოიყენებინა, პარტიზანული რაზმების შექმნით ქართლში, კახეთში, ჯავახეთსა და გურიაში თავდადების გმირული მაგალითი აჩვენა, გვარებით მოიხსენიებს ამ რაზმების მეთაურებს და გამოყოფს ქაქუცა ჩოლოყაშვილს (ნოზაძე 1951: 71).

მრავლისმთქმელია, რომ მამულის მე-5 ნომერში (1952) დამატების სახით გამოქვეყნებულ მცირე ქრონიკაში ვიქტორ ნოზაძემ, ვალიკო ჩუბინიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, 1921–1924 წლებში არსებულ პარტიზანულ რაზმთა ხელმძღვანელების ჩამონათვალი შეავსო ზემო იმერეთის სამხედრო ორგანიზაციისა და რაზმთა უფროსების, შორაპნის სამხედრო კომიტეტის, სამხედრო კომისიის, ასევე, აღმასრულებელ კომიტეტის წევრების გვარებით (ნოზაძე 1952: 156), რასაც გამოიზიდავს მიმართავს, რომ ისტორიას შემოუნახოს სამშობლოსთვის თავგანწირულთა სახელები.

„საქართველოს დიდი აჯანყება 1924 წელს“, – ასე უწოდებს ვ. ნოზაძე აგვისტოს აჯანყებას. ისტორიკოსი გამოკვეთს ამ ბრძოლის უთანასწორო ხასიათს, იმ სისასტიკეს, რომლითაც ის ჩაახშეს. ნიშანდობლივია ასეთი პასაჟი: „დიდი და სასტიკი იყო ბოლშევიკური მთავრობის შურისძიება, გამარჯვებული ჩეკა აჯანყებულთ და არა-აჯანყებულთ განუკითხავად, განუსამართლებლად ხვრეტდა. სისხლის ტბები დადგა საქართველოში (ნოზაძე 1951: 71), – აღნიშნულია პუბლიკაციაში. უსამართლობასა და არააჯანყებულთა ხოცვაზე ამ აქცენტით კარგად ვლინდება საბჭოთა რეპრესიების მთელი მექანიზმი, ბოლშევიკების ქცევის წესი, შემდგომ განვითარებული მოვლენების არსი.

აჯანყების ჩახშობისას გამოჩენილი სისასტიკის აღწერისას ვ. ნოზაძე მაშინ ხალხში გავრცელებულ ასეთ ამბავს იხსენებს: „აჯანყების სისხლში ჩახრჩობის დღეებში ერთმა მოხუცმა ქალმა თბილისელ ყასაბს შესჩივლა – ხორცი ძვირიაო! ყასაბმა, რომელიც ქართველი არ იყო, მას უპასუხა – დედი-ჯან! იაფი ხორცი თუ გინდა, წადი საბურთალოზე, იქ ბევრი ხორცი არის, ქართველებს ჰკლავენ–ო...!“ (ნოზაძე 1951: 71). შეიძლება ითქვას, რომ ამ სარკასტულმა დიალოგმა ულმობლად და გაშიშვლებულად გადმოსცა 1924 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მეზრძოლთა ბედი, ქვეყანაში დატრიალებული სისხლიანი ანგარიშსწორება.

ვ. ნოზაძე აქ არ ასრულებს რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ამბოხის შესახებ თხრობას. ის შემდგომი პერიოდის ყველა წინააღმდეგობას, რეპრესიებით სავსე წლებს რამდენიმე წინადადებით გამოყოფს, იქნება ეს შედარებით ნაკლები მასშტაბისა და გამოძახილის მქონე 1927 წლის სვანეთისა და ლეჩხუმის აჯანყებები, 1928–1932 წლების წინააღმდეგობანი კოლექტივიზაციის შემოღების გამო თუ 1933–1936 წლების უკლონისტური მოძრაობა, რომელიც ვ. ნოზაძის მიერ შეფასებულია, როგორც ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის ქართველ ბოლშევიკებზე მოხდენილი გავლენის გამოაშკარავება და ეროვნული მოძრაობა მოსკოვის წინააღმდეგ (ასევე აფასებს ამ მოძრაობას ემიგრანტი სოლომონ ზალდასტანიშვილი. იხ. ზალდასტანიშვილი 1956: 16–17). რა თქმა უნდა, ვ. ნოზაძეს თვალსაწიერიდან არც 1936, 1937, 1938, წლების სისხლიანი რეპრესიები რჩება. რაც შეეხება 1941–1945 წლებს, ის ყურადღებას ამახვილებს გერმანელების მიერ ტყვედ აყვანილი საბჭოთა ჯარისკაცებისაგან ნაციონალური ჯარების ჩამოყალიბებასა და რუსეთის წინააღმდეგ მათ ბრძოლაზე, რასაც, ასევე, საბჭოთა ხალხების უმაგალითო აჯანყებად მიიჩნევს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საგულისხმოა, რომ ვ. ნოზაძე წერილის ბოლოს მეორე მსოფლიო ომის შემდგომდროინდელ ორ ბანაკზე ამახვილებს ყურადღებას და თვლის, რომ ამ დაპირისპირებაში საქართველომ „სიდიინჯე, მოთმინება და გამძლეობა“ უნდა გამოიჩინოს, არ აჰყვეს ამ მხრივ ცდუნებას, „მის ჩაურევლად გადაწყდება ვეებერთელა, მომავალი ცეცხლიანი საერთაშორისო დაჯახება“ (ნოზაძე 1951: 72), თუმცა ეს არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც ბედთან შერიგება. ამ შემთხვევაში, მოთმინებაზე აქცენტი სწორედ შესაფერისი მომენტის დადგომისთვის მზადებას გულისხმობს.

„მამულის“ მე-3 ნომერში (1951) კახაბერის ფსევდონიმით გამოქვეყნებულია აკაკი პაპავას წერილი „ფიქრები აგვისტოს დღეებზე“. პუბლიკაციაში ავტორი კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის მითს ალუზირებს, აქცენტს აკეთებს საქართველოზე, როგორც ძველ კულტურულ ერზე.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ „მამულის“ პუბლიკაციებში, ქართველების საუკუნოვანი თავგანწირული ბრძოლის აღწერასა და ანალიზთან ერთად, შესამჩნევია მოთმინების, მცირე ძალების დაზოგვის, ხელსაყრელი მომენტისათვის თავის შენახვის თემა, რაც სავსებით ლოგიკურად გამოიყურება მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს კონტექსტის გათვალისწინებით. ეს პათოსი იგრძნობა ამ წერილშიც. ა. პაპავა იხსენებს, რომ ქართველ მეფეებს უბედობდათ მტრისთვის თავგანისცემა, „დამამცირებელი ტკივილების ატანა“, რაც „ცოცხალ ძალთა შენახვის“, „ქართული კერის შენარჩუნების“ მიზნით ხდებოდა (კახაბერი 1951: 72). ა. პაპავას თქმით, ქართველი მოთმინებას მხოლოდ იმ დრომდე იჩენდა, ვიდრე ეს უკანასკნელი მის ეროვნულ იდენტობას არ ემუქრებოდა, ამ საშიშროების წინაშე მდგარი კი ყოველთვის ბრძოლას ამჯობინებდა.

ა. პაპავა დიდ და უტრადიციო ძალას უწოდებს რუსულ იმპერიალიზმს, რომელმაც ქრისტიანული აღქმებით და დაპირებებით დარიალის კარი გაახსნევინა საქართველოს XIX საუკუნის მიჯნაზე, რა დროიდანაც დაიწყო ქართველობის ტრაგედია – დაკარგა „სუვერენობა, მეფობა, ტახტი, რომელიც ათასეულ წელთა მანძილზე სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას მაინც დაეცვა და მოეტანა“ (კახაბერი 1951: 72). სავსებით მართებულად წერს ა. პაპავა, რომ ამასთან შეგუება საქართველოსთვის „ეროვნულ ინდივიდუალად“ ყოფნაზე უარის თქმის ტოლფასი იქნებოდა. მრავლისმთქმელია ისიც, რომ სახელმწიფოებრიობის დასაცავად ქართველთა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ ავტორი უწოდებს ერის ვიტალური ძალების ამოქმედებას ატავისტური ენერგიის ჩასაკლავად.

აკაკი პაპავა, ასევე, მართებულად მიიჩნევს, რომ საქართველომ XIX საუკუნეში ძალიან დიდი სისხლი დაღვარა, რაც ადულაბებდა ერს, აღრმავებდა უფსკრულს, რის გამოც ველარავინ შეძლებდა მის მტერთან, რუსეთთან, შერიგებას. მართალია, იმ აჯანყებების „დროშა დაიკეცა“, მაგრამ კულტურული და ეკონომიკური განვითარება და გაძლიერება, მისი აზრით, მხოლოდ ენერგიის დაგროვება იყო ახალი ბრძოლისათვის, რაც XX საუკუნეში კიდევ ერთხელ დაადასტურა. როგორც ა. პაპავა ამბობს, სტერეოტიპულად განმეორდა ყველაფერი. რუსეთმა საქართველო „სოვეტების იმპერიის წითელ პროვინციად“ აქცია (კახაბერი 1951: 72). სავსებით გასაგებია, რომ ქართველი ხალხის თავგანწირული ბრძოლაც და მარცხიც გაცილებით ძლიერ რუსეთთან პუბლიკაციაში კანონზომიერ მოვლენად არის აღქმული.

აკაკი პაპავა ულმობელი ანგარიშსწორების შეუფერავ სურათებს აღწერს. „შურისძიების წყურვილით მთვრალი რუსეთი პატარა, წაქეჯულ საქართველოს შიგ გულში გაუტარებს ხიშტს... მასიური, წითელი ტერორი მძვინვარებს მთელ ქვეყანაში. „კონტრიბუციის“ სახით უდანაშაულო ხალხი ათასობით იხვრიტება (კახაბერი 1951: 72), – წერს ა. პაპავა, რომელიც, ვ. ნოზაძის მსგავსად, აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ რუსეთს გაწერილი ჰქონდა დასახვრეტა რაოდენობა და სულ ერთი იყო, ეს ხალხი მონაწილეობდა თუ არა, ან ჰქონდა თუ არა რამე კავშირი აჯანყებასთან; მთავარი იყო ისინი საუკეთესოები, თავისი თემების რჩეულები ყოფილიყვნენ, რაც, ამავე დროს, კარგად გათვლილი ნაბიჯიც იყო შემდგომი წინააღმდეგობების თავიდან ასაცილებლად. „აქ რუსეთმა, სხვა დეკორაციებით მოვლენილმა, სავსებით აიხადა ნიღაბი (...) თვისი ველური, მონღოლური ბუნება უზვად გაშალა და საუკეთესო მამულიშვილთ თავები დააყრევინა, შორს გადაჰყარა ისე, რომ მათი საფლავიც არავის უნახავს“ (კახაბერი 1951: 72), – ამ პასაჟებში უზუსტესად ხსნის ემიგრანტი მკვლევარი ტოტალიტარიზმის არსს. ასეთი სასტიკი ანგარიშსწორების შემდეგ, ა. პაპავას აზრით, ერი აფვისტოს წამებულთა წმინდა სისხლითაა განწმენდილი (იქვე). მას ეჭვი არ ეპარება, რომ რუსეთთან უფსკრული სამუდამოდაა გათხრილი და საქართველოს „შერიგება, შეგუება ამ მონღოლურ ველურ ძალებთან ვერას დროს ვერ მოხდება...“ (კახაბერი 1951: 72), – ა. პაპავას ეს შეხედულება მხოლოდ მოსაზრება კი არ არის, არამედ მისი მტკიცე რწმენაა, რაც, ამასთანავე, მისი ოპტიმიზმის საფუძველიცაა.

მნიშვნელოვანია, რომ ეს წერილიც 1951 წელს იწერება, როდესაც საქართველო, თითქოს ბედთან შეგუებული, შედარებით მშვიდად ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, პა. აპავა საკმაოდ შორეული ემიგრაციიდან თავისი სამშობლოს პერსპექტივას იმედიანად ხედავს. სწამს, რომ ასეთ გაუგონარ შურისძიებას უნდა მოჰყვეს აღდგომა, მანამდე კი საქართველო მოთმინებით უნდა დაელოდოს შესაფერის დროს. ის თვლის, რომ „ქვეყანას ახალი, პოლიტიკური აჯანყებები აღარ სჭირდება“ (კახაბერი 1951: 72). მეტიც, მიაჩნია, რომ გონივრულად მოიქცა საქართველო, როდესაც 1930–1937 წლის სისხლიანი რეპრესიები „საერთო, პოლიტიკურ აჯანყებად არ აქცია. რუსის ჯალათებს იმედი არ გაუმართლდა და ერის ფიზიკური არსებობა გადარჩენილ იქნა“ (კახაბერი 1951: 72), – ასეთია აკაკი პაპავას მოსაზრება, თუმცა ძნელი სათქმელია, რომ ეს წინასწარგანზრახული შეიძლება ყოფილიყო ტერორით და მსხვერპლით ისედაც გამორჩეულ ამ ათწლეულში. შემთხვევითი არც მის მიერ გაკეთებული დასკვნა უნდა იყოს, რომ აჯანყებების ეტაპი დასრულებულია და თავისუფლებისათვის ბრძოლის სხვა ფორმებია საძიებელი. „ნაციონალურ, პოლიტიკურ აჯანყების ხანა 1924 წლის აგვისტოში დამთავრდა. აქ გაივლო საზღვარი და ამაშია აგვისტოს დღეების დიდი, ისტორიული მნიშვნელობა“ (კახაბერი 1951: 72), – ამგვარად აფასებს ცნობილი ემიგრანტი მოღვაწე 1924 წლის აჯანყების მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში.

1924 წლის აჯანყება გარდამტეხ ისტორიულ ეტაპად ფასდება წერილში „მემორანდუმი საქართველოს შესახებ“ (1952, №5), რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული არა მხოლოდ ქართველი ერის პროტესტსა და ხანგრძლივ ბრძოლაზე, არამედ იმ დროს მიმდინარე, თვით ცარიზმთან შედარებითაც კი უძლიერეს რუსიფიკაციაზე. ამასთან ერთად, წერილში მოხმობილია მსოფლიო მშვიდობის 31-ე კონგრესის მიმართვა (1936, იენისი, კარდიფი, ინგლისი) სსრ კავშირისადმი საქართველოსთვის დამოუკიდებლობის დაბრუნების შესახებ; სოციალისტური ინტერნაციონალის 1924 წლის მანიფესტი საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მოწოდებით, ერთა ლიგის მესამე (1922) და მეხუთე (1924) საერთო კრებებზე მიღებული იმავე შინაარსის რეზოლუციები. მემორანდუმის ავტორები აღნიშნავენ, რომ ისევ იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდა საქართველო, რომელმაც „ათეულ საუკუნეთა განმავლობაში შეინახა თავისი ცივილიზაცია, თავისი ეროვნული ინდივიდუალობა და დღესაც გააფთრებით იბრძვის იმავე მიზნებისათვის“ (მემორანდუმი... 1952: 160). სავსებით გასაგებია, ასეთ წერილებში განუწყვეტლივ რატომ აპელირებენ ისტორიულ, იურიდიული ძალის გადაწყვეტილებებსა თუ სხვა ქვეყნების აღიარებებზე. ამით ხაზს უსვამენ ისტორიულ უსამართლობას, ერთი სახელმწიფოს აშკარა ძალმომრეობას მეორე სახელმწიფოზე.

1924 წლის აჯანყების გავლენას ქართველ ემიგრანტთა ცნობიერებაზე აჩვენებს ამ თარიღის თუნდაც ფრაგმენტული რეცეფცია სხვა თემასთან დაკავშირებულ რამდენიმე წერილში.

1953 წლის იანვარში გამოვიდა „მამულის“ მე-6 ნომერი, რომელშიც დაიბეჭდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი. მცირე მიმოხილვაში მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, რომ „1924 წლის აჯანყებისას და მას შემდეგ

სოც.-ფედერ. პარტიის წევრებს ეროვნული მაღალი მცნებისათვის თავი დაუდვიათ“ (გ.ა. უტეხელი 1953: 167).

ერთი ასოციაციური კავშირიც კარგად მეტყველებს აგვისტოს აჯანყების ძლიერ სომბოლიურ ხატზე. ამავე ნომერში აკაკი პაპავა წერს ისტორიულ ოპუსს „ქართული დიპლომატია და 1802 წლის ამბები“, რომელიც შეეხება ქართველ თავად-აზნაურთა და ელჩობის მცდელობას რუსეთს კახეთის სამეფო ტახტზე მეფე იულონი დაესვა, რაც ეყრდნობოდა 1783 წლის ტრაქტატს. საბოლოოდ ეს „ლეგალური“ ფორმის მქონე შეთქმულება 1802 წელს სისხლის ღვრით და დამარცხებით დასრულდა. „ესეც აგვისტოში მოხდა, ამ 150 წლის წინად...“, – წერს აკაკი პაპავა (პაპავა 1953: 184) და ამგვარი დასასრულით ლოგიკურ, ემოციურ კავშირს აბამს XX საუკუნის ტრაგიკულ მოვლენებთან, რომლებშიც ისტორიის აქტიორები იგივენი იყვნენ.

დასკვნა

1924 წლის აგვისტოს აჯანყებასთან დაკავშირებული რეფლექსიის შესწავლამ ნათლად აჩვენა, რომ „მამულისათვის“ არსებითია წინა პლანზე წამოწიოს, რომ ქართველ ერს თავისი ნაციონალური, პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდა 2000 წელზე მეტი ხნის წინ და ის ძალადობით შეწყდა XIX საუკუნის დასაწყისში, რომ სწორედ ეს დაკარგული დამოუკიდებლობა დაიბრუნა 1918 წელს, რომელიც 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმაც აღიარა ისევე, როგორც პოლონეთის, ფინეთის და ბალტიის რესპუბლიკებისა. ასევე, მუდმივად ესმება ხაზი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო ინგლისმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ, არგენტინამ და სხვ. ქვეყნებმა, რომ ქვეყანას ჰქონდა დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციით უზრუნველყოფილი სრული პოლიტიკური თავისუფლება და ადამიანის უფლებები და, რომ სწორედ ასეთი სუვერენული ქვეყანა 1921 წელს დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. ამ ჭრილში რეფლექსირდება 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაც და ფასდება, როგორც დამოუკიდებლობის აღსადგენად მიმდინარე შეუპოვარი ბრძოლა და მხოლოდ აჯანყებათა ეტაპის დასასრული, რომლის შემდეგ წინააღმდეგობის თვისებრივად ახალი მოდელი უნდა შეიქმნას, რომ ერი ხელსაყრელი მომენტის დადგომისას თავისუფლების კვლავ მოსაპოვებლად იყოს მზად.

გამოყენებული ლიტერატურა

გ.ა.უტეხელი 1953 – გ.ა.უტეხელი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის 50 წლის თავზე, კრებული მამული, №6, ბუენოს-აირესი, 1953.

ზალდასტანიშვილი 1956 – ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება (მოგონებანი). მიუნხენი, 1956.

კახაბერი 1951 – კახაბერი, ფიქრები აგვისტოს დღეებზე. კრებული მამული, №3, ბუენოს-აირესი, 1951.

მარჯანიშვილი 2014 – მ. მარჯანიშვილი, ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი. ქუთაისი, 2014.

მემორანდუმი... 1952 – მემორანდუმი საქართველოს შესახებ. კრებული მამული, №5. ბუენოს-აირესი, 1952.

ნოზაძე 1951 – ვ. ნოზაძე, საქართველო და რუსეთი, კრებული მამული, №3. ბუენოს-აირესი, 1951.

ნოზაძე 1952 – ვ. ნოზაძე, დამატება, კრებული მამული, №5. ბუენოს-აირესი, 1952.

პაპავა 1951 – ა. პაპავა, საქართველოს დიპლომატიური გამარჯვება 1783 წ. კრებული მამული, №1, ბუენოს-აირესი, 1951.

პაპავა 1951ა – ა. პაპავა, საქართველო-რუსეთის იურიდიული ურთიერთობა. კრებული მამული, №1, ბუენოს-აირესი, 1951.

პაპავა 1953 – ა. პაპავა, ქართული დიპლომატია და 1802 წლის ამბები, კრებული მამული, №6, ბუენოს-აირესი, 1953. (14 სექტემბერი). გამოსაცემად მოამზადეს, წინასიტყვაობა, კომენტარები და ბიოგრაფიული ცნობები დაურთეს ისტორიის დოქტორებმა ნინო შიოლაშვილმა და ირინა არაბიძემ. თბილისი, 2016.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9392>

**ნოე ხომერიკი –
თავისუფლებისათვის თავდადებული მამულიშვილი**

**Noe Khomeriki –
A Patriot Devoted to Freedom**

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
საქართველო, ქუთაისი

Mariam Marjanishvili

Kutaisi State Historical-Ethnographic Museum
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

ქართველი სოციალ-დემოკრატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების მინისტრი, ჟურნალისტი ნოე (ნაუმ) ხომერიკი დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელ-გაბრიელში, დღევანდელ შრომაში.

გურული ყმაწვილის მთელი ცხოვრება ქუთაისთან იყო დაკავშირებული, სადაც სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში ჩარიცხვასთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობაში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნოე ხომერიკმა პრაქტიკა მშობლიურ გურიაში, თავად მიხეილ ნაკაშიძის მეურნეობაში გაიარა. ამასთან ერთად, მონაწილეობდა ადგილობრივ გლეხთა გამოსვლებში, რის გამოც რამდენიმე თვე ქუთაისის ციხეში ჩასვეს.

მიზანმიმართულმა ახალგაზრდამ რევოლუციური საქმიანობა ბათუმში განაგრძო. ჟანდარმერიის დევნის გამო კვლავ ქუთაისში გადავიდა, სადაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის იმერეთის კომიტეტის მთავარი ორგანიზატორი გახდა.

ნოე ხომერიკი ქუთაისის პრესაში თანამშრომლობდა ფსევდონიმებით: „მუშა ხუ-ზი“ და „მუშა ხუნხუზი“. ავტორია ბროშურის – „სოფლის მუშათა მიმართ“ და გურიის გლეხთა მოძრაობის შესახებ ნარკვევის – „გლეხთა მოძრაობა გურიაში“.

მრავალჯერ გადასახლებისა თუ დატუსაღების მიუხედავად, ნოე ხომერიკს არჩეული მიზნიდან არასოდეს გადაუხვევია.

საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის „შრომის, გზათა და მიწათმოქმედების“ მინისტრი აქტიურად მონაწილეობდა აგრარულ რეფორმებში.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ნოე ხომერიკმა თავი სტამბოლს შეაფარა და 1922 წლის ოქტომბრის ბოლოს არალეგალური გზით დაბრუნდა საქართველოში. ჩეკამ იგი 1923 წლის 9 ნოემბერს დააპატიმრა. მან ჩვენება არ მისცა ძიებას. ერთი წლის შემდეგ, ქართველ პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად, გაურკვეველ სადგურზე დახვრიტეს.

საკვანძო სიტყვები: ქართველი სოციალ-დემოკრატები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ნოე ხომერიკი.

ABSTRACT

Journalist, Georgian Social-Democrat, and Minister of Agriculture of the Democratic Republic of Georgia, Noe (Naum) Khomeriki was born in the village of Mikel-Gabriel in the Ozurgeti district of the Kutaisi Governorate—present-day Shroma.

The life of this young Gurian was closely connected with Kutaisi, where, alongside enrollment in an agricultural school, he actively participated in the Social-Democratic labor movement. After completing his studies, Khomeriki gained practical experience in his native Guria, working at the farm of Mikheil Nakashidze. Concurrently, he took part in local peasant uprisings, which resulted in his imprisonment in Kutaisi for several months.

The determined young man continued his revolutionary activities in Batumi. Due to persecution by the gendarmerie, he returned to Kutaisi, where he became the chief organizer of the Imereti Committee of the Russian Social-Democratic Workers' Party.

Khomeriki contributed to the press in Kutaisi under the pseudonyms „Musha Khu-zi“ and „Musha Khunkhuzhi“. He authored the brochure To the Village Workers and a study on the peasant movement in Guria, The Peasant Movement in Guria.

Despite multiple exiles and imprisonments, Khomeriki never wavered from his chosen path. As a member of the National Council of Georgia and the Transcaucasian Sejm, as well as Minister of Labor, Roads, and Agriculture in the Parliament of the Democratic Republic of Georgia, he actively participated in agrarian reforms.

Following the Soviet occupation of Georgia, Khomeriki took refuge in Istanbul and returned clandestinely to Georgia at the end of October 1922. He was arrested by the Cheka on November 9, 1923, and refused to provide testimony. One year later, together with other Georgian political leaders, he was executed at an undisclosed location.

Keywords: Georgian Social Democrats, Democratic Republic of Georgia, Noe Khomeriki.

საქართველოს ისტორიაში XX საუკუნე უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება, რადგან ქართველმა ერმა ორჯერ მოიპოვა დამოუკიდებლობა: ჯერ 1918 წლის 26 მაისს და შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს, როცა აღდგა ქვეყნის დაკარგული სახელმწიფოებრიობა.

მართალია, ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის ეს მნიშვნელოვანი ამბავი ახლა წარსულს ეკუთვნის, მაგრამ მისი გახსენება და შეფასება დღეს მეტად საყურადღებოა.

ცნობილია, რომ გეორგიევსკში 1783 წლის 24 ივლისს ერთმორწმუნე რუსეთთან ხელშეკრულება ორ ქვეყანას შორის მხოლოდ იმ მიზნით დაიდო, რომ რუსეთს საქართველო გარეშე მტრებისაგან უნდა დაეცვა.

1795 წელს კი კრწანისის ბრძოლაში ეს ხელშეკრულება რუსეთმა დაარღვია, რითაც სპარსეთის შახს აღა-მაჰმადხანს საშუალება მისცა აეკლო ქართლ-კახეთი. შექმნილი მდგომარეობით რუსეთმა მიზანმიმართულად ისარგებლა, რითაც დასუსტებულ საქართველოში ქართლ-კახეთის მმართველობა ხელთ ადვილად იგდო. ამასთან ერთად თავაშეგებულმა რუსეთმა საქართველოს უკანასკნელი მეფის - გიორგი მეთორმეტის სიკვდილითაც ისარგებლა და 1801 წლის 12 ენკენისთვის, საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად ძალით გამოაცხადა.

ბუნებრივია, ქართველი ხალხი არ შეურიგდა უსამართლობას და მას აჯანყებებით უპასუხა. რაც დრო გადიოდა, ქართველ ხალხს უფრო და უფრო უძნელდებოდა ცხოვრება რუსული პოლიტიკური და ადმინისტრაციული უღლის ქვეშ.

ქართველმა ერმა მიზნად დაისახა საქართველოდან რუსეთის განდევნა, რაც 1832 წლის შეთქმულებით გამოიხატა. მას დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ყველა წინააღმდეგობის მიუხედავად ქართველ ერს არასოდეს აუღია ხელი სამშობლოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად.

თავდადებულ მამულიშვილთა შორის XX საუკუნის 20-იან წლებში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს დამოუკიდებელი საქართველოს მიწათმოქმედების მინისტრს ნოე ხომერიკს.

იგი 1882 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ მიქელ-გაბრიელში, დღევანდელ სოფელ შრომაში, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა.

1901 წელს ნოე ხომერიკმა ქუთაისის სამეურნეო სკოლა დაამთავრა. საქართველოში ბაღოსნობის სკოლები ჯერ კიდევ 1855 წლიდან ქუთაისში ფუნქციონირებდა.

„უცხოელთა აზრით ქუთაისი დასავლეთ საქართველოში მეზღუდობის ცენტრად უნდა გადაქცეულიყო. აგრონომმა ი. დეიჩმანმა ქუთაისის რეგიონისა და ბაღის დათვალიერების შემდეგ თურმე თავის პატაკში ასე ჩაწერა: „სასურველია, მეზღუდობის სასწავლებელი შეიქმნეს ქუთაისის სახაზინო ბაღში. იქ არის მზა შენობები, ბაღი, შესაფერი მიწები 35 დესეტინაზე. მოსახლეობას აქვს მიდრეკილება გააშენოს ვენახის კარგი ჯიშები, ხელი მოკიდოს მევენახეობას, მეღვინეობასა და მებოსტნეობას“ (გაბუნია 2006: 159).

მეზაღვთის განვითარებისათვის ქუთაისში ასევე მოიწვიეს შოტლანდიელი იაკობ მარი - ჯეიმზ პატრიკ მონტეგიუ, რომელიც სოფელ ლუიჟეში 1793 წელს დაიბადა. შოტლანდიელი ახალგაზრდა სწავლის გასაგრძელებლად ლონდონის უმაღლეს სასწავლებელში შესულა. ამ დროს თურმე იქ სწავლობდა შემდგომში კავკასიის მეფისნაცვალ მთხილ ვორონცოვი. ინგლისიდან სწავლული აგრონომი იაკობ მარი ესპანეთში გაემგზავრა და კომერციას მოჰკიდა ხელი. მალე დაოჯახდა ესპანელ ფაკუნდა ანტონიოსზე. ესპანეთის შემდეგ მარი ცოლ-შვილთან ერთად ჯერ ოდესაში გაემგზავრა, იქიდან კი 1822 წელს ოჯახით თბილისში ჩამოვიდა.

მარი გურიაში თავის მამულში, ოზურგეთში, მამია V გურიელმა მიიწვია. ოზურგეთში მან შესანიშნავი ბაღი გააშენა და მერე მთავრის დავალებით ლანჩხუთში გადასახლდა. მან ლანჩხუთის სოფელ დაბლა ციხეში სპარსეთიდან ბამბა შემოიტანა, აქვე გააშენა თამბაქოსა და ჩაის პლანტაციები. გურიაში მოწეულ ღვინოსიგი ქუთაისში 2000–2500 ფრანკად ჰყიდდა.

მალე იაკობ მარი საცხოვრებლად ქუთაისი გადმოვიდა. სოფელ ჭომაში მოაწყო მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმები, ოდესიდან ჩამოიტანა „იზაბელას“ ნერგები, რომელსაც შემდეგ „ადესა“ ეწოდა. გურიაში გაახარა, ასევე, ლიმონისა და ფორთოხლის ხეები.

სწავლულმა აგრონომმა იაკობ მარმა დაქვრივების შემდეგ გურულ ქალზე აღათი შარაშიძე-მალულარიაზე იქორწინა, რომლისგანაც ვაჟიშვილი შეეძინა, შემდგომში ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი.

საბოლოოდ, ნიკო მარი ქუთაისში დამკვიდრდა, სადაც გააშენა ქალაქის ბოტანიკური ბაღი და სათავეში ჩაუდგა სასოფლო-სამეურნეო სკოლას. აქ მხოლოდ იმერელ და გურულ გლეხთა შვილებს იღებდნენ, რომლებიც შემდგომ ცნობილი მეურნეები გახდნენ.

სწორედ ამ სკოლაში შევიდა გურული გლეხის შვილი ნოე ხომერიკი. მართალია, ამ დროს იაკობ მარი უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მის საქმეებს ღირსეულად აგრძელებდნენ მისი აღზრდილი მასწავლებლები.

სასოფლო-სამეურნეო სკოლაში ისწავლებოდა საღვთო სჯული, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ისტორია, გეომეტრია, ბოტანიკა, ფიზიკა, ზოოლოგია, ქიმია, მეზოტენობა, მიწათმოქმედება, მევენახეობა, მეღვინეობა, მეზღვრობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა, კანონმდებლობა.

გონებრივი და ფიზიკური სამუშაო, რომელიც აქ უნდა შესრულებულიყო, სრულყოფილ და ჯანმანერ ახალგაზრდებს მოითხოვდა.

გამოსაშვები გამოცდების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, კურსდამთავრებულებს პრაქტიკა უნდა გაეცლოთ რომელიმე მამულში. მხოლოდ ამის შემდეგ იღებდნენ ისინი ატესტატს.

ნოე ხომერიკმაც 1901 წელს ქუთაისის სამეურნეო სკოლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკა გურიაში ცნობილ მემამულის მთხილ ნაკაშიძის მამულში გაიარა.

სწორედ ქუთაისში სწავლის დროს ეზიარა ჯერ კიდევ ყმაწვილი ნოე ხომერიკი სოციალისტურ იდეებს და საბოლოოდ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მიეკუთვნა: „წლების განმავლობაში ეწეოდნენ

გურულები რევოლუციურ საქმიანობას, სოფელ სურეზში არალეგალურად, აწარმოებდნენ იარაღს, ქმნიდნენ სამხედრო დაჯგუფებებს, ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას, აწყობდნენ ქოხ-სამკითხველოებს, შემოქონდათ აკრძალული ლიტერატურა, ატარებდნენ მიტინგებს.

მაშინ გურულ გლეხთა მოძრაობის ლიდერები იყვნენ: ბენია ჩხიკვიშვილი, თედო კიკვაძე, ისიდორე რამიშვილი, ლიზა ბოლქვაძე, ნოე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ცინცაძე. ამ მოძრაობაში ჩაერთო გურიაში დაბრუნებული ნოე ხომერიკიც, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო გლეხთა მოძრაობაში, რიც გამოც 1902 წელს რამდენიმე თვით ქუთაისის ციხეშიც მოათავსეს.

განთავისუფლების შემდეგ, იმავე წლის ნოემბრიდან, იგი ბათუმში გადავიდა, სადაც სოციალ-დემოკრატთა ჯგუფის წევრი გახდა. ახალგაზრდა პოლიტიკოსი მანთაშევის მეორე ქარხანაში თავს მძიმე ფიზიკური შრომით ირჩენდა. აქვე ისწავლა მან ასოთამწყობობა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის არალეგალურ სტამბაში აკრძალული ლიტერატურის ბეჭდვა.

„ბათუმის კომიტეტის დავალებით, 1903 წელს ნოე ხომერიკი იმერეთში გადასახლდა, სადაც პარტიული ორგანიზაციის დავალებით სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ჩამოაყალიბა. სწორედ ქუთაისში შეადგინა მან წიგნაკი „სოფლის მუშათა მიმართ“, რომელიც პარტიის კავკასიის საკავშირო კომიტეტმა გამოსცა.

1904 წელს ნ. ხომერიკი შორაპანში შეიპყრეს და ქუთაისის ციხეში გაგზავნეს, მაგრამ თანაგუნდელებმა, შეიარაღებულ რევოლუციონერთა რაზმმა გზაშივე გაანთავისუფლეს. თბილისში დაბრუნებული მაშინვე დედაქალაქის მუშათა მოძრაობას ჩაუდგა სათავეში და ღიად დაუპირისპირდა მიხა ცხაკაიას ბოლშევიკურ პოლიტიკას. ხოლო, 1905 წლის დასაწყისში, მაშინ, როცა თბილისში „ბოლშევიკებსა“ და „მენშევიკებს“ შორის განხეთქილება მოხდა, ნოე ხომერიკი „მენშევიკების“ ფრაქციაში დარჩა, რომელიც კომიტეტის თავმჯდომარედ და სამხედრო-ტექნიკური კომისიის ხელმძღვანელად აირჩიეს. ამასთან, ნოე ხომერიკი რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლეგალურ ორგანოს - ყოველდღიურ გაზეთ „ლამპარს“. 1906 წელს სტოკჰოლმში გამართულ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის გამაერთიანებელ ყრილობაზე მან აქტიური მონაწილეობა აგრარულ საკითხზე მიიღო. სამშობლოში დაბრუნებული კი დააპატიმრეს და ორი წლით ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს.

ნოე ხომერიკს მეგობრებმა თანადგომა გამოუცხადეს. მათ განცხადებით მიმართეს ვოლოგდის გუბერნიას. პასუხმაც არ დააყოვნა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მათ განცხადებას წერილობით უპასუხა: „ვოლოგდის გუბერნიაში ადმინისტრაციულად გადასახლებულ ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის გლეხი ხომერიკი 10 წელზე მეტია, რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის რიგებში ირიცხება.

ამ დამნაშავეთა საზოგადოებაში შესვლის პირველ დღიდანვე ის გამოირჩევა თავის ამხანაგებისაგან არაჩვეულებრივი ჭკუით.

განსაკუთრებით ძლიერი ნებისყოფით, ორგანიზატორული ნიჭით და თითქმის ფანატიკური ერთგულებით სოციალიზმის და რევოლუციის საქმისადმი.

დღეს, ის უკვე ერთი ლიდერთაგანია სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის ორგანიზაციისა და სულის ჩამდგმელი ყველა მისი რევოლუციური ნაბიჯების, როგორც ბეჭდვითი პროპაგანდის, ისე სიტყვიერ აგიტაციის საქმეში ბაქო-თბილისის მუშათა შორის სოციალიზმის იდეების გასავრცელებლად.

სახელმწიფო დუმის სამივე საარჩევნო კამპანია ამიერკავკასიაში, რომელიც უკიდურეს სოციალისტების არჩევით დამთავრდა, ჩატარებული იყო ზემოთ დასახელებულ ხომერიკის უშუალო ხელმძღვანელობით. ერთი სიტყვით, ხომერიკი არსებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილების ყველაზე საშიშ და შეურიგებელ მტერთა კატეგორიას ეკუთვნის და ამიტომ, პოლიციის დეპარტამენტის აზრით, ყოველივე შემსუბუქება მისი ხვედრისა დემორალიზაციის გავლენას მოახდენდა მცხოვრებლებზე და დაუსჯელობის გრძნობას ჩაუწერგავდა რევოლუციონერთა შეგნებაში“ (ზრდოლა 1927, №26: 2).

1911 წელს ნოე ხომერიკი გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნდა. ბინა კვლავ ქუთაისში დაიდო, რადგან იმ ხანად თბილისიდან ქუთაისში იყო გადმოტანილი პარტიის ხელმძღვანელი ორგანო - საოლქო კომიტეტი. მან გააცოცხლა და აღადგინა საოლქო კომიტეტის მუშაობა. იგი რედაქტორობდა ლეგალურ პარტიულ ორგანოს „მნათობსა“ და გაზეთ „ცხოვრებას“.

აღნიშნული პარტიული ორგანო არალეგალურ ბინაზე მზადდებოდა და შემდეგ იბეჭდებოდა ლეგალურად. მასვე დაეკისრა, ასევე, საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელობა მეოთხე სახელმწიფო დუმაში და პარტიის გამარჯვებაც მისი დამსახურება გახლდათ.

1913 წლიდან ნოე ხომერიკი, ასევე, რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „მერცხალს“, ხოლო 1914 და 1915 წლებში - ქუთაისსა და თბილისში გამომავალ სოციალ-დემოკრატთა ჟურნალ-გაზეთებს.

1916 წლიდან ადმინისტრაციული წესით იგი დასავლეთ ციმბირში გადაასახლეს. იგი ერთი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული ამჯერად გლეხთა მოძრაობას ჩაუდგა სათავეში.

1918 წლის თებერვლიდან ნოე ხომერიკი ამიერკავკასიის სეიმის წევრი გახდა. ამიერკავკასიის მთავრობის კაბინეტში მიწათმოქმედების მინისტრის თანამდებობა ჩაიბარა და აგრარული რეფორმა წამოიწყო.

ამავე წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე პირველ საკითხად ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი დაისვა: „სეიმის წევრთა უმრავლესობის აზრით, დამოუკიდებლობა პოლიტიკური აუცილებლობით იყო ნაკარნახები. თუმცა რუსულ „დემოკრატასთან“ კავშირს ისევ მისტიროდნენ. თავის მხრივ, ესერების წარმომადგენელი თუმანოვი დამოუკიდებლობის სასტიკი წინააღმდეგი იყო და ამ აზრს მხარი მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე დაუჭირა. ესერების ძალა და გავლენა სეიმში ძალიან სუსტი იყო. იმავე 22 აპრილის სხდომაზე, სეიმმა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა გამოაცხადა“ (სარალიძე 2023: 118).

მაღლე ამიერკავკასიის სეიმი დაიშალა და 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაშიც ნოე ხომერიკს მიწათმოქმედების მინისტრის პოსტი 1920 წლის შემოდგომამდე ეკავა.

მისი უდიდესი დამსახურებაა აგრარული რეფორმის განხორციელება, კერძოდ, თავიდანვე წამოაყენა გლეხებზე მიწის კერძო საკუთრებად გადაცემის იდეა. სამინისტროდან გადადგომის შემდეგ პარტიულ მუშაობას დაუბრუნდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნოე ხომერიკი ჩვენში ევროპული პარლამენტარიზმის საუკეთესო ტრადიციების გზის გამკაფავი იყო.

ამის საილუსტრაციოდ ნიშანდობლივია დავიმოწმოთ ერთი ამონარიდი: „საქართველოში ევროპელ სოციალისტების ვიზიტისას, როცა მათ კახეთის გლეხთა მდგომარეობას აცნობდა ასე განაცხადა: „ჩვენ მივდიოდით ჩვენი იდეის პროგრამის გზით და აქ აზიის და ევროპის საზღვარზე ჩვენი ერის 2000 წლის შენახული კულტურა გავანოყიერეთ ამ ახალი იდეებით, ძველი განძი ჩამოვასხით ახალ ფორმაში და მივეცით ახალი შინაარსი. შესაფერისი დროისა და გარემოების.

ჩვენ გვესმის, რომ ბევრი ბრძოლა დაგვჭირდება. ჩვენი ხალხის ბუნება არის თავგანწირვა...“ (ვიზიტი 1920 2023: 107-108).

ევროპელმა სოციალისტებმა დიდი შეფასება მისცეს ნოე ხომერიკის გლეხთა საპროგრამო პროექტს: „თქვენ გაქვთ აგრარული რეფორმა, რითაც მემამულეებს ჩამოერთვა მიწები და გადაეცა ხალხს, მაგრამ იყავით ფრთხილად! მთელი თავისი ჭკუით და გატაცებით ამბობდა დღეს მინისტრი ხომერიკი ამ რეფორმაზე, მაგრამ არის ერთი საშიშროება: უნდა იყოთ ფრთხილად, რომ ხალხმა არ დაკარგოს ეს მამული. ის არ იქნეს შესყიდული შეძლებულ ნაწილის მიერ“ (იქვე: 105).

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ ნოე ხომერიკმა სამშობლო დატოვა. იგი სტამბოლში ცხოვრობდა, სადაც გახდა „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის“ თავმჯდომარე, რომელიც ემიგრანტული მთავრობისა და საქართველოს იატაკქვეშა მოძრაობის მაკოორდინირებულ ორგანოს წარმოადგენდა.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იგი 1922 წელს ემიგრაციიდან არალეგალური გზით საქართველოში დაბრუნდა, როგორც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ინტერპარტიული კომიტეტის რწმუნებული. ჩამოსვლისთანავე ნოე ხომერიკი ჩვეული ენერგიით შეუდგა არალეგალური იატაკქვეშა საქმიანობის გააქტიურებას - იყო ეს ანტისაბჭოთა გამოცემების ბეჭდვა თუ ორგანიზაციების კოორდინაცია. მანვე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან შექმნა სამხედრო კომისია. ასევე, ის იყო წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი.

თავდაპირველად ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა: სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, სოციალ-ფედერალისტებმა, სოციალ-რევოლუციონერებმა გასაბჭოების პირველივე დღეებში სცადეს ახალ ხელისუფლებასთან შემათანხმებელი გზის გამონახვა და კონსტიტუციის ფარგლებში სათანადო საკითხების გადაწყვეტა. საბჭოთა ხელისუფლება ქართველ ხალხს ატყუებდა, რომ საქართველოში მოხდა მხოლოდ ძალაუფლების შეცვლა: ბურჟუაზიის მაგიერ ქვეყნის სათავეში ჩადგნენ მხოლოდ ქართველი მუშები და გლეხები, საქართველოს დამოუკიდებლობა დარჩა კვლავინდებურად.

ამას აცხადებდნენ იმ დროს, როცა ბოლშევიკებმა დაკეტეს 1500-მდე ქართული ეკლესია, შეურაცხვეს საფლავი დავითისა და კონსტანტინესი მოწამეთაში, რითაც შეაგინეს ჩვენი ეროვნული გრძნობა.

ასე რომ, მათი დედააზრი ამ ცვლილებისა მდგომარეობდა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაში. ამ გარემოებამ თვით ქართველი კომუნისტების რიგებში გამოიწვია გადახრები, ე.წ. „უკლონიზმი“, ქართველი ერი კი აიძულა დასდგომოდა აჯანყების გზას. ნათლად ჩანდა, თუ როგორ თანდათანობით შეიქმნა მემკობრეთა მოძრაობის ზრდა.

ხალხი შეიძლება შერიგებოდა რუსების მიერ კომუნისტური ხელისუფლების შექმნას მხოლოდ იმ პირობით, თუ საქართველოს დამოუკიდებლობას შეინარჩუნებდა. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ კი თანდათანობით საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი გამოუთხარა და ამ ფაქტს ქართველმა ხალხმა აჯანყებით უპასუხა.

1921 წლის შემოდგომაზე საქართველოში რუსების წინააღმდეგ ყველა პარტია გაერთიანდა და ორგანიზაციული ფორმა მიიღო. დაარსდა გაერთიანებული ორგანო „დამკომი“ - დამოუკიდებელი კომიტეტი.

საბჭოთა ხელისუფლება ვერ ითმენდა სხვა ქართულ პოლიტიკურ პარტიათა ლეგალურ არსებობას, გარდა კომუნისტურისა. ახალი ხელისუფლების მხრიდან შეურიგებელმა პოლიტიკამ აიძულა ისინი იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და ებრძოლათ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ქართველ ხალხს დაეკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის ნატამალიც, რომელიც შერჩა მას გასაბჭოების შემდეგ. რაკი მომხრეებმა და არამომხრეებმა დაინახეს საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი სახე, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათთან საერთო ენის გამონახვა მხოლოდ წყლის ნაყვა გახლდათ. ამ დროს ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ერთი გზა დარჩენოდათ იმისა, რომ თავისი საკუთარი ძალების საშუალებით და ევროპის დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიური დახმარებით აღედგინათ ქართველი ხალხის შელახული უფლებები და დაებრუნებიათ წართმეული დამოუკიდებლობა. ეს კი შეუძლებოდა მხოლოდ აჯანყების გზით.

1923 წლის იანვარში უკვე ყველა პარტიამ ხელახლა გააჩაღა მუშაობა და საქართველოში მას ორგანიზაციული ხასიათი მისცეს.

ამასობაში საბჭოთა ხელისუფლება რეპრესიებს აძლიერებდა. ჯერ კახეთ-ჰერეთის 1922 წლის აგვისტოს გამოსვლის გამო თბილისში დაიჭირეს და დახვრიტეს სოლ. ანდრონიკაშვილი, ძმები სუმბათაშვილები,

კონსტ. ჩოლოყაშვილი, არჩ. ვაჩნაძე, შაქრო ვაჩნაძე, ვახტ. აბაშიძე, შალვა, გიორგი და პეტრე ფავლენიშვილები და სხვები, მაგრამ განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს 1923 წლის 10 თებერვალს, ოზურგეთში გურიის ამწიოკებლის ობოლადის მოკვლის შემდეგ: „დახვრიტეს ადგილობრივად გურიაში 150 კაცი და თბილისის ციხიდან გამოიყვანეს 92 პოლიტიკური პატიმარი...“ (შარაძე 1993: 98-111).

ამავე 1923 წლის თებერვალშივე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა „დამკომის“ სამხედრო ცენტრის მთელი შემადგენლობა. მარტში ისინი დაატუსაღეს და იმავე წლის 19 მაისს დახვრიტეს: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, გენერალი კონსტანტინე აფხაზი, გენერალური შტაბის წევრი გენერალი ანდრონიკაშვილი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკები: ალექსანდრე მაჭავარიანი, ელისბარ გულისაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, როტმისტრი სიმონ მუხრან-ბატონი, ლეიტენანტი ლევან კლიმიაშვილი, სამხედრო მოხელე მიხეილ ზანდუკელი, იასონ კერესელიძე, სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე.

იმავე 1923 წლის ნოემბერში დააპატიმრეს ნოე ხომერიკი. მალე, 1924 წლის იანვარში, „ჩეკამ“ ხელთ ჩაიგდო გოგიტა ფაღავა, გიორგი წინამძღვრიშვილი და გიორგი ჯინორია.

პატიმრობის განმავლობაში ძიებამ ვერ მოახერხა ნოე ხომერიკისაგან ჩვენების მიღება. მან ასევე პასუხგაუცემელი დატოვა ჩეკას საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოლაპარაკება.

დაპატიმრებულები სუზდალის პოლიტიზოლატორიდან ეტაპობრივად გადაყვანისას გაურკვეველ სადგურზე დახვრიტეს: არ შეიძლება საქართველოს განთავისუფლების ბრძოლაზე ვილაპარაკოთ და არ გავიხსენეთ სამშობლოსათვის თავდადებული და მსხვერპლად შეწირული მამულიშვილები, მათ შორის ნოე ხომერიკი, რომელთა საფლავები მომავალი თაობისათვის წმინდათა წმინდა ადგილებია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბრძოლა 1927– ჟურნალი „ბრძოლა“. პარიზი, 1927.
 გაბუნია 2006 – ლ. გაბუნია, ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი. ქუთაისი 2006.
 ვიზიტი 1920 – ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში 1920. თბილისი, 2023.
 ზალდასტანიშვილი 1989 – ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება. თბილისი, 1989.
 სარალიძე 2023 – ლ. სარალიძე, ბათუმი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921). თბილისი, 2023.
 შარაძე 1993 – გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ.2. თბილისი, 1993.
 ხვადაგიანი 2016 – ი. ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება 1919, თბილისი, 2016.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9393>

**ქართული ემიგრანტული გაზეთი
„ახალი საქართველო“ და 1924 წლის აჯანყება**

**The Georgian Emigrant Newspaper
„Akhali Sakartvelo“ and the 1924 Uprising**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Avtandil Nikoleishvili
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად 1924 წლის აგვისტოში მომხდარი აჯანყების დამარცხებამ და ამ ტრაგიკული მოვლენის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა უმკაცრესმა რეპრესიულმა პოლიტიკამ ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ და პოლიტიკურ თვალთახედვაზე მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა. კერძოდ, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო სამშობლოდან უცხოეთში ემიგრირებულ ქართველ პოლიტიკოსთა მცირე ნაწილი იძულებული გახდა, არსებულ მდგომარეობას დამორჩილებოდა და საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება, იმხანად არსებული მდგომარეობის გამო, საფუძველს მოკლებულ მიზანსწრაფვად მიეჩნია. სწორედ ამ მოვლენის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს მკვეთრად რადიკალური ის მეტამორფოზა, რაც გრიგოლ ვეშაპელის (ნამდვილი გვარია ვეშაპიძე. 1891-1926 წწ.) პოლიტიკურმა თვალთახედვამ განიცადა 1924 წლის აჯანყების წინარე პერიოდში. კერძოდ, თუ საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა და 1924 წლის აჯანყებამდე პერიოდში აქტიურად ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას, აჯანყების დამარცხების შემდეგ მიზანმიმართულად დაიწყო პროპაგანდა საქართველოში ქართველი ემიგრანტების დასაბრუნებლად და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დასამყარებლად. ამ მიზნით ის აქტიურად იყენებდა პარიზსა და ბერლინში მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ახალ საქართველოს“. გრ. ვეშაპელის ამგვარი ქმედება საბჭოთა ხელისუფლებასთან მისი აქტიური თანამშრომლობის შედეგს რომ

წარმოადგენდა, ეს არა მარტო იმით დასტურდება, ხსენებული გაზეთი მკვეთრად გამოხატული საბჭოთა იდეოლოგიის მქადაგებელი პერიოდული ორგანო რომ იყო (1924-1926 წლებში გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში), არამედ იმითაც, რომ შეუზღუდველად იყიდებოდა საქართველოშიც. აღნიშნული გარემოების გამო გრ. ვეშაპელი, რომელიც მანამდე ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ აქტიურ ორგანიზატორად იყო მიჩნეული, ქართველმა ემიგრანტებმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულ აგენტად შერაცხეს. გრ. ვეშაპელის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის ამგვარი რადიკალური ცვლილების თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს ის წერილები, რომლებიც მან და მისმა თანამზრახველებმა მრავლად დაბეჭდეს ხსენებულ გაზეთში. მათი ავტორები ამ პუბლიკაციების მეშვეობით, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, გამოხატავდნენ თავიანთ პროსაბჭოურ თვალთახედვას და აქტიურად მოუწოდებდნენ ემიგრანტ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისა და ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დამყარებისაკენ. გრ. ვეშაპელის ეროვნული და პოლიტიკური მრწამსის ამგვარ რადიკალურ მეტამორფოზას სავსებით კანონზომიერად მოჰყვა ქართველ ემიგრანტებთან დაპირისპირება, რაც 1926 წლის 10 ივნისს მისი მკვლელობით დამთავრდა. „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილები ორ პირობით ჯგუფად იყოფა: პირველი, ემიგრანტ ავტორთა პუბლიკაციები და მეორე, საქართველოდან გაგზავნილი სტატიები, რომელთა ხელმძღვანელიც ავანტიურისტულ მოვლენად შეფასებულ ამ აჯანყებას უმწვავესი ფორმით გმობდნენ და კატეგორიულად მოითხოვდნენ მისი ორგანიზატორების უმკაცრესად დასჯას. 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილები ახალი შტრიხებით წარმოაჩენს საბჭოთა ხელისუფლებასთან ცხადად თუ ფარულად დაკავშირებულ ქართველ ემიგრანტთა ცალკეული წარმომადგენლების პოზიციას ამ აჯანყების შემდგომ პერიოდში შექმნილი რეალობისადმი.

საკვანძო სიტყვები: 1924 წლის აჯანყება, ქართული ემიგრანტული პრესა, გრიგოლ ვეშაპელის წერილები.

ABSTRACT

The defeat of the August 1924 uprising, which aimed to restore Georgia's state independence, and the severe repressive policies implemented by the Soviet authorities in its aftermath had a significant impact on the national and political outlook of Georgian émigrés. Specifically, following the occupation of Georgia by Soviet Russia in February 1921, a small portion of émigrated Georgian politicians were compelled to adjust to the prevailing circumstances and to regard the country's liberation from the Soviet Empire as an unattainable goal.

One particularly vivid example of this phenomenon is the radical metamorphosis in the political outlook of Grigol Veshapeli (real surname Veshapidze, 1891–1926)

during the period leading up to the 1924 uprising. After emigrating following the Soviet occupation, he actively engaged in anti-Soviet propaganda. However, following the uprising's defeat, he purposefully shifted to promoting the return of Georgian émigrés to Georgia and establishing cooperation with the Soviet authorities. To this end, he extensively utilized the newspaper Akhal Sakartvelo, which he edited and which was published in Paris and Berlin.

The evident result of Veshapeli's active collaboration with Soviet authorities is not only confirmed by the fact that Akhal Sakartvelo functioned as a periodical strongly promoting Soviet ideology (published 1924–1926 in Paris and Berlin) but also by its unrestricted circulation in Georgia. Consequently, Veshapeli—previously considered an active organizer in the struggle for Georgian independence—was branded by fellow émigrés as a Soviet-influenced agent.

This radical shift in Veshapeli's national and political convictions is clearly evidenced by the numerous articles he and his associates published in the newspaper. Through these publications, the authors openly expressed their pro-Soviet stance and actively encouraged Georgian émigrés to return home and establish collaboration with the new authorities. As a natural consequence of Veshapeli's radical transformation, tensions with other Georgian émigrés escalated, culminating in his assassination on June 10, 1926.

The articles published in Akhal Sakartvelo can be divided into two main categories: first, contributions by émigré authors; and second, submissions from Georgia, whose authors sharply condemned the uprising, labeling it an adventurist endeavor, and demanded the harshest punishment for its organizers. Collectively, these writings provide a nuanced insight into the positions of specific Georgian émigrés—whether openly or covertly aligned with Soviet authorities—regarding the realities created in the aftermath of the 1924 uprising.

Keywords: The 1924 uprising, the Georgian émigré press, the letters of Grigol Veshapeli.

შესავალი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ახალი შტრიხებით წარმოაჩინოს ქართველ ემიგრანტთა ცალკეული წარმომადგენლების, პირველ ყოვლისა, გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორ-გამომცემლის - გრიგოლ ვეშაპელის (ვეშაპიძის), დამოკიდებულება 1924 წლის აჯანყებისადმი. ამ მიზნის მისაღწევად, წინამდებარე ნარკვევში საფუძვლიანადაა გაანალიზებული 1924-1926 წლებში პარიზსა და ბერლინში გამომავალ ამ გაზეთში ხსენებულ აჯანყებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული წერილები.

მეთოდები

ისტორიულ მოვლენათა ანალიზის მეთოდის გამოყენებით წარმართული კვლევის შედეგად, შევეცადეთ არგუმენტირებული სახით წარმოგვეჩინა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენისადმი ხსენებულ პუბლიკაციათა ავტორების მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების განმაპირობებელი ფაქტორები. ეს პუბლიკაციები ახალ შტრიხებს სძენს შინაგანად გაორებულ იმ დამოკიდებულებას, რასაც ქართველ ემიგრანტთა გარკვეული ნაწილი, პირველ ყოვლისა კი თავად გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, ავლენდა აღნიშნული მოვლენისადმი.

მსჯელობა

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად 1924 წლის აგვისტოში მომხდარი აჯანყების დამარცხებამ და ამ ტრაგიკული მოვლენის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა უმკაცრესმა რეპრესიულმა პოლიტიკამ ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ და პოლიტიკურ თვალთახედვაზე მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა. კერძოდ, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო სამშობლოდან უცხოეთში ემიგრირებულ ქართველ პოლიტიკოსთა მცირე ნაწილი იძულებული გახდა, არსებულ მდგომარეობას დამორჩილებოდა და საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება იმხანად არსებული მდგომარეობის გამო რეალურ საფუძველს მოკლებულ მიზანსწრაფვად მიეჩნია.

სწორედ ამ მოვლენის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ის მეტამორფოზა, რაც გრიგოლ ვეშაპელის პოლიტიკურმა თვალთახედვამ განიცადა 1924 წლის აჯანყების წინარე პერიოდში. როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციამდე გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე. 1891-1926 წწ.), როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და დამფუძნებელი საბჭოს წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობით სისტემაში. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ იგი ემიგრაციაში წავიდა და 1924 წლის აჯანყებამდე პერიოდში აქტიურად ეწეოდა ანტისაბჭოთა პროპაგანდას. მაგრამ აჯანყების დამარცხების შემდგომ პერიოდში მან პოლიტიკური მრწამსი რადიკალურად შეიცვალა და მიზანმიმართულად დაიწყო პროპაგანდა საქართველოში ქართველი ემიგრანტების დასაბრუნებლად და საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დასამყარებლად. ამ მიზნით იგი აქტიურად იყენებდა პარიზსა და ბერლინში მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთს „ახალი საქართველო“ (შარაძე, 2001: 222).

გრ. ვეშაპელის ამგვარი ქმედება საბჭოთა ხელისუფლებასთან მისი აქტიური თანამშრომლობის შედეგს რომ წარმოადგენდა, ეს არა მარტო იმით დასტურდება, ხსენებული გაზეთი მკვეთრად გამოხატული საბჭოთა იდეოლოგიის მქადაგებელ პერიოდულ ორგანოს რომ წარმოადგენდა, არამედ იმითაც, რომ „ახალი საქართველო“ საქართველოშიც იყიდებოდა შეუზღუდველად. ამ გარემოების გამო გრ. ვეშაპელი ქართველმა

ემიგრანტებმა საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსყიდულ აგენტად შერაცხეს.

1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ გრ. ვეშაპელის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის ამგვარი რადიკალური ცვლილების თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს მისი და მისი თანამზრახველების ის წერილები, რომლებიც მრავლად დაიბეჭდა 1924-1926 წლებში მისი რედაქტორობით გამოცემულ ქართულ ემიგრანტულ გაზეთში „ახალი საქართველო“ (გამოდიოდა პარიზსა და ბერლინში. ამ გაზეთის შესახებ იხ: შარაძე 2001: 221-259). გრ. ვეშაპელის ეროვნული და პოლიტიკური მრწამსის ამგვარ რადიკალურ მეტამორფოზას სავსებით კანონზომიერად მოჰყვა ქართველ ემიგრანტებთან დაპირისპირება, რაც 1926 წლის 10 ივნისს მისი მკვლელობით დამთავრდა.

1924 წლის აჯანყებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება გრ. ვეშაპელმა „ახალი საქართველოს“ პირველივე ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში გამოხატა. კერძოდ, 1924 წლის 5 ნოემბერს გამოცემული ამ გაზეთის პირველი ნომრის პირველივე გვერდზე დაბეჭდილ მის სტატიაში - „აჯანყების შემდეგ (ქართული რევოლუციური პოლიტიკისათვის)“ მანამოვლენას ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური შეფასება მისცა. აჯანყების იდეისადმი ამგვარი დამოკიდებულების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად გრ. ვეშაპელი იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ საბჭოთა კავშირი თანასწორი სახელმწიფოების ფედერაციულ კავშირს წარმოადგენდა და არა რუსეთთან მიერთებული რესპუბლიკების ფორმალურ ერთობას. მისი განმარტებით, „საბჭოთა კავშირი არც სახელით იყო რუსეთი და არც შინაარსით. იგი არის ოთხი თანასწორი სახელმწიფოს ფედერაცია, რომელშიც დიდ რუსეთს - უკრაინასთან, ბელორუსეთთან და ამიერკავკასიის ფედერაციასთან ერთად მეოთხედი ეკუთვნის“ (ახალი საქართველო, 1924, 5 ნოემბერი, გვ. 4).

აქედან გამომდინარე, გრ. ვეშაპელს პრინციპულად მცდარ მოვლენად მიაჩნდა აჯანყების ორგანიზატორობა მცდელობა, ძალადობრივი გზით ეცადათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოყოფა. პირველ ყოვლისა, სწორედ არსებული რეალობის ამდაგვარი შეფასება გახდა უმთავრესი საფუძველი 1924 წლის აჯანყების ორგანიზატორებთან გრ. ვეშაპელის დაპირისპირებისა.

1924 წლის აჯანყებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების გამომხატველი ამგვარი წერილები სხვა ავტორებმაც (როგორც საქართველოს მოქალაქეებმა, ისე ემიგრანტებმაც) მრავლად გამოაქვეყნეს „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე. რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, მკაფიოდ გამოხატული პროსაბჭოთა თვალთახედვის წარმომჩენი ამ წერილების ავტორთა უმეტესობა უცხოეთში სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტები და ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები იყვნენ. მაგალითად, ფრაგმენტი წერილიდან „დეკლარაცია ქართველ სტუდენტების კრებისა პარიზში“: „ამიერ-კავკასიის სტუდენტთა ორგანიზაციის ქართველ წევრებთან ერთად ჩვენ, ამ კავშირში შესული ახალი წევრებიც, უარყოფთ გადაჭრით ყოველგვარ გამოსვლებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ვადიარებთ, რომ საქართველოს

კულტურულ-ეკონომიური აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა მთავრობის გარშემო ყველა ძალების დარაზმებით... ჩვენ მოვუწოდებთ დანარჩენ ქართველ ამხანაგებს, დაადგენ ამ ერთად ერთ მისაღებ გზას არსებულ ხელისუფლებასთან ერთად სოლიდარულის და სინდისიერ თანამშრომლობისას და შემოუერთონ თავისი ხმაც ჩვენს დადგენილებას.

ნ. ჭკუასელი, შ. გედევანიშვილი, მ. ჭანიშვილი, ე. ზაკურაძე, გ. მინდიბაძე. 16 ოქტომბერი, 1924 წ. (ახალი საქართველო, 1924, 5 ნოემბერი, გვ. 3).

მსგავსი შინაარსის წერილები „ახალ საქართველოში“ ევროპის სხვა უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტებსაც აქვთ გამოქვეყნებული. მათი წაკითხვის შედეგად სავსებით ბუნებრივად გვიჩნდება იჭვი იმასთან დაკავშირებით, ეს მოვლენა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ მიზანმიმართულად მართულ და კარგად ორგანიზებულ პროცესს რომ წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი სივრცის განუყოფელ ნაწილად საქართველოს დამკვიდრების იდეას ბერლინის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა გარკვეულმა ნაწილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული დეკლარაციითაც დაუჭირა (ახალი საქართველო, პარიზი, 1925, 25 ივლისი, №8). მათი აზრით, 1924 წლის აჯანყება რეალურად „მიუტევებელი ავანტიურა და დანაშაული იყო ქართველი ერის წინაშე“. იქიდან გამომდინარე, რომ „საბჭოთა ფედერაციის გარეშე საქართველოს დიდი საფრთხე“ მოელოდა, „არსებული ეკონომიური და პოლიტიკური სინამდვილე“ ჩვენს ქვეყანას უალტერნატივოდ „უკარნახებდა საბჭოთა ფედერაციასთან კავშირს“, ხსენებული დეკლარაციის მიმღებთა ხაზგასმით, ასეთ ვითარებაში, „საქართველოს ეროვნული ეკონომიკური და კულტურული ინტერესები მოითხოვდა არა დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნებთან მეგობრობას, არამედ საბჭოთა ფედერაციასთან“. ამგვარი შეხედულების უმთავრეს საფუძვლად დეკლარაციის ავტორებსა და მხარდამჭერებს ის გარემოება მიაჩნდათ, რომ „მიმდინარე პირობებში სწორედ საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც გულწრფელად ემსახურებოდა ქართველი ხალხის ინტერესებს“. საბჭოთა კავშირის ძირითადი პოლიტიკური კანონმდებლობა კი „ფორმალურად ამის გარანტიას იძლეოდა“.

როგორც დამოწმებული პუბლიკაციებითაც ნათლად ჩანს, „ახალ საქართველოში“ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილებში ეს მოვლენა მხოლოდ ნეგატიური კუთხით იყო წარმოჩენილი, რაც არსებითად იყო განპირობებული გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის პოლიტიკური შეხედულებებით.

1924 წლის აჯანყებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვას გრ. ვეშაპელმა მეტი მასშტაბები იმითაც შესძინა, რომ „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე ცნობილ ქართველ მოღვაწეთა ის წერილებიც გამოაქვეყნა, რომელთა ავტორებიც კატეგორიულად გმობდნენ აჯანყების ორგანიზატორთა ქმედებას. როგორც მკითხველი უკომენტაროდაც ადვილად მიხვდება, აჯანყების დამარცხების შემდეგ ამგვარი კოლექტიური წერილების დაწერა და გამოქვეყნება ხელისუფლების მიერ მართულ

პროცესს წარმოადგენდა და ამ წერილების სულისკვეთება პრინციპულად არ შეესაბამება მათ ხელისმომწერთა ეროვნულ თვალთახედვას.

1924 წლის აჯანყებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების ფართოდ დასამკვიდრებლად „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გაანალიზების დროს აქ უაღრესად მნიშვნელოვან ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: საბჭოთა კავშირის შესაბამისი სტრუქტურების აქტიური ძალისხმევით ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა რეალურ პერსპექტივას მოკლებულ საქმედ რომ ყოფილიყო მიჩნეული. ამგვარ სკეპტიკურ დამოკიდებულებას არა მარტო ცალკეული პიროვნებები გამოხატავდნენ, არამედ ისინიც, რომლებიც აჯანყებამდელ პერიოდში თავიანთი საქმიანობის უმთავრეს მიზნად ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდნენ.

1924 წლის აჯანყებისადმი მკითხველთა ნეგატიური დამოკიდებულების გასამძაფრებლად „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში, ასევე, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ამ აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ დაშვებულ შეცდომათა თვითკრიტიკულ მხილებასაც. მაგალითად, როგორც პარიტეტული კომიტეტის ეროვნულ-დემოკრატიულ წევრთა თეზისებში იყო აღნიშნული, „ანტისაბჭოთა პარტიები „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახით... დარწმუნებულნი იყვნენ, რომ... ევროპის სახელმწიფოები ერთგვარად გამოეცხადებოდნენ ქართველ ერს ამ ბრძოლაში.“ მაგრამ მათი ეს მოლოდინი არ გამართლდა.

შექმნილი რეალობით განპირობებული სწორედ ეს იმედგაცრუება გახდა საფუძველი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ 1924 წლის 5 სექტემბერს მიღებული იმ განცხადებისა, რომელშიც ხსენებული კომიტეტის სამომავლო პოლიტიკა ამგვარად იყო განსაზღვრული: „ვიზიარებთ და ვემყარებით რა ამ განცხადების შინაარსს, ამიერიდან ბრძოლას არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ან სხვა არალეგალური საშუალებით დამლუპველად ვსთვლით ქართველი ერის ინტერესებისათვის, რადგანაც ამგვარი ბრძოლა ისედაც მცირერიცხოვან ქართველ ერს უქადის სრულს განადგურებას...“

ამიტომ მოვუწოდებთ ჩვენი პარტიის წევრებს შეწყვიტონ ყოველგვარი მუშაობა, მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ, დაიწყონ თანამშრომლობა საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან და მიიღონ მონაწილეობა სამშობლოს აღმშენებლობის საქმეებში“.

აღნიშნულ განცხადებას ხელს აწერდნენ იასონ ჯავახიშვილი, მიხეილ იშხნელი და შალვა კალანდარიშვილი (ახალი საქართველო, 1925, 5 აპრილი, №4, გვ. 4).

ავგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდგომ პერიოდში ამ მოვლენის მონაწილეთა დასასჯელად ხელისუფლების მიერ მიღებულმა უმკაცრესმა ზომებმა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაზე მოახდინა შოკის მომგვრელი ზეგავლენა, არამედ ქართველ ემიგრანტთა შორისაც გააშფავა

ურთიერთობა. კერძოდ, საბჭოთა სპეცსამსახურების წარმომადგენელთა მიერ გადაბირებულმა პირებმა აქტიურად დაიწყეს აჯანყების ხელმძღვანელთა შეცდომებსა და მოღალატეობრივ საქმიანობაზე საუბარი. არაერთმა მათგანმა კი არა მარტო სიტყვიერი ბოდიში მოიხადა იმის გამო, რომ თავადაც იყო ამ მოვლენასთან დაკავშირებული, არამედ მზადყოფნაც გამოთქვა საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსადგომად. მაგალითად, „ახალი საქართველოს“ 1925 წლის 29 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ „ღია წერილში რედაქციის მიმართ“ აგვისტოს აჯანყება ლევან ჯაფარიძემ „ქართველი ხალხისათვის უსაშინლეს უბედურებად, ხოლო პოლიტიკურად გაუმართლებელ დანაშაულად“ შეაფასა და გულისტკივილი გამოხატა იმის გამო, რომ ამ „გაუზომველი ნაბიჯის გადადგმაში განსაკუთრებით დამნაშავე“ ემიგრანტები იყვნენ.

ლ. ჯაფარიძე გამონაკლისი არ ყოფილა და გაზეთ „ახალ საქართველოში“ მსგავსი შინაარსის წერილები სხვა ქართველმა ემიგრანტებმაც გამოაქვეყნეს. ერთ-ერთი მათგანი იყო ალფესი ხელაძე, რომელმაც 1924 წლის აჯანყების ორგანიზებასა და მიმდინარეობასთან დაკავშირებული მოვლენები და ამ პროცესში პირადად მისი მონაწილეობა „ახალი საქართველოს“ 1925 წლის 2 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილით - „წარსულის გაკვეთილი“ ამგვარად მოინანია: „19 ივლისიდან მე დავტოვე სოციალ-დემოკრატიული პარტია სრულიად შეგნებულად... რისთვის? იმისთვის, რომ ჩვენი პარტია შესდგა შემცდარ ნიადაგზე. იმან საბედისწერო ნაბიჯი გადადგა, რასაც მოყვა პარტიის მორალურად და ფიზიკურად დამარცხება-განადგურება. მე მხედველობაში მაქვს საქართველოში აჯანყების მოწყობა. მე, რასკვირველია, არ ვიზიარებ, იმ ბებრულ ზღაპარს, ვითომც აჯანყება სტიქიურად მოხდა. არა, ათასჯერ არა. აჯანყება მოახდინა სოც.-დემ. პარტიის პარიზის ბიურომ... შედეგი ამ აჯანყებისა უკვე ნათლად სჩანს. ჩვენ დავმარცხდით“.

1924 წლის აჯანყებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტი სიმკვეთრით გამოხატა ამ აჯანყების ერთ-ერთმა ემიგრანტმა მონაწილემ დ. მხეიძემ. კერძოდ, გაზეთ „ახალი საქართველოს“ 1926 წლის მე-17, 5 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორს მან 1924 წლის აგვისტოს აჯანყება, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილეც თავადაც იყო, არა მარტო სიტყვიერად დაგმო, არამედ მზადყოფნაც გამოთქვა საქართველოში დასაბრუნებლად და სასამართლოს წინაშე წარსადგომად თავისი წილი დანაშაულისათვის სასჯელის მოსახდელად. ავტორისეულ პოზიციაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ხსენებული პუბლიკაციიდან: „1924 წელს პარიტეტული კომიტეტის დავალებით მე ვიყავი სამხედრო ხელმძღვანელი ანტიბალშევიკური ოპერაციების სამეგრელოს-სვანეთში.

თვით აჯანყების დროს ჩემი თვალთ ვხედავდი, რომ ეროვნული აჯანყების მაგიერ ჩვენ ავანტიურის ცეცხლში გავხვიეთ ხალხი... აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ მე მოვხვდი საფრანგეთში და აქ

გავეცანი იმ ემიგრანტულ მენშევიკურ „მთავრობას“, რომლის იმედით და ინსტრუქციებით ვმოქმედებდით ჩვენ საქართველოში...

ვნახე ყოველივე ეს და დავრწმუნდი, რომ ემიგრაციის ლიდერები ილწვიან არა პატრიოტული, ეროვნული იდეალებისათვის, არამედ პირადი კეთილდღეობისათვის და სამშობლოს ჭირ-ვარამი აღარ აწუხებთ. ამიტომ მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, საჯაროდ ვაღიარო ჩემი შეცდომები ქართველი ხალხის წინაშე...

აჯანყების პოლიტიკა თავიდან ბოლომდის ავანტიურისტული პოლიტიკა იყო. ძველი მენშევიკური მთარობა და მისი მოკავშირე ემიგრანტული პოლიტიკური ჯგუფები ატყუებდნენ და დღესაც ატყუებენ ქართველ ხალხს და ამით უაზრო სისხლის ღვრას იწვევენ ჩვენს ქვეყანაში...

საბჭოთა საელჩოს და საკონსულოს საშუალებით მე მივმართე საქართველოს საბჭოთა მთავრობას ოფიციალური განცხადებით, რათა ნება დამრთონ, დავბრუნდე სამშობლოში და წარვსდგე სასამართლოს წინაშე“.

დ. მხეიძის ამ პუბლიკაციას თან ერთვის რედაქციის მინაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ პარიზის საბჭოთა საკონსულოსაგან მას უკვე ჰქონდა მიღებული ვიზა საქართველოში დასაბრუნებლად. როგორც დავით მხეიძის აღნიშნულ პუბლიკაციასთან დაკავშირებით გაზეთ „ახალი საქართველოს“ მომდევნო, მე-18, ნომერში რედაქციის მიერ გამოქვეყნებული განმარტებით ვიგებთ, („ჩვენი განმარტება დ. მხეიძის შესახებ“), ხსენებულ წერილს ქართველ ემიგრანტთა იმდენად ნეგატიური რეაქცია მოჰყოლია, რომ მისი ავტორი არანორმალურ პიროვნებად შეურაცხავთ და ფრანგი ექიმებისაგან შემდგარი კონსილიუმის მიერ დასმული დიაგნოზის საფუძველზე სულით დაავადებულთა საავადმყოფოში მოუთავსებიათ. „ახალი საქართველოს“ რედაქცია დ. მხეიძისადმი ქართველ ემიგრანტთა ამგვარი დამოკიდებულების გამო პროტესტს გამოთქვამდა და მას პროვოკაციის მსხვერპლად მიიჩნევდა. გაზეთის რედაქტორის შეფასებით, „ემიგრაციის ლიდერები ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რომ მათთვის უფრო საშიში იყო საბჭოთა ხელისუფლების ღმობიერება და ასეთი ამნისტიით ყოფილი ანტიბალშევიკების შერიგება“.

დასკვნა

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით გაზეთ „ახალ საქართველოში“ გამოქვეყნებული ზემოთ განხილული პუბლიკაციები კიდევ უფრო მეტად სრულყოფს და ახალი შტრიხებით წარმოაჩენს საბჭოთა ხელისუფლებასთან ცხადად თუ ფარულად დაკავშირებულ ქართველ ემიგრანტთა ცალკეული წარმომადგენლების პოზიციას ამ აჯანყების შემდგომ პერიოდში შექმნილი რეალობისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ახალი საქართველო 1924 – ქართველ პროფესორთა დეკლარაცია, გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1924, 5 ნოემბერი.
- ახალი საქართველო 1924 – განცხადება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა, გაზ. „ახალი საქართველო“, პარიზი, 1924, 5 ნოემბერი.
- ახალი საქართველო 1924 – დეკლარაცია ქართველ სტუდენტების კრებისა პარიზში. გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1924, 5 ნოემბერი.
- ახალი საქართველო 1925 – ნაციონალ-დემოკრატიული ახალგაზრდობის დეკლარაცია. გაზეთი „ახალი საქართველო“, ბერლინი, 1925, 15 თებერვალი.
- ახალი საქართველო 1925 – სტუდენტთა განცხადება ჰაიდელბერგიდან. გაზეთი „ახალი საქართველო“. პარიზი, 1925, 15 მაისი.
- ახალი საქართველო 1925 – ბერლინის სტუდენტთა დეკლარაცია. გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1925, 25 ივლისი.
- ახალი საქართველო 1926 – ჩვენი განმარტება, რედაქციის კომენტარი დ. მხეიძის წერილის შესახებ. გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1926, 5 იანვარი.
- ვეშაპელი 1924 – გრ. ვეშაპელი, აჯანყების შემდეგ (ქართული რეალური პოლიტიკისათვის), გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1924, 5 ნოემბერი.
- იმედაშვილი 2023 – ი. იმედაშვილი, ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. თბილისი, 2023.
- მხეიძე 1926 – დ. მხეიძე, გაზეთ „ახალი საქართველოს“ რედაქტორს. გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1926, 5 იანვარი.
- შარაძე 2001 – გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I. თბილისი, 2001.
- ხელაძე 1925 – ა. ხელაძე, წარსულის გაკვეთილი. გაზეთი „ახალი საქართველო“, პარიზი, 1925, სექტემბერი.
- ჯაფარიძე 1925 – ლ. ჯაფარიძე, ღია წერილში რედაქციის მიმართ. გაზეთი „ახალი საქართველო“, ბერლინი, 1925, 15 თებერვალი.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9394>

იტალიელი ისტორიკოსი და დიპლომატი
ლუიჯი ვილარი გურიის შესახებ

**The Italian Historian and
Diplomat Luigi Villari on Guria**

ოთარ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Otar Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ უცხოურ წყაროებს შორის გამორჩეულად საინტერესო ადგილი უჭირავს იტალიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის ლუიჯი ვილარის (Luigi Villari - 1876-1959) წიგნს „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ (Fire and Sword in the Caucasus), რომელიც პირველად 1906 წელს გამოიცა ლონდონში. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ლ. ვილარის მიერ სხვადასხვა ქვეყნის შესახებ დაწერილ შრომათა უმეტესობა უშუალოდ მის მიერ ნანახსა და მიღებულ შთაბეჭდილებებზეა დაფუძნებული, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის მათში მოცემულ ინფორმაციას. იტალიელი ავტორის ხსენებული წიგნის ღირსებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იგი, სწორედ, ასეთ ნაშრომს წარმოადგენს და „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ ჩვენს ქვეყანაში 1905 წელს ავტორის მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა ამსახველი დოკუმენტური ტექსტია. იგი ძალზე ფასეულ უცხოურ წყაროს წარმოადგენს, რადგან მასში საქართველოს არაერთი ქალაქი და კუთხეა აღწერილი და დახასიათებული. წარმოდგენილ ნაშრომში ამჯერად წიგნის მხოლოდ იმ მონაკვეთზეა გამახვილებული ყურადღება, რომელშიც 1905 წლის რევოლუციური მოვლენების დროს საქართველოში, კერძოდ კი, გურიაში განვითარებული მოვლენებია აღწერილი.

საკვანძო სიტყვები: უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, იტალიელი მოგზაურები საქართველოში, ლუიჯი ვილარი.

ABSTRACT

Among the foreign sources on Georgian history, a particularly valuable place is held by the work of the Italian historian and diplomat Luigi Villari (1876–1959), *Fire and Sword in the Caucasus*, first published in London in 1906. Notably, most of Villari's works on different countries are based directly on his personal observations and experiences, which enhances the reliability and significance of the information they contain.

The merit of the aforementioned book lies precisely in this: *Fire and Sword in the Caucasus* represents a documentary account of Villari's impressions during his travels in Georgia in 1905. The work is an especially valuable foreign source because it describes and characterizes numerous Georgian towns and regions.

In the present study, attention is focused specifically on the passages of Villari's book that detail the events in Georgia during the revolutionary upheavals of 1905, with particular emphasis on developments in the Guria region.

Keywords: Foreign sources about Georgia, Italian travelers to Georgia, Luigi Villari.

შესავალი

საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ უცხოურ წყაროებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალად უნდა მივიჩნიოთ იტალიელი ისტორიკოსისა და დიპლომატის ლუიჯი ვილარის (Luigi Villari - 1876-1959) წიგნი „ცეცხლი და მახვილი კავკასიაში“ (*Fire and Sword in the Caucasus*), რომელიც პირველად 1906 წელს გამოიცა ლონდონში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იტალიელი ავტორი წარჩინებული ოჯახის შვილი გახლდათ. კერძოდ, მისი მამა - პასკუალე ვილარი (Pasquale Villari - 1827-1917) ჯერ იტალიის სამეფოს XV მოწვევის საკანონმდებლო ორგანოს (1882-1886) წევრი იყო, შემდგომ წლებში (1891-1892) კი ამავე ქვეყნის სახალხო განათლების სამინისტროს ედგა სათავეში. რაც შეეხება ლუიჯი ვილარის დედას, იგი ბრიტანელი მწერალი და მთარგმნელი ლინდა უაითი (Linda White Mazini Villari - 1836-1915) გახლდათ, რომელიც პასკუალე ვილარისთან ქორწინებამდე აბრეშუმით მოვაჭრის - ვინჩენცო კონსტანცო მაზინის ქვრივი იყო.

ძალზე საინტერესო ბიოგრაფია გააჩნია თავად ლუიჯი ვილარისაც. თავდაპირველად იგი იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, რის შემდეგაც მცირე ხნით ჟურნალისტურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი და გაზეთის კორესპონდენტს წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპაში. ლ. ვილარი იტალიის ვიცე-კონსულის პოზიციაზეც მუშაობდა აშშ-ის სამ ქალაქში, კერძოდ: ნიუ-ორლეანში (1906), ფილადელფიასა (1907) და ბოსტონში (1907-1910). ევროპაში დაბრუნების შემდეგ იგი ჯერ იტალიის სამეფოს დელეგატი იყო პირველ უნივერსალურ საერთაშორისო

ორგანიზაცია ერთა ლიგაში, რის შემდეგაც იტალიაში არსებულ ემიგრაციის გენერალურ კომისარიატში განაგრძო მუშაობა. ლ. ვილარი სხვადასხვა დროს ძალზე აქტიურად თანამშრომლობდა როგორც „ენციკლოპედია ბრიტანიკასთან“, ისე „მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების იტალიურ ენციკლოპედიასთან“, რომლებშიც მისი მრავალი სტატია იყო განთავსებული. მას ასევე ბევრი წიგნი აქვს გამოცემული, მათ შორის სამოგზაურო ჟანრისაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ლ. ვილარი ე. წ. ორენოვან მწერალს წარმოადგენდა, რადგანაც მისი შრომები იტალიურ და ინგლისურ ენებზეა შესრულებული.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ლ. ვილარის მოგზაურული ჟანრის ნაშრომები უშუალოდ მის მიერ ნანახსა და მიღებულ შთაბეჭდილებებზეა დაფუძნებული, რაც კიდევ უფრო ფასეულს ხდის მათში მოცემულ ინფორმაციას. იტალიელი ავტორის ერთ-ერთ ასეთ წიგნს წარმოადგენს „ცეცხლი დამახვილი კავკასიაში“, რომელიც 1905 წელს აღნიშნულ რეგიონში მისი მოგზაურობის ამსახველი ნაშრომია. იგი ძალზე ფასეულ უცხოურ წყაროს წარმოადგენს, რადგან მასში საქართველოს არაერთი ქალაქი და კუთხეა აღწერილი და დახასიათებული. წარმოდგენილ ნაშრომში ამჯერად წიგნის მხოლოდ იმ მონაკვეთზე გამახვილებული ყურადღება, რომელშიც 1905 წლის რევოლუციური მოვლენების დროს ხდებოდა საქართველოში, კერძოდ კი გურიაში.

მეთოდები

წინამდებარე ნაშრომში უმთავრესად გამოყენებულია ისტორიციზმისა და კომპარატივიზმის მეთოდოლოგიური პრინციპები.

მსჯელობა

გურიაზე საუბრის დაწყების დროს ლ. ვილარი, პირველ ყოვლისა, ამ რეგიონის ზოგად შეფასებებს ახდენს და ძირითადად იქ მცხოვრებთა ხასიათის თავისებურებებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა ის შეფასება, რითაც იტალიელი ავტორი ადგილობრივთა მხრიდან ცარისტული კოლონიური რეჟიმისადმი დაუმორჩილებლობაზე საუბრობს. ამ შემთხვევაში აღსანიშნავი ისიცაა, რომ ნაშრომის ხსენებულ ეპიზოდში ლ. ვილარი მოსახლეობის რევოლუციური და ანტირუსული მოძრაობის დახასიათების დროს ქუთაისის მკვიდრთა გამორჩეულ როლსაც უსვამს ხაზს. ნათქვამის დასტურად, დავიმოწმებ შესაბამის ციტატას წიგნიდან:

„ქუთაისში ყოფნის ბუნებრივი დამატება ოზურგეთში ვიზიტია. ქუთაისი ქართული მოძრაობის ცენტრია, სადაც იდეები განიხილება და გეგმები მწიფდება. სისუსტის მიუხედავად, იქაური მთავრობა მოჩვენებითად მაინც ახორციელებდა თავის ძალაუფლებას. ოზურგეთში გარკვეული იდეები და გეგმები განხორციელდა, გლეხთა თვითმმართველობაში კი ძალიან საინტერესო პრაქტიკული ექსპერიმენტი გაკეთდა. გურია, რომლის დედაქალაქიცაა ოზურგეთი, ქუთაისის გუბერნიის მაზრაა, სადაც ქართული ხასიათის ყველა თავისებურება ყველაზე მძაფრადაა გამოხატული. გურულები არიან ყველაზე მამაცნი და მეომარნი, ყველაზე

რაინდულნი, ყველაზე სიმპათიურნი, ყველაზე სტუმართმოყვარენი, ყველაზე განათლებულნი, თუმცა ყველაზე არაპრაქტიკულნი ქართველთა შორის. ყველა სოფელს აქვს თავისი ბიბლიოთეკა. მთავრობის ფოსტის სადგურებიდან ყველაზე შორს მდებარე სოფლებსაც კი აქვთ საკუთარი საფოსტო სერვისი, რათა მიიღონ ყოველდღიური ბიულეტენები ტფილისიდან, ბათუმიდან და რუსეთიდან. ბოლო ორი წლის განმავლობაში ისინი პრაქტიკაში ახორციელებდნენ სოციალ-დემოკრატიის თეორიებს, ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის მთავრობას და უარს აცხადებდნენ აღიარონ ნებისმიერი მმართველობა, საკუთარის გარდა“ (Villari 1906: 84).

იტალიელმწერალს ძალზე საინტერესო და აქვს აღწერილი მისი გურიაში გამგზავრების ეპიზოდი. მასში არა მხოლოდ იმ ფაქტორების შესახებაა მოთხრობილი, რაც ლ. ვილარისა და მის მხლებლებს გადახდათ თავს ამ მოგზაურობის დროს, არამედ იმ გამორჩეულ მასპინძლობაზეც, რომელმაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ევროპელ დიპლომატზე. წიგნის ამ მონაკვეთში იტალიელი ავტორი თავის ერთ-ერთ თანამგზავრზე, დასავლეთ ევროპიდან ჩამოსულ ქართველ რევოლუციონერზე საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ ლ. ვილარი მის ზუსტ ვინაობას არ ასახელებს და მას მხოლოდ ინიციალებით მოიხსენიებს, ტექსტზე დაყრდნობით დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ეს პიროვნება ფართო საერთაშორისო კავშირების მქონე იმ ავტორიტეტულ ადამიანს წარმოადგენდა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებდნენ აჯანყების მოთავენი გურიაში. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოვიყვან სათანადო ადგილებს წიგნიდან:

„ბუნებრივია, ძალიან ვღელავდი ამ მაზრაში მეფის დომინიონების პირველი ნაწილის ხილვით. მინდოდა, მცირე ხნით მაინც დავმტკბარიყავი თავისუფლებითა და ზოგიერთ მეგობართან ერთად ქუთაისში ყოფნითა და მათთან ურთიერთობით. ამ ადამიანებისაგან შევიტყვე, რომ მომდევნო კვირას ოზურგეთში იმართებოდა დიდი კრება, რომელსაც ყველა პარტიისა და ოლქის დელეგატები უნდა დასწრებოდნენ, რათა განეხილათ სამოქმედო გეგმა როგორც კავკასიაში პირველად შეყვანილ ზემსტვასთან დაკავშირებით, ასევე ხელისუფლების წინააღმდეგ მომავალში დასაგეგმი ღონისძიებები. ქუთაისის სამმა დელეგატმა მთხოვა მათთან ერთად მემგზავრა, რაზეც, ბუნებრივია, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი...

დაიგეგმა, რომ დელეგატებს ქუთაისის სადგურზე შევხვდებოდით და მათთან ერთად გავემგზავრებოდით. მატარებელი შუადღის 2 საათზე, სექტემბრის ძალიან ცხელ დღეს, უნდა გასულიყო. სადგური ხალხით იყო გადაჭედილი, რადგან მიუხედავად ქვეყნის არამდგრადი მდგომარეობისა, შაბათს ბევრი ადამიანი გადიოდა ქალაქგარეთ კვირადღის სასიამოვნოდ გასატარებლად. დელეგატებიდან მხოლოდ ორი მოვიდა, მესამე - მ. ზ. კი იძულებული გახდა შემოვლითი გზით წასულიყო, რადგან იგი პოლიციის მიერ იყო ძებნილი... ორივე დელეგატი (რომლებიც კარგად საუბრობდნენ ფრანგულად) ნამოგზაურები იყვნენ ევროპაში და ფედერალისტური პარტიის რადიკალურ, რევოლუციურ ფრთას მიეკუთვნებოდნენ...

სამტრედიის გაჩერების დროს, სადაც უფრო მეტი ხალხმრავლობა იყო, ჩემი თანამგზავრები საიმედოდ დაიმალნენ, რადგან ხელისუფლებას გაეგო ოზურგეთის შეკრების შესახებ და ბაქანზე ჟანდარმები და ჯარისკაცები იმყოფებოდნენ. ამასობაში ზ. შემოგვიერთდა. იგი განსაკუთრებულად საინტერესო პიროვნებაა და მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათი წლისაც არ არის, ძალიან მშფოთვარე ცხოვრება გამოიარა. ის ქართველია. თავისი პოლიტიკური იდეების გამო ეს პიროვნება რუსეთის იმპერიიდან იყო გადასახლებული. იგი ევროპაში წავიდა და მეცნიერებას შეწევდა, პარიზსა და ლონდონში სწავლობდა. მაგრამ მას იქაც კი შეექმნა პრობლემები ხელისუფლებასთან, რადგან ყოველთვის აერთიანებდა და თავგაცობდა ანარქისტებს, სოციალისტებსა და უკიდურესი შეხედულებების მქონე სხვა პირებს... ქართულის გარდა ის ფლობს ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და რუსულ ენებს და მჭიდრო კავშირშია ევროპის ყველა ქვეყნის რევოლუციონერ ლიდერთან. ახლა, როდესაც მისი მიწა-წყალია აჯანყებული, იგი დაბრუნდა უკან მოგონილი სახელით, რათა თავისი წვლილი შეეტანა ამ ამბოხში. როგორც ამბობდნენ, ის ძალიან მჭევრმეტყველი მოსაუბრე იყო და რევოლუციურ შეკრებებზე ძალიან პოპულარულ პიროვნებას წარმოადგენდა. ახალგაზრდა, სიმპათიურ, მიმზიდველ, ფანატიზმის ზღვარზე მყოფ ენთუზიასტს, კულტურულსა და ინტელექტუალსა და რამდენადმე არაპრაქტიკული შეხედულებების მქონე ამ პიროვნებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს ბედის განსაზღვრაში. ის გარკვეული პერიოდი ქუთაისში ისე იმყოფებოდა, რომ პოლიციას არ შეუწუხებია; მაგრამ ოზურგეთში გამგზავრების წინა დღეს დაუსწრებლად გაასამართლეს. მიმალვაში მყოფმა ამ პიროვნებამ კარგად იცოდა, რომ თუ სადგურში სხვებთან ერთად წავიდოდა, მასთან მყოფ ყველა პირსაც დააპატიმრებდნენ. ამიტომ დანარჩენებს აცნობა, რომ მათ მოგვიანებით შეუერთდებოდა. ამიტომაც ქუთაისიდან იგი მარტო წავიდა მეზობელ სოფელში, სადაც იშოვა მანქანა, სადგურში მივიდა და ჩვენს მატარებელში ჩაჯდა.

ნატანებთან გადმოვედით, ეტლი დავიქირავეთ და ოზურგეთისკენ გავეშურეთ. როგორც კი რკინიგზას გავცდით, დავმშვიდდით, რადგანაც დაპატიმრების საშიშროებას თავი დავადწიეთ და უკვე თავისუფალ გურიაში ვიმყოფებოდით, სადაც რუსული სასამართლო გადაწყვეტილებები აღარ მუშაობს, ჟანდარმები, პოლიცმაისტერები, პრისტავები და წვრილი თავადაზნაურობა კი მხოლოდ ფიქციაა. უკვე ღამეა და წინ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. გზა კი რუსულია და შესაბამისად ცუდიც... გზაზე ვხვდებით რამდენიმე ადგილობრივ ეტლსა და ფეხით მოსიარულე ადამიანებს, უფრო იშვიათად - ცხენზე მჯდომ გლეხს. ხშირად ვჩერდებით გზისპირა სასტუმროებსა თუ კოტეჯებში, რათა დავასვენოთ ცხენები და საშუალება მივცეთ ჩვენს მეეტლეს, სული მოითქვას. „გაქვს რამე?“ - მეკითხება ჩემი ერთ-ერთი თანამგზავრი. „რამე“ რევოლვერს ნიშნავდა და ფაქტმა, რომ მე ის არ მქონდა, გარკვეული გაოცება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, მთელი კავკასია იარაღის გარეშე, მხოლოდ ჯოხითა და ქოლგით

მოვიარე, ხელჯოხი კი დავკარგე, მაგრამ მთელი ამ დროის განმავლობაში მე არასოდეს დამჭირვებია იარაღი. ეს მაშინ, როდესაც ადამიანები ასე არიან დაკავებულნი ერთმანეთისთვის ყელის გამოჭრით. მათ ცოტა დრო აქვთ იმისთვის, რომ უცნობებს რაიმე დაუთმონ და პირველი შესაძლებლობისთანავე ცდილობენ ისაუბრონ იმ პიროვნებასთან (ტექსტში ზემოთ მოხსენიებულ რევოლუციონერთან - ო. ნ.) მათ დამოკიდებულებაზე, რომელმაც, მათი აზრით, აქ არსებული მდგომარეობის შესახებ სიმართლე უნდა უთხრას ევროპას.

თერთმეტ საათზე უკვე ოზურგეთში ვართ. იდუმალი ფიგურები ჩერკესკებსა, ან რუსი სტუდენტების კიტელებში გამოდიან სიბნელიდან და ჩურჩულით ესაუბრებიან ჩემს კომპანიონებს. ჩვენ რამდენიმე სახლში გაგვანაწილეს, თავად მე კი სტუმართმოყვარეობა ქართველი ვაჭრის სახლში განვიცადე, რომლის შვილებიც მგზნებარე რევოლუციონერები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი იქ სტუმრობა მოულოდნელი იყო, მე ყოველთვის გამახსენდება ყველაზე გულწრფელი მიღება და ქართველების გულუხვი სტუმართმოყვარეობა“ (Villari 1906: 86-89).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ლ. ვილარის განსახილველი წიგნი, ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისის გარდა, იმდროინდელი ყოფისა და ადათ-ტრადიციის ამსახველი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებიცაა. მაგალითად, ოზურგეთში, ქართველ მასპინძელთან ცხოვრების აღწერის დროს, იტალიელი მწერალი არა მხოლოდ იქაურ საცხოვრებელ გარემოსა და ყოველდღიურ რუტინას აღწერს დეტალურად, არამედ აღფრთოვანებასაც კი გამოხატავს მასპინძელთა მხრიდან გამოჩენილი სტუმართმოყვარეობის გამო. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ თავად ავტორის სიტყვებს:

„ოზურგეთის სახლები პატარა და ძალიან უბრალოა. მათგან მხოლოდ მცირე რაოდენობაა ერთსართულიანზე მეტი, ხისგან და ბათქაშით ნაშენები და მიწის მაღლა გროვავს აღმართული. თითოეული სახლი დგას ხეხილის ბაღში და აქვს რამდენიმე ფართო ვერანდა. ის, სადაც მე ვიყავი, მოიცავდა საკმაოდ დიდ მისაღებს, სასადილო ოთახსა და ორ-სამ საძინებელს. აგეჯი, ესთეტიკური თუ არა, კარგი და უნაკლოდ სუფთა იყო. ეს არის დეტალი, რომელსაც ადამიანი კავკასიურ სასტუმროებში დარჩენის შემდეგ გამოარჩევს. კერძოდ, აქ იყო ჩვეულებრივი ტაკტასები (takktas) თავიანთი ლამაზი აღმოსავლური ხალიჩებით, გერმანული ფორტეპიანოთი და ფოტოებისა და ღია ბარათების დიდი კოლექციებით კედლებზე. თავისუფალი ოთახი არ არსებობდა. მისაღებში საწოლები ჩემთვის და ზ-სთვის იყო გაწყობილი. საწოლის გაკეთება მარტივი ოპერაციაა: ხალიჩას აშორებ ტაკტასს, მის ადგილას ერთ ზეწარსა და საბანს დებ და სულ ესაა. დილით ჩემი მასპინძლის შვილმა ტაშტი და დოქი შემომიტანა და ხელებზე წყალი დამასხა. სანამ მე დავიბანდი, სამუშაოები ვერანდაზე მიმდინარეობდა. ჩვენი ადგომიდან ხუთ წუთში ბინა ისე გადააკეთეს სალონად, რომ საძინებლის კვალიც არ დარჩენილა. ასეთ პირობებში ცხოვრება მართლაც მარტივია. ქართულ სახლში კვება ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთ ევროპისგან. დილით,

სამოვარის ანთებისთანავე, ოჯახი იკრიბება სასაუზმოდ მაგიდასთან, რათა მსუბუქად მიირთვან ორთქლზე მოხარშული ჩაი, კვერცხი და პური. თერთმეტზე მეორე საუზმისმაგვარი გვექონდა ყავითა და პურით. 3 საათზე კი სადილი იწყება ერთი ჭიქა არაყითა და საუზმით, რომელიც შედგება კვერცხის, პომიდვრის, სიმინდის, მარილიანი ქაფშიისაგან, რასაც მოჰყვება წვნიანი, კალმახი, შემწვარი ხორცი, ხილი და ღია წითელი ღვინო შეუზღუდავი რაოდენობით... ვახშმის დროს ჩემი მასპინძლის ორი ვაჟი, რომელთაგანაც ორივეს შესანიშნავი ხმა ჰქონდა, პერიოდულად ქართულ საქეიფო სიმღერებს მღეროდა. საუბარი თითქმის მთლიანად ქართულად მიმდინარეობდა, მაგრამ ერთ-ერთი ახალგაზრდა, რომელიც საფრანგეთში სწავლობდა და ბევრს მოგზაურობდა, მათ ლაპარაკს მითარგმნიდა.

ოზურგეთის სასიამოვნოდ ლამაზი პატარა ქალაქი ამდინარე ნატანებზე, დაახლოებით 8 000 მოსახლეობით... მას აქვს ფართო, მოასფალტებული ქუჩები, რომელიც ძირითადად ხის პატარა სახლებითაა დამშვენებული... აქ არის ბაზარი ჩვეულებრივი, ღია აღმოსავლური ჯიხურებით და ბულვარი, ანუ საჯარო ბაღი, სადაც დროდადრო ბენდი უკრავს და შეხვედრები იმართება... მთელ ამ ადგილს ყველაზე მშვიდი სოფლის სახე აქვს და ვერავინ ვერასდროს იეჭვებს, თუ რა სასტიკი ვნებები იწვის ამ იდილიური ექსტერიერის ქვეშ და რა მწარე სიძულვილია ხალხში ცარიზმის მიმართ, მისი ასწლიანი ბოროტული მმართველობიდან გამომდინარე“ (Villari 1906: 89-91).

ლ. ვილარის მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ღირსებად აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ გურიაში არსებულ რევოლუციურ სიტუაციაზე საუბრის დროს ავტორი არა მხოლოდ დეტალურად აღწერს ადგილზე იქ არსებულ იმ ვითარებასაც, რომლის უშუალო თვითმხილველიც თავად გახლდათ. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის მკაცრი შეფასებები, რასაც იტალიელი დიპლომატი აძლევს ცარისტული ხელისუფლებისა და მისი მმართველების მიერ საქართველოში განხორციელებულ რეპრესიულ კოლონიურ პოლიტიკასა და მის შედეგებს. მაგალითად:

„გურული (რევოლუციური – ო. ნ.) მოძრაობა დაახლოებით ორი წლის წინ წარმოიშვა სოციალ-დემოკრატების ძლიერი პროპაგანდის შედეგად, რომელიც შერწყმულია ხალხის ნაციონალისტურ გრძნობებთან, რასაც, თავის მხრივ, ქართული პრესაც უწყობდა ხელს. იგი დაიწყო ქირის შემცირების მოთხოვნით და სახელმწიფოს მიერ გლეხთა მიწების უზურპაციის წინააღმდეგ გამოხატული პროტესტით. ბათუმში სამუშაოდ წასული გურულები რევოლუციურ აგიტატორებს დაუკავშირდნენ და შინ დაბრუნებულებმა მალევე გააჩაღეს პროპაგანდა სოფლებში. ამის შემდეგ იყო უარი მთავრობისთვის გადასახადების გადახდაზე, რადგან ისინი ხალხის თანხმობით არ იყო დაწესებული. „რატომ უნდა განაგრძოს გურია, თავისი 100 ათასიანი მოსახლეობით, რუსებისათვის წელიწადში 250,000-300,000 რუბლის გადახდა მაშინ, როცა თავად მაზრისთვის კი (იგულისხმება ოზურგეთის მაზრა, რომელიც 1829 წელს გაუქმებული გურიის სამთავროს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა. 1840 წელს დროებითი

მმართველობის გაუქმების შემდეგ კი იგი ადმინისტრაციულად ქუთაისის გუბერნიის დაქვემდებარებაში შევიდა – ო. ნ.) მხოლოდ 20 ათასი ძლივს იხარჯება, ხოლო თანხის უმეტესობა პოლიციასა და მისი თანამდებობის პირებზე ნაწილდება, რომლებიც ჩვენ არ გვინდა?“ – მითხრა ჩემმა ერთმა მეგობარმა.

გურულებმა რუს ჩინოვნიკებს პრაქტიკულად ბოიკოტი გამოუცხადეს და არც ერთი ფიქრობს, რომ ხელისუფლების წარმომადგენელს ამ უსამართლობის გამო დასახმარებლად რამეზე მიმართოს. იქ უეზდნი ნაჩალნიკი (მაზრის გამგებელი), პოლიციის უფროსი, მოსამართლეები და მოსკოვური ბიუროკრატის ყველა ატრიბუტია წარმოდგენილი, მაგრამ მათ საქმე აღარ აქვთ. ყაზარმებში არის რამდენიმე ჯარისკაცი, მაგრამ მოძრაობის პირველ დღეებში გლეხები თავს არიდებდნენ მათთან შეჯახებას, რათა ამ ადამიანებს (რუსებს – ო. ნ.) არ მისცემოდათ საბაზი ძალადობრივი რეპრესიების გასატარებლად; თუმცა ბოლო დროს სისხლიანი შეტაკებები მაინც იყო. მართვა-გამგეობას თავად მოსახლეობა ახორციელებდა ყველაზე კომუნისტური წესით, თითოეულ ადამიანს კი ახლაც შეაქვს თავისი ფულადი ან შრომითი წილი საზოგადო კეთილდღეობისთვის. ისინი ცვლაში მუშაობდნენ გზებისა და ხიდების შესანარჩუნებლად. მათ შორის ზოგჯერ დიდებულებსაც, მღვდლებსაც და მაღაზიის მეპატრონეებსაც ნახავდით, რომლებიც შეუპოვრად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს. მშობლიურმა სკოლებმა რუსულის ადგილი დაიკავა და ბავშვებს ქართულ ენაზე სოციალისტური პრინციპებით შერწყმულ სამ რ-ს ასწავლიან.

მაგრამ გურული ექსპერიმენტის ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი გამოვლინება, ალბათ, გლეხების მიერ მართლმსაჯულების აღსრულებაა. ეს გარკვეულწილად ადამიანური ინსტიტუტების ყველაზე პრიმიტიულ ფორმებთან დაბრუნებაა და უნიკალური მოვლენაა თანამედროვე დროში. საქართველოში მოსახლეობის ერთ-ერთ უმთავრეს წყენას რუსული მართლმსაჯულების არაეფექტურობა და იქ არსებული კორუფცია წარმოადგენდა, რის გამოც ისინი მუდმივად, თუმცა უშედეგოდ, ითხოვდნენ მის რეფორმირებას. როდესაც გურულებმა ავტონომია დააფუძნეს, მათ მაშინვე გამოუცხადეს ბოიკოტი რუსულ მართლმსაჯულებას და საკუთარი სასამართლო ჩამოაყალიბეს. მათ ძალიან მალე ისეთი პრესტიჟი და პატივისცემა დაიმსახურეს, რომ საქმის გასასაჩივრებლად ოფიციალური სასამართლოებისთვის არც ერთ გურულს არ მიუმართავს. არაკონტროლიდებადი გახლდათ სისხლის სამართლის სასამართლოებიც, რადგან პოლიცია ვეღარ ბედავდა ვინმეს დაკავებას და ვერც სახელმწიფო ახორციელებდა მათ დევნას. ორივე, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის, საქმეები წარიმართებოდა ნაროდნი სუდში (სახალხო ტრიბუნალში), რომელიც ასევე მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა დავების დარეგულირებაში. როდესაც დანაშაული ჩადენილია, მთელი საზოგადოება თავის მოვალეობად თვლის ითანამშრომლოს კრიმინალის დასაჭერად, რის შედეგადაც ყაჩაღობა და ძარცვა მნიშვნელოვნად შემცირდა. რუსული რეჟიმის პირობებში ეს დანაშაულები ძალიან გავრცელებული იყო, რადგანაც მათ ჩამდენებს

იშვიათად აკავებდნენ ან სჯიდნენ. მაგრამ ნაროდნი სუდი უფრო შორს მიდის და მაცხოვრებლების პირად მორალსაც კი იკვლევს. ნებისმიერი მამაკაცი, რომელიც მრუშობს ქალთან, ექვემდებარება დევნასა და დასჯას. ეს არის ერთგვარი პროტესტი მორალდაკარგული რუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ...

გზაზე მიმანიშნეს პატარა, ჩაკეტილი და მიტოვებული შენობა. ეს იყო ოფიციალური სასამართლოს სამყოფელი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაკეტილი იყო, რადგან საქმეთა წარმოება იქ აღარ მიმდინარეობდა. მაზრის გამგებელი საკუთარ პოპულარიზაციას იმით შეეცადა, რომ თავს სოციალ-დემოკრატი უწოდა... ცოტა მოშორებით მაჩვენეს სხვა სამთავრობო უწყებები, სადაც რუსი ჩინოვნიკები უსაქმურ დღეებს ჩაის სმასა და სიგარეტის წევვაში ატარებდნენ. სოფლის ბოლოს არის ყაზარმები, რომლებშიც ქვეითთა ასეული იყო განთავსებული. აქ, რა თქმა უნდა, „რესპუბლიკის“ რეალური საფრთხე არსებობდა, მაგრამ ჯარი თითქმის უძლური გახლდათ, რადგან ყველა გურული შეიარაღებული იყო. მე მომიყვანეს ათასობით შეიარაღებული გურულის ხშირი შეკრების შესახებ, რომლებიც სამხედრო მანევრებს ატარებდნენ სროლებსა და სხვა საომარ სწავლებებში, მათ შორის სასწრაფო დახმარების აღმოჩენაშიც. სროლა ინტენსიურად მიმდინარეობს როგორც თურქეთის საზღვართან, ისე ზღვაზე, რის შედეგადაც გურულები ხანდახან სახელმწიფო იარაღის საწყობების ხელში ჩაგდებასაც ახერხებენ.

(რევოლუციურ – ო. ნ.) მოძრაობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ერთსულოვნება, რის შედეგადაც იგი ხორციელდება. ამით ყველა კლასი თანხმდება რუსეთის ხელისუფლებისგან თავის დაღწევის აუცილებლობაზე. სხვადასხვა პარტიები ერთმანეთში კამათობდნენ მომავალი მმართველობითი ფორმის შემოღებასთან დაკავშირებით, თუმცა გრანდიოზული შეკრება, რომელზეც მეც ვიყავი მიწვეული, არასოდეს გამართულა, რადგან სოციალისტები და ფედერალისტები ერთმანეთს არ უსმენდნენ; მიუხედავად ამისა, ის, რომ გურულებმა უნდა მართონ საკუთარი ქვეყანა, ერთხმად იქნა აღიარებული. თვით მემამულეების უმეტესობაც კი, რომლებმაც ახალი შეთანხმებით თავიანთი შემოსავალი დაკარგეს, სრულად ეთანხმებოდნენ ამას. „თუ მათ (რუსებს) სურთ აღადგინონ მმართველობის ძველი ფორმა, - განაცხადა ერთმა გურულმა, - ბოლო კაცამდე უნდა დაგვხოცონ, მანამდე კი ჩვენ წინააღმდეგობას გავაგრძელებთ“. ტფილისის ერთ-ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმა აღიარა, რომ მოძრაობასთან გამკლავება ყველაზე რთული იყო, „რადგან ეს არ არის მხოლოდ გარე აგიტატორების საქმიანობის შედეგი; მას მხარს უჭერს მთელი მოსახლეობა“. თავად გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა მითხრა, რომ გურიის დამშვიდების ერთადერთი გზა ფართო და ლიბერალური დათმობები იყო და რომ ის მიზნად ისახავდა ნაროდნი სუდის დარეგულირებასა და ლეგალიზებას, „რომელიც უფრო პატიოსნად და ეფექტურად ახორციელებს მართლმსაჯულებას, ვიდრე სახელმწიფო სასამართლოები“ (Villari 1906: 91-99).

დასასრულ, ცალკე უნდა გამოვყოთ ის კეთილგანწყობა და მაღლიერება, რომელიც ლ. ვილარმა გურულებისა და საერთოდ მთელი

ქართველი ხალხისადმი გამოხატა ჩვენს ქვეყანაში სტუმრობასთან დაკავშირებით. კერძოდ, იტალიელი დიპლომატი უდიდესი გულისტკივილით საუბრობდა იმ სასტიკ მეთოდებზე, რითაც ცარისტულმა რუსეთმა ჩაახშო გურიაში მიმდინარე რევოლუციური მოვლენები და გამოთქვამდა იმედს, რომ ამ მხარეს გაცილებით უკეთესი მომავალი ექნებოდა, ვიდრე იმხანად არსებული დროება იყო. ნათქვამის დასტურად, დავიმოწმებ თავად ავტორის სიტყვებს:

„ოზურგეთიდან ჩემი წასვლის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა. რუსეთის მთავრობის პოლიტიკა დათმობასა და იძულებას შორის მონაცვლეობდა. სანამ პეტერბურგიდან უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორი გაიგზავნა ნაროდნი სუდისა და კომუნისტური მმართველობითი მეთოდის შესასწავლად, მან ეგზეკუციების სერია გახსნა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე სოფლებში გაგზავნა და განათავსა კაზაკთა რაზმები. უიმედო ბრძოლები მიმდინარეობდა ოზურგეთსა და მის მიდამოებში. ისევ და ისევ ხდებოდა სარკინიგზო ხაზების გადაჭრა, რის გამოც რამდენიმე სამხედრო მატარებელი რელსებიდან გადავიდა და ამ შემთხვევებს დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ასევე ყოველდღიურად ესხმოდნენ თავს სამხედროებს ფრონტის ხაზის გასწვრივ. მაგრამ, როდესაც ჯარებმა წარმატებას მიაღწიეს, მათ უმოწყალოდ დახოცეს გურულები და მთელი პროვინცია სისხლით მორწყეს. რა ბედი ეწიათ ჩემს კეთილ მასპინძლებს ოზურგეთში, არ გამიგია, რადგან თითქმის არცერთი წერილი არც შედის და არც მიდის ამ მღელვარე ქვეყანაში. არასოდეს დამავიწყდება მათი თბილი სტუმართმოყვარეობა და მხოლოდ იმის იმედი მაქვს, რომ ამ გალანტურ და დამოუკიდებელ პატარა საზოგადოებას უფრო ბედნიერი მომავალი ელის“ (Villari 1906: 99).

დასკვნა

მოკლედ, ამგვარია ის მოსაზრებანი და შეფასებები, რომელთაც იტალიელი ისტორიკოსი და დიპლომატი ლუიჯი ვილარი საქართველოში 1905 წელს თავის მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა მოთხრობის დროს გვაწვდის გურიის შესახებ. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ, გარკვეულ ცდომილებათა და უზუსტობათა მიუხედავად, ლუიჯი ვილარის მოგზაურულ შთაბეჭდილებათა ხსენებული წიგნი უნდა მივიჩნიოთ შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის შესასწავლად საგულისხმოდ ფასეულ წერილობით დოკუმენტად.

გამოყენებული ლიტერატურა

გურული 2019 – ვ. გურული, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი III. თბილისი, 2019.

Villari 1906 – L. Villari, Fire and Sword in the Caucasus. London, 1906.

<https://peoplepill.com/people/pasquale-villari> (დამოწმება: 18.03.2025)

<https://peoplepill.com/people/linda-white-mazini-villari> (დამოწმება: 18.03.2025)

https://dbpedia.org/page/Luigi_Villari (დამოწმება: 18.03.2025)

**ზოგი სიტყვაფორმის
სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტები გურულში**

**Structural-semantic variants
of some word-forms in Gurian**

რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Rusudan Saginadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

დიალექტის, როგორც ენის სისტემის ერთ-ერთი ქვესისტემის, მონაცემთა შესწავლას ენის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ქართული ენის დიალექტთა შორის გურულს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან მოგვეპოვება. იგი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. გურულ კილოს მიემღვნა მრავალი ნაშრომი, რომელთა ავტორები განიხილავდნენ როგორც საკუთრივ გურულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ მოვლენებს, ასევე, მის მიმართებას ქართული ენის სხვა დიალექტებთან და საერთოქართველურ დონეზე.

ჩვენი კვლევის მიზანია, დიალექტური ნაირსახეობების, კერძოდ, ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტების გამოვლენა გურულში და გაანალიზება ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა კილოთა მონაცემებთან შედარება-შეჯერების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნაკვლევაა, ეს თემა აქტუალობას არ კარგავს დღემდე. ამასთან, ლექსიკოლოგიის დონეზე კვლევა აუცილებელია არა მარტო ლექსიკოგრაფიული, არამედ ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

გურული დიალექტის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და სალექსიკონო მასალების მონაცემთა გათვალისწინებით ნაშრომში ზოგი სიტყვაფორმის სტრუქტურულ-სემანტიკურ ვარიანტებს განვიხილავთ ქართული ენის სხვა კილოებთან მიმართებით. გამოვყოფთ როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფორმებსა და მათ სემანტიკურ ველში არსებულ სხვა ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა, მაგალითად: ნუსხა > აღნუსხვა, მონუსხვა... მანანა > გამომანანება... ხლართი > დახლართვა... ნაფცქენი > გაფცქენა... ნარდი, ტიალი, ბრაზი, ეტლი, უნიაგაბო, ბუტია, გაზუთხული, ხიმენჯი/ხენჯი, დაზავება, შენელება, გამართვა, დამოწმება, უტიკტიკებს...

აგრეთვე, სამეურნეო დანიშნულების ტერმინებს: ნაძირა/ე-ი, ნეკი, სასულე, ღილი, ხმალი. ამ სიტყვაფორმათაგან უმრავლესობა გურულში გვხვდება განსხვავებული მნიშვნელობით (ზოგჯერ სტრუქტურულად).

გურული დიალექტისთვის დამახასიათებელ სიტყვაფორმათა სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტების სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა კილოების მონაცემებთან შედარება-შეჯერება იძლევა საინტერესო სურათს, შედეგებს არა მარტო ეტიმოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული, არამედ, ზოგადად, ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც.

საკვანძო სიტყვები: გურული დიალექტი, დიალექტური ლექსიკა, ლექსიკოგრაფია.

ABSTRACT

The study of dialect, as one of the subsystems of the language system, is of great importance for the development of language.

Among the dialects of the Georgian language, Gurian holds a special place. Information about it dates back to the 18th century. It has been studied quite well. Many works have been devoted to Gurian dialect, the authors of which discussed it as individual phenomena characteristic of Gurian itself, as well as its relationship to other dialects of the Georgian language and the general Georgian level.

The objective of our research is to identify dialectal varieties, in particular, structural-semantic variants of lexical units in Gurian and analyze them on the basis of comparison and reconciliation with the data of the Georgian literary language and other dialects. Despite the fact that this issue has been studied before, this topic does not lose its relevance to this day. In addition, research at the level of lexicology is necessary not only from the lexicographic point of view, but also from the point of view of the history of the language.

Taking into account the data of the existing scientific literature and lexical materials about the Gurian dialect, the paper discusses the structural-semantic variants of some word forms in relation to other dialects of the Georgian language. We will distinguish between both the noun and the verb forms and other lexical units in their semantic field, such as, for example, *nuskha* (list) > *aghnuskhva* (to list), *monuskhva* (listing)... *Manana* (A silkworm that is stunted and late to emerge from the cocoon) > *gamomananeba* (Separately separating manana worms, feeding them, and making a separate enclosure for them), *khlarti* (knot) > *dakhlartva* (knotted)... *naptskveni* (peelings) > *gaptskvna* (to peel)... *nardi* (gossip or sparrow-hawk), *tiali* (of light colour), *brazi* (A dog illness that causes the dog to cough), *etli* (A harmless, obedient person), *lengera* (thick strong stick), *uniagabo* (unpleasant, unsuitable) *butia* (If a chicken has thick feathers on its ears and looks proud), *gazutkhuli* (lying flat), *khimenji/khenji* (Precipitation, sediment), *dazaveba* (too tired), *sheneleba* (to reprimand, to punish), *gamartva* (to train), *damotsmeba* (passing on), *utiktikebs* (babbling)... as well as agricultural terms: *nadzira/e-i* (Garbage accumulated on a silkworm cocoon), *neki*

(The part of an old cart (a wooden cart) that is attached to a sword), sasule (Air outlet hole from the pitcher), ghili (tag), khmali (The part of a plank cart that is lowered into a broken plank and on which ribs are placed). Most of these word forms are found in Gurian with different meanings (sometimes structurally as well).

The discussion of the structural-semantic variants of the word form characteristic of the Gurian dialect through comparison and reconciliation with the data of the literary language and other dialects of the Georgian language provides an interesting picture, results not only from the etymological-lexicographic point of view, but also, in general, from the point of view of the history of language development.

Keywords: Gurian dialect, dialectal vocabulary, lexicography.

შესავალი

დიალექტების მონაცემთა შესწავლას ენის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავდა, „დიალექტი არის საერთო ეროვნული ენის ნაირსახეობა და არა დამოუკიდებელი ენობრივი სისტემა... ენის შესწავლა მისსავე დინამიკაში ვარაუდობს დიალექტური მოვლენების განხილვას ერთი სისტემის ვარიაციულობის, ანუ: ნაირსახეობის დონეზე“ (ჯორბენაძე 1989: 17).

ჩვენი კვლევის მიზანია, დიალექტური ნაირსახეობების, კერძოდ, ლექსიკურ ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტების გამოვლენა გურულში და გაანალიზება სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა კილოთა მონაცემებთან შედარება-შეჯერების საფუძველზე.

გურულს ქართული ენის დიალექტთა შორის ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი უჭირავს. იგი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. მის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან მოგვეპოვება. „ენა-ტკბილმოუბარენი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხუასა“, – ასე ახასიათებდა ქართველი გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი გურულების მეტყველებას (იმნაიშვილი 2006: 5).

ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს (1802-1880) მიერ გურული მოხსენებულია კახურის, იმერულისა და ქართლურის გვერდით.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, პირველი მონოგრაფიული გამოკვლევა გურული კილოს შესახებ ეკუთვნის სერგი ჟღენტს. მან სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის გამოყო და მიზნად დაისახა, გაერკვია, თუ რა ადგილი უჭირავს გურულს ქართული ენის სხვა დიალექტთა შორის და რა მიმართებაშია მათთან (იქვე: 7).

ს. ჟღენტის ამ მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გურულ კილოს მიეძღვნა მრავალი ნაშრომი¹, რომელთა ავტორები განიხილავდნენ როგორც

¹ გურული კილოს შესახებ არსებულ ნაშრომთა მიმოხილვა მოცემულია გრ. იმნაიშვილის წიგნში „გურული დიალექტი (შესწ. ისტ., გრამატ. მიმოხილვა, ტექსტები ლექსიკონით)“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2006.

საკუთრივ გურულისათვის დამახასიათებელ ცალკეულ მოვლენებს, ასევე, გურულის მიმართებას ქართული ენის სხვა დიალექტებთან და საერთოქართველურ დონეზე.

კვლევის მეთოდები

კვლევისას მივმართავთ იმ მეთოდებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ნაშრომის მიზნებსა და ამოცანებს. შესაბამისად, სტატიაში ძირითად მეთოდებთან ერთად გამოყენებული გვაქვს ისეთი საბაზისო მეთოდები, როგორიცაა ემპირიული მასალების მოძიება, აღწერა და კლასიფიკაცია; დაკვირვებისა და შედარების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა დიალექტების მონაცემებთან გურულისთვის დამახასიათებელი სიტყვაფორმების განსხვავებული მნიშვნელობის მიმართების ჩვენება; ანალიზისა და სინთეზის მეთოდები კვლევის სხვადასხვა ეტაპზე იძლეოდა კვლევის შედეგებისა და დასკვნების განზოგადების საშუალებას.

მსჯელობა

გურული დიალექტის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და სალექსიკონო მასალების მონაცემთა გათვალისწინებით ნაშრომში ზოგი სიტყვაფორმის სტრუქტურულ-სემანტიკურ ვარიანტებს განხილულია სალიტერატურო ენისა და ქართული ენის სხვა კილოებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ნაკვლევი, იგი აქტუალურობას არ კარგავს დღემდე. ამასთან, ლექსიკოლოგიის დონეზე კვლევა მნიშვნელოვანია არა მარტო ლექსიკოგრაფიული, არამედ ენის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ნაშრომში საანალიზოდ გამოვყოფთ როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფორმებსა და მათ სემანტიკურ ველში არსებულ სხვა ლექსიკურ ერთეულებს: სემანტიკური მრავალფეროვნების მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა უცხოური, კერძოდ, აღმოსავლური, წარმომავლობის სიტყვა **ნუსხა**. იგი შემოსული უნდა იყოს არაბულიდან (نُسخة nusha) ფონეტიკური ცვლილების გზით (ლექიაშვილი 1992: 70).

ეს სიტყვა არის თურქულშიც. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, **ნუსხა** – Turk. [სია] E. ჩქარად აღწერილი (+ [წარწერილი] Aa) ZABC. განუმარტავია DE (ლექსიკონი ქართული: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=33470>).

ნუსხა გურულში ნიშნავს ჯადოს, თილისმას. ამ მნიშვნელობით ის არ გვხვდება სალიტერატურო ქართულში, მაგრამ ამ სიტყვის ძირი დაცულია სხვა სიტყვაფორმებში: **მონუსხვა** (მოჯადოება) – **მონუსხა** (მოაჯადოვა) – **მონუსხული** (მოჯადოებული).

ანალოგიური მნიშვნელობა მითითებულია ქართული ენის ზოგიერთ ლექსიკონში. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ნუსხა** განმარტებულია ასე:

ნუსხა¹ 1. იგივეა, რაც სია. 2. იგივეა, რაც ცხრილი

ნუსხა² კუთხ. (იმერ. გურ.) ჯადო, თილისმა

ნუსხა³ გაკრული ხელით ნაწერი. კატალოგში ასეა ჩაწერილი: „გაყრა“ – კომედია გ. ერისთავისა, მხედრული ნუსხით (XIX საუკ.) ექვთიმე

თაყაიშვილის საქმეებში ნაპოვნი („ლიტ და ხელოვნ.“) (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

ამავე ძირისაა **ნუსხვა** და **აღნუსხვა**, **მონუსხვა** ზმნური ფორმები:

ნუსხავს¹ 1. ([აღ-]ნუსხავს, [აღ]უნუსხავს) გრდმ რისამე ნუსხავს, სიას ადგენს, აღრიცხავს. 2. **ნუსხავს²** კუთხ. (იმერ. გურ.) ([მო-]ნუსხავს, [მო]უნუსხავს) გრდმ ხიბლავს, აჯადოებს.

ტერმინები: **ნუსხური**, **ნუსხახუცური**:

ნუსხური 1. პოლიგრ. ქართულში – შედარებით მცირე ზომის ასოები (ნაბეჭდი), რომლითაც ჩვეულებრივ გაბმული ტექსტი იწყობა. || სხვა ენებში – პატარა ასოები (საპირისპ. მთავრული). 2. პალიეგრ. ქართული დამწერლობა (IX-XI)... (იქვე).

გურულში (იმერულშიც) დადასტურებული მნიშვნელობა (ჯადო, თილისმა) მითითებულია სინონიმების ლექსიკონშიც (არ არის ნახსენები, რომელ კილოში):

ნუსხა = ჩამონათვალი, სია; თილისმა ან ჯადო (კუთხ.) (<https://dlab.ug.edu.ge/synonym/etail/11139/%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%90>).

სხვაგვარად, **ნუსხა** რქმევია დედანსაც, საიდანაც ხდებოდა გადაწერა, გადანუსხვა.

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონის მიხედვით:

ნუსხა – ნაწერი, ეგზემპლარი (ი. ა.) (ძვ. ქართული ენის შეერთ. ლექსიკ., 2008: 6);

ნუსხვა გადმოწერა (ი. ა.) (იქვე); **მნუსხველი** – გადამწერი (ი. ა.) (იქვე).

ნუსხა ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკონებიდან არის მხოლოდ ჩვენებურების ქართულ ლექსიკონში (შ. ფუტკარაძე): **ნუსხა** (N) **Nusha** გ **ჯადო**, **თილისმა** (არაბული) ჯადო, თილისმა. იმ ბერმა ბევრი ნუსხები იცის. // ინეგოლი // ნუსხა დავაწერიე და თავმაც გიმიარა. // თუფექი ქონაქი // შდრ. 1. **ნუსხაფი** (N) **Mushaf** (არაბული) ერთი ძუელი **ნუსხაფი** ქონდა და იმაში კითხულობდა. // ინეგოლი //; 1. **ნუსხაფი მადმა** ნუსხაფის მადლმა, ყურანის მადლმა – ფიცილის ფორმულა. **ნუსხაფი მადმა**, იმან მითხრა ყულამფერი. // თუფექი ქონაქი // **ნუსხაფი მადმა**, ჩემი თუალებით დევნახე. // იმერხევი // (<http://www.corpora.co/#/dictionaries>).

ნუსხა მოცემულია ქართული დიალექტური კორპუსის ტექსტებში, რომელთა მიხედვითაც საანალიზო სიტყვა დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც, კერძოდ, „ჩვენებურების ქართულში“:

მმა ერთი ქყავდა, ისიც მოგვიკდა. მისი ნუსხა უკვეთავს, ხელი უკვეთავს. ბაღვობითა მახსოვს (#1249 მუჰაჯირული-ზემოაქარ., ჩვენებურების ქართული, თუფექი ქონაქი (თურქეთი/ ინეგოლი), 1989, ჩამწ.: შ. ფუტკარაძე, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>);

ძალიანაც სამა იცოდა: „თახთაბაშლების საეში [მიდამოში] – კავი და ონდერე (გძელი ჯოხი) ხელში, დუაერლების საეში – ქოშტერე და რენდე ხელში, ბოზდაღელების საეში – ნუსხა და ყელეში ხელში...“ (#1827, მუჰაჯირ.-ქობულეთ., ჩვენებურების ქართული, ჩაწერის ადგ.: თახთაბაში (თურქეთი / ფაცა (ფათსა), გამოც. მ. ხახუტაიშვილი „ქობულეთური

კილოვავის მასალები (მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით)“, 2008, კორპ. გამოც. ავტ.: ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>);

ნუსხა თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში რელიგიური დატვირთვის მქონეა, უკავშირდება ყურანს, ლოცვას: 1) *მე ყურანი სურები ეზბერად ვიცი. ნუსხას დაწერენ, ემე დაწერენ... ხოჯებმა იციან. არ ვიცი, არ მაგონდება ქი; 2) რაცხა ვიცოდი, გითხარი. – ნუსხა ჩეთინია; ყველავენი ვერ დაწერს; რომ ილოცავ, ის ვიცი (#3184, შავშ.-იმერხ., ჩვენებურების ქართული, ჩაწერის ადგ.: ბაზგირეთი / შავშ.-იმერხ./ „თურქეთის საქართველო“ თურქეთი: <http://www.corpora.co/#/corpus>);*

ჯავახურში **ნუსხა** არის ყანის ან ჭალის მცირე ნაკვეთი. „*უკან ჭალას ნუსხა მაქ ერთი, ველარ გამოვთიბევი*“. იხ. ყურე, ყური (ზედგინიძე 2014: 370).

საინტერესო ლექსიკური ერთეულია **მანანა** [ებრ. მან ჰუ რა არის ეს], რომელიც ქართულში საკუთარი სახელიც არის და **პოლისემიური** სიტყვაც: 1. რელიგ. ბიბლიის მიხედვით – ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც ცვიოდა ზეციდან ისრაელთათვის მათი უდაბნოში მოგზაურობისას. || გადატ. მოულოდნელად მისწრებული დახმარება; სასიხარულო, სასიამოვნო რამ. ვაჟი მოგვცა [დედა ღვთისამ], მით გვიწვიმა ციდან მანანაო (რ. ერისთ.)... 2. იგივეა, რაც ბურღული. მანანის ფაფა. 3. ჟინჯლივით დანაწვიმი ზოგიერთი მცენარის (კაკლის, ცაცხვის, ჭინჭრის) ფოთლებზე... (<https://www.ena.ge/explanatory-online>).

საინტერესოა ამ ლექსიკური ერთეულის დიალექტური მნიშვნელობებიც: იმერულში ნიშნავს წითელ საღებავსაც (კვერცხის შესაღებად). მაგალითად: მანანით დაწითლებული თითები (იქვე).

განსხვავებული სემანტიკით გვხვდება **მანანა** თვით გურულშიც, კერძოდ: 1. მცირე, პატარა: ერთი მანანა მარილი მასესხეო... ამავე მნიშვნელობით არის ქართულში. 2. სიმღერაა ერთგვარი, ძველი ჩარიჩამა (<https://www.ena.ge/explanatory-online>).

გურულში **მანანას** ტერმინოლოგიური დატვირთვაც აქვს. ასე უწოდებენ ზრდაში ჩამორჩენილ და ცახზე დაგვიანებით ასულ აბრეშუმის ჭიას (შარაშიძე, 2014: 35). ამ მნიშვნელობასთან ახლოსაა ქიზიყურის მონაცემი: **მანანა** ნიშნავს პარკის აკრეფის შემდეგ დარჩენილ თითო-ოროლა წვნივ აბრეშუმის-ჭიას (ს. მენთ.) (<https://www.ena.ge/explanatory-online>). აბრეშუმის ჭიას აღნიშნავს **მანანა** კახურშიც: *რო დავატყოფთ, რო გამაგრდა პარკი, დანარჩომ ჭიებს გამოვსხავთ და იმასა ძქვიან მანანა, ნარჩენი ჭია. კახურში დასტურდება მოქმედების აღმნიშვნელი ტერმინიც: ქერქიდან გამოსხმასა ძქვიან გამომანანება (#642 შიგნიკახ. (ზემო ხოდაშენი), გამოც. გრ. იმნაიშვილი, არ. მარტიროსოვი, ქართული ენის კახური დიალექტი, 1949, ჩამწ. ც. კალაძე, კორპ. გამოც. ავტ.: მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე: <http://www.corpora.co/#/corpus>)*

ამავე მნიშვნელობის ზმნური ფორმა არის გურულშიც: **გამომანანება** ნიშნავს მანანა ჭიების ცალკე გამოყოფას, გამოკვებასა და საპარკე მოწყობილობის ცალკე გაკეთებას მათთვის. *ცავ! რაფერ კარქა გამოგიმანანებია აი ბზლიტი ბობოლი* (ქდვ, გ. შარაშ., გურ. ლექსიკ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

გურულში გვხვდება საინტერესო ლექსიკური ერთეულები: **ხლართი**, **სახლართი**, რაც ნიშნავს ქალამნის ან სხვა ფეხსაცმლის **შესაკრავ** თასმას (შარაშიძე 2014: 86).

სიტყვაფორმები **ხლართი**, **სახლართი**, აგრეთვე, **ხლართიანი** გურულის მნიშვნელობით არ არის ცნობილი ქართულში. ეს მნიშვნელობა არ არის მითითებული სხვა ლექსიკონებში, არც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

ხლართი – 1. ერთმანეთში გაბმული, დახვლანჯული რამ (მაფი, თოკი...). 2. **დანასკული მაფი** ან **საბელი**, **კვანძი**. ფიგურ. ამოდ ეგონა [ტიმოთეს], შესძლებდა საკუთარი ხელით გამოეხსნა ეს მკვიდრად გამონასკვილი **ხლართი** (ვ. ბარნოვი). 3. გადატ. **ემშაკობა**, **ფანდი**. **ხრიკი**. მობრძანდა დათვი..., არ იცის **ხლართი**, მრუდის და მართლის პირში მთქმელია (რ. ერისთავი) (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>). **ხლართიანი** – ხლართების მქონე, დახლართული, დახვლანჯული (იქვე).

სხვა ლექსიკონშიც: **ხლართი** – 1. ერთმანეთში უწესრიგოდ არეული მაფი, მავთული და მისთ. ხლართი გამოხსნა. 2. გადატ.: ერთმანეთში საგანგებოდ არეული ამბები, რომელთა ამოცნობაც ძალიან ძნელია. ინტრიგების ხლართები (ქართული ლექსიკონი: <https://www.ganmarteba.ge/word/%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%98>); **ხლართიანი**: 1. ერთმანეთში არეული, გაუგებარი. ხლართიანი ამბავი. 2. რაზეც ბევრი ხლართია. ხლართიანი ნაქარგი (ქართული ლექსიკონი (იქვე)).

ქართული დიალექტური კორპუსის მონაცემებით:

1. **ხლართი** (N) იგივეა რაც: **წინდის ხლართი**. წინდის ყელზე გაკეთებული ყულფები სახვევის გასატარებლად; საცალოს ყულფები (ქდკ, კახური ლექსიკონი. წყაროები: ქიზიყური ლექსიკონი (სტ. მენთემ.): <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

3. **ხლართი** = *მახე*: *ნინას დაუძახია შოთასთვის: შეყვარებულის მოლაღატეო, წინგიგია ხლართი მახეო* (#460, სამცხ.-ჯავახ., მუსხი, ახალციხე, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1945, კორპ. გამოც. ავტ. ლ. ბაკურაძე: <http://www.corpora.co/#/corpus>);

ქეგლ-ის მიხედვით, **ნაფცქენი** – **ფცქენით მოცილებული კანი, ქერქი (ზოგიერთი ბოსტნეულისა, ხილისა...)** (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

სიმცირე-სიპატარავის სემანტიკისაა ეს სიტყვაფორმა გურულშიც, მაგრამ მაინც განსხვავებული მნიშვნელობითა და გარკვეული რიტუალური ქცევის გამომხატველი:

ნაფცქენი – პატარა ნაწილი (ოჯახიდან რომ რამე გაიცემა, გაცემულის პატარა ნაწილს (ნაფცქენს) წამლები მასპინძელს გამოუბრუნებს, რაც, ვითომ, ოჯახს ბარაქას შეუნარჩუნებს) (გ. შარაშ., გურ. ლექსიკ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

ნაფცქენის სინონიმია გურულში **ნათალი** – **ნაფცქენი, ნათალი**, რაც ნიშნავს ხილის ნაფცქენის შედეგად მიღებულ ნარჩენებს (იქვე).

საინტერესოა ამავე ძირის **გაფცქენა** როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით: 1. კანის, ქერქის გაცლა (ხელით). || გათლა

(ვაშლისა...). 2. საუბ. გადატ. გაძარცვა, გაყვლეფა, გატყავება (<https://www.ena.ge/explanatory-online>).

გურულში **ხიმენჯი** (ხენჯი) – ნალექი, ნაწური. ... დავწურავთ ორჩუმს, მეშეშეფს – ხიმენჯეფს... (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>);

ხიმენჯ-ი – დანალექი, ნაწური, – ხენჯი (იმნაიშვილი 2006: 356). **ხენჯი** – იბ.: მოხენჯვა, ამოხენჯავს. ნალექი სიბინძურე, ნაგავი (ქდკ, იმერ. ლექსიკ., იქვე).

ქეგლ: **ხენჯი** – 1. ჟანგი, რომელიც გადაეკვრის ლითონს (რკინას, სპილენძს) ჭედვის ან წრთობის დროს. სპილენძის ხენჯი... 2. კუთხ. (იმერ.) რისამე დანალექი, ნაწური... 3. კუთხ. (გურ.) წვნიანი საჭამადის ისეთი ნაწილი, რომელსაც დაღეჭვა სჭირდება, ფოჩი (მნიშვნ. 5) (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

ლექსიკონებში არ არის მითითებული **ხენჯის** კიდევ ერთი დაკონკრეტებული მნიშვნელობა იმერულში. ასე უწოდებენ ხილის კომპოტში წვენის ამოწურვის შემდეგ დარჩენილ ხილსაც.

სიტყვა **ნარდი** გურულში ნიშნავს ჭორს ან მიმინოს ერთ წლამდე (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>). ამ მნიშვნელობით იგი არსად არ გვხვდება.

ქეგლ-ში მითითებულია ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობა:

ნარდი-1 – ერთგვარი სათამაშო – შედგება ბრტყელი და მოგრძო გადასახსნელი ყუთისაგან, წყვილი კამათლისა და 30 კოჭისაგან (ქვისაგან);

ნარდი-2 – აღებული სამუშაო, რომლის ანაზღაურება ხდება შესრულებული სამუშაოს რაოდენობის მიხედვით... **ნარდად** ზმნს. ნარდი სამუშაოს წესით. ნარდად მომუშავე. – ნარდად გარიგება... || ერთიანად, ერთბაშად, მთლიანად (ნ. ლორთქ.).

ნარდი-3 – 1. ბოტან. სურნელოვანი მცენარე კატაბალახისებრთა ოჯახისა. 2. არომატული ნივთიერება.

ქართულში არის ნაწარმოები სიტყვაც: **ნარდიონი** (ნარდიონისა) – ძვ. იგივეა, რაც ნარდი-3 (მნიშვნ. 2) (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

სემანტიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული ლექსიკური ერთეულია **ტიალი**.

ქეგლ-ის მიხედვით: **ტიალი** 1. უპატრონო, ოხერი, ვერანი... 2. ცარიელი, მოტიტვლებული (მინდორი...). შდრ. ტრიალი... 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი **ოხერტიალი**. **ტიალად** ზმნს. ოხრად, უპატრონოდ... (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

ტიალი, ქეგლ-ში მითითებულის გარდა, გურულში გვხვდება განსხვავებული მნიშვნელობითაც: **ტიალი** ანუ ღია ფერისა (შარაშიძე 2014: 86).

თუ ჩავუკვირდებით ქეგლ-ში მოცემულ განმარტებებში მე-2 მნიშვნელობას, რის მიხედვითაც **ტიალი** არის ცარიელი, მოტიტვლებული (მინდორი...), ესეც უნდა უკავშირდებოდეს გურულის აღნიშნულ (განსხვავებულ) მნიშვნელობას, რაც გულისხმობს ღია ფერისას, ნათელს: *ორივე მხრივ და ბადე გაიშლება ტიალ, გაჭრილ ადგილას სიფართოზე* (#3743 გურ. (ჩოხატ.), შინამრეწველობის მასალები (პირველ-ასლები) (შეკრ.

ივ. ჯავახიშვილის ხელ.-ით), 1936, კორპ. გამოც. ავტ. რ. ლანდია: <http://www.corpora.co/#/corpus>). **ტიალი ადგილი** მოცემულ კონტექსტში ცარიელ, ნათელ ადგილს უნდა ნიშნავდეს.

ეს მნიშვნელობა (განათება, გათენება) გამოხატული **ტიალ** ძირის მქონე ზმნაშიც: ...კინიგ ზაი რომ გეიყვანენ, **გატიალდა** (ტყე – ავტ.) მაშვინ, მარა გელმა იცოდა მაინც გადმორება (#1070 გურ. (ლანჩხ.); ...ამოღებული ისთე იყო, რომ სინათლეს ვერ დეინახვიდი შით... სულ ტყეი იყო, ქარი არ იცოდა. ყინვა არ იცოდა. ყინვა, რომ გატიალდა, ახლა დეიწყო (#1207 გურ. (შრომა), გრ. იმნ., 1962, კორპ. გამოც. ავტ. რ. ლანდია:); ...**გატიალდა** (გათენდა – ავტ.) ახლა და სადაც ფენოა, ბზემა გადმოყარა მაშხალა, დიეცა თათარი მუხლებზე და დუუძახა ბზეს: ამოი შენ და ამუედი მეცო. ბზის ამოსლისას ლოცვილობენ თათრები (#3847 ქვემოგურ. (ბახვი), ე. ნიკოლაიშვილი, გურული ტექსტები, 1985: <http://www.corpora.co/#/corpus>).

ალ. ღლონტის განმარტებითაც, **გატიალება** განათებას, გათენებას ნიშნავს (ღლონტი 1974: 325). ეს მნიშვნელობა დასტურდება აჭარულში, კერძოდ, ქობულეთურში: იმ დროზე ჩვევდი, **გატიალებული** არაა (#1669 აჭარ. (ქობულ.), მ. ცინცაძე, ნ. სურმავა, მ. ფაღავა, აჭარული ტექსტების კოლექცია, 1971, ჩამწ. ნ. ნოლაიძელი, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>).

ხევსურულში **გატიალება** უმემკვიდროდ გადაშენებას ნიშნავს: 1. **გატიალდების** (V) არხოტავ შვიდ სახლი [ოჯახი] **გატიალდებისა** (/ ეთნ. საიქიო, VI, 65 /); წაოლ, უამბობ ნათელასაო შინითაც **გატიალებულსაო** (/ ეთნ. III, 63, 12 /) (ქდკ, ხევს. ლექსიკ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

ქეგლ-ის მიხედვით: **გატიალება** არის 1. ტიალად ქცევა, გაოხრება, გავერანება, გაფუჭება, გაჩანაგება... 2. საუბ. მეტისმეტად დათრობა (<http://www.ena.ge/explanatory-online>).

ქართულში არსებობს **ტიალის** ფონეტიკური ვარიანტი **ტრიალი**. მაგალითად, **ტრიალი მინდორი** (ველი..). ჩვენი ვარაუდი დაემთხვა ქეგლ-ის განმარტებას, რომლის მიხედვითაც **ტრიალი** მიღებულია **ტიალისაგან** (ტიალი > ტრიალი)... ამავე მნიშვნელობისაა შედარებით ნაკლებად ცნობილი სიტყვა **ტრიაშელი** ფართო, გაშლილი **ადგილი**, – **ტრიალი (მინდორი)** (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

რაც შეეხება შესიტყვებას **ტრიალი ქვეყანა**, განსხვავებულია მისი გადატანითი მნიშვნელობა: მთელი ქვეყანა, – მსოფლიო, სამყარო., ხოლო ქვეყნის **ტრიალი** ნიშნავს დედამიწის ბრუნვას, – ცხოვრების სიავეკარგეს (იქვე).

გრ. იმნაიშვილის ლექსიკონის მიხედვით, გურულში გერგილი – ნიშნავს ზარმაცს, **გერგილობა** – ზარმაცობას (იმნაიშვილი, 2006: 325).

განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას კახურში (ქიზიყურში): **გერგილი** – მარჯვე, ხერხიანი, ვარგისი (ქდკ, სტ. მენთეშ., კახური ლექსიკონი: <http://www.corpora.co/#/dictionaries>). იხ.: **უგერგილო** – მოუხერხებელი, უმარჯვო (იქვე).

კახურის (ქიზიყ.) მნიშვნელობით უნდა იყოს **გერგილი** ზემორაჭულში, ონის მეტყველებაში: ... **გერგილი** სძახის გაღმა ყანასა: ჯაფარ, ვერ მოხვალ

შინა მშვიდობით, ცოლს ვერ მოუტან ლაშქრულ ამბავსა... (#3190 ზემორაჭ. (ონი), შ. ძიმიგ., ქართული დიალექტოლოგიის მასალები, 1944, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმავა).

გურულისაგან კახურისა და ზემორაჭულის სემანტიკას გვიდასტურებს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც: **გერგილი** 1. ძვ. «საქმის მარჯვედ მქნელი» (საბა)... 2. შნო, სიმარჯვე, ფხა, მოხერხება. თუ გერგილი ჰქონდა და შნო, კიდევ მოახერხებდა ამას (ვ. ბარნ.).

გერგილიანი – გერგილის მქონე, – შნოიანი, ფხიანი, უნარიანი, მარჯვე. წარმოსადეგი კაცი იყო, ჰკუთმავილი, გერგილიანი (გ. გეგეშ.).... **გერგილიანად** ზმნს. მარჯვედ, მოხერხებულად...

გერგილიანობა – სიმარჯვე, ფხიანობა, უნარიანობა, მოხერხებულობა... მისი დიპლომატიური ნიჭი, პოლიტიკური ხედვა, შესაშური ალღოიანობა და გერგილიანობა მას დიდ სახელმწიფო მოღვაწედ აქცევდა («ას.დას.») (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

მოცემულ განმარტებათა ფონზე გურულში **გერგილის** სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა საეჭვოს ხდის მის სიზუსტეს.

გურულში **ბრაზი** ჰქვია ძაღლის ავადმყოფობას, რომლის დროსაც ძაღლს ახველებს (<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=50&t=640>). ეს მნიშვნელობა ასახული ქართული დიალექტური კორპუსის ლექსიკოგრაფიულ ბაზაშიც: 1. **ბრაზი** (N) იხ.: **აბრაზებს**. ძაღლის ავადმყოფობა, რომლის დროსაც ძაღლს ახველებს (აბრაზებს) (გ. შარაშ., გურ. ლექსიკ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>). იქვე მითითებულია ტერმინი **ბრაზის ჭია**, განმარტების გარეშე. ეს შესიტყვება არ არის არც ტექსტების კორპუსში. სავარაუდოდ, ისიც უნდა უკავშირდებოდეს რაღაც დაავადებას: „როგორც ცნობილია, 4 მწერს – ფუტკარს, აბრეშუმის ჭიას, წურბელასა და **ბრაზის ჭიას** უფლის მწერები ეწოდებათ. ოთხივე მწერისგან მიღებული პროდუქტები სამკურნალოა. **ბრაზის ჭიის** ამოცნობა ჯერ ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, საუბარია მაისის ხოჭოზე (ლ. ბეჟაშვილი): <https://kvirispalitra.ge/article/98513-meabreshumeoba-kvlav-rom-agorzindes/>).

საინტერესოა ქდკ-ს ლექსიკოგრაფიულ ბაზაში ასახული **ბრაზ** ძირის შემცველი სხვა სიტყვაფორმებიც. მაგალითად: **ბრაზიანი** ქართლურ კილოში ნიშნავს 1. **მეტად მჭრელს, ბასრს (დანას)**. უი, **ბრაზიანი** დანაა, ხელს გაგიჭრის! (//ძეგვი// ქდკ, ქართლური ლექსიკონი: <http://www.corpora.co/#/dictionaries>); 2. ძაღზე მსუსხავი (ჭინჭარი). ზოგი ისეთი **ბრაზიანი ჭინჭარია**, რო ხელს ვერ მიაკარებ (იქვე).

იმერულში **ბრაზი** ცოფს ნიშნავს. **ბრაზი** ძაღლს უჩთება **უმფრო** (ქდკ, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა პ. გაჩეჩილაძე: <http://www.corpora.co/#/dictionaries>). მსგავსი სემანტიკისაა სხვა სიტყვაფორმებიც: **ბრაზიანი**, **გაბრაზიანდება** (იქვე)².

ქეგლ-ის მიხედვით **ბრაზი** არის: 1. ძლიერი გაჯავრება, ძაღზე გულის მოსვლა, გახელება... გამოთქმა **ბრაზი მოსდის (ერევა)** ნიშნავს: ძლიერ ჯავრდება... **ბრაზიანი** 1. ბრაზით აღსავსე; ძალიან გაჯავრებული, ძაღზე გულმოსული; 2. კუთხ. (იმერ.) ცოფიანი... (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

² ეს მნიშვნელობა (ბრაზი = ცოფი) მითითებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც.

როგორც ვხედავთ, ქეგლ-ში ჩვენ მიერ აღნიშნული მნიშვნელობა არ არის მითითებული. ლექსიკონის მიხედვით იმავე სემანტიკისაა **ბრაზ** ძირის შემცველი სხვა სიტყვაფორმებიც: ბრაზიანობა, ბრაზიანი, გაბრაზება, გაბრაზებული, ბრაზდება... (იქვე). შდრ. **აბრაზებს** (ახველებს).

გურულში **ბუტია/ე** ასე განიმარტება: *ქათამს რომ ყურებზე ბუმბული სქლად ექნება დადებული და თავდიდად მოჩანს, ბუტიეს ეძახიან* (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

გურულის მნიშვნელობა, ძირითადად ერთად, მითითებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: **ბუტია** 1. ვინც ხშირად იბუტება, ვისაც გაბუტვა სჩვევია, – ვინც ადვილად წყრება ყველაფერზე. ბუტიას შეუჭამენ და მძინარას შეუნახავენო (ანდაზა)... 2. კუთხ. (გურ.) «ქათამს რომ ყურებზე ბუმბული სქლად ექნება დადებული და თავდიდად მოჩანს» (გ. შარაშ.) (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

გურულში **გაზუთხული** არის: ლარად, გაშლით გაწოლილი (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>). ეს სიტყვა არ არის ქდკ-ს ტექსტების კორპუსში.

გაზუთხული ნიშნავს გაზეპირებულს (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>). გურულის მნიშვნელობით ვერც ქეგლ-ში და ვერც სხვაგან ეს სიტყვა ვერ დავადასტურეთ.

გურულში **ეტლი** ნიშნავს უწყინარ, მორჩილ ადამიანს. **ეტლია კაცათ** (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

ქეგლ-ის განმარტებით, **ეტლი** არის 1. ცხენებით სატარებელი მსუბუქი ოთხთვალა, – ფაეტონი. 2. ძვ. ცთომილი, ვარსკვლავი. || ცრურწმენით – ბედის ვარსკვლავი. 3. პოეტ. გადატ. ბედი, ბედისწერა. 4. ჭადრ. კომკისმაგვარი ფიგურა... (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

მე-3 მნიშვნელობაა სიტყვაში **ეტლიანი** – ძვ. გადატ. ბედის მქონე, – ბედნიერი. **ეტლიანი** ძველ ქართულში **ბედნიერის, მარჯვეს** აღმნიშვნელია... უფლება გვაქვს [მივიჩნიოთ], რომ წინათ ქართულ წარმართულ ზეპირსიტყვაობაში... დავლათიანის მაგიერ ეტლიანი [იხმარებოდა] (ივ. ჯავახ.) (იქვე).

ამავე მნიშვნელობით არის **ეტლიანი** ქართულში: *ბეჟანი მოდის, ჭკვიანი, ეტლიანი და ფხიანი...* (#3448, ქართლ. დიალექტ. ტექსტების ხელნაწერი კოლექცია (ალ. ჯიშიაშვი.), 1938, კორპუს. გამოც. ავტ.: მ. ბერიძე, მ. ბარიხაშვილი, რ. ლანდია: <http://www.corpora.co/#/corpus>).

გურულში არის სიტყვა **უნიაგაბო**, რაც, ს. ჟღენტის განმარტებით, ნიშნავს **უხეიროს, უვარგისს** (იმნაიშვილი, 2006: 347), ხოლო გ. შარაშიძის მიხედვით – **უმსგავსს, სამაგელს** (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

უმფროსვანი უნიაგაბოთ იარებიენ ამ გზაში. უნცროსი უჩივა: ჭკუით წევადეთო, სხვამა არ გაგვინტყუნოსო... (#1159 გრ. იმნ., გურ. დიალ., 1961, კორპ. გამოც. ავტ. რ. ლანდია: <http://www.corpora.co/#/corpus>).

განსხვავებულია ზოგიერთი ზნური სიტყვაფორმის მნიშვნელობა:

დაზავება – მეტისმეტად დაღლა (ფიზიკურად). *ისე დაზავედი, რომ სამრაობა აღარ მაქ* (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარაშ.: <http://www.corpora.co/#/>

dictionaries). **დაზავების** (დაღლის) გურულისთვის დამახასიათებელი მნიშვნელობაა ჩადებული გამოთქმაში **ზავის დადება / ზავი დავდე** (დავიღალე), რომელიც ქვემოთმხრობაში დავადასტურეთ.

ქველ-ის მიხედვით: **ზავი** – შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტისა და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ... || უომრად, მშვიდობიანად ცხოვრება... (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>). **დაზავებს** ზმნა ნიშნავს: 1. გააშველებს (მოჩხუბრებს...). 2. შეარიგებს, მოარიგებს (იქვე).

ხევსურულში **ზავი** – ზარი, შიში; **ზავიანი** – ზარიანი, შიშიანი; **ზავი აქვ/აქვს** – ზარი, შიში აქვს (<http://www.corpora.co/#/dictionaries>); განსხვავებული მნიშვნელობისაა გამოთქმები: **ზავს აუშლის** – ერთმანეთს გადაამტერებს, წააჩხუბებს. ...*არხოტიონთა შენ აუშალე ზავიო* (ხევს. პოეზ. 1 02, 2); **ზავს არ მისცემს** – შეებრძოლება, უმტრობს, არ შეურიგდება: *მშველაზორ, ნუ მახოლო, ზურაბ, არ მოგცემ ზავსაო*. // ხევს. პოეზ. 1 6, 1 // (იქვე); აგრეთვე: **დაეზავების** – დაუზავდება, შეურიგდება. *შენსა მამკლავსა, ძმობილო, შვიდს წელს არ დავეზავები*. // სტ-მასპ. 34, 15 // (იქვე).

რაჭულში (გლოლურში) **დაზავება**, შერიგების გარდა, სხვა მნიშვნელობითაც არის: ...*ასის ოდენი თხა-ცხვარი დაზავებია თავითა, ერთი ერია უფროსი რქადაკაული ვერძიო, – არიქა, მგელო, არიქა, ნუ ამიბღავლებ ცხვრებსაო* (#3056 რაჭული (გლოლა), შ. ძიმიგ., ქართული დიალექტ. მასალები, 1930, კორპ. გამოც. ავტ. ნ. სურმავა: <http://www.corpora.co/#/corpus>). ვფიქრობთ, ამ კონტექსტში **დაზავებია** ზმნა მგლის მოახლოებით გამოწვეული შიშით დამფრთხალ თხა-ცხვარს უნდა გამოხატავდეს³.

ქართულში **შენელება** სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. ქველ-ის მიხედვით: **შენელება¹** (სახელი **შეანელებს¹** ზმნის მოქმედებისა: 1. სიჩქარის, სისწრაფის მოკლება. სვლის შენელება. || შემცირება, შესუსტება... 2. სითბოს მოკლება, – განელება.

შენელება² სახელი **შეანელებს²** ზმნის მოქმედებისა, – სანელებლით შეზავება, – შეკაზმვა (საჭმლისა). ლობიოს შენელება (<https://ice.tsu.ge/liv/ganmartebiti.php>).

შენელება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობისაა გურულში, ნიშნავს საყვედურის გამოცხადებას, გაწყრომას, დატუქსვას (ქდკ, გურ. ლექსიკ., გ. შარამ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

ანალოგიურად, განსხვავებული სემანტიკის გამომხატველია გურულში ისეთი სიტყვაფორმები, როგორიცაა, მაგალითად:

დამოწმება – დაბარება. მამამ **დუუმოწმა** შვილევს. **დამოწმებული** – დაბარებული (იმნაიშვილი 2006: 327).

დახევა – დახერხვა. დახეული მასალა – დახერხილი მასალა; **ჩამოხევა** – ჩამოხერხვა (იქვე: 328; 351);

უტიკტიკებს – **უტიკტიკევს** მოჰვა წიწილევს – კრუხი უხმობს წიწილევს (ჟღენტი, 1936: 347).

აქვე გამოვყოფთ გურული კილოსთვის დამახასიათებელ **სამეურნეო დანიშნულების ტერმინებს**. მაგალითად:

³ შდრ. **დაზავების** გურული მნიშვნელობა.

დარგობრივ, კერძოდ, მეაბრეშუმეობის, ლექსიკას განეკუთვნება ტერმინი **ნადირა/ე-ი**, რაც ნიშნავს აბრეშუმის ჭიის ჩელტზე დაგროვილ ნაგავს (შარაშიძე, 2014: 339). ამასვე ნიშნავს **ნადირი** კახურში (ქიზიყურში): აბრეშუმის ჭიის ნაგავი... (ქდკ, ქიზიყ. ლექსიკ., სტ. მენთემ.: <http://www.corpora.co/#/dictionaries>).

მედვინეობის ლექსიკას განეკუთვნება იმერულში დაახლოებით იმავე მნიშვნელობის **ნადირალი**, რაც ნიშნავს ლექზედარჩენილ ღვინოს. *კაიღვინის ნადირალიო და კაიკაცის ნაცოლარიო* (ქდკ, იმერ. დიალექტ. სალექსიკ. მასალა, პ. გაჩეჩილაძე: <http://www.corpora.co/#/dictionaries>). აღნიშნულთან ახლოს არის ა- სუფიქსიანი **ნადირალა** კახურში (ქიზიყურში): ... ქაფი და **ნადირალა** რაც არ არგებს, არ აზნებს, სიტკბო იმაშია (#3631 ქდკ, ქიზიყ. ლექსიკ., სტ. მენთემ., კორპ. გამოც. ავტ. რ. ლანდია: <http://www.corpora.co/#/corpus>).

აღნიშნული ძირისაგან მომდინარე უნდა იყოს ქართულში უარყოფითი სემანტიკის **ნადირალა**. ქეგლ-ის მიხედვით: **ნადირალა** 1. იგივეა, რაც **ნადირალი**. «ქვევრში რაღაც წუმპე, ნადირალა დამრჩა...» (ილია). || ფიგურ. ყალბი ხალასად გადის და ნადირალა – თავანკარად (ილია). 2. გადატ. სოციალურად გადაგვარებული პიროვნება, დეკლასირებული ელემენტი, – გახრწნილი, ზნედაცემული.

სამეურნეო დანიშნულების ტერმინებია გურულში, აგრეთვე:

ნეკი – ძველებური ურმის (ფიცრის ურმის) ის ნაწილი, რომელიც ჩამოცმულია ხმალზე (ნ.) (შარაშიძე 2014: 339);

დილ-ი – ჭდე. **დ ილ ჩი** – ჭდეში (იქვე: 349).

ხმალი – ფიცრის ურმის ნაწილი, რომელიც ჩაშვებულია ამოტეხილ ფიცარში და რომელზედაც ჩამოცმულია ნეკები (იქვე: 356).

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლენილია განსხვავებული სემანტიკის სიტყვაფორმათა რამდენიმე ჯგუფი, კერძოდ: 1) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ გურულისთვის; 2) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც გვხვდება მხოლოდ გურულში და მითითებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც; 3) ლექსიკური ერთეულები, რომლებიც საერთოა გურულსა და ქართული ენის ზოგიერთი კილოსათვის და არ არის მითითებული ქეგლ-ში.

გურული დიალექტისთვის დამახასიათებელი სიტყვაფორმების სტრუქტურულ-სემანტიკური ვარიანტების სალიტერატურო ენასა და ქართული ენის სხვა კილოების მონაცემებთან შედარება-შეჯერების გზით განხილვა იძლევა საინტერესო სურათს, მასალას არამარტო ეტიმოლოგიურ-ლექსიკოგრაფიული, არამედ, ზოგადად, ენის განვითარების ისტორიის თვალსაზრისითაც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

გურული სიტყვების ლექსიკონი: http://evpatori.ge/?do=view_news&news_id=1710

ვარდიაშვილი – ვარდიაშვილი ნ., მეაბრეშუმეობა კვლავ რომ აღორძინდეს, „კვირის პალიტრა“ (მამულ-დედული), 05.12.2022: <https://kvispalitra.ge/article/98513-meabreshumeoba-kvlav-rom-agorzindes/>

ზედგინიძე 2014 – ზედგინიძე გ., ჯავახური ლექსიკონი, „საუნჯე“, თბილისი, 2014: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=28&t=13661>

იმნაიშვილი 2006 – იმნაიშვილი გრ., გურული დიალექტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006.

ლევიაშვილი 1992 – ლევიაშვილი ვ., ორიენტალიზმები ქართულში, საკანდ. დისერტ., თსუ. თბილისი, 1992.

ორბელიანი 1991-1993 – ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=8&t=33470>

სინონიმების ლექსიკონი: <https://dlab.ug.edu.ge/synonym/detail/11139/%E1%83%9C%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9>

ჟღენტი 1936 – ჟღენტი ს., გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), ტფილისი, 1936.

ღლონტი 1974 – ღლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, „განათლება“, თბილისი, 1974.

შარაშიძე 2014 – შარაშიძე გ., გურული ლექსიკონი, გურიის სიძველეთა კვლევის ცენტრი, თბილისი, 2014: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=50&t=6280>.

ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი (შემდგ.: ილ. აბულაძე, ა. შანიძე, ივ. იმნაიშვილი და სხვ.), საქართველოს საპატრიარქოს გამომც. „სამშობლო“, თბილისი, 2008.

ჟყონია 1918 – ჟყონია ი., სიტყვის-კონა, პეტერბურგი, 1910.

ჯორბენაძე 1989 – ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I, „მეცნიერება“, თბილისი, 1989.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9397>

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახის
ტრაგიკული ფურცლები

Tragic Pages from the Family
of Kakutsa Cholokashvili

მარინე სურმავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Marine Surmava
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

2024 წლის აგვისტოში შესრულდა 1924 წლის სახალხო აჯანყების 100 წლისთავი, რომლის მიზანი საბჭოთა ოკუპაციისაგან სამშობლოს განთავისუფლება იყო. მიზეზთა გამო აჯანყება მარცხით დასრულდა და მას სისხლი, მასობრივი დახვრეტა და დაპატიმრება მოჰყვა. აჯანყების სულის ჩამდგმელი და მთავარი გმირი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. იგი იყო ქართველი რაინდის განსახიერება, დინჯი, დარბაისელი ვაჟკაცი. მისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ ჰქონდა დადებული.

სტატიაში განხილულია ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახის ტრაგედიის რამდენიმე ფურცელი; ოჯახისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევნიდნენ, იჭერდნენ და შორეულ ციმბირში ასახლებდნენ. ოჯახის რამდენიმე წევრი დახვრიტეს, მათ მთელი სიცოცხლე შიშსა და ტანჯვაში გაატარეს. საინტერესოა ქაქუცას ქალიშვილების რამდენიმე მოგონება.

თამარის მოგონება: 1923 წელს დაიჭირეს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ოჯახი: მეუღლე ნინო მეღვინეთუხუცესი და ორივე ქალიშვილი, 7 წლის თამარი (ციცნა) და 3 წლის ქეთი. მათთან ერთად დაიჭირეს მთელი სანათესაოს ქალები: სულხანიშვილები, ავალიშვილები, მეღვინეთუხუცესები და სხვა. ჩოლოყაშვილს კი შეუთვალეს დაგვინებდი, თორემ შენს უფროს ქალიშვილს ცოცხლად დავმარხავთო. ერთი წლის განმავლობაში არაადამიანურ პირობებში ყოფნის შემდეგ მეუღლე ნინო მეღვინეთუხუცესს გამოუცხადეს, ბავშვები თავისუფლები არიან და

ვინმემ წაიყვანოსო, ოჯახს თავისუფალი ახლობელი აღარავინ ჰყავდა პაპის გარდა. ბავშვები ჯერ პაპამ - ილია მეღვინეთუხუცესმა წაიყვანა, რომელიც მალევე დააპატიმრეს. გოგონები მამიდა ანიკომ დროებით შეიკედლა. კახეთის სოფლებში ყველგან ქაღალდები ყოფილა გაკრული – ვინც ქაქუცას ბავშვებს შეიკედლებს ან მოუვლის, ყველას დავიჭერთო. ამ შიშით მოცულ პერიოდში მოულოდნელად აღმოჩნდა ერთგული და უშიშარი ადამიანი: ეს იყო ოჯახის ყოფილი მოურავის - გიო ქიტიაშვილის ქალიშვილი ბაბია, რომელიც ფარულად მოდიოდა ხოლმე ღამ-ღამობით, ბავშვებს საჭმელს უმზადებდა, პურს უცხობდა და უვლიდა პატარებს. ბებია ანეტას დას - ვარო ანდრონიკაშვილს გვიან შეუტყვია ბავშვების ამბავი. თელავში დარჩენილ ნათესავებთან მიუყვანია ისინი, რომელსაც გულწრფელად უთქვამს, მეშინია, შვილები არ დამიჭირონო, საქათმეში შედით, თუ მკითხავენ, ვიტყვი ჩემი ნებართვის გარეშე შევიდნენ-თქო. იქ პატარები ერთი წელი იმყოფებოდნენ. შემდეგ ისინი დედამ და ბებიამ თბილისში გადმოიყვანეს. ბავშვები არც ერთმა სკოლამ არ მიიღო, მხოლოდ მე-18 სკოლის დირექტორმა ვახვახიშვილმა გაბედა მათი მიღება, ოღონდ გააფრთხილა, ნუ იტყვით, ვისი შვილები ხართო.

თამარი იგონებს: დედამ დამლაგებლად დაიწყო მუშაობა ვენდისპანსერში, მაგრამ ვერ გაუძლო იქ მუშაობას. ომის დამთავრებისთანავე ახალ სამსახურში დაიწყო მუშაობა, მაგრამ გვარის გამო გამოაგდეს.

ბევრი ტანჯვა – დამცირება, შიმშილი, გადასახლება გამოიარა ქაქუცას ცოლ-შვილმა.

საკვანძო სიტყვები: 1924 წლის აჯანყება, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, საბჭოთა რეპრესიები.

ABSTRACT

In August 2024, the centenary of the 1924 popular uprising in Georgia was commemorated, an event aimed at liberating the homeland from Soviet occupation. Due to various circumstances, the uprising ended in failure, accompanied by bloodshed, mass executions, and widespread arrests. The driving spirit and main hero of the uprising was Kakutsa Cholokashvili, who embodied the Georgian knight: a calm, courageous man from Daba. His name has become permanently associated with the heroes who fought for independence and freedom. For a long time, mention of Kakutsa Cholokashvili's name was taboo.

This study seeks to recall several tragic episodes from the life of Kakutsa Cholokashvili's family—a family that was relentlessly pursued, arrested, and exiled to distant Siberia; some members were executed, while others lived their entire lives in fear and suffering. In particular, this study presents recollections from Kakutsa's daughters.

Tamari recalls: In 1923, the household of Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili was arrested: his wife Nino Mevginetukhutsesi and their two daughters, 7-year-old Tamari (Cicna) and 3-year-old Ket. Several female relatives, including members of the Sulokashvili, Avalishvili, and Mevginetukhutsesi families, were also detained. Cholokashvili himself was threatened: surrender, or your eldest daughter will be buried alive. After a year of inhumane conditions, Nino was informed that the children were free, but no family remained to take them except for their grandfather. The children were initially taken by their grandfather, Ilia Mevginetukhutsesi, who was soon arrested. For a time, their aunt Aniko sheltered them. In the villages of Kakheti, notices were posted threatening anyone who cared for Kakutsa's children with arrest.

During this period of fear, a loyal and courageous person emerged: Babia, the daughter of the family's former steward, Gio Kitiaishvili, who secretly came at night to provide the children with food, bread, and care. Their grandmother Aneta's sister, Varo Andronikashvili, only learned of the children's situation later and brought them to relatives in Telavi, cautioning that if asked, they should claim to have entered without her permission. The children remained there for a year before their mother and grandmother brought them to Tbilisi. No school would accept them, except for School No. 18 under Director Vakhvakhishvili, who bravely admitted them but instructed that no one should reveal their parentage.

Tamari recalls: their mother began working as a cleaner in a dispensary but could not endure the harsh conditions. After the war, she secured another job but was dismissed due to her family name.

Kakutsa's wife and children endured immense suffering, including humiliation, hunger, and forced relocations.

Keywords: The 1924 Uprising, Kakutsa Cholokashvili, Soviet repressions.

შესავალი

2024 წელს აგვისტოში ასე წელი შეუსრულდა 1924 წლის სახალხო აჯანყებას, რომლის მიზანი საბჭოთა ოკუპაციისაგან სამშობლოს განთავისუფლება იყო. მიზეზთა გამო აჯანყება მარცხით დასრულდა და მას სისხლი, მასობრივი დაზარალება და დაპატიმრება მოჰყვა. ეს აჯანყება მძიმე იყო ადამიანური მსხვერპლის გამო. აჯანყების სულის ჩამდგმელი და მთავარი გმირი იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილი. იგი იყო ქართველი რაინდის განსახიერება, დინჯი, დარბაისელი ვაჟკაცი. მისი სახელი სამუდამოდ უკავშირდება დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელს დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ ჰქონდა დადებული.

ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი პირდაპირი ჩამომავალი იყო სახელოვანი წინაპრის, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი XVII საუკუნის სახალხო გმირის - ბიძინა ჩოლოყაშვილისა, რომელმაც დიდი წვლილი დასდო სამშობლოს.

მსჯელობა

ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ოჯახის ტრაგედიის რამდენიმე ფურცელი, ოჯახისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევნიდნენ, იჭერდნენ და შორეულ ციმბირში ასახლებდნენ. ოჯახის რამდენიმე წევრი დახვრიტეს, მათ მთელი სიცოცხლე შიშსა და ტანჯვაში გაატარეს. ჩვენ გვინდა მოგითხროთ ქაქუცას ქალიშვილების რამდენიმე მოგონების შესახებ.

თამარის მოგონება: 1923 წელს დაიჭირეს ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის ოჯახი: მეუღლე ნინო მეღვინეთუხუცესი და ორივე ქალიშვილი - 7 წლის თამარი (ციცნა) და 3 წლის ქეთი. მათთან ერთად დაიჭირეს მთელი სანათესაოს ქალები: სულხანიშვილები, ავალიშვილები, მეღვინეთუხუცესები და სხვა. ჩოლოყაშვილს კი შეუთვალეს: დაგვებდი, თორემ შენს უფროს ქალიშვილს ცოცხლად დავმარხავთო. 1923-1924 წლებში თელავში, კახეთის სოფლებში და მეტეხის ციხეში უამრავი ხალხი დაიხვრიტა: ავალიშვილები, ვაჩნაძეები, მაყაშვილები, აბაშიძეები, მაჭავარიანები, ჭავჭავაძეები, ანდრონიკაშვილები, შერვაშიძეები, ამილახვრები, მეღვინეთუხუცესები, ჩოლოყაშვილები და სხვა. ერთი წლის არაადამიანურ პირობებში ყოფნის შემდეგ მეუღლეს ნინო მეღვინეთუხუცესს გამოუცხადეს, ბავშვები თავისუფლები არიან და ვინმემ წაიყვანოსო. ოჯახს ახლობელი აღარავინ ჰყავდა თავისუფალი, პაპის გარდა. ბავშვები ჯერ პაპამ ილია მეღვინეთუხუცესმა წაიყვანა, რომელიც მალევე დააპატიმრეს. გოგონები მამიდა ანიკომ დროებით შეიკედლა. კახეთის სოფლებში ყველგან ქაღალდები ყოფილა გაკრული, ვინც ქაქუცას ბავშვებს შეიკედლებს ან მოუვლის, ყველას დავიჭერთო. ამ შიშით მოცულ პერიოდში მოულოდნელად აღმოჩნდა ერთგული და უშიშარი ადამიანი: ეს იყო ოჯახის ყოფილი მოურავის - გიო ქიტიაშვილის ქალიშვილი ბაბია, რომელიც ფარულად მოდიოდა ხოლმე დამლაშობით, ბავშვებს საჭმელს უმზადებდა, პურს უცხობდა და უვლიდა პატარებს. ბებია ანეტას დას, ვარო ანდრონიკაშვილს, გვიან შეუტყვია ბავშვების ამბავი. თელავში დარჩენილ ნათესავებთან მიუყვანია ისინი, რომელსაც გულწრფელად უთქვამს: მეშინია, შვილები არ დამიჭირონო, საქათმეში შედით, თუ მკითხავენ, ვიტყვი, ჩემი ნებართვის გარეშე შევიდნენ-თქო. იქ პატარები ერთი წელი იმყოფებოდნენ.

ლ. ბერიას ბრძანებით ბავშვები განთავისფლდნენ. ბავშვები დედამ და ბებიამ თბილისში გადმოიყვანეს. ბავშვები არც ერთმა სკოლამ არ მიიღო, მხოლოდ მე-18 სკოლის დირექტორმა ვახვახიშვილმა გაზედა მათი მიღება, ოღონდ გააფრთხილა, ნუ იტყვით, ვისი შვილები ხართო.

თამარი იგონებს: დედამ დამლაგებლად დაიწყო მუშაობა ვენდისპანსერში, მაგრამ ვერ გაუძლო იქ მუშაობას. ომის დამთავრების-თანავე ახალ სამსახურში დაიწყო მუშაობა, გვარის გამო გამოაგდეს.

ბევრი ტანჯვა გამოიარა ქაქუცას ცოლ-შვილმა: არაერთი დამცირება, შიმშილი, გადასახლება; ამდენივე ხნის განმავლობაში ყველამ თავ-თავისი გზით იარა - იუდას მრევლმაც, ღმერთის სამწყსომაც, დრო მოვა, მაგრამ ვერ განიკურნება სისხლიანი წარსულის მწარე წყლულები.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი იმათგანია, ვისი სახელი ლეგენდასავით გავრცელდა ხალხში. ამ ლეგენდებს კვლავ ახალ-ახალი ემატება, რისი მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მის სახელს ჩვენში ტაბუ ჰქონდა დადებული, არადა ამ პიროვნებისადმი ინტერესი კი არ ნელდება, არამედ კიდევ უფრო იზრდება.

1924 წლის 28 აგვისტოს ბედენის მთაზედ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში. ეს აჯანყება დამარცხდა, ქ. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დატოვეს. აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა, ისევ ფრიალებს, ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს. მისი სახელი სამუდამოდ გადაბმულია ქართული ერის ბრძოლის ისტორიასთან დამოუკიდებლობისათვის და ამ ისტორიაში ის შევიდა როგორც ბრწყინვალე ეროვნული გმირი.

1924 წლის აჯანყების დროს ერთ-ერთი შეტაკებისას მოკლულ იქნა მისი ძმა სვიმონი (სიკო), რომელიც მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყეში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. ამ ბრძოლის დროს დატუსაღებულ იქნა მისი მეუღლე და ორი მისი პატარა ასული. გაშმაგებული ბოლშევიკები მისი ასულის ცოცხლად დამარხვას მოითხოვდნენ. ეს არ მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ დაატუსაღეს ჩოლოყაშვილის დედა, სიდედრი და სიმამრი. რომელიც 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს კიდევ. ეს ამბები საქართველოს ბევრ რეგიონში ხდებოდა: გურიაში, აჭარაში, იმერეთსა და სხვა კუთხეებში. მაგრამ ჩვენ გამცნობთ ამ ოჯახის ტრაგიკულ ქრონიკას, ოჯახისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევნიდნენ, რამდენჯერმე დაიჭირეს, გადაასახლეს, რამდენიმე წევრიც დახვრიტეს, ოჯახისა, რომელმაც მთელი სიცოცხლე შიშსა და წვალებაში გაატარა. მოგონებები უშუალოდ მემკვიდრეებისაგან, ქალიშვილებისაგან არის მონათხრობი, რომლის სტილი მთლიანად დაცულია.

თამარის მოგონება: „შვიდი წლისა ვიყავი, როცა პირველად წამიყვანეს დაკითხვაზე...“

ამ დაკითხვამდე რამდენიმე თვით ადრე, 1923 წელს, დაიჭირეს ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ოჯახი: მეუღლე ნინო მეღვინეთუხუცესი და ორივე ქალიშვილი: 7 წლის თამარი (ციცნა) და მისი სამი წლის და ქეთი. ქეთი იმავე დღეს გამოუშვეს, მეუღლე და პატარა ციცნა კი სამი დღე-ღამე მშიერ-მწყურვალე იყვნენ თელავის მილიციაში. სამი დღის შემდეგ შიმშილისაგან დასუსტებული დედა - შვილი გამოუშვეს, მაგრამ ჩქარა ისევ დაიჭირეს. მათთან ერთად დაიჭირეს მთელი მათი სანათესაოს ქალები: სულხანიშვილები, ავალიშვილები, მეღვინეთუხუცესები და სხვა. ყველანი თელავის მილიციაში ერთ ოთახში შეყარეს, სულ 80 კაცი, აქედან 50-ამდე ქალი. დღე-ღამე ცივ იატაკზე ისხდნენ. სამი წლის ქეთი დედის კალთაში იჯდა. ნინო მეღვინეთუხუცესი ყოველდღე გაჰყავდათ დაკითხვაზე და საათობით ტანჯავდნენ.

უფროს ქალიშვილს თამარს (ციცნას) ნება მისცეს სკოლაში ევლო მილიციიდან და სწორედ სკოლაში სიარულის 3 დღის შემდეგ იყო, რომ ორი მილიციის თანხლებით იგი დაკითხვაზე წაიყვანეს: „თითქოს გულმა უგრძნო, წინა დღეს ბებია ანეტა ავალიშვილმა, რომელსაც წმ. ნინოს სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, ჭკვიანი და განათლებული ქალი იყო უთხრა:

- გახსოვს, მამა რომ მოდიოდა ჩვენთან აწყურშიო?

- მახსოვს, - ვიპასუხე მე, რადგან მამა სახლში 3-მჯერ მყავდა ნანახი. ქეთამ კი არ იცოდა ვინ იყო მამა. ბებია გამაფრთხილა, არსად თქვა, მამა სახლში რო მოდიოდაო, თორემ დედაშენს მოკლავენო, შენ კი ნურაფრის გეშინია არაფერს გიზამენო. ტირილი ამივარდა და დავპირდი, არაფერს ვიტყვი-მეთქი. სწორედ ამ საუბრის მეორე დღეს წაიყვანეს დაკითხვაზე. უფროსის კითხვებზე მამის შესახებ, მე ვუპასუხე, რომ მამა სახლში არ მოდიოდა-მეთქი. ასე გაგრძელდა რამდენიმე საათი. დაყვავების შემდეგ, ხმას უმაღლებდა, მერე კი დამემუქრა. მე იგივეს ვიმეორებდი, მაშინ მან მილიციონერებს მიმართა:

- წაიყვანეთ ეს გოგო, აი, იმ ეზოში დიდ ბოჩკაშ ჩააგდეთ და ცეცხლი წაუკიდეთო.

მილიციონერებმა ხელი ჩამავლეს და ეზოსაკენ წამატორიეს. შიშსაგან ფეხები მეკეცებოდა, მაგრამ სულ დედაჩემის სახე მედგა თვალწინ და ხმა არ ამომიღია. კარს რომ მივუახლოვდი, ისევ უკან დამაბრუნეს და კითხვა რამდენჯერმე დამისვა, დამიყვირა და დამემუქრა. ჩემთან რომ ვერას გახდნენ, გამოიძახა ჩემი და სამი წლის ქეთი. მისცა კანფეტი, ქეთიმ აიღო: ჰკითხა მამა თუ გინახავს თქვენთან სახლშიო? ქეთიმ უპასუხა არაო. დიალოგი ასე გაგრძელდა:

- აბა მოიგონე, იქნებ სადმე გინახავს მამაშენი?

- კი, ვიღაც კაცმა ტყეში წამიყვანა და იქ ვნახეო.

- როგორ ნახე?

- თეთრ ცხენზე იჯდა, თეთრი ჩოხა ეცვა და ოქროს ქამარ-ხანჯალი ეკეთა.

- რა ერქვა იმ კაცს?

- მიშა, (მეორე დღეს მიშა ჭავჭავაძე დაიჭირეს).

ამის შემდეგ გამოიძახეს დედა:

- შენ არაფერს ამბობ, აი შენმა შვილებმა კი მამა ვნახეთო. დედას ფეხები მოეკვეთა. მე ტირილი დამიწყია და დედას მივვარდნილვარ.

- მე არაფერი მითქვამს, ტყეზე ქეთიმ თქვა.

დედამ უპასუხა:

- მე არც ერთხელ არ მინახავს ქაქუცა და ბავშვები სადღა ნახავდნენ?

ბავშვებთანაც რომ ვერას გახდა, გაგულისებულმა უფროსმა ბრძანა, ბავშვები სარდაფში ჩაყარეთო და მთელი ღამის განმავლობაში ეს ორი პატარა ბავშვი იჯდა ბნელ, ცივ სარდაფში, სადაც ვირთხები დარბოდნენ. მთელი ღამე პატარა ქეთი შიშსა და სიცივისაგან კანკალებდა და ტიროდა. ბებია ანეტას უთხოვია უფროსისათვის, მეც სარდაფში ჩამიყვანეთო, მაგრამ უარი მიუღია: ჩოლოყაშვილისათვის კი შეუთვლია, დაგვნებდი, თორემ შენს უფროს ქალიშვილს ცოცხლად ჩავაყოლებთ ერისთავსო.

1923-1924 წლებში თელავში, კახეთის სოფლებში და მეტეხის ციხეში უამრავი ხალხი დაიხვრიტა: ავალიშვილები, ვაჩნაძეები, მეღვინეთუხუცესები, ჩოლოყაშვილები, მაყაშვილები, აბაშიძეები, მაჭავარიანები, ჭავჭავაძეები, ანდრონიკაშვილები, შერვაშიძეები, ამილახვრები და ბევრი სხვა. დახვრეტილების სია გამოკრული იყო ყველა სადგურზე, ბაქანზე, მოედნებზე.

ერთი წლის არაადამიანურ პირობებში ყოფნის შემდეგ, ნინო მეღვინეთუხუცესს გამოუცხადეს, ბავშვები თავისუფლები არიან და ვინმემ წაიყვანოსო, ოჯახს ახლობელი არავინ ჰყავდა თავისუფალი, პაპის გარდა და ისიც აწყურში, თითქმის ყველა დაჭერილი იყო მაშინ. ციცნას პაპა ილია მეღვინეთუხუცესი ერთადერთი ახლობელი, რომელიც დაჭერილი არ იყო გარკვეული მიზეზების გამო, ჩამოსულიყო აწყურიდან. ბავშვების განთავისუფლების ამბავი რომ შეიტყო, მთელი ღამე მეტეხის ციხესთან გაუტარებია, რომ დილით ბავშვები წაეყვანა. „დედა ღელავდ, ეშინოდა, ხომ არ მომატყეს და ბავშვები თავშესაფარში ხომ არ მიჰყავთო. პატიმარმა ქალებმა მხრებზე დაიყენეს და პაწაწა სარკმლიდან დაანახეს, როგორ მიჰყავდა პაპას აქეთ-იქით ხელჩაკიდებული განთავისუფლებული ორი პატარა „პოლიტიკური“ პატიმარი - სამი და შვიდი წლის ბავშვები. პაპამ ბავშვები თელავში წაიყვანა ერთ ნათესავთან, რომელმაც ბავშვები არ მიიღო: „ეგენი ჩემი ნათესავები არ არიანო“. პაპა აწყურისაკენ გაუდგა გზას. ასე ცამეტი კილომეტრი მთელი ღამე იარეს ბავშვებმა ფეხით და აწყურში ჩავიდნენ, ორი თვე პაპა მარტო უვლიდა ბავშვებს. ამის შემდეგ ერთ საზარელ ღამეს პაპაც წაიყვანეს და 24-ში დახვრიტეს. ორი გოგონა სულ მარტო დარჩა. გოგონები მამიდა ანიკომ დროებით შეიკედლა, მაგრამ მეორე დღეს ქმარი დაუჭირეს და მამიდამაც ბავშვები სასწრაფოთ დააბრუნა სახლში. კახეთის სოფლებში ბევრგან ქაღალდები ყოფილა გაკრული, ვინც ქაქუცას ბავშვებს შეიკედლებს ან მოუვლის, ყველას დავიჭერთო. ასე ვიყავით მარტოკები, მშიერნი, დაუბანელნი, ყველასაგან დავიწყებულნი. ქარის ზუზუნის დროს სახლის სახურავი რომ ჭრიალებდა, შიშით სახლში ვერ ვჩერდებოდით და გარეთ კაკლის ძირში ვჯდებოდით ხოლმე, მთელ ღამეს აქ ვატარებდით. ამ შიშით მოცულ პერიოდში, მოულოდნელად აღმოჩნდა ერთგული და უშიშარი ადამიანი: ეს იყო ოჯახის ყოფილი მოურავის - გიო ქიტიაშვილის ქალიშვილი ბაბია, რომელიც ფარულად მოდიოდა ხოლმე ღამდამოხით ბავშვებს საჭმელს გვიმზადებდა, პურს გვიცხობდა და გვივლიდა. ასე მარტო იყვნენ ბავშვები თითქმის ერთი წელიწადი. ბებია ანეტას და - ბარო ანდრონიკაშვილი შორს ცხოვრობდა. გვიან შეუტყვია ბავშვების ამბავი. ჩამოსულა ისევ, თელავში დარჩენილ ნათესავებთან მიუყვანია ბავშვები, მაგრამ ნათესავს გულწრფელად უთქვამს, ოთახს კი დაგიტმოხდი, მაგრამ მეშინია, შვილები არ დამიჭირონო, საქათმეში შედით, თუ მკითხავენ, ვიტყვი, ჩემი ნებართვის გარეშე შევიდნენ-თქო. მთელი წელი ბავშვები ამ საქათმეშ ცხოვრობდნენ.

როცა ბავშვები ციხიდან გაანთავისუფლეს, მათი დედა იქვე დარჩა. ცამეტ ქალს დახვრეტის მუხლი ჰქონდა მიყენებული. ნინოსთან ერთად ისხდნენ: ანეტა ჩოლოყაშვილი, ბაბულია სულხანიშვილი, ევა

სულხანიშვილი, მიქელაძე და სხვები. მოსკოვიდან მიღებული მითითებით დახვრეტის ვადა გადაიდო, ხოლო როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა სსრკ-ის საზღვრები დატოვა, ქალები გამოუშვეს.

ნინო მეორედ დაიბარა ბერიამ და უბრძანა, თელავში ცხოვრების უფლება არ გაქვთ, თბილისში უნდა გადმოხვიდეთ და თვეში ერთხელ ჩეკაში უნდა გამოცხადდეთ. ოჯახი - დედა, ბებია და ორი ბავშვი - თბილისში გადმოდის და შორეული ნათესავის ბინაში ქირით სახლდება. დადგა ბავშვების სკოლაში სიარულის საკითხიც. სკოლის დირექტორი ჯერ დაითანხმა მათ მიღებაზე, შემდეგ მათი გვარის შიშით უარი უთხრა. ბავშვები არც ერთმა სკოლამ არ მიიღო მხოლოდ მე-18 სკოლის დირექტორმა ვახვახიშვილმა გაბედა მათი მიღება, ოღონდ გააფრთხილა, ნუ იტყვიან, ვისი შვილები არიანო. ოთხწლელი რომ დაამთავრეს, იგივე ამბავი განმეორდა და დიდი ვაი-ვაგლახით მოხერხდა შვიდწლედში მოხვედრა და დამთავრება. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ არც ერთმა სკოლამ არ მიიღო. მეგობრების დახმარებით ციცქნა ვეტტექნიკუმში მიიღეს. ამ დროს გარდაიცვალა ბებია. დედა შავ სიაში იყო და სამსახურს ვერ შოულობდა. თავის სარჩენი არავითარი არ გვქონდა, არამცთუ დასამარხავი თანხა. მაგრამ კეთილი ადამიანების დახმარებით ბებია ადამიანურად დაკრძალეს. თამარი იგონებს: შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავით, დედამ დამლაგებლად დაიწყო მუშაობა ვენდისპანსერში, მაგრამ ვერ გაუძლო იქ მუშაობას და ბაქტერიოფაქტში ძლივს მოაწყვეს. ომის დამთავრებისთანავე გვარის გამო გამოაგდეს. ციცნამ ჯერ შინსახკომში ჩაის მიმტანად დაიწყო მუშაობა, მაგრამ პირველივე დღეს, როცა ჩაი აიტანა მეორე სართულზე და ხუთი კაპიკი მისცეს, შეურაცხყოფილმა მაშინვე დაანება თავი. მერე ღვინის ქარხანაში მუშაობდა, მერე სამტრეხტში მხაზველად. ახალი დირექტორის დანიშვნა და ციცნას მოხსნა ერთი იყო. ასევე, დედასი. რაღაცით ხო უნდა ერჩინათ თავი. დედა კარგად ქარგავდა, ციცნას კი კერვა ეხერხებოდა. ამით დაიწყეს თავის რჩენა.

1935 წელს ციცნა გათხოვდა იოსებ გელოვანზე. ქმარი სამუშაოდ გურიაში წავიდა და ჩაის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ციცნა გაჰყვა გურიაში ქმარს. პირველ დღეს სამსახურში წასული გელოვანი სახლში არ დაბრუნებულა, იგი დაიჭირეს და 10 წელი მიუსაჯეს. ციცნა ქმართან წავიდა კარელიაში, სადაც ლენინგრადის გავლით უნდა ჩასულიყო. ეს გზა რის ვაი-ვაგლახით გაიარა, 15 კილომეტრი გზა ტყეზე გადიოდა, მთელი დღე და ღამე იარა ქალმა ძაღლების ყეფის აკომპანემენტის ქვეშ. ბევრი შიში და უსიამოვნება გადახდათ თავს ოჯახის წევრებს, სულ ერთთავად უარესის მოლოდინში იყვნენ, დაკითხვა 16 საათი გრძელდებოდა. გამომძიებლები რომილდებოდნენ, მერესხვებიცვლიდნენ. ციცნას დახვრეტის ოთხი პუნქტი ჰქონდა. 1943 წელს გამომძიებელმა გამოიძახა და უთხრა: რომ დახვრეტის პუნქტი შეიცვალა, სამეულმა დაადგინა სამუშაო გადასახლებაო, ურალსკის რაიონის სოფელ სჩიპოვოში. 1947 წელს უფროსმა იაშამ გამოგვიძახა და გვითხრა, განთავისუფლებულნი ხართო თამარი და ნინო.

დასკვნა

ბევრი ტანჯვა გამოიარა ქაქუცას ცოლ-შვილმა, არაერთი დამცირება, შიმშილი, გადასახლება, ამდენი ხნის განმავლობაში ყველამ თავ-თავისი გზით იარა - იუდას მრევლმაც, ღმერთის სამწყსომაც. დრო გავიდა, მაგრამ მან ვერ განკურნა სისხლიანი წარსულის მწარე წყლულები.

გამოყენებული ლიტერატურა

- ამირეჯიბი 1989 – შ. ამირეჯიბი, ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი (ბიოგრაფია). თბილისი, 1989.
- ბაქრაძე 1989 – მ. ბაქრაძე, სისხლიანი დროის რამდენიმე ამბავი. თბილისი, 1989.
- გოგიბერიძე 1989 – ს. გოგიბერიძე, მთავარი მიზეზები - 24 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხი. თბილისი, 1989.
- გოგიბერიძე 1991 – ს. გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის. თბილისი, 1991.
- ნაცვლიშვილი 1989 – პ. ნაცვლიშვილი, უკანასკნელი შეფიცული. თბილისი, 1989.
- ოთხმეზური 1985 – ი. ოთხმეზური, 24 წლის აგვისტოს დღეები, მოგონებები. თბილისი, 1985..
- შარაძე 1988 – გ. შარაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. თბილისი, 1988.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9398>

**ეპოქის მიკრომოდელი
ოთარ ჩხეიძის „ბორიაყში“**

**A Micromodel of the Epoch
in Otar Chkheidze's „Boriaqi“**

ნესტან ფიფია

ზუგდიდის შოთა მესხიას
სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ზუგდიდი

Nestan Pipia

Zugdidi Shota Meskhia
State University
Georgia, Zugdidi

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება ოთარ ჩხეიძის ცნობილ ნაწარმოებს „ბორიაყი“, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ფილმი „ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა“ (რეჟისორი – გიორგი შენგელაია). მწერალი საბჭოთა რეჟიმის რთულ პირობებში ქმნიდა მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებებს, 24 წიგნად რომ გამოთლიანდა „მატიანე ქართლისაის“ რკალში. „ბორიაყში“ აისახა მხატვრული სივრცე კონკრეტული ეპოქისა. „ეს არის ნაწარმოების თავისავე კონტექსტში განთავსება. ლიტერატურულ ნაწარმოებში აისახება ნაწარმოების სულისკვეთება და სხვადასხვა სახის წინააღმდეგობანი“ (გაგა ლომიძე).

ო. ჩხეიძისათვის მიუღებელი იყო დისტანციის თეორია. მიზეზ-შედეგობრივი მთლიანობით ასხმულ მის ნაწარმოებს აქვს პოლიტიკური კონტექსტი – ეს არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით 1924 წლის აჯანყების ამბები. აღწერილია წითელი რეჟიმის სისასტიკე, რეპრესიები; როგორ არბევს სოფელს, გვარს ჯარი: „ვითომ რო ჯარი განმათავისუფლებელი, ვითომ რო მხსნელი, ვითომ რო მეგზური სწორუპოვარი ბედნიერებისა“ (ოთარ ჩხეიძე). „ბორიაყის“ პერსონაჟების – იტრიელების პროტოტიპები მწერლის წინაპრები არიან. იტრიელი ძმების, ბიძების თითოეული ფრაზა იტევს ეპოქის ხასიათს, ისტორიულ სიბრძნეს, სტრატეგიას, იმედსა და უიმედობას. მათ მსჯელობაში, დამოუკიდებელი საქართველოსადმი საერთაშორისო გარემოს დამოკიდებულების წარმოჩენასთან ერთად, ხაზგასმულია ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის

ემოციურ-პოლიტიკური არსი, „სიტკბო დაკარგული დამოუკიდებლობისა და სიმწარე აღრეულობისა“, ხელისუფლების სათავეში რომ არაჯანსაღი კოსმოპოლიტიზმის მქადაგებელნი მოექცნენ. მწერალი აქ ანონიმი მთხრობელი არ არის; მსჯელობს არგუმენტირებულად, გვარწმუნებს: „ილია მოჰკლეს და აირია ყველაფერი, იმიტომ მოჰკლეს, რომ არეულიყო. ბედი მოგვაწყდა და ალლო ვერ ავართვით და საბედისწეროდ გადაგვექცა“ (ო. ჩხეიძე).

„ბორიაყი“ იმ ეპოქის მიკრომოდელია, 1918 წლის 26 მაისის სიხარული რომ გადათელა 1921 წლის 25-მა თებერვალმა – მე-11 არმიამ თბილისის თავზე წითელი დროშა ააფრიალა. დამოუკიდებლობის გამოხსნის მიზნის 1924 წლის აჯანყებაც ჩაიფერფლა. დარჩა იმედი და მოლოდინი. ქვეყნის საშველად „დამახების“ მოლოდინი. თითოეული პერსონაჟი მნიშვნელოვანი სიმბოლური სახეა დეკოდირების სისტემაში, დაწყებული არარსებული შეთქმულების თავკაცობადაბრალებული ნიკუშა ჩაჩანიძით მეურმით დამთავრებული, რომ ვერ გაუგია, რატომ აღმოჩნდა დასახვრეტთა შორის.

ნაწარმოების ნარატოლოგიურ მრავალფეროვნებაში მწერალი გულის კულტურით ამთლიანებს ფაბულასა და სიუჟეტს, თხრობასა და ისტორიას – ასე იძერწება დოკუმენტური რეალობა მხატვრულ ქმნილებად. სიუჟეტი დინამიკურია. ახალგაზრდა კომპოზიტორი ნიკუშა ჩაჩანიძე იმედის სიმბოლოდ სახლობს მთელ სიუჟეტში, იმედისა, რომ დღეს თუ ხვალ ბრძოლა განახლდება, ქვეყანა გათავისუფლდება ღვთის, ტრადიციისა და თვითმყოფადობის წინააღმდეგ მებრძოლი ძალისგან.

ტექსტის ანალიზისას ვიხელმძღვანელებთ ინტერპრეტაციის მეთოდით. კვლევა მნიშვნელოვანია მხატვრული ნაწარმოების ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით, მწერლის მისიის ხაზგასმით – საბჭოთა ცენზურის პირობებში წარმოაჩინოს ეპოქის ხასიათი.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული პროზა, ოთარ ჩხეიძის ნაწარმოები „ბორიაყი“, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკა.

ABSTRACT

The study is based on Otar Chkheidze's well-known work *Boriaqi*, which served as the basis for the film *The Journey of a Young Composer* (director: Giorgi Shengelaia). The writer created artistic-documentary works under the challenging conditions of the Soviet regime, which eventually coalesced into a 24-volume cycle of *The Chronicle of Kartli*. In *Boriaqi*, the artistic space of a specific epoch is reflected: „This is the placement of the work within its own context. A literary work embodies the spirit of the work itself and various forms of conflict“ (Gaga Lomidze).

For Otar Chkheidze, the theory of distance was unacceptable. His work, structured as a coherent cause-and-effect narrative, possesses a strong political context, recounting the events of the 1924 uprising under the leadership of Kakutsa

Cholokashvili. It depicts the brutality of the Red regime and the repressions, showing how the army ravages villages and families: „As if the army were liberators, as if they were saviors, as if they were the steadfast guides to happiness“ (Otar Chkheidze). The prototypes of the characters in Boriaqi, the Itrielis, are the writer's ancestors. Each phrase spoken by the Itrieli brothers and uncles conveys the character of the epoch, historical wisdom, strategy, hope, and despair.

In their deliberations, alongside the depiction of the international environment's stance toward independent Georgia, the work emphasizes the emotional and political essence of the country's lost independence: „the sweetness of lost independence and the bitterness of subjugation“, particularly when the government is led by those preaching unhealthy cosmopolitanism. The writer here is not an anonymous narrator; he reasons persuasively and convinces the reader: „Ilia was killed and everything was thrown into chaos, because he was killed, everything fell into disorder. Fate was against us, and we could not cope; it turned against us fatally“ (Otar Chkheidze).

Boriaqi serves as a micromodel of its epoch, capturing the transition from the joy of May 26, 1918, to the tragedy of February 25, 1921, when the Eleventh Red Army raised the red flag over Tbilisi. The 1924 uprising, aimed at restoring independence, also ended in ashes. What remained was hope and expectation-the anticipation of a call to save the nation. Each character embodies a significant symbolic role within a system of decoding, from Nikusha Chachanidze, accused of leading a nonexistent conspiracy, to the steward, who could not understand why he ended up among those condemned to death.

Within the narratological diversity of the work, the writer unifies the fabula and the plot, narration and history, through the culture of the heart, thus transforming documentary reality into artistic creation. The plot is dynamic: the young composer Nikusha Chachanidze stands as a symbol of hope throughout the story-the hope that, whether today or tomorrow, the struggle will resume and the country will be liberated from the force opposing God, tradition, and national identity.

In analyzing the text, we employed an interpretative method. This study is significant in considering the historical context of the literary work and emphasizing the writer's mission: to depict the character of the epoch under the constraints of Soviet censorship.

Keywords: 20th century Georgian prose, Otar Chkheidze's work „Boriaki“, criticism of the Soviet regime.

შესავალი

მწერლისათვის ქმნადობის იარაღი არის სიტყვა, მაგრამ არსებითად მნიშვნელოვანია შემოქმედის მიერ სიტყვის განცდა და მისადმი მართალი დამოკიდებულება. ოთარ ჩხეიძის მხატვრულ სამყაროში სიტყვა ლამისაა პერსონაჟია. მისთვის სიტყვები „ყვავილობაა“, ზედ ფუტკარი რომ დაბზუის; „ჩააწყვე ყვავილებში, ფერებში ჩააწყვე ცხოვრების ნაგლეჯები,

აადევნე ბზუილს ფუტკრისასა“ (ჩვენი მწერლობა 2003, №5: 2) გამჭვირვალე მეტაფორაა: ფუტკარი - შემოქმედი, ენა - ყვავილები. რაც შეეხება სიმართლისადმი დამოკიდებულებას, მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მწერლისეული ერთი სენტენციაც წარმოაჩენს მას: „დროზე მაშინ ითქმის, როცა გიკრძალავენ“.

დიახ! აკრძალვის, ცენზურის პირობებში შეიქმნა „მატიანე ქართლისაის“ 24 დოკუმენტური რომანი ოთარ ჩხეიძისა. ის ხელდასხმული იყო ამ მისიით - შთამომავლობისთვის გაეცოცხლებინა სახელმწიფოებადარღვეული საქართველოს ისტორიული ჟამი.; ეჩვენებინა ბრძოლაც, გმირობაც, ღალატიც. მხატვრულ სიტყვაში გააცოცხლა დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესიც; უკვე დამოუკიდებელ ქვეყანაში აზავებული შური და გაწირვაც (ამ მხრივ მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშებია: „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“). ისტორიული ნაწარმოების ფუნქცია არის მკითხველს შეუქმნას ნათელი წარმოდგენა კონკრეტულ ეპოქაზე, მიაწოდოს ზოგადმხატვრული სახეები, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ, ეროვნულ ნიშნებს აერთიანებს. ეს არის „ნაწარმოების თავისსავე ისტორიულ კონტექსტში განთავსება. ლიტერატურულ ნაწარმოებში აისახება ეპოქის სულისკვეთება და სხვადასხვა სახის წინააღმდეგობანი“ (ლიტერატურის თეორია 2008: 293) ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში ეს კონტექსტი განსაკუთრებულია პერსონაჟთა მრავალფეროვნებით, სახელთა მხატვრულ-ფსიქოლოგიურ-ეტიმოლოგიური დატვირთვით, ლექსიკით, თვით სასვენი ნიშნების ორიგინალური ფუნქციითაც. საბჭოთა ცენზურა კი სწორედ იდეურ-მხატვრულ კონცეფციასა და სტილს უწუნებდა. ცდილობდა მწერლის იძულებას საბჭოთა იდეოლოგიისთვის მოერგო ნაწარმოებ(ებ)ი. „იდეური კონცეფცია არ არის სწორი“, გამოჰქონდათ დასკვნა.

გარდასულ დღეთა განცდით მომავალს მიყურადებულ მწერალს ჰქონდა საოცარი ინტუიცია, შინაგანი ხედვა და ფსიქოლოგიური წვდომა. ამისდასტურია მრავალი პასაჟი თუ პერსონაჟთა სახეების ნაწარმოებებში. ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებს შექმნიდან წიგნად დაბადებამდე საბჭოთა ცენზურასთან „შერკინებაში“ თავისი ბიოგრაფია აქვს. ამ მხრივ გამოირჩევა „ბორიაცის“ თავგადასავალი, რაც თვით მწერალმა გადმოსცა წერილში „ამა წიგნისთვისა“, სადაც აღწერილია ხანგრძლივი პროცესი ხელოვნური დაბრკოლებებისა, დაბეჭდვამდე - 1967 წელს რომ დაიწერა და 1983 წელს გამოვიდა წიგნად.

კვლევის მეთოდები

ინტერპრეტაციის მეთოდი, „ახალი ისტორიზმი“ (ისტორიული რეალობა და ლიტერატურა, ისტორიული ტექსტი ისტორიის ნაყოფიც და მწარმოებელიც) მხატვრული ნაწარმოების დეკოდირების სისტემაში ავტორის გამოცდილების ფსიქოლოგიური კოდი.

მსჯელობა

ოთარ ჩხეიძე მართალი მწერალი იყო, ერის მესიტყვე, მან იცოდა, „ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების... უსათუოდ უნდა გამომექვეყნებინაო,

რადგან რო ვშიშობდი და აშკარაც იყო, რო ჩლუნგდებოდა ჩვენი ხალხი. ჩლუნგდებოდა და აირეოდა, აირეოდა და გაითქვიფებოდა, შეერწყმოდა და შეეზილებოდა, რასა თუ ვისა რაღა სათქმელია (ჩხეიძე 2021: 350). სწორედ სიჯანსაღის, თავისთავადობისა და თვითმყოფადობისათვის ბრძოლა იყო საფრთხე საბჭოთა რეჟიმისთვის, ამიტომაც „ასეცა მართავდნენ ლიტერატურასა... გაირიყებოდა მწერალი მწერლობიდანა. ასე ირღვეოდა სალიტერატურო პროცესები“ (იქვე) და იმ რღვევის ჟამს წერდა „ხანი უნდობარზე“. მისთვის მიუღებელი იყო „დისტანციის თეორია“. მიზეზ-შედეგობრივი მთლიანობით ასხმულ მის ნაწარმოებებს აქვს პოლიტიკური კონტექსტი („მთლიანობა ხელოვნებაში ურთულესი საქმეა“ - მ. ჯავახიშვილი. ეს მთლიანობა ურღვევია ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებში).

„ბორიაცი“ 1983 წელს გამოიცა რუსულად (რთული გზის გავლის შემდეგ). ანოტაციაში მიუთითეს: 1905 წლის აჯანყების შემდგომი ამბები, - არ უნდა გაჟღერებულიყო 1924 წლის აჯანყება, ქართველი ერის დამოუკიდებლობის წყურვილი. მწერლისგან მოითხოვდნენ, 19 თავით დამთავრდეს ნაწარმოებო. სწორედ მომდევნო თავები აღწერს რეჟიმის სისასტიკეს - რეპრესიებს. XX თავი მკითხველის ერთგვარი შემზადებაა მომდევნო თავებში განსაცდელი მოვლენებისა. XXI თავში ვკითხულობთ, თუ როგორ არბევს, ანადგურებს, მიწისაგან პირისა აღგვას ცდილობს ფანიელებისა, იტრიელებისა, არჯავენელებისა, ოცხელებისა ჯარი, „ვითომ რო ჯარი გამანთავისუფლებელი, ვითომ რო მხსნელი, ვითომ რო მეგზური. წინამძღოლი სწორუპოვარი ბედნიერების დიად გზაზედა. ვითომ რო თვითონ რო მიდიოდა. ვითომ სხვებსაც რო უნათებდა (ჩხეიძე 2021: 281).

XXII თავში უმძიმესი სურათია, როგორ „აჰკრიფეს“ ეგრე მამიდაშვილ -პაპიდაშვილებიანადა, ნათლიიშვილ-ძიძიშვილებიანადა“, მიაყოლეს მასწავლებლები, განსწავლული მეურნეები, მღვდლები, დიაკვნები. „პატარებსაც არა სწუნობდნენ, ოღონდ კარი გამოეკეტათ“. საგულისხმოა, რომ ამ მონაკვეთს ესაფუძვლება მწერლის გამოცდილების ფსიქოლოგიური კოდი. იტრიელების პროტოტიპები მწერლის მამა და ბიძები არიან. ჩანაწერებში „დროდადრო“ 1967 წლის 6 ივლისით არის დათარიღებული დოკუმენტების ნომრები: №228, №206, №163-ის ინფორმაციით, როგორ დახოცეს ყელქცეულაში დაპატიმრებისას, თითქოს „გაქცევის მცდელობის გამო“ მიტუმა, ერმალოზ და რევაზ ჩხეიძეები. „ვაგლახ!... ეს ცნობა დარჩენილა იმ დიდი ტრაგედიისა, ჩვენი ოჯახების დიდი ტრაგედიისა! ეს ყალბი, ფალსიფიცირებული, ცინიკური ცნობა“, - ამბობს ოთარ ჩხეიძე. თვითონ მცირეწლოვანი ძლივს გადაურჩა „ახალმოწესებს“, დედამ ურმით გააპარა თბილისში.

ნაწარმოებში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალია იტრიელების გადაწყვეტილება - როგორ დახვდნენ „სიკვდილის ცელით“ შემოსულ ჯარს. „ბრძოლა განწირულიყო, განწირულიყო ყველაფერი. ბოროტი პარპაშებდა“. კარზე მომდგარ წითელ ჯარს ხანძარი, სისხლი და განადგურება მოაქვს. იტრიელი ძმები (ჩხეიძეები) ხანმოკლე დისკუსიით გადაწყვეტენ, გიორგი და ბაქარი მაინც გაარიდონ გვარის ამოწყვეტას, რაც გარდაუვალია. უჭირთ ბიჭებს, ძალიან უჭირთ დათანხმება... „ხსნა არ იყო, შთაინთქნენ“.

„ - არავინ შემოგაკვდეთ, - ბრძანა როსტომმა“. ეს ფრაზა ხაზს უსვამს, რამდენად განსხვავებული ძალა დგას პირისპირ (წითელი რეჟიმი - ცეცხლი, მახვილი, განურჩეველი ჟლეტა წითელი დროშის ერთგულებით, მეორე მხარეს - გარიდება, სანამ შესაძლებელია).

ფანიელები დაარბიეს. ხანძარს გამოქცეულნი „მიბინარდნენ“ ერთ კუთხეში; ცოცხლად გადავრჩით, ცოცხლად გადავრჩით, ცხოვრებას კიდევ მივეწევიტო, - თავს ინუგეშებდნენ, მაგრამ როგორც კი მკვდრულ ძილს მიეცნენ, სწორედ მაშინ დაესხნენ თავს: „დაესხნენ და ასჩეხეს, აკუწეს, წამოაგეს სამთითებზედა ორსული ქალებიც, აკვნიანი ბავშვებიცა, სარეზზე ჩამოაგეს ორსული ქალები და მზე რომ ამოვიდა, ეგრე შეაგებეს“ (ჩხეიძე 2021: 307) - ეს „ახალმოწესეთა“ ხელწერაა.

XXIII თავში ბექას ციხის აღების სულისშემძვრელი ეპიზოდია: „და იყო მდუმარება და გაიგონებოდა მოთქმაი ციხისა, მოთქმაი ძალუმი და უსასოცა იმავე დროსა. გაიგონებოდა კვნესაი ჩუმი, მოუშუშებელი ჭრილობებისა“ (იქვე: 324).

XXIV თავი მეტაფორულად ხსნის სათაურის ესთეტიკას: „მზე შებურვილიყო ბორიაყითა“. სულხან-საბას განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ბორიაყი იგივე ბორი. სადარო ნისლია. ბორი - ხმელი ნისლი მტერის მსგავსი“ (ორბელიანი 1991). ნაწარმოებში ბორიაყი ჰიპერბოლიზებულია - ფარავს გზას, მზეს, სუნთქვას აძნელებს. „არსად ქარიო, არსად სიოო. იდგა სიწყნარე. უშფოთველი. დაუნდობელი. გაუსაძლისი. და ეფინა მტვერი. მხურვალე მტვერი ქართლის გზებისა (ჩხეიძე 2021: 156). მოულოდნელი წერტილებით აქცენტირებულია მძიმე ემოცია.

XXV თავისულ სამი გვერდია - დასკვნითი ხასიათის. ამიერკავკასიის ცაკის სესიის მასალებიდან ამონარიდის დამოწმება: „საქართველოში ექვსი პროცენტი იყო თავადაზნაურობაო... უნდა გაუწყოთ, საზეიმოდ უნდა გაუწყოთ: უკვე ერთ პროცენტზე დავიყვანეთ, ერთზე, ერთადერთზე, და შემდეგ სხდომაზე ბედნიერება მექნება მოგახსენოთ: ნოლი იქნებაო, 0 - იო“ (იქვე: 344). ცხადია, ამ თავების გაუქმებით ნაწარმოები ხერხემალგამოცლილი რჩებოდა, სათქმელი - უთქმელი, მაგრამ „სულის პურის“ ბარაქიანი მომკელი მწერალი ოთარ ჩხეიძე „მკიდა“ და იბრძოდა ამ „პურის“ სიცოცხლის მინიჭებისათვის, რათა ილიასა და მიხეილ ჯავახიშვილის იდეურ-შემოქმედებითი მემკვიდრე შეშველებოდა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითმყოფადობის, დამოუკიდებლობის წყურვილის გადარჩენას.

„ბორიაყი“ ფილმად გადაიღო გიორგი შენგელაიამ (1984). სცენარის ავტორი იყო ერლომ ახვლედიანი. ამ რომანზე მუშაობისას მან ხაზი გაუსვა მწერლის მიერ შექმნილ ზოგადადამიანურ ღირებულებას. ინტერვიუში მან თქვა: „ჩემი ცხოვრების იდეალი - ადამი აღმოვაჩინე თავისი პირვანდელი სახით ამ ნაწარმოებში. ჩემი იდეალია ადამი, თუ გინდა გადარჩე, ადამი უნდა შეინარჩუნოს საკუთარ არსებაში“ (ჩხიკვიშვილი 2013: 37). სცენარისტი აღტაცებული იყო მწერლის მიერ შექმნილი ადამის მხატვრულ-

აბსტრაქტული სახით. ის ზოგადი ადამის ფორმულად თვლიდა გონებრივ და ფიზიკურ ძალთა კავშირს, სწორედ ეს კავშირი იყო იდეალური ყოფა. ამ იდეალური ჰარმონიის მიკრომოდელად წარმოესახა იტრიელების დიდი ოჯახი: „გახსოვთ იტრიელების ცხოვრების წესი? ჰარმონიულად შერწყმული გონიერება, ინტელექტი, ამავე დროს როგორი მეურნეები არიან, როგორ ურთიერთობენ მიწასთან“ (იქვე: 38).

ნაწარმოებში გვხვდება პასაჟი პირველქმნილი ბუნების სილადის, ღირსების ხაზგამსმელი. ეს არის ნიკუშა ჩაჩანიძის დიალოგი ირინესთან (უმცროსი დაიარჯვენელების მდუმარე ასულებისა) ირინესაც ხელოვანის სული აქვს - ხატავს. მისი სხარტი, ჯანსაღი დიალოგი აღაფრთოვანებს მუსიკოსს; წიგნიერებით ხსნის გოგონას აზროვნების სიღრმეს ირინე ნაწყენი ტონით პასუხობს: გულუბრიყვოდ და გონივრულად პირველყოფილი ადამიანები ლაპარაკობდნენო, „იმათი წიგნები ბუნება გახლდათ, ბუნება იყო და ბუნება გახლავთ დიდი წიგნი, ყველაზე დიდი, მარად საკითხავი, ცხოვრებაც წიგნია. სხვა წიგნები მხოლოდ იმისთვისაა, რო ეს ორი წიგნი როგორმე წაიკითხოს ადამიანმა“ (ჩხეიძე 2021: 196). სწორედ ეს ცნობიერება - მიკროკოსმოსისა და მაკროკოსმოსის ერთიანობის განცდა, პირველქმნილი ადამის ხატი იდევნება და „ახალმოწესეთა“ იდეოლოგია ინერგება სისხლითა და ცეცხლით.

დიდოსტატური დამაჯერებლობითა და სისავსით არის შექმნილი მუსიკოსისა (ნიკუშა ჩაჩანიძე) და იტრიელების შეხვედრა.

„- ვიცი, გელოდით!“ - ამ ფრაზით ხვდება მასპინძელი და საჩრდილობელში იწვევს სტუმარს. ბუნებრივად საამო გარემოა, ასევე ბუნებრივად ჩაერთვის წიგნიერების ხაზგასმა; „ერთი-ორგან წიგნიც მიეგდოთ. ერთზე ბუვიე ამოიკითხა მოსულმა „გოგოები კითხულობენო, მიატანა დამხვდურმა, მეორეგან - შოპენჰაუერი, ბიჭები კითხულობენო, - აუხსნა დამხვდურმა“ (ჩხეიძე 2021: 202). ამას დაერთვის მწერლის დისკურსი. ის გვაცნობს მასპინძელს: „ჰო, ბევრი რამ წაეკითხა, ბევრიც გადაეტანა, რუსეთის ციხეები, ხეტიალი უცხოეთშია პარტიული ბრძოლები, ფილოსოფიური დისკუსიები. ბევრი გადაიტანა, ბევრსაც გადაიტანდა ერის გამოხსნისთვისა. ყველა პარტიას მიჰყვებოდა, ყველას გასცლოდა“ (იქვე: 229).

დაფანტულები, ცხოვრებით - ქვეყნის ბედით გვემულნი დაუბრუნდნენ ნატბისის მიწას, აღადგინეს მამული, მაგრამ შრომობენ მწარე მოლოდინით: „ხელს აგვადებინებენ ამ ბაღებზედა, და ნეტავი როდისაო, დღესა თუ ხვალეო“. ჟამამდე კი მიწას მიჰქონდა დარდი, მიწა იტევდა ყველა ფიქრსა, ურვასა, ვაებასა... სიმშვიდე ამოდიოდა მიწიდანა, ნატბისის მიწიდანა. იქნებ აქედანაც აეყარათ, როგორც საერისთავოდან. „ახალმოწესენი“ დაარიგებდნენ მერე, გაანაწილებდნენ, ამათ სულადობით დაუნარჩუნებდნენ, „ჟამამდე“ კი „მიწის სიმშვიდით იცხრობდნენ სიმწვავესა მოლოდინისა“.

„ბორიაცის“ XVII-XVIII თავები თხრობის იმპრესიონისტული სტილით, შეკუმშული დიალოგებით ახასიათებს „უმადლო ჟამს“ -

წითელი რეჟიმი ცეცხლითა და მახვილით რომ დათარეშობს, ყოველგვარი ჯანსაღი და კანონზომიერი რომ ჩაქოლილა და იმედიც გადაწურულა: „ჟამი. ჟამი. ჟამი დამდგარიყო. ჟამი. ჟამი“. ერთადერთ შემასმენელთან ოთხჯერ დაკავშირებული „ჟამი“ სიტყვის განსაკუთრებულ ემოციურ-შინაარსობრივ დატვირთვაზე მიუთითებს. „ეკლესიასტეში“ ჟამი ასახავს წუთისოფელში დაპირისპირებულობის კანონს - ჟამი რღვევისა და შეკერვისა, სიყვარულისა და სიძულვილისა, დუმილისა და უბნობისა... VII - VIII მუხლებში ვკითხულობთ:

7. ჟამი დარღვევისა და ჟამი შეკერვისა. ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა

8. ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა; ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა (ბიბლია 2013: 482).

დასკვნა

ოთარ ჩხეიძე „მატიანე ქართლისაის“ მხატვრულ ქარგაში წარმოაჩენს „უმაღლო ჟამს“, როცა ასპარეზი აქვს მხოლოდ რღვევას, სიძულვილს, აღმოფხვრას, ნგრევას, ტირილს, გლოვას. ახალი რეჟიმი სპობს კერძო საკუთრებას. მიხეილ ჯავახიშვილს 1924 წელს ჩაუნიშნავს: „ვინც კერძო საკუთრებას უარყოფს, ის სინამდვილეში უზენაეს კანონს ებრძვის, რომელიც ამბობს: მე ცოცხალი ვარ და მსურს ვიცოცხლო და ვიცხოვრო“. (ჯავახიშვილი 2010: 44). „ახალმოწესენი“ არბევენ, ანაწილებენ მამულებს დიდგვაროვანთა, ისინი იძულებულნიც არიან გასცენ, გახსნან ბეღლები, მაგრამ „სოფელს ვერ გაადლობ, ვერა, ვერა... ვერ გასწვდები“...

- ბარემ კალოდან დავარიგოთ, ბეღლებში რაღას ვეზიდებით...

- სოფელი აღარ გაგწყვეტს!

- კარგი ნუგეშია ამ აღრეულ წუთისოფელში“ (ჩხეიძე 2011: 230).

იცოდნენ, ვერ გადაურჩებოდნენ „აღრეულ წუთისოფელს“, ჯერ ჩვენ მოგვისიეს და ბრმად მიაქანებენ უფსკრულისკენ სოფელსა“. იტრიელი ძმების, ბიძების თითოეული ფრაზა იტევს ეპოქის ხასიათს, ისტორიულ სიბრძნეს, სტრატეგიას, იმედსა და უიმედობას. იმედს ეჭიდებიან, ფაქტები ცხადყოფს, რომ გაწბილებულია სიკეთის, ხსნის მოლოდინი: „კანის კონფერენციის იმედები. იმედები გენუისა. კათალიკოსმაც რომ გადასდო თავი... მერე რაო... იმედები ჰააგისა, ლოზანისა, რა ქმნილა ის იმედები, რა ყოფილა ის იმედები? ამაოება ამაოებათა, მარტოოდენ ამაოება, მეტი არაფერი“ (იქვე: 239). ამ საერთაშორისო ვითარების ნასხლეტების გამთლიანებასთან ერთად ხაზგასმულია დამოუკიდებლობის დაკარგვის ემოციურ - პოლიტიკური არსი: „სიტკბო-დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სიმწარე აღრეულობისა“, რომ ვერ შევინარჩუნეთ დამოუკიდებლობა, რომ ხელისუფლების სათავეში ჟურნალისტები მოექცნენ და არა სტრატეგები, არა - ეკონომისტები, არა უმტკიცესი ნებისყოფისანი“ (ჩხეიძე 2021: 246). მწერალი აქ ანონიმი მთხრობელი აღარ არის. მსჯელობს არგუმენტირებულად, გვარწმუნებს: „ილია მოჰკლეს და აირია ყველაფერი, იმიტომ მოჰკლეს, რომ არეულიყო. ბედი მოგვაწყდა და ალღო ვერ ავართვით. ალღო ვერ ავართვით და საბედისწეროდ გადაგვექცა“ (იქვე).

წითელმა რეჟიმმა ქვეყანას დაურბია სალოცავი, წაართვა არისტოკრატიისა და გლეხის ძალა. სიმბოლურია: სოფლის აკლების შემდეგ დასახოც ტყეებს შუაში მეურმეს რომ ჩაუყენებენ, რაოდენობის შესავსებად. „მე რადაო?“ - გაცემული ეკითხება მისი „ზედნიერებისთვის“ მებრძოლ ძალას.

„ბორიაყი“ 1924 წლის შეთქმულების შემდგომი ვითარების - წელში გატეხილი ქართული სინამდვილის - ეპოქის მიკრომოდელია. თითოეული პერსონაჟი მიშვნელოვანი სიმბოლური სახეა დეკოდირების სისტემაში, დაწყებული არარსებული შეთქმულების თავგაცობადაბრალებული ნიკუშა ჩაჩანიძით, მეურმით დამთავრებული.

კულტურით ამთლიანებს ფაზულასა და სიუჟეტს, თბრობასა და ისტორიას - ასე იძერწება დოკუმენტური რეალობა მხატვრულ ქმნილებად.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბიბლია 2013 – ბიბლია. თბილისი, 2013.

ლიტერატურის თეორია 2008 – ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი. თბილისი, 2008.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი. ქართული ლექსიკონი, ტ. I. თბილისი, 1991.

ჩხეიძე 2010 – ო. ჩხეიძე, ჩანაწერები. დროდადრო. თბილისი, 2010.

ჩხეიძე 2021 – ო. ჩხეიძე, ბორიაყი. თბილისი, 2021.

ჩხიკვიშვილი 2013 – ნ. ჩხიკვიშვილი, ორი მაესტრო. თბილისი, 2013.

ჯავახიშვილი 2005 – მ. ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან. 1924 -1935 წლები. თბილისი, 2005.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9399>

ერთი ასპექტი
ნოე ჟორდანიას პუბლიცისტობიდან

One Aspect of Noe Jordania's
Publicistic Work

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Manana Kajaia
Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ნოე ჟორდანიას მოსაზრება იმ პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან წერილზე, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ჟურნალ „კვალში“ გიორგი წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

ნიკო ნიკოლაძის წერილს გამოეხმაურა ნოე ჟორდანია, ფსევდონიმით პ. პეტრიძე, რომელმაც დაწვრილებით განიხილა პუბლიკაცია. ოპონენტი არ იზიარებდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ნააზრევს და მიაჩნდა, რომ ნ. ნიკოლაძემ გ. წერეთლის შემოქმედება სათანადოდ ვერ წარმოაჩინა და მხოლოდ ვიწრო კუთხურ ჭრილში შეაფასა. ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, კონკრეტული წერილი დაიწუნა ნოე ჟორდანიამ, მაგრამ თვითონ ნიკო ნიკოლაძეს წარმოაჩენს ღირსეულ და მოსაბად პიროვნებად, რომელმაც 40 წელი უშურველად გაატარა ერისა და ქვეყნის სამსახურში.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ნოე ჟორდანიას მოსაზრებას. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე შედარებით ლაკონურ, მაგრამ ფრიად სერიოზულსა და ობიექტურ შეფასებას აძლევს გიორგი წერეთლის შემოქმედებას, რომელიც მის თანამედროვეებს შორის ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოშობდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გ. წერეთლის თანამედროვე კრიტიკოსთაგან ყველაზე უფრო რეალურ და ობიექტურ დასკვნას სწორედ ნ. ნიკოლაძე იძლევა და, ამასთან, მისი მოსაზრებები ძალიან ახლოს დგას გ. წერეთლის დიდი თანამედროვის – აკაკი წერეთლის ნააზრევთან.

გიორგი წერეთლის მხატვრულ ნაწარმოებში ასახული „კუდაბზიკობა“, ანუ ე.წ. „შემოდგომის აზნაურთა“ ნიშნების მატარებელი პერსონაჟების კრიტიკულ-ლიტერატურული ანალიზი სწორედ ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის. როგორც ვიცით, მხატვრული სიტყვის სფეროში „კუდაბზიკობის“, როგორც სოციალურ-ისტორიული და ფსიქოლოგიური მოვლენის, მხატვრული ასახვა შემდგომ ისეთმა დიდმა ტალანტმა სრულყო, როგორიც დავით კლდიაშვილი იყო.

საკვანძო სიტყვები: XX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკა, ნოე ჟორდანias პუბლიცისტიკა, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე.

ABSTRACT

This study examines Noe Jordania's perspective on a brief but significant article published by Niko Nikoladze in the journal Kvali on the occasion of the death of Giorgi Tsereteli.

Jordania, writing under the pseudonym P. Petridze, responded to Nikoladze's article, providing a detailed critique. Jordania did not share the views of the renowned Georgian journalist, arguing that Nikoladze had failed to adequately represent Tsereteli's work and had evaluated it from a narrow, limited perspective. It should also be emphasized that although Jordania criticized this specific article, he still portrayed Niko Nikoladze as a worthy and exemplary figure who devoted forty years selflessly to the service of the nation and the country.

After reviewing the article, one may disagree with Jordania's assessment. The prominent Georgian public figure and publicist Niko Nikoladze provides a concise, yet highly serious and objective evaluation of Giorgi Tsereteli's work, which often provoked divergent opinions among his contemporaries. It is noteworthy that among Tsereteli's contemporary critics, Nikoladze offers one of the most realistic and objective conclusions, and his assessments closely align with the opinions of Tsereteli's eminent contemporary, Akaki Tsereteli.

The critical-literary analysis of the „kudabzikoba“ reflected in Giorgi Tsereteli's literary works—that is, characters embodying the traits of the so-called „autumnal nobility“—was conducted by Niko Nikoladze. As is well known, the artistic depiction of „kudabzikoba“ as a socio-historical and psychological phenomenon in literature was later perfected by the great talent of David Kldiashvili.

Keywords: 20th century Georgian literary criticism, Noe Zhordania's journalism, Giorgi Tsereteli, Niko Nikoladze.

შესავალი

ნაკლოვანებათა ერთგვარი ჩვენება უცხო არ იყო გარკვეული მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების განხილვისას.

ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ იმთავითვე აღნიშნა გიორგი წერეთლის შემოქმედების განსაკუთრებულობა და მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოაქცია. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ნათლად ავლენს მწერლის განსწავლულობას, აზროვნების სიღრმეს...

გიორგი წერეთლის შემოქმედებას საგანგებო ყურადღება მიაქცია და საინტერესო კრიტიკული წერილიც უძღვნა ნიკო ნიკოლაძემ (ნიკოლაძე 1894: 7). კრიტიკოსს არ გამოპარვია მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

მსჯელობა

გიორგი წერეთლის შემფასებელთა შორის გამოვყოფთ ნოე ჟორდანიას (დაიბადა გურიაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში; იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, თეორეტიკოსი) პუბლიცისტურ წერილს, რომელიც ნიკო ნიკოლაძის საპასუხოდ ჟურნალ „კვალში“ დაიბეჭდა (ფსევდონიმით „პეტრიძე“).

გიორგი წერეთელი

„დღეს, 21 იანვარს, დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია გიორგი წერეთლის გარდაცვალების წლის წირვა და პანაშვიდი, „კვალის“ რედაქცია მოუწოდებს პანაშვიდზე დასასწრებათ თავის თანამშრომლებს და მკითხველთ. ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი წერეთლის ხსოვნა მხოლოდ „კვალის“ მხრით არის პატივსაცემი და დაუვიწყარი, არა, ის მთელი თავისი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობით ეკუთვნის მთელ ჩვენ ლიტერატურას, ჩვენ ხალხს საერთოდ და ამათ შორის ჩვენც. გიორგი წერეთელმა 40 წელი იმოღვაწა საზოგადო ასპარეზზე და ამავე ასპარეზზე დალია სული. და ეს ისეთი იშვიათი მოვლენაა ჩვენში, რომ ღირს ეს მაგალითი მუდამ ჟამს გავიხსენოთ და მისაბამავათ გვექონდეს. თავისთავად ცხადია, რომ კაცი მომქმედი და მოძრავი, შეუცდომლათ ვერ დარჩება, არ სცდება მხოლოდ ის, ვინც არას აკეთებს, მაგრამ ერთს რამეს ყოველთვის მოვითხოვოთ მოღვაწისაგან; მისი შეცდომაც გულწრფელი და საზოგადო სამსახურის სურვილით იყოს გამოწვეული. შეიძლება გიორგი წერეთელი, ზოგი თავის ნაციონალური პლანებით, მართლაც „ჰაერში დასეირნობდა“, როგორც ამ დღეებში ერთმა დასწერა, მაგრამ ეს მისი იდეალიზმი სამშობლოს კეთილდღეობისაკენ იყო მიმართული და ეს განა დასაძრახია მოღვაწისათვის?

გიორგი წერეთელი, უეჭველია, ერთი იდეალისტთაგანი იყო, იმას შეეძლო ერთი აზრით გატაცებულიყო და ამისათვის ხიფათს არ დარიდებოდა, ნაკლოვანება ეს კი არ არის, არამედ ის, რომ ვერავითარი აზრი ვერ გაგიტაცებს და სასოწარკვეთილებიდან ვერ გამოგიყვანს საზოგადოებას, ხალხს, მთელ ერს არაფერი ისე არ მოსწყვეტს წელს,

როგორც უიმედობა და სასოწარკვეთილება. ეს კაცის მოქმედებას ალაჩრებს და აზროვნებას ათახსირებს; და აი, სამწუხაროდ, ეს სენი კაი ხანია ბუდობს ჩვენი ახალგაზრდობის ერთ ნაწილში.

ვისი გატაცება შეიძლება საზოგადო სარბიელზე, როცა თითონ არა ხარ გატაცებული? ვინ დაგენდობა შენ, როცა თითონ უნდობლათ ეპყრობი ყველაფერს? არაუიმედობას ისევ „ჰაერში სეირნობა“ ჯობს, უაზრობას – აზრით გატაცება და სიძაბუნეს – გულადობა.

მართალია, ამ ჩვენ დროში, როცა ყველა „მძიმეთ დაცემას და მზატეთ ადგომას“ ეტანება, ამ თვისებებს ძალა და გავლენა არა აქვთ, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს ყოველთვის ასე უნდა დარჩეს, გიორგი წერეთელი, როგორც იდეალისტი, მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდა ასეთ სულით დაცემას და ყოველთვის სიმხნევეს და მოქმედებას ქადაგებდა...

და ასეთი კაცის საფლავზე ჩვენ ყოველთვის მოწიწებით წავალთ და მის ნეშტს თაყვანს ვსცემთ“ (პეტრიძე 1901: 53-54).

წარმოდგენილ ნაშრომში წარმოვაჩენთ ნოე ჟორდანიას მოსაზრებას ამ პატარა, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან წერილზე.

ნიკო ნიკოლაძის წერილს ჟურნალ „კვალში“ გამოეხმაურა ნოე ჟორდანია, ფსევდონიმით პ. პეტრიძე, რომელმაც საკმაოდ დაწვრილებით განიხილა იგი. ოპონენტი არ იზიარებდა ცნობილი ქართველი ჟურნალისტის ნააზრევს და მიაჩნდა, რომ ნ. ნიკოლაძემ გ. წერეთლის შემოქმედება სათანადოდ ვერ წარმოაჩინა და მხოლოდ კუთხური თვისებების მიხედვით შეაფასა. პ. პეტრიძე, ჩვენი აზრით, თავად საკმაოდ საყურადღებოდ აანალიზებს კუდაბზიკას სახეს და ამიტომ საჭიროდ ვცანით მის წერილზეც შეგვეჩერებინა ყურადღება. იგი აღნიშნავს: „ჩვენი აზრით, გ. წერეთელი გვიხატავს კუდაბზიკას არა როგორც რასიულ ტიპს (იგულისხმება ტომობრივობა, – მ. ქ.), არამედ როგორც სოციალურ ტიპს, რომელიც შეიძლება მოიპოვებოდეს მთელ საქართველოში და არა მარტო ერთ კუთხეში“ (პეტრიძე 1894, 15). შემდეგ პ. პეტრიძე ბაკურასა და კუდაბზიკას სახეებს ეხება და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „ეს ორი პირი წარმომადგენელია მაშინდელი მიმდინარეობისა: ძველებურის, ბატონყმურის (ბაკურა) და ახლის, ჩინოვნიკურის (კუდაბზიკა). აი, ამ მხრივ არიან საინტერესო ეს ტიპები და არა მათი სიფიცხით, თუ სხვა რასიული თვისებებით“ (იქვე).

პ. პეტრიძე ბახვა ფულავასა და მოსე მწერალს კუდაბზიკას შთამომავლებად მიიჩნევს. ვფიქრობთ, შესაძლებელია მოსე მწერალი კუდაბზიკას მივამსგავსოთ, ხოლო რაც შეეხება ბახვა ფულავას, იგი, ჩვენი აზრით, არაფრით ჰგავს კუდაბზიკას.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო ნიკოლაძეს არ მოსწონდა კიკოლიკისა და ჩიკოლიკის სახეები, შეიძლება დანამდვილებით ვთქვათ, რომ ორივე იმ დროსა და გარემოს კარგად ერგებოდა.

კიკოლიკი, ანუ მარტოხელა, თავის თავზე შეყვარებული კაცი – კიკო ანუ ტუზი, დღესაც მშვენივრად ახერხებს თავის გატანას. ჩიკოლიკი კი, მოუსვენარი ჩიკორი-ზორიალა, ახლაც კარგად უძღვება რთულ ურთიერთობებს – სტატიების გაზეპირებული სათაურებითა და ჭორაობით, თუმცა, თავად გ. წერეთლის თქმით, ეს ქართველის თვისება იყო. ამასთან, თავად სახელთა მსგავსი ჟღერადობით, ჩვენი აზრით, მწერალი იმაზე მიგვანიშნებს, რომ კიკოლიკი და ჩიკოლიკი, ფაქტობრივად, ერთი ტიპის ოდნავ განსხვავებული ორი ანარეკლია და კიკოლიკებს მხოლოდ აქ შეუძლიათ იმეფონ და საკუთარ ხალხს გააძრონ ტყავი, სადაც ჩიკოლიკის მსგავსი „შარლატანი“... და „კუდაბზიკები“ გამოჩნდებიან თანამგზავრებად.

ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული წერილი ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ მას საკმაოდ საინტერესო სტრუქტურა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს დამწყები ავტორის ნიჭს, იგი, ასევე, მიუთითებს გიორგი წერეთლის ნაწარმოების ნაკლოვან მხარეებზე. მისი აზრით, გ. წერეთელი ვერ მოერია ჩიკოლიკისა და კიკოლიკის სახეთა შექმნის ამოცანას.

როგორც განხილული წერილიდან ჩანს, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე შედარებით ლაკონურ, მაგრამ ფრიად სერიოზულსა და ობიექტურ შეფასებას აძლევს გიორგი წერეთლის შემოქმედებას, რომელიც მის თანამედროვეებს შორის ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოშობდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ გ. წერეთლის თანამედროვე კრიტიკოსთა შორის ყველაზე უფრო რეალურ და ობიექტურ დასკვნას სწორედ ნ. ნიკოლაძე იძლევა და, ამასთან, მისი მოსაზრებები ძალიან ახლოს დგას გ. წერეთლის მეორე დიდი თანამედროვის – აკაკი წერეთლის ნააზრევთან.

აკაკი გიორგი წერეთლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში, როგორც უკვე ითქვა, აღნიშნავდა, რომ მის (გ. წერეთლის – მ.ქ.) შემოქმედებას ორგვარი ბეჭედი აზის: „ზოგს ნიჭისა და ზოგს მოქანცვის... იმის ნაშრომ-ნაღვაწს ისე უნდა უყურებდნენ, როგორც ოქროს მადნეულის ძარღვს: უნდა გაარჩიო, გარეცხო, რამდენიმე ფუთი სილა-ტალახი მოაშორო, რომ ისე გამოარჩიონ რამდენიმე ოქროს მარცვალი“ (წერეთელი 1958: 109-110).

სწორედ ასეთ „ოქროს მარცვლად“ აღიქვანო ნიკო ნიკოლაძემ კუდაბზიკას სახე და პირველად სწორედ მან შენიშნა „კუდაბზიკობა“, როგორც ზოგადი მოვლენა, რაც შეიძლება მის დამსახურებად ჩაითვალოს.

დასკვნა

ნოე ჟორდანია წერილში კრიტიკულად განხილულია, ერთი მხრივ, ნიკო ნიკოლაძის ნააზრევი გიორგი წერეთლის შემოქმედების შესახებ, მეორე მხრივ, გამოჩენილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი წარმოჩენილია მისაბამ პიროვნებად, რომელმაც 40 წელი იღვაწა საზოგადო ასპარეზზე და „მთელი თავისი ლიტერატურულ და საზოგადო

მოღვაწეობით ეკუთვნის მთელ ჩვენ ლიტერატურას, ჩვენს ხალხს საერთოთ“ (ქორდანია 1901: 1). ნოე ქორდანიას აზრით, ნიკო ნიკოლაძემ მწერლის შემოქმედება მხოლოდ კუთხური თვისებებით შეაფასა, თუმცა უნდა ითქვას, რომ გიორგი წერეთლის შემოქმედებაში ასახული „კუდაბზიკობის“, ანუ ე.წ. „შემოდგომის აზნაურთა“, ნიშნების მატარებელი პერსონაჟების კრიტიკულ-ლიტერატურული განხილვა ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის. მხატვრული სიტყვის სფეროში „კუდაბზიკობის“, როგორც სოციალურ-ისტორიული და ფსიქოლოგიური მოვლენის, მხატვრულად სრულქმნილი ასახვა შემდგომ ისეთმა დიდმა ტალანტმა შეძლო, როგორიც დავით კლდიაშვილი იყო.

გამოყენებული ლიტერატურა

- ნიკოლაძე 1894 – ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთლის პირველი შრომა. ჟურნალი „მოამბე“, №3. თბილისი, 1894.
- პეტრიძე 1894 – პ. პეტრიძე (მოამბის პუბლიცისტიკა, №3-4). ჟურნალი „კვალი“, №24. თბილისი, 1894.
- პეტრიძე 1901 – პ. პეტრიძე (გიორგი წერეთელი). ჟურნალი „კვალი“, №4, თბილისი, 1901.
- ქორდანია 1920 – ნ. ქორდანია, თხზულება, ტომი მეორე. თბილისი, 1920.
- წერეთელი... 1968 – ა. წერეთელი, გ. წერეთელი, თხზულებანი, სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტომი მეშვიდე. თბილისი, 1968.
- წერეთელი 1985 – გ. წერეთელი, კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა, ქართული პროზა, ტომი X. თბილისი, 1985.

გვარსახელით მოთხრობილი
ეთნიკურ-კულტურული ისტორია
(გურიიდან და გურიაში მიგრირებულ გვართა
ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

An Ethnic-Cultural History
Narrated Through Surnames
(Based on Ethnographic Materials from Guria and
Migrant Families from Guria)

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Davit Shavianidze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

ხალხის მეხსიერებაში (მუზეუმ-არქივში) შემონახული, „მართალის მომთხრობი“ ეთნოგრაფიული მასალები ქართველთა ეთნიკურ-კულტურული ისტორიის აღმწერი მატარებელია. იგივე შეიძლება ითქვას გურიიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიგრირებული და გურიაში ჩასახლებულ გვართა ისტორიების ამსახველი მასალების შესახებ.

ეთნიკურ-კულტურული ისტორიის, ქართველთა ცხოვრების შინაარსის, საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცვლილებების, შიდამიგრაციის მიზეზების შემცველ „მართალ“ ისტორიებში შემონახულია ქართული ყოფისთვის დამახასიათებელი არაერთი სინამდვილე: რეგიონის პირველმკვიდრი გვარების, გვართა სახელრქმეულ ადგილთა წარმოების, მონოგენური უბნების, რწმენა-რელიგიურობის და სალოცავთან დამოკიდებულების საკითხები, სისხლით და ხელოვნური ნათესაობითი ურთიერთობის ფაქტები და ამით შეპირობებული წეს-ჩვეულებები, გვარის შიგნით მკაცრად დაცული ეგზოგამიურობის, სხვა მრავალი საინტერესო წეს-მახასიათებელი, ქართული ენის მრავალმხრივი შესაძლებლობები.

ნაშრომში განხილულია ის გვარები, რომელთა შესახებ უკვე ვწერდით. აგრეთვე გავანალიზეთ იმერეთიდან, აჭარიდან, მესხეთიდან გურიაში და საქართველოს ამ კუთხეებში გურიიდან მიგრირებულ გვართა შესახებ მოდიებული ახალი ეთნოგრაფიული მასალები. გაანალიზებულია პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მიზეზთა გამო მიგრირებულ გვართა რელიგიურ-კულტურული ყოფისა ენობრივი მახასიათებლები.

ირკვევა:

1. ყოფით-კულტურული ცხოვრების სხვადასხვა წესით გადმოცემული ქართველთა მენტალობის შესახებ;
2. ბუნებ-რივი და ეკონომიკური გარემოებებით განპირობებული ცხოვრების წესები, მიგრაციის მიზეზები;
3. გარეშეთაგან თავსმოხვეული და შიდა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობებით გამოწვეული „საფრთხეებიანი ყოფის შედარებით შემამსუბუქებელი, გამაუმჯობესებელი“ ქმედებები;
4. რწმენა-სალოცავებთან დამოკიდებულება;
5. ნათესაური ურთიერთობები;
6. ეთნოგრაფიული ლექსიკისა და ქართული ენის მრავალმხრივი შესაძლებლობები.

ქართველობა თავისუფლად ყოფნის დაკარგვას არ ეგუებოდა და ამ საფუძველზე „ემორჩილებოდა განაჩენს სხვაგან, საქართველოს სხვა კუთხეში ცხოვრებისას“.

საკვანძო სიტყვები: ქართული გვარსახელები, ქართველთა ეთნიკურ-კულტურული ისტორია, ნათესაური ურთიერთობები.

ABSTRACT

The ethnographic materials preserved in public memory and museum archives, often referred to as „Marital Narratives“, constitute a chronicle documenting the ethnic-cultural history of the Georgian people. Similarly, these narrative materials provide insight into the histories of families that migrated from Guria to various historical-ethnographic regions of Georgia, as well as those who settled in Guria from other areas.

The „Marital“ narratives, which reflect ethnic-cultural history, the lived experiences of Georgians, socio-economic and socio-cultural transformations, and reasons for internal migration, preserve numerous realities characteristic of Georgian life. These include the region's original family lineages, the origins of settlements named after family surnames, monogenic neighborhoods, issues of religious belief and relations with places of worship, blood and fictive kinship ties and the customs they produced, strict intra-family exogamy rules, and other notable social norms. The narratives also reveal the multifaceted expressive potential of the Georgian language.

This study compiles the histories of families that have already been documented and additionally analyzes newly collected ethnographic materials concerning families who migrated to Guria from Imereti, Adjara, and Meskheta, as well as Gurian families who relocated to other parts of Georgia. The research examines the religious-cultural practices and linguistic characteristics of these migrant families in the context of the political, social, and economic factors that shaped their migration and settlement.

Findings:

1. Insights into the mentality of Georgians as conveyed through various forms of daily and cultural life.
2. The influence of natural and economic conditions on living patterns, lifestyles, and the causes of migration.
3. Actions taken to comparatively alleviate or improve „precarious living conditions“ imposed by external pressures and internal political, social, and economic relationships, including attitudes toward religious beliefs and places of worship.
4. Aspects of kinship and family relationships.
5. The ethnographic lexicon and the multifaceted expressive capacities of the Georgian language.
6. The Georgian people did not accept the loss of freedom passively and, on this basis, „submitted to fate when living elsewhere, in other regions of Georgia“.

Keywords: Georgian surnames, ethnic-cultural history of Georgians, family relationships.

შესავალი

ქართველი ერის ყოფით-კულტურულ, სოციალურ და, არცთუ იშვიათად, პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიას, წერილობით და სხვა წყაროების მონაცემებთან ერთად ავსებს და უფრო სრულყოფილს ხდის საქართველოს სხვადასხვა მხარის მკვიდრ გვართა შესახებ არსებული, „საგულისყურო“ ეთნოგრაფიული მასალები.

ისტორიულ-ყოფითი მნიშვნელობით გამორჩეული, ფუნქციური და შინაარსობრივი თვალსაზრისით მსგავსი, სტრუქტურით, ფორმებით, მაწარმოებლებით ნაირგვარი, გვარსახელთა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული მასალების კვლევა, მათი წარმომავლობა-ეტიმოლოგიის დადგენა სრულყოფს ქართველთა ეთნოისტორიის საინტერესო და სადავო საკითხებს.

აღნიშნულს ადასტურებს ეთნოგრაფიული მასალების, ისტორიული დოკუმენტებისა და ლექსიკონების მონაცემთა ანალიზს დამყარებული, ჩვენი კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევის შედეგები.

მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია შედარებითი ანალიზისა და კომპლექსურ-ეთნოისტორიული მეთოდები.

მსჯელობამიგრაციების მიზეზები, მიზნები, შედეგები

საქართველოს სხვადასხვა ერთეულების მკვიდრი გვარების შესახებ მოდიებული ეთნოგრაფიული მასალების მსგავსად, გურიაში და გურიიდან შიდა მიგრაციით ადგილგადანაცვლებულ გვარებთან დაკავშირებული, ეროვნულ-ისტორიულ მეხსიერებით ჩვენამდე მოსული გადმოცემები შეიცავენ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, სამეურნეო თვალსაზრისით საინტერესო სინამდვილეს.

გურიიდან და გურიაში ადგილმონაცვლეობა მიმდინარეობდა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოსგან დამდგარი საჭიროების, პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის, დაავადებებს გამორიდებულობისა და სხვა მიზეზთა გამო.

აღნიშნულ მიზეზთა და პოლიტიკის შედეგად დღეს უკვე, მაგალითად, აჭარის ნაწილ ჭვანას ხეობაში აღარ მკვიდრობს გურიიდან, არც საქართველოს სხვა მხარეებიდან სხვადასხვა დროს აქ ჩამოსახლებული გვარები.

ეთნოგრაფიული მასალა: „ბერსელაძე, ხილაძე, თავდგირიძე, ტარიელაძე, ჭალაიძე, დავითაძე, ქარცივაძე, მურვანიძე, ცეცხლაძე, ზოიძე, დუმბაძე, გურიიდან იყვნენ მოსულები. ახლა წევდა ეს ხალხი. ბეჟანიძე, ამალლობელი, აღარ არიან, წევდენ, გადასახლდენ. მთელი აჭარის ტერიტორია კახეთში, სხვაგან ცხოვრობენ. რომ ნახეს იქ ცოტა უკეთ ცხოვრება, მიწაზე მოსავალი მოდის, პატარა ფული მოჩოჩქეს, ჩააწყო ჩემოდანში და არიქა წევდა. მოგვაკითხეს მთაში სოფლებში მთვრობამ, ჩამოდიოთ. მუშახელი უნდოდათ, ჩას კრეფა, სხვა ამბავში და წეიყვანეს ის ხალხი... სამთაწყაროში არიან ნაღვარეულები, ხობში, პალიასტომზე. სტიქია იყო, ღვარი ჩამოვდა, თავრობამ მიიღო დადგენილება ცენტრალური კომიტეტი, მინისტრთა საბჭო, ესენი, ესენი და, მიიღო დადგენილება, შუახევის რეგიონის, ნაღვარევისა და ხულოს რაიონის თხილვანის შესახებ, ასე ოფიციალური დადგენილება იყო ხობში ჩასახლების შესახებ. მისცეს სახლები, წინწყაროშიც შევდენ, დეიწყეს ცხოვრება და ახალი სოფლები გახსნეს“.

სხვა, არაერთ საერთოქართველური, ეთნო-კულტურული შრის არსებობის ფაქტთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა მხარიდან მესხეთში გადასახლების, გადასახლებით მიღებული ტკივილის („ნატანჯი იცით რას ნიშნავს? საკუთარ მიწას ტოვებ, სხვა მიგატოვებინებს, ტანჯვას“) შესახებ მოგვითხრობს ჩიჯავაძეთა და ლორთქიფანიძეთა სათავადოების ყმა-გლეხებად მოხსენიებული, „ძირად გურული“ ჩილაშვილების გვარის ისტორია (სოსელია 1982: 31).

ეთნოგრაფიული მასალა: „მწირმიწიანთა და ხელმოკლეთა თურქობამდელ შესაფარ“ მესხეთში გადასახლებულან **ჭილაშვილები** (<თავდგირიძე) გურიიდან. გადასახლებულან აბასთუმანში, სადაც მეტეგვარების, „ხალეზია“ და „იანულათი“ (=ნატანჯი) მატარებელი ჭილაშვილები ჩილაშვილებადაც წერიან. ხალიანი ხალხი ყოფილანო,

„ჩილიო“ და იქიდან დაერქვათ ჩილაშვილებიო. არის ვერსია, რომ ჭილაშვილებიც ვყოფილვართ და რუსები რომ ვერ იმახოდნენ ჭ-ს, ჩილაშვილებად დავუწერივართ“ (მოხრობელი: ჭილაშვილი, 2024).

ლატიფმაჰ ბარათაშვილის მასალებით, ჭილაშვილები მესხეთში ჩასახლებამდე მკვიდრობდნენ გორში. სწორედ აქედან მოსულა სოფელ ივლიტაში პირველი ჭილაშვილი (ბარათაშვილი 2019: 79).

მამათის მკვიდრი **ხელაძეების** სამი ძმა ოჯახებით, „მოკლებით“ წამოსულა სურების ტყეზე და მოსულან ვანში, ძულუხში. დასახლებულან **„სატლახე სერზე“**. მიგრაციის მიზეზი გამხდარა სოციალური დაპირისპირება.

ირკვევა, რომ დროის შემდეგ ხელაძეების ნაწილი გადასახლებულა ვანიდან უკან, გურიაში.

ხელაძეების გვარი სხვადასხვა დროის და არც შორეული წარსულის საბუთებში არიან დადასტურებული (სოსელია 1981: 167). მკვიდრობდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში. 1882 წელს მოიხსენიება პატარა თონეთში მცხოვრები ესტატე გარსევანის ძე ხელაძე (ახუაშვილი 1994: 616); ვანელი ხელაძეები სამეფო აზნაურთა შორის მოიხსენიებიან (ფაილოძე 2005: 241); გვარი გვხვდება სამეგრელოშიც (ცხადაია 2000: 167); ხელაძეები ოკრიბაში, სოფელ ჯვარისაში, აკოფაშვილის საბატონო გლეხები იყვნენ (კეზევაძე 2004: 8, 108, 132).

სოციალური უთანხმოების გამო ჩოხატაურის სოფელ საჭამიასერიდან გამოქცეული ერთი ძმის „განშტოებაა როკითის **„საქორიძეო“**. მეორე ძმა **ქორიძე** დასახლებულა სოფელ ჟონეთში“.

არ გამოირიცხება როკითში ქორიძეების დასახლების მათ მიერვე დასახლებული მიზეზი, თუმცა შეიძლება დავუშვათ, რომ გვარის დამკვიდრება იმერეთში მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ძველი დროიდანვე გურიის ერისთავთა სამფლობელოში შემავალი „გამოჩინებულის საწინამძღვრო ადგილ-მამული“ საჯავახოში იმერთა მეფე სოლომონ მეორემ გადასცა 1810 წელს ოტია და სხვა წულუკიძეებს (სოსელია 1973: 36, 261; სოსელია 1981:29).

სოფელ კურსების მკვიდრი **ბერძეებიც** (წინაპარი **ბერიძეების** თავდაპირველი საცხოვრისი მესხეთია), ოკრიბაში საჯავახოს გზით უნდა გადმოსახლებულიყვნენ (სოსელია 1973: 262).

თანხვედრილი ეთნოგრაფიული მონაცემებით და საისტორიო საბუთებითაც დასტურდება, რომ **ბერიძე** გურიის აზნაურული გვარია (ჭუმბურიძე 1995: 33).

როლანდ თოფჩიშვილის მიერ ლეჩხუმში ჩაწერილი მასალების მიხედვით, სამურზაყანოდან გადმოსახლებული **ბურჭულაძეების** წინაპარი სამი ძმიდან ერთი დასახლებულა ლეჩხუმში, ერთი სამეგრელოში და ერთიც გურიაში. გურიაში დამკვიდრებულს მიუღია **ბუჭულაძე**. ლეჩხუმში დასახლებული დაწერილა **ღურჭუმელიძედ** (თოფჩიშვილი 1991).

ჩვენი მასალებით, ჩოხატაურელი **ბურჭულაძე** ბაღდათის სოფელ შუბანის მკვიდრი გამხდარა მას შემდეგ, რაც „ტყვეობიდან

გათავისუფლებულმა **ჟვანია** ცოლად შეირთო აჭარელი გვაროსანი, რომელსაც მზითევში გამოატანეს ბურჭულაძე და **კუნჭულია**.

ბურჭულაძეთა საცხოვრისად სოფელი სამება სახელდება (მაისურაძე 1999: 40).

დაპირისპირების ნიადაგზე გამოქცეული სამი ძმა **ქვებულიძე** დაწერილა **ჭრელაშვილად**. ორი დასახლებულა დიშში და ერთი კახეთში. **ჭრელაშვილები** დღემდე მკვიდრობენ სიღნაღის რაიონში; ფშავის სოფ. ახადის მკვიდრი **გოდერძაულებიც** **ჭრელაშვილები** ყოფილან (მაისურაძე 1990: 222).

კახეთიდან ვანში გადმოსახლებული **ჩახუნაშვილების** როხში დამკვიდრების მიზეზი უმიწობა ყოფილა.

როხიდან ჩახუნაშვილები გადასახლებულან გურიაში (შავიანიძე 2007: 90).

როხის მკვიდრი **მამასახლისების** წინაპარი „ორ გვარს შორის მკვლელობის გამო წამოსულა“ და დასახლებულა ვანში, სოფელ გორა-ზეინდარში. რაც შეეხება როხს, მოსულან „მიწისთვის და ხე მასალისთვის. „წინაპრები აქაურ აზნაურულ გვართა მამასახლისები ყოფილან. ამიტომ დაირქვეს გურიიდან მოსულმა **ინაკავაძეებმა** მამასახლისი“.

როხის ეკლესიაში **მამასახლისებს** აქვთ „**სალოცავი** ნიში, საკუთარი გვარის ქვა“.

„ქართველები ვერ შეუდგნენ დამონების უღელს და კევრის ქვეშ გაქედილებმა, ნაწილმა მიატოვა თავისი კუთხე და კახეთს, იმერეთ-გურიაში შეაფარა თავი“.

ეთნოგრაფიული მასალა: „სამმა ძმამა ბალაძემა ჩვენ დავაგდეთ ბალავარი, თუ თორმეტი ჩამოიღებს, ის იქნება ფალავანდი, ძმები იქ ერთად ვიყავით: მოსე, ენუქი, ელია, ზარზმის საყდარი დავაგდეთ, შევიქენით ერკეთილია“ (სოფ. უდე. 2024).

ილია მაისურაძის გვართან დაკავშირებული გადმოცემით, **მგალობლიშვილები** (<ბალაძეები) ყოფილან და „ლტოლვილობის დროს, გამუსულმანებას გამორიდებიან“ მესხეთიდან გურიაში. გურიის მთავარს გადაუყვანია შემოქმედში, სადაც მგალობლად უმოღვაწიათ. ბალაძეებს თან წამოუღიათ ზარზმის ხატები და საეკლესიო ნივთები (პალ III, 2004: 134; მაისურაძე 1990: 106).

საისტორიო საბუთებში პირველად 1622 წელს მოხსენიებული **მგალობლიშვილები** მკვიდრობენ კახეთში, დირბში (გორის რაიონი), სამეგრელოს სოფელ ჭაქვინჯში (გამოთქვამენ როგორც **გალობერი, გელებერ, გელებერ-სქუა**), ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში.

ოკრიბის მკვიდრი **მგელაძეების** გურულ „სამ ძმას მამის გამო ბატონის სისხლი აუღიათ და გამოქცეულან“, დასახლებულან ოკრიბაში. ერთი ძმა დაახლებულა ძიროვანში (აქ ისინი **გელაძეები** არიან), მეორე გურნაში და მესამე დაბაძველში.

შდრ., ეპონიმიდან **გელა** ნაწარმოები **გელაძეების** შესახებ მსგავსი დაპირისპირების ისტორიას გვაწვდის 1346-1360 წლების შორაპნის

მაზრის სიგელი: „...გრიგოლს მოუკლავს ქავთარ დავლაძე, რის გამოც, დავით მეფის განაჩენით, დავლაძეთათვის უნდა გადაეხადა ოთხმოცი ათასი კირმანული. მან ამ თანხის ნაწილის საფასურში დადო თორმეტი გლეხი, აბჯრები, ცხენი, ნაქსოვი და ხვასტაგი, ხოლო დანარჩენი აპატიეს“ (თაყაიშვილი 1909).

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის მომთხრობია გურიიდან ოკრიბაში მიგრირებული **ნინიძის** გვარის ისტორია: „400-500 წლის წინათ მკვლელობის გამო გამოქცეულა ბეკინა ნინიძე და მამამისი მეთოდე ნინიძეები“.

გურულ **მიქაშავიძეთა** თავდაპირველი საცხოვრისი იმერეთი ყოფილა. ზესტაფონიდან გადასახლებულან „ბოროტი ბატონის მკვლელობის გამო“. გურიის სოფელ კოხნარში დასახლების დროდ XIX საუკუნის დასაწყისი სახელდება.

რწმენა-სალოცავებთან დამოკიდებულების საკითხები

გურიიდან საქართველოს სხვა მხარეებში მიგრირებულ და გურიაში მიგრირებულ გვარებთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევით ირკვევა ქართველთა შემეცნება-მენტალობის ტრადიციულის შესაბამისთან განვითარებულობის, რწმენის აუცილებელი ქონის ცოდნის შესახებ.

ეთნოგრაფიული მასალა:

„თუ იცი იწამებ, ღმერთს მიენდობი, გეყვარება და პრობლემას მოაგვარებ, მიწვდები უკეთეს ყოფას“.

გურიის სოფელ საჭამიასერიდან წამოსული და ზენობანში, ვანსა და ჯვარისერში დასახლებული სამი ძმა ვაშაყმაძეები და დღევანდელი, გურიის მკვიდრი **ვაშაყმაძეები** სოფელ მუქედის „დადექობის“, „ერთმანეთის, ერთმანეთით ფეხზე დგომის, „გამართული“ ცხოვრების, ერთობით ჭირის ატანის აუცილებლობის მასწავლებელი დღესასწაულზე“ იკრიბებიან.

ვანის სოფელ მულუხის მკვიდრი გურული **ხელაძეების** მიერ „წელიწადში ერთხელ შეგროვილი შესაწირი მოიყრიდა თავს ბათლომე ხელაძესთან. ეს უკანასკნელი ქამარზე ჩამოიკიდებდა ამ შესაწირს და მიჰქონდა მამათში, ძირსალოცავში“.

გურული **ბერიძეების** შთამომავალი, ოკრიბელი **ბერძეები** ხუთ წელიწადში ერთხელ ჯვარცმის ეკლესიაში წირავდნენ „სახედარ მოზვერს“ (ოკრიბა, კურსები. 1994).

გურიის სოფელ **სურებიდან** უთანხმოების გამო გადმოსახლებული როხელი **კიკვაძეები** დადიოდნენ სურებში სალოცავად, საწირავად.

„ცოდვის გამოსასყიდი ლოცვის“ სახელს ატარებს ლეჩხუმელი **ჭაბუკიანების** რიტუალი და ლოცვა.

ეთნოგრაფიული მასალა: მაქსიმე აღმსარებლის წამებაში ადგილობრივ ხელშემწყობთა ცოდვის გამოსყიდვის მიზნით დღემდე ილოცებიან, შესაწირს სწირავენ ყოველ „მაქსიმობას“ ჭაბუკიანები.

ხიდისთავიდან მოსული, ტყიან ადგილებში დასახლებული **გოგიბერიძეთა** გვარის განაყოფის სახელია **ჩიტალაშვილი**: „ბევრის არქონის

გამო ჩიტივით ცოტა-ცოტას იკენკებოდა, არ ჰქონდა და ცოტა ჰამით კმაყოფილდებოდა. თუმცა შვილებს აჩენდნენ ბლომათ. ბევრი შვილი სიმაგრე იყო ერთმანეთით სოფელ-ქვეყნის. შვილი საშველს განახევს. გვიჭირდა, მარა დღევანდელივით არ ფიქრობდა. დღეს სხვანაირი ფიქრია, უფუძო რაღაცებს ვეჭიდებით“ (სოფელი ძულუხი, 2010).

სამეცნიერო ლიტერატურაში ლაზური გაფორმების გენეტიურ სახელად მოაზრებული, ეპონიმური წარმოშობის, გურიიდან მოსული **ტაბეშაძე** (<ტაბაშ - ხაზი ჩვენია) დასახლებულა სოფელ ხანში, „**ქვედა ნოღას**“, შემდეგ გადასახლებულან სოფლის ცენტრში, „ხაბაშვილების ნამოსახლში“ (შავიანიძე 2007: 71).

ტაბეშაძეთა გვარის ისტორია გვინახავს წინარეჟისტიანული მთვარის ღმერთის მიწათმოქმედების მფარველ წმინდა გიორგისთან ირმის კავშირის მეცნიერებაში აღიარებულ ფაქტს.

საერთოქართული მენტალობის ამსახველი მსგავსი მასალები, აგრეთვე ის, რომ ქართველისთვის რელიგიის ცვალებადობა ეთნიკურობის ცვლილებას არ უდრიდა, ჩავიწერეთ ხარაგაულში და ადიგენის სოფელ არალში (შავიანიძე 2007: 68-69; შავიანიძე 2024).

გადმოცემას **სახამბერიძეთა** გურულობაზე სანდოობას ანიჭებს გვარის მიერ გურიაში ძირსალოცავის მოლოცვის ფაქტი (შავიანიძე 2007: 68-69).

გურიის მკვიდრი **კალანდაძეების** გვარის ისტორია ქართველთა ტრადიციული მენტალობის შესწავლის საუკეთესო წყაროა.

ეთნოგრაფიული მასალა: „კალანდობას დაბადებულ ბიჭს დაარქვენ „**კალანდა**“. „კალანდას“ უკვდავება გამგრძელებელი ბიჭი, კალანდა დაიბადაო და შეიქმნა გვარი კალანდაძე“.

ნათესაური ურთიერთობები

გურიიდან და გურიაში მიგრირებული გვარების ეთნოისტორიული კვლევა ადასტურებს სისხლით და ხელოვნური ნათესაობის, გვარში შესულთან ნათესაობის, საქართველოს ყველა კუთხეში დადასტურებული არაერთი შემთხვევა.

ირკვევა, რომ ნათესაობა „ერთმანეთის გვერდით დგომის და გატანის მოთხოვნილების თაობებისთვის გადასაცემი“ მოცემულობაა.

უშვილო ისაკი ხელაძეს უშვილებია საკუთარი ძმის შვილი, გიორგი და ცოლის ძმის, აბესალომ **კაპანაძის** ქალიშვილი ნაზიკო. მერე ის ნაშვილები გიორგი დაიკარგა და ვიდრე ნაზიკო გათხოვდებოდა, ისაკი **ხელაძის** ფუძეზე მოვიდა ამ ნაშვილები ნაზიკოს ძმა ზაქრო კაპანაძე. ამიტომ, ხელაძეები ნათესაობენ კაპანაძის „**ნაგრამთანაც**“.

ძულუხელი ხელაძეები ნათესავად თვლიან თანასოფელ **ჯანელიძეებსაც**. „სოფლის მკვიდრი ელისო ჯანელიძის მამა ბესარიონი როგორც ნათესავი უშვილებია ევგენი ხელაძეს. „ორი გვარის ნაგრამი ნათესაობენ“.

ახალციხიდან და გურიიდან იმერეთში მიგრირებული ხელაძეები სხვადასხვა წარმომავლობის მიუხედავად ერთმანეთში არ ქორწინდებიან.

ოკრიბის სოფელ კითხიჯში გურიიდან მოსულა აქაური **ბაბუხადიების** ნაწილი XVIII საუკუნეში, ხრესილის ომის დროს. თათრების

განდევნის შემდეგ კითხიჯელ ივანე ბაბუხადიას უშვილებია „თათრების ტყვე“, გურული ონისიმე დოლიძე, რომლის „შთამომავლებიც დროთა განმავლობაში ბაბუხადიებად დაწერილან. ნათესაობენ ჩვეულებრივად“ (შავიანიძე 2002: 35-36).

წარმომავლობასა და სოციალურ კავშირებზე დამყარებულ ნათესაობაში ხდებოდა ტრადიციული წესებისა და ვალდებულებების დარღვევაც. აღნიშნული იყო ნათესაური ურთიერთობების ბზარის მიმცემი და განსაკუთრებით სპეციფიურს ხდიდა სოციალურ სფეროს. თუმცა ერთობის „ღონიერ წესს თავისი გაჰქონდა და მაინც აღდგებოდა“, გამოსწორდებოდა ოჯახურ და ნათესაურ ჯგუფებში ურთიერთობები, „ნელდებოდა ერთურობისგან ერთმანეთის მკაცრი შეფასება“.

გურიის მკვიდრი, **მანჯავიძეთა** (<მანჟავაძე < მანიჟავასძე; ძირძველი ფუძე ხარაგაულის ლაშე (მაისურაძე 1990: 101) და მათი რაჭული წარმოშობის რძლის - **კანდელაკის** გვარის ისტორიები საინტერესოა არა მხოლოდ შიდა მიგრაციული პროცესების, ხელოვნური ნათესაური ურთიერთობების სხვადასხვა შესაძლებლობების, სოციუმს შიგნით, ფართო გაგებით ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით. გადმოცემები მოგვითხრობენ **მანჯავიძის, ყანჩაველის, ჯიბლაძისა და კანდელაკის** გვარებს შორის „ქორწინებით შექმნილი, ზოგჯერ დაშლილი ოჯახობის და მიუღებელი მდგომარეობის მიუხედავად, მოყვრული“, ზოგადად სოციალური ურთიერთობების შესახებ.

ყანჩაველის გვარის (გვარი იხსენიება გორისა და საგარეჯოს რაიონებში (მაისურაძე 1990: 183)) ქალი მეორედ გათხოვილა გურიაში ჯიბლაძეზე. ყანჩაველის ქალის „მიყოლილ შვილს“ გაუგრძელებია აქ მანჯავიძის გვარი.

გურიაში სვანეთიდან, სოფელ ღობიდან გათხოვილი კანდელაკის (დაბალი საეკლესიო მნიშვნელობის აღმნიშვნელი სიტყვიდან „კანდელაკი“ / „მნათე, მესანთლე“ (ცხადაია 2000: 92) „დიდი ბაბუა“ სპირიდონ კანდელაკი ნიკორწმინდის ტაძარში ყოფილა მღვდელი. ცოლად ჰყოლია ლენტეხიდან, ჟახუნდერიდან ანა ონიანი. მერე გაშორებულან ერთმანეთს და ანა გათხოვილა. იგი შეურთავს ღობელ **გაგნიძეს** (ცხადაია 2000: 65). ანას მეორედ გათხოვების შემდეგ შეეძინა სპირიდონისგან ვაჟი, გურულ მანჯავიძეთა რძლის, კანდელაკის ბაბუა. სვანეთში გათხოვილი ანას და სპირიდონ კანდელაკის შვილს მეტსახელად „რაჭველი“ დაარქვეს. ერთხელაც რაჭაში გამგებული კანდელაკის ბავშვი მოუწამლავთ, რის გამოც უფრო მეძულებია იქაურობა. იგი დედას ისევ სვანეთში დაუბრუნებია. „მერე სისხლმა მაინც თავისი ქნა და ფესვმა“ და ბაბუას გაუცნია კანდელაკები, ოღონდ არა რაჭის მკვიდრი. მან იცოდა, რომ კანდელაკებმა, ონიანებმა და გაგნიძეებმა ერთმანეთზე არ უნდა იქორწინონ.

დასკვნა

ეროვნულ-ისტორიულ მეხსიერებაში შემორჩენილი, გურიაში და გურიიდან მიგრაციის ამსახველი სინამდვილე ადამიანებს შორის ნაციონალური კავშირების ჩამომყალიბებელი, ერის სოციალურ-

კულტურული ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის გადამცემი ენიტაა შემონახული; თაობებსაა გადმოცემული თვითშეგნებით მართული, ქართველთა პოლიტიკური, რელიგიურ-სოციალური ყოფის ფაქტები, მრწამსი და მისწრაფება, ფასეულობა-იდეალები; თვითიდენტიფიკაციის საშუალება ენით თაობებს გადაეცემოდა ქართველთა მენტალობის შესახებ, ცხოვრების ფილოსოფია, კრიზისისაგან ერთობით, ეროვნულზე გათვლილი მოქმედებით თავის დაღწევის, ერის გადამრჩენი ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების გზა-საშუალებები.

გვართა მიგრაციის ამსახველი მასალები თემში, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების, ცალკეულ ინდივიდთა „რა გინდ გაჭირვების ფასად სამშობლომეუტოვებლობის ქმედებების“ შემსწავლელი წყაროა. ეთნოგრაფიული მასალები ქართველოლოგიური და სხვა მიმართულებით სამეცნიერო კვლევისთვის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალექსიძე 2004** – ზ. ალექსიძე, პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. III. თბილისი, 2004.
- ბერძენიშვილი 1990** – ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი, 1990.
- თოფჩიშვილი 1997** – რ. თოფჩიშვილი, როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები? თბილისი, 1997.
- კაკაბაძე 1921** – ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წიგნი პირველი. თბილისი, 1921.
- მაისურაძე 1990** – ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები. თბილისი, 1990.
- სოსელია 1973** – ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ტ. I. თბილისი, 1973.
- სოსელია 1981** – ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ტ. II. თბილისი, 1981.
- სურგულაძე... 1991** – მ. სურგულაძე, ჯ. ოდიშელი, პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, ტ. I. თბილისი, 1991.
- დლონტი 1967** – ალ. დლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, ანთროპოტოპონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1967.
- შავიანიძე 2002** – დ. შავიანიძე, ოკრიბული გვარსახელები. ქუთაისი, 2002.
- შავიანიძე 2007** – დ. შავიანიძე, ქართული გვარსახელები (ბაღდათის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით). ქუთაისი, 2007.
- შავიანიძე 2012** – დ. შავიანიძე, სოფელ ძულუხის გვარსახელები (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, ტ. XII. ქუთაისი, 2012.

შავიანიძე 2009 – დ. შავიანიძე, გურია-აჭარის გვარსახელები (ორი სოფლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით). საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტი. სხალთის ეპარქია. საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭაროზა“ (მასალები). ქუთაისი, 2009.

შავიანიძე 2004 – დ. შავიანიძე, იმერეთის გვარსახელთა ისტორიისათვის (სალომინაოს გვარსახელთა მონაცემების მიხედვით). ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. VIII. ქუთაისი, 2004.

შავიანიძე 2024 – დ. შავიანიძე, „ხალხური პოლიტიკით“ გადარჩენილი იდენტობა (სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის – „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ - შრომები. ბათუმი, 2024.

ცხადაია 2000 – პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში. თბილისი, 2000.

ჭუმბურიძე 1993 – ზ. ჭუმბურიძე, გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. თბილისი, 1993.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9401>

თურქული ფრაზეოლოგიზმები
გურული მამლუქის წიგნში „ახალი დიალოგები“

Turkish Phraseologisms
in the Gurian Mamluk's Book „New Dialogues“

მირანდა ჭანკვეთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Miranda Chankvetadze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

ფრაზეოლოგიზმებს ხატოვან სიტყვა-თქმებს, იდიომებს ან ფიგურალურ გამოთქმებს უწოდებენ. ეს არის მყარი შესიტყვება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის და მისი შემადგენელი სიტყვები ისე არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მთელი ფრაზის მნიშვნელობა გაიგება.

ფრაზეოლოგიზმებს სხვადასხვა ენის ლექსიკურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის არა მარტო ამდიდრებს ამა თუ იმ ენის ლექსიკას, არამედ აგრეთვე ასახავს ამა თუ იმ ერის კულტურულ სპეციფიკასაც.

თურქულ ენაში ფრაზეოლოგიზმი გამოხატულია ტერმინ „Deyim“-ით. XX საუკუნის 30-40-იან წლებამდე კი ხშირად გვხვდებოდა ტერმინი tabir „გამოთქმა“.

იოსებ წილოსანის წიგნი „ახალი დიალოგები“ მდიდარია გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით. აღსანიშნავია წიგნში მოყვანილი ფრაზეოლოგიზმების მრავალფეროვნებაც.

აღმოსავლეთმცოდნე იოსებ ლაზარევის ძე წილოსანს მაჰმადიანურ სამყაროში ალი-ამედ ეფენდად მოიხსენიებენ. ტრაგიკული ბედის მქონე გურული ბიჭი 1812 წელს 8 წლის ასაკში გაიტაცეს და თავდაპირველად ოსმალეთიდან ჩამოსულ დიდ ვაჭარს ჰასან-ალას, ხოლო შემდეგ კაიროში მუჰამედ-ალას მიჰყიდეს. სანამ მშობლიურ მიწას დაუბრუნდებოდა, გრძელი და რთული ცხოვრებისეული გზა განვლო. სამშობლოში დაბრუნებულმა იოსებმა კი სამეცნიერო საქმიანობას მიჰყო ხელი და მაშინდელი თბილისი აქცია აღმოსავლური ენების შემსწავლელ ერთგვარ ცენტრად. 1856 წელს

გამოიცა რუსულ-ფრანგულ-თურქული სალაპარაკო ენის ლექსიკონი. წიგნის სრული სათაურია „ახალი დიალოგები რუსულ, ფრანგულ, თურქულ და თათრულ ენებზე, ბოლო ორი ენის კირილური ასოების ტრანსკრიფციით“ (Новые разговоры на Российском, Французском, Турецком и Татарском языках с Русским произношением двух последних). აღსანიშნავია, რომ ავტორი ტერმინს „Татарском“ წიგნში აზერბაიჯანულისთვის იყენებს. 630-გვერდიან ნაშრომში მოცემული დიალოგები ოთხ სვეტადაა დაყოფილი და გვხვდება შემდეგი თანმიმდევრობით: რუსული-ფრანგული-თურქული-კირილური ასოებით ტრანსკრიფცია. ლექსიკონის ფორმატში მოცემული დიალოგები სხვადასხვა თემატიკასა და ჯამში 130 სათაურია გამოყოფილი. დიალოგებში გვხვდება როგორც ადამიანთა სულიერი განცდის ამსახველი, ასევე, ნუმერაციული ფრაზეოლოგიზმები:

Can çekilmek - სიტყვასიტყვით: „სიცოცხლესთან ბრძოლა“; can - „სიცოცხლე, სული“, çekilmek - „ბრძოლა“. „ტანჯვა, წამება. სულის ლაფვა“;

Can vermek - სიტყვასიტყვით: „სულის მიცემა“; can - „სიცოცხლე, სული“, vermek - „მიცემა“. „სულის განტევა“ - გარდაცვალება;

Başa çıkarmak - სიტყვასიტყვით: „თავში გაყვანა“; baş - „თავი“, çıkarmak - „გაყვანა“. „საქმის ბოლომდე მიყვანა“ - დამთავრება;

Bir ayağı mezara koymak - სიტყვასიტყვით: „ერთი ფეხის სამარეში ჩადება“; bir - „ერთი“, ayak - „ფეხი“, mezar - „საფლავი, სამარე“, koymak - „ჩადება“. „ცალი ფეხი სამარეში უდგას“ - სიკვდილის პირასაა.

საკვანძო სიტყვები: თურქული ფრაზეოლოგიზმი, თურქული ლექსიკა, იოსებ წილოსანი.

ABSTRACT

Phraseologisms are sometimes referred to as figurative expressions, idioms, or set expressions. They represent fixed combinations of words characteristic of a given language, in which the constituent words are linked in such a way that the meaning of the entire phrase can be understood.

Phraseologisms occupy a special place within the lexical system of any language. They not only enrich a language's vocabulary but also reflect the cultural specificities of the people who speak it. In Turkish, a phraseologism is expressed by the term Deyim, while until the 1930s–1940s, the term tabir (expression) was also commonly used.

The book *New Dialogues* by Ioseb Tsilosani is notable for its rich grammatical and lexical diversity. Of particular interest is the variety of phraseologisms presented in the text. Ioseb Tsilosani, son of Lazar, known among Orientalists as Ali-Amed Efendi, had a tragic fate: in 1812, at the age of eight, he was abducted and initially sold to the prominent Ottoman merchant Hasan-Agha, and later to Muhammad-Agha in Cairo. Before returning to his homeland, he underwent a long and challenging life journey. Upon returning, he devoted himself to scholarly work and turned Tbilisi into a kind of center for the study of Eastern languages.

In 1856, he published a Russian-French-Turkish conversational dictionary, officially titled *New Dialogues in Russian, French, Turkish, and Tatar Languages, with Cyrillic Transcription for the Last Two Languages* (Новые разговоры на Российском, Французском, Турецком и Татарском языках с Русским произношением двух последних). Notably, Tsilosani used the term Tatar in reference to Azerbaijani. The 630-page work is organized into four columns, presented in the order: Russian, French, Turkish, and Cyrillic transcription. The dialogues cover various thematic topics, totaling 130 sections, and contain numerous phraseologisms, both expressive of human emotions and of numerical or quantitative concepts. Examples include: Can çekişmek: literally „struggle with the soul“ (can – life, soul; çekişmek – struggle). Signifying torment or suffering; the agony of the spirit. Can vermek: literally „to give the soul“ (can – life, soul; vermek – to give). Refers to death. Başa çıkarmak: literally „to lead to the head“ (baş – head; çıkarmak – to bring out). Refers to completing a task or bringing something to an end. Bir ayağı mezara koymak: literally „to put one foot in the grave“ (bir – one; ayak – foot; mezar – grave; koymak – to place). Refers to being near death.

Keywords: Turkish phraseology, Turkish vocabulary, Ioseb Tsilosani.

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიზმებს ზოგჯერ ხატოვან სიტყვა-თქმებს, იდიომებს ან ფიგურალურ გამოთქმებს უწოდებენ. ეს არის სიტყვათა მყარი შესიტყვება, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისათვის და მისი შემადგენელი სიტყვები ისე არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მთელი ფრაზის მნიშვნელობა გაიგება.

ფრაზეოლოგიზმებს სხვადასხვა ენის ლექსიკურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ის არა მარტო ამდიდრებს ამა თუ იმ ენის ლექსიკას, არამედ აგრეთვე ასახავს ამ თუ იმ ერის კულტურულ სპეციფიკასაც.

თურქული ენა მდიდარია ფრაზეოლოგიზმებით. იოსებ წილოსანის წიგნში „ახალი დიალოგები“ მრავალფეროვანია ფრაზეოლოგიური მასალა.

მეთოდები

აღწერითი მეთოდის საშუალებით აღწერილია იოსებ წილოსანის წიგნში „ახალი დიალოგები“ წარმოდგენილი თურქული ფრაზეოლოგიური ერთეულები, ანალიზის მეთოდით განხილულია მათი სტრუქტურა და სემანტიკური ნიუანსები.

მსჯელობა

აღმოსავლეთმცოდნე, პოლკოვნიკი იოსებ წილოსანი, მაჰმადიანურ სამყაროში ალი-ამედ ეფენდის სახელით წოდებული, 1804 წელს გურული გლეხის - ლაზარე წილოსანის ოჯახში დაიბადა. ცხოვრებამ მას რთული ბედი არგუნა. 1812 წელს 8 წლის იოსები გაიტაცეს და თავდაპირველად ოსმალეთიდან ჩამოსულ დიდ ვაჭარს - ჰასან-ალას, ხოლო შემდეგ კაიროში

მუჰამედ-აღას მიჰყიდეს. იოსების პატრონმა, შემდგომში მამობილმა მუჰამედ-აღამ იოსები საკუთარი შვილივით შეიყვარა, სპეციალური სიგელით მონობიდან გაანთავისუფლა და ხაზინის მეპატრონედ დანიშნა (ჯაფარიძე 2022: 245).

ეგვიპტეში ყოფნისას იოსებმა შეისწავლა თურქული და არაბული ენები, მაჰმადიანური კანონმდებლობა და ღვთისმეტყველება. შემდგომ კი სასწავლებლად საფრანგეთში გაიგზავნა. 1832 წელს იოსებმა პარიზში დაამთავრა უმაღლესი საინჟინრო სასწავლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში უზრუნველყოფილი ცხოვრება ელოდა, მან თავისი სამშობლო აირჩია და საქართველოში დაბრუნდა (არჯევანიძე 1946: 57).

საქართველოში დაბრუნებულმა იოსებმა დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა. მან მაშინდელი თბილისი აქცია აღმოსავლური ენების შემსწავლელ ერთგვარ ცენტრად. 1856 წელს გამოიცა მისი პირველი წიგნი „აღმოსავლური ენების სახელმძღვანელო“. ამავე წელს დაიბეჭდა რუსულ-ფრანგულ-თურქული სალაპარაკო ენის ლექსიკონი. 1862 წელს კი იოსებმა გამოსცა წიგნი, რომელიც წარმოადგენს მაჰმადიანური ენების თვითმასწავლებელს. იოსებ წილოსანი 1873 წელს თბილისში გარდაიცვალა.

იოსებ წილოსანის წიგნის სრული სათაურია „ახალი დიალოგები რუსულ, ფრანგულ, თურქულ და თათრულ ენებზე, ბოლო ორი ენის კირილური ასოების ტრანსკრიფციით“ (Новые разговоры на Российском, Французском, Турецком и Татарском языках с Русским произношением двух последних). აღსანიშნავია, რომ ავტორი ტერმინს „Татарском“ წიგნში აზერბაიჯანულისთვის იყენებს. 630-გვერდიან ნაშრომში მოცემული დიალოგები ოთხ სვეტადაა დაყოფილი და გვხვდება შემდეგი თანმიმდევრობით: რუსული - ფრანგული - თურქული - კირილური ასოებით ტრანსკრიფცია. წიგნის თურქული ნაწილი არაბული ასოებითაა. ლექსიკონის ფორმატში მოცემული დიალოგები სხვადასხვა თემატიკისაა და ჯამში 130 სათაურია გამოყოფილი. მათ შორისაა: ცხოველები, მისალმება, მედიცინა, დრო, წელიწადის დროები, მოგზაურობა და სხვა.

თურქულ ენაში ფრაზეოლოგიზმი გამოხატულია ტერმინით Deyim. მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებამდე კი ხშირად გვხვდებოდა ტერმინი Tabir „გამოთქმა“.

იოსებ წილოსანის წიგნი „ახალი დიალოგები რუსულ, ფრანგულ, თურქულ და თათრულ ენებზე, ბოლო ორი ენის კირილური ასოების ტრანსკრიფციით“, გრამატიკულ მრავალფეროვნებასთან ერთად მდიდარია ფრაზეოლოგიზმებითაც. ნაწილი ამ ფრაზეოლოგიზმებისა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- Can çekilmek - სიტყვასიტყვით: „სიცოცხლესთან ბრძოლა“; can -სიცოცხლე, სული, çekilmek - ბრძოლა.

ტანჯვა, წამება, სულის დაფვა. Can çekiyor - სულს დაფავს (575).

- Can vermek - „სულის მიცემა“; can - სიცოცხლე, სული, vermek - მიცემა.

„სულის განტევება“ - გარდაცვალება. Can verdi - გარდაიცვალა, სული განუტევა (575).

- Göz düşmek - სიტყვასიტყვით: „თვალის დაცემა“; göz - თვალი, düşmek - დაცემა.
„თვალის წასვლა“ - გაფუჭება, გახევა. Çorabın bir gözi düşmüştür - წინდას თვალი წასვლია, გახეულა (255).
- Yola çıkmak - სიტყვასიტყვით: „გზაზე გასვლა“; yol - გზა, çıkmak - გასვლა.
„გზაზე დადგომა“ - წასვლა. Yola çıktı - გზას დაადგა, წავიდა (479).
- Başa çıkarmak - სიტყვასიტყვით: „თავში გაყვანა“; baş - თავი, çıkarmak - გაყვანა.
„საქმის ბოლომდე მიყვანა“ - დამთავრება. Siz şüphesiz başa çıkarursız - ეჭვგარეშეა, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანთ (309).
- Yaşı geçmek. სიტყვასიტყვით: „ასაკის ჩავლა“; yaş - ასაკი, geçmek - ჩავლა, გავლა.
„ასაკის გავლა“ - დაბერება. Kendüsünün yaşı geçiyor - ბერდება (581).
- Acı çekmek - სიტყვასიტყვით: „სიმწარის ატანა“; acı - სიმწარე, çekmek - ატანა, განცდა. შეგრძნება.
ტანჯვა, წამება. Acı çekiyor - იტანჯება (577).
- Memeden kesmek - სიტყვასიტყვით: „მკერდიდან მოჭრა“; meme - მკერდი, kesmek - მოჭრა, მოკვეთა.
„მკერდიდან მოკვეთა“; დატოვება, მიტოვება. Memedan kesdi - მკერდი მიატოვა, თავი დაანება (457).
- Yüzü kesmek - სიტყვასიტყვით: „სახის გაჭრა“; yüz - სახე, kesmek - გაჭრა, მოჭრა.
„სახის მოყინვა“; გაყინვა, შეციება. Öyle rüzgardurki yüzi kesiyor - ისეთი ქარია, რომ სახეს უყინავს (105).
- Can titremek - სიტყვასიტყვით: „სულის კანკალი“; can - სული, titremek - კანკალი, ცახცახი.
„სულის ცახცახი“; შიში. Canım detriyor - მეშინია (527).
- Kuvvetten düşmek - სიტყვასიტყვით: „ძალიდან დაცემა“; kuvvet - ძალა, düşmek - დაცემა.
„ძალის გამოცლა“; დაუძლურება. Ben kuvvetdan düşüyorum - ძალა მეცლება (569).
- El kaldırmak - სიტყვასიტყვით: „ხელის აღება“; el - ხელი, kaldırmak - აღება, აწევა.
„ხელის აღება“; მოგება. Ben yedi el kaldurmuşım - შვიდი ხელი (თამაში) მომიგია (505).
- İçinden geçmek - „გულში გავლა“; iç - შინაგანი მხარე. გული; Geçmek - გავლა.
„გულში გავლება“; გაფიქრება, მოსაზრება. İçinden geçdi - გაიფიქრა (297).
- Sufra kurmak - სიტყვასიტყვით „სუფრის შექმნა“; sufra- სუფრა, kurmak- შექმნა, დაარსება.
„სუფრის გაწყობა“ - სუფრის გაფორმება, გაწყობა. Sufra kurulmuşdur - სუფრა გაშლილა, გაწყობილა (201).
- Peşine düşmek - „კვალდაკვალ დაცემა“; peş - კვალი, düşmek - დაცემა.

„კვალდაკვალ დადევნება“ - მუდამ მასთან ყოფნა, კვალში დგომა. Peşime düşiyor (515).

• Aç gözlü - სიტყვასიტყვით: „ღია თვლიანი“; aç - ღია, göz - თვალი.

„თვალხარბი“ - ხარბი, გაუმაძღარი (მამულია 2006: 13). Açı gözlüsiz - ხარბი ხარ (229).

• Mide bulanmak - სიტყვასიტყვით: „კუჭის დაბინდვა, ამღვრევა“; mide - კუჭი, bulanmak - ამღვრევა, დაბინდვა.

„გულის არევა“ - ღებინება. Mide bulandı - გული აერია, აღებინა (561).

• Surat asmak - სიტყვასიტყვით: „სახის ჩამოკიდება“; surat - სახე, გამომეტყველება. Asmak - დაკიდება, ჩამოკიდება.

„სახის ჩამოშვება“ - მოწყენა, დაღონება. Olaydan sonra surat asdı - შემთხვევის შემდეგ მოიწყინა (325).

• Beş para etmez - სიტყვასიტყვით: „ხუთ ფარას არ იზამს“; beş - ხუთი, para - ფული.

„ფასი არ აქვს“ - უფარგისია. Bu beş para etmez - ამას ფასი არ აქვს, არ ღირს (503).

• Bir ayağı mezara koymak: სიტყვასიტყვით „ერთი ფეხის სამარეში ჩადება“; bir- ერთი, ayak- ფეხი, mezar- საფლავი, სამარე, koymak- ჩადება.

„ცალი ფეხი სამარეში უდგას“ - სიკვდილის პირასაა. Ben bir ayakımı mezara koymuşım - სიკვდილის პირას ვარ (569).

დასკვნა

წიგნი, სახელწოდებით „ახალი დიალოგები რუსულ, ფრანგულ, თურქულ და თათრულ ენებზე, ბოლო ორი ენის კირილური ასოების ტრანსკრიფციით“ ყოფილი მამლუქის, გურული ბიჭის, იოსებ წილოსანის კალამს ეკუთვნის. ოთხენოვნიანი ნაშრომი მდიდარია ლექსიკური, ფრაზეოლოგიური და გრამატიკული თვალსაზრისით. ვხვდებით როგორც ადამიანთა სულიერი განცდის ამსახველ გამოთქმებს, ასევე ნუმერაციულ ფრაზეოლოგიზმებსაც. რაც შეეხება ნაშრომში წარმოდგენილ სამეტყველო ფორმებს, დიალოგებში მოყვანილი მაგალითებიდან შეიძლება ითქვას, რომ ეს ფორმები ძირითადად ანატოლიური თურქულის ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტს განეკუთვნება.

გამოყენებული ლიტერატურა

არჯევანიძე 1946 – ი. არჯევანიძე, იოსებ წილოსანის ალი-ამედეფენდის საბიოგრაფიო მასალა: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისთვის“. თბილისი, 1946.

მამულია 2006 – ე. მამულია, თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბილისი, 2006.

წილოსანი 1956 – ი. წილოსანი, Новые разговоры на Российском, Французском, Турецком и Татарском языках с русским произношением двух последних. ТКНК, თბილისი, 1956.

ჯაფარიძე 2022 – გ. ჯაფარიძე, (მთარგმნელი: კონსტანტინე ფერაძე), ქართველი სტუდენტების ბედი მუჰჰამად ალის მიერ საფრანგეთში გაგზავნილ ეგვიპტელ სტუდენტთა პირველ მისიაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, 11. თბილისი, 2022.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9402>

**იაკობ გოგებაშვილი გურიის შესახებ
(მისივე წიგნის – „ბუნების კარის“ მიხედვით)**

**Iakob Gogebashvili on Guria
(Based on his book „The Door of Nature“)**

მაგდა ჭიჭაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Magda Chikaberidze

Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

შეუფასებელია ქართველი პედაგოგის, საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მრავალი თაობის განათლებისა და განვითარების საქმეში. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები დიდხანს გამოიყენებოდა ქართულ სასკოლო განათლებაში. ერთ-ერთი მათგანია „ბუნების კარი“ (1868).

იაკობ გოგებაშვილს მნიშვნელოვნად მიაჩნდა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლა. „ბუნების კარში“ საქართველოს მხარეები სათითაოდ არის აღწერილი (საზღვრები, რელიეფი, წყლები, მნიშვნელოვანი ქალაქები და სოფლები, ეკლესია-მონასტრები, სასწავლო დაწესებულებები, მცხოვრებთა ხასიათი და ზნე-ჩვეულებები).

ჩემი კვლევის მიზანია, ვაჩვენოთ, როგორია იაკობ გოგებაშვილის თვალთ დანახული საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე – გურია, მისი თავისებურება და კოლორიტი, მისი ფუნქცია საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

კვლევის მთავარი წყაროა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, ასევე, დიმიტრი ყიფიანის მემუარები, ქველი ჩხატარაიშვილის ნაშრომი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან“, თამარ პაპავას წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. კვლევისას გამოყენებულია ბიოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული მეთოდები.

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, გურია მე-19 საუკუნეში იყო „ქუთაისის გუბერნიის ერთი მცირე – ოზურგეთის მაზრა“ 100 000 მცხოვრებით. გურულები მეტწილად სოფლად ცხოვრობდნენ. ისინი მიწათმოქმედები იყვნენ, მესაქონლეობას არ მისდევდნენ საძოვრების არარსებობის გამო. მათი მთავარი საზრდო იყო ღომი და სიმინდი. პურს მხოლოდ მცირე რაოდენობით თესავდნენ რიონის მხარეს.

იაკობ გოგებაშვილი მოგვითხრობს გურიაში ვაზის გაშენების თავისებურებაზე. აქ ვაზი მაღალ ხეებზე, მეტწილად თხემელაზე (მურყანზე) იყო გაბმული. მიუხედავად იმისა, რომ ის ბუნებრივად იყო მიშვებული, ზოგიერთ ადგილას შესანიშნავ ღვინოს აყენებდნენ.

იაკობ გოგებაშვილი, ასევე, გვაცნობს გურულების საცხოვრის, ჩაცმულობას, ცხოვრების წესს, ხასიათის თვისებებს, მათს განსაკუთრებულ მისწრაფებას განათლებისადმი.

„ბუნების კარში“ გურია და გურულები საინტერესოდ და ემოციურად არიან აღწერილი. აქ მოყვანილი ფაქტები ზუსტი და უტყუარია. მათ ახლა ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აქვთ. „ბუნების კარი“ არის სახელმძღვანელო, რომელმაც მომავალ თაობათა განათლებასა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა.

საკვანძო სიტყვები: იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“, გურიის აღწერა.

ABSTRACT

The contribution of the Georgian educator, public figure, and writer Iakob Gogebashvili (1840–1912) to the Georgian nation is invaluable. He played a pivotal role in the education and development of multiple generations. Gogebashvili's textbooks were used extensively in Georgian schools for many years, among which *The Door of Nature* (1868) is particularly notable.

Gogebashvili placed great importance on the study of Georgia's history and geography. In *The Door of Nature*, the regions of Georgia are described individually, covering their borders, relief, water systems, important cities and villages, churches and monasteries, educational institutions, as well as the character and customs of the local population.

The aim of this study is to illustrate how Gogebashvili perceived one of Georgia's most beautiful regions, Guria, highlighting its distinctive features, local color, and its role in Georgia's cultural and economic life. The main sources for this research are Gogebashvili's textbook *The Door of Nature*, Dimitri Kipiani's memoirs, Kveli Chkhatarai's work *The Annexation of the Principality of Guria to Russia*, and Tamar Papava's book *Great Figures in Small Frames*. The study employs biographical and historical-cultural methodologies.

According to Gogebashvili, in the 19th century Guria was „a small district of the Kutaisi Governorate-Ozurgeti Mazra“-with a population of about 100,000. Gurians

mostly lived in rural areas, practicing agriculture; pastoralism was limited due to the lack of pastures. Their main food consisted of corn and maize, while bread was grown only in small quantities along the Rioni River.

Gogebashvili also describes the unique features of viticulture in Guria, where vines were typically grown on tall trees, mostly on mulberry trees (murkhani). Although largely left to grow naturally, in some areas excellent wine was produced.

Additionally, Gogebashvili provides detailed descriptions of the Gurians' dwellings, clothing, lifestyle, character traits, and particular dedication to education. In *The Door of Nature*, Guria and its people are portrayed vividly and emotionally, with facts presented accurately and reliably. Today, these descriptions serve as important historical sources. *The Door of Nature* is a national textbook that played a crucial role in shaping the education and national consciousness of future generations.

Keywords: Iakob Gogebashvili's „Nature's Gate“, a description of Guria.

შესავალი

შეუფასებელია ქართველი პედაგოგის, მოღვაწისა და მწერლის, იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. მან უდიდესი წვლილი შეიტანა მრავალი თაობის განათლებისა და განვითარების საქმეში. იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები დიდხანს გამოიყენებოდა ქართულ სასკოლო განათლებაში. ერთ-ერთი მათგანია „ბუნების კარი“. ის პირველად 1868 წელს გამოიცა და მისივე „ქართული ანბანის“ („დედაენის“) გაგრძელებაა. „ბუნების კარი“ შედგება რამდენიმე განყოფილებისაგან (თავისაგან). ესენია: ბუნებისმეტყველება, ლიტერატურა, საქართველოს გეოგრაფია-ეთნოგრაფია, საქართველოს ისტორია, კაცობრიობა.

იაკობ გოგებაშვილს საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის ცოდნა მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რადგან „სამშობლოს შესწავლა საძირკველია მისი სიყვარულისა, ნამდვილი მამულიშვილობისა. ხოლო ქართველობა იმ გვარ პირობებში არის ახლა ჩაყენებული, რომ სახალხო სკოლის მოსწავლენი უვიცნი დარჩებიან სამშობლოს გეოგრაფიისა და ისტორიისა, თუ მათ ეს ცოდნა არ მივაწოდეთ იმ სახელმძღვანელოებში, რომელნიც დანიშნულნი არიან მესამე და მეოთხე წლისათვის“ (გოგებაშვილი 2018: 7). „ბუნების კარში“ საქართველოს კუთხეები „კერძოობით“, სათითაოდ არის აღწერილი (საზღვრები, რელიეფი, წყლები, მნიშვნელოვანი ქალაქები და სოფლები, ეკლესია-მონასტრები, სასწავლებლები, მცხოვრებთა ხასიათი და ზნე-ჩვეულებები).

მეთოდები

ჩემი კვლევის მიზანია, ვაჩვენო, როგორია იაკობ გოგებაშვილის თვალთ დანახული საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე გურია, მისი თავისებურება და კოლორიტი, მისი ფუნქცია საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

კვლევის მთავარი წყაროა იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, ასევე, დიმიტრი ყიფიანის მემუარები, ქველი ჩხატარაიშვილის ნაშრომი „გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან“, თამარ პაპავას წიგნი „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“.

კვლევისას გამოყენებულია ბიოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული მეთოდები.

მსჯელობა

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, გურია მე-19 საუკუნეში იყო „ქუთაისის გუბერნიის ერთი მცირე – ოზურგეთის მაზრა“ 100 000 მცხოვრებით (გოგებაშვილი 2018: 413).

გურიის სამთავრო, რომელიც მე-15 საუკუნის 60-იან წლებში, საქართველოს დეცენტრალიზაციის დროს ჩამოყალიბდა, 1811 წელს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შევიდა, ხოლო 1829 წელს გაუქმდა. „რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ გურიის სამთავროს მოსახლეობამ დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ძიებაზე ხელი აიღო და რუსეთის იმპერიის ცხოვრების დინებას მიჰყვა. თავადაზნაურობა რუსეთის მეფის სამსახურში ჩადგა და, რაკი დარწმუნდა, რომ ცარიზმი მისი სოციალურ-კლასობრივი ინტერესების დამცველი იყო, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში დაწინურებისთვის თავს არ ზოგავდა. სამღვდელოებაც რუსეთის მეფის ერთგულ მსახურად იქცა. რაც შეეხება გლეხობას, მას ერთი საფრთხე მოეხსნა – გარეშე მტრისგან ოჯახის აოხრება და ტყვედ ყიდვა თითქმის აღარ ემუქრებოდა, სამაგიეროდ, ბატონყმობის უღელი დაუმძიმდა“ (ჩხატარაიშვილი 1985:105).

სამთავროს მემკვიდრეს, დავით გურიელს, ყოველგვარი უფლება ჩამოერთვა. რუსეთში კადეტთა კორპუსის დასრულების შემდეგ იგი კავკასიის მთის დასაპყრობად გაუშვეს და შამილთან ბრძოლაში, ახულგოსთან, დაიღუპა. „ეს მოხდა 20 აგვისტოს, 1939 წელს, როდესაც დავითი 24 წლისა ძლიერ იყო... და სოფიო დედოფლის მემკვიდრე, გურიისა და დავით მაჭუტაძის იმედი კავკასიის დაპყრობას შეეწირა...“ (პაპავა 1990: 377).

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, გურიას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა იმერეთი, დასავლეთით – შავი ზღვა, სამხრეთით – პატარა მდინარე ჩოლოქი და აჭარა-გურიის მაღალი მთა, ხოლო ჩრდილოეთით – მდინარე რიონი, რომელიც მას სამეგრელოსგან ყოფდა. „წინათ, მეთვრამეტე საუკუნეში, გურიას ეჭირა დიდი ადგილი, ბევრად მეტი ახლანდელზედ“ (გოგებაშვილი 2018: 413).

გურია მთაგორიანი და წყალუბვი მხარეა. აქ ყველაზე დიდი მდინარეა სუფსა, რომელიც შავ ზღვას ერთვის. იგი სანაოსნოდ გამოიყენება. სუფსაში ნაგები ზღვიდან 20-23 ვერსზე შედიან.

იაკობ გოგებაშვილის შეფასებით, გურიის ბუნების უდიდესი ნაკლი არის მეტად ნოტიო ჰავა, განსაკუთრებით რიონის, სუფსისა და სხვა წყლების სიახლოვეს. ხშირი და უდროო წვიმები, ხანდახან გვალვაც, აზიანებს მოსავალს. მიუხედავად წყალუბვობისა, გურიაში ყანების მორწყვა ძნელდება მთაგორიანობისა და მდინარეების ღრმა კალაპოტის გამო.

აღმოსავლეთის ქარი, რომელიც იმერეთში მოსავალს აფუჭებს, გურიაში მხოლოდ რიონის მხარეს გვხვდება.

ნოტიო ჰავის გამო აქ გავრცელებულია დაავადებები: ციებ-ცხელება (მალარია) და მუცელა (ტიფი). „დაბალსა, ჰალიანსა და ჰაობიანს ადგილებში ზაფხულში იშვიათი სახლობა იქნება, რომ ციებცხელება არ ეწვიოს. მუცელა ხომ კიდევ უფრო მუსრს ავლებს ხალხს“ (გოგებაშვილი 2018: 414). იაკობ გოგებაშვილის თქმით, მუცელა დასავლეთ საქართველოს სენია. მისი ნამდვილის მიზეზის დასახელება ძნელია. „დასავლეთს საქართველოში ერთს განსაკუთრებით ავადმყოფობას დაუბუდნია, რომელიც იშვიათია საქართველოში. ჩვენ ვამბობთ კუჭის ავადმყოფობაზედ, მუცელაზედ, რომელიც დიდ ზარალს სჩადის... ეს ავადმყოფობა უფრო ჰავის თვისებაზედ, სინესტეზედ უნდა იყოს დამოკიდებული. ამას გარდა, ამ სენს უეჭველად აძლიერებს ბევრის მკუხე ხილის ჰამა, რომელიც აქ დიდძალი მოდის და რომლის უდროოდ ბევრი ჰამა უყვართ იმერთა“ (გოგებაშვილი 2018: 400).

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, გურულები მეტწილად სოფლად ცხოვრობენ. ისინი მიწათმოქმედები არიან, საძოვრების არარსებობის გამო მესაქონლეობას არ მისდევენ. მათი მთავარი საზრდო არის ღომი და სიმინდი. პურს მხოლოდ მცირე რაოდენობით თესავენ რიონის მხარეს. ღომმა და სიმინდმა დიდი მოსავალი იცის, „ერთსა და იმავე მიწას სამ წილად მეტი ღომი მოჰყავს პურზედ და ხუთ წილად მეტი სიმინდი. რასაკვირველია, სიმინდსა და ღომს პურის ნოყიერება არა აქვს. იმედია, რომ ცოტ-ცოტად გურულები შეეჩვევიან პურის მოყვანასა და ხმარებას“ (გოგებაშვილი 2018: 414). მათ, ასევე, მცირე რაოდენობით მოჰყავთ ბრინჯი და ბამბა. გურიაში გუთანს არ იყენებენ, რადგან ვაკე ადგილი იშვიათია, მიწა ხეებითა და ბუჩქებით არის დაფარული. შესაბამისად, გურული ბარავს, თოხნის ბუჩქებს შორის და იქ თესავს ჭირნახულს.

გურიაში ღომისა და სიმინდის მოყვანის ტრადიციის შესახებ აღნიშნულია დიდი ქართველი მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის მემუარებშიც (დაიწერა 1884-1885 წლებში). ის 1841 წლის გურიის აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად რუსეთის ხელისუფლების მიერ გურულებისათვის კარტოფილის მოყვანის მკაცრ მოთხოვნას ასახელებს: „ამას მიემატა კიდევ სასტიკი მოთხოვნა კარტოფილის მოყვანისა. რა სალაპარაკოა – მშვენიერი რამ არის! მაგრამ გურულები ღომსა და სიმინდს არიან შეჩვეულნი; ერთიც და მეორეც საკმარისი ჰქონდათ; მოუსავლობისა თავის დღე არა იცოდნენ რა. მაშ, რად უნდოდათ კარტოფილი?“ (ყიფიანი 1930: 25).

იაკობ გოგებაშვილი მოგვითხრობს გურიაში ვაზის გაშენების თავისებურებაზე. აქ ვენახი მაღალ ხეებზე, მეტწილად თხმელაზე (მურყანზე) არის გაშენებული. თხმელა მაღალი ხეა და ბევრი ტოტი აქვს, შესაბამისად, ვაზი ბევრ რქას იკეთებს და უხვ მოსავალს იძლევა. თხმელის ხე მავნებელიც არის, რადგან მალარიას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ვაზი ბუნებრივად არის მიშვებული, „ზოგიერთს ადგილებში ჩინებული ღვინო დგება“. სამწუხაროდ, ვაზის დაავადებამ გურულები ძალიან დააზარალა, სრულიად გაანადგურა საუკეთესო ჯიშის ვაზი ჩხავერი. გურულებმა დაიწყეს ადგილობრივი ჯიშების ამერიკული ვაზის ძირებზე დამცნობა და ვენახის მოშენება. გავრცელებული სნეულების გამო

დაზარალდნენ მეაზრეშუმეებიც. „ღვინო და აზრეშუმი იყო უმთავრესი სახსარი გამორჩენისა, ყველაფერზედ უფრო აქედგან ჰქონდა სოფლის მცხოვრებს შემოსავალი“ (გოგებაშვილი 2018: 415).

იაკობ გოგებაშვილი აღწერს გურულების საცხოვრისს. გურული იშენებს ფიცრის სახლს, ანუ ოდას, რომელსაც ხურავს კრამიტით ან ყავრით (თხელი და ვიწრო ფიცარი), ხოლო სახლს ითბობს ბუხრით ან კერით. რაც შეეხება სამოსს, გურული იცვამს ჩოხას და თავზე იხურავს ყაბალახს. ჩოხის მაგივრად ასევე იყენებენ მოკლე გადასაცმელს – ჭონიას, რომელიც უფრო გურიის სამხრეთ ნაწილში, ოსმალეთის მოსაზღვრე სოფლებში არის გავრცელებული.

„ბუნების კარში“ გურულები საინტერესოდ არიან დახასიათებულნი: „გურული კაცი მეტად ჩქარია ლაპარაკში, მოძრობაში, საქმეში. უყვარს პირდაპირობა და სძულს პირმოთნეობა, სწრაფად მოსდის გული, მაგრამ ჩქარავე მშვიდდება. სიმარჯვე და გულადობა გურულისა ნაქებია. გურულები ნიჭიერნი, მარდნი და მარჯვენი არიან ყველაფერში და განათლებასაც ძლიერ მისდევენ ბოლოს წლებში“ (გოგებაშვილი 2018: 415). გურიის თითქმის ყველა სოფელში დაარსებულია სკოლა. ესენია ერთკლასიანი სამრევლო სკოლები, ორკლასიანი სადირექციო სკოლები და გიმნაზიები ვაჟებისა და ქალებისათვის; გახსნილია სამკითხველოები.

დიმიტრი ყიფიანიც აღნიშნავს გურულების ფიცხ და თავმოყვარე ხასიათს. იგი თავის მემუარებში, გურიის 1841 წლის აჯანყების მიზეზების მიმოხილვისას, ერთ-ერთ გარემოებად სწორედ ამ თვისებებს ასახელებს: „ეს იყო უაღრესად მოთაკილე და წყენის ფიცხად ამყოლი ხასიათი გურულებისა“ (ყიფიანი 1930: 25).

იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, გურიაში ორი ქალაქია: ოზურგეთი და ფოთი. ოზურგეთში 7000 ადამიანი ცხოვრობს. აქ არის ორი სავაჭო სასწავლებელი: საერო და სასულიერო და ერთი საქალაქო სკოლა. ფოთი ოზურგეთზე დიდია, ის შავი ზღვის პირას, რიონის შესართავთან მდებარეობს. მას აღმოსავლეთით ესაზღვრება პალიასტომის ტბა. ფოთში გაკეთდა ნავსადგური, რომელიც „ძლიერ ეხმარება ამ ქალაქის ვაჭრობასა და აყვავებას“ (გოგებაშვილი 2018: 416). აქ რამდენიმე საშუალო სასწავლებელი არსებობს: გიმნაზია ვაჟებისა და ქალებისათვის, სამოქალაქო ექვსკლასიანი სასწავლებელი და საზღვაო სასწავლებელი. რკინიგზის გამო ფოთმა და ოზურგეთმა სატრანზიტო მნიშვნელობა შეიძინა. შემოდის უცხოური საქონელი, ასევე, აქედან გადის ქართული ნაწარმი ევროპასა და რუსეთში.

იაკობ გოგებაშვილი ასახელებს გურიის მნიშვნელოვან სოფლებს. ესენია: ბახვი, შემოქმედი, ლანჩხუთი, ხიდისთავი, აკეთი. ბახვში არის ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც ამ სოფლის შვილმა, „საქართველოს ეკლესიის მნათობმა“, იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა¹ დააარსა. ხოლო სოფელი შემოქმედი განთქმულია თავისი უმშვენიერესი მდებარეობით.

¹ ეპისკოპოსი გაბრიელი, ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე (1825-1896) – ქართველი სასულიერო მოღვაწე, მეცნიერი და პედაგოგი, იმერეთის ეპისკოპოსი 1860-1896 წლებში. გაბრიელ ეპისკოპოსმა მთელი თავისი პირადი ქონება უანდერძა ღარიბებს, ქვრივ-ობლებსა და სასწავლებლებს. ანდერძში ვკითხულობთ: „ქუთაისის სააზნაურო საადგილმამულო ბანკში დაცულს 12 200 მანეთს გირავნობითი ფურცლებით ვუტოვებ და ვუანდერძებ სამუდამოდ ბახვის შკოლას“.

გურიაში არის ორი შესანიშნავი მონასტერი: შემოქმედისა და ჯუმათის. წინათ ეს მონასტრები სავსე იყო ბერებითა და სიმდიდრით. ახლა მხოლოდ რამდენიმე ბერი შემორჩა, მონასტრებიც გადარიბდა. შემოქმედის მონასტერი განთქმულია ძველი წიგნსაცავით. აქ ინახება უძველესი ხელნაწერები.

დასკვნა

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარში“ გურიის ბუნება და გურულები საინტერესოდ და ემოციურად არიან აღწერილნი. აქ მოყვანილი ფაქტები ზუსტი და უტყუარია. მათ ახლა ისტორიული წყაროს მნიშვნელობა აქვს. „ბუნების კარი“ არის ეროვნული სახელმძღვანელო, რომელმაც მომავალ თაობათა განათლებასა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი ითამაშა.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგებაშვილი 2018 – ი. გოგებაშვილი, ბუნების კარი, მოთხრობები. თბილისი, 2018.

პაპავა 1990 – თ. პაპავა, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბილისი, 1990.

ყიფიანი 1930 – დ. ყიფიანი, მემუარები. თბილისი, 1930.

ჩხატარაიშვილი 1985 – ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი, 1985.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9403>

გურული დიალექტური ლექსიკა
ზურაბ გორგილაძის პოეზიაში

Gurian Dialect Vocabulary
in Zurab Gorgiladze's Poetry

ლუიზა ხაჩაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Luiza Khachapuridze
Akaki Tsereteli State University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა შეისწავლის გურული დიალექტური ლექსიკის გამოყენების თავისებურებებს თანამედროვე ქართული პოეტის, ზურაბ გორგილაძის შემოქმედებაში. კვლევის მიზანია გაანალიზოს დიალექტიზმების როლი პოეტის მხატვრული ენის ფორმირებაში და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების თვალსაზრისით.

ნაშრომში დეტალურადაა გაანალიზებული ისეთი გურული დიალექტიზმები, როგორებიცაა: ორწოხები, ლაფარო, კვენდლი, ზღუზი, დვინი, კატარი და ფუშტი. ეტიმოლოგიური კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ამ დიალექტიზმების უმეტესობა უკავშირდება ძველ ქართულ ან საერთო ქართველურ ძირებს. კვლევამ აჩვენა, რომ ზ. გორგილაძე დიალექტურ ლექსიკას იყენებს არა მხოლოდ როგორც სტილისტურ ხერხს, არამედ როგორც კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. პოეტი ახერხებს დიალექტიზმების ინტეგრირებას რთულ პოეტურ სახეებში, სადაც ისინი ხშირად გვევლინებიან ლექსის საკვანძო ელემენტებად და აძლიერებენ ემოციურ ზემოქმედებას. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია როგორც თანამედროვე ქართული პოეზიის კვლევისთვის, ისე დიალექტოლოგიისა და ლექსიკოლოგიის განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: გურული დიალექტი, ზურაბ გორგილაძის პოეზია, გურული ლექსიკა.

ABSTRACT

The present study examines the distinctive features of Gurian dialect vocabulary in the work of the contemporary Georgian poet Zurab Gorgiladze. The aim of the research is to analyze the role of dialectisms in shaping the poet's artistic language and their significance in enriching the lexical repertoire of the Georgian language.

The study provides a detailed analysis of specific Gurian dialectisms, including „ortsokhebi“, „lafaro“, „kvendghi“, „bghesi“, „dvrini“, „katari“, and „pushti“. Based on etymological investigation, it was determined that most of these dialectisms are related to Old Georgian or common Kartvelian roots.

The research demonstrates that Gorgiladze employs dialect vocabulary not merely as a stylistic device, but also as a significant instrument for preserving cultural heritage. The poet successfully integrates dialectisms into complex poetic forms, where they frequently appear as key elements of the verse, enhancing the emotional impact of the poetry.

The results of this study are important both for the analysis of contemporary Georgian poetry and for the development of dialectology and lexicology.

Keywords: Gurian dialect, Zurab Gorgiladze's poetry, Gurian vocabulary.

შესავალი

პოეტის მიერ დიალექტური ლექსიკის გამოყენებას პოეზიაში მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს: დიალექტები ენის სიმდიდრე, საგანძურია. მათი გამოყენებით პოეტი ხელს უწყობს ენის მრავალფეროვნების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას; ზოგჯერ დიალექტური სიტყვა უფრო ზუსტად გადმოსცემს გრძნობას ან იდეას, ვიდრე სტანდარტული ლიტერატურული ფორმა. დიალექტური სიტყვების საშუალებით პოეტი შეიძლება ახალ სიცოცხლეს სძენდეს მივიწყებულ ან ნაკლებად ხმარებულ სიტყვებს. მხატვრული ლიტერატურით შემოსული დიალექტური სიტყვები შეიძლება დამკვიდრდეს სალიტერატურო ენაში, გააფართოოს მისი ლექსიკური მარაგი. დიალექტების გამოყენება ხელს უწყობს ენის ბუნებრივ ევოლუციას, რაც აუცილებელია მისი სიცოცხლისუნარიანობისთვის.

ზურაბ გორგილაძემ თავის პოეზიაში ძეგლი დაუდგა საკუთარ დიალექტს, თუმცა დასტურდება სხვა დიალექტური ფორმებიც. განსაკუთრებით შეინიშნება გურულ დიალექტიზმთა სიჭარბე. ვფიქრობთ, ეს მეზობელ დიალექტთან შეხვედრის მაგალითია.

სტატია მიზნად ისახავს გავანალიზოთ გორგილაძის შემოქმედებაში გამოყენებული გურული დიალექტიზმები და მათი მნიშვნელობა პოეტის მხატვრული ენის ფორმირებაში.

წყაროების / ლიტერატურის მიმოხილვა: ნაშრომში ძირითადად გამოვიყენეთ განმარტებითი, ეტიმოლოგიური და დიალექტური ლექსიკონები. ზურაბ გორგილაძის პოეზიის ენობრივ მხარეს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთი, შ. ლორთქიფანიძის დისერტაცია (ლორთქიფანიძე 2018) ეძღვნება, რომელითაც შედარებისათვის ვისარგებლეთ.

მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები.

მსჯელობა

ზურაბ გორგილაძის პოეზია წარმოადგენს უნიკალურ ლინგვისტურ ფენომენს, სადაც პოეტი ოსტატურად იყენებს გურულ დიალექტურ ლექსიკას, რითაც არა მხოლოდ ამდიდრებს საკუთარ პოეტურ ენას, არამედ ხელს უწყობს დიალექტის შენარჩუნებასა და პოპულარიზაციას. როგორც ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავდა: „დიალექტი ენის ცოცხალი ისტორიაა“ (ჩიქობავა 1952). ამ კონტექსტში ზურაბ გორგილაძის მიერ გურული დიალექტის გამოყენება შეიძლება განვიხილოთ როგორც ქართული ენის ისტორიის ცოცხალი დოკუმენტირება პოეზიის მეშვეობით.

ორწოხები გურული დიალექტიზმია, რომელიც აღნიშნავს ვიწრო, ტალახიან ბილიკს, უფრო ორღობეს შუა გაყვანილს (კიწმარიშვილი 2016); ვიწრო, ძნელად მისასვლელი ადგილები მთებსა და ხევებში (ელერდაშვილი 2006). ზ. გორგილაძე ამ სიტყვას იყენებს მეტაფორულად ფრაზაში „დროთა ორწოხები“. გვხვდება ლექსში „დიდედას“:

„დროთა ორწოხებში ნგრევით ჩაიშალა დღეთა ღნავილი და ლექი,

ცა - უსასრულო სასაფლაო, ვარსკვლავები - საფლავის ქვები...“

(გორგილაძე 2006: 41).

აქ პოეტი ქმნის ძლიერ მხატვრულ სახეს, სადაც დრო წარმოდგენილია როგორც რთული, ვიწრო გზა, რაც სიმბოლურად გამოხატავს ისტორიის სირთულეებს და პირადი ტრაგედიის განცდას.

მერაბ ჩუხუა „ქართველურ ენა-კილოთა შედარებით ლექსიკონში“ (2000-2003) განიხილავს „წოხ-“ ძირს და უკავშირებს მას მეგრულ „წოხოლე“-ს (წინ, წინა).

ჩვენს შემთხვევაში ორწოხი უნდა უკავშირდებოდეს იმერულში გავრცელებულ სიტყვას ოწოხი/წონწოხი, იგივე წუნწუხი - თხელი ტალახი, ტყლაპო, ნაკელწყალი (ნ-რ ბგერათა მონაცვლეობა).

ლაფარო - სახურავის ნაწილი, რომელიც კედელს გადაცილებულია და იფარავს მას ავდრისაგან (შარაშიძე 2014). აღ. ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონში იგი „ტალავერის“ მნიშვნელობითაც გვხვდება.

„სოფელს დაჰდმუის მზე უშობელი.

შენ წევხარ ჩუმად ლაფაროში -

თვალდახუჭული

და ცალი ყურით ქვესკნელებს უსმენ.

მამამ რამდენჯერ მოინდომა შენი გაგდება,

შენი დაკარგვა,

მე კი...

ვერ შეგელიე, ვერ გაგიმეტე, ბებერო ძაღლო, ვერ გაგიმეტე“

(ბებერი ძაღლი).

სიტყვის აფიქსური წარმოების მიხედვით, გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ სიტყვა უფრო მეგრული წარმოშობისაა, თუმცა დიალექტურ ლექსიკონებში იგი გურულადაა მიწეული. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ლა-პრეფიქსი დამახასიათებელია მეგრულ-სვანურისთვის: ლა-პრეფიქსი იმავე მნიშვნელობისაა, რაც სა- (აღნიშნავს დანიშნულებას): ლა-რთხ-ი (სართხი), ლა-რტყ-ი (სარტყი), სვან. ლა-ჰმ-ა (სათიბი). ასეთივეა ლა-ფარ-ო/ ლა-ფარ-ე (საფარი) (ჯორბენაძე... 1988).

კვენდლი

„მამა კვენდლებს წირებავდა,

ლაფაროსთან მოხანცალე ბინდში,

ძაღლი ნალის ნატეხს ხრავდა,

პატრონივით კეთილი და ფინთი“ (საქუნჩლეში ქარი ქროდა).

გურულ ლექსიკონში კვენდლი „ნედლ და მოქნილ წნელს“ ნიშნავს (შარაშიძე 2014), მეგრულ ლექსიკონში იგი გრეხილი, თხილის ან სხვა მცენარის დრეკადი წნელია, ღვლეჭი. გურია-სამეგრელოს შორის მდინარე სუფსა მიედინება, მხატვრულად თუ ვიტყვით, იგი მეზობელ კუთხეებს შორის ენობრივ დინებასაც განასახიერებს. ამიტომ დღეს საანალიზო ლექსემა გურული ლექსიკის განუყოფელი ნაწილია, ატარებს რა თავის თავში ორი კუთხის კულტურული გაცვლის ისტორიას. ზ. გორგილაძე, როგორც ჩანს, ცდილობს შეინარჩუნოს და გააცოცხლოს ისეთი დიალექტური სიტყვები, რომლებიც შეიძლება დავიწყებას ეძლეოდნენ.

ბღეზი გურულ დიალექტში „ბრაზიანს, ავს“ ნიშნავს (შარაშიძე 2014). პოეტი ამ სიტყვას იყენებს ეპითეტად ლექსში „მე ვარ“:

„ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით,

შავშეთის მთების ფერდობზე ნასროლი კენჭი“

(გორგილაძე 2006: 48).

ამ ავტორი პოეტი ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ისტორიულ საქართველოსთან, ხაზს უსვამს თავის მეზობელ სულისკვეთებას და კავშირს წინაპრების მიწასთან.

ბღეზი სიტყვის ეტიმოლოგია ნაკლებად ნათელია. თუმცა შოთა ძიძიგური თავის წიგნში „ქართული დიალექტოლოგიის მასალები“ (1974) მიუთითებს, რომ ეს სიტყვა შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ქართულ ზმნას ბღუერა („ბრაზი, გაბრაზება“): „გაბღეზებული/ გაბღვერილი მიყურებდა“ (ჟღენტი 1936). ეს მოსაზრება ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ სიტყვის მნიშვნელობას - „ბრაზიანი“.

დვრინი გურულში „სიმღერის ხმას“ ნიშნავს. დაბალი ხმა, ბანი (ნეიმანი 1978), ზ. გორგილაძე ამ სიტყვას იყენებს სასიმღერო კონტექსტში ლექსში „ჰოიდა ნანა“:

„დედო დვრინით დამემდერა, დიდგოროზი მთები თანა,
მთები! - ვისთვის თვალსერი, ვისთვის ჯავრი შიგნიდანა
(გორგილაძე 2006: 85).

ამ სტრიქონებში პოეტი ქმნის ნოსტალგიურ განწყობას, სადაც დედის სიმღერა ასოცირდება სამშობლოს ბუნებასა და ისტორიასთან.

„დვრინი“ სიტყვის ეტიმოლოგია საინტერესო კვლევის საგანია. გ. როგავა „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხებში“ (1962) გამოთქვამს ვარაუდს, რომ ეს სიტყვა შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ქართულ დვრე-ს („დნობა, ღღობა“). ამ ჰიპოთეზის თანახმად, დვრინი შეიძლება აღნიშნავდეს „რბილ, მელოდიურ ხმას“. ალ. ელერდაშვილი უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონში (2006) სიმღერის ხმის პარალელურად განმარტავს, დვრინს როგორც „საპენტის ღარი“, მის მიერ გამოცემული გაბმული, დაბალი ზგერა. ვფიქრობთ, რომ საპენტის ზგერის მიმსგავსებით უწოდა ხალხმა ეს სახელი ხმის ჟღერადობას. სულხან-საბა ორბელიანთანაც დვრინი მხოლოდ ერთი მნიშვნელობით - საპენტი ღარი დასტურდება.

კატარი აჭარულსა და გურულში გავრცელებული სიტყვაა და ნიშნავს „ხის წვეროს, კენწეროს“, სულხან-საბათან კი ფიჭვის მნიშვნელობით გვხვდება. ზ. გორგილაძე ამ სიტყვას იყენებს ლექსში „ჩაუმქრალი სანთლები, ჰოიდა ნანა“:

„კლდის კატარში მზე ყვავდა,
კლდის ბორჯღალზე ბენჩქვი ყანა,
გვანცას ლოცვებს ვაზის სული,
გორით-გორზე გადევანა,
ვარჯანისთან, ნაჯვარისთან,
დაჯვარული ქვები წვანან“ (გორგილაძე 2006: 85).

ამ სტრიქონებში კატარი გამოყენებულია, რათა შეიქმნას მკაფიო ვიზუალური სახე გურიის მთიანი ლანდშაფტისა.

კატარი სიტყვის ეტიმოლოგია განხილული აქვს გიორგი კლიმოვს „ქართველური ენების ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (Климов 1964). მეცნიერი ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა შეიძლება უკავშირდებოდეს საერთო ქართველურ *კატ- ძირს, რომელიც აღნიშნავს „წვერს, მწვერვალს“. ეს ეტიმოლოგია კარგად ეთანხმება სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობას - „ხის წვერო, კენწერო“.

ფუშტი გურულსა და ზემოაჭარულში ჰქვია არასანდო, უნამუსო კაცს (ღლონტი 1984). ზ. გორგილაძე ამ სიტყვას იყენებს ლექსში „ცდომილებები“:

„გმაგს ფუშტი და ფინაჩი,
ფრანტები თუ დენდები,
შეგყავს ღამე ბინაში,
ჯდები და სულ თენდები“

(გორგილაძე 2006: 195).

პოეტი დიალექტურ სიტყვას იყენებს, რათა დაუპირისპიროს პატიოსანი შრომა და მიწასთან კავშირი ზედაპირულ და არაკეთილსინდისიერ ცხოვრების წესს.

არნოლდ ჩიქობავა „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ (1938) მიუთითებს, რომ სიტყვა ფუშტი შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ქართულ „ფუშ“- ძირს, რომელიც აღნიშნავს „ფუჭს, უვარგისს“. ეს ეტიმოლოგია კარგად ეთანხმება სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობას - „არასანდო“, „უნამუსო“.

დასკვნა

ზურაბ გორგილაძის პოეზიაში გურული დიალექტური ლექსიკის გამოყენება არის არა მხოლოდ სტილისტური ხერხი, არამედ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მცდელობა. როგორც ცნობილი ქართველი ლინგვისტი, პროფესორი გიორგი ახვლედიანი აღნიშნავდა: „დიალექტი არის ენის სიცოცხლისუნარიანობის მაჩვენებელი“ (ახვლედიანი 1949). ეტიმოლოგიური ანალიზიდან ჩანს, რომ გურული დიალექტიზმები ხშირად უკავშირდება ძველ ქართულ ან საერთო ქართველურ ძირებს. ზურაბ გორგილაძის პოეზია ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ქართული ენის სიცოცხლისუნარიანობის ნათელ მაგალითს, სადაც დიალექტური ლექსიკა ორგანულად ერწყმის თანამედროვე პოეტურ მეტყველებას.

ზურაბ გორგილაძე ახერხებს გურულ დიალექტიზმების ინტეგრირებას რთულ პოეტურ სახეებში. ეს დიალექტური სიტყვები ხშირად გვევლინება როგორც ლექსის საკვანძო ელემენტები, რომლებიც აძლიერებენ ემოციურ ზემოქმედებას და ქმნიან უნიკალურ პოეტურ ატმოსფეროს.

გამოყენებული ლიტერატურა

- ახვლედიანი 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი, 1949.
- გორგილაძე 2006 – ზ. გორგილაძე, რჩეული. ბათუმი, 2006.
- ელერდაშვილი 2006 – ალ. ელერდაშვილი, უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2006.
- კიწმარიშვილი 2016 – ნ. კიწმარიშვილი, „დაუცხრომელთა სამყოფელი“ - გურია. თბილისი, 2016.
- ლორთქიფანიძე 2018 – მ. ლორთქიფანიძე, ზურაბ გორგილაძის პოეტური ენა და სტილი (სადოქტორო დისერტაცია). ბათუმი, 2018.
- ნეიმანი 1978 – ალ. ნეიმანი, სინონიმთა ლექსიკონი. თბილისი, 1978.
- ჟღენტი 1936 – ს. ჟღენტი, გურული კილო. თბილისი, 1936.
- როგავა 1962 – გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. თბილისი, 1962.
- ქეგლ 1990 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვეთი I-II. თბილისი, 1990.
- ღლონტი 1984 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. თბილისი: 1984.
- შარაშიძე 2014 – გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი. პუბლიკაციები გურიის სულიერი და მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბილისი, 2014.

ჩიქობავა 1938 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 1938.

ჩიქობავა 1952 – არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952

ჩუხუა 2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი. თბილისი, 2003.

ძიძიგური 1974 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები. თბილისი, 1974.

ჯორბენაძე... 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი, 1988.

Климов 1964 – Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/> (დამოწმება: 18.01.2024).

<https://ena.ge/explanatory-online> (დამოწმება: 14.01.2024).

<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php> დამოწმება: (18.01.2024).

.

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9404>

1924 წლის აჯანყების სტრატეგიული კომუნიკაციების
თავისებურებები

Peculiarities of strategic
communications during the 1924 uprising

მზია ხოსიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველო, თბილისი

Mzia Khositashvili

Georgian Technical University
Georgia, Tbilisi

აბსტრაქტი

1924 წლის აგვისტოს აჯანყება ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელოვანი თარიღია, ქართველების დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისკენ გადამდგმული გაბედული ნაბიჯი. ამის გამო ამ ისტორიულ თარიღს საბჭოთა და მათი გავლენით უცხოელი ისტორიკოსები ხშირად მენშევიკების ავანტიურად წარმოაჩენდნენ, რომანტიულობას მიაწერდნენ და აკნინებდნენ ქართველი ხალხის თავისუფლებისკენ სწრაფვას. ათეული წლებით მეცნიერების განვითარებული დოკუმენტებისა და არქივების ხელმისაწვდომობამ წინ მრავალი ნიუანსი წამოწია. 1924 წლის აჯანყების 100 წლისთავისთვის უკვე მრავალი კვლევა, წიგნი, მონოგრაფია და სტატია დაიწერა. ამ მასალების საფუძველზე განვიხილავთ ამბოხებულთა ლიდერების სტრატეგიული კომუნიკაციების თავისებურებებს.

აჯანყების მარცხი ისევე, როგორც ყველა დაწყებული საქმისა, მისი გამომწვევი მიზეზების განსჯაზე დაგვაფიქრებს. სწორი კომუნიკაციით მრავალი პრობლემის მოგვარება შეიძლება.

რა კომუნიკაციური სტრატეგია ჰქონდა შემუშავებული აჯანყების დამგეგმავებს და რამდენად სწორად იყო შედგენილი ეს გეგმა? სტატიაში ჩამოთვლილია ზოგადი შაბლონები, რომლებსაც აჯანყებულები კონსპირაციის წესების დაცვისთვის იყენებენ: არალეგალური სტამბები და გავრცელებული პროკლამაციები, აწყობილი შეხვედრების სისტემა დათქმული ადგილებით, კონსპირაციული ბინებითა და პაროლებით, უსაფრთხოების ზომებისთვის გათვალისწინებული კონტრთვალთვალი და

სწრაფი გაფრთხილების სისტემები; სოციალური კავშირები მომხრეებით, აგენტებითა და სანდო ოჯახებით; მატერიალური უზრუნველყოფა; საერთაშორისო კავშირები. ხაზგასმულია მთავარი სირთულე - აჯანყებაში მონაწილეთა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგება და ემიგრაციაში მყოფ მთავრობასთან კომუნიკაციის სირთულე.

სტატიაში გავლენილია პარალელი საქართველოს საგანგებო კომისიის მოქმედებასთან, გამოკვეთილია მათი რიცხოზრივი უპირატესობა და აგენტურული ქსელი როგორც თბილისში, ასევე მთელს ამიერკავკასიაში.

სტრატეგიული კომუნიკაციები, რომლებსაც იყენებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მართალია, აგებული იყო სწორი სქემებით და ნაკარნახევი იყო მაღალი პატრიოტული მოტივებით, მაგრამ დაკარგული იყო მოულოდნელობის ეფექტი (გადამწყვეტ მომენტში ჩოლოყაშვილის 600-კაციანი რაზმიდან ბრძოლისთვის 60-ს ძლივს მოუყარეს თავი); მოქმედებდა აჯანყების ლიდერთა დაქსაქსულობა; პირველ რიგში, გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების როგორც რიცხოზრივი უპირატესობა, ასევე რესპრესიების გამოცდილება და სისასტიკე.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული კომუნიკაციები, 1924 წლის აჯანყების სტრატეგიული გეგმა, კომუნიკაციები საომარი მოქმედებების დროს.

ABSTRACT

The August Uprising of 1924 was a pivotal moment in the Georgian national liberation movement—a bold attempt to restore the country's lost independence. Soviet historians, and later many foreign scholars influenced by them, often dismissed this event as mere Menshevik adventurism, attributing it to romanticism and downplaying the Georgian people's struggle for freedom. The release of archival documents long hidden from researchers has since revealed many new nuances. Numerous studies, books, monographs, and articles have been written on the uprising, especially in connection with its centenary. Based on these materials, this article examines the peculiarities of the strategic communications employed by the rebel leadership.

The failure of the uprising, like that of many ambitious undertakings, prompts reflection on the causes behind it. Many of these causes were linked to shortcomings in communication. What strategy did the planners of the uprising devise, and how effectively was it implemented? This article identifies recurring patterns typically used by rebels to uphold conspiracy rules: illegal printing presses and the distribution of proclamations; organized meetings at designated locations; secret apartments and passwords; counter-surveillance and early-warning systems for security; social networks of supporters, agents, and trusted families; material support; and international connections. The greatest challenge lay in the geographical dispersion of insurgents across different parts of Georgia and the difficulty of maintaining communication with the government in exile.

The article also draws a parallel with the actions of the Georgian Special Commission, emphasizing its numerical superiority and extensive agency network in Tbilisi and throughout the Caucasus. Although the strategic communications of the national liberation fighters were based on sound principles and driven by high patriotic motives, the element of surprise was lost (at the decisive moment, barely 60 of Cholokashvili's 600-man squad could be assembled for battle). Disunity among the rebel leaders, combined with the overwhelming numerical advantage of Soviet forces, their repressive experience, and the sheer brutality of their response, proved decisive factors in the uprising's failure.

Keywords: strategic communications, strategic plan of the 1924 uprising, communications during hostilities.

შესავალი

მრავალმა ქართველმა თუ უცხოელმა ისტორიკოსმა 1924 წლის აჯანყების დეტალურ შესწავლასა და კვლევას 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადების, საბჭოური აკრძალვებისგან გათავისუფლებისა და უშიშროებისა და ქართველ ემიგრანტთა არქივებზე ხელმისაწვდომობის შემდეგ მიმართა. იმ დრომდე ზოგიერთი დოკუმენტი მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, არც საბჭოთა ისტორიკოსებს გამოუციათ ამ თემაზე შრომები, შესაბამისად, მსოფლიოს უმეტესი ნაწილისთვის არ ყოფილა ცნობილი საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის ამ მნიშვნელოვანი ეპიზოდის დეტალები. 1924 წლის სასტიკად ჩახშობილი აჯანყების 100 წლისთავისთვის ისტორიკოსების, პოლიტიკოსების, მეცნიერების მიერ უკვე გამოცემულია უამრავი წიგნი, მონოგრაფია და კვლევა.

სტატიაში ოდნავ განსხვავებული მიდგომით განვიხილავ სოციალ-დემოკრატიულ ხელმძღვანელების მიერ ორგანიზებულ აჯანყებას საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. შევხები აჯანყების ორგანიზების ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა სტრატეგიული კომუნიკაციები, რადგან ნებისმიერი დიდი საქმის წამოწყებას მასებთან ურთიერთობა, მათთან გარკვეული სახის მუშაობა და სტრატეგიის განსაზღვრა სჭირდება.

თანამედროვე ადამიანებისთვის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გონივრული გამოყენება აადვილებს ნებისმიერ მოვლენასა თუ პიროვნებაზე ინფორმაციის მოძიებას, გავრცელებას, ურთიერთობის დამყარებას, სხვადასხვა ისტორიული გადაწყვეტილებების შედეგების განსჯასაც კი. მყისიერად ვრცელდება მოწოდებებიც. ცნობილია სოციალური ქსელების საშუალებით საზოგადოების საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია არა

მხოლოდ აწმყოში განსახილველი პრობლემების, არამედ უკვე მომხდარი, ისტორიული ფაქტების დღევანდელი მოცემულობით მოდელირება.

რა ხდებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისის 20-იან წლებში? რა სტრატეგიისთვის უნდა მიემართათ სახალხო მოძრაობის ლიდერებს, რომ, მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართული ადამიანები ერთმანეთისთვის დაეკავშირებინათ? როგორ ურთიერთობდნენ, კომუნიკაციის რა საშუალებებს იყენებდნენ საკმაოდ დიდ არეალზე განფენილ თანამოაზრეებთან საქართველოსა და ემიგრაციაში მყოფი აჯანყების ლიდერები?

გავისხენოთ, რომ კომუნიკაცია მიზნად ისახავს: 1. გარკვეული სახის შეტყობინების შექმნასა და წარდგენას; 2. შეტყობინების ზუსტ გავრცელებას; 3. შეტყობინების მიღებას; 4. დამოკიდებულების შეცვლას; 5. ქცევის შეცვლას. რით განსხვავდება სტრატეგიული კომუნიკაცია ჩვეულებრივისგან? სტრატეგიული კომუნიკაცია არის ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების სპეციალიზებული მიდგომა. მისი მთავარი მიზანია შედეგის მიღწევა, რისთვისაც საჭიროა სწორად შემუშავებული კონკრეტული სამოქმედო გეგმა, ხრიკები (მოწინააღმდეგის შეცდენა - კვალის აბნევაზე დამყარებული სტრატეგია), საჭირო დროს საჭირო ადგილზე და საჭირო ადამიანებთან ყოფნა და მომავლის პერსპექტივა. მისი არსი კონკრეტული მიზნების მისაღწევად ინფორმაციის მიზანმიმართულად გავრცელებასა და პროცესების მართვაში მდგომარეობს. ნებისმიერი გეგმის ბოლომდე მიყვანისთვის მნიშვნელოვანია ფინანსებიც. სტრატეგიულ კომუნიკაციებს თავდაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც განიხილავენ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიული კომუნიკაციების განმარტება ეროვნული უსაფრთხოების მხარდაჭერას უკავშირდება: „თავდაცვის ყველა საკომუნიკაციო საშუალებებით ეროვნული ინტერესების მხარდაჭერა ადამიანთა დამოკიდებულებებსა და ქცევაზე ზეგავლენისათვის“ (<https://assets.publishing.service.gov.uk>).

მსჯელობა

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში საკმაოდ კარგად მუშაობდა საკომუნიკაციო სისტემა: კარგად იყო განვითარებული ბეჭდური მედია, სატელეგრაფო კავშირი, ტელეფონი, საფოსტო სისტემა. სატელეგრაფო კავშირი ძირითადად რკინიგზის გასწვრივ იყო გაყვანილი და რუსეთის იმპერიის კონტროლს ექვემდებარებოდა. 1910 წელს სატელეფონო ქსელით თბილისში 1000 აბონენტზე მეტი სარგებლობდა (ენციკლოპედია 2002: 575) ტექნიკური საშუალებების უმეტესობა საბჭოთა რეჟიმის კონტროლს ექვემდებარებოდა.

1921 წელს, საქართველოს ოკუპაციისა და საქართველოს მთავრობის იძულებითი ოკუპაციის შემდეგ, ბოლშევიკებმა ანტისაბჭოთა განწყობის ჩახშობის მიზნით აკრძალეს ანტიბოლშევიკური პარტიების პოლიტიკური საქმიანობა და მათი პრესის ორგანოების გამოცემა. „...სოციალ-დემოკრატებიც ნახევრადლეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ,

შესაძლებლობის მიხედვით გაზეთებს გამოსცემდნენ, კოოპერატივებს აწყოზდნენ... თუმცა 1923 წელს ბოლშევიკებმა მათ პარტია დააშლევინეს (ლი 2018: 285).

ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და კონსპირაციულ ქსელებს, არალეგალურ პრესას, პირადი კონტაქტების სისტემას მიმართეს. თავდაპირველად შეიქმნა ორგანიზაცია „სამხედრო ცენტრი“. ივანე წარიკელაძის (სამხედრო ცენტრის დაზვერვის პოლკოვნიკი) კონსპირაციულ ბინაში გაიმართა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერსპექტივების შესახებ თათბირი, სადაც საჭიროდ მიიჩნიეს ინტენსიური კავშირები საქართველოს ყოველ კუთხე-რეგიონთან, უმთავრესად - საოკუპაციო წითელი არმიის ნაწილებთან. საბრძოლო ფიცით ექვსი თანამებრძოლის შეფიცვაც ფარულად კახეთში, ავლევის ტყეში მომხდარა (კირთაძე 1996: 124-125). შეფიცულთა გამოსვლებიც თავდაპირველად პარტიზანული ხასიათის უნდა ყოფილიყო.

როგორც ცნობილია, „სამხედრო ცენტრს“ შეიარაღებული სახალხო აჯანყება უნდა მოემზადებინა. იგი ჩოლოყაშვილის „შეფიცულებთან“ ერთად დაექვემდებარა დამოუკიდებლობის პარიტეტულ კომიტეტს (დამკომს), რომელიც შეიქმნა სოციალ-დემოკრატების იდეით, მიზნად ისახავდა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნას და აერთიანებდა პარიზში ემიგრაციაში მყოფ მთავრობას და საქართველოში მოღვაწე ხუთ პარტიას.

რეგიონულ მოძრაობებთან ურთიერთობის დასამყარებლად თურქეთში დაფუძნდა „კონსტანტინოპოლის ბიურო“. მისი საშუალებით ხდებოდა პარიზში არსებულ დამოუკიდებლობის კომიტეტში გაერთიანებული ემიგრაციაში მყოფ მთავრობასთან დაკავშირება (ბერიშვილი 2013: 92). ეს, რასაკვირველია, გარკვეულ სირთულეს ქმნიდა, ამიტომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ პარიზში, ლონდონსა და ჟენევაში საქართველოს საკითხზე საერთო აზრის ჩამოყალიბებისთვის დააარსა „საქართველოს დახმარების კომიტეტები“. საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ, 1922 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სტამბოლში მყოფი „პოლიტიკური კომისიისათვის 10 000 ფრანკი გამოყო ე. წ. „პუნქტების“ მოსაწყობად. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზღვრის სიახლოვეს შექმნილი ამ პუნქტების მეშვეობით ფოსტა-ტელეგრაფისა და სპეციალური ლიტერატურის საქართველოში გადატანა და არალეგალური პირების გადაყვანა ხორციელდებოდა (წერეთელი 2019: 46). ერთა ლიგის მიერ გამოყოფილ იქნა გარკვეული თანხები დევნილებისთვის, ამავე დროს, 1921 წლის ზაფხულში ჟენევაში შექმნილმა ლტოლვილთა კომისარიატმა შეიმუშავა სპეციალური „ნანსენის პასპორტები“¹, რამაც ქართველ ემიგრანტებს ევროპის ქვეყნებში გადაადგილება გაუადვილა.

რაც შეეხება მატერიალურ უზრუნველყოფას, გოგიტა ფაღავას (დამკომის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სსდპ-ის წევრი) საშუალებით დამკომმა უცხოეთიდან 10 000 ლირა მიიღო (ორჯერ 5000-5000 ლირა) ორგანიზაციული საქმიანობისთვის. ფულის ნაწილს უგზავნიდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ნაწილი განკუთვნილი იყო დამკომის მიერ

¹ მოქალაქეობის არმქონე პირებს ქვეყნებს შორის მოგზაურობის საშუალება ეძლეოდათ.

ჩამოყალიბებული საფინანსო კომისიის, წითელი ჯვრის, სარედაქციო კომისიისა და გაერთიანებული სამხედრო ცენტრისთვის.

სამხედრო ცენტრს საქართველოს რაიონებში შექმნილი ჰქონდა ფილიალები, რომლებსაც აწვდიდა დამკომის მიერ გადაცემულ საჭირო ინფორმაციას. დამკომთან არსებულ სარედაქციო კომისიას თავმჯდომარის მითითებით ევალებოდა ბრძანებების, წერილების, პროკლამაციების გადამუშავება. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კომისიის ხელმძღვანელს დამკომის სხდომაზე დასწრების უფლება არ ჰქონდა.

ინფორმაციის გადასაცემად იყენებდნენ ჯაჭვურ პრინციპს, ერთი რგოლიდან ან ფილიალიდან მეორეზე სიმბოლური, კოდირებული ნიშნებით; ინფორმაციის გადაცემისთვის ირჩევდნენ შესაფერის ადგილებს. მაგალითად, ვინმეს საჩუქრად გაუგზავნიდნენ გაზეთ „კომუნისტს“, სადაც, ვთქვათ, ხელით ეწერა: „ამა და ამ დროს ვიწყებთ ქეიფს“. ქეიფი აჯანყებას ნიშნავდა (<https://www.radiotavisupleba.ge/33094821.html>).

სამხედრო კომისია ეყრდნობოდა რაიონებში არსებულ ორგანიზაციებს ან სპეციალურ რწმუნებულებს. მათ აღრიცხული ჰყავდათ ის პირები, რომლებიც მზად იყვნენ აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად. ასევე, გათვალისწინებული იყო სოციალური კავშირები, რომლებიც მოიცავდნენ სანდო ოჯახებს, მოხელეებს, მხარდამჭერ ვაჭრებსა და ლოიალურად განწყობილ სასულიერო პირებს. რა თქმა უნდა, უსაფრთხოების ზომები - კონტრთვალთვალი, დეზინფორმაციის გავრცელება, სწრაფი გაფრთხილების სისტემა - გათვალისწინებული იყო კონსპირაციული შეხვედრებისთვის.

ბუნებრივია, საბჭოთა რუსეთის იმპერიასაც თავისი სტრატეგიები ჰქონდა შემუშავებული ეროვნული მოძრაობისა და დამოუკიდებლობისთვის მეზრძოლთა წინააღმდეგ. ბოლშევიკურმა რუსეთმა სამხედრო ოკუპაციის დასრულებისთანავე უშიშროების სამსახური შექმნა - ე. წ. „ჩეკა“. ეს სამსახური აგენტურულ-ინფორმატიულ სამუშაოს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. თავის მხრივ, ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტიც ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა საქართველოს საგანგებო კომიტეტზე და ჰყოლოდა თავისი აგენტები. ცნობილია, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მათ 17 აგენტ-ინფორმატორი ჰყავდათ, ეროვნულ პარტიაში - 14. კონსპირაციიდან გამომდინარე, იყენებდნენ სხვადასხვა სახელებს: „ელიზბარი“, „ენვერი“, „ფალავა“, „კიაზ ბეი“ (ენდელაძე 2004: 15-17). ინტენსიურად მუშაობდნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების გადაბირებაზეც. ჩეკას აღრიცხული ჰყავდა ყველაზე აქტიური დამსმენები: „ბაბუა“ - ერთ-ერთი სასულიერო პირი, „ქოსა“ - გლეხი დასავლეთ საქართველოდან, „ნოლა“ - სოფლის მასწავლებელი, „პაატა“ - ახალგაზრდა სტუდენტი. მათ იძულების, მატერიალური წახალისებისა თუ შანტაჟის გზით ამუშავებდნენ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ.

საგანგებო კომისია უკვე 1923 წლის 1 იანვრისათვის ფლობდა ინფორმაციას შეფიცულების შესახებ მთელ საქართველოში. პოლიტ-ბანდიტებად მოიხსენებდნენ: ქაქუცა ჩოლოყაშვილს 20 კაცით კახეთში, შორაპნის მაზრაში: მიხაკო აბულაძეს - 4 კაცით, გრიგოლ აბაშიძეს - 7

კაცით, ვარლამ კაპანაძეს - 30 კაცით, მორჩიაშვილს - 9 კაცით, ილიკო ჯუღელს - 15 კაცით; ოზურგეთის მაზრაში: მათითაიშვილს - 16 კაცით, ღლონტია გოგუას - 15 კაცით; ბათუმში მანწკავასა და გოგიტიძეს - 40 კაცით; ფოთში ბესარიონ ჯაშს - 8 კაცით; ზუგდიდის მაზრაში ბაგრატ ხონელიას - 5 კაცით; აფხაზეთში ევტიხი სიჭინავას - 3 კაცით, აფხაზეთსა და სვანეთში - კონსტანტინე დადშექელიანს - 6 კაცით (სშსსა (III), ფონდი №14, აღწერა №2, საქმე №28, ფურცელი 827).

მიუხედავად საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მეგრძოლი ლიდერების სიფრთხილისა, 1923 წელს ჩეკამ შეძლო 97150 დაშიფრული წერილის გაშიფვრა, მათგან უცხოეთიდან შემოსული 1261, წითელი არმიიდან 650 წერილი. გაშიფრულ იქნა 97568 ტელეგრამა, ამოღებული იყო ათასობით წერილი. ამ და შემთხვევითი და გადაბირებული აგენტებიდან მოპოვებული ინფორმაციების საფუძველზე საქართველოს საიდუმლო სამსახურმა დამკომის შექმნიდან ცხრა თვეში, 2023 წლის მაისში დახვრიტა 15 ოფიცერი, მათ შორის კოტე აფხაზი და დანარჩენებზე ძებნა გამოაცხადა. (წერეთელი 2019 :56).

საქართველოს საგანგებო კომიტეტის შექმნამდე რუსეთის „ჩეკამ“ შექმნა წინაპირობა, რომ ქვეყანაში შიში და უიმედობა გამეფებულიყო. ააოხრეს კახეთი, სვანეთი, გურია, საზოგადოების დასაშინებლად და მოსალოდნელი აჯანყების ჩასახშობად დახვრიტეს უდანაშაულო მოსახლეობა, პოლიტიკოსებთან ერთად არ დაინდეს მასწავლებლები, სტუდენტები, კოოპერატორები, მუშები და გლეხები (კირთაძე 1996 :133).

საგანგებო კომისია აგენტურის საშუალებით ფლობდა ინფორმაციას აჯანყების მზადების შესახებ. მათ მსგავსად, დამკომსაც ჰყავდა ჩანერგილი საგანგებო კომისიაში სანდო პირი, არჩილ კახიანი, რომელიც ნოე ხომერიკს სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას ინფორმატორებზე, არკვევდა, რა ინფორმაციას ფლობდნენ მენშევიკებზე, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობაზე, გადასცემდა დაპატიმრებულთა ჩვენებების ასლებს და ა. შ. დაპატიმრებამდე და დახვრეტამდე არჩილ კახიანი დამკომს გადასცემდა მასალებს, რომლებსაც ემიგრანტულ მთავრობას აწვდიდნენ (ჯიქია 2012: 68). ამგვარად, 1924 წლის აჯანყებისთვის ერთნაირი ხერხებით იბრძოდნენ როგორც ეროვნული ლიდერები, ისე საგანგებო კომიტეტის წარმომადგენლები.

როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგიული კომუნიკაციის მთავარი მიზანი შემუშავებული გეგმის განხორციელებაა. სამხედრო კომისიისა და დამკომის სტრატეგია საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ჩართვასაც გეგმავდა, თუმცა სომხებმა უარი განაცხადეს და, მიუხედავად აზერბაიჯანელების აჯანყებაში ჩართვის მზადყოფნისა, ნოე ხომერიკის, თვით მუსავატელების პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის რწმუნებულის ალა-ალი იუსუფ-ზადეს, შუამავლის, სოციალ-დემოკრატიის ევტიხი სალუქვაძისა და გოგიტა ფაღვას დაპატიმრების შემდეგ ეს იმედიც დაიკარგა (კირთაძე 1998: 33, 46, 322-323, 356; ჯიქია 2012: 70).

სამხედრო საბჭოს სტრატეგიაში აჯანყებაში ჩრდილოეთ კავკასიის ჩართვაც შედიოდა. ამ მიზნით ქაქუცა ჩოლოყაშვილმა გამოიყენა დაღესტნის განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერთან - ნაჯზუდინ გაცინსკისთან მეგობრული ურთიერთობა და 1923 წლის აგვისტოში შეხვდა მას. 1923 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში კი იქიდან ჩეჩნეთში გადავიდა (სუიცსა, ფონდი №285, აღწერა №1, საქმე №652, ფურცელი 289). ჩეჩნეთში დაჰპირდნენ კავკასიის მასშტაბით აჯანყებაში მონაწილეობას და რამდენიმე ათასი კაცის გამოყვანას. მათი მხრიდან მხოლოდ 50 ოფიცრის ინსტრუქტორებად მივლინება იყო მოთხოვნილი. მალევე შედგა შეიარაღებული ქისტებისგან რაზმი, რომლებიც კახეთში უნდა გადმოსულიყვნენ, მაგრამ თუშებთან უთანხმოების გამო (რაც საქონლის გატაცების ალბათობას უკავშირდებოდა) არც ამ გეგმამ იმუშავა.

ყურადღებას გაგამახვილებდი ამ კომუნიკაციის ქრონოლოგიაზე: ჩრდილოეთ კავკასიიდან დახმარების მიღებისთვის გზების ძიება 1923 წლის აგვისტოდან დაიწყო და 1924 წლის აგვისტომდე გაგრძელდა. ოქტომბერში ჩეჩნეთიდან თამხმოზა მიიღეს, დამკომმა ედპ-ის წევრი ლეო დგებუაძე 1923 წლის მიწურულს გაგზავნა მათზე მასალების მოსაპოვებლად, იქიდან იანვარში დაბრუნდა. თებერვალში ჩეჩნეთიდან წერილი გამოაგზავნეს ჩეჩენის ხელით, ისევ ძალაში იყო 50 ოფიცერზე მოთხოვნა. დამკომს ფულადი სახსრები არ ჰქონდა. ამასობაში დააპატიმრეს გოგიტა ფაღავა და გიორგი წინამძღვრიშვილი. შედეგად 1924 წლის თებერვლისთვის დაგეგმილი აჯანყება გადაიდო. ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობის შენარჩუნება აჯანყების ორგანიზატორების გეგმაში ისევ იყო და 1924 წლის 14 აგვისტოს ჩეჩნეთში მიავლინეს ედპ-ის წევრები, გამოყვეს მათთვის სახარჯო ფული, თუმცა გროზნოში ჩასვლისას აღმოჩნდა, რომ მათი მოკავშირე და დამხმარე, ჩეჩნეთის შეიხი ალი მიტაევი დაპატიმრებული იყო (კირთაძე 1998: 153-327). საქართველო საკუთარი ძალების იმედად რჩებოდა.

სტრატეგიებში დროის ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სუბიექტური არ ვიქნები, თუ 21-ე საუკუნის დაჩქარებულ რიტმს შეჩვეული ადამიანის გადმოსახედიდან აღვნიშნავ, რომ ერთი წელი საკმაოდ დიდი დროა იმის გათვალისწინებით, რომ საგანგებო კომისიაც არ იყო გულხელდაკრეფილი და სულ უფრო მეტ რეპრესიას მიმართავდა, ახერხებდა სხვადასხვა სოციალური ფენის გადაბირებას, დაშინებასა და თავის რიგებში გაერთიანებას.

დამკომსა და სამხედრო საბჭოს საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი არ დაუკარგავთ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის მარტში „ბრიტანეთის და საბჭოეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს სავაჭრო შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ლოიდ ჯორჯი (პრემიერ-მინისტრი), სხვა საკითხების გარდა, კისრულობდა, არ ეწარმოებინა ანტისაბჭოთა საქმიანობა არცერთ ტერიტორიაზე, რომელიც ყოფილი ცარისტული იმპერიის ნაწილი იყო“ (ლი 2024: 229). გულუბრყვილობა იყო ორგანიზატორთა მხრიდან მათი დახმარების იმედის ქონა, როცა ეს შეთანხმება კრძალავდა ბოლშევიკების საწინააღმდეგო ქმედებებში ჩარევას.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს სწამდა, რომ სამართლიანობის უმაღლეს ორგანოდ მიჩნეული ერთა ლიგა მიიღებდა ზომებს საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. თუმცა „ფრანგმა სოციალისტებმა და ბრიტანეთის ლეიბორისტულმა პარტიამ ვერ შეძლეს საქართველოს მხარში დგომა და ის საბჭოთა წყობილებას შეატოვეს“ (ლი 2024: 274).

ერთა ლიგის, ევროპის სოციალისტური პარტიების, ამსტერდამის ინტერნაციონალისა და ევროპის სახელმწიფოების მთავრობებისადმი გასაგზავნ წერილზე ხელისმოსაწერად სოციალ-ფედერალისტებისა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატების არგამოცხადება აჯანყებაში მონაწილე პარტიებს შორის არსებულ აზრთა შეუთანხმებლობაზე მიუთითებს.

საყურადღებოა, ასევე, აჯანყების თარიღის გასაზღვრისას არსებული აზრთა სხვადასხვაობა. როგორც ცნობილია, ემიგრაციაში მყოფი მთავრობა აჯანყების აგვისტოში დაწყებას ეწინააღმდეგებოდა და საომარ სტრატეგიასაც მთელი კავკასიის ჩართულობაზე აგებდა; ასევე, დიდ იმედს ამყარებდა პარიზში სამხედრო სწავლებავალილ და საქართველოში მალულად შემოყვანილ ვალიკო ჯუღელზე. აჯანყების დრო დაინიშნა - 1924 წლის 17 აგვისტო. ჯუღელის დაპატიმრებით გეგმები შეიცვალა. ნოე ჟორდანიას გამოგზავნილი წერილი აჯანყების გეგმითა და დირექტივებით, რომელიც ლ. ბერიას ჩაუვარდა ხელში, ცვლიდა მოქმედების არეალს. თავდაპირველი გეგმა თბილისიდან ამბოხების დაწყებას, ჩოლოყაშვილის რაზმების შემოერთებას და წითელი არმიის არტილერიის ხელში ჩაგდებას ითვალისწინებდა. აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იარაკლი ცაგურია თვლიდა, რომ „საქართველო უპყრია მას, ვისაც ტფილისი აქვს ხელში. სწორედ ამისთვის აუცილებელი იყო პირველი დარტყმა მომხდარიყო ტფილისზე, კომუნისტურ ძალთა სიმაგრეზე. ტფილისის აღებისას წითელი არმია, მოკლებული ცენტრალურ მმართველობას, დევნილი მთელ საქართველოში, ხალხის სიძულვილით გარშემორტყმული, უნდა დანებებოდა გამარჯვებულს“.

რადგან ხელისუფლებამ თბილისში შემოსვლა აკრძალა და თბილისი წითელი არმიის ნაწილებით გაამაგრა, აჯანყების გეგმა და თარიღიც ისევ შეიცვალა. დამკომს ის ემიგრაციასთან შეთანხმებული არ ჰქონდა.

გეგმის სწრაფი ცვლა, ასევე, ბევრ გაუთვალისწინებელ გარემოებას წარმოშობდა.

რა ძალას და შეიარაღებას უპირისპირდებოდნენ აჯანყებულები? ვაზიანის მიდამოებში დაბანაკებული იყო ამიერკავკასიის არტილერია 120 ზარბაზნით. წითელი არმიის 11 ათასი ჯარისკაცის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა დაახლოებით აჯანყებულთა 3 000-კაციან შეიარაღებულ რაზმებს. თანაც, გადმოცემით, თითოეულს 2-3 ვაზნაზე მეტი არ ჰქონდა. თუმცა არსებობდა იმედი, რომ წითელი არმიის ქართული ნაწილები მეამბოხეთა მხარეს გადმოვიდოდნენ.

სოციალ-ფედერალისტებმა მხოლოდ აჯანყების წინ შექმნეს საგანგებო სამხედრო რაზმი, რაც ტაქტიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია. დამოუკიდებელ სოცალ-დემოკრატებს კი სამხედრო ორგანო არც ჰქონიათ.

აჯანყების დღედ დათქმული იყო 28-29 აგვისტო, დილის 2 საათი, მაგრამ გიორგი წერეთლის შეცდომის გამო, რომელიც ჭიათურაში ხელმძღვანელობდა აჯანყებას, დაიწყო 27-28 აგვისტოს დილის 2 სათზე. როგორც აღმოჩნდა, მან მიიღო გაზეთი, რომელზეც ეწერა, რომ აჯანყების თარიღი შეიცვალა (რადიო თავისუფლება 2024). მართალია, ამას არ შეუცვლია აჯანყებულთა სულისკვეთება და დანარჩენი მოქმედებები გეგმის მიხედვით წარიმართა, მაგრამ ვერ გაითვალისწინეს ის, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იმართებოდა საბჭოეთიდან, მათ წინააღმდეგ მთელი ამიერკავკასიის ჯარების გამოყვანა შეეძლოთ და ასეც მოხდა, მათ დროზე მიიღეს ზომები და მთელ საქართველოში საგანგებო წესები გამოაცხადეს.

გააფთრებული ბრძოლები მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა. აჯანყებულებმა 3 დღე გაუძლეს. 4 სექტემბერს დამკომი აღარ არსებობდა. 5 სექტემბერს დამკომმა პრესის საშუალებით მოსახლეობას აუწყა, რომ მათი იმედები არ გამართლდა და ხალხის ფართო მასებმა მათ მხარი არ დაუჭირეს (თუმცა აღსანიშნავია, რომ „არსად აჯანყებულებს სერიოზული წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ ადგილობრივ ქართველ კომუნისტ-მმართველებთან. ისინი აჯანყებულ თანამემამულეთა პირველ შემახებისთანავე უსისხლოდ ყრიდნენ იარაღს. ხოლო ბრძოლა და სისხლისქცევა ჩაღებოდა შემოსულ საოკუპაციო რუსულ ჯარებთან“ (კირთაძე 1996: 182); მოუწოდეს მეზობლებს ხელი აეღოთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაზე და მორჩილებით გამოესწორებინათ ის უბედურება, რაც ქართველ ხალხს სასტიკმა რეპრესიებმა - დახვრეტებმა მოუტანეს.

დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგია, რომელიც დაისახეს ეროვნულ-განმათავისუფლებლებმა, აგებული იყო მაღალი პატრიოტული მოტივებით, სწორი სქემებით, თუმცა დაკარგული იყო მოულოდნელობის ეფექტი (ამანაც იქონია გავლენა, რომ ჩოლოყაშვილის 600-კაციანი რაზმიდან ბრძოლისთვის 60-ს ძლივს მოუყარეს თავი); აჯანყების ლიდერთა დაქსაქსულობა; გაუთვალისწინებელი აღმოჩნდა საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლების უპირატესობა.

მართალია, ეს ბრძოლა მარცხით დასრულდა, მაგრამ 1924 წლის აჯანყება იყო ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, საბჭოთა იმპერიისგან თავის დაღწევის გაზედული მცდელობა და საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის გაღებული მსხვერპლი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბერიშვილი 2013 – ტ. ბერიშვილი, 1924 წლის ეროვნული აჯანყება საქართველოში. თბილისი, 2013.
- ენდელაძე 2004: – თ. ენდელაძე, ტრაგიკული 1924. თბილისი, 2004.
- თოფურია 2024 – თ. თოფურია, როგორ ამოშალეს მეხსიერებიდან 1924 წელი. თბილისი, 2024 <https://www.radiotavisupleba.ge> (დამოწმება: 25. 03.2025).
- კირთაძე 1996 – ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში. ქუთაისი, 1996.
- კირთაძე 1998 – ნ. კირთაძე, კაენ, სად არის ძმა შენი?!.. ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.). წიგნი პირველი. თბილისი, 1998.
- ლი 2018 – ე. ლი, ექსპერიმენტი. საქართველოს მივიწყებული რევოლუცია 1918-1921. თბილისი, 2018.
- ლი 2024 – ე. ლი, 1924 წლის აჯანყება. საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება. თბილისი, 2024.
- მაცაბერიძე 2016: – მ. მაცაბერიძე, ერის ობსტი საქართველოს გეოპოლიტიკის შესახებ. თბილისი, 2016.
- ცაგურია 2015 – ი. ცაგურია, საქართველო გოლგოთის გზაზე. ქართული ემიგრაცია №3 (6). თბილისი, 2015.
- ციციშვილი 2016 – გ. ციციშვილი, 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი. თბილისი, 2016 წ.
- წერეთელი 2019 – ი. წერეთელი, ქართველთა ბრძოლები და დიდი ეროვნული აჯანყება... თბილისი, 2019.
- ჯიქია 2012 – ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დფასავლეთ საქართველოში. თბილისი, 2012.
- https://assets.publishing.service.gov.uk/media/5a7578dce5274a1242c9e94e/20120126_jdn112_Strategic_CommsU.pdf (Joint Doctrine Note 1/12, 2012.
- „Strategic communication: the defense contribution“ (დამოწმება: 25. 03.2025).

DOI: <https://doi.org/10.61491/yk.16.2024.9405>

დავით და კონსტანტინე მხეიძეები
(ძიება ალაგის მარტვილობისა)

David and Constantine Mkhedze
(A Study of the Alagi Martvili Text)

სტივენ ჯონსი

ჰარვარდის უნივერსიტეტი
ამერიკის შეერთებული შტატები, მასაჩუსეტსი, კემბრიჯი
გრიგოლ კობალიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, ქუთაისი

Stephen F. Jones

Harvard University Massachusetts, Cambridge
United States

Grigol Kobaliani

Akaki Tsereteli State University
Georgia, Kutaisi

აბსტრაქტი

729-730 წლებში კავკასიაში 120-ათასიანი ლაშქრით მასლამას ბიძაშვილი მურვან იბნ მუჰამედი შემოიჭრა. ქართველებმა მას ყრუ, ხოლო სომხებმა ავანაშარ - ამოხრებული შეარქვეს. ქართლის მოხრეხის შემდეგ ისინი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ, დაარბიეს ეგრისი და ციხე-გოჯი, შეიპყრეს არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე მხეიძეები და ბოლოს ანაკოფიის ციხეს მიაღწენ, სადაც თავს აფარებდნენ ქართლის ერისმთავრები – მირი, არჩილი და აფხაზთა ერისთავი ლეონი. ცოტა სხვაგვარად აქვს აღწერილი ეს ამბავი ივანე ჯავახიშვილს, ეყრდნობა რა ჯუანშერის სიტყვებს, ხოლო არაბ, სომეხ და ბიზანტიელ ისტორიკოსებს ამ ლაშქრობის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო ზემოთ მოყვანილი ამბავი.

პირველად ეს ტექსტი შეისწავლა მ. საბინინმა და დაბეჭდა კიდეც წიგნში „საქართველოს სამოთხე“. ამის შემდეგ ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა კ. კეკელიძის, ს. ყუბანეიშვილისა და სხვათა მიერ, მაგრამ უნდა

აღნიშნოს, რომ რამე მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის არ არის. ჩვენი მიზანია, არსებული ტექსტის (ტექსტების) საფუძველზე დავადგინოთ დავით და კონსტანტინეს წამების ადგილი.

შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ დავით და კონსტანტინე აწამეს რიონის სანახეზში და „გვამნი მათნი გადაადეს ტბასა შინა (რომელიც შეექმნა მძლავრსა მდინარესა რიონს), ხოლო ტბის ზემოთ მდებარეობდა კოზმან და დამიანეს ტაძარი.

მდინარე რიონის დღევანდელი კალაპოტი არ გვაძლევს საშუალებას მოვიძიოთ ტბა, რომელიც, ჩვენი აზრით, ყურე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძველ სურათებში, რომელთა მოძიებაც მოხერხდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში, კარგად ჩანს ტბაც და სხვა ლოკაციებიც. ეს ნაგებობანი XIX ს-ის 30-იან და XX ს-ის 10-იან წლებშია აშენებული და ყველგან, ცენტრში, ფიგურირებს ტბა, „რომელი შეექმნა მძლავრსა მდინარესა რიონს“. ე.ი. ჯერ კიდევ 1914 წელს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ამჟამად სააპელაციო სასამართლო, სინაგოგა, წმ. გიორგის ტაძარი და მწვანეყვავილაა, არსებობდა უცნობი ავტორის მიერ მოხსენიებული ტბა, რომელიც მდინარე რიონზე ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ დაისილა და გაქრა, თუმცა კონტურები დღემდე შეინიშნება ხერთვისისა; ანუ მშრალი, ხმელი ადგილი, სადაც გაირიყა წმინდანთა ნეშტები, დღემდე შემონახულია დღევანდელი სააპელაციო სასამართლოს ქვემოთ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე ეჭვს არ იწვევს, თუ სად ეწამა დავით და კონსტანტინე და როგორი იყო არცთუ შორეულ წარსულში მდინარე რიონის აღნიშნული ტერიტორია; თამამად შეგვიძლია მივუთითოთ „ალაგი მარტვილობისაჲ“, რომელიც მდებარეობს თანამედროვე სააპელაციო სასამართლოს (რიონის მხრიდან), ქვემოთ მარჯვენა კუთხესთან, სინაგოგასა და წმინდა გიორგის ტაძრებს შორის არსებულ ტერიტორიაზე, რომლის ცენტრშიც მდებარეობს ე.წ. ტბა.

საკვანძო სიტყვები: არაბთა შემოსევები საქართველოში (VIII ს.), დავით და კონსტანტინე მხეიძეების წამების ადგილი.

ABSTRACT

Glo In 729–730 CE, Murvan ibn Muhammad, a relative of Maslama, invaded the Caucasus with an army of 120,000. The Georgians called him „K’ru“, while the Armenians referred to him as „Avanashar“ — meaning „the devastator“. After subduing the forces of Kartli, the invaders moved into western Georgia, pillaged Egrisi and Tsikhe-Goji, captured the regional leaders David and Constantine Mphedze, and finally reached the fortress of Anakopia, where the leaders of Kartli — Miri, Archil — and the Abkhazian ruler Leon had taken refuge.

This event is described somewhat differently by Ivane Javakhishvili, who relied on the words of Juansher, while Arab, Armenian, and Byzantine historians provide

no account of this campaign. The text was first studied by M. Sabinin and published in his book *Georgia's Paradise*. Subsequently, it was republished several times by K. Kekelidze, S. Qubaneishvili, and others, although there are no significant differences among these editions. The aim of this study is to determine the location of David and Constantine's martyrdom based on the available texts.

It can be inferred that David and Constantine were tortured near the Rioni River and that „their bodies were thrown into a lake (formed by the powerful Rioni River)“, above which stood the churches of Cosmas and Damian. The present-day course of the Rioni River does not allow for identification of this lake, which is believed to have been the „K'ure“. However, in historical illustrations preserved in the National Library archives, the lake and surrounding sites are clearly depicted. These structures were built in the 1830s and 1910s, and the lake, „formed by the powerful Rioni River“, is consistently featured at the center.

As of 1914, on the left bank of the Rioni — where today stand the Court of Appeals, the synagogue, St. George's Church, and Mtsvane Kvavili — the lake mentioned by an unknown author existed. After the construction of the hydroelectric station on the Rioni, the lake disappeared, though its contours remain observable as a dry, barren area where the saints' remains were thrown. This location lies beneath the present-day Court of Appeals.

Therefore, based on the evidence, there is no doubt about the site of David and Constantine's torture or the appearance of this portion of the Rioni River in the relatively recent past. It can confidently be identified as the „Alagi Martvili“, located near the current Court of Appeals (on the Rioni side), in the lower right corner between the synagogue and St. George's Church, with the so-called lake at its center.

Keywords: Arab invasions of Georgia (8th century), place of torture of David and Konstantine Mkheidzes.

შესავალი

VII საუკუნის 30-40-იან წლებში მსოფლიოს ახალი დამპყრობლები, არაბები, მოეწოდნენ. ისინი ქართლში 654 წელს შემოვიდნენ, მას შემდეგ, რაც სომხეთში სასტიკად დაამარცხეს ზიზანტიელი სარდალი მავრინიოსი, რომელიც ქართლში გამოიქცა და მტერიც კვალდაკვალ მოჰყვა. ქართლის ერისმთავარმა, რომელიც პატრიკიოსის ტიტულს ატარებდა, არაბებს ელჩი და საჩუქრები გაუგზავნა. დაიდო კიდეც სარდალ ჰაბიბთან ხელშეკრულება - დაცვის სიგელი.

697 წელს არაბები დასავლეთ საქართველოშიც შემოიჭრნენ. ისინი აქ ლაზიკის პატრიკიოსმა სერგი ზარნუკის ძემ ზიზანტიელთა წინააღმდეგ მოიწვია. 705-711 წლებში არაბებს მთელი ეგრისი დაუპყრიათ ციხე-გოჯითურთ.

724-743 წლებში ხალიფა ჰიშამის დროს, ქართლში შემოიჭრა სარდალი ჯარაჰ იბნ-აბდ-ალ-ლაჰი. ჯარაჰი მალე გაიწვიეს და მის მაგივრად

მასლამა-იბნ ჰამიში გამოგზავნეს, რომელიც, როგორც ისტორიკოსები მოგვითხრობენ, ხალიფას შვილი იყო მონა ქალისაგან.

729-730 წლებში კავკასიაში 120-ათასიანი ლაშქრით მასლამას ბიძაშვილი მურვან იბნ მუჰამედი შემოიჭრა. ქართველებმა მას ყრუ, ხოლო სომეხებმა ავანაშარ „ამაოხრებელი“ შეარქვეს. ქართლის მოოხრების შემდეგ, ისინი დასავლეთ საქართველოში გადავიდნენ, დაარბიეს ეგრისი და ციხე-გოჯი, „დაიბანაკა ქალაქსა ჯიხან-ქუჯისასა, ქვეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისა, რომელ არს მეგრულისა ენითა მუხა დიდი“ (ქართული მწერლობა 1987: 497). შეიპყრეს არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე მხეიძეები და ბოლოს ანაკოფიის ციხეს მიადგნენ, სადაც თავს აფარებდნენ ქართლის ერისმთავრები: მირი, არჩილი და აფხაზთა ერისთავი ლეონი. ცოტა სხვაგვარად აქვს აღწერილი ეს ამბავი ივანე ჯავახიშვილს, ეყრდნობა რა ჯუანშერის სიტყვებს, ამბობს: მურვანს დაუპყრია ეგრისის ციხეები და აიღო „კლისურა, რომელიც მას ჟამსა იყო საზღუარი საბერძნეთისა და საქართველოსა, შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმში, მოადგა ციხესა ანაკოფიისა... და ერისთავი კეისრისა ლეონ შესრულ იყო ციხესა შინა სობლისა... (ჯავახიშვილი 1983: 76-78). აქ მურვანი დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და სამხრეთისაკენ დაიხია, რადგან აფხაზეთის სიღრმეში ლაშქრობა ბიზანტიასთან აშკარა დაპირისპირებას ნიშნავდა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, არაბ, სომეხ და ბიზანტიელ ისტორიკოსებს ამ ლაშქრობის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, რომ გამორკვეულიყო ზემოთ მოყვანილი ამბავი. თუმცა დაუჯერებელი აქ არაფერია (იქვე). ამ ხარვეზს, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ავსებს უცნობი ავტორის აგიოგრაფიული ნაწარმოები დავით და კონსტანტინეს მარტვილობის შესახებ.

მეთოდები

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ ისტორიული, შედარებითი და ანალიზის მეთოდები.

მსჯელობა

დავით და კონსტანტინეს წამების ამბავი ძველთაგანვე იყო ცნობილი და ამ გადმოცემათა საფუძველზე XII საუკუნეში დაუწერიათ დავით და კონსტანტინეს მარტვილობის ახალი რედაქცია, რომელიც ცნობილია XIII-XIV ს-ის Q - 768 ნუსხით. პირველად ეს ტექსტი შეისწავლა მ. საბინინმა და დაბეჭდა კიდეც წიგნში „საქართველოს სამოთხე“. ამის შემდეგ ტექსტი რამდენჯერმე გამოიცა კ. კეკელიძის, ს. ყუბანეიშვილისა და სხვათა მიერ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რამე მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის არ არის. ჩვენი მიზანია, არსებული ტექსტის (ტექსტების) საფუძველზე დავადგინოთ დავით და კონსტანტინეს წამების ადგილი.

ორიოდე სიტყვით დავით და კონსტანტინეს შესახებ. ჰაგიოგრაფი მათ ასე აღწერს: „იყვნეს წმიდანი ესე მოწამენი დავით და კონსტანტინე ქართველნი, სანახებისაგან არგუეთისა... განათლებულ ემზაზითა ქადაგებულისა ანდრია და სიმონ კანანელისაჲ, რამეთუ მათ უქადაგეს ქრისტე ქართველთა შორის, პირველად ნინოის მოსვლისა...“

დავით უზუცეს დღითა, ჰაეროვანი და სპეტაკ ხორციტა, მოწაბლე თმით. კონსტანტინე შუენიერი გუამით და მოწაბლე თმით და წვერ გამო... და ორივენი სავსე სულით წმინდითა... (ყუბანეიშვილი 1946: 238).

როგორც მემატთანე გადმოგვცემს, დავითმა და კონსტანტინემ „განაძლიერა გუნდი თვისი და უშიშარ ყვნა იგინი, აღიზრაზა ვითარცა ლომმან... მოსრეს ურიცხვნი და აღადგინეს ძლევაი ქრისტიანთა“ (იქვე: 235). მხოლოდ არაბთა ძირითადი ძალების მობილიზების შედეგად მოხერხდა ქართველთა დამარცხება და მთავართა დატყვევება. ვინაიდან მთავრებმა, მურვანის უმთავრეს მოთხოვნაზე, უარეყოთ ქრისტეს სჯული, უარი განაცხადეს, ამირას ბრძანებით, ათი დღის განმავლობაში „არა იხილონ გემოდ არცა პურისა, არცა წყლისა და ყოველთა დღეთა სტანჯვიდნენ“ (ქართული მწერლობა 1987: 495), ხოლო ათი დღის შემდეგ ისინი სასტიკად აწამეს.

„შეუკრეს ხელნი და ფეხნი და ქედთა მათთა დაჰკიდეს ლოდნი მძიმე და შთაყარეს იგინი მდინარესა მას ფასონს, რომელი არს ენით ქართულითა რიონი“.

„მოიყვანის წინდანი იგი ადგილსა მას, რომელსა განეჩინა მძლავრსა მდინარესა (რიონს) ტბასა მას ზედა, რომელსაცა შწინ არს ტაძარი წმინდანთა კოზმან და დამიანესი“...

„უსულომან მან ტბამან ვითარცა სულიერმან გუამნი იგი წმინდანთა...“

„იხილეს შუაგულსა ზედა ტბასა ვითარცა აღტვირთულნი, არამედ მყის იპოვნეს კიდესა თანა ტბისასა ხერთვისის ზედა მდებარენი (ხერთვისი-მშრალი ადგილი, სადაც ორი წყალი ერთმანეთს ერთვის) და წარიღეს თავსა ზედა კლდისასა, რომელსა ჰქვიან წყალწითელ, რამეთუ იგი იყო ციხე-ქალაქ და ერ-მრავალ, ყრუსა მურვანს გამოეღო აეოხრა და იყო იგი უკაცურ“ (ყუბანეიშვილი 1946: 239).

მაშასადამე, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ დავითი და კონსტანტინე აწამეს რიონის (ფასონი) სანახებში და „გვამნი მათნი გადააგდეს ტბასა შინა (რომელიც შეექმნა მძლავრსა მდინარესა რიონს) (ქართული მწერლობა 1987: 495), ხოლო ტბის ზემოთ მდებარეობდა კოზმან და დამიანეს ტაძარი.

მდინარე რიონის დღევანდელი კალაპოტი არ გვამღწევს საშუალებას მოვიძიოთ ტბა, რომელიც, ჩვენის აზრით, ყურე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძველ სურათებში, რომელთა მოძიებაც მოხერხდა ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში, კარგად ჩანს ტბაც და სხვა ლოკაციებიც. კერძოდ, ნიკანორ ჩერნეცოვის სურათზე, რომელიც დათარიღებულია 1857 წლით, რიონის მარცხენა სანაპიროზე მკაფიოდ ჩანს ყურე (უცნობი ავტორის „ტბა“) და მის ზემოთ (შწინ) კოზმა და დამიანეს ტაძრის ნანგრევები, რომელიც მწვანეყვავილას კონცხზე მდებარეობს. ამასვე ადასტურებს აკად. პრასკოვია უვაროვა, რომელიც წერს, რომ აღნიშნული ტაძარი მწვანეყვავილაზე მდებარეობსო (სურ. №1).

შემდეგი დროის ფოტოებზეც ნათლად ჩანს ტბა, მარჯვენა მხარეს წმ. გიორგის ეკლესია და ტბის ზემოთ, მწვანეყვავილას გორაზე - კოზმა და დამიანეს ტაძრის ნანგრევები (სურ. №2); ასევე, შემდეგ №3 სურათზე ტბის მარჯვენა მხარეს ჩანს ე.წ. ფრანგების ეკლესია, ხოლო მარცხენა მხარეს-

სინაგოგა; №4 სურათზე, ცენტრში, ტბის მარცხენა მხარეს - თანამედროვე სააპელაციო სასამართლოს შენობა, წმინდა გიორგის ტაძარი და მარჯვენა ზედა კუთხეში მწვანეყვავილას მშენებარე ტაძარი, რომელიც 1914 წელს ეკურთხა. ეს ნაგებობანი XIX საუკუნის 30-იან და XX საუკუნის 10-იან წლებშია აშენებული და ყველგან ცენტრში ფიგურირებს ტბა, „რომელი შეექმნა მძლავრსა მდინარესა რიონს“. ე.ი. ჯერ კიდევ 1914 წელს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, სადაც ამჟამად სააპელაციო სასამართლო, სინაგოგა, წმ. გიორგის ტაძარი და მწვანეყვავილაა, არსებობდა უცნობი ავტორის მიერ მოხსენიებული ტბა, რომელიც მდინარე რიონზე ჰიდროელექტროსადგურის აშენების შემდეგ დაისილა და გაქრა, თუმცა კონტურები დღემდე შეინიშნება ხერთვისისა; ანუ მშრალი, ხმელი ადგილი - სადაც გაირიყა წმინდანთა ნეშტები, დღემდე შემონახულია დღევანდელი სააპელაციო სასამართლოს ქვემოთ.

დასკვნა


ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე ეჭვს არ იწვევს, თუ სად ეწამა დავითი და კონსტანტინე და როგორი იყო არცთუ შორეულ წარსულში მდინარე რიონის აღნიშნული ტერიტორია; თამამად შეგვიძლია მივუთითოთ „ალაგი მარტვილობისა“, რომელიც მდებარეობს თანამედროვე სააპელაციო სასამართლოს (რიონის მხრიდან), ქვემოთ მარჯვენა კუთხესთან, სინაგოგასა და წმინდა გიორგის ტაძრებს შორის არსებულ ტერიტორიაზე, რომლის ცენტრშიც მდებარეობს ე.წ. ტბა.

გამოყენებული ლიტერატურა


- საბინინი 2010 – მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე. თბილისი, 2010.
 ნარკვევები 1973 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბილისი, 1973.
 ქართული მწერლობა 1987 – ქართული მწერლობა, ტ. I. თბილისი, 1987.
 ყუბანიეშვილი 1946 – ს. ყუბანიეშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II. თბილისი, 1946.
 ჯავახიშვილი 1983 – ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. II. თბილისი, 1983.




სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადი
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

XVI

2024

ავტორთა მონაცემები

ავტორთა მონაცემები

ნანა აბულაძე

ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 336 067.

ელ.ფოსტა: abuladze777@gmail.com

მანანა ბანძელაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოსოფიის დოქტორი.

ტელ.: +995 593 323 460.

ელ.ფოსტა: manana57@yahoo.com

დალი ბეთხოშვილი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 488 129.

ელ.ფოსტა: dali.betkhoshvili@yahoo.com

ტიერი ბერიშვილი

ქართველ ხალხთან მეგობრობის ფრანგული კულტურული ასოციაცია

„გაუმარჯოს საქართველოს“ პრეზიდენტი,

ლევლის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული

მემორიალური ცენტრის დირექტორის მოადგილე.

თამაზ გვენეტაძე

დახელოვნების ინსტიტუტი „APMA“ (გერმანია, მაინცი, საარბრიუკენი),
ფილოსოფიის დოქტორი.

ტელ.: 0049-1605030140, 00995-511330980.

ელ.ფოსტა: tamaz@web.de

სალომე გუმბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 674 062.

ელ.ფოსტა: salome.gumberidze@atsu.edu.ge

ეკა დადიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის სახელობის

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 598 101 472.

ელ.ფოსტა: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

ვაჟა დანელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 778 701.

ელ.ფოსტა: vajadanelia@gmail.com

ლევან დვალიშვილი

საქართველოს ტრადიციული იარაღის კვლევისა და შენარჩუნების ცენტრი.

ტელ.: +995 598 610 555.

ელ.ფოსტა: dvalishvililevani@gmail.com

იამზე ვაშაკიძე

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 591 986 405.

ელ.ფოსტა: iamzevashakidze@gmail.com

ნინო ვახანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 963 810.

ელ.ფოსტა: vakhanianino@yahoo.com

მარიკა თედორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 668 603.

ელ.ფოსტა: maritedoradze@gmail.com

ეთერ ინჭკირველი

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 778 558.

ელ.ფოსტა: e_intskirveli@yahoo.com

სალომე კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული

პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 555 020.

ელ.ფოსტა: salomesokhumi@yahoo.com

ჯემალ კარალიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის,

არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 179 770.

ელ.ფოსტა: Jemal.karalidze@bsu.edu.ge

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 251 275.

ელ.ფოსტა: maikoberidze@gmail.com

ნესტან კუტივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 464 887.

ელ.ფოსტა: nestankutivadze@gmail.com

მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 142 007.

ელ.ფოსტა: mari_teron@yahoo.com

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ფილოლოგიის

დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ტელ.: +995 577 282 861.

ელ.ფოსტა: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

ოთარ ნიკოლეიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 689 899.

ელ.ფოსტა: otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

რუსუდან საღინაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,

ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 727 428.

ელ.ფოსტა: r_saginadze@yahoo.com

მარინე სურმავა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ტელ.: +995 599 572 026.

ელ.ფოსტა: surmava_marina@yahoo.com

ნესტან ფიფია

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 096 550.

ელ.ფოსტა: nest100a@gmail.com

მანანა ქაჯაია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 994 453.

ელ.ფოსტა: manana_qajaia@yahoo.com

გრიგოლ ქობალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

ტელ.: +995 579 362 578.

ელ.ფოსტა: grigol.kobaliani@atsu.edu.ge

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის დოქტორი.

ტელ.: +995 599 494 770.

ელ.ფოსტა: david.shavianidze@atsu.edu.ge

მალხაზ ჩოხარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 722 202.

ელ.ფოსტა: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

დარეჯან ჩხიროძე

ქუთაისის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ტექნიკის აკადემიური დოქტორი.

ტელ.: +995 568 824 540.

ელ.ფოსტა: darejan.chkhirodze@gmail.com

მირანდა ჭანკვეტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 595 141 210.

ელ.ფოსტა: mirandaa9011@gmail.com

მაგდა ჭიკაბერიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 555 342 553.

ელ.ფოსტა: mchikaberidze@gmail.com

ლუიზა ხაჩაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი.

ტელ.: +995 577 668 601.

ელ.ფოსტა: luizakhachapuridze@yahoo.com; luiza.khachapuridze@atsu.edu.ge

მზია ხოსიტაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სოციალურ მეცნიერებათა
დოქტორი.

ტელ.: +995 599 796 264.

ელ.ფოსტა: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

სტივენ ჯონსი

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი (ამერიკის შეერთებული შტატები).

ტელ.: +1 413-673-0118.

ელ. ფოსტა: sfjones@mtholyoke.edu

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადური
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

CONTRIBUTORS

CONTRIBUTORS**Nana Abuladze**

Dadiani Palaces History and Architectural Museum. Doctor of Philology.

Tel.: +995 593 336 067.

Email: abuladze777@gmail.com

Manana Bandzeladze

Akaki Tsereteli State University. Associate professor, Doctor of Philosophy.

Tel.: +995 593 323 460.

Email: manana57@yahoo.com

Tieri Berishvili

Président de l'association française culturelle & d'amitié
avec le peuple géorgien „Gaoumardjos Sakartvelos“

Directeur-adjoint du Centre Historique et Culturel Franco-Géorgien
de la Première République de Leuville. France, Paris.

Dali Betkhoshvili

Samtskhe-Javakheti State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 488 129.

Email: dali.betkhoshvili@yahoo.com

Miranda Chankvetadze

Akaki Tsereteli State University. Assistant Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 595 141 210.

Email: mirandaa9011@gmail.com

Magda Chikaberidze

Georgian Technical University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 555 342 553.

Email: mchikaberidze@gmail.com

Malkhaz Chokharadze

Batumi Shota Rustaveli State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 722 202.

Email: malkhaz.chokharadze@bsu.edu.ge

Daredjan Chkhirodze

Kutaisi University. Associate Professor, Academic Doctor of Technology.

Tel.: +995 568 824 540.

Email: darejan.chkhirodze@gmail.com

Eka Dadiani

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology, Head of the Scientific-Research Center of Kartvelology.

Tel.: +995 598 101 472.

Email: dadianiekaa@gmail.com; eka.dadiani@atsu.edu.ge

Vaja Danelia

Georgian Technical University. Doctor of Sociology.

Tel.: +995 577 778 701.

Email: vajadanelia@gmail.com

Levan Dvalishvili

Traditional Arms for Study and Preservation.

Tel.: +995 598 610 555.

Email: dvalishvililevani@gmail.com

Salome Gumberidze

Akaki Tsereteli State University. Doctor of Philology.

Tel.: +995 674 062.

Email: salome.gumberidze@atsu.edu.ge

Tamaz Gvenetadze

Professional Institute „APMA“ (Germany, Mainz, Saarbrücken).

Doctor of Philosophy.

Tel.: 0049-1605030140, 00995-511330980.

Email: tamaz@web.de

Eter Intskirveli

Caucasus University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 595 778 558.

Email: e_intskirveli@yahoo.com

Stephen F. Jones

Harvard University (USA), Professor.

Tel.: +1 413-673-0118.

Email: sfjones@mtholyoke.edu

Manana Kajaia

Georgian Technical University. Associate Professor.

Tel.: +995 599 994 453.

Email: manana_qajaia@yahoo.com

Salome Kapanadze

Grigol Robakidze University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 555 020.

Email: salomesokhumi@yahoo.com

Jemal Karalidze

Batumi Shota Rustaveli State University. Associate Professor, Doctor of History, Head of the Department of History.

Tel.: +995 577 179 770.

Email: Jemal.karalidze@bsu.edu.ge

Luiza Khachapuridze

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 668 601.

Email: Luizakhachapuridze@yahoo.com; Luiza.khachapuridze@atsu.edu.ge

Mzia Khositashvili

Georgian Technical University. Doctor of Social Sciences.

Tel.: +995 599 796 264.

Email: artprstudio@gmail.com; khositashvilimzia12@gtu.ge

Grigol Kobaliani

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Director of Kutaisi Ilia Chavchavadze public library.

Tel.: +995 579 362 578.

Email: grigol.kobaliani@atsu.edu.ge

Mariam Koberidze

Gori State University. Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 251 275.

Email: maikoberidze@gmail.com

Nestan Kutivadze

Akaki Tsereteli State University, Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 599 464 887.

Email: nestankutivadze@gmail.com

Mariam Marjanisvhili

Kutaisi State Historical-Ethnographic Museum. Doctor of Philology.

Tel.: +995 595 142 007.

Email: mari_teron@yahoo.com

Avtandil Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University. Professor, Philology Candidate of Sciences, Head of the Department of Georgian Philology.

Tel.: +995 577 282 861.

Email: avtandil.nikoleishvili@gmail.com; avtandil.nikoleishvili@atsu.edu.ge

Otar Nikoleishvili

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 555 689 899.

Email: Otar.nikoleishvili@gmail.com; otar.nikoleishvili@atsu.edu.ge

Nestan Pipia

Zugdidi Shota Meskhia State University. Associate Professor,

Doctor of Philology.

Tel.: +995 595 096 550.

Email: nest100a@gmail.com

Rusudan Saginadze

Akaki Tsereteli State University, Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 727 428.

Email: r_saginadze@yahoo.com

Davit Shavianidze

Akaki Tsereteli State University. Associate Professor, Doctor of History.

Tel.: +995 599 494 770.

Email: david.shavianidze@atsu.edu.ge

Marine Surmava

Georgian Technical University. Associate Professor.

Tel.: +995 599 572 026.

Email: surmava_marina@yahoo.com

Marika Tedoradze

Akaki Tsereteli State University. Assistant Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 668 603.

Email: maritedoradze@gmail.com

Nino Vakhania

Sokhumi State University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 577 963 810.

Email: vakhanianino@yahoo.com

Iamze Vashakidze

Caucasus University. Associate Professor, Doctor of Philology.

Tel.: +995 591 986 405.

Email: iamzevashakidze@gmail.com

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
ეკატერინე ბარბაქძე

გარეკანის დიზაინი -
ბელა ღაჭავაძე